

114 /
1961/3



მეცნიერება



10

1 9 6 1

გნათობი



ქრისტიანული ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 38-ე

№ 10

ოქტომბერი, 1961 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

99466

შინაარსი

მწერლის ადგილი კომუნის მშენებელთა რიგებში	3
ალიო მარცხულავა — თოხნეტი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება. ლექსი	8
გიორგი სამხარაძე — ჩვენი დიადი პარტია. ლექსი	9
ელიზბარ ზედგინიძე — გაზაფხული დაიწყო ადრე, რომანი. ვაგრძელდება	10
გიორგი ლეონიძე — ჭაპურა. მოთხრობა	45
არჩილ ხულაყაური — უკეთეს გაყოფნებდეს... მოთხრობა	55
გიორგი ველაშვილი — თმის დროს... მოთხრობები	78
სტეფან ზორიანი — ვაშლის ბაღი. მოთხრობა. თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიამ	84

ზვიადწამლის მოწინავენი

ელია დუბინსკი — ჩვენ კომუნისტები ვართ...	105
ზ. ჯამასპიშვილი, ზ. მერკვილაძე — ინდუსტრიული გიგანტი	114

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დავით ენუქიძე — პოლიტიკა და დიპლომატია	117
სიმონ ჩიქოვანი — ნიკო ლორთქიფანიძე	125
შალვა ჩინთა — რომანი ქართულ მეფოლაღებზე	142

(იხ. მეორე გვ.)



გრ. ზარდალიშვილი — საქართველო ვ. ნ. ტატიშჩევის შრომებში	147
პ. რატიანი — თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების რივი ბუნების გაგებისათვის	149

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარსულიდან

ეთერ რაზიკაშვილი — ცოტა რამ მამანგამბიძაძეზე. დასასრული	159
მარიამ ერისთავი — ვაჟა-ფშაველა და რაფიელ ერისთავი	177

წიგნების მიმოხილვა

შალვა რადიანი — ვიქტორ ვაბესკირიას რჩეული ლექსების კრებული	180
ზურაბ ლორთქიფანიძე — დაუმთავრებელი სიმღერა	182
მ. გეგეშიძე — ნ. კეცხოველი — „საქართველოს მცენარეული საფარი“	183
ს. ჯიქია — საურთაღლებო ნაშრომი	186
ნოდარ რუხაძე — ფრიდრიხ შილერის რჩეული	190
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მაღრაძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფლენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 25/XI-61 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწილის ზომა 7 1/4×12 1/2.
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 08895.
ტირაჟი 5.600. შეკვეთა № 1635.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

მწერლის ადგილი კომუნიზმის მშენებელთა რიგებში

სკკპ XXII ყრილობამ განიხილა და მიიღო ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტი — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აგების პროგრამა. ამ დოკუმენტს სამართლიანად უწოდებს ახალი კომუნისტური მანიფესტი. მისი ისტორიული მნიშვნელობა არ იფარგლება მხოლოდ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანებით. იგი რაზმავს მთელს მოწინავე კაცობრიობას, უჩვენებს რა გზას უახლოესი ბედნიერი მერმისისაკენ. ყოველი ქვეშაირიტი მებრძოლი მშვიდობისა და ხალხის ბედნიერებისათვის, კაცობრიობის საყოველთაო პროგრესისათვის, დედამიწის რომელ კუთხეშიაც და რა სფეროშიაც არ უნდა მოღვაწეობდეს იგი ამიერიდან თავის მოქმედებას შეაფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად უპასუხებს იგი ამ დიად დოკუმენტში აღბეჭდილ ისტორიულ ამოცანებს, რამდენად ხელს უწყობს და აახლოვებს იგი კაცობრიობის შრავალსაუკუნოვანი იდეალის — კომუნიზმის განხორციელებას. მით უფრო ეს ითქმის საბჭოთა ადამიანზე, საბჭოთა ხალხზე, რომელმაც, ლენინის პარტიის წინამძღოლობით, ააგო სოციალიზმი და ახლა ქმნის ეკონომიურ-ტექნიკურ ბაზას კომუნიზმისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა შესანიშნავად თქვა, რომ ახალი პროგრამა ყოველ ჩვენგანს მიუჩენს ადგილს კომუნიზმის მშენებელთა რიგებში. რა თქმა უნდა, ახალი პროგრამით, კომუნიზმის მშენებელთა რიგებში თავისი ადგილი აქვს მიჩნეული საბჭოთა მწერალს. თავისი შემოქმედებით მან უნდა აღზარდოს ახალი ადამიანი. საბჭოთა სინამდვილემ — სოციალიზმისათვის წარმოებულმა დაძაბულმა შრომამ, სოციალისტურ სამშობლოს თავისუფლებისათვის გარდაბდილმა თავგანწირულმა ბრძოლებმა ასი ათასობით წარმოშვეს ახალი ადამიანები, ახალი სოციალისტური მორალის, მაღალი გონების, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, პარმონიული ადამიანები, რომლებმაც თავისი დიდი საქმეებით დაიმსახურეს ის, რომ სამშობლომ მათ მომავლის შექუტრები უწოდა. საბჭოთა მწერალი, თუკი იგი ხალხში ტრიალებს და მისი ცხოვრებით სუნთქავს, არ შეიძლება მუდამ დღე არ ხედებოდეს მომავლის ადამიანებს ყოველდღიურ შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში. მათი მდიდარი გამოცდილების მხატვრული განზოგადება მოგვეცემს სახეებს, იმდენად წარმტაცს და მიმზიდველს, რომ მათ მაგალითზე შეიძლება აღიზარდოს მთელი თაობები. ეს არის ქართველი საბჭოთა მწერლის მთავარი შემოქმედებითი ამოცანა, მისი მაღალი მოწოდება და დანიშნულება, რომელიც განსაზღვრავს მის ადგილს კომუნიზმის მშენებელთა რიგებში. გვაქვს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენი ეპოქის ქართული მწერლობა შესძლებს ამ დიდი მისიის შესრულებას. ამის თავდებია მისი აწმყო და ახლო წარსული.

არც ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც მკიდროდ და ორგანულად იყო დაკავშირებული რუსეთის მკვიდრ ყველა

ხალხის ცხოვრებასთან და ისტორიულ განვითარებასთან, — ქართულ მწერლობას აღსახავი არ დარჩენია.

როგორც სკკპ ახალი პროგრამის შესავალშია ნათქვამი, თავისი პირველი პროგრამით ბოლშევიკური პარტია მოუწოდებდა რუსეთის მუშათა კლასს, ყველა მშრომელს, დაემხო ჯერ მეფის თვითმპყრობელობა, შემდეგ ბურჟუაზიული წყობილება და დაემყარებია პროლეტარიატის დიქტატურა. ხალხი გააყვამოწოდებას, — 1917 წლის თებერვალში მიწის პირისაგან აღგავა ცარიზმი, ზოლო იმავე წლის ოქტომბერში, ლენინის პარტიის წინამძღოლობით, მოსკო მემამულურ-კაპიტალისტური წყობილება და დაამყარა მშრომელთა ხელისუფლება მუშათა კლასის მეთაურობით. პირველად ისტორიაში იშვა სოციალიზმის ქვეყანა. დაიწყო ახალი სამყაროს შექმნა.

რუსეთის ხალხებთან ქართველი ხალხის ხელიხელჩაკიდებულმა გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ მონარქიის წინააღმდეგ, შემდეგ გრანდიოზულმა ბრძოლამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თავისი ცხოველი გამოხატულება პოვა ქართულ ლიტერატურაში. საკმაოდ ბევრია ქართული ეპიკური ტილოები და დრამატული ნაწარმოებები იმის ნათელსაყოფად, რომ ქართულ საბჭოთა მწერლობას თავის ღვიძლ საქმედ მიაჩნდა მხატვრულად აღებეჭდა ეპოპეია ბრძოლისა. რომლისაკენ ხალხს მოუწოდებდა ბოლშევიკური პარტიის პირველი პროგრამა.

ქართველი მშრომელი კაცის რევოლუციური განწყობილება, საბრძოლო მზადყოფნა, თავდადება სახალხო საქმისათვის აღიბეჭდა ყველა თაობის ქართველი საბჭოთა პოეტების შემოქმედებაში.

კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული საბჭოთა მწერლობა ხალხის ბრძოლამ პარტიის მეორე პროგრამაში დასახული ამოცანისათვის — ბრძოლამ სოციალიზმის აგებისათვის. ჩვენი საუკუნის ოციანი, ოცდაათიანი და შემდგომი წლების ქართულ ლიტერატურაში — ეპიკურ, ლირიკულ და დრამატულ მწერლობაში მოცემულია ამაღლევებული და ცხოველყოფელი სურათი იმისა, თუ რა დამაბულ შემოქმედებით შრომას ეწეოდა ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა მომე ერის მხარდამხარ, პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განსახორციელებლად ჩვენს რესპუბლიკაში. საყოველთაო-სახალხო საქმეში ქართველი მწერლების მონაწილეობამ ერთი მხრით და კომუნისტური პარტიის იდეურმა ხელმძღვანელობამ მეორე მხრით ქართული ლიტერატურა გამოიყვანა ახალ გზაზე — სოციალისტური რეალიზმის გზაზე, რომელსაც იგი მიჰყავდა და მიჰყავს იდეური და მხატვრული სრულყოფისაკენ. სწორედ სოციალიზმის აგების და დამკვიდრების პერიოდში შეიქმნა მრავალფეროვანი და მდიდარი ქართული საბჭოთა ლიტერატურა, პარტიული იდეურობით და ხალხურობით გამსჭვალული მწერლობა, რომლის საუკეთესო ნიმუშები ცნობილი გახდნენ მთელს საბჭოთა კავშირში და მის გარეთაც, სწორედ იმის გამო, რომ ღრმად და ყოველმხრივ ასახეს ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომდინარე სოციალური პროცესები და მის სულიერ სამყაროში მომხდარი იდეურ-ფსიქოლოგიური გარდაქმნები.

ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მესამე პროგრამას ქართული საბჭოთა მწერლობა ზედება დიდი გამოცდილებით აღჭურვილი, იდეურად უფრო მომწიფებული და მხატვრულად უფრო დაოსტატებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი შემოქმედებითი შრომა კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში იქნება უფრო იოლი და შემსუბუქებული. საბჭოთა მწერალს, როგორც ადამიანის სულის მკვლევარს და ამსახველს, საქმე ექნება ბევრად უფრო რთულ ვითარებასთან, ახალი პარმონიული ადამიანის მასობ-

რივი წარმოშობის პროცესთან. არ კმარა მარტო იდეურობა და ახალი მოწინავე მსოფლმხედველობა, რომ ჩაწვედ ამ პროცესის სიღრმეს და კანონზომიერებას; ამასთან საჭიროა სიახლის გრძნობა, რომელსაც იძლევა მუდმივი საქმიანი ურთიერთობა კომუნიზმის მშენებელ ადამიანებთან, სისხლხორცეული დაინტერესება იმ საქმით, რომელსაც თავის უბანზე აკეთებს კომუნიზმის ესა თუ ის მშენებელი. არ კმარა მწერალი გაიმსჭვალოს კომუნიზმის მშენებლის საერთო იდეური მისწრაფებებით, ამასთან უნდა იცოდეს ის საქმე, რომელიც ენთუზიასტისათვის შთაგონებულ შემოქმედებად ქცეულა. ამ ცოდნის გარეშე ვერ შეიქმნება იდეურად და მხატვრულად მნიშვნელოვანი ნაწარმოები ვერც პოეზიაში, ვერც პროზასა და ვერც დრამატურგიაში. ეს მუდამ უნდა ახსოვდეს თანამედროვე მწერალს, მით უფრო, ახალგაზრდა მწერალს, რომელმაც ხელში არ უნდა აიღოს კალამი მანამდე, ვიდრე მის ბიოგრაფიაში არ დამკვიდრდება ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება ახალი ქვეყნის მშენებელი ადამიანებისა. უდავო კემშარიტებას ემყარება სკკპ XXII ყრილობაზე გამოთქმული მოსაზრება, რომ დღეს საბჭოთა მწერალს არ შეუძლია და არც აქვს უფლება წეროს თანამედროვე საბჭოთა სოფლის მოწინავე ადამიანებზე, თუ იგი დაუფლებული არ არის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მინიმუმს მაინც, ან ინდუსტრიული მუშის, მით უმეტეს, მეცნიერის სულიერ სამყაროზე, მის საქმიანობაზე და ყოფაცხოვრებაზე, თუ იგი კმაყოფილდება მხოლოდ შორეული და ზერელე წარმოდგენით თანამედროვე მეცნიერების და ტექნიკის გრანდიოზულ მიღწევებზე. გარდა ღრმა პარტიული იდეურობისა, მწერალს ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მოეთხოვება ცხოვრების და იმ საქმის ცოდნა, რომლის შესახებ იგი წერს და რომელიც შეადგენს კომუნიზმის ყოველი მშენებლის არსებობის აზრსა და მიზანს. ეს არის ერთერთი უმთავრესი პირობა იმისა, რომ მწერალმა მონახოს თავისი ადგილი კომუნიზმის მშენებელთა რიგებში. აქეთვე მოუწოდებს მწერალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა, და მის მიერ მიღებული უდიდესი ისტორიული დოკუმენტი — კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა.

არა მარტო სკკპ XXII ყრილობის დელეგატები, არამედ ჩვენც, რომლებსაც წილად არ გვხვდა ბედნიერება დავსწრებოდით ამ კემშარიტად ისტორიულ მოვლენას, უდიდესი ინტერესით და გულმოდგინებით ვუსმენდით და ვკითხულობდით მაღალი ტრიბუნიდან წარმოთქმულ მოხსენებებს და დელეგატთა გამოსვლებს. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებები წარმოადგენენ ღრმა მეცნიერულ შრომებს, რომლებიც ამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმს და ახალ საფეხურზე აყავს მისი განვითარება. ამ მოხსენებათა შუქზე ჩვენ კიდევ უფრო გარკვევით და ნათლად დავინახეთ ჩვენი ქვეყნის ზეალინდელი დღე — კომუნიზმი. ჩვენ მტკიცედ გვჯერა რომ ჩვენი თაობა ნამდვილად იცხოვრებს კომუნიზმის ეპოქაში. ჩვენ ვიცით, თუ რა უნდა ვაკეთოთ დღეს, ზვალ და შემდეგ სახალხო მეურნეობის და კულტურის ამა თუ იმ სფეროში, რომ დავაჩქაროთ კომუნისტური საზოგადოების მოახლოება.

როგორც ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებაში, ისე დელეგატთა სიტყვებში მოტანილი ციფრები და ფაქტები უდავოდ მოწმობენ, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, განსაკუთრებით სკკპ XX ყრილობის შემდეგ, გაწეულია გრანდიოზული შემოქმედებითი მუშაობა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლევამოსილების გასაძლიერებლად და განსამტკიცებლად. ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ მიაღწია უდიდეს ტექნიკურ პროგრესს, მეცნიერების, კულტურის ყოველი დარგის არნახულ აყვავებას, საყოველთაო-სახალხო კეთილდღეობის განუზრებელ ზრდას. XX ყრილობის შემ-



დეგ განვლილი წლები იყო პარტიის და მთელი ხალხის იდეურ-პოლიტიკური ცხოვრების შემდგომი აღმავლობის და მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველმხრივ აღმშენებლობის გამარჯვების წლები.

ამ საშვილიშვილო, ისტორიულ წარმატებათა შექმნე, მთელი სიცხადით გამოჩნდა უზადრუკობა, ვერავგობა და გამცემლობა მოლოტოვის, კავანოვიჩის, მალენკოვის და სხვათა ანტიპარტიული ფრაქციული ჯგუფისა. რომელიც ცდილობდა პარტია აეცდინა ლენინური გზისათვის. როგორც მრავალი დღე-გაღის გამოსვლამ დაადასტურა, ანტიპარტიული ჯგუფი გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა სახალხო მეურნეობის ასაღორძინებლად დასახულ ღონისძიებებს, — ყამირი მიწების ათვისებას, მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციას, ახალ კურსს ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში, ერთი სიტყვით, გამშაგებით ებრძოდა ყველა იმ ღონისძიებას, რასაც მოკლე ხანში მოჰყვა სასიცოცხლო ძალების ინტენსიური ამოქმედება ეკონომიკის და კულტურის ყველა სფეროში.

პიროვნების კულტის მოურიდებელი მხილება XXII ყრილობაზე უტყუარი საწინდარია იმისა, რომ მომავალში არასოდეს აღარ განმეორდება წინანდელი შეცდომები და უკანონობანი. ლენინური ნორმების აღდგენა და დამკვიდრება პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აძლიერებს კომუნისმის მშენებლის შემოქმედებით თაოსნობას და აქტივობას. ასევე დოგმატიზმის ნაშთების აღმოფხვრა დიდ გასაქანს აძლევს მეცნიერულ და ლიტერატურულ შემოქმედებას, რომლის როლი განსაკუთრებით ძლიერდება კომუნისტური შეგნების დასაწერად გათვალისწინებული იდეოლოგიურ მუშაობაში.

ეროვნული ურთიერთობის დარგში პარტიის ამოცანების განსაზღვრიდან გამომდინარეობს ნათელი და მკაფიო დასკვნა, რომ კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ყოველი სოციალისტური ერის დედა-ენა რჩება ფორმით ნაციონალური, შინაარსით კომუნისტური კულტურის მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ იარაღად, რომ თვითეული სოციალისტური ერი ავითარებს თავის მშობლიურ ენას იმდენად, რომ მისი საშუალებით დაინერგოს, გავრცელდეს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, მაღალი საკაცობრიო კულტურის მონაპოვარი, რომ ყოველმა სოციალისტურმა ერმა თავის დედა-ენაზე შექმნას მეცნიერული და მხატვრული საუნჯე, რომელიც გაამდიდრებს ახალი ქვეყნის მშენებლის სულიერ სამყაროს. რა ენაზედაც არ უნდა მეტყველებდეს იგი. ის დებულება, რომ დედა-ენა რჩება ადამიანების კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად, საკაცობრიო მნიშვნელობის ახალ სულიერ ღირებულებათა შექმნის ერთერთ მთავარ ბერკეტად, გულისხმობს იმას, რომ ინტენსიური შემოქმედება ყველა ერის დედა-ენის სრულყოფისათვის, მისი რესურსების და შესაძლებლობების გამდიდრებისათვის. კომუნისმის მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო გაიშლება და გაძლიერდება, რადგან ამ გამდიდრების და სრულყოფის გარეშე წარმოუდგენელია ესა თუ ის სოციალისტური ერი თავის დედაენაზე ეზიაროს თანამედროვე მოწინავე საკაცობრიო კულტურის მიღწევებს ან თავისი წვლილი შეიტანოს კომუნისტური კულტურის საგანძურში.

საბჭოთა კავშირში შემავალი სოციალისტური ერები, რომელთა ეკონომიკის და კულტურის განვითარებამ, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი გატარების მეხებით, წინ გაუსწრო ბევრი ცივილიზებული ქვეყნის ეკონომიურ-კულტურულ განვითარებას, დგანან ახალი, კიდევ უფრო წარმატებითი პერსპექტივების წინაშე. ქართველი ხალხიც სოციალისტური ერების ძმურ

ოჯახში კიდევ უფრო აამოქმედებს თავის ენერგიას და იზეინებს ახალ-ახალ გამარჯვებას კომუნისტური ეკონომიკის და კულტურის მშენებლობაში.

უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აქვს დაკისრებული მწერალს და ხელოვანს საზოგადოების ყველა წევრის იდეურ-მორალურ აღზრდაში. უპირველესი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა მხატვრულ ნაწარმოებს მოეთხოვება, უწინარეს ყოვლისა, არის ის, რომ აღზარდოს საზოგადოების ყველა წევრში კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, დანერგოს მასში იმის შეგნება, რომ შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ თვითიველი ადამიანის წმინდა მოვალეობაა, რომ ყოველგვარი შრომა, როგორც ფიზიკური ისე გონებრივი, პატივსაცემი, და სასახელოა.

ყოველი მხატვრული ნაწარმოები უნდა ემსახურებოდეს კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მორალურ კოდექსში შემავალი ზნეობრივი პრინციპების პრობაგანდას მხატვრული ხერხებით. მხატვრულ შემოქმედების ცენტრში უნდა დადგეს ადამიანი, რომელიც გვიჩვენებს თავისი პრაქტიკით კომუნიზმის საქმისადმი ერთგულებას, კეთილსინდისიერ შრომას საზოგადოების და სამშობლოს საკეთილდღეოდ, საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალ შეგნებას, შეუწყნარებლობას საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევისადმი, პატივისცემას და პუშმანიურ დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, ზნეობრივ სიწმინდეს, უბრალოებას და თავმდაბლობას საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში; ადამიანი, რომელიც არის რა მატარებელი ამ მაღალი თვისებებისა, ამავე დროს შეუირიგებელია უსამართლობისადმი, მუქთახორობისადმი, კარიერიზმისა და მომხვეჭელობისადმი, გამსჭვალულია ზიზღით და სიძულვილით ეროვნული და რასობრივი მტრობისადმი, და თავისი პირადი ცხოვრებით გვიჩვენებს ყველა ერის მშრომელი ადამიანებისადმი სიყვარულისა და ძმობის მაგალითს.

იმ მილიონებს შორის, რომლებიც დღეს კომუნისტური მშენებლობის მოწინავე ხაზზე ილწვიან, ბევრნი არიან ამ თვისებებით დაჯილდოებულნი. რაც დრო გავა, მათი რიცხვი იმატებს. ახალი ადამიანის ფორმირების პროცესი გაძლიერდება და გაღრმავდება, მაგრამ იგი არ იქნება უმტკივნეულო, შინაგან წინააღმდეგობებს და რთულ კოლოზიებს მოკლებული. საბჭოთა სინამდვილე მწერალს კვლავ მისცემს დაუშრეტელ მასალას დახატოს წინააღმდეგობათა ბრძოლის და მათი დამღვეის სურათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ადამიანის შინაგან სამყაროში.

რამდენად მწერალი უფრო ახლო იქნება ცხოვრებასთან, იმდენად უფრო მეტი სიმართლით და დამაჯერებლობით ასახავს ახალი ადამიანის ფორმირების პროცესს და ამით უდიდეს სამსახურს გაუწევს პარტიას კომუნისტური სულისკვეთებით მასების აღზრდის დიად საქმეში.



ალიო მიჩხელაძე

თოთხმეტი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება

თოთხმეტ დღეს ჰქუზდა უშალღესი კრემლის დარბაზი,
ლენინის აზრით კაშკაშებდა, ვით განთიადი,
აზანზარებდა ძველი ქვეყნის კედლებს ბარბაცით
ძღვეამოსილი კომუნისმის წინსვლა დიადი.

თოთხმეტ დღეს დღღდა ხალხის ტალღა, ვარსკვლავთ ქრიალით,
რომელმაც შესძრა კილით-კიდე ქვეყნიერება, —
დიად მანიფესტს ამტკიცებდა ტაშის გრიალით,
ადასტურებდა ჩვენს მომავალ ბედნიერებას.

ჰქრიან დღეები, საუკუნე წინ გაექანა,
ჩვენი ცხოვრება — მზის ამოსვლა, მზის აღმართია,
სიბრძნით, სიცოცხლით და სიუხვით საესე ქვეყანა
მილიონების გმირ მესაჰეს — მიჰყავს პარტიას.

მხრებს ჰშლის ამაყად და ფრთებს ისხამს ადამიანი,
უკლის გარშემო დედამიწას, მკვიდრს და მშობლიურს,
უფრო გაბრწყინდა კრემლის კოშკი ვარსკვლავიანი
და კოსმიური სიმაღლიდან უმზერს მსოფლიოს.

ვიცავთ მშვიდობას და სიცოცხლეს... არ გვინდა ომი,
მტრის დასათრგუნად ძალაც გვაქვს და გამბედაობაც,
გაივლის ოცი წელიწადი საქმით და შრომით,
და კომუნისმის ღროს იცხოვრებს ჩვენი თაობა.



გიორგი სამხარაძე

ჩვენი დიადი პარტია

ცხოვრების წინსვლამ დაადასტურა,
ეს არის ხალხთა ბედნიერება:
სწრაფად აშენე... მტკიცედ აშენე,
არც შეფერხება, არც შეჩერება,
ენდღე პარტიას, მიჰყევ პარტიას
და დაბრკოლებაც ვერ მოგვრევა.

ხარაჩოს მხრები იწევენ მაღლა,
გულით იქმნება, გულით იგება,
გამარჯვებათა ფოლადის ფუძე
იყო, არის და კვლავაც იქნება. —
ჩვენი რიგების ერთიანობა,
ჩვენი პარტიის ურყევე ნება.

ვერაჟინ შესძლებს ხალხების ძმობის
დროშის შერცხვენას, მის ოდნავ დახრას,
ჩვენი სიმტკიცის მყარი ფუძეა
ძლევა მოსილი კავშირი ხალხთა.

რწმენით მივდივართ არჩეულ გზაზე,
ამ გზას ვენდობით, ეს გზა გვიზიდავს,
ჩვენ ვართ ერთგული ჯარისკაცები
დიდი საქმისა, დიდი მიზნისა,
ლენინის დროშას წმიდად ვატარებთ
ჩვენ — შშენებლები კომუნისმისა.

შეგვსრულებია ყველა ოცნება,
რაც გვიფიქრია, რაც გვინატრია,
მუდამ ვენდობით, მუდამ გავყვებით
დიდი ლენინის გამირულ პარტიას!



პიზაპა ზაგინიძე

გაგაფხუდი ღაიფყო 'აღრე'

დროდადრო შეხედავდნენ ხოლმე ერთმანეთს და შესციინოდნენ. დიდხანს ისხდნენ ასე უსიტყვოდ. უკვირდა თინას, რატომ სდუმდა გიგლა. გიგლას კი რატომღაც გული ეწურებოდა, გულის კოვზთან რაღაც სწიწნიდა. არც თვითონ იცოდა რატომ. ღიმილიც გაუქრა სახიდან.

— რა დაგემართა, გიგლა, ჯერი და გეკარგა. ხომ არა გშია?..

— არა! — მიუგო გიგლამ.

— იქნებ გწყურია?

— იქნება მართლა მწყურია! — გაიფიქრა გიგლამ.

წყლის დასალევად გაეშურნენ. იქვე ახლოს წყარო აღმოჩნდა. ის ხელოვნურად გაკეთებულ კლდეში მოწყობილებდა. ფეხდაფეხ მისდევდა თინა. გიგლას გულისყური თინასკენ ჰქონდა მიპყრობილი. ჩანჩქერთან მივიდნენ. ორივემ პეშვი შეუშვირა წყალს. ხან სვამდნენ. ხან პირს იბანდნენ. მერე კლდიდან მონატებს ქვევზე ჩამოსხდნენ და ერთმანეთს შესციინეს.

თინას თმის ბუსუსებზე, როგორც ყვაილებზე იცის ხოლმე, დილის ცვარით შერჩენოდა თითო-ოროლა წვეთი. უციმციმებდა თვალები და ეს წვეთებიც ციმციმებდნენ თმებში. თინა ამას ვერ ამჩნევდა, გიგლა კი ხედავდა და იხიბლებოდა. ისევ ჩუმად იყო და ისევ ეწურებოდა გული.

მუქი მომწვანო ჩრდილები ეფინებოდა ხვეულ გზებს. მზე ორიოდე წუთით გაუსხლტებოდა — ხოლმე აქლემების მსგავს კუზიან ღრუბლებს, რომელნიც სწრაფად მიილტვოდნენ ჩრდილოეთი-

დან სამხრეთისაკენ. მზე ფერს უცვლიდა ფოთლებს, ხეებსა და ყვაილებს, დედამიწასაც კი.

წამოდგნენ და ყვაილნარში გაიარეს. თინა შეჩერდა და დააქვრდა ერთ წარწერას.

— რა ლამაზი ყვაილები ჰქონია დანდურს! — უთხრა გიგლას, — არ გიკვირს?

გიგლამ ვერ გადაწყვიტა, რა ეთქვა, უკვირდა თუ არ უკვირდა და ღუმილი არჩია.

— დანდურსაც წაივლებ, — ჩაილაპარაკა თინამ თავისთვის, — წერილია, პაწაწინები, მაგრამ ლამაზია. გეგონებთ, მოქარგული ვარდისფერი ხავერდიო.

ყვაილნარიდან წამოვიდნენ. კვლავ გაიარეს უსურვანის ხეივანი და შადრევანთან გაჩერდნენ.

გიგლამ ცას შეხედა.

— უუჰ, დიდი წვიმა მოვა!

— მართლა? — თინამაც აიხედა ცისაკენ.

ღრუბლები მუქდებოდნენ და შავად იშლებოდნენ. მთელ ცას ეფინებოდნენ.

— ვინ იცის, იქნებ სეტყვაც წამოვიდეს!

— მაშ შინ წავიდეთ!

— წვიმისა გეშინია?..

ამ დროს მძლავრად შემოუბერა. ძირს ნაყარი ნეშო ქარმა ერთიანად ახვეტა და ვეებერთელა ძაბრით დაატრიალა ჰაერში. შორს სადღაც დასჰქვა. თითო-ოროლა მსხვილი წვეთი თინას სახეზე და ნახევრად შიშველ მკლავებზე დაეცა.

— ვნაზოთ, კარგი?



— რა ვნახოთ?..

— წვიმა იქნება თუ სეტყვა!

— ვნახოთ! — უპასუხა თინამ.

თინას რატომღაც მოესურვა განზანილიყო ზაფხულის წვიმაში, ფეხთ გაეხადა და ფეხშიშველას ერბინა ამ დაფერილი გზის ნაპირებზე აჩქებულ რუგებში.

აი, ქარმა კიდევ ერთხელ წამოუბერა. ხეები და ბუჩქები შეარზია და ააშრია-ლა. ისინი ღიმილით შეაკერდნენ ცას, ხელადნენ, როგორ იცვლებოდა დარი. მართლაც მზე აღარ ჩანდა. უცებ შუბლი შეიკრა ცამ, ჩაშუქდა, ჩაშავდა.

თინას თვალი მოსტაცა ერთმა პატარა მწვანე ფოთოლმა, რომელსაც ქარი ათამაშებდა. ისე მოჩანდა, თითქოს ეს ფოთოლი დიდი პეპელა ყოფილიყო, და ამ უამიღობაში უნებურად დაფრინავდა. ხან ბუჩქებზე შეაფრენდა ქარი, ხან რომელიმე ხის ტოტებისკენ აიტაცებდა, ხან ისევ დაბლა-დაბლა დაუშვებდა ბზრიალ ტრიალით, ხან კიდევ მიწაზე სცემდა, მაგრამ ქარი ხელახლა იტაცებდა მაღლა. უცებ თინას ამ ფოთლის დაჭერა მოესურვა. ისე შეეცოდა, თითქოს იგი სულიერი არსება ყოფილიყო. დაედევნა, სწორედ ისე, როგორც ბავშვები პეპლებს ედევნებიან. აი, ლამის მოჰკიდოს ხელი, მაგრამ ქარი მოულოდნელად ართმევს და სულ სხვა მიმართულებით მიაფრენს. ქარმა თითქოს დასასვენებლად ამოისუნთქაო, წამით მიყუჩდა და ფოთოლი ამ დროს ბუჩქის ძირას დაეცა. როდესაც თინამ თითები შეახო, ფოთოლი ჯერ კიდევ თრთოდა, თითქოს აფრენას აპირებს და ვერ ახერხებსო. თინამ ფოთოლი გულზე მიიკრა, თითქოს დაამშვიდა და შეათბოო. ეს იყო ცაცხვის ფოთოლი, რომელიც ასე აორე მოსწყობა ტოტს და ქარი თავის ნებაზე ათამაშებდა.

— რა იპოვნე? — ჰკითხა გიგლამ.

— ფოთოლი!

— მერე რა გარბენინებდა, ცოტაა აქ ფოთოლი?

— ეს სულ სხვა არის. მე რომ არ

მივშველებოდი, ქარი წაიღებდა ეს ფოთოლი შენ უნდა გაჩუქო დღევანდელ დღის სახსოვრად გკონდეს, — ღიმილით უთხრა თინამ, თვითონაც არ იცოდა, ხუმრობდა თუ მართლა საჩუქარს აძლევდა.

გიგლამ ფოთოლი გამოართვა და უბის ჯიბეში ჩაიღო, მაღლობაც გადაუხადა ისე, თითქოს დიდი საჩუქარი მიეღოს...

უცებ ძლიერი წვიმა წამოვიდა. თავის შესაფარებლად გაიქცნენ მუხებისაკენ, რომელთაც ფართოდ გადაეყარათ ტოტები. ერთ ბოძზე ეწერა: „აღმოსავლეთ საქართველოს ტყე“...

— ამ ტყეს შევაფართოთ თავი! — დაიძახა გიგლამ და შეეარდა შიგ.

მართლაც დაბურულ ტყეს ჰგავდა იგი. მუხა, ვერხვი, ცაცხვი და თელა ერთმანეთში შერეულიყო. აქა-იქ სოკოებს ამოეყო თავი. ძირს ეყარა წინა წლების ნეშო, როგორც ეს ნამდვილ ტყეში იცის. ორივენი მუხის ქვეშ აიტუზნენ. იღიმებოდნენ, უხაროდათ კიდევ ბუნების უცნაურობა. ისეთი ხმაური იდგა, თითქოს წვიმა ხეების ტოტებს ლეწავდაო. აჩქებდა ნაკადულები, მიზნობილად აჭაფებული წყალი. წვიმისაგან ფოთლები დამძიმდნენ და თავი ჩაქინდრეს. ფოთლებსაც სცივიოდა წვეთები, ისე, თითქოს იცრემლებოდნენ. დროდადრო ელევა ბზარავდა ცას და გრგვინვა ანგრევდა ღრუბლებს, კოშკებივით რომ შემდგარიყვნენ ერთმანეთზე სართულებად.

გიგლამ თავისი მოწაფური ქურთუკი გაიხადა და თინას მიაწოდა.

— ჩაიცვი! — ისე უთხრა, თითქოს უბრძანაო.

თინა რატომღაც უსიტყვოდ დაემორჩილა.

სამკლავურებში ხელები გაჰყო, საყველო შეიკრა და უცებ იგრძნო სითბო, ის სითბო, რომელიც ქურთუკს შერჩენოდა გიგლას სხეულისაგან. თინამ სახელოებს დახედა. ნაპირები გაცვეთილი ჰქონდა. ერთ ადგილას ნაკერიც აჩნდა.

მაგრამ იგი მაინც თბილი და სასიამოვნო იყო. კარვად ეგრძნო თავი, მაგრამ ორიოდ წუთის შემდეგ თითქოს გონს მოვიდნო, უთხრა:

— მე რად ჩამაცივი, განა შენ კი არა გცივა?..

— არა, შენ გეცვას. ასე სჯობია! თინამ ხათრით უარი ვერ უთხრა, ისე კი უხერხულად გრძნობდა თავს.

წვიმამ უფრო მოუმატა.

სველდებოდნენ.

— წავიდეთ, თორემ ვინ იცის, როდის გადაიღებს წვიმა!

— ზაფხულის წვიმა დიდხანს არ გგრძელდება.

მართლაც მალე გამოიდარა. მორცხვად გამოიხედა მზემ და სველი ფოთლები ააქრიალა. შენელდა და შეწყდა რუქები. თინა და გიგლა გამოვიდნენ ტყიდან.

„იარეთ მხოლოდ გზებზე!.. — ხელახლა შეაელეს თვალი წარწერას.

„თუ დაგვირდება, არა მარტო გზებზე, ტყეშიც და ღრეშიც უნდა იარო, — გაიფიქრა გიგლამ, — როცა აუცილებელია, გზიდანაც უნდა გადაუხვიო“. — ისე ჩააფიქრა ამ წარწერამ, თითქოს იგი ცხოვრების გზებს გულისხმობდესო...

VI

ივლისის დამლევს საშუალო სასწავლებელი დაამთავრა თინამ. როდესაც უკანასკნელი საგანი ჩააბარა, გახარებული გამოვიდა კლასიდან, ვარდისფრად იყო ალუწილი. ბედნიერად გრძნობდა თავს, ათი წელიწადი მოისწრაფოდა ამ დღისაკენ და, აი, ამ წუთას დაამთავრა ეს გრძელი გზა.

თინა დერეფანში გაჩერდა. ის პირველი გამოვიდა კლასიდან და ამხანაგებს დაელოდა.

გამოვიდა მეორეც, ლილი ჰელიძე.

— რა მიიღე? — მაშინვე შეეკითხა თინა.

— მგონი ოთხი! — უპასუხა იკვნი-

ულად, თითქოს არ იცოდა რა ნიშანი დაუწერეს.

ხუთიოდე წუთის შემდეგ კარი გაიღო და, კი არ გამოვიდა, პირდაპირ გამოვარდა, შევეკრემანი ბიჭი. მას უკვე კარგა მაგრად ჩაშავებოდა ზედა ბაგეზე მომავალი ულვაშის გინგლი. თხელი, ბუსუსოვანი წვერიც ეტყობოდა, მაგრამ ჯერ ბავშვად გრძნობდა თავს და სახეზე სამართებელს არ იკარებდა. კისერი მუდამ თმით ჰქნოდა შემოსილი. ამას ყურადღებას არ აქცევდა. თვეში ერთხელ გაიკრეჭდა თმას და მხოლოდ მაშინ მოჩანდა სუფთად და ფაქიზად.

— რა ნიშანი მიიღე, გიგლა?.. — ერთმანეთის დასწრებით შეეკითხნენ თინა და ლილი.

— რას მივიღებდი?.. — შეეკითხეთვე მიუგო გიგლამ. მის ხმაში წყრომაც გაისმა.

გიგლაც იქ დარჩა. ისიც დაელოდა თანაკლასელებს. ასეთ დროს ამხანაგებმა არ იციან ერთმანეთის მიტოვება.

ორმოცი წუთის განმავლობაში გრძელი და ფართო დერეფანი მოსწავლეებით აივსო. მერე გოგო-ბიჭები მხიარული ხმაურით ჯგუფ-ჯგუფად დაეშენენ კიბეებზე. ჯგუფებად დაყოფა თავისთავად მოხდა, იმის მიხედვით თუ ვინ ვისთან შეგობრობდა. თინაც ახლო ამხანაგებთან ერთად გამოვიდა სკოლის ეზოდან.

— ბავშვებო, — წამოიძახა სოფიკომ, სიცულქით და ეშმაკობით ტოლებში განთქმულმა გოგონამ, — იცით რა ექნათ? მოდიეთ და სკოლის დამთავრების აღსანიშნავად ექსკურსია მოვაწყვით სადმე!

ამხანაგები მაშინვე დაეთანხმნენ.

— მცხეთაში წავიდეთ. არმაშში გათხრილი საფლაკები ვნახოთ. — თქვა ლილიმ.

— რა გვინდა მცხეთაში. იქ ახლა ცარიელი საფლაკებია, რაღა უნდა ვნახოთ?..

— ბეთანიაში წავიდეთ. — სერიოზულად თქვა გიგლამ.

— სად არის ბეთანია? — იკითხა ლილიმ.

— აი, ზედავ, შენ ეგვეც არ იცი.

— მერე რა, რომ არ ვიცი. დღეის შემდეგ მეცოდინება.

— ყველაფერს აჯობებს ახლავე, აი, აქედანვე მთაწმინდაზე ავიდეთ. ექსკურსია უსათუოდ შორს უნდა იყოს? განა თბილისშივე არ შეიძლება ექსკურსიის მოწყობა?.. რამდენ რამეს არ ვიცნობთ თბილისში, თუმცა თბილისელები ვართ! — თქვა ისევ გიგლამ.

როგორც ფრინველების გუნდი, პაერში უცებ რომ იბრუნებს პირს და იქით გაინაჯარდებს, საითაც მათი წინამძღოლი გაფრინდება, ისე მოიქცნენ. წინ გიგლა წავიდა და უკან ამხანაგები გაპყვნენ. არც შიმშილი ახსოვდათ, არც ის, რომ შინ მშობლები მოელოდნენ, დაპკრეს ფეხი და მთაწმინდისაკენ გაეშურნენ. მიდიოდნენ სიცილ-ხარხარით, ისეთი დიდი სიხარული აღელვებდათ, რომ ამ სიხარულს ძლივს იტევდა მათი გული.

რუსთაველის პროსპექტზე, ბესიკის ქუჩის კუთხესთან, დაძაბილი შემოესმათ და მეგობრები უცებ მიუყუჩდნენ. ყველამ იქით გაიხედა, საიდანაც ესმოდათ:

— ყმაწვილებო, ყმაწვილებო!..

ტანადი, კარგი შესახედაობის წარმოსადგვი მამაკაცი, რომელსაც, მოუხედავად სიციხისა, წვრილუჯრედებიანი შალის კოსტუმი ეცვა და მუქი ყავისფერი შლაპა ეხურა, უძახდა მათ.

მოსწავლეები გაუბედავად მიუახლოვდნენ. ისინი თვალს არ აშორებდნენ მის გრძელსა და ხშირ წაბლისფერ წვერს, სქელ უღვაშებს.

— რა კარგი ყმაწვილები ხართ! — წაილაპარაკა უცნობმა, — როგორ მიხარია, რომ ასეთი კარგი ყმაწვილები ხართ! — ეს სიტყვები მეგობრებს დაეცინესათვის მოესმათ და შუბლი შეიკმუხნეს, მაგრამ როდესაც უცნობმა თავი მაღლა ასწია, სადღაც სხვა მხარეს გაიხედა და თითქოს ვიღაცას უთხრა: „ჩვენი საამაყო ახალგაზრდობა, საქარ-

თველოს სიციცხლე!“ — გულზე მოემვათ, რადგან რაღაც დიდებული, რაღაც უცნაური და უჩვეულო აგრონომის ხმაშიც და გამოხედვაშიც.

მეგობრები შესცქეროდნენ განცვიფრებითაც და ყურადღებითაც.

წვეროსანმა თავი დაბლა დახარა, შეხედა ახალგაზრდებს და გაიღიმა. ორ მათგანს, რომლებიც უფრო ახლოს იდგნენ, ერთს მარჯვენა ხელი გადაჰხვია, მეორეს მარცხენა.

— შენი სახელი, ბიძიკო? — შეეკითხა გოგონას.

— თინა.

— თინათინი, არა?..

— დიახ.

— შენი, ბიძიკო?..

— გიგლა.

— სწავლობს გიგლა ტიტინა.. ჰა, ჰა, ტიტინა! ეს ლექსია, არა? — შეეკითხა დამცინავად, მაგრამ წვეროსანმა ეს კილო უცებ შესცვალა, კვლავ მაღლა ასწია თავი, და სადღაც შორს გაიხედა. და ისე, თითქოს მათ კი არა, ვინმე სხვას ეკითხებო, წარმოთქვა:

• — საით მიჩქარება ყმაწვილებს?..

— მთაწმინდაზე მივიღვართ! — მიუგო გიგლამ ისე მშრალად, თითქოს უნდოდა მალე დაეღწია თავი ამ უცნობი კაცისთვის, მეტადრე იმ მარჯვენისათვის, რომელიც გიგლას მძიმედ ელო მხარზე.

— მთაწმინდაზე?.. ოჰ, მთაწმინდაზე... წადით, ბიძიკო, წადით. აკაკი ნახეთ აკაკი... უსათუოდ წადით!.. მერეც მოდით ხოლმე, ბიძიკო, მერეც!..

— რატომ ბრძანებთ, მოდითო? მთაწმინდაზე მსახურობთ? — გულუბრყვილოდ შეელაპარაკა თინა, მაგრამ უცნობი თინას ყურს არ უგდებდა, თავისას განაგრძობდა:

— მერეც მოდით, ბიძიკო, მერეც. მეც მნახეთ, მეც. ნახეთ თქვენი გალაკტიონი!..

ბავშვები უცებ შეიცვალნენ. ამ სახელის გაგონებაზე სხვა თვალით შეხედეს. უცქეროდნენ მოკრძალებით და სიყვარულით. ყოველ მათგანს რაღაც უნდო-

და ეთქვა, მათ ბაგეებზე ახლა უკვე სა-
ეჭვო ღიმილს აღარ იწვევდა მისი გვერ-
დზე მოქცეული შავი პალტუხი, აღარ
აკვირებდათ ფარფლებდასრესილი
შლიაპა, არც პერანგის ფერდაკარგული
საყელო, ყველაფერი მშვენიერად ეჩვე-
ნებოდათ...

გალაკტიონმა გიგლას მხრიდან ხელი
აიღო და ძირს დაუშვა. გიგლამ თვალი
გააყოლა მის ხელს, ახლა ეწყინა კიდევ
რატომ აიღო მის მხრიდან ხელი. დაენა-
ნა, რომ ის მარჯვენა, რომელსაც ამდენ-
ი მშვენიერი ლექსი დაუწერია, აღარ
იყო მის მხარზე... მან თინას მხრიდანაც
ჩამოიღო ხელი. გალაკტიონი აღარ იყო
მათთან, ის უკვე ნისლმორეული თვა-
ლებით, თავაწეული ბაგეშეკრული და
უტყვი გასცქეროდა ბესიკის ქუჩას და
მის გვირგვინად მდგარ მთაწმინდას. ის
აღარ უცქეროდა მის ირგვლივ ჯგუ-
ფად მდგარ ყმაწვილებს, თითქოს დაა-
ვიწყდაო ისინი, რადგან ახლა უკვე სხვა
ფიქრმა გაიტაცა...

მეგობრებმა, არ იცოდნენ, როგორ
მოქცეულიყვნენ, გასცლოდნენ თუ გა-
ეხსენებინათ თავიანთი თავი.

მაგრამ აი, თითქოს მას რაღაც შორი
და მიეწყებულე გააზსენდაო, კვლავ
მათ დაუბრუნდა.

— ყმაწვილებო, სიტყვა მიეცი თ ძია
გალაკტიონს, რომ ერთ თხოვნას შეუს-
რულებთ მას. ჩემთვის არაფერს არა
გთხოვთ. მე არაფერი არა მპირდება.
ყველაფერი თქვენთვის მინდა, მხოლოდ
თქვენთვის!... იცხოვრეთ სიყვარულით,
იცხოვრეთ ლამაზად... უსათუოდ ლამა-
ზად... ბედნიერება ლამაზ სიყვარულ-
შია, სიყვარული ეს არის დედა... დედა
ყველაფრის, რაც არსებობს... რასაც
ვხედავთ და ვერ ვხედავთ... რასაც
ვგრძნობთ და ვერ ვგრძნობთ... ადამიან-
ნი, სამშობლო, მზე, ზეცა სიყვარულის
პირმშობები არიან... თქვენც ამისთვის
იცხოვრეთ, სიყვარულითა და სილამა-
ზისთვის... აუსრულეთ ეს თხოვნა ძია
გალაკტიონს... ახლა კი წადით, ნახეთ
აკაკი... ნახეთ ილია... ვეცა ნახეთ, ვეცა.

ოლონდ მერეც მოდით, მერეც... მეც
მნახეთ-ხოლმე, მეც!... *ეროვნული*
და პოეტი მიყუნიდა... *ჩაღბინია*.
შებრუნდა, თავდახრილი მიაბიჯებდა და
თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა...
ხალხი შესცქეროდა, ბავშვებმაც გულ-
ნაკლულად გააყოლეს თვალი, მაგრამ
ის არავის აღარ უყურებდა.

მეგობრები თავიანთ გზას გაუდგნენ.
მთაწმინდის პატარა ბაღს რომ მიუახ-
ლოდნენ, გამოჩნდა მამადავითი. მათი
თვალი მოიტაცა მწვანეში ჩამჯღარ-
მა, მთას მიხუტებულმა ეკლესიამ.
ყველა გაჩუმდა, თითქოს, შეთანხმდ-
ნენო.

მეგობრები აღმართზე მდუმარედ
აღიოდნენ. დროდადრო ჩერდებოდნენ
და შესცქეროდნენ გასაეღულ გზას. და-
ილაღნენ. ოფლის წვეთები დააჩნდათ
სახეზე.

ეკლესიის ქვედა ეზოში შევიდნენ.
გრიბოედოვის აკლდამას მიუახლოვ-
დნენ.

შესცქეროდნენ შავი მარმარილოს
კვარცხლებეს, რომელზეც იდგა ბრინ-
ჯაოსაგან ჩამოსხმული ქანდაკება. ტი-
როდა მუხლმოდრეკილი ქალი. მისჩერე-
ბოდა წამების ჯვარს — სევდისა და
იმედის ნიშანს, ის ხომ თითქმის აწი-
მეს?!... ერთმანეთზე აწყვილა წიგნები,
„ვაი ქუჩისაგან“, ზედაც ქნარი და დაფ-
ნის ფოთლები.

„დაუეიწყარს, მისი ნინო“... — გადა-
ირბინეს თვალებმა ოქროს ასოები.

თანდათან მოშორდნენ აკლდამას,
მხოლოდ თინა იდგა გაუნძრევლად.
თვალს ვერ აშორებდა მუხლებზე დაცე-
მულ ქალს... დიდხანს დასცქეროდა ჩუ-
მი, მოწყენილი.

თინას სახის ნაკვეთები შეეცვალა, ტუ-
ჩები გაუფერმკრთალდა. თვალები დაუ-
ბინდდა.

თინა ნელა ავიდა კიბეზე. ზედა
ეზოში მოაჯირთან ელოდნენ ამხანა-
გები.

იქვე, ვაჟას საფლავთან, ვიღაც ექს-
კურსმძღოლი ესაუბრებოდა საიდანღაც
ჩამოსულ ტურისტებს.

— ჩვენც მოუხმინოთ! — თქვა ლილიმ.

— არა, არ გვინდა. ჩვენ თვითონ გავიხსენოთ ის, რაც ვიცით! — უპასუხა თინამ და მოპირდაპირე მხარეს გაემართა.

გაპყენენ ამხანაგებიც.

ბარათაშვილის ძეგლთან მივიდნენ.

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება?!..“

გიგლამ ძეგლს ირგვლივ შემოუარა და ყველა წარწერა ხმამაღლა წაიკითხა.

— რატომ ხარ ასე... მოწყენილი? — შეეკითხა თინა, რომელიც ის-ის იყო მიუახლოვდა.

— წარმოგიდგენია, თინა, რა სევდა სტანჯავდა ამათ? რამდენი ნატვრა და ოცნება დარჩათ აუსრულებელი?!

თინა არ მოელოდა პასუხს და შეხედა გიგლას, თითქოს იგი დღეს პირველად გაიცნო...

ლილის ვიღაც ვაჟი შეხედა. ისინი ერთმანეთს გამოელაპარაკნენ.

— აქ რა გინდა, გოგო? — შეეკითხა ვაჟი და შავ დიდ ქოჩორზე ხელი გადაისვა.

— ექსკურსიაზე ამოვედი. დღეს საშუალო დავამთარეთ. რატომ არ მილოცავ?..

— მომილოცავს. — ისე უთხრა თითქოს სიტყვა შეაწიაო.

— შენ რაღად მოსულხარ? — თავის მხრივაც ჰკითხა ლილიმ.

— მე ისე გამოვიარე...

ამ დროს თინამ ჩაიარა მათ წინ. ამხანაგებმა ერთმანეთს გაუღიმეს.

— ამხანაგია? — იკითხა ვაჟმა.

— დიახ.

— ძალიან მომწონს!..

უცებ მოიწყინა ლილიმ, მაგრამ მაშინვე მხიარული გამომეტყველება მიიღო.

— დიდი არადერია. — დაფარული შურით წარმოთქვა თინამ, მაგრამ მაშინვე იგრძნო რომ ტყუოდა და ნათქვამის გამოსასწორებლად დააყოლა:

— გინდა გაგაცნო?..

— მინდა.

— თინა! — დაუძახა ლილიმ მაშინვე. — მოდი აქ!

— გაიცანი. მამაჩემის მეგობრის შვილია. ინიცინერია.

თინას არ გაუგონია ლილის ნათქვამი. ხელი გაუწოდა.

— გივი.

— თინა. — გაისმა მათი სახელები. თინამ ვაჟს შეხედა და არ ესაიამოვნა მისი დანახვა, მაშინვე გვერდზე გაიხედა. მოუთმენლად ელოდა, როდის მოათავებდა ლილი ლაპარაკს.

თინა უხერხულად გრძნობდა თავს. ვაჟი შესცქეროდა, მაგრამ თინას ისე ეკვირა თავი, თითქოს ვერ ამჩნევდა მის დაეინებულ ცქერას.

დაბოლოს ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

— ძლივს! — აღმოხდა თინას.

დიმიტრი ყიფიანის ძეგლთან მივიდნენ. თეთრ მარმარილოსაგან გამოძერწილ ბოუსტში მოქანდაკეს სევდა ჩაექსოვა. ძნელია თეთრ ფერში მწუხარების გამოხატვა, მაგრამ მოქანდაკეს ეს მოუხერხებინა. აშკარად ჩანდა.

სამშობლო დაუწყევლეს!.. და ამან, ვიდრე დამწყველი საქართველოდან არ გააძევებინა, ვერ მოისვენა. მაგრამ რა?.. შური იძიეს. სისხლით შეუღლებეს შუბლი...

— ლილი, იცი ამის ამბავი?..

ლილი სდუმდა.

თინამ უცებ ახლად გაცნობილზე გადაიტანა ფიქრი. რაღაც გაახსენდა. შეტრიალდა და იქით გაიხედა, სადაც წელიდან ის ვაჟი გაიცნო. წასულიყო. თინა შეშფოთდა. „ეს ხომ ის არის?..“ — გაუელვა ფიქრში.

როდესაც კი რუსთაველის პროსპექტზე გაუვლია, მუდამ იქ უნახავს, იქ, ხესთან მიმდგარი, ამხანაგებში. კარგად გაახსენდა. სძაგდა მისი უდიერად დამიზნებული თვალები. სძაგდა კი არა, აშინებდა.

— ლილი, ვინ იყო ის ვაჟი? — თითქოს ბურანიდან გამოერკვაო იკითხა თინამ.

— მოგეწონა?..

— სრულიადაც არა! — ეწყინა თინას ლილის შეკითხვა.

— ხო გითხარი მამაჩემის მეგობრის შვილია-მეთქი. ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობს. დიდი ხნის ნაცნობია ჩემი. ნუთუ არ მოგწონს?..

— დავანებოთ თავი.

ილიას საფლავმა მოიტაცა თინას თვალები. გიგლაც იქ იდგა. პირველად არ ენახათ მისი საფლავი, მაგრამ ყმაწვილები მაინც ჩაფიქრდნენ.

საქართველო დასტროდა თავის შვილს. დიდი სევდა სტანჯავდა ძაძებში შემოსილ დედას. იქვე ახლოს, ილიას ფერხთით ესვენა მოქანდაკე, რომელმაც ეს ძეგლი შექმნა.

— წაივით, ძალზე დავიღალე. — თქვა თინამ მოწყენით და შუბლზე ხელი გადაისვა.

დაეთანხმნენ ამხანაგები და მთაწმინდის დაღმართზე დაეშენენ. შთაბეჭდილებებით და ისედაც დაქანტულები ისე ბრუნდებოდნენ შინ, როგორც მერცხლები ბინდისას, დაღლილად რომ აფარფატებენ ფრთებს თავიანთ ბუდეებთან.

VII

თინა დღეობაზე წასასვლელად ემზადებოდა. წინა ღამეს თავი დაიბანა, რომ ფუფუფუზად და ღამაზად ჰქონოდა თმა. ბავშვობის ასაკიდან გამოვიდა და ნაწინავეებს აღარ იკეთებს. თმა დაიწნა და უკან კეფაზე შემოიმრგვალა. მაღალ ქუსლებზეც შედგა. ძალზე მოუხდა. წარმოსადგევი ვარგნობა მიეცა. ახალი კაბა შეუყერეს, ცისფერი. ამ კაბას დღეს პირველად იცვამს. ოღონდ გაჯავრებულია. დედას ემღურის. ცუდად დაგიუთოებიაო. პირქვედამხობილი წევს საწოლზე და დედისაკენ არც იხედება. დედა კი თავს დასტრიალებს თავის ქალიშვილს და აღერხით სთხოვს:

— ჩაიცვი, გენაცვალე, აბა, მითხარი, ამაზე უკეთესად ვინ დააუთოებს!..

თინა კი ჟინიანად უპასუხებს:

— არ მინდა, არა, არსადაც არ წავალ, განა არ ვიცი, შენთვის სულ ერთია,

როგორ ვიქნები გამოწყობილი, უშნოდ თუ ღამაზად!

— რათა, გენაცვალე, სულ ერთი რად არის? ჩაიცვი, გაისინჯე, იქნებ მოგეწონოს!.. — ფეფრებოდა და ამშვიდებდა თამარი შვილს.

— არა და არა, ეთქვი და გათავდა. მე ამ კაბას არ ჩავიცვამ და არც დღეობაზე წავალ. შენ კი გიხაროდეს, ასე რომ ვინაგრები!

დედას უკვირდა თინას საქციელი, განცვიფრებული ეუბნებოდა:

— რა დაგემართა, შვილო, როდის იყავი ასეთი ჰირვეული, რა ამბავია შენს თავს? რამ გამოგცვალა ასე?

დედას უნდოდა წყრომით მიემართნა, დაეყვირა და დაეტუქსა, მაგრამ თავი შეიკავა, დღეობაზე უხასიათოდ არ იყო-სო და ისევე დაევავეებით უთხრა:

— შენ მაინც ყველაზე კარგი იქნები, გამიგონე, გენაცვალე!

თინა გაისუსა. ესამოვნა დედის სიტყვები. ტუჩებზე ღიმილი დაეტყო. უცებ გულიდან ჯავრი გადაეყარა. ნებიერად გაეცინა, წამოხტა, დედის წინ გაჩერდა და მოჩვენებითი ტირილით მიმართა:

— კარგი, მომიტანე, ჩავიცვამ! — თქვა და შერეოთ ოთახში პირის დასაბანად გავიდა.

დედამ სკამზე გადაკიდებული კაბასათუთად აიღო და დაელოდა, ვიდრე თინა ხელპირს დაიბანდა და სახეს შემშრალეზდა.

თინა სარკის წინ მკლავებდაშვებული გაჩერდა. ნეილონით გაწყობილ ვარდისფერ პურანგში, ღამაზ ნაქარგზე მისი ყელ-ყური, სპილოსძვლისფერი მომრგვალებული მხრები და მკერდი ისე მშვენიერი მოჩანდა, რომ ადამიანის თვალს დაატყვევებდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ქალი თუ კაცი. უცოდველად უთრთოდა მკერდი. მისი, ჯერ კიდევ ბიჭურად გამოყვანილი წელი, ამტკიცებდა რომ მის ტანს ზრდა არ დაემთავრებინა და არ მიეღო თავისი დასრულებული სახე.

თინამ ახალი კაბა ჩაიცვა და უცებ



შეიცვალა. ამ კაბამ დახატა და დაამშვენა.

— აბა, ერთი სარკეში ჩაიხედე, შენზე უკეთესი ვინ იქნება იქ? — შიშობა ალტაცებაში მოსულმა თამარმა, რომელსაც მართლაც ძალიან მოეწონა თავისი ქალიშვილი.

თინას პირველად ეცვა ასე სავანგებოდ შეკერილი კაბა. დღემდე მას ან მოწონის ფორმა ეცვა, ან უბრალო ჩითის კაბა. აბრეშუმის კაბებიც კქონია, მაგრამ ისიც უბრალოდ შეკერილი. ეს საკაბე კი სკოლის დამთავრების გამო უყიდა მამამ და საუკეთესო მკერავს შეაკერინეს.

— დედა, გენაცვალე, ტაქსი მოვიყვანოთ, აი, ასე უნდა მივიღე, როგორც ვარ. ფეხით რომ ვივლი, კაბაც დამეკუმუნება, მეც დავიჭყანები, რაღა დღეობა იქნება მაშინ?! — მიმართა თინამ დედას, თანაც ხელები განზე გაწვდილი ექირა, თითქოს ეშინოდა კაბას არ მივაკაროთ.

— კარგი, გენაცვალე, კარგი. — მაშინვე დაეთანხმა თამარი და უმცროს შვილს, მიუბრუნდა, — გაიჭყეცი, სოსო, ტაქსი გააჩერე.

სოსოს საამისოდ ხვეწნა არ დასჭირებია. მაშინვე გაიჭყა ტაქსის მოსაყვანად. ის თავისი დისთვის სულს არ დაიშურებდა.

— აბა, მაჩვენე, რა უნდა მივულოცო?

დედამ კარადიდან წიგნი გადმოიღო.

— გენაცვალე, ეს რა მისალოცია?.. სირცხვილი არ არის?

თინამ თვალი გადაავლო ავტორის გვარს, მერე წიგნის სახელწოდებას.

— რჩეული! რა კქონდა ასარჩევი?.. — ტუჩები აბზიკა, — ძალიან არ უნდა ლილის ამის ნატანჯის წაკითხვა?

— რათა, გენაცვალე, რად დასცინი ამ მწერალს?

— იმიტომ, რომ როცა წიგნს ვკითხულობდი, არც მახარებდა, არც მავადრებდა, სულელივით ვფურცლავდი გვერდებს. დავამთავრე და არაფერი არ დამრჩა არც თავში, არც გულში!

თამარი განუმდა.

— შემიხვიე მაინც, რომ თავიდანვე არ დაინახოს, თუ რა მივუტანე.

ამ დროს ქაჩანით შემოვიარდა სოსო, ტაქსი კარებთან დგასო.

— მალე, თინიკო, ხომ იცი შოფერი დიდხანს არ მოიციდის!

დედამ თინას ხუთმანეთიანი მისცა.

და-ძმამ კიბეები სწრაფად ჩაირბინეს.

— მე სახლამდე მიგყვები, ნუ გეშინია, მე ლილისთან არ შემოვალ. მაშინვე უკან გამოვბრუნდები. ოღონდ აქედან ტაქსით გამოვიხსიერებ. მარტო ხომ არ ჩაჯდები ტაქსში? რომ გაგიტაცოს?

ტაქსს რომ მიუახლოვდნენ, მძღოლმა ისე უცნაურად შეხედა თინას, რომ გოგონა შეკრთა კიდევ.

— ძია, — მიმართა თინამ მძღოლს, — აი, ეს ხუთმანეთიანი, სამი მანეთი დამიბრუნეთ და ორი მანეთი მიიღეთ, ჩვენ აღარ მივდივართ. ასე მოხდა, ძია, აღარ მივდივართ!

მძღოლმა ღიმილით შეხედა თინას.

— არაფერია, ქალიშვილო, არ გვინდა ეგ ორი მანეთი. ჩვენ სხვა მგზავრს ვიშვით. — უბასუხა მძღოლმა და მანქანა ააშუშავა. თინა და სოსო სახტად დარჩნენ, არ მოელოდნენ ასეთ პასუხს, გულში ორივემ იწანა დაუმსახურებლად რომ ჰკიცხავდნენ მძღოლს.

— თუ კი გამაცილებ, მაშინ ფეხით წავიღებ, აბა, რად გვინდა მანქანა? ასე არა აჯობს, ჩემო ძამიკო? ჩვენ ხომ მინისტრები არა ვართ არა, სოსო?! — აღერსით უთხრა თინამ ძმას.

— ხოო, ასე აჯობებს, — მოწყენილად მიუგო სოსომ და ძლივს გადაყლაპა ყელში მომდგარი ნერწყვი.

— შორს კი არ არის, აი, აქვეა. ამ აღმართს ავალთ, იქ შევუხვევთ, მერე სულ პირდაპირ ვივლით და ვივლით!

ზაფხული იყო. თუმცა მზე ჩადიოდა, მაინც ცხელოდა. პერი არ იძვროდა. ფოთლებიც კი არ შრიალებდნენ, მხოლოდ შენობების უზარმაზარი ჩრდილები შეგებას ჰკვრიდა ხალხს.

ორსართულიან ძველებურ სახლს მიუახლოვდნენ. დიდ ფართო ითვისებ



ახალგაზრდები გადმომდგარიყვნენ და ჟრიაშული გაჰქონდათ. მათ შორიდანვე შენიშნეს თინა.

გოგოები კიბეებზე შეეგებნენ. აივანზე აიყვანეს და მოსვენება არ მისცეს, ახალი კაბა კარგად დაგვანახვეო. იმდენი ატრიალეს, იმდენი ატარეს წინ და უკან, რომ დაღალეს გოგო.

ათიოდე წუთის შემდეგ გიგლა მოვიდა. ისიც მთლად გარდაქმნილიყო. თმა კობტად შეეკრიჭა. ახალი პიჯაკი ჩაეცვა. პალსტუნი გაეკეთებინა, რაც ძალიან უხბდებოდა. ისეთი ეშხიანი მოჩანდა, რომ თანაკლასელმა გოგონებმა, რომლებიც აქამდე ყურადღებას არ აქცევდნენ მას, თვალეები დააქუციტეს.

„ეს შენა ხარ, გიგლა?“ — ეკითხებოდნენ სიცილით. — „ღიახ, მე ვარ „გიგლა-ბიჭი!“ — ხუმრობდა ისიც...

— ახლა კი დაესხდეთ! — მხიარულად მიმართა ლილიმ ტოლებს.

— არა, ადრეა. რა დროს სუფრას. ჯერ ვითამაშოთ! — წამოიძახა გიგლამ.

— დაღამებას თუ ვუცადეთ, ათ საათამდე არ დაღამდება! — გამოეხმაურა სოფიკო.

ამ დროს კიბეებზე გივი გამოჩნდა. ის ამოდინდა აუჩქარებლად. ისე დინჯად და ფიქრიანად, თითქოს დარბაისელი კაცი ყოფილიყო.

— უუჰ! — აღმოხდა თინას უნებლიეთ, — ეგვეც დაგიპატიებია?..

— აბა რა, ჩემი დიდი ხნის ნაცნობია!..

გივი აივანზე ამოვიდა თუ არა, მაშინვე ლილისთან მივიდა, ხელი ჩამოართვა, დაბადების დღე მიულოცა, მერე ქაღალდში შეხვეული საჩუქარი გახსნა და მიაწოდა. ეს იყო კარგა მოზრდილი ბროლის ლარნაკი.

საჩუქარმა ძალიან გაახარა ლილი, თვალი ზედ დარჩა. ორივე ხელით ჩამოართვა, გულთან მიიტანა, თითქოს ეშინოდა არ გამიტყდესო.

გივი კარგად იყო გამოწყობილი. ყველაფერი ახალი და პეწიანი ეცვა. თვითონაც ლამაზი იყო. მაღალი, მხრებში გამართული. ცხვირი ოდნავ კეხიანი და

მოხდენილი. ოღონდ უფერული თვალები ჰქონდა, წყალწყალა. შემოგებდავდათ და ვერაფერს იგრძნობდით. ნაკეთების სწორი მოხაზულობით იპყრობდა ადამიანის ყურადღებას, სწორედ ეს ჩრდილავდა თვალების სიცილიერეს.

გივიმ ყველას ჩამოართვა ხელი.

თინას თითები ერთი წამით შეაყოვნა ხელში. სახეზე კი არ შეხედა, თითქოს რაღაცის გამო გაჯაგრებული ყოფილიყოს მასზე.

თინა ხმაამოუღებლად მიესალმა. გულში რაღაცამ გაჰკრა.

გივი წამდაუწუმ თმაზე ისევამა ხელს, თითქოს ყველას ანიშნებდა, შეხეთ რა თმა მაქვსო.

ახალგაზრდები სუფრასთან მიიწვიეს. ისინი კარგა ხანს მორიდებულად იდგნენ სკამებთან, ერთმანეთს უცდიდნენ დამსხდარიყვნენ. სთავაზობდნენ ადგილებს. დაბოლოს, როგორც იქნა, სუფრას შემოუსხდნენ.

გამოვიდა ლილის მამობილი. ჰალარა, წითლად გაბადრული სახის კაცი. სქელ უღვაშებში ტუჩები არ მოუჩანდა, პატარა თვალები ღრმად ჩავარდნოდა სიმსუქნისაგან ამოზურცულ ფოსოებში.

მან ლილი ადღეგვრძელა, სწავლაში წარმატება უსურვა, მისი ბედნიერება შესთხოვა ღმერთს და ბოდში მოიხადა, უნდა წავიდეო, როგორც გენებოთ, ისე ისიამოვნეთ, უფროსები ხელს არ შეგიშლითო. ყმაწვილებსაც ეს უნდოდათ, შარტო დარჩნენ. მხოლოდ ლილის დედა, ჩასუქებული შუახნის ქალი, ფუს-ფუსებდა, თავს დასტრიალებდა სტუმრებს, არაფერი შემოაკლდეთო.

გივი თინას პირდაპირ იჯდა. ის დროდადრო შეავლებდა ხოლმე თვალს. ქურდულად, ისე, თითქოს სურდა და არც სურდა გამოემეცადებინა, რომ მოსწონდა. თინას თავისუფლად ეჭირა თავი. ტოლებში იყო, არაფრით არ იყო შებოროტი. ახლად გაცნობილი ვიღაც ინჟინერი ეუცხოვებოდა, მაგრამ იმდენად ბევრნი იყვნენ მასთან. გაზრდილი მეგობრები, რომ არაფრად აგდებდა გივის, მით უმეტეს, თინას ყურადღება

გივლასაყენ იყო მიმართული, რომელიც ამ საღამოს პირდაპირ ბრწყინავდა.

გივი მოღუშული იჯდა, სულ სდუმდა, ხმას არ იღებდა. სადღეგრძელოსაც კი არ ამბობდა, მხოლოდ მიაჯახუნებდა ხოლმე ჭიქას ჭიქაზე და „პატიოსნად“ სცილიდა ძირამდე, ამ მხრივ არავის არ ალაპარაკებდა, არც აწყენინებდა. ცოტა რომ შეთერა გათამამდა და თინას უკვე თვალს უშტერებდა. გივი შესცქეროდა თინას, როგორც ხატს, რომელსაც ევედრებოდა, შეწყალებას სთხოვენ. თინაც სწორედ ისე, როგორც ხატი, სდუმდა, გულში კი ფიქრობდა, რას ჩამაცვიდაო. თინა ხათრიანი და კეთილი გულისა იყო, რაც თითქმის ყველა ღამაზე ქალს ახასიათებს. მას არ შეეძლო ვინმესთვის ეწყენინებინა, ამიტომ მის დაქინებულ ცქერას, ხანდახან, გულუბრყვილო ღიმილს შეაგებებდა ხოლმე, რაც გივის აფიქრებინებდა, მოეწონებოდა, მაგრამ როდესაც თინამ განსაკუთრებული გულწრფელობა გამოიჩინა გივლასადმი, გივის არ ესიაშენა. თინამ ხან ქათმის ფრთა გადაუღო, ხან ჭიქა გაუესო ღვიწით, ხან ტყილად, მეგობრულად მიმართა. გივი სიბრაზისაგან წითლდებოდა. სახეზე სისხლი აწებებოდა. არაფერს ამბობდა, მაგრამ აშკარად ავრძნობინებდა, არა მსიამოვნებს სხვა ვაჟისადმი ასეთი გულთბილი დამოკიდებულებაო.

სწყინდა თინას, ჯავრობდა:

„ვინ ჰკითხავს?.. რა უფლებით მავალდებულებს?!“ — ფიქრობდა თავისთვის. ბრაზობდა კიდევ, რას ვადაშეკიდაო!..

სწორედ ამ დროს გივის სადღეგრძელო შესვეს. ზრდილობა მოითხოვდა თინასაც ღვიწით საესე ჭიქა ხელში აეღო და, რომ არც დაეღია, ედღეგრძელებინა მაინც.

თინამ ჭიქას ფაქიზად მოჰკიდა ხელი, ოღნავ წინ წამოიწია და ისე ადღეგრძელო, როგორც მოწაფეებს სჩვევიათ:

— ვისურვებთ წარმატებას ცხოვრებაში!..

თინას უნდოდა სერიოზული ყოფილიყო, არა თუ სერიოზული, მკაცრიც კი, ამისათვის მან კოპებიც კი შეიკრა,

მაგრამ ამ სიმკაცრის გამო ისე გულუბრყვილოდ გამოიყურებოდა, რომ ბავშვებს დაემსგავსა. სიმშვენიერე მსაშუალებას არ აძლევდა მკაცრი სახე მიეღო. მისი სიტყვები სასიამოვნოდ გაისმა, რამაც წაშალა გაბუტულივით წინ წამოწეული ტუჩებისა და უცნაურად შეკრული კოპების ვითომდა სისასტიკე. ამხანაგებმა გაიცინეს კიდევ. მხიარულება აუღერდა ამ სადღეგრძელოს დროს. გივი კი კმაყოფილი უკრავდა თავს.

თამადა არ აურჩევიათ. ერთმანეთის სადღეგრძელოებს სვამდნენ. ვინც დაასწრებდა ის ამბობდა სიტყვას. ეს უწყსრიგობა იყო, მაგრამ თავიდანვე ასე დაიწყო. არავინ ითავა სუფრის გაძლოდა.

მოულოდნელად ღვინო გათავდა. სულ სამად სამი ბოთლი იყო. ეს ღილის მშობლებს განგებ მოეწყოთ, ეწინოდათ ყმაწვილები არ დამთვრალიყვენ. სამაგიეროდ ტყილეული და ღვიწითი უხვად ჰქონდათ. არ ესიაშენა გივის, როდესაც ღვიწითით აუესეს ჭიქა, ეწყინა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა.

თინა წამოხტა და ტელეფონის აპარატთან მივიდა. შინ დარეკა.

— დედა, შენა ხარ?.. იცი, დედიკო, დღეობა დამთავრდა. მამა მოვიდეს და წამიყვანოს!

ამ სიტყვებზე ყველანი წამოიშალნენ. გივი წამოდგა და თინას მიუახლოვდა.

— მშობლებს რად აწუხებთ, მე ვაგაილებთ!..

— რას ბრძანებთ, თქვენ რად უნდა შეგაწუხოთ? — ეუცნაურა თინას ვაჟის წინადადება და მშრალად მიუგო. მერე ისევ ხეყწით ჩასძახა სასმენში, — დედიკო, მამა მოვა? არა? რატომ?.. სძინავს?.. აჰა!

როგორც ჩანდა, დედამ უთხრა, ამხანაგებმა გამოგაცილონო, თინამ სასმენი დალო, შებრუნდა და მეგობრებს მიმართა:

— ბავშვებო, ჯგუფ-ჯგუფად გავაცილოთ ერთმანეთი!..

ყველა დათანხმდა. მართლაც ათი-თორმეტი ამხანაგი

პირველად თინას გაჰყვა გასაცილებლად. მათ შორის გივიც იყო. ის თავისებურად ჩუმად და გაჯავრებული მიჰყვებოდა. პირველად თინა მიაცილეს. თინა კართან დაემშვიდობა ამხანაგებს, დაემშვიდობა ღიმილით, ტკბილად, ხელის ჩამოუერთმევლად, მერე ოთახში შევიდა და რაღაც სიმძიმე შეჰყვა თან.

— გვიან მოვედი?.. — ამ სიტყვებით ბოდიში მოიხადა თინამ დედის წინაშე.

თინამ ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. სოსოს ეძინა. პირალმა, ბავშვურად, უშფოთველად. მამის ხერხივაც მოესმა. დედაც შინ იყო. თინა კი ყველაზე ბოლოს, ყველაზე გვიან შემოვიდა სახლში. გული ჩასწყდა, დაინალვდა.

— აბა, მომიყვიე, გენაცვალე, როგორ გაატარე დრო?..

— კარვად, მაგრამ ისეთი არაფერი ყოფილა, რომ მოსაყოლი იყოს!..

გულში ჩაწედომა იცოდა თამარმა, მეტადრე მაშინ თუ კი თვალებით შეხედებოდა შვილის თვალებს. თინა რატომღაც გვერდზე იხედებოდა, თვალს არიდებდა.

— აბა, შემომხედე!..

თინამ შეხედა და გაწითლდა.

თამარი სდუმდა... ის უსიტყვოდ ეკითხებოდა: რატომ გაწითლდიო?..

— გვიან მოვედი და მწყინს. მამას სძინავს, სოსოს სძინავს, შენ კი ამდენ ხანს გალოდიხე.

— რას იზამ... წადი, შენც დაიძინე...

თინა მეორე ოთახში გავიდა, თან მისდევდა აკვიატებული სახე შავი თმებით და კეხიანი ცხვირით. ჯავრობდა კიდევ, რას გადამეციდაო. გაბრაზებულმა ელემტრონის ჩამრთველი გადაატრიალა და სინათლე ჩააქრო, რომ ეს აკვიატებული სახეც ჩაეჭრო, მაგრამ სიბნელეში ის სახე ისევ მოჩანდა. ნერვიულად ტანთ გაიხადი. ახლა დედაზე დაიწყო ფიქრი, რომელიც ამ წუთას რაღაცაში მოატყუა, სრული სიმართლე არ უთხრა. ლოგინში ჩაწვა, სახეზე საბანი გადაიფარა და ისე გაწითლდა, რომ სახე აეწვა და აეღწეა...

გივი შინ ოდნავ შემეჩვიანებული დაბრუნდა. დედის სმის წყურვილი მოკლული არ ჰქონდა და უხასიათოდ გრძნობდა თავს. თანაც თინაზე ფიქრი არ ასვენებდა. „ეინ არის ეს ცხვირ-მოუხოცავი გოგო, ასე რომ მოაქვს თავი? რადგან მომწონს, მამასადამე ჩემი უნდა იყოს!“ — ფიქრობდა გზაში, — ვაჟი არჩევს ქალს და არა ქალი ვაჟს. მეც ავირჩიე. არა უჭირს რა, კარგი გოგოა! მაგრამ ვითომ ლამაზია?.. მაინცდამაინც არც არის ლამაზი... გამხდარია!.. რაღაცნაირი წოწოლია და მწვენი. — დაასვენა გულში.

გივი მეორე სართულზე ავიდა, ზარის ღილს თითი დაადო და იქამდე შეუწყვეტლად რეკდა, სანამ დედამისმა კარი არ გაუღო.

— შვილო, ხომ იცი შენს მოსვლამდე არ დამეძინება, რატომ რეკავ ასე უღიერად, მამაშენს აშფოთებ, ისედაც გაჯავრებულია შენზე!..

— რაზე, რა დაემართა, რა უნდა ჩემგან?.. — მაშინვე აინთო გივი.

გივის ხმის გაგონებაზე მეორე ოთახიდან მამა გამოვიდა. მან სათვალეს ქვემოდან ახედა შვილს, მწარე ღიმილი გადაეკრა სახეზე და მიაძახა:

— ხომ გითხარი, მთვრალი მოვა-მეთქი, მაშ მე ვტყუი?.. — დაცინვით დააყოლა ბოლო სიტყვაც და მერე მკაცრად შეეკითხა: — რა იქნა ბროლის ლარნაკი, წაიღე და გაპყიდე არა?!

მოულოდნელობისაგან სახტად დარჩა გივი. არ ეგონა თუ ასე მალე მიხედებოდნენ მის ნამოქმედარს და ხმა ჩაუწყდა, თავი ჩაღუნა და წაიჩურჩულა:

— არ გამოიცილა!

— მაშ რა იქნა?

— მჭირდებოდა და წავედი. მერე რა მოხდა?! — თითქოს სული ამოიქცაო, უკვე თავისებურად უტიფრად უპასუხა გივიმ.

— როდესაც შენი შრომით შეიძენ რამეს, მაშინ შეგიძლია წაიღო. ჯერ კი



უფლება არა გაქვს, გესმის, უფლება არა გაქვს სხვისი ნაშრომი გაინაივო!

გივიმ ასეთი სიმართლის წინააღმდეგ ტყუილიც კი ვერ მოიფიქრა და გაჩუმდა. მისმა დუმილმა მამამისიც გააჩუმა. მას ბევრჯერ აუტანია შვილის უმსგავსოება და ახლაც აიტანა. ის პატარა ხანს ხმაამოუღებლად იდგა, მერე ხელი ჩაიქნია და შეტრიალდა, ბუნუნით წავიდა საწოლ ოთახისაკენ.

წავალ, გაგშორდებით, ბროლიც თქვენ დაგრჩებათ და ყველაფერი, რაც გაბადიათ. მე თქვენი არაფერი არ მინდა! — გივიმ ეს სიტყვები ისე ხმადაბლა თქვა, რომ მამას არ გაუგონია. მხოლოდ დედამისმა გაიგონა, ისიც შეწუხდა, თვალზე ცრემლი მოადგა.

— სად წახვალ, შვილო, სად, შენი სახლიდან სად უნდა წახვიდე?..

— მე ვიცი სადაც წავალ! — წაიბუტბუტა და საწოლს მიაშურა.

გივიმ იცოდა, რით უნდა შეეწუხებინა დედის გული, რომ ისევ მასვე მიჰფერებოდა. მოჩვენებითი სიბრაზით და მოგონილი მღელვარებით იხდიდა ტანსაცმელს. ფეხსაცმელები ერთ მხარეს მიჰყარა, შარვალი სკამზე მიაგდო, დილას დაუთოვებული თეთრი პიჯაკი და იისფერი პერანგი საწერი მაგიდისაკენ ისროლა. ჩაწვა ლოგინში და ზურგი შეაქცია ყველას, თითქოს დანახვა აღარ უნდოდა დედისა, რომელიც მაინც თავს დასტრიალებდა და მის მიერ უწყესრიგოდ მიყრილ ტანსაცმელს იღებდა, ისწორებდა და მზრუნველი ხელით ჰყენდა სკამის ზურგზე.

გივის მამა იწყინებდა-მშენებელი იყო. რთულ პროექტებს ანხორციელებდა. ამის გამო ოჯახისათვის არ ეცალა, დღე მუდამ გარეთ იყო.

დილას გასული, დაღლილ-დაქანცული, შეღამისას ბრუნდებოდა შინ. ჰამის ძალაც აღარ შესწევდა, მიწვებოდა და იქვე მიეძინებოდა. დედაც ძალიან მცირე დროს უთმობდა ოჯახს. ისიც მსახურობდა. უნივერსიტეტის ქიმის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და მუშაობდა ერთ-ერთ საა-

ვადმყოფოს ლაბორატორიის გამგედ.

მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი ერთადერთი ვაჟი — გივი, მისთვის სულს არ დაიშურებდნენ. ტანსაცმელი, საჭმელ-სასმელი, გასეირნება პატარა ბავშვობიდანვე არ დაჰკლებია გივის, ოღონდ, მშობლებს რომ არა სცალოდათ, შვილი მოსამსახურებზე იყო მინდობილი. ოჯახში ჰყავდათ ერთი ახალგაზრდა ქმარ გაყრილი ქალი, სახელად პაშა, მას საკუთარი ოჯახი არ გააჩნდა და სხვის ოჯახისადმი ერთგულების გამოჩენა არ შეეძლო. უგულოდ მუშაობდა. სამსახურში წასვლამდე დედა გივის სკოლაში გაისტუმრებდა, პაშას სადილის დასამზადებელ ფულს დაუტოვებდა და თითქმის მთელი დღით მიდიოდა ლაბორატორიაში. როდის მოდიოდა გივი სკოლიდან, როდის ამზადებდა გაკვეთილებს, ვისთან ატარებდა დროს, არც დედამ იცოდა და არც მამამ. პაშა იყო მისი დედაც და მამაც. ის ვერაფერს უკრძალავდა ნებიერ ბავშვს, ყველაფერს უსრულებდა.

— პაშა, კინოში მივდივარ! — მიაძახებდა ხოლმე ფერ კიდევ თორმეტცამეტი წლის ბავშვი და სადილის დასამზადებლად დატოვებული ანახიდან ძალით ართმევდა ბილეთის ფულს.

პაშა მის მშობლებს უმაღლავდა მის საქციელს, არ უმხელდა გივის თავგასულობის ამბებს. ბრუნდებოდნენ მშობლები სამუშაოდან და, ერთის შეხედვით, ყველაფერი რიგზე ხვდებოდათ. არც ზოგიერთი მასწავლებელი, აკლებდა დაუმსახურებელ პატივისცემას. ცნობილი იწყინარს შვილს არ აწყენინებდნენ და ორიანის ნაცვლად სამს უწერდნენ, სამიანის ნაცვლად ოთხს, ისე რომ სტეფანესა და მაროს თავიანთი შვილის ნიჭში ეჭვი არ ეპარებოდათ. ნამდვილად კი ცუდად სწავლობდა. თავის ნებაზე დადიოდა სკოლაში. ხშირად ავიწყდებოდა სახლში რვეული და საწერ-კალამი, ან სულაც არ მოჰქონდა წიგნები. ჯიბეებში ხელეჩაწყობილი, კეფაზე ქუდგადაწეული სტვენით შედიოდა კლასში და ჯდებო-

და თავის მერხზე. მასწავლებლებმა მას სტუდენტი შეარქვეს. რადგან სტუდენტით უჩანთოდ დაიარებოდა.

ქიმიის მასწავლებელი მკაცრი და მომთხოვნი იყო. ტყუილად არ დაეუწერო ნიშანს. ერთხელ, როდესაც გივი მეთე კლასში იყო, ქიმიის მასწავლებელმა გამოუძახა:

— აბა, სტუდენტო, ადექი!

გივი წამოდგა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „დილის სიფთაა!..“

— აბა, ერთი მომიყევი, რა ფიზიკური თვისებები აქვს რკინას?..

უკანა მერხიდან ვილაყამ უკარნახა: — „რბილია და ვერცხლივით კრიალაა“.

გივიმ ნაკარნახევს ყური მოჰკრა, ეუცნაურა რკინის ასეთი დახასიათება და მუქარით გაიხედა უკან. მერე მასწავლებელს მიუბრუნდა:

— მახნევენ, მასწავლებელო!

— გაბნევენ, ჰმ, გაბნევენ. გაბნევენ თუ გაკარნახებენ! — დაციხვით მიუგო, ბოლოს დაუმატა, — დაჯექი, დაჯექი, არაფერი არ გესმის.

მასწავლებელმა დახედა ჟურნალს და გივის უთხრა:

— ხვალ მშობელი მოიყვანე.

გივი არაფრად აგდებდა მასწავლებლის მოთხოვნას. მთელი კვირის განმავლობაში „ხვალ მოვას“ ეუბნებოდა. ფიქრობდა მოებზრდება და მომეშვებო, მაგრამ მასწავლებელი არ ეშვებოდა.

გივიმ ეშმაკობას მიმართა.

ერთ დილას, როდესაც სკოლაში მოდიოდა, გზაში ერთი სათნო გამომეტყველების კაცი შეაჩერა და ასე მიმართა:

— ძია, ერთი პატარა სათხოვარი მაქვს. გეხვეწებით, უარი არ მითხრაო.

— რა თხოვნა გაქვს, შვილო? — ჰკითხა უცნობმა.

— იცით რა, ძია? აი, მე ამ სკოლაში ვსწავლობ. გუშინ ორიანი მივიღე და მითხრეს მამა მოიყვანეო. მამაჩემისა მეშინია, ვიცი, აუცილებლად მცემს. მე კი გადაწყვეტილი მაქვს უსათუოდ გა-

მოვასწორო ეს ორიანი. ვითომ ჩემი მამა ხართ, წამობრძანდით სკოლაში, უთხარიო, რომ ამის შემდეგ კასოვად ვისწავლი!

უცნობმა ერთი კი შეხედა ტყბილად მოლაპარაკე ბიჭს და გრძნობიერი გული სიბრალულით აევსო. ცოტა შეეწყმანდა, ამ ხნის კაცმა ტყუილი როგორ ვთქვაო, მაგრამ ეტყობოდა ხათრიანი კაცი იყო და უარი ვერ უთხრა. „რა გაეწყობაო,“ — ჩაილაპარაკა თავისთვის, ამოიოხრა და გაჰყვა.

— მიინც მამა ხართ ჩემთვის! — ამხნევებდა გზაში ახლად გაცნობილ „მამას“.

— რა გქვია, შვილო, ეს მიინც გამაგებინე.

— გივი. ბალიაშვილი ვარ გვარად. მამაჩემი ინჟინერია. სამასწავლებლოში შეხვალთ და ეტყვიო ბალიაშვილის მშობელი ვარ თქო. ნუ გეშინიათ პასპორტს კი არ მოგთხოვენ. დაპირდით, რომ ნიშანს გამოვასწორებ. თქვენ არხეინად იყავით. მე მართლა გამოვასწორებ ნიშანს!

ასე გამხნეებული და დაიმედებული სამასწავლებლოში შეუშვა გივიმ უცხო კაცი მამის მაგიერ. დირექტორი იკითხა. განაცხადა ბალიაშვილის მშობელი ვარო. მას დიდის მოწიწებით მოექცნენ. მოსწავლის მშობლის მოსვლა დირექტორს გაეხარდა, რადგან საქმე ბავშვის გამოსწორებას ეხებოდა.

— მეთე-ა კლასის ქიმიის მასწავლებელი სად იმყოფება? — იკითხა დირექტორმა.

— გაკვეთილზეა! — უპასუხეს.

დირექტორმა მაჯის საათს დახედა და თქვა:

— ხუთი წუთის დაცდა მოგიხდებო. სადაცაა გაკვეთილი გამოვა.

მართლაც სულ მალე დაირეკა ზარი. სამასწავლებლოში ქიმიის მასწავლებელი შემოვიდა.

— ბალიაშვილის მშობელი გიცდით, — უთხრეს მას.

ქიმიის მასწავლებელი უკვე მოემზა-
და, თუ რა ეთქვა მისი მშობლისათვის.
ჩამორჩენილობა, დაუდევრობა, უდიე-
რება, მაგრამ მან მოსულისკენ გაიხედა
თუ არა, გაოცდა, არა ნაკლებ გაოცდა
უცნობი ძიაც.

— როდის აქვთა შენ ბალიაშვილი
ხარ? — მიმართა მას მასწავლებელ-
მა. — ეს მაინც გამაგებინე, რისთვის
სწადი ამას?..

ისინი ერთმანეთის დეიდაშვილები
აღმოჩნდნენ.

უცნობი გაწითლდა, სახტად დარჩა.
თავის გასამართლებლად ვერაფერი
თქვა და გამოუტყდა როგორც დამარ-
თა ეს. გაწილებულმა საჩქაროდ და-
ტოვა სკოლა.

ეს თავგასულობა მაინც აპატიეს გი-
ვის და სამიანიც დაუწერეს, რომ რო-
გორმე დაემთავრებინა სკოლა.

პაშას მოსდიოდა მეგობარ-ამხანაგე-
ბი, რომლებსაც სხვადასხვა ამბები მო-
ჰქონდათ მეგობართან. რომელმა ვაჟმა
ვინ შეიყვარა, რომელი ქალი რომელ
კაცს გაექცა, ვინ დათვრა და სიმთვრა-
ლის დროს როგორ სცემა ცოლი. დას-
ხლებოდნენ ხოლმე სამხარეულოში და
ვიდრე უმსგავსო ქორებით გულს არ
მოიჯერებდნენ, არ წავიდოდნენ. გვიც
ხშირად მოუჯდებოდა ხოლმე მათ და
ტყებოდა უცნაური ამბების მოსმე-
ნით. პაშას სტუმრები ხშირად ბანქოსაც
თამაშობდნენ. გვიც მიუჯდებოდა ხო-
ლმე მოთამაშეებს და გატაცებით ადევ-
ნებდა თვალყურს თამაშს. ასე წამოი-
ზარდა გვიც. ბევრი ცუდი ჩვევა ჩაე-
ნერგა მის ნორჩ ბუნებას. აითვისა მ-
თი ქცევები, ლაპარაკი. ჩუმჩუმად სწე-
ვდა თუთუნს, სვამდა ღვინოს, თამა-
შობდა ბანქოს და უწმაწურად იგინე-
ბოდა თავის ტოლებში.

ასე გავიდა მისი ბავშვობის წლები.
დავაჯავდა და უკვე ყველასთან მოუ-
რიდებელი იყო. ახლა სტეფანეს უკ-
ვირდა ჩემი შვილი ასეთი თავგასული,

თავნება და ასე უზნეო რატომ აწინა,
იოლ ცხოვრებას რად მიჰყვებოდა. რო-
დესაც გვიმ უმაღლესი დაამთავრა დე-
ნაცვლად იმისა, რომ შრომას შესდგო-
მოდა, დროს ტარებას მიჰყო ხელი,
სტეფანე შეწუხდა, ბოლმა ახრჩობ-
და, — „ჩემი მონაგარი მაგან უნდა
გაანიავოსო?“..

მამა წინ გადაუდგა შვილს. გადაე-
ლობა, ჩხუბამდეც მივიდა საქმე. მაგ-
რამ გვიმ სულ მალე გასტეხა მამის
წინააღმდეგობა. სამი დღე და ღამე შინ
არ გამოჩნდა. სტეფანე თავქუდმოგლე-
ჯილი დაქმებდა შვილს, მაგრამ მის
გზა-კვალს ვერ მიაგნო. დედამ, მარომ,
ტირილით და საყვედურებით აიკლო
ქმარი. თავებდს იწყევლიდა სტეფანე,
ოღონდ ახლა გამოჩნდეს და, როგორც
უნდა, ისე მოიქცესო. მართლაც გამო-
ჩნდა. ერთ ხანს გვიც ისევე ნებივრობ-
და, მაგრამ დროდადრო მაინც იფეთ-
ქებდა ხოლმე მამის ბოლმა.

გვიმ საშუალო სასწავლებელი რომ
დაამთავრა, აიჩემა ექიმი უნდა გამო-
ვიღო და სამედიცინო ინსტიტუტში
დააპირა შესვლა. მისაღებ გამოცდებ-
ზეც გავიდა, მაგრამ პირველსავე საგან-
ში ჩაიჭრა. როდესაც პირველი გამოც-
დიდან შინ დაბრუნდა, მშობლებს განუ-
ცხადა, ხუთიანი მივიღეო. სტეფანეს
გაეხარდა შვილის წარმატება, გადაეხ-
ვია, გადაჰკოცნა, ათთუმნიანი აჩუქა.
წადი და იქეიფეო. გვიმ ეს პირდაპირი
მნიშვნელობით გაიგო. წავიდა და იქე-
იფა, შინ მთვრალი მოვიდა. რამდენიმე
დღის შემდეგ ვითომ მეორე გამოცდი-
დან დაბრუნდა გვიც. კიდევ ხუთიანი
ახარა დედას. მამა თბილისში არ იყო
და დეპეშით აცნობეს შვილის მორიგი
წარმატება. ახლა დედამ აჩუქა ოთხად
გადაკეცილი ათთუმნიანი...

გვიც ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა,
თითქოს საგანს აშხადებდაო, ჩასცქე-
როდა სქელტანიან წიგნს, ფურცლავდა
გამოზომილად. მერე წიგნით ხელში

წამოწვევბოდა-ხოლმე და ასე ჩაეძინებოდა. სიბრალულთ უცქეროდა დედა, თავისთვის ჩურჩულებდა:

— საწყალი ბიჭი, რამდენს სწავლობს, რამდენს წვალობს! გენაცვალოს დედა მაგ ჭკვიან შებლში!..

გამოიღვიძებდა თუ არა, დედამისი მაშინვე სთხოვდა გარეთ გაეელო, გაესეირნა, დაესვენა. ისიც წაიღებდა ნაჩუქარ ფულს და ამხანაგებში ხარჯავდა. აცინებდა კიდევ ამხანაგებს ეს ფული ასე და ასე ვიშოვეო.

როდესაც გვიგამ მებუთე ხუთიანით გაახარა მშობლები, მამამ გვერდზე მოისევა და ამაყად გასძახა ცოლს:

— აბა, მე და გვიგის გურჯაანული ლეინო მოგვიტანეთ, ბრწყინვალე მომავალი ვუსურვოთ ჩვენს შვილს, ღირსია, დაიმსახუროს!..

იმ დღეს განსაკუთრებული სუფრა გაშალეს. მეზობლებიც მოიპატივეს, აქვს და აღიდგეს, ცამდე აიყვანეს:

— ასეთი ჭკვიანი, ასეთი მოკრძალებული, ასეთი თავაზიანი! — ამბობდნენ გულზე სუფრას შემომხდარი მეზობლები.

მაგრამ პირდაპირ თავზარი დაეცა სტეფანეს, როდესაც გვიგის ინსტიტუტში მიღებულთა სიაში არ აღმოჩნდა.

— ეს რა მოხდა? — შეეკითხა შვილს მწყრალად, სახეზე სისხლმოწოლილი.

— მე ხუთიანზე ვაბარებდი, ისინი კი თურმე ნიშანს არ მიწერდნენ! — უდიერად უპასუხა შვილმა.

ასე დაკარგა ერთი წელიწადი. უქმად დადიოდა თბილისის ქუჩებში. გაუჩნდნენ ამხანაგები, რომლებთანაც გულისჯავრს აყოლებდა ხან ლეინის სმით, ხან ქალიშვილების დევნაში, ხანდახან ბანქოს თამაშითაც.

მეორე წელს გვიგის კიდევ მიადგა უმაღლესი სასწავლებლის კარს.

— ოღონდ სადმე მოხედეს, ოღონდ უმაღლესში შეჰყოს თავი! — გაიძახო-

და დედამისი, — რა დარგზეც არ უნდა იყოს, სულ ერთია! *ერკენული*

მართლაც ნაცნობ-მეგობრებთან დახმარებით, ხშირად გაშლილი სუფრის წვალობით, ინსტიტუტში მოხვდა. ხუთი წელიწადი დადიოდა ლექციებზე — ხუთი წლის განმავლობაში ვაი-ვაგლახით იღებდა სამიანებს. როგორც იქნა დაამთავრა ინსტიტუტი და გზათა მშენებელ ინჟინრის დიპლომი მიიღო.

გზაენიდან ჩრდილო-ოსეთში გზის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობაზე, მაგრამ დედამ ვერ გაიმეტა თავისი შვილი თბილისიდან ასეთ შორეულ მხარეში, მაროს სიტყვებით რომ ვთქვათ, „გადაკარგულში“ გასაგზავნად. იმდენს ეცადნენ, იმდენი იბრძოლეს, რომ შვილი თბილისში დატოვეს. ორ წელიწადზე მეტია, რაც ასე უქმად დაიარება. ამიტომ შეარქვა მამამ ქუჩების მტკეპნელი ინჟინერი.

გვიგამ ამ ღამითაც არაფრად ჩააგდო მამის წყრომა. ყურიც არ გაიბერტყა. „მამაჩემს ვეჯაერებო“, — მოგონილი გულისტკივილით უთხრა დედას, — „დადგეზა დღე თვალითაც ვერ მნახავსო!“ — მუქარაც დააყოლა.

VIII

აღელვებული გამოვიდა თინა უნივერსიტეტის ეზოდან. სახეზე აღმური ასლიოდა, ეწვოდა თვალები, უხურდა ყურები. ისე მიიჩქაროდა, თითქოს ვინმეს გამოექცაო.

კვლავ ჩაესმა ყურში გამომცდელის სიტყვები:

— ვინ იყო „ვეფხისტყაოსნის“ პირველი დამსტამბავი?..

„ეს რა კითხვაა?“ — ჯავრობდა თინა.

თინას უნდოდა ეთქვა, რომ გამომცდელი უშნო და უხამსი კაცი იყო, მაგ-

რამ ვერ თქვა, რადგან ის ძალიან ალერსიანად ეკითხებოდა, გარეგნულადაც უნაკლო იყო, ტანადი, მოხდენილი, სასიამოვნო გამომეტყველები.

— არც ის იცით პირველად რომელ წელს დაისტამბა „ვეფხისტყაოსანი“? — მაგიდაზე თითების კაყუნით შეეკითხა გამომცდელი...

„განა ეს უნდა ვიცოდე?.. ნუთუ ეს უნდა ვიცოდე?.. თუ კი რუსთაველს ეხება, უნდა იცოდე, მამ რა ქართველი ხარ თუ ეს არ იცი?“ — ესაუბრებოდა თინა თავის თავს და მიიჩქაროდა, ისე მიისწრაფოდა, თითქოს სადმე უგვიანდებოდა. არსადაც არ უგვიანდებოდა, თორემ აგერ ტრამვაიც ჩამოდგა.

„ნეტავი ვინ იყო „ვეფხისტყაოსნის“ პირველი დამსტამბავი?“

„ეჰ, ვერ მოგხვდები უნივერსიტეტში!“

„პირველ დღესვე ასეთი მარცხი?“

„ნეტავი გაეგო ჩემი გულისთქმა... ნეტავი მიმხედარიყო ჩემი გამომცდელი თუ როგორ მწყურია... როგორ მიყვარს... რომ ჩემი გული და სული ქართული მწერლობაა. რატომ ვერ მიხვდა?.. რატომ ვერ იგრძნო?.. უსულგულო იყო?.. ალბათ... ალბათ!“

„რა ცხელა!“

აგვისტოა... ნამდვილი ხანძარია მზეზე... ეჰ, ეს მზე, თვითონაც იწვის და ქვეყანასაც სწვავს!

თინამ ახედა მზეს. ისე უკმაყოფილოდ შეაელო თვალი, თითქოს მზე ადამიანი ყოფილიყო...

შუა დღეა. მიწაზე ჩრდილებიც კი არ ეცემიან... სად შეაფაროს თავი?..

კიდევ რა ჰკითხა?..

„რატომ ჰქვია საბა-სულხან ორბელიანს ორი სახელიო?“

„ერთი საალერსოდ შეარქვეს-მეთქი“.

„რომელიო?“

„რა ვიცი რომელი, არც ერთი არა ჰგავს საალერსოს!“

და დადუმდა თინა. სდუმდა ბოლომდე...

ახლა კი მიდის ამ მხურვალე გზაზე და მიჰყვება ჯავრი.

სად შეაფაროს თავი?

ლენინისა და მეღიქიშვილის ქუჩის კუთხეში აეტობუსი გაჩერდა. ალბათ ჯიბრზე სწორედ მის წინ... თუმცა, არა, აქ გაჩერება.

თინა შეტრიალდა და მოპირდაპირ ტროტუარზე გადავიდა. წიგნების მაღაზიის ვიტრინასთან გაჩერდა. უაზროდ ათვალიერებდა ფერად ყდებს.

„აგერ, ილია ჭავჭავაძის მესამე ტომი გამოსულა... რამდენს ელის მამა!“..

— სალამი!.. — მოულოდნელად ვილაკამ მიმართა თინას.

მიიხედა. მის წინ გივი იდგა.

— გივი, შენ ხომ არ იცი ვინ დასტამბა პირველად „ვეფხისტყაოსანი“?

გივიმ მხრები აიჩეჩა.

— ეს რა კითხვაა?.. ჯერ სალამი არ მოგიციათ! — ეწყინა კიდევ. შუბლი შეიკრა.

„ამან უკვე დაამთავრა უმაღლესი და მაინც არ იცის!“ — გაიფიქრა თინამ, — მე კი ახლავ უნდა ვიცოდე. თუმცა ეგ ხომ იჩენიერია... მერე რა, თუ გინდა ბიოლოგი იყოს!..

— საით მიდიხართ. თქვენი ბინა ხომ იქით არის?! — გივიმ ხელი გაიშვირა გაურკვეველი მიმართულებით.

— მე მამიდასთან მივდივარ, მშვიდობით, — მიუგო თინამ და პირველსავე სადარბაზო კარში შევიდა.

ხელი არ ჩამოუტრთმევია, არც გაუღიმიო, ისე, მშრალად.

მეორე სართულის კიბეებზე ათიოდე წუთს გაჩერდა. იცდიდა, წასულიყო გივი.

გავიდა ეს მძიმე ათი წუთი. გამოვიდა თვალების ცეცებით...

— რატომ გამობრუნდით ასე მალე?.. — ისევ გივი იდგა მის წინ.

— მამიდა შინ არ იყო.

— აჰაა!..
 — რას აკეთებთ აქ?..
 — თქვენ გელოდებოდით...
 — სამსახური?
 — შევბუღებამი ვარ. აგვისტოა. ხე-
 დავთ, რა სიცხეები დადგა
 — აგარაკი?..
 — ვერ წავალ... ვერ გავძლებ...
 — მართლა?..
 — იცით რა? მე მინდა რაღაც გითხ-
 რათ!

თინა გაჩუმდა. თითქოს ელოდა, რომ გივის ეს რაღაც ეთქვა.

— რატომ არ ამბობთ?.. — იკითხა თინამ ორიოდ წუთის შემდეგ.

— არა, ახლა ვერ გეტყვით. ცალკე მინდა შეგხვდეთ.

— განა ცალკე არა ვართ?..

— კი მაგრამ, განსაკუთრებით მინდა შეგხვდეთ.. კინოში წავიდეთ ან სადმე სხვაგან, ფუ გინდათ კომკავშირის ხეივანში.

— შეიძლება იქ ვერასოდეს ვერ წავიდეთ, მაშასადამე სათქმელსაც ვერასოდეს ვერ მეტყვით! — უპასუხა მწყურალად, ისე რომ არც კი შეუხედავს მისთვის.

სიჩუმეში ერთი წუთი გავიდა და თინამ შეხედა გივის. რატომღაც დააცქერდა კიდევ... დაწყვიანებული თვალები შენიშნა... რაღაცის მავდერბეული... მწარე ღიმილით მოშვებული ტუჩები... სიბრაღული იგრძნო თუ ხათრი... მოწყალება გაიღო და იძულებული შეიქნა ეთქვა:

— გამომყევით სახლამდე... მე არც კი ვიცი საით უნდა წავიდე!..

სიცხეში, ბულში მიდიოდნენ ფეხით. ტროტუარებზე დაცემული ხეთა მოკლე ჩრდილები ბავშვის ხელით დახატულს ჰგავდა. მიდიოდნენ მარტონი. გივი თავს ევლებოდა ფიქრით. თინა დროდადრო შეხედავდა ხოლმე, ხანდახან ორიოდ სიტყვასაც შესთავაზებდა, რომ ლაპარაკში გამოეწვია, მაგრამ გივი ისე სდუმდა, როგორც გულმოკლული, უილაჯო ადამიანი.

სახლის კართან ერთმანეთს ხელი ჩა-

მოართვეს, დაემშვიდობნენ, თინამ პირველად შეხედა გივის პირდაპირ და თამამად. შეერთა... ძალიან ლამაზი ერეხნა... შავგვრემანი, ეშხიანი, შავი გრუხა თმით დამშვენებული. გულში ჩაუვარდა. თითქოს დღეს პირველად ნახაო!..

IX

გადიოდა ზაფხული, თანდათან ნელდებოდა აგვისტოს მზურვალე დღეები. თინა ერიდებოდა გარეთ გავლას. მოულოდნელმა მარცხმა გული მოუკლა სწუნდა, სამღურავით უცქეროდა ყველას — დედას, მამას, ძია მელიტონს, რომელიც ქეიფის დროს პირიდებოდა დაგეხმარებო, გამოცდების დროს კი სადღაც გადაიკარგა. თინა გრძნობდა უხალისობას, სიცალიერეს. არ გადიოდა გარეთ, მაგრამ თუ გავიდოდა, მის წინ, უსათუოდ, დაბარებულევით აიტუზებოდა გივი.

— სათქმელი მაქვს! — ეტყოდა ხოლმე გივი.

— თქვით... გისმენთ. — და თინა ელოდა თუ რას ეტყოდა გივი.

ის მაინც არ ამბობდა, მაგრამ რა საუკირო იყო თქმა. იცოდა თინამ რასაც ეტყოდა. ძნელი არ იყო მიხვედრა.

ერთხელ თინა ლილის შეხვდა. ერთმანეთი კარგა ხანი არ ენახათ. შეხვდნენ და ერთმანეთი გადაკოცნეს, როგორც ეს ქალიშვილებმა იციან, თითქმის მუდამ, იმისდა მიუხედავად მართლა გაეხარდათ თუ არა ერთმანეთის ნახვა.

— როგორა ხარ? მოეწყე უნივერსიტეტი? — იცოდა რომ ვერ მოეწყო, მაგრამ მაინც ჰკითხა ლილიმ.

— ვერა, ვერ მოვხვდი! — ცრემლმორეული ხმით მიუგო თინამ. — ქართულში სამიანი მივიღე. როგორც ჩანს ჩემთვის არ იყო ადგილი. მე დამატებითი კითხვები მომცეს. მოულოდნელად, ისე... არ ვიცი, რისთვის დასპირდა ეს გამომცდელს.

— შენ თუ მოეწყე?

— მე კი, სულ ხუთები... ოპ, რომ

იყოფი, რამდენი ვიშუშავე, რამდენი...
ძალიან გაეწვალდი..

თინა განუმადა. გაუკვირდა, ყველა
საგანში ხუთი როგორ მიიღო? სკო-
ლაში ხუთი არასოდეს არ ღირსებია.
რა ყოფილან ეს გამომცდელები? თი-
ნამ თავი შეიკავა, არაფერი უთხრა. გა-
ჩუმადა. რა ბრალი მიუძღვის ლილის?..

— გივის თუ ხედები? — შეეკითხა
მოულოდნელად.

— იშვიათად.

— რა ბიჭია, რა ბიჭი!.. როგორი ლა-
მაში, როგორი წარმოსადგევი. მერე
როგორ აცვია, უხდება კიდევ. გუშინ
რუსთაველზე მიდიოდა და ქალი არ
იყო, რომ მისკენ არ მიეხედა. კისერი
ვღრიცებოდათ!

— მართალია. კარგი შესახედავია!

— შე ეშმაკო, შენა. ვითომ არ მოგ-
წონს?! ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი,
რა ბედნიერი ხარ!.. — ამოიხზრა, თავი
ჩაკვიდა. — გუშინ შემხვდა და მითხ-
რა, ვირევიო!..

— მერე, გჯერა? — ისე შეეკითხა
თინა, თითქოს ამოწმებდა მართლა
ირეოდა თუ არა.

— მჯერა... — კიდევ ამოიხზრა და
გვერდზე გაიხედა...

— გამოიარე ჩემთან... სულ შინ ვარ.
არსად არ გავდივარ...

— მოვალ.

დაშორდნენ.

თინა გულმოკლული მივიდა შინ.
ამხანაგებს შორის მხოლოდ თინა დარ-
ჩა უმაღლესი სასწავლებლის გარეშე.
გიგლა კი, ყველასათვის მოულოდნე-
ლად, თავისივე სურვილით მაულის
ფაბრიკაში მუშად მოეწყო. ის დილის
შვიდ საათზე უკვე დაზვასთან იდგა და
თავის ოსტატს თვალეში შესცქეროდა.
ოსტატი გულისყურით ეპყრობოდა
ახალგაზრდა გამგონე ყმაწვილს, რო-
მელიც მოწადინებული იყო ჩასწვლო-
მოდა ქსოვილთა ტექნოლოგიურ საი-
დუმლოებას. სოფიკო სამხატვრო აკა-
დემიაში შევიდა. ნანა პოლიტექნიკურ
ინსტიტუტში. თინას არ შურდა, მაგრამ

სწყინდა, ამხანაგებს რომ ვერ გაუთა-
ნასწორდა.

თინა შინ მივიდა და წამოწვა, სახეზე
თავშალი გადაიფარა. არავის დანახვა
არ უნდოდა.

სოსო გამოელაპარაკა:

— ჩემო დაიკო, რატომ ხარ მოწყე-
ნილი?..

თინამ ხმა არ გასცა.

— მითხარი, ვინ გაწყენინა?..

— არავენ... შენ გენაცვალე, ნურა-
ფერს მკითხავ. ძალიან ნაწყენი ვარ და
ამიტომ ვერაფერს გეტყვი.

სოსომ მართლაც აღარაფერი ჰკითხა,
არ შეეაწუხო. წამოდგა, მეორე ოთახ-
ში გავიდა და ფანჯარას მიადგა...

დღდასაც არ გამოეპასუხა არც მო-
ფერებაზე, არც აღერსზე.. გულჩათხ-
რობილი იწვა და ასე გულჩათხრობილს
ჩაეძინა.

სალამოზე მამა მოვიდა. თავისებუ-
რად მხიარულად გადაავლო თვალი
ცოლშვილს, მაგრამ მაშინვე შეშფოთ-
და, ყველას სახეზე მოწყენილობა შეამ-
ჩინა.

— რა მოხდა, გენაცვალეთ, რაზე
მოვიწყენიათ?

— თინა ხასიათზე არ არის!..

კოტე თინას მიუახლოვდა, თმაზე ხე-
ლი გადაუსვა. მოეფერა, დაამშვიდა.
თინა კი გაბუტული ეუბნებოდა:

— რატომ არ დამეხმარე, მეც ხუთი-
ანები მიმელო, შენა გგონია მამები არ
ეხმარებიან?..

— გამიგონია, რომ ეხმარებიან, მაგ-
რამ მე მაგას ვერ ვიკადრებ, სხვამ რაც
უნდა ის აკეთოს, მე კი არა, გენაცვა-
ლე, მაგას ვერ ვიზამ! ცოდნით უნდა
მიიღო მაღალი ნიშნები!..

კოტე ფხიზელი იყო და თავისი ალა-
ლი გულის გამოხატვა უპირდა.

— რა გეჩქარება. სულ რაღაც ჩვილ-
მეტი წლისა ხარ. წელს დაისვენე. მერ-
მისს განაგრძე სწავლა. ერთი წელი რა
არის? ამით არაფერი არ დაშავდება!..

მამის ნათქვამი მოეწონა. „მართა-
ლიაო, — გაიფიქრა თინამ, — რა მეჩ-
ქარებაო“.

თინა გახარებული შესცქეროდა მამას. გულზე მოეშვა, დარდი გადაეყარა, ჩამოხტა და თავისებურად აცქრიალდა. ბიანინოს მიუჯდა და მხიარულმა აკორდებმა ააესო ოთახი... იღვრებოდა ღრმა და ნაზი გრძნობები, რომლებიც იმ სიმებიდან მოჰქროდა, ადამიანის გულში რომ არის გადაჭიმული.

X

ვერ გარკვეულიყო თინა, მას გიგლა უყვარდა, თუ მხოლოდ და მხოლოდ ბავშვობის ნათელი მოგონებები უჩქროლავდა გულს?.. თავს ისე გრძნობდა, თითქოს ყრმობის წლებში მშვენიერ ზღაპრულ გზად გადაშლილი ჰქონდა ცისარტყელა, რომელიც უკვე გამოიარა და ახლა მიწაზე დაადგა ფეხი.

„იქნებ ის მართლა სიყვარული იყო, რომელიც ისევ ღვივის?“ ფიქრობდა თინა გიგლას შესახებ და თვალწინ ედგა იგი ჰქვიანური თვალებით შემყურე. მაღალი, გამხდარი, თითქმის შეწყული მკერდით და მოუსვენარი მოძრაობებით. გაახსენდა მისი დამენძიმკლავებთან მოწაფური ქურთუკი, ისე თბილი და სასიამოვნო. წარმოიდგინა ბოტანიკური ბაღი და წყურვილი გაზაფხულის წვიმიან დღეს.

„იქნებ ის ბავშვობა არ იყო?.. იქნებ ის არ იყო ყრმობის დროის თამაში? ჩვეულებრივი მეგობრული სიამტკბილობა კი არა, არამედ უფრო ღრმა და აზრიანი გრძნობა იყო?! ის სიახლოვე, ის მეგობრობა, ის დამღურებები, ბუტიობა, იქნებ ნამდვილი სიყვარული იყო?.. ვაი თუ ვუყვარვარ და უჩემოდ დაუმიძიდეს ცხოვრება?.. რომ, ვერაფერი გავიგე მისგან?.. არასოდეს არაფერი არ უთქვამს ჩემთვის... მაგრამ ეს ხომ ჩემი ბრალი იყო?.. ხმას არ ვაღებინებდი. აი, ახლა, მათე კლასში რომ ვიყო, დედას ვფიცავარ, გვერდზე მიუუჯდებოდი და შევეკითხებოდი: გიგლა, აბა მითხარი რა გაქვს გულში? ნუ დამერიდები, ყველაფერი მითხარი, ყველაფერი... მოგისმენ... სიხარულით მოგის-

მენ“ — და თინას მოენატრა, სურვილმა აიტანა, უკან დაბრუნებულიყო და ხელახლა გამოეარა ის ცისარტყელისგვით გადაშლილი მშვენიერი გზა, მაგრამ მისი ბავშვური ცხოვრების ფერადოვნება გამჭრალი იყო.

მეორე მხრივ გვირზე ფიქრიც არ ასვენებდა. ეს იყო ის სინამდვილე, რომელიც ყოველ კუთხესთან, ყოველ შესახვევთან და გზაჯვარედინზე დადარაჯებული იყო და ხელისხელჩაქიდებით გაელას სთხოვდა. როგორ დაეთანხმება გვივის თუკი არ ჰკითხავს ყრმობის მეგობარს, რომელსაც ასე ხშირად ებუტებოდა, ეჩხუბებოდა, მთელი კვირაობით ხმას არ სცემდა, რომ მერე ხელახლა შერიგებოდა და ხელახლა განეცადა სიახლოვის, ერთად ყოფნის სიხარული?..

ეს ფიქრი არ ასვენებდა თინას. წვებოდა და ძილში ჩაჰყვებოდა ხოლმე. გაიღვიძებდა და თითქოს ბუნდოვანი სიზმარი აჰყვავო, რომელიც არც ახსოვდა და ახსოვდა კიდევ, რომელიც თითქოს ცხოვრებაში გადახდენოდა.

ერთ კვირა დილას თინა ზოოლოგიურ პარკთან შეხვდა გიგლას.

— თინა!..

— გიგლა! — შესძახეს ერთმანეთს ჩვეულებრივად.

თითქმის არასოდეს ხელი არ ჩამოურთმევიათ ერთმანეთისათვის, ახლა კი ამ შეძახილთან ერთად ხელიც ჩამოართვეს. გაეხარდათ ერთმანეთის ნახვა.

— როგორ ხარ, თინა?..

— შენ?..

პასუხს არც ელოდნენ, ისინი ხედავდნენ ერთმანეთს და პასუხიც ეს იყო... ორივენი მშვენიერად გამოიყურებოდნენ.

— სადა ხარ, გიგლა, რომელ ინსტიტუტში შეხვედი?

— მე ინსტიტუტში არ შევესულვარ! — მიუგო გიგლამ.

— განა სწავლას არ განაგრძობ?

— ჯერჯერობით ფაბრიკაში ვმუშაობ.

— გავიგე, მაგრამ არა მჯეროდა... მერე რას აპირებ?..

— ეს მერე ვნახოთ. ალბათ დაუსწრებელზე შევალ.

თინას ეგონა მტკივნეულ საკითხზე ვლამარაკებოდა, იქნებ არა სიამოვნებ-სო და ლამარაკის თემა შესცვალა.

— ჩვენს ამხანაგებს არა ხედები?

— აი, ასე, შემთხვევით... ისიც კვირაობით, სიმართლე გითხრა, არა მცა-ლია. გათენებისას მივდივარ და საღამო-ობით დაღლილი ვბრუნდები. სახლშიც მხედება საქმეები. ვსწავლობ. საჭირო ლიტერატურას ვკითხულობ. ფიზიკას და ქიმიას ვეტანები. შენ გგონია სკოლა-ში ხეირიანად ვისწავლეთ? რაში გვიწერდნენ კარგ ნიშნებს, მიკვირს!

— რატომ ამბობ მაგას. ჩვენ მუდამ კარგად ვიცოდით ეს საგნები.

— სწორია, კარგად ვიცოდით, მაგ-რამ, აბა მოდი და ცხოვრებაში გამოი-ყენე ეს შენი ცოდნა. გაწვალდები, გაი-ტანჯები!

თინა დააქქერდა, რალაცის ამოკითხვა უნდოდა მის სახეზე, რალაცას ეძებდა მის გამოხედვაში. გულში შეეცოდა კი-დეც. საწყალი წვალობს და იტანჯებაო. თანაგრძნობის გამოხატვა უნდოდა და უთხრა:

— იცი, გამხდარხარ!

— რას ამბობ, პირიქით, ძალიან კარ-გად ვგრძნობ თავს!

— რალაც სხვანაირი მეჩვენები. ძა-ლიან გამოცვლილხარ!

— შეიძლება, მე კი ვერაფერს ვამჩ-ნევ.

— დარდიანი მეჩვენები. რატომ არ იღიმები? — გულუბრყვილო ბავშვივით ჰკითხა.

სწორედ ამ შეკითხვაზე გაეღიმა გიგლას. თინამ მხოლოდ ახლა დაინახა გიგლა ისეთი, როგორიც სკოლიდან ახ-სოვდა...

— მაშ ფაბრიკაში შეხვდი? — უკვე სიცილითაც კი უთხრა თინამ.

— ხო, ფაბრიკაში დაეიწეე მუშაო-ბა, — თვებმწონედ მიუგო გიგლამ.

თინას უკვირდა ასე უდარდელად რო-გორ ლამარაკობსო. თვითონ ნამდვილ ტრაგედიად გადაეჭვა უმაღლესის გა-

რეშე დარჩენა. გიგლას აშკარად ეტყო-ბოდა, რომ ამაზე სულ არ ნაღვლობდა. მართლაც მას სულ სხვა²¹ შეხედულება ჰქონდა სწავლაზე. შესაძლებელია ამას ცხოვრებაც უკარნახებდა.

ახალგაზრდები სხვადასხვა გზებით შედიან ცხოვრებაში. ზოგი იოლ გზას ირჩევს, ზოგი პირიქით...

გიგლას არ უნდოდა იოლი გზით სია-რული. სწავლაც და შრომაც ერთად, ერთდროულად... ასე გადაწყვიტა მან. როდესაც უმაღლეს სასწავლებელს და-ამთავრებდა ის ინიცირი იქნებოდა ცოდნითაც და პრაქტიკული გამოცდი-ლებითაც. გიგლა მუდღის ფაბრიკაში სი-ხარულით მიიღეს. მისი მამა ამ ქარხნის ერთ-ერთი ოსტატი იყო. სამამულო ომის დროს ამ ქარხნიდან გაიწვიეს ჯარში. აღარ დაბრუნებულა ფრონტი-დან, მაგრამ ახსოვდათ მისი ენერგიუ-ლი, შრომისმოყვარე ხასიათი. მამის გზაზე შეიღის დაყენება ქარხნის ოსტა-ტებს საამაყო საქმედ მიაჩნდათ, პატი-ვისცემად სთვლიდნენ სამშობლოსათვის დაღუპულ აღამიანებისადმი. სწორედ ეს იყო მიზეზი, სიხარულით რომ მიიღეს გიგლა ფაბრიკაში.

გიგლას ისევ ის მოწაფეობის დროინ-დელი სახელოებჩამოცვეთილი პიჯაკი ეცვა. თინა უნებურად დააქქერდა პი-ჯაკს. გაახსენდა ბოტანიკური ბაღი, შხა-პუნა წვიმა და ცაცხვის პატარა ფოთო-ლი...

— აგრე გაკვირვებით რატომ მიცქე-რი?...

— ისე... რა უყავი შენი ახალი კოს-ტუმი?...

გიგლას გაეღიმა...

— რატომ იღიმები?..

— არ იცი?

— არა!

— ის კოსტუმი ნათხოვარი მქონ-და. — დარცხენით უპასუხა, მაგრამ მაინც არ დამალა.

თინამ მაშინვე ბანზე აუგდო სიტყვა: — ავილო ბილეთები?...

— აიღე!..

თინამ სალაროსთან მიიბრინა. უხა-

როდა კიდევ გიგლას რომ ჰპატივობდა. გიგლა უედიდა შესასვლელთან. გულში სწუხდა გიგლა, რომ თვითონ ვერ ჰპატივობდა. მამამისი სამამულო ომში დაიღუპა. ბრძოლის დროს... ორი შეიღობა ღარა-გიგლა და მზია. დედამისი არა მუშაობს, პენსიით ცხოვრობს. მან ორი ბავშვი აღზარდა. არჩია გაქირვებაში ყოფილიყო, ვიდრე ემსახურა, მეტი შემოსავალი ჰქონოდა, მაგრამ უყურადღებოდ ჰყოლოდა ბავშვები. მოსიყვარულე დედა ახლაც უფლის და ზრუნავს ბავშვებზე, ისინი კი კარგად სწავლობენ, თანამ ყველაფერს უჯერებენ დედას.

— თინამ ბილეთებით ხელში მიიღებინა გიგლასთან. პარკში შევიდნენ. ისინი კარგა ხანს დადიოდნენ ხეივანებს შორის და ათვალეირებდნენ ფრინველებს, მხეცებს.

რატომღაც თინას გონებაში გაუელვა, რომ ნანახი ჰყავდა სწორედ ისეთი ადამიანები, როგორც ეს ნადირები იყვნენ. კაცი ტურას რომ ჰგავს, დათვს რომ ჰგავს, მელიასავით რომ დადის წინწაწული ცხვირით, ან მგელივით რომ ამრიგლებს თვალებს...

— გიგლა, როგორ ფიქრობ, ასეთი ადამიანი არ გინახავს შენ?..

— როგორი?

— აგერ, ისეთი. — და მიუთითა ვეფხვზე.

— აგეთი არ მინახავს... სადღაა?! — შემოტრიალდა და სხვა გალიისაკენ გასწია. — აი, ისეთი კი, — მიუთითა მეღაზზე...

— მე კი მინახავს და მუდამ შემშინებია მათი!

უცნაური ფიქრები მოსდიოდა თინას თავში... ნაწყვეტნაწყვეტად გამოსთქვამდა ამ აზრებს და უნებურად ეკვროდა გიგლას.

— მიკვირს, კაცი ადამიანად დაიბადოს და მელიაობას ცდილობდეს. ხომ არიან აგეთები?.. კიდევ კარგი რომ რომელიმე ნადირი არა ვართ. — თუ გინდა ფრინველი... — თინა ჩაფიქრდა და შეწუხდა კიდევ. — გიგლა, შენ რომ ქორი ყოფილიყავი... არკი გეწყინოს, ქორს

რომ გადარებ... აი, თუ გინდა არწივი. მე კი ის პატარა ჩიტი, წულან რომ ვნახეთ, ტოტიდან ტოტზე რომ სტოდა, რომ ჰიკიკებდა, რაღაც რომ უხაროდა... რა ცუდი იქნებოდა არა?!

— ცუდი, მაგრამ!..

— მაგრამ რა?..

— კაცს შეუძლია ადამიანი იყოს და ნადირიც... ეს ნამდვილად ასეა... ვისაც ადამიანობა უნდა ის ადამიანია, ვისაც უნდა ნადირი იყოს, ის საამისო თვისებასაც პოულობს.

— ოჰ, წავიდეთ აქედან. უსიამოვნო ფიქრები მომდის. სისულელეებს ვლპარაკობ!

გამობრუნდნენ. ფარდულს მიუახლოვდნენ, საღაც გახიან წყლებს ჰყიდდნენ...

— დავლიოთ ლიმონათი.

— ფული რომ არა მაქვს?

— მე ხომ მაქვს?!

— შეიძლება დამძრახო, მაგრამ ხელფასი უკლებლივ მიმაქვს შინ.

— ასეც უნდა.

ფარდულთან მივიდნენ და ლიმონათი მოითხოვეს, ბოთლი გაუხსნეს და ორი ჰიკა დაუდგეს წინ. თინამ ჯერ გიგლას დაუსხა და სავსე ჰიკა მიაწოდა, მერე თავისთვის დაისხა.

თინამ ფული გადაიხადა. ორივენი გამობრუნდნენ. გასასვლელისაკენ გაეშურნენ.

— გიგლა, იცი რა მინდა გითხრა? — კარგა ხნის დუმისის შემდეგ ენის ზორძიკით წამოიწყო თინამ, — აი, ის, გივი რომ არის. ხომ იცნობ, დღეობაში რომ იყო...

— იწყინებო?..

— ხოო, იწყინებო... მოსვენებას არ მაძლევს. სულ ჩამძახობდა, სათქმელი მაქვსო. როგორც იქნა მითხრა თავისი სათქმელი. ახლა ჩამციებია, პასუხიო. რა ვქნა, რა პასუხი გავცე?..

ეწყინა გიგლას. სახეზე წამოწითლდა. „ნუთუ ეს საკითხავია?.. თვითონ არ უნდა იცოდეს, რომ უარი უნდა უთხრას? თუ კი ეს არ იცის, მამ რა ყოფილა?..“



— დედაშენს უნდა ჰკითხო! — ცივად უპასუხა გიგლამ.

თინა თავდახრილი იდგა. მას მხოლოდ ცივი ხმა ჩაესმა, უკულოდ პასუხი... თინა ვერ ხედავდა გიგლას სახეს, ვერ შეამჩნია, თუ როგორ აწყენინა ასეთი შეკითხვით. თინას ეგონა თავის გულუბრყვილო შეკითხვაზე გიგლა უპასუხებდა: „უარი უთხარი, მე რაღა პასუხს მაძლევ... მაგრამ სულ სხვა რამ ჩაესმა მის ყურებს, დაცინვასავით მისწვდა მის გულს — „დედაშენს უნდა ჰკითხოო.“ მწარე ნერწყვი გადაყალბა.

„როგორ შევეციდი!.. როგორ შევეციდი! — ფიქრობდა თინა გულდაწყვეტილად, — რად ვეუბნებოდი, რად, რად?!..“

— ნეტავი აქ საათი არ არის სადმე?... — იკითხა თინამ.

— როგორ არა, აი, იქ, გარეთ დიდი საათი ჰკიდია.

— ვნახოთ რომელი საათია, არ დამაგვიანდეს...

ორივენი გარეთ გამოვიდნენ და საათს ახედეს.

— სამი სათია, უუჰ, რა დრო გასულა. დილას აქეთი წამოსული ვარ... მე წავალ, გიგლა!..

— მოიცა, ერთად წავიდეთ.
— არა, მე მარტო წავალ. შენ ისე უნდა გაუხვიო, მე კი, აი, იმ გზით უნდა წავიდე.

გიგლა სდუმდა. იგრძნო, რომ თინას აწყენინა, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა დანაშაული ელიარებინა. ერთხელ გამოთქმულ აზრს არ გადაუხვია: — „დედას უნდა ჰკითხო, მე რას შეკითხები? თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მე რას შეკითხები? რას გეუბნება შენი გული, შენი გონება? მე ხომ არ გეტყვი, სიყვარული აღუთქვი-მეთქი. მე ხომ არ გეტყვი, უარი უთხარი... ეს შენ უნდა გადაწყვიტო, მხოლოდ შენ“ — ასე ფიქრობდა გიგლა. მხოლოდ ფიქრობდა, მაგრამ ეს რომ ეთქვა, ამ პატარა, ხთრიან, მაგრამ თავმოყვარე გოგონასათვის, იმავე წუთას შეეცვლებოდა აზრიც და გულიც. მაგრამ ეს არ უთხრა გიგ-

ლამ და ერთმანეთისთვის გაუგებარნად დარჩნენ.

თინას თავისი პატარა ხელი, ლამაზად ჩამოქრწილი გრძელი თითები, ნეკიდან ცერამდე მუქად ქცეული, ჰაერში ჰქონდა გაწვდილი, რომ ჩამოერთვა და დამშვიდობებოდა, უკანასკნელად ჩამოერთვათ ხელი... მაგრამ ამას აღარ დარდობდა თინა, მას ლურსმანივით ჩაეჭიდა ერთი აზრი — „ბავშვობა ყოფილა, ბავშვობა... ნამდვილი ბავშვობა!“

თინა მოწყვეტილად შემოტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

გიგლა შესცქეროდა თინას, რომელიც მოხდენილად მიარხევდა მხრებს. მაღალ ქუსლებზე შემდგარი უკვე კარგა მაღალი მოჩანდა, აღარ ჰგავდა ბავშვს. ის მიდიოდა უკან მოუხედავად. და სწორედ მხრების რხევაზე ეტყობოდა, რომ ბოლმა უტრიალებდა გულში.

გიგლასაც დარჩა მწუხარე გრძნობა განშორებისა. ის ისე გრძნობდა, თითქოს ჰკარგავდა მთელ თავის ბავშვობას, ფერადად განვლილ წლებს და ტკბილ მოსაგონარს.

XI

მშვენიერია თბილისში შემოდგომის პირველი ორი თვე — ენკენისთვე და ღვინობისთვე. თბილი დღეები და გრილი საღამოები იცის. მთები, მისი ფერდობები, ბაღები ჯერ კიდევ მწვანით არის შემოსილი. დღისით თბილი მზე ალამაზებს ქუჩებსა და მოედნებს, ღამით კი მთვარე და ვარსკვლავებით მოჭედული ცა. შინ არავის უჩერდება გული, მეტადრე ახალგაზრდებს. ცოტა არ არის თბილისში გასართობი ადგილი. ფუნიაკულიორი, კომკავშირის ხეივანი, თბილისის ზღვა, ბაღები, კლუბები, კინოები... და ბოლოს ეს ლამაზ ხეივანივით გადაჭიმული რუსთაველის პროსპექტი, რომელიც ამ თვეებში შუალამედ საცსეა მოსეირნე ხალხით. ვის არ ნახავ აქ?... ბავშვებს, ყმაწვილებს, ქალსა და ვაჟს, შუახნის ადამიანებს, მოხუცებსაც კი, რომელთაც უყავარჯნოდ

სიარული აღარ შეუძლიათ, მაგრამ გული მაინც გარეთ მიუწევთ. ქადრებისა და ცაცხვების გრძელი მწკრივები, პალმებითა და ყვავილებით დამშვენებული გაზონები ქალაქის გულს ნამდვილ ბაღს ამსგავსებენ, ახმაურებულსა და სიცოცხლით სავსეს. ვისაც თბილისი უყვარს, მას, პირველ ყოვლისა, რუსთაველის პროსპექტი უყვარს, ის ისე ვერ გასძლებს, რომ დღეში ერთხელ მაინც არ გაიაროს რუსთაველის ძეგლიდან ლენინის მოედნამდე...

მშვენიერია თბილისი შემოდგომის პირველ ორ თვეში, მაგრამ ჩქარა ილევია, სწრაფად გარბის ეს ორი თვე. უცებ დგება გვიანი შემოდგომა და ჩნდება ზამთრის თეთრი და ცივი აჩრდილი. მიილევია ღვინობისთვე და თითქოს წელიწადიც მიილიაო. რჩები გულნაკლული და ხელახლა ელოდები გაზაფხულს, როგორც სიცოცხლის განახლებას, სიცოცხლის ხელახალ დასაწყისს...

მართლაც ღვინობისთვეში გული არავის უჩერდება წინ... არც თინას უჩერდებაოდა სახლში გული. ხშირად მიდიოდა სასაირონოდ. ხშირად ნახულობდა ამხანაგებს, მეტადრე ლილის, რომელიც, ისე ჩანდა, თითქოს ვერ სძლებდა თინას უნახველად. ხედებოდნენ ერთმანეთს გივი და თინაც... ისინი ხედებოდნენ ლილისთან, როდესაც მთვარე ხატავდა მათ ჩრდილებს აივნის თეთრ კედლებზე და საოცნებოს ხდიდა წყნარ, მღუმარე საღამოებს...

ასე მიიწურა მთელი შემოდგომა. დაიწყო ზამთრის მოკლე და მოწყენილი დღეები.

ერთ დღესაც, როდესაც თინა დარწმუნდა, რომ მამა სამუშაოზე წავიდა და სოსომაც კარი გაიჯახუნა, გულჩათხრობილად დაიძახა:

— დედა!..

— რა გინდა, შვილო! — შეეკითხა თამარი.

თამარს რატომღაც გულში ტკივილმა გაკრა... სწრაფად შეტრიალდა თინასაკენ. სმენად გადაიქცა, ელოდა რას ეტყოდა შვილი. თინას საბნიდან თავი

წამოეყო და მღუმარედ შესტეპროდა დედას. არაფერს ამბობდა, მგერამისე გამოიქვირებოდა, ამკრალ... ეტყობოდა რაღაც აწუხებდა.

— მოდი, დედიკო, გენაცვალე, აი, აქ, ჩემს გვერდით დაჯექი.

თამარი შეშფოთდა. მღელვარედ მიუახლოვდა და თინას საწოლზე ჩამოჯდა. ისინი მარტონი იყვნენ... თინას თვალეები ოდნავ შესწითლებოდა. ეტყობოდა ცუდად ექინა. მშფოთვარედ ელოდა გათენებას, რომ დილით დედა დაემარტოხლებინა და თავისი გულის ნადები გაენდო.

— მითხარი, შვილო, რა გინდა?..

— დედა, იცი რა? მე ამას მამას ვერ ვეტყვი, ვერ გავუბედავ. შენ კი გიბედავ და ამიტომ გეუბნები. მაგრამ ჯერ ეს მითხარი, ხომ გიყვარვარ?..

— აბა, მაგას რა თქმა უნდა?..

— მაშ, არ გამიწყრები და არც უარს მეტყვი!

— წინასწარ პირობას მართმევ, შვილო?..

— ხო, გენაცვალე, დედიკო, წინასწარ მომეცი პირობა, იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეიძლება. უსათუოდ ისე უნდა მოხდეს, როგორც მე მინდა!

თინამ თავი ჩაღუნა და საბნის პირს დააკებრა.

— თქვი, შვილო, რა მოხდა?..— მოუთმენლობა დაეტყო თამარს.

— იცი, დედა, მე უნდა გავთხოვდე!..

— ცხადია, უნდა გავთხოვდე. ეს ასეც იქნება, მაგრამ გააჩნია როდის და ვისზე!..

— სულ მალე უნდა გავთხოვდე. აი, თუნდაც ხვალ. ხვალ თუ არა, მომავალ კვირას მაინც.

— ასე უცებ?.. რა გაჩქარებს?..

— ეს უცებ არ არის. მე იმ ვაჟს თითქმის წელიწადია ვიცნობ...

— ჩვენ რომ არ ვიცნობთ?.. მისი სახელიც კი არ ვიცით, ვინ არის, რა კაცია?

— მე სიტყვა მივეცი. შენ უთხარი მამას. უნდა დამეთანხმო... სხვანაირად...

— რა სხვანაირად?..
 — სხვანაირად, არ ვიცი...
 — ვინ ოხერია, იქნებ შენი ღირსიც არ არის?!

— ღირსი როგორ არ არის, რას ამბობ?.. ისეთი ვაჟია, ისეთი გარეგნობისა, თანაც იწინებრი!..

— უყვარხარ?.. გყვარს?..

— ხო, იმასაც, მეც!..

— იქნებ გეჩვენება, რომ გიყვარს? ან იქნებ იმას ეჩვენება, რომ უყვარხარ? იქნებ გული გატყუებთ, ან შენ, ან იმას?

— არა, დედა, გული არ გვატყუებს!..

წყენა დაეტყო სახეზე თამარს. რომ იტყვიან ადამიანი გაშრაო, სწორედ ასე დაემართა მას. თითქოს ყელში რაღაც გაენასკვაო, ხმას ვეღარ იღებდა. გულში ჩაიკრა თინა, შეკარგებოა შეილი, შეწუხდა.

თითქოს მოწმენდილ ციდან სეტყვა წამოვიდაო, ისე ჩაესმა თამარს შეილის სიტყვები. მოულოდნელად გული დაესეტყვა. თავში იცა ხელი:

— ვაგლახი დედაშენი, ვაგლახი!.. — ერთხელ მაინც გენახებინა, ერთხელ მაინც გეხსენებინა მისი სახელი. გაგვეგო ვინ არის, ვისი შვილია, როგორ ოჯახში გაიზარდა, ჩვენი დავლაპარაკებოდით, შენ ხომ ბავშვი ხარ, გამოუცდელი, როგორ იცნობდი ადამიანს?!

თინამ სახეზე საბანი გადაიფარა და გაჩუმდა. თამარი უკვე ამოდ ცდილობდა შეილის ლაპარაკში გამოწვევას. თინამ წინასწარ იცოდა, რომ თავისას გაიტანდა:

შვილის ხანგრძლივმა დუმილმა დედაც გააჩუმა. პირველი წუთების მღელვარებამ გადაუარა და თითქოს შეურიგდო მდგომარეობას, დაწყნარდა, დამშვიდდა... ამ სიმშვიდეში ცოტა ხანს კიდევ უცადა შეილს, იქნებ ხმა გამცესო, მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ ნებისეირი შეილი უკვე ებუტებოდა, ტბილად, ალერსით გამოელაპარაკა. იცოდა თინამ დედის სუსტი ადგილი, იცოდა რომ დედის უძლურება მის ძლიერ სიყვარულში იყო.

— ასეა და რა ექნა. ამასაც ხომ არ

დავმალავ? უნდა გამიგო. შენც ხომ იყავი ერთ დროს შეყვარებული? ხომ გიყვარდა მამა?! აქამდე არ გეუბნებოდით. შეხატობოდა, თანაც არ ვიყავი დარწმუნებული ჩემს სიყვარულში, ახლა კი დარწმუნდი და გეუბნები.

— არა, შვილო, შენს თავს ვილაყვაც ვერ დავანებებ. გადასაგდები შეილი არა მყავს. ამისთვის გზარდვ? იმიტომ ვწვალავ, რომ ერთ დღეს ხელიდან გამომცლოდი? — შეიცხადა თამარმა და ხელეუბნა გაასავსეა.

— ალბათ ისა ყოფილა ჩემი ბედი. დედიკო, ნუ მიწყურები. — მიუგო თინამ და მუდარით შეხედა დედას, მართლაც ღრმად დარწმუნებული, რომ სწორედ კვი იყო მისი ბედი.

— არ გამაგონო, არ გამაგონო მისი სახელი! — გაიძახოდა თამარი, — ვინ მართმევს, შენს თავს, ვინ მართმევს, ვინ? ის რომ წესიერი კაცი ყოფილიყო, ოჯახში მოვიდოდა და ჩვენც გაგვიზიარებდა თავის გადაწყვეტილებას. ხელში ჩაიგადო გულუბრყვილო გოგო, არა?!

— მე ის მიყვარს, დედიკო, ნამდვილად მიყვარს. არ მიყვარდა, არ ვფიქრობდი მასზე, არც მინდოდა მასზე შეფიქრა, მაგრამ მერე ფიქრიც დავიწყე და ოცნებაც... სიყვარული შემომეპარა, ნამდვილად შემომეპარა. მომისმინე, დედიკო, გენაცვალე, ზღაპარში მგონია ჩემი თავი. შეიძლება არის კიდევ ასეთი ზღაპარი, სასიზარულო, საბედნიერო ზღაპარი... ყველაფერი უბრალოდ მოხდა, ძალიან უბრალოდ... კინოში ვიყავით... ჩაქრა სინათლე და მან ჩემს ნეკს მოჰკიდა ხელი. ნეკს ვალერსებოდა... „რა პაწაწინაა“, — ჩამჩურჩულა. „მამ როგორი უნდა იყოს? ნეკია და იმიტომ!“... — ეუბასუხე ისეთივე ჩურჩულით და ნეკი გავითავისუფლე. მერე გაჭრემდი. დიდხანს ვიყავით გაჩუმებული.

— უყურე სურათს! — ვუთხარი მე, რადგან ვგრძნობდი, რომ ის მე მიცქეროდა.

— ვხედავ, ვხედავ! — მიპასუხა

მან, — ნამდვილად კი ის არაფერს არა ხედავდა.

კინოკადრები ცვლიდნენ ერთმანეთს. მე ვუცქეროდი ეკრანს, ოღონდ არც მე შესმოდა, თუ რას ვხედავდი. არც ნანახი დამხსომებია.

სწრაფად გავიდა დრო. სურათი დამთავრდა და შვებით ამოვისუნთქე...

— არ უნდა წაპყლოდი კინოში, შეილო, თანაც მარტო... როგორ შეიძლებოდა?!

— მართალი ხარ, დედა არ უნდა წაველოდი, მაგრამ წავეყვი! მოვედი შინ და ვერ გაგიბედე შეთქვა... დაგიმალე...

— არ უნდა დაგემალა, შეილო!..

— ხო, არ უნდა დამემალა, მაგრამ დაგიმალე... ისე კი თვალს ვერ გისწორებდი, ვერიდებოდი შენი თვალების შეხვედრას. ერთხელ, იცი რა მოხდა?.. ამის თქმა ახლაც მიძინებს! შინ მოვდიოდი. ქუჩაში შემხვდა და მითხრა, გაგაცილებო. არ მინდა-მეთქი. მარტო როგორ გაგიშვებო. მისი რა საქმე იყო მარტო წამოვიდოდი თუ არა, მაგრამ არ მომეშვა, გამომყვა. ჩვენს სახლს რომ მოვუახლოვდით, გამაჩერა, სათქმელი მაქვსო. თქვი-მეთქი. ყურში უნდა გითხრაო... როგორც არ უნდა თქვა, მაინც ყურში გავიგონებ-მეთქი. ამ დროს უცებ წამოაწია და მაკოცა. გავწითლდი, სახე დამეწვა. ირგვლივ მიმოვიხედე. არაფერს იყო, არაფერს მხედავდა, მაგრამ მაინც შემრცხვა. „ეს რა ჰქენი?!“ — შევეძახე. მე ისე მომეჩვენა, რომ შევეძახე, ნამდვილად კი ოხერასავით აღმოჩნდა ხმა. ისე ვიგრძენი, თითქოს შეურაცხყოფა მომაცუნა. ეს იყო პირველი კოცნა უცხო ვაჟისაგან. შევეშფოთდი, შევეწუხდი და შინ გამოვიქცევი. გულში ვფიქრობდი — მეთქვა თუ არ მეთქვა შენთვის. მინდოდა მეთქვა, მაგრამ შინ არ დამხვდი და მაშინვე ლოგინში ჩავწექი. სახეზე საბანი გადავიფარე, რომ არ დაგენახე. შენ მოხვედი, მე მწოლარე დაგხვდი, შენ ეს არ გესაამოვნა. მახსოვს, შემეკითხე: — როდის მოხვედი?.. — კარგა ხანია, — გიპასუხე. —

ვისთან იყავი?.. — მკითხე მწყურვალად. — ლილისთან, — გიპასუხე, მაგრამ საბინსიქვეშ ვთრთოდი. „ვინმე აქედანვე გამოვიდა“ — ვიფიქრებდი. — გავიფიქრე. — უსათუოდ მიხვდა, უსათუოდ გაიგო, — მაგრამ შენ მე თავი დამანებე და ზეც ჩამეძინა. ძილში ყველაფერმა გადამიარა... მე ესეც დაგიმალე. აღარასოდეს, აღარასოდეს აღარ შევხვდებო-მეთქი, გადავწყვიტე გულში. მისი დანახვაც არ მინდოდა. ერთ კვირას გარეთ არ გავსულვარ. სულ შინ ვიყავი. გახსოვს, შენ მეუბნებოდი კიდევ, რა მოგივიდა, სულ შინ რომ ზიხარო. მეშინოდა არ შემხვედროდა, ვერიდებოდი... მაგრამ ერთ დღეს მაინც მოვედი ლილისთან. მოვიმიხეზე, ვითომ რაღაც წიგნი უნდა მეთხოვნა. ნამდვილად კი არაფერთარი წიგნი არ მჭირდებოდა.

ლილი ძალიან ნაწყენი შემხვდა. ნალვლიანად იყო. მითხრა, რა ბედნიერი ხარ, გივის რომ უყვარხარო. საიდან იცი-მეთქი, ვკითხე გულგრილად. თვითონ მითხრაო... ამის თქმა იყო და გივიც მოვიდა. დაბარებულოვით შემოვიდა. ისე უბრალოდ მომესალმა, თითქოს არაფერი ეწყენინებინოს ჩემთვის. მერე მითხრა:

— მე იმიტომ მოვედი, რომ დაგემშვიდობო. ამაღამ სოფელში მივდივარ!

— რა საჭიროა დამშვიდობება? — ვუპასუხე ცივად, ნამდვილად ცივად, — წადით, სადაც გინდათ!

— ისე როგორ წავალ, რომ არ დაგემშვიდობო! — ისე მითხრა, თითქოს მისთვის ძალიან ახლობელი ვყოფილიყავი.

— აქ რომ არ მოვსულიყავი, როგორ დამემშვიდობებოდი? — შევეკითხე.

— ლილის გამოგზავნიდი შენს მოსაყვანად. — მიპასუხა.

მართლაც დამემშვიდობა და წავიდა. სულაც არ მინდოდა მასზე ფიქრი, მაგრამ, დედიკო, იცი რა, შინ რომ ვბრუნდებოდი, მოწყენილად ვგრძნობდი თავს, რატომღაც გულს მაკლდა. მთელი თვე თბილისში არ იყო და ვწუხდით, თითქოს რაღაც დავკარგე-



მეთქი. ქუჩაში გავლისას თვალწინ მეხატებოდა, მეტადრე იმ ადგილებში, სადაც ერთად გაგვევლო. არ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს გულში... როდესაც ჩამოვიდა, ისევე ლილისთან შემხვდა, ხელი ჩამომართვა და იმის მაგივრად, რომ მოვეციოთ, მაშინვე მკითხა:

— თინა, არ გიყვარვარ?..

დავიბენი და ვუპასუხე:

— არ ვიცი!..

ნამდვილად შემომეპარა სიყვარული ჩემად, ქურდულად...

მერე ყოველდღე ვხვდებოდი ლილისთან. მე შენ გეუბნებოდი ლილისთან მივიღივარ-მეთქი და იმას კი არ გეუბნებოდი, თუ რისთვის, რატომ მივიღივდი... შენც გულარხეინად იყავი, ცუდს ხომ არათერს ვაიფიქრებდი ტოლამხანაგთან წასვლის გამო.

— არ უნდა დავემალა, შეილო, განა არ გერჩივნა შობებელ დედისათვის თავიდანვე ყველაფერი გაგემზილა, კარგი რჩევის მეთქს. ღარიბების მეთქს, რას მიიღებდი?..

— შეიძლება მე შევეციდი, მაგრამ ეს უკვე წარსულს ეკუთვნის. ერთხელ რომ დავმალე, თავიდანვე რომ ვიკრუე, მერეც ისე გაგრძელდა. ახლა უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, თავიდანვე არ უნდა დამემალა... იცი, გუშინ რა დამემართა?.. ამასაც გეტყვი... ლილისთან ვიყავი. ისიც იქ იყო, ის, გივი... პატარა მაგიდასთან ვისხედით ორნი. მხოლოდ მე და ის. ლილი სამზარეულოში გასულიყო. გივი თვალეებში ჩამატყერდა, კარგა ხანს მიცქირა და ბოლოს მკითხა:

— მითხარი, გიყვარვარ თუ არა?..

მე უკვე ისე გამიტაცა მან, რომ დაფარვა აღარ შემეძლო... იცი, რა მშვენიერი ყმაწვილია, იცი, რა წარმოსადეგი, რა მოხდენილი?.. ვერ ავიწყრ!.. თითქოს სწორედ ამ შეკითხვას ველოდებოდი მისგან, მაშინვე მივუგე:

— გივი, ვთხოვ, ერთი წამით თვალეები დახუჭე!..

მან მაშინვე შეასრულა ჩემი თხოვნა. მე ორივე ხელში ხელები ჩავკვიდე, მისკენ გადავიხარე და ვაკოცე. — არ გაა-

ხილო თვალეები! — მივაძახე მაშინვე. აგრე იყავი, არ შემომხედო!.. დახუჭული იჯდა, მე კი ჩემად, ცხნა აკრეფით გამოვედი ოთახიდან. გამოვიპარე. კიბეებზე ჩამოვირიბინე და შემფოთებული შინ გამოვიქეციე... ის დამედევნა და დამეწია კიდეც. სიტყვა ჩამომართვა. შემომფიცეო... და მეც... აბა, მითხარი, დედიკო, გენაცვალე, ახლა როგორ უნდა მოვიქცე? რას მიჩნევ ახლა?..

— რა უნდა გირჩიო, შეილო, შენი ბედი შენ თვითონ გადაგიწყვეტია, უჩვენოთ, მარტოდ მარტოს... არ ვარგა ასე, შეილო, არ ვარგა!..

მერე თინამ დედის კალთაში თავი ჩარგო და ატრდა, გულამოსკვნილი ემუღარებოდა, მამატიეო. თამარს გული მოუღბა, მიეფერა, მიუაღერსა. ნაღვლიანად უთხრა:

— მეტა რა გზა მაქვს, შეილო, უნდა გაპატიო! რაც იყო, იყო, ოღონდ ყველაფერი დაივიწყე. იმის სახელი აღარ გამაგონო, აღარ!..

თამარი მოწყვეტილად წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა. დიდხანს ხმაამოუღებლად მისჩერებოდა დანისლულ ფანჯრებს, მერე ცხვირსახოცი ამოიღო, ჩემად ცრემლები მოიწმინდა და თავისთვის ჩაილაპარაკა: — მე კი გაპატიებ, მაგრამ ვინ იცის, გაპატიებს თუ არა ცხოვრება?!

თინამ საბანში ჩამალა თავი. თვალეები მილულა, მას სურდა გასცლოდა ყველას და ყველაფერს. აქ, ამ ოთახში არ ყოფილიყო, არავის ხმა არ გაეგონა. არავინ დაენახა. იმიტომ კი არა, თითქოს ვინმე ეჯავრებოდა, არა, ყველა უყვარდა — დედაც, მამაც, ძმაც. მხოლოდ იმიტომ, რომ იმ სასიამოვნო მომავალში ეგრძნო თავი, რომელსაც ესწრაფოდა. აღარ ეძინებოდა და თავი მოიძმინარა. თამარი რამდენჯერმე გამოელაპარაკა, მაგრამ თინამ ხმა არ გასცა, დუმილით და მშვიდი, უშფოთველი სუნთქვით უპასუხა.

სიწყნარეში და მდუმარებაში თინას ჩაეძინა და ოცნება სიზმრად განაგრძო...

XII

თინამ ყველაფერი უამბო დედას, ის კი არ გაუმხილა, რომ მეორე დღეს სახლს დასტოვებდა.

— არც დედას უთხრა, არც მამას, — დაარიგა გივიმ, თანაც დააყოლა, — ისინი დაბერდნენ, თავიანთი ახალგაზრდობა გადააეწყდათ, რა იციან, რა არის სიყვარული!

თინამაც დაუჯერა გივის. დაუჯერა, რადგან უყვარდა.

თინა მოუთმენლად ელოდა მამას. რას იტყოდა მამა?.. ეს იყო მისი ძტანჯველი ფიქრი.

ექვს საათს ოცი წუთი გადასცდა, როდესაც ზარის წკრიალი გაისმა. იცნობდნენ ასეთ ზარს. ორი წყვეტილი წკრიალი. ასე იცოდა კოტემ ზარის დარეკვა. კარი თამარმა გაუღო. თამარს უნდოდა, ისე როგორც ყოველთვის, დღესაც ღიმილით შეგებებოდა. მაგრამ ვერ შესძლო, ვერაფრით ვერ გახსნა შეკრული წარბი.

შეკრთა კოტე, მაშინვე იკითხა:

— ცუდი ხომ არაფერი მოხდა?..

თამარმა არ უპასუხა.

— გამაგებინე, რა მოხდა, რა დაგეპართა?..

— ოთახში შესვლას აღარ დამაცდი?..

კოტემ ქუდი მოიხადა, პალტო გაიხადა და მაშინვე მაგიდასთან ჩამოჯდა. მშფოთვარედ მიაჩერდა სახეში. ლაპარაკის დროს თამარი ცდილობდა სასიამოვნო გამოიმეტყველება მიეღო, მაგრამ მისი ღიმილი ღიმილს არ ჰგავდა, არც ხმა ისმოდა ბუნებრივად.

შეწუხდა კოტე. თითქოს გულში რაღაც ჩასწყდაო, სახე შეეცვალა.

— ეს რა შესმის?.. — წამოიძახა მღელვარედ. — ნუთუ თინა ამას ჩაიდენს?.. არა, არ მჯერა!

კოტე წამოხტა და თინასთან შესვლა დააპირა, რომ ენახა თავისი ბავშვი, ენახა ეს სიყვარულის ქსელში გახვეული პატარა ვოვო, რომელსაც, როგორც თამარმა უთხრა, ისე ღრმად შეეცურა შეუცნობელ ზღვაში, რომ უკან დარჩენილ ნაპირს გელარ ხედავდა.

თამარი ქმარს გადაეღობა, არ შეუშვა თინასთან.

არქონული

— არავითარ შემთხვევაში! ხმა კონტრი არ დასძრას! მისი ხსენებაც არ გაბედოს! ჯერ დედის რძე არ შეშრობია ტუჩებზე და უკვე... და უკვე!.. — არ იცოდა, როგორ დაემთავრებინა თავისი აზრი... აღარ იცოდა, რა ეთქვა.

არც კოტეს უნდოდა თინასთან პირისპირ შეხვედრა, რადგან იცოდა თავისი ჩვილი გულის ამბავი. დაინახავდა თუ არა, მაშინვე გული მოუღებებოდა, იმასაც კი ვერ ეტყოდა, რასაც ახლა მის გასაგონად გაიძახოდა.

ესმოდა თინას მამის ხმა, მამის სიტყვები. მიხვდა, რა ჯავრიც გამოიწვია მამის გულში და გაისუსა.

მინელდა მამის შრისხანება. ოთახში სიწყნარე ჩამოვარდა. კოტე და თამარი ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ. თითქოს ერთმანეთს აბრალებდნენ, ყველაფერ იმას, რაც თინას ირგვლივ ხდებოდა.

კოტე მაგიდაზე მკლავებდაყრდნობილი და ხელეშში თავჩარგული იჯდა. თამარი კი ზურგშებრუნებული იდგა და ფანჯრიდან ეზოში იქაირებოდა.

მწარე ფიქრები არ ასვენებდნენ კოტეს:

— ვინ არის?.. როგორი ოჯახის შვილია?.. რატომ ერთხელ მაინც არ მოვიდა, არ დაგვენახვა?.. რა დროს თინას გათხოვებაა?.. პატარაა, უსუსურია, დედის კალთის მეტი არაფერი უნახავს! რა იციან მაგან აღამიანის ცნობა? ვინ შეუყვარდა?.. ვის მიყვება?..

ათიოდე წუთში კოტე დამშვიდდა, თამარმა სუფრა გაშალა და ასადილა. ჯავრიან გულზეო, თქვა და მარტომ ორი ზოთლი ღვინო დალია, მერე დაწვა და დილაძდე ეძინა.

მეორე დღეს სრულ თორმეტ საათზე თინა თავისი ახალი ცისფერი კაბით სახლიდან გავიდა. თამარი სამზარეულოში იყო. თინას არაფერი უთქვამს დედისთვის. კიბეები ჩაირბინა, ქვევით სადარბაზო კართან გივი დაუხვდა. გი-

ვის დანახვებზე თინა სიხარულისა და შიშის გრძნობამ შეიპყრო.

— მოდიხარ? — ჰკითხა გვიმ სიტყბონარევი ხმით.

— არ ვიცი, როგორ მოვიქცე?.. წამოვიდე?.. შენ რას იტყვი?.. ასე როგორ დატოვო ყველა? — უპასუხა თვალეზზე ცრემლმომდგარმა.

— შენ დარდი ნუ გაქვს. ისინი თვითონ მძვლენ ჩვენთან... მოგნახვევენ, არ დაგჯარგავენ... — მიუგო გვიმ და მკლავში ხელი გაუყარა.

„თუ არა ახლა, შეიძლება აღარასოდეს არ მოხდეს ეს!“ — გაიფიქრა გვიმ და ძალაც დაატანა, ხელი მოჰკიდა და გაიყოლია.

თინა მიყვებოდა და გული უკან რჩებოდა. გრძნობდა, რომ დანაშაულს სჩადიოდა, მაგრამ მაინც მიდიოდა...

— იცი, გივი, დედა მომნახავს, დედა მპატიებს, მაგრამ მამა არა. მამა არ მპატიებს. რა ექნა, ეს რას ჩავდივარ. გამიშვი, გივი, უკან წავალ, ხო გიყვარვარ, მაშ გამიშვი!.. — სთხოვდა, მაგრამ მაინც მიყვებოდა. მას საკუთარი ნებასურვილი უკვე გამჭრალი ჰქონდა, საკუთარი აზრი და ძალა აღარ გააჩნდა, ის უკვე მთლად გივის ნებაზე მოქმედობდა.

მოსახვევში მანქანა იდგა. კარიც ღია იყო, კართან ლილი იდგა. თინას შეგობარი, თანაკლასელი, მისი ფიქრების მოზიარე... ლილი იღიმებოდა, ვითომც აქ არაფერიყო.

— რა გატირებს, ეგონებათ ძალით მიწყალებარ! — მკაცრად უთხრა გვიმ.

როდესაც თინა ოთახიდან გამოდიოდა, როცა კბეები ჩამოირბინა თავისი ნებით მოქმედობდა, მაგრამ დატოვა თუ არა სახლი, უკვე გული უკან ეწეოდა. თუმცა რალაცა ძალა მაინც მიაქანებდა სადღაც, მისთვის შეუტნობელ ცხოვრებისაკენ, ოღონდ, ახლა უკვე მისი სურვილის წინააღმდეგ.

თინა ცრემლებს იწმენდდა, მაგრამ კრემლი მაინც არ ილეოდა.

ლილიმ მანქანის კარი ფართოდ გამოაღო, შეგობარი იყო და ეხმარებოდა.

გივი დაეხმარა თინას მანქანაში ფეხი შეედგა, შიგ შესულიყო.

თინა შევიდა და მოჭრილ ხეხვივით დაცა სავარძელში. მანქანა მაშინვე დაიძრა. მერე გაქროლდა. თინამ უკან გაიხედა, მაგრამ უკან აღარაფერი ჩანდა. თავისი ბავშვური სამყარო, ზღაპარივით მშვენიერი და მომხიბვლელი, რომელიც უკან დატოვა, მხოლოდ ფიქრში-ღა არსებობდა...

XIII

გავიდა რამდენიმე თვე. ახალ ოჯახში ახალი ცხოვრება დაეწყო თინას... შეუძრავი მდგომარეობას, როგორც ეს საერთოდ სჩვევია ადამიანს.

ელოდა ხოლმე, ელოდა ფანჯარასთან მიმდგარი. შესრულდებოდა ექვსი საათი, მერე ათი წუთიც გაივლიდა და ფანჯრის პირდაპირ ქვაფენილზე უსათუოდ გამოჩნდებოდა გივი. სწორედ ეს ათი წუთი იყო მძიმე. მოლოდინის უკანასკნელი ათი წუთი... თინას უცებ აენთებოდა სახე, აუციმციმდებოდა თვალეზი, გაეხსნებოდა შეკრული შუბლი და კარისაკენ გაიქცეოდა. გივის ფეხის ხმა ჯერ კიდევ პირველი სართულის კიბეებზე გაისმოდა, როდესაც თინას კარი უკვე ღია ჰქონდა. ოთახში დარბაისილური სიღინჯით შემოაბიჯებდა-ხოლმე, თითქოს დაღლილი ყოფილიყოს, ღრმა ამოსუნთქვასაც ამოაყოლებდა გულს. თანაგრძნობით უცქეროდა თინა. გულიც შესტკიოდა. ერთ თვეში ისე შეუყვარდა, რაც კი აქამდე აეჭვებდა, გაუქრა...

— აბა, ჩემო რძალო, ახლა ხო შეიძლება ვისადილოთ? — შეეკითხებოდა ხოლმე სტეფანე, რომელსაც უხაროდა რომ ასეთი ერთგული ცოლი ჰყავდა მის შვილს.

— კი, მამა, ახლა კი ვისადილოთ. — უპასუხებდა თინა და სუფრას თავს დასტრიალებდა, ეხმარებოდა დედამთილს.

თვითონ უსათუოდ გივის პირდაპირ უნდა დამჯდარიყო. ერთმანეთს ვუყუროთო, — ფიქრობდა გულში, — რო-

დესაც გვერდში ვუზივარ ვერა ვხედავო.

დანა-ჩანგლის ქლარუნშიც, თეფშების წყრილშიც კი მხიარულება იგრძნობოდა. დროდადრო კისკისებდა თინა, შეჭხაროდა არა მარტო გივის, ახალ დედ-მამასაც, რომლებიც კარგად ეპყრობოდნენ მას.

— ამდენს ნუ ალოდინებ, ბიჭო, ცოტა ადრე მოდი ხოლმე შინ! — დარიგებით ეუბნებოდა მამა. გაიციხვაც ისმოდა მის ხმაში, არა თუ სამდურავი.

მაგრამ იყო ხოლმე ისეთი დღეებიც, როდესაც გივი შუალამემდე არ მოდიოდა შინ, მაშინ თინა საკმელს არ ეკარებოდა. მისი თეფში და დანა-ჩანგალი უქმად ეწყო.

— მოდი, საყვარელო, ისადილე, შიმშილით თავს რად იკლავ? — ეხვეწებოდა მარო.

— არა, დედა, ცოტა ხანს კიდევ დავუცდი... მე ვიცი, სულ მალე მოვა გივი! — გულმოკლულივით უპასუხებდა თინა. მერე შიადგებოდა ფანჯარას და გასცქეროდა ქუჩას...

იცოდა სტეფანემ, რასაც აკეთებდა ამ დროს გივი, გულში ბრაზობდა, მაგრამ არ ამხელდა შეილის თავქარიანობას. იცოდა მარომაც, მაგრამ ისიც ფარავდა.

— განა არ ვიცი, ის საძაგელი ახლა სადმე ღვინოს სვამს, დროს ატარებს, ჩვენ კი შიმშილით გვზოცავს! — შეილისადმი ალერსათ სავსე სამდურავით ამბობდა მარო. მერე თინას ეხვეწებოდა, ესადილა. მარომ კარგად იცოდა შეილის ხასიათი, ის თავის მუცელს არ უღალატებდა.

— არა, გივი მაგას არ იზამს. ალბათ საქმე აქვს! ცოტაც დაეცადოთ, აი, თუ გნებავთ მხოლოდ ათი წუთი, ან თხუთმეტი წუთი! — სთხოვდა თინა.

მაგრამ ეს წუთებიც ვადიოდა, გივი კი მაინც არ ჩანდა.

შუალამისას მოდიოდა მთვრალი. როდესაც დედაც და მამაც სამდურავებით აესიბდნენ, ხმას არ იღებდა. გივის არ ეტყობოდა, სწუხდა თუ არა, იმასაც

არაფრად აგდებდა, უსადილოდ რომ რჩებოდა თინა. თუკი მშვენიერად მოვიდოდა, შემოუჯდებოდა სუფრას და თავის კერძის მეტს არაფერს ხედავდა. ისე შეეცქეოდა, რომ ზედ არავის უყურებდა, არც იმას კითხულობდა, შიოდა ვინმეს თუ არა. პირველ ხანებში ამას თინა არაფრად აგდებდა. ოღონდ გულს უკლავდა გივის ასეთი საქციელი. ამავე დროს, საყვირველია ეს თუ არა, სიყვარულს უძლიერებდა და ამ უღიერობას დიდსულოვნად აპატიებდა.

მამა გაიყვანდა ხოლმე გივის მეორე ოთახში და ბრაზმორეული ელაპარაკებოდა.

— ვეძებ, ვეძებ, ჩემი რა ბრალია... თუ კი ვერ ვეღირსე?.. — ისმოდა ხოლმე გივის მშფოთვარე ხმა.

— სად ვეძებ, ქუჩაში?.. — სარდაფებში?.. — გაისმოდა მამის ბრაზით სავსე პასუხი.

— შენ არ ამბობდი დედოფალივით მშვენიერიო. აი, მოვიყვანე, მაკბორე, არაფერი გიჭირს!.. — ნიშნის მოვებით მიუგებდა ხოლმე გივი. მერე, თუ კი ოდნავ მაინც გააციხვდა მამას, ფულს სთხოვდა. სტეფანეც უარს ვერ ეუბნებოდა, ოცდახუთმანეთიანს ამოიღებდა პიჯაკის ჯიბიდან და სიხანულით დააყოლებდა; — როდემდის, როდემდის უნდა გაცხოვრო?!

გივი წინა ოთახში მხიარული გამომეტყველებით გამოვიდოდა, თითქოს მამასთან ისეთი საუბარი ჰქონოდა, რაც ბედნიერებას უქადა მთელ ოჯახს.

ხანდახან კინოში მიდიოდნენ, ოღონდ ცუდი ჩვეულება ჰქონდა გივის. სულ აქეთ-იქით იყურებოდა, ხალხს ათვალევრებდა. თუ ვინმე ქალიშვილი თვალში ჩაუვარდებოდა, აღარ მოეშვებოდა; ვიდრე თვალიდან არ დაეკარგებოდა.

გატაცებით უცქეროდა სურათს. ძალიან უყვარდა კინო. ისე იტაცებდა, რომ თავი ავიწყლებოდა. მეტადრე ისეთი სურათები მოსწონდა, რომლებშიაც გულისწამლები ამბები ხდებოდა. ბავ-

შვივით გამოხატავდა თავის აღფრთოვანებას.

— ჩემად, გივი, სირცხვილია! — აფრთხილებდა თინა.

გივი კი მხოლოდ რამდენიმე წამით მიყუჩდებოდა, მაგრამ სულ მალე თავის გრძნობებს ისევ აშკარად ჰხატავდა.

ბრუნდებოდნენ შინ კმაყოფილნი. თინა მკლავზე ჩამოეკიდებოდა, მხარზე მიადებდა სახეს და ბედნიერების შეგრძნობით მიაბიჯებდა ბინისაკენ.

გზაში ხან რას ლაპარაკობდა, ხან რას. პასუხს არც ელოდა, არც უსმენდა. ქმრის გვერდით ბედნიერად და იმედიანად გრძნობდა თავს.

მივიდოდნენ შინ ნასიამოვნები. ივანე შებებდნენ, მერე ჩააქრობდნენ სინათლეს და ტკბილი ძილი ისაკუთრებდა მათ.

მაგრამ მთელ ამ ბედნიერებასთან ერთად ერთი უსიამოვნო გრძნობა აწუნებდა თინას. გულს უკლავდა მანზე ფიქრი. ის არ ურიგდებოდა თინას. ჯიუტად იდგა თავის მსჯავრზე. მოდიოდა თინასთან დედა, მოდიოდა სოიო. მოუყვებოდნენ ოჯახის ამბებს, ჰაერამ მამა სიახლოვეს არ ეკარებოდა. ამოდ სთხოვდა თინა დედას, მამა შეჩარაჯეო. ამოდ ეხვეწებოდა შენთან ერთად მამაც მოიყვანეო. მე თვითონ მოვალო, ფეხქვეშ ჩაუყვარდები და პატარებას ვთხოვო, მაინც უარი მოსდიოდა მამისაგან.

— აი, ხომ ხედავ, რა ბედნიერა ვარ. როგორ ვუყვარვარ ყველას. გადაეკი მამას, მამატის, შემირიგდეს! — სთხოვდა თინა დედას.

კოტეს დაეტყო შვილის დაშორება. ხალისი დაეკარგა. ის განუწყვეტლივ თინაზე ფიქრობდა და ყოველთვის დარდიანს ჰგავდა. კოტეს აკლდა თინას აღურსიანი სიტყვა, თინას ნათელი გამოხედვა, აკლდა მთლიანად თინა, რომელიც ახლაც ბავშვად ჰყავდა წარმოდგენილი და აულიდანაც ისე მოგლიჯეს, როგორც ბავშვი. ხშირად მძიმე ფიქრებში ეხვეოდა და ავიწყდებოდა,

თუ იმ წუთას რას აცთებდა. გამოერკეოდა და ჰკიცხავდა თავის დავებერდით. გახდა კოტე, სახე ჩამოუვრძელდა. თვალები ჩაუცივდა. გულში იტანჯებოდა, ჩუმად იწმენდდა ცრემლებს, რომ არავის დაენახა, თუ რა ნაღველს ატარებდა გულში, მაგრამ არავის უმხელდა თავის დარდს. მიეძაღდა ღვინოს, სვამდა. სარდაფიდან რომ გამოდიოდა, ერთის შეხედვით ვერ შეატყობდით, მაგრამ თუ დააკვირდებოდით, დარწმუნდებოდით, რომ მთვრალი იყო. ბრუნდებოდა შინ მოწყენილი, ცდილობდა არაფერი ეთქვა, ჩუმად ყოფილიყო. თვითონ კი ყურადღება ჰქონდა დაკომული, თინას შესახებ რას მეტყვიანო. უსმენდა ჩუმად, პასუხის გაუცემლად, ვითომ გულგრილად, ნამდვილად კი მღელვარედ და სიყვარულით.

— როდემდის უნდა იყო ასე ბავშვით გაბუტული. ნუ გამწარე გოგო! — სამდურავით მიმართავდა ხოლმე თამარი კოტეს, მაგრამ კოტე, თუმცა გულში იტანჯებოდა, არაფრით არ გამოხატავდა ამ თავის ტანჯვას და პასუხსაც არ აძლევდა.

კოტე ქარხანაშიც ეუცნაურებოდათ. თუ აქამდე ყოველ კასრს თავს დასტრიალებდა და ყოველ დღე ამოწმებდა ღვინის ხარისხს, გემოს და ფერს, ახლა მთელი კვირაობით უყურადღებოდ სტოვებდა. ახლაგაზრდა მეღვინეებს და მუშებს ანდობდა ახალი მასალის მიღებას და კუპაქს. ეს არ მოსწონდა მეღვინეს, მის ძმადნაფიც მეგობარს, რომელიც რამდენიმე თვის წინათ ქარხნის დირექტორად დანიშნეს. კოტე გულში ატარებდა თავის დარდს. მის ჯავრსა და წუხილს ისიც აძლიერებდა, როდესაც ნაცნობ-მეგობრები ეუბნებოდნენ:

— როგორ დაგემართა, კოტე, ქალიშვილი გაათხოვე და ქორწილი გამოგვაპარე!..

არ იცოდა, რა პასუხი გაეცა, სახტად დარჩენილი, ორიოდ წამით გაჩერდებოდა, უხერხულად შეაჩერდებოდა სა-

ხეში და ხელის ჩაქნევით მიუგებდა:

— ეეჰ, ქორწილი არ დამაცადეს, თორემ პურმარილს დავიშურებდი? — ღრმა გულსტკივილით ისმოდა მის პასუხში.

XIV

ქუქუნა ნიჭარაძეს აღტაცებული შეეგება თინა.

— შემოდი, გენაცვალე, რამ გაგახსენა ჩემი თავი?

ქუქუნა მოკრძალებით იდგა კართან, ვერ გადაეწყვიტა ოთახში შესვლა.

— არ გეგონოს, რომ სტუმრად მოვედი... საქმე მაქვს... დამავალეს!.. ხომ არ შეგაწუხებ?!

— პირიქით, ძალიან გამახარებ!

სიხარულმა ააღელვა თინა. თვალწინ წარმოუდგა სკოლა, კლასები, მერხები, მოწაფეობის დრო...

ქუქუნა ახლა მეთექვსმეტი იყო, თინაზე ერთი წლით პატარა, მაგრამ ჰკვიანი და სერიოზული.

ტანმალალი, კოხტად აწყობილი, შავ-თვალწარბა გოგონა ისე შესცქეროდა თინას, როგორც სათაყვანებელ არსებას. ასე იციან გოგონებმა, როდესაც თავისზე უფროსებს ხედავენ და ამავე დროს მოსწონთ კიდევ იგი.

— მოდი, გენაცვალე, მოდი, სწორედ რომ სტუმარი ხარ! — კვლავ ალერსით მიმართა თინამ და წელზე ხელი შემოაჭვია.

ოთახში შევიდნენ.

ორივენი დასხდნენ და ორიოდ წუთს ხმაამოუღებლად შესცქეროდნენ ერთმანეთს... შესცქეროდნენ და შეჭხაროდნენ...

— იცი, რა უნდა გითხრა?! მე ჩემით კი არ გეუბნები ამას... თუმცა შეიძლება ეს ჩემი აზრი იყოს, რადგან მეც ასე ვფიქრობ! — შორიდან წამოიწყო ქუქუნამ. თინა კი განცვიფრებული შესცქეროდა, ვერ მიმხვდარიყო, რის თქმას აპირებდა ქუქუნა.

— შენ პირდაპირ სკოლიდან მოდიხარ? — შეეკითხა თინა, რომ უხერხულობიდან გამოეყვანა.

— ხოო, სკოლიდან... პირდაპირ სკოლიდან და პირდაპირ შენთან!.. მე შენდა გავიგო... მარტო მე კი არა, ჩვენ გვენდა გავიგოთ, თუ რატომ მიგვატოვე?

— მიგვატოვეთ?.. — შეეკითხა თინა, — სწორია, მიგვატოვეთ... ეს მართალია, მაგრამ ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის?.. ეს მუდამ ასე ხდება, როდესაც ქალი თხოვდება!..

— მუდამ? — გაიკვირვა ქუქუნამ.

— მე მგონია, მუდამ... მაგრამ რატომ გგონიათ, რომ მიგვატოვეთ?.. განა ჩვენ ისევ მეგობრები არა ვართ?..

— მეგობრები ვართ, მაგრამ... ერთად აღარ ვართ... იცი, თინა, მე გელაპარაკები, როგორც კომკავშირელი... შენ ჩვენთან აღარ დადიხარ... მაშ ეს რა არის, მიტოვება არ არის?... მე გამოგზავნეს, რომ მოგავიგო. ნუ შიშობ ჩვენს რიგებს. იყავი ჩვენს შორის. თუ ჩვენ შორის ვართ და შენთვის ძნელია ჩვენთან სიარული, სადმე, აქეთ, ახლოს გადმოდი!

— აბა, როგორ, გენაცვალე, როგორ უნდა ვიარო?.. მე ხომ მარტო აღარ ვარ, მე ხომ ქმარი მყავს?!

— მერე რა, ქმარი გყავს? ეს სრულებითაც არ უნდა გიშლიდეს ხელს. გათხოვებამ საზოგადოებრივ საქმეს რად უნდა ჩამოგაცილოს?..

— როდესაც ამაზე შორიდან ვესაუბრობ, მაშინ ეს მართალი გვეჩვენება, მაგრამ, როდესაც თვითონ შენა ხარ ამ მდგომარეობაში, მაშინ აგრე აღარ არის. კრებებზე სიარული შეუძლებელი ხდება, რალაცა გიშლის ხელს, დაიჯვარე, ეს ასეა!..

— აი, მაგალითად, შენ რა გიშლის ხელს?..

— ქმარი, ქმარი მიშლის ხელს!.. ის ისეთი კაცია, არ უყვარს, როდესაც უიმისოდ სადმე მივდივარ. შინ იჯექით... დედასთანაც არ მიშვებს მარტო. მე მგონია, ყველა ქმრები ასეთები არიან!.. მე კი არ მინდა ვაწყენინო. თუ კი ვუყვარვარ, აბა, მითხარი, რატომ უნდა ვაწყენინო?.. ასე არ არის?.. გარდა ამისა, იცი რა... აი, მე... მე უყვე... — თინამ

ვერ თქვა, რაც გულში ჰქონდა, ქალი-
შვილთან უხერხულობა იგრძნო და ფე-
ხზე წამოდგა. სრულიად უმიზეზოდ
სერვანტთან მივიდა, ამოქარგული სა-
ფენი შეასწორა და უკან გამობრუნდა.
ის ნელი ნაბიჯით წამოვიდა ყუყუნასა-
კენ. ნათლად მოჩანდა მისი შემრგვალე-
ბული წელი. ეს ყუყუნამ ადვილად შე-
ამჩნია. მერე ისინი თვალებით შეხვდნენ
ერთმანეთს, უსიტყვოდ ითქვა, ვზე-
დავო. თა კლაე გაჩუმდნენ.

— მაშ რას მბარებ ამხანაგებთან,
რა ამბავი მივიტანო?..

— აი, ისე უთხარი, როგორც ვთქვი.
ძალიან მიმძიმს, მაგრამ რა ვქნა, ეს
ასეა!..

— სიმწუხაროა!.. — მოწყენით წარ-
მოთქვა ყუყუნამ და წინსაფრის კალ-
თას სრესა დაუწყო. — ძალიან მწყინს,
ძალიან!..

გულზე ჯავრი შემოაწვა ყუყუნას.
მიხვდა, რომ ვერაფრით ვერ გადააჯე-
რებდა თინას და მწყრალად თქვა:

— რა გაეწყობა, წავალ და ასე გა-
დავცემ ამხანაგებს.

— რა გეჩქარება, პატარა ხანს დარ-
ჩი. ჩვენთან ისადილე. მით უმეტეს შენ
პირდაპირ სკოლიდან მოსულხარი!..

— არა, წავალ, მე ხომ სტუმრად არ
მოვედი?!

— მერე რა, ჩემი ქმარი მოვა და გა-
ვაცნობ!..

— აგეთი კაცის გაცნობა არც მინ-
და! — ბრაზით წარმოთქვა ყუყუნამ, —
ეგ რა სიყვარულია, თუ კი თავისუფლე-
ბას წაგართმევს?.. მე კი მგონია, პირი-
ქით უნდა ხდებოდეს, სიყვარული თავისუფლებას უნდა ანიჭებდეს ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს იგი, ქალი თუ კაცი. ეგ კი დედასთანაც არ გიშვებს თურმე. ეჭვიანობს, შინ იჯექიო!.. არა, არა, ეს სიყვარული არ არის. ეს რაღაც სხვა არის. არ ვიცი, რა დავარქვა?!

თინა უცქეროდა ყუყუნას და ელი-
მებოდა. ბავშვად სთვლიდა მას. ყუყუნა
კი ჯავრობდა. მართალია მთლად ახალ-
გაზრდა იყო ყუყუნა, მაგრამ სიყვა-

რულზე მასაც ხშირად უოცნებია ჩუ-
მად, გულში, საიდუმლოდ. ^{არავისთვის}
ვის არ გაუშხელია თავისი ^{ნაჭიქი}
თავისი შეხედულება კი სიყვარულზე
გულში გააზრებული ჰქონდა. მას ასე
ესმოდა: „თუ ადამიანი გიყვარს, მას
უნდა იცნობდე ყოველ მხრივ, მთელი
მისი არსებით, მისი ბუნებით, მისი ფი-
ქრით და მისწრაფებით, თვისებით და
ხასიათით. სიყვარულა მხოლოდ მაშინ
შეიძლება, თუ კი ასე კარგად იცნობ
ადამიანს, რადგან მაშინ საბაბი აღარ
გექნება, იეჭვიანო“.

„მაშასადამე ის თინას არ იცნობს,
თორემ რა აქვს საეჭვიანო?.. თინა ხომ
ერთგულია მისი?.. მაგრამ თუ კი არ
იცნობს, როგორღა უყვარს?.. არ ჰყვა-
რებია, მორჩა და გათავდა!“ — გადა-
წყვიტა გულში ყუყუნამ.

— შენ შეყვარებული არა გყავს? —
მოულოდნელად ჰკითხა თინამ.

— ოჰ, რას ამბობ, ასე ადრე... რა მე-
ჩქარება? — ისე უპასუხა ყუყუნამ თი-
თქოს ეწყინაო. მის სახეს უცებ გადა-
ეკრა მწყრალი იერი.

— განა ადრეა? თვრამეტი წლის ხომ
ხარ. მე თვრამეტისაც არ ვიყავი, როცა
გავთხოვდი.

— მერე რა, რომ თვრამეტისა ვარ,
ძალიან დიდი ვარ?!

— მე გამიგონია, რომ ძველად თურ-
მე, თხუთმეტი წლისას ათხოვებდნენ.

— სწორია, ათხოვებდნენ. იმათ მშობ-
ლები ათხოვებდნენ. მშობლები მოუ-
ნახავდნენ საქმროს. მშობლებმა კი
ცხოვრების ავკარგი იცოდნენ, სასიძოს
შერჩევაც შეეძლოთ! მე კი, აბა, რა ვი-
ცი, რა მინახავს? განა ასე ადვილად
შევიცნობ ადამიანს? არ შევცდები? არ
მოვტყუვებები?.. ჩვენ, ცხადია, მშობ-
ლების არჩეულს არ გავყვებით, ძველი
დრო ხომ არ არის, არა?! რადგან შენ
თვითონ ირჩევ, არჩევაც უნდა შეგეძ-
ლოს. მე იმას კი არ ვამბობ ლამაზსა და
ტანადს ვერ შევარჩევ-მეთქი. არა, ეს
ძალიან ადვილია, აი, მთავარი ის არის
გაიგო, გულითა და სულით რას წარმო-
ადგენს. შეგძლება ამის გაგებას? ოჰ, ეს

ძალიან ძნელია. ცოტაოდენად შევიცნობ ცხოვრებას, აღამიანს, მერე მავსაც მოვესწრები, რა მეჩქარება!..

თინა თვალმოუშორებელივ შესცქეროდა სახეში. წამით ჩაფიქრდა და შეწყუბდა, სიწითლემაც გადაჰკრა. მაგრამ მეორე წამში გაიფიქრა: მე ხომ ბედნიერი ვარ?! ცუდი არ არის ჩემი არჩევანი, ჩემი გივი!.. მე შევიცანი... ნამდვილად შევიცანი!..

გამომდევლად დააქვრდა ეუფუნა, ისიც კი შენიშნა, რომ თინა ფიქრით სულ სხვაგან იყო. არც მისი გაწითლება გამოჰპარვია. გაჩუმდნენ. ვერაფერს ეუბნებოდნენ ერთმანეთს. მერე ისევ ეუფუნამ დაარღვია სიჩუმე.

— დიდი სიცხეებია. დასასვენებლად არსად მიდინარ?

— როგორ არა, განთიადში წავალთ; ხომ იცი, სად არის განთიადი? ზღვის პირას, განგრას აქეთ. კარგი სოფელიაო, ძალიან აქებენ. მერე მე როგორ მიყვარს ზღვა?! ამ სიცხეებსაც დავალწევ თავს.

— წელს ადრე დაიწყო განაფხული და იმიტომაა თბილისში ასეთი დიდი სიცხეები. ისე კი სჯობია, როდესაც ყველაფერი თავის დროზე იწყება. ყველაფერს თავისი დრო აქვს. არც განაფხული ვარცა ნადრევი და არც ზამთარი!..

— ხოო, სწორია. გინდა ცივი წყალი მოგიტანო? არა?.. მამ კაკაოზე დავპატიყებ, არა?.. რატომ?..

— მეჩქარება. მიცდიან...

თინამ ეუფუნა კარებამდე მიაცილა. ისე ჩუმად მიჰყვებოდა, თითქოს ერთმანეთს დაემდურნო. „კიდევ გამოიარეო“, — სთხოვა თინამ, მაგრამ ეუფუნას ამ სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ის გულნატკენი მიდიოდა შინ.

XV

ერთ დღეს კოტე ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა შინ. დილიდანვე თავი სტიკიოდა და სარდაფში ეკლარ გასძლო. ისე გრძნობდა თავს თითქოს საფეთქ-

ლებზე მარწყუებს უქვრდნენო. დირექტორს დაეთხოვა და სახლში წავიდა. თამარი ბაზარში იყო, სისხლი კი სკოლაში, კარი დაკეტილი დაუხვდა. კარგა ხანს იწრიალა დაკეტილ კართან, მერე მობეზრდა და ქუჩაში გავიდა. ნაღვლიან ფიქრებში წასული აზრმიუცემლად გაჰყვა ქუჩას. თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა, მიდიოდა და თინა ედგა თვალწინ. მოათავა აკაკი წერეთლის პროსპექტი. გვერდზე ჩაუარა დინამოს სტადიონს, ფიქრებიდან ვერ გამოარკვია სტადიონის საღაროებთან თავმოყრილი ახალგაზრდების ზმაურმა. ყურადღებაც არ მიუქცევია მათთვის. მიდიოდა შეუცნობლად, ისე თითქოს მთვარეული ყოფილიყოს. ის გამოვიდა პლუხანოვის პროსპექტის ბოლოში, მერე ისეთივე ნელი ნაბიჯით გაჰყვა პროსპექტს. მას გზაში ზღვებოდნენ ნაცნობები, აძლევდნენ სალამს, ქუდს უხდიდნენ. კოტე ვერც კი ამჩნევდა მათ. მხოლოდ მაშინ, თუ ზამალდა ჩაესმოდა თავისი სახელი, მიიბრუნებდა სახეს, თავს დაუკრავდა და განაგრძობდა გზას. კამოს ქუჩა ნომერი ჩვიდმეტეტი — უტრიალებდა გონებაში. ბევრჯერ გაუვლია კოტეს ამ სახლის წინ. ბევრჯერ აუხედნია მეორე სართულზე გადმომდგარ აივნისაკენ, შეუხედია ფანჯრისათვის, როდესაც გარეთ ბნელოდა და განათებულ ოთახებიდან ვერაინი დაინახავდა, მაგრამ არც ერთხელ აზრადაც არ მოსვლია, შესულიყო საღარბაზო კარში, აეარა კიბეები და ენახა ის, ვისი სახელის გახსენებაც გულსაც უკლავდა და მამაშვილური სიყვარულის გრძნობით სტანჯავდა.

„კამოს ქუჩა ნომერი ჩვიდმეტეტი“ — აი, ეს შენობაა. აი, მისი საღარბაზო კარიც. ეს კარი მუდამ ღიაა, არც დღისით იკეტება და არც ღამით. არაფერი არ უშლიდა კოტეს შესულიყო და აველო კიბეები, ენახა თავისი გულის მკვლელი და გულის გამხარებელი...

შევიდა კიდევ. გულმა რატომღაც ააჩქარა იგი და ჩვეულებრივზე სწრაფად აიარა კიბეები. დაკეტილ კარს რომ

მიადგა, შეჩერდა. გული მაგრად უცემდა და ერთხელ მაინც რომ ამოესუნთქა, შეისვენა, მერე ზარის ღილს თითი დააქირა და გაისმა წყრიალი.

გაისმა ნაბიჯების ხმა, ხშირი და ცქრიალა, ნაბიჯების ხმა, რომელიც მაშინვე იცნო კოტემ. აი, გასაღებიც გადატრიალდა და კარი გაიღო.

თინა გაშტერდა... უცქეროდა და არა სჯეროდა... მამა მოვიდა!.. მამა მოვიდა!.. ხედავდა, რომ მამა მოვიდა მასთან... ეს აშკარა იყო... ეს არ იყო სიზმარი. ბაგე გაეხსნა თინას, მაგრამ ვერ წარმოთქვა — „მამა“; ვერც კოტემ წარმოთქვა შეილის სახელი. რაღაც უჩვეულო გრძნობამ მასაც ბაგეები მოაქუნინა, კბილი კბილს არ შორდებოდა. შევიდა ოთახში და თავისი მძიმე ხელი ბუმბულივით მსუბუქად გადაუსვა შეილს შუბლიდან თმის გაყოლებით. თინამ სახე მიაკრა მკერდზე. მას ესმოდა მამის მკერდში შემფოთებული გულის ხმა, ჩქარი და მღვლვარი.

— მაპატიე! — რამდენიმეჯერ ჩურჩულთ წარმოთქვა თინამ.

სდუმდა კოტე, ოღონდ მაგრა იკრავდა მკერდში შეილის პატარა ქერათმიან თავს, რომელსაც ასე ნაცნობი და სასიამოვნო, ჩვილობის დროიდან მოყოლილი სუნე ჰქონდა.

— მაპატიე! — კიდევ წაიხურჩულა თინამ...

— იმიტომ მოვედი, რომ გაპატიე, სუსტი ვარ და გაპატიე!..

თინა უსმენდა მამას მღუმარედ, ჩუმად. მას არ უფიქრია სიტყვის შებრუნება, თავის გამართლება. კოტეს უნდოდა შეილისათვის თვალეში ჩაეხედოდა, კიდევ ენახა მისი თვალეების წმინდა, სუფთა, ნათელი მზერა, მაგრამ თინა მკერდიდან არ აშორებდა სახეს, რადგან მას არ შეეძლო მამის თვალეების დანახვა.

უკიბ თინა მოსწყდა მამის მკერდს, ოთახში შევარდა და დაიძახა:

— გივი, მამაჩემი მოვიდა! გამოდი, გივი, მამაჩემი მოვიდა!..

ოთახის შუაგულში ტანადი, წელში

გამართული ვაჟი გამოჩნდა. მან ერთი ნაბიჯი წინ გადმოდგა და წაეჭაწა. უღიმღამოდ შეხედა შუახსნის უკაცურებას მელსაც სახეზე ღიმილი შეაშრა.

— მოდიო, გენაცვალეთ, ორივენი მოდიო! — თქვა მან და ხელები გაშალა. გივიც და თინაც მიუახლოდნენ. ორივეს ხელები გადაჰხვია და მკერდთან მიიზიდა. კარგა ხანს ჰყავდა ასე ჩაკრული... მერე, თითქოს გამოფხიზლდო, შუბლზე ხელი გადაისვა და სავარძელთან მივიდა, ჩამოჯდა.

— აბა, მომიყვით, რასა იქო, როგორ ცხოვრობო?.. — და კოტე ჯერ ერთს მიაჩერდა, მერე მეორეს. — რას ვაჩუმებულხარ, ბიჭო, გამაგონე შენი ხმა:

— რა კარგია რომ მოპრძანდიო! რაზე გვიწყებოდიო? ნუთუ იმაზე, რომ ერთმანეთი გვიყვარს?! — გამოელაპარაკა გივი.

— აბა, მაგაზე ვინ გავიწყებო? პირიქით, ჩემო შეილებო, მე მინდა ერთმანეთი გიყვარდეთ. ვისაც სიყვარული არ შეუძლია, ის უბედურია. თუ გინდათ ბედნიერები იყოთ, გიყვარდეთ ერთმანეთი!..

ორივენი სდუმდნენ. არ იცოდნენ, რა ეთქვათ, რა ეპასუხნათ... მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა... ისინი ერთმანეთსაც არ უცქეროდნენ მორცხვობისა თუ მოკრძალებების გამო.

ზარი კიდევ აწერიალდა.

კარის გასაღებად მაშინვე გაიქცა გივი.

ოთახში პაშა შემოვიდა. ის გაკვირვებული უცქეროდა უცნობ კაცს.

— პაშა, მამაჩემია... გაიცანი, პაშა, მამაჩემია! — ეუბნებოდა ვახარებული თინა.

კოტემ არ იცოდა, ვინ იყო პაშა, ან დეიდა იქნებო, ან მამიდაო. გაიფიქრა კოტემ და ფეხზე ადგომით ჩამოართვა ხელი. როდესაც პაშამ დამტრეული ქართულით რამდენიმე სიტყვა თქვა, საგონებელში ჩავარდა, ვინ არისო და შეკითხვის გამომეტყველებით მიაცქერდა თინას.

— პაშას ხელში ვაიზარდა გივი, ოცი წელიწადია ამათთან ცხოვრობს, ნათესავს ურჩევნიათ!..

— დიახ, დიახ, გავიგე, გავიგე!

— პაშა, სუფრა გაშალე! — დაიძახა გივიმ.

— არა, ნუ შეწუხდები.

— რა, შეწუხდება. ღვინოს რა სჯობია?! სიძესთან მოხვედით, უცხოსთან კი არა. თქვენ დანაშაულად ისიც გეყოფათ, დღემდე რომ არ მოდიოდით. ცუდი სიძე ვარ? რა არ მოგწონთ ჩემი, თვალი მაკლია თუ ფეხი!

კოტეს არ მოეწონა გივის ლაპარაკი და დააქერდა... თითქოს მის სახეზე რაღაცას კითხულობსო, კარგა ხანს ხმა-ამოუღებელი უცქეროდა. არ მოეწონა გივის ნათქვამი და სახე შეეცვალა.

— არც თვალი გაკლია და არც ფეხი... დიახ, არ გაკლია... შესახედავად არა გიჭირს რა... არა გიჭირს რა!..

თინა შემკრთალი შესცქეროდა მამას ყოველ მის სიტყვაზე თრთოდა. მიხვდა, რომ რაღაც არ მოეწონა მამას.

გივის არა სჩვევოდა სიტყვის სიღრმეში ჩაწვდომა. ყურადღება არ მიუქცევია კოტეს ნათქვამისათვის. მან ხელმეორედ შესძახა პაშას სუფრა გაეშალა.

— ავი ვითხარით, ნუ შეწუხდებით-მეთქი, განახეთ და ახლა წავალ! — თქვა კოტემ და წამოდგა. — მშვიდობით, კარგად იყავით, კარგად!..

ქუდს დაუწყო ძებნა. იპოვნა, აიღო და გივის ხელი გაუწოდა.

— კარგი კი იქნებოდა პური გვეჭამა და თითო ლიტრა დაგველია. რა გეჩქარებათ, ხვალაც ამ თვისაა!..

— მართალია, ხვალაც ამ თვისაა, მაგრამ ყოველი დღე ერთმანეთისაგან მაინც განირჩევა... აი, მაგალითად, ჩემთვის დღევანდელი დღე განსაკუთრებული დღეა!..

კოტემ გივის ხელი ჩამოართვა და

ახლა თინას გაუწოდა. მარცხენა ხელით მკერდთან მიიზიდა, თავზე აკოცა და ჩუმად ჰკითხა: „შინ ხომ არ წამოხვალ?..“

თინა ვერ მიხვდა, რა ჰკითხა მამამ და ხმაშეშებული დადგა.

— დღეს არა, მამა, დღეს არა, მერე, ხვალ ან ზეგ, უსათუოდ მოვალ, რადგან შენ ამის ნებას მძღვე!..

— როგორ არა, ნება გაქვს, ნებას გაძღვე, მოხვიდე! — წაიღულღულა და ხელი შეუშვა. შეტრიალდა და კარისკენ გაემართა. ის მიაბიჯებდა, ისე, როგორც კრილობისაგან დაუძღვრებულნი, ღონემიხილი ადამიანი.

კარებამდე მიაცილეს. გივი მაშინვე შეტრუნდა სახლში, თინამ კი კიბეებშიც თვალი გააყოლა მამას და, როდესაც იგი კედელს ამოეთვარა, ოთახში შეტრუნდა. მან პირდაპირ საწოლს მიაშურა. პირქვე დაემხო.

„რა დამართნია საწყალ მამაჩემს! როგორ გამოცვლილა?!.. როგორ ჩამომხმარა!“..

ოთახში ქვითინი ისმოდა.

სამზარეულოდან ბოთლით ხელში გამოვიდა გივი და თქვა:

— საღერდელი ამიშალა... მარტო დავღვე... რანაირი კაცი ყოფილა მამაშენი, მაშ იმას ღვინო არ უნდა დაელია ჩემთან? არ ისურვა! დაე, ასე იყოს. ვნახოთ, რას მოიგებს ამით!—თქვა და ჩაის ჰკიჭა აავსო, გადაკრა და ჰკიჭა ხმაურით დადო მაგიდაზე.

თინა წამოდგა, მიუახლოვდა და აღერსით უთხრა:

— გივი, გენაცვალე, რამე მაინც შეატანე, ცარიელი ღვინო გულს დაგმმარავს!..

— მოკლას ხარი თივამა! — ჩაილაპარაკა თავისთვის გივიმ.

თინა უსიტყვოდ მიაჩერდა გივის სახეში.

ბიოგრაფიული

ბ ა მ კ უ რ ა

გარეგანიდან ვბრუნდებოდით, სანადიროდ წასულები, მე და ჩემი ძმობილი ბათხო. ვერაფერი მოვკალით, ვერც ვერაფერი ვხახეთ. არც არავინ შეგუხვედრია, რომ დაეცინა. — აბა, სად არი თქვენი შველი, ირემი, კურდღელი!..

ხელცარიელები, გატლევლები, მთის იქეთიდან მთის აქეთში მოვჩანჩალებდით. ახლა გზა აგვებნა ბურვილ ტყეში. ცა აღარა ჩანდა. ბევრი წოწილის შემდეგ, როგორც იყო, მესამე დღისით, ტყის ტევრს გამოვალწიეთ და დაბა თეკენას წავადექით თავზე, ბექობზე გამოვსულიყავით. ბექობზე კი გზა შეგვიწყდა, — აქ უკვე სასოფლო სასაფლაო იყო გადაჭიმული ძეძვიან ჯაგნარებში. ქვემოთ იორი აღიდებულებო, დიდწყლობაში — სეტყვა-თავსხმანი აღვრისაგან, ბორანი გაცოფებულ მდინარეს წაელეკა, ბორნის ჭაპანის ნაწყვეტი საბრალოდ ქანაობდა.

უკან ვედარ დავბრუნდებოდით უბორობის გამო, წინ იორი არ გვიშვებდა.

გარიყულებს გუნება დაგვიძმარდა, მძინვარედ გვშიოდა. უკანასკნელი ლუკმა გუშინ შევკამეთ! ბევრიც არა წავგვილია რა შინიდან; ხომ არ ვიცოდით, გზა აგვერეოდა, ამდენხანს დავბანდებოდით ერთი დღით წასულები?

და აი, ახლა, ორ ნაბიჯზე ვხედავდით ველზე გადაჭიმულ პურიან-ლეინიან თევზიან-დუქნიან თეკენას და მისა და ჩვენშუა გველშაბივით გაწოლილი აღვარებული ხეტქების ღვარით მღრინავი იორი კი გვიკრძალავდა შიგ ბიჯის წადგმას, თან მარლკენიწიც არ გვედო წინ,

ლუკმის უპოვარებს! მზეს ვემუდარეთ, ვემეოხეთ, არა გამოვიდა რა...

მუდამ ტკბილად წესამკვრეტელი, ფირუშთვალა, მტრედივით გასუნთქული იორი, ახლა დაძალებული მოჰქროდა, ფეთი დაჰმართოდა, ზღვიერად მოიგრაგნებოდა, ნაპირებს ბასრი ჭანგებით მოჰკაწრავდა; ზოგან ბალ-ვენახი პირწმინდად მოელოკნა.

ეს დღეები, აქეთკენ სეტყვა-ღვართქაფიანი, ელვაწვიმებიანი ყოფილიყო. მთაში წვრილხევეები გაცოფებულებუნენ და ახლა ყიყინით ყირამალა გადმოდიოდნენ იორში! თან კლდეს აგლეჯილი ქვისნათალი სიპები მოჰქონდათ ქვებს მოაქანებდნენ, თითო სახლის ასაშენებლად ლოდსაკიდურად გამოდგებოდა... იორი რალას იზამდა?!

რა გვექნა? წინ ჩამოცხვირული კლდე გვეყუდა. მდინარის უვალი ნაპირყურე, ნალრანტებით, ჯღრედეებით შემოციხული. ხაფანგში მოვემწყვდიენით, ქვეყნის განაკიდეს შევრჩით. შევერთით კიდევაც, იდუმალი შიშიც ვიგრძენით. სევდა, ტლუობა, თავს ნისლის კოტორი დაგვტრიალებდა ჯამუშვივით.

რამდენი ვწყველეთ, გიფი, დამთხვეული იორი, ჩვენი უგუნურობა, მიუხვედრელობა, რომ პირიქითიდან, პირაქეთში, ჩამოვრყუდიით! დაბა თეკენა კი, თითქმის ჩვენ წინ იდო, ჩვენთვის მიუწვდომელი და სანატრელი! ისე ახლოს იყო ჩვენზე, რომ წყალგალმაველთა ლაპარაკიც კი მოგვესმოდა. სამზირალი ზომ კარგი გვექონდა!

— აგერ ყოტი მღვდელი გლეხებს

დაჰყოდა ნიშნის მოგებით, — ხომ დავსეტყვათ, დავსეტყვათო! ეს იმიტომ რომ უქმე დღეებსა სტეხავთო!

ვინმე თამამად მიუგებდა: — შენ საქმის დღესაც უქმად ხარ და... რატომ შენ...

დუქნიდან გამოვარდა თეთრ კიტელში აყლავდა ბოჭაული და ვიღაცას სხა-პასხუბით მიყვარა:

— გაგმუშტავ, მოგჩექმავ, დაგანიავებ!..

მგონი, სილის ტყაცანიც გაისმა!

ლაპარაკი კი არა, წყლის გაღმიდან საქმლის სუნიც კი მოგვდიოდა. არ დიჯერებთ, მაგრამ ზედ იორზე მდგარ ქოჩორას დუქნიდან, ახალი თევზის სუნი გვეცა, დუქნის წინ შედგმულ ვეება ქვაბებს ოშხივარი ასდიოდა, შიგ ნარიყი შეშით თევზს ხარშავდნენ. ეზოში, დაწყობილ ლასტებზე მოხარულ კანარს წყობისად ალაგებდნენ.

თევზის დანახვაზე, სიმშლიმა ორკეცად შემოგვეტია. გადამღრძვალეები, წადიერებით აღგვაგზნო! გავბედეთ, ჩაველით იორზე, გასვლის გზები მოგვეშინჯა, მაგრამ დალაღებულმა ტალღამ ხვალი ლომის ძალით დაგვათხრიალა და უკანვე გვაქცია.

ვისხედით „მდინარესა ზედა ბაბილონისა“ და...

— ჰაი, მოყულებულო ჩარექავ!

— ჰაი, საესე ხონჩავ!

— სად წაუფიდეო?

— სად არი მუხიდური? — ერთხმოვანი წყლის ჩქრო გულს გვიხვრეტდა.

— ახ, რა გემრიელია ივრის თევზი! ზედ წითელი ღვინო! — ცოცხალ თევზს წყალი უყვარსო, მოხარულს წითელი ღვინო! აკი გვეტყოდა მოხუცი ლოკო.

— ახ, ჭინძმარავ, შენ დადაგე ჩემი გული — ნდომით წამოიძახა ბათხომ და თვალი დახუჭა.

— ეს არი და საყენესარი! — დავსძინე მე.

— ტაბაკა რომ გაგიტყებთა, ძვალი რომ ჩაღნება პირში ჩაქვს ინტუქვამ? — შემომჩაჩერდა ბათხო.

— ჯერ ქადისგულა: უნდა ახსენო, მერე ფშაური ხინკალი!

— მსუქანი გელაქნურები? მუცლიანი ზუთხი, ტარადანა! ხიზილაა?

— დედალი ნიორწვენიო?

— ზაქის მწვადები?

— ბროწეულივით გაწითლებული შემწვარი ინდაური?

— თუ ასეა, მოდი, რიგით მოვაყილოთ. დაეთანხმდეთ იმ პურმარილზე, რაც შარძან ზაფხულში, ბაქარიანთ (ჩვენი კუთხის შეძლებულები) ჰქონდათ. მეც ხომ ვიყავი დაპატივებული. აი, მათი სადილის რიგი: ჩინჩირთმა, კუპატები, ფლავი ხოსხით, დურაჯი, მწვადები, კალმახი, ზუთხი, სუკები, ძროხის ბევი ცივად, ზედ მწნილები, საუზმეული, ლობიო, კაპარი...

— შეწყვიტე, შე უღმერთო, გაჩუმი, ცოდვა ვარ, შემბბრალე!

იმუდარებოდა ორი დღის უქმელი, სულმოკლე ბათხო.

მეც დავჩუმდი... მაგრამ მალე თითონ ბათხომ წამოაყრანტალა:

— ერეკლე მეფემ რომ ინატრა, დეკაზე ნახუხი მწვადი და ზედ თოვლის ნაყური? აქ მაინც ჯყოს ის მწვადი და ის დეკა!

ნაყურის გახსენებაზე, ახლა წყალი მოგვწყურდა, პირი გვიშრებოდა, ყელი ამოგვეხაზა, მაგრამ საშველი არსად იყო. ნიაღვარს ვერ შევცვამდით, სასადლაოზე წყაროს წყალს რა უნდოდა? წინ, კი, ნიაღვარიანი ხმოვანსაცხე, ლომდარი იორი მრისხანებით მიიხავთებოდა, მიგრიალებდა, თითქოს მთა აწყვეტილა მიწიდან და შურისძიებული ვიღაცას უკან დასდევნებოდა. მწყურვალები, ისევე საფლავის ქვაზე ჩამოშხდრები, უიმედონი, უსასონი ერთმანეთს და შეეცქეროდით, არაფრის იმედბულნი!



— გვეყო ამდენი შეცქერა, რამე ვიღონოთ! — და გადაეხედე მგელივით ბრძოლებულ ბათხოს.

— რა უხდა ვიღონოთ? რამდენიც გინდა, უცქირე მშობლიურ ტატნობს! სწორედ ჩვენივე უთქვამს ვაჟა-ფშაველას, — სთქვა ბათხომ, სოფლის დუქანზე თვალმიმსკვალულმა.

„გამოდით მე ვარ, გალმა შენ, შუაზე მოდის მდინარე, ხილი არ გვიძვეს წყალზედა, ფიჭვი გვალავს მოუთმენარე, მინდა გავიყო, მაკოცო, შენს სახეს ეხედავ მღიმიარეს, მაგრამ ვერსაით გამოვედ, ამ სატილო მდინარეს!“

— შეშველიც არცინ გვიჩნდება, არც ციდან, ილარც ძირითა...

— დაუშვამტე მე.

მართლაც, უნუგეშო ყოფნა იყო: ჩვენს წინ, მდინარე შავად ინჩქეროდა. იქით დაბა-დუქანი — შემარგო თევზით, ცხელ-ცხელი მწვადებით, წითელი ღვინოთ; აქეთ კი, — სიმშვილი, წყურვილი, სასაფლაო!

ორიგენი მზესუმზირასავით თავჩაჭინდრულები ვისხედით, რომ უეცრივ ბათხომ შესძახა:

— ამას დამიხედეთ! მოგვშიოდა, მაშ რა იქნებოდა, აგერ, თურმე კამპურა გვიყურებს! — და ბათხომ ჯოხი მიადო მოპირდაპირე საფლავის ქვას და ზედ აკი კამპურას სახელი და გვარი იყო გამოკვირული! თან ლექსი ჰქონდა დართული:

„სიკვდილო შე დაწვავილო, უცაბედად მიგდე მახე, პერმარლის ტბილი მამა რა უქმელად დავიმარხე!“

ასე ეწერა საფლავზე, წარწერას აქეთ-იქიდან ქვაზე ამოკრილი შოთი პურები, ყანწი და ხელადა ამშვენებდა.

— თქვენი ტირიმე, რალა კამპურას გამოცხადება გვინდოდა! — დაიძახა ბათხომ და მეც გულიანად გამეცინა.

— მახსოვს, კამპურამ ერთ ჯერზე, ზეზუურად ბიჭა-ბატყანი გაათავა, ბოტატანას სანაძლეო რომ მიუგო? როგორ უყვარდა საკვებელა?

— ერთი ამოსუნთქვით — რომ დაცალა, მეღვარობის გახსოვს? — ბოზბაშს რომ დუშითა და ფილტვით!

— მოიგონე, სანაძლეოზე რო სკამდა, მთელი ცხვარი ზურგთუქან ედო და ზურგიდან ხელებს ატანდა, ისე სკამდა. რომ თვალი არ გამიძღესო! ახლა სად დასახლკირებულა, აქ როგორ უნდა გასძლოს?

მეყანწიშვილი კამპურა (ნამდვილი სახელი—სოლომონი) მეზობელი სოფლიდან, ჩვენი ბავშვობის მოგონება იყო, ჩვენ რომ თბილისში ვსწავლობდით, მაშინ გარდაცვლილიყო და მის საფლავს ახლა პირველად შევხედეთ! დიდქამის მკედარი იყო.

ლობიოს ჯამს რომ მივსაყვარლებოდა ხოლმე: ახ, შე სულის შემტაცებლოო! სიშინდის ფაფა რომ უყვარდა, ღორის ქონით... „შემოგხედე, დაგინახე, დაუდნი ღორიბ ქონივითა“ — ზედ რომ დაატანდა...

— გახსოვს, ლობიოსადმი პიშნს რომ წაეკითხებდით ხოლმე?

— „ლობიოს დაუჯდომელი“? და მშინერმა ბათხომ, თითონვე უთხოვენლად წარმოთქვა ლობიოს დაუჯდომელი, კამპურას რომ ათქმევივნებდნენ ხოლმე, საგანგებოდ:

„პოი, ყოვლად ნოყიერო, გემოთი საამო, ყნოსვის დამატებობელო შეჭამადო სამეფოო, ფასდაუდებელო, ლობიო ქართლისაო! დიდ არს ღვაწლი შენი, წიხაშე ერისა ქართველისა, რამეთუ შენგან იზრდების და იკვებების ქართველი თვითეული, უმეტეს სხვათა საზრდელთა შორის, სიყრმიდგან ვიდრე სიბერემდე.“

„დიდ არს სახელი შენი ივერთა ქვეყანასა ზედა და ხმოვან არს ძახილი შენი! ჩვენ, ყოველნი დადგრომილნი ფერხთა ზედა წინაშე შენსა კოვზითა და ციციხვითა ველით აჩუხჩუხებასა და ამოზელასა შენსა სახმარებლად ჩვენდა და ხმითა დიდითა გილაღადებთ შენ: დიდება მრავალფეროვნებასა შენსა,

დიდება წინწყლებსა ჩუხჩუხისა შენისასა! დიდება ლაბასა წვეწვისა შენისასა! დიდება ქოთანსა, რომლის შინა დამკვიდრებულ ხარ და ძირსა მისსა, რამეთუ ძირი მისი არს ტახტი შენისა ძლიერებისა და ნოყიერობისა!

„დიდება ბუხარსა მაღალსა, რომელმან გიტვირთა შენ, დიდება კეთილსურნელოვანსა ქინძსა შენსა, ყნოსვისა ჩვენისა დამამტკობელსა; დიდება დანაყილსა ნიგოზსა შენსა, რამეთუ არს გვირგვინი გემოვნებისა შენისა!“

„დიდება ჯამსა თიხისასა, რომელსა შინა შთაგასმენ შენ; დიდება შენდა. სამოთხიდან გადმორგულსა, სუფრის მამშვენებელსა ლობიო, შეჭამადო სამეფოო!“

გახსოვს, ამ დაუჯდომელის წაყითხვით რამდენი სადილი და ვახშამი გამოიგდო ჭამპურამ?

— გახსოვს, როგორ სწამდა ჭამპურას: პურადი აკცის სახლში ნაკლული ჭურჭელი ლამ-ლამობით თავისთავად იესება ღვინით!

— როგორ ტანტალებდა დღეობებში, ქელებებში? ახლა გულზე ხელები დაუკრეფია!

— მე მძინავს და ჰღვიძავს სულსა ჩემსა! ვინ იცის, — ამბობს ჭამპურა, — ვინ იცის, რა საჭმელზე ფიქრობს ახლა, მისი დამიწებული კუჭი! — შემომციონოდა წუთით გაპირვება-დავიწყებული ბათხო.

...და მოვეყვით და მოვეყვით ამბები ჭამპურას მაღის შესახებ.

ჭამპურა მართლაც თავჩინებული კაცი იყო! „ჭამპურა“ მისთვის ერქვა, ჭამა უყვარდა და ისიც სხვის სუფრაზე. ჭუნწი არ იყო, მაგრამ არა ჰქონდა რა, რა ეჭნა? გოგზე უარესად ცხოვრობდა სიღარიბის მტვერთადენილი აზნაური!

— ყველა ვინმე კი არ გეგონოთ, ძველი გვიარს ნაკვირტალია! — იტყუოდა მისი ცოლი თებრო, რომელსაც ქმარი გადასახებდა:

— შეშაბანდის ვარდო-ო!

და ბოლოს, რითა სცხუერობდა ჭამპურა-სოლომონი?

ჭამპურა თუ თვითონ გამოდიოდა იოლად დღეობებსა, წვეულებებზე, სხვის ფსონებზე, ცოლშვილს თან ხომ არ წაიყვანდა?

მისი შემოსავლის მთავარი წყარო იყო ის „შავი წიგნი“, რომელსაც ჯალინოზის კარაბადინს უწოდებდა. მათი საგვარეულო წიგნი იყო.

წიგნის ყდაზე, როგორც ბავშვობიდან მახსოვს, გამოყვანილი იყო სხედასხვედროის წარწერები, მინაწერები:

„ხაფილანდრესი ვარ“.

„...არლარა ვარ ხაფილანდრესი, მიპტაცა ტიმოთემ“.

„აჭა ივანე ჭიშხერდიანმა ცხენი მთხოვა, ჩემი ცხენი უკანვე ვთხოვე და მევე გამლახა“.

„ივანე პომპოლიკი მიიცვალა ჩყთი წილს“.

„ერთხელ ვცდი და შევეჯექ ვირსა, გადმომაგდო, დამცა ძირსა!“

„დიდება მამასა და ძესა, რა სჯობია მაწონსა და რძესა!“

„ქალს რომ ქონი მოერევა, საღერღელი აეშლება“

„კორკოტის ქალი ნინა დაიბადა ჩ... წილს, მისის მ-“

„ღმერთო და ტბილო უფალო, პირი სამოთხისაყენ მიყავი მე ცოდვილსა, ანჯარსა, მემროშესა მეღქისიოეკს“ — და სხვა ამგვარნი. ეს შავი წიგნი, ამ სასაცილო წარწერებით, მისი პატრონისთვის უღრიდა ვენახსაც, ყანასაც, ძროხასაც. იგი იყო მისი რთველიცა და კალოც. მართლა, ნატურისთვლივით ჰქონდა ოჯახს. ამ „შავი წიგნის“ წყალობით, ოჯახს უხეად შემოსდიოდა. საზრდო და საწოვაც.

ერთი სიტყვით, გაგეცინებათ, მაგრამ ჭამპურა-სოლომონი სოფლის მკურნალობასაც მისობდა. თავისს მიერ შეთხზნილ თითო ფხენილში, თითო ქათამს მაინც ართმევდა. ზოგი წაპალი ჰქონდა — ერთ ჭმეულ ცხვარათაც არ მის-

კემდა, თითონ ჯალინოზის გამოგონილიათ!

ხალხიც უჯერებდა ჭამპურა-სოლომონს და მისი ძლიერების ხმა შორს იყო გავარდნილი.

მაგრამ ერთხელ, ბეწვზე ეკიდა სოლომონის სახელი:

აღდგომის მესამე დღეს, აზნაურმა ბაშხადუნმა, სოფლის ანგალმა და ენამაკრატელამ, დუქნის წინ შეგროვილ ხალხში, თავისი უკორძო ენით, ასე მიმართა სოლომონ-ჭამპურას:

— თუ მართლა სიბრძნის უფსკრული ხარ, მაშ იხიცი გეცოდინება, თუ როგორ უნდა შეაწყვეტინო ვირს ყროყინი, როცა აღარ დაიშლისო!

ხალხში ფრუტუნე გაისმა. ბევრსაც გაეხარდა ექიმბაშის მახეში მომწყვდევა; ბევრიც საგონებელში ჩავარდა: ვირის ყროყინის შეჩერება ვის შეუძლია? იყროყინებს და იღრიალებს, ვიდრე მოსწურავდეს გულის ნაღველს!

მაგრამ სოლომონს არცა სწყენია, არცა შეშინება. ბაშხადუნსა, პირიქით, გულში თითქოს კიდევაც გაეხარდა!

მან გამოითხოვა ნება შინ ორი წუთით წასვლისა, რის დასტურიც მიიღო.

მაღე სოლომონმა შავი წიგნი ჩამოიტანა, გადაფურცლა, სადაც სანიშნედ ნიახურის ფურცელი ჩაედვა და იქ, ხალხის ვასაგონად, ხმაშაღლა და მკაფიოდ ჩაიკითხა:

„იქნება რომე, კაცის შეჯდომამხედ ვირი ყროყინს დაიწყებს მეტად, იმ კაცმა მოიტანო: შირბახტის ზეთი, ანუ წმინდა ერბო, ჰსცხოს შიგნით, ცხვირის ნესტოსა. რასაც ხანს ის საცხები იმაზედ იქნება, აღარ დაიყროყინებს ნებითა ღვთისათა“. ბაშხადუნე გაშრა და მთელმა ხალხმა შეაქო სოლომონის მტოღინარობა, მეცნიერება.

მაგრამ ბაშხადუნმა მაინც თავი გამოიღო და ექვი დაჰკრა: ვაი, თუ წამალს ვერ გაეჭრა სინამდვილეში! რა უუყოთ რომ წიგნში სწერია, იქნებ ვერ გასჭრას? ეშვს ნაძლევიც მოჰყვა, — სადილი.

მაშინ გადაწყდა: ერთს ამოჩნეულ კაცს უნდა დაეყარა უღებურე სიფრულში იმ ერთად-ერთი ვირისაჲგვის, რომელსაც გლესს ტალეს ჰყავდა, — თუ როდის შეძოეკიდებოდა ვირს ნაღველი და წამალიც მყისვე ეცადნათ.

ამ შეთქმულობას მთელი სოფელი ყურს ადევნებდა დიაკვნის წვერიკენტიას მეთვალყურეობით. დავა იმავე კვირაში გადასწყდა სოლომონის სასარგებლოდ.

ბაშხადუნმა დედის ნახსოვარი ფირუზიანი ბექედი მისცა, სადილის ხარჯად სანაძლეოში, — რაკი ფული არა ჰქონდა, თავი კი არ შეირცხვინა, ხოლო სოლომონ-ჭამპურას ძლიერება კი, დარჩა მტაციე და უცვალებელი!

ერთი სიტყვით, ჭამპურა პურმარლის ქურუმე გახლდათ, მთელს ხეობაზე განთქმული! უყვარდა ჭმეულობა, სმეულობა, მაგრამ ფსონსა და მამითაღებს ერიდებოდა!

— დალიე, სიკვდილი გვერდით გვიხის! ეტყოდა ჭამპურა თანამესუფრეს. დალიე, რა არი ჩვენი ბოლო? — მტერიანი მიწა უნდა ავშალოთ!

— ვჰამოთ, ვსვათ, ცას ზომ არ გამოვეკერებით, თუ გიყვარდე! — ყოველს წინადადებაზე აუცილებლად დაატანდა „თუ გიყვარდეს“-ს „მოდი, მაყოცეს“-ს.

— ჭამე, ჭამე, ვჰამოთ, ჭიანჭველაც კი თავისი მუცლისთვის იბრძვის. გადილე, ეს ჭათმის კურტუმე, ძალიანი ნაჭერია, თუ გიყვარდე! — შემოგთავაზებდ. თეფშით, მაგრამ სული წაძლევედა და გზად, შენზე უშალ თითონვე აიღებდა იმ შემონაძლევე ნაჭერს.

— ჭამე! არ ვარგა ურგები კაცი, სუფრის ზარალი! მოდი, მაყოცე!

ვიწრო წრეში სიმღერებიც იცოდა სუფრაზე:

„ზღვაში გემი არა რჩება,
სული გვამში არა რჩება,
ნება სიკვდილს ვინა ჩივის,
საუვარელო სხვასა რჩება?“

ან კიდევ:
„სადღევრძელო მისი იყოს,
ვისი გულიც ვისთან იყოს!

ადღევრებელს ის ბუღბუღა,
 რა ბუღბუღოც ვარდზე ხარობს;
 ის ვეფილიც ადღევრებელს,
 რა მუხალეც ბაღზე ხარობს;
 ის ვეფიციც ადღევრებელს,
 რა ვეფიციც ჭაღზე ხარობს!

ნაზი და გუნებებიერი მკამელი იყო
 კამპურა! სულაც არა ჰგავდა ღერენას,
 ქვაბობრივ რომ სჭამდა ხინკალს; არც
 ყარტიას, რომელსაც დღეს რომ ცო-
 ცხალი ყოფილიყო, „სუფრის კომბაინს“
 შევიარქმევდით; არც გოგრაჯას, ყაყანი-
 და ყრიალით რომ უყვარდა კამა-სმა!

ულვაშის მწყაზვრითა და წყებით გე-
 ტყოდა კამპურა:

— მიყვარხარ, მეტი რა გითხრა! თუ
 ხატში წასვლით ცხონდება, კაცი, განა,
 კაი სუფრის გაშლით უფრო არა ცხონ-
 დება?

— ერთი, შენს ქვევრს გაუტახოთ
 თავი, სისხლი მოიდვაროს! — ეტყოდა
 კამპურა, კარგი სუფრის მოლოდინით
 დაღლილი, — მოდი, მაკოცე, თუ გი-
 ყვარდე!

— რას შერებები, ძმაო, განა მარილი
 არ აგებირდა აქამდე? — და როცა დამ-
 პატივებდნენ, ჯერ თავაზიან მაღლო-
 ბას ეტყოდა, მერე დაატანდა, — მოვალ,
 მოვალ, ხელადას ძირს არ დავცემ! ისე
 ვიქვიფოთ, რომ შენი ქვევრი მოვა-
 შრალათ; მოდი, მაკოცე, თუ გიყვარ-
 დე!

სუფრაზე უფროს-უმცროსობა უყვარ-
 და:

— საღვინე წინ დამიდგი, სუფრის
 წინ დამიმწკრივე ლავაშები და შოთე-
 ბი! — მშვიდად ეტყოდა დიასახლისს.
 ახლა მასპინძელს მიპმართავდა:

— კიდევ ჩამომისხი ნამი, გენაცვა,
 მაგ შენი ტკეპორიდან! ჯამი რომ წით-
 ლად ეღვარებს, გულს შემინათებს
 ხოლმე! — ხელში დაიჭერდა ჯამუ-
 რას — ამ ჯამზე გაგიმარჯოსო!

— დამისხი, პეი, მეჯამევე, მეხელად-
 ევ, ღვინის მოლარევე, პატივდებულო
 კაცი! ჩემსავით ვინ არი დამლევი? და
 როცა კმაყოფილი იყო დახვედრით, ან

კაი ღვინით, სახეგაბადრული დასდგამ-
 და გაცილილ ჯამს და იტყოდებოდა ღვი-
 ნოა, სწორეთ მზის თვალსაქვეშ მწყა-
 ლილი! — გაიხაროს შენმა მამის გეარ-
 მა!

— მოშენდეს უბე დედაშენისა! —
 მიპმართავდა მასპინძელს.

კამპურას, არავითარი სხვა რამ არ
 ადარდებდა, გარდა იმისა, რომ მყუდ-
 როდ ესვა და ექამა. დიდი, კაცმრავალი
 სუფრა ტყრაშითა და ტყრიალით არც
 უყვარდა. წუთია წუთისოფელი, წუთის
 წებოთი იწვებო! — ეს აფორიზმი ეკე-
 რა პირზე და განა მართალი არ იყო?

ფაქიზიც იყო კამპურა, სუფთად
 ჩაცმული, მუდამ წვეროპარსული,
 შავს ჩოხა-ახალუხში ზამთრობით ტყავ-
 ფარაჯიანი, ოდნავ შეჭადარაგებული.
 დაზვიანული, ბრგე კაცი. ყველას საყვა-
 რელი, ტკბილი და მოხატრე. უმართლე-
 სი იყო, სძულდა პირუტყუმარიტობა,
 უპირული ქართული:

— ღმერთო, ნაწილის გამჩენო, — ასე
 დაილოცებოდა ხოლმე დილის საუზმე-
 ზე, პურს რომ გასტებდა ჩვენსას, ზედ
 რომ სავალდებულო დილის არაყს და-
 აყოლებდა.

— კაცი პურადი უნდა იყოს, ნადიმ-
 ნათელი! — ეტყოდა ხოლმე მამაჩემს,
 ჩვენს სუფრაზე. ეს იყო მისი მთავარი
 ნამცნები!

და შეექცეოდნენ წმინდა პურს, ტა-
 ბაკას, მწვადს, თითო ხელადას დააყო-
 ლებდნენ და წავიდოდნენ თავთავის
 საქმეზე, სალუქმპაპრო შრომაზე, უწ-
 ყინარად, უზრუნველად, მართებუ-
 ლად, — პურტკბილობაში შეტკბობი-
 ლები.

— უმეგობრო კაცი ხომ ავადმყოფია,
 ბოროტი აგებულებისაა, რა უნდა გა-
 იხაროს საცოდავმა ამ ქვეყანაზე, სწო-
 რედ ფიქციით დადნება! — ეტყოდა
 მამაჩემი.

კამპურაც თანხმობის ნიშნად თავს
 უკანტურებდა:

— აბა, ის რა კაცი, ვინც ლხინით
 არ მოსჭამს საწუთროს!

— თუ გიყვარდე!

— ჰამა-სმა რა ბედნაა, თუ შეგო-
პარმა შეგობრის გულში არ ჩაიხედა!
იტყოდა ჰამპურა და ზედ დაატანდა —
„თუ გიყვარდე“ — „მოდი მაკოცე“ —.

ჰამპურა გულსავეც კაცი იყო, სხვის
სახლში სტუმრის დიდათ სტუმართმო-
ყვარე! ისე აღტაცებით მიიღებდა თი-
თონ სტუმარი სხვის სტუმარს, სულ ფი-
ანდაზად გაეშლებოდა, — ფიცხად საჰ-
მელებს მოსთავაზებდა ზრუნვით. ამა თუ
იმ ნაჰერსაც ურჩევდა, საყვედურსაც
ეტყოდა მასპინძლის მაგიერ. — ამდენ
ხანს რად დიგვიანეო! და საერთოდ, —
რად დავგივიწყეო!

— ისე ვაგვიხარდა ჩვენ, შენი მოსე-
ლა, როგორც ყინვაში დამზრალს თბი-
ლი მზე!

— ვინ „ჩვენ“? გულში იკითხავდა
გაკვირებულნი სხვისი სტუმარი.

მართლა, ჰამპურა ისე ირჯებოდა,
თითქოს ამ ოჯახის გაუყრელი მოწილე
ყოფილიყო!

— მოხვალე ქნა კი სტუმრისა,
შინ წასელა წესიმე არ იყოს,
ღინოს ვაჰქონდეს ლილიოც,
ვათევებიომე არ იყოს!

დაატანდა ზედ საყვარელ ხალხურ
ლექსს, მერე ორივე ხელს გაშლიდა და
სტუმრებს მიმმართავდა:

მოხვალთ, გვალაღებთ მოხელითა,
არ მოხვალთ — მოლოდინითა;
არ მოსულიყავთ, მოგველაღა
უნახველობა თვალთა!

— სწორე არ არი, თუ გიყვარდე?
მოდი, მაკოცე! — ეტყოდა ჰამპურა მას-
პინძელს, და ისიც დაატანდა:

— დიამც, დიამც!..

ჰამპურას ასეთი ფუჭი ლაპარაკი ანუ
ფულურსიტყვაობაც უყვარდა და ასეთი
შეკითხვებიც იცოდა, მაგალითად:

— მაშ, დელამუტი არ გიჰამია? არც
იცი რა არის დელამუტი, თუ გიყვარ-
დე?

— საჰმელია, მერე როგორი! ძროხა
რომ ხბოს მოიგებს, მაშინ მოსწყველიან
ხსენს და იმისას აკეთებენ. აადუღებენ

და მოყველდება. მერე, მარტოს დაყ-
რიან. იცი, რა გემრიელია? **მეტი**
კოცე!

— მაშ, დელამუტი არ გიჰამია, ჩაიქ-
ნევედა ხელს გაკვირვებითა და ქოთქო-
თით, მერე ისევ ხელებს გაშლიდა და
ისევ გაოცებული შეგვეკითხებოდათ:

— მაშ დელამო არ იცოდი რა იყო;
აბა, რალა ქართველი იყავი? მოდი, მა-
კოცე, თუ გიყვარდე!

— შენ გეტყობა სიმინდის ღურღუ-
ჰაც არ გეტკონინება!

— არა, არ ვიცი — ეგ რალა ხილია!

— მაშ, რალა გელაპარაკო, რა მოც-
ლილი კაცი მე მნახე? — და შემოგხედაე-
და აღშფოთებული შენი უქვიცობით.

როცა მოიკითხავდი, შეკითხვაზე —
როგორ მოისაძლისებთ, როგორ ბრძან-
დებით? — გაზვიანული ჰამპურა აღერ-
სიანი კმაყოფილებით გიპასუხებდათ —
შუახორცათ, შუახორცათო!

რაკი ლაპარაკი ჩამოვარდა ჰამპუ-
რას კარგა ბრძანებაზე, ისიც უნდა
ეთქვა, რომ ჰამპურას აღმდგრველ მყუ-
დრო ცხოვრებას დადი ქარიშხალი მოჰ-
ყვა, — რეგოლუცია. ქვეყანა აირია,
მყუდროება მოისპო, თბილი ბუნებები
გაცივდა, დადგა „დასაქცევი დრო“
სიმშვილობა ჩამოვარდა. მჰადი დასანა-
ტრელი გახდა და ლობიო. ვის ეცალა
ჰამპურასთვის? პატივი მოაკლდა შინ
და გარეთაც; ყველა თავის კვერცხში
წიოდა. ჰამპურამ ვერ აიტანა ამდენი
უპატიურობა, ამდენი დაუპატიებლობა,
ერთ დღეს. უცნობლად ავად გახდა, მე-
რე უცნობელადვე გარდაიცვალა და
უსახელოდ დაიმარხა...

ასეთი იყო ჰამპურას ბოლო...

•
•

— ახ, დელადუნტის ძირი მაინც იყოს!
ლამის არის, ძირხვენა მოვთხარო! ყინ-
ტორა მაინც იდგეს ამ სატილოზე,
იოლას გამოვიდოდით! — გმინავდა ბა-
თხო.

— გვეღირსება კიდევ პირის ახს-

ნა? — ვფიქრობდი შეწუხებული, ყუაზე მიმდგარი.

შეუმჩნევლად, ჩვენი სულის მწყობრი დაირღვა, გულის სატიკვარი გაგვიარჯლდა! დაკორძილმა, პილილიანმა, გამძვალეზულმა სიტყვამ გაითამაშა ჩვენს შორის, ცეცხლის წამკიდებელმა შიმშილმა ერთმანეთს გადაგვეკიდა ორი ძმობილი! ერთუროს ვმარავედით; ერთმანეთს ვაბრალებდით უაზრელ ნადირობას, ულუკმით დარჩენას და ეშმაკის სიბრყველს. ცხარედ ვიდექით ორთავენი. ერთმანეთს თვლებში ვეჩხვლიტებოდით, ერთუროს სიტყვას გავიკმარებდით.

— ეგ იყო შენი ნაბჭობი, თავებრავ!

— აი, სად მოგვიყვანა შენმა სიბრძნემ, თავებრავ!

— ნუმცარავ!

— წინამასწარავ!

— ჩიტის ჭკუევ, როდის იყავი თვალსაზრიანი? ვის რათ უნდა შენი ფეხმოკლე აზრები?

ნათხევარი, გულის ნალარღალი წამოვიდა... სახეზე აღმური წაგვეკიდა. აკი ერთმანი ვიყავით? რწყილის დედასავით ვბზუოდით ორივენი, ტუნაბზუკულები ერთმანეთის მუქარაში. უიმედონი, ვისხედით საფლავის ქვებზე და ველოდით, წყალცოტაობას, მკერდსავსე მღინარს დატოტებას. თან ჯავრი მოგვდიოდა ჩვენს ვითარებაზე, თუ როგორ სულელურად მოვემწყვდეოდით: ჯავრი მოგვდიოდა იორზე, რომელიც ჩვენს წინ გაწოლილიყო გველესაბივით და არ გვიშვებდა სოფელში; ჯავრი მოგვდიოდა გადასწევარ. გამოხუნებულ მიღამოებზე. რამ გაახრიოკა ტიალი? და შენატრებულები ისევ შორიდან ველამუნებოდით წყალგალმა მღებარე დუქანს, როგორც მორწმუნენი — წმინდა ტაძარს!

თავქვეწამდინარი წყალი ხუოდა, დგრილებდა...

ჰამპორა კი საფლავის ქვიდან გადმოგვეყურებდა, თითქოს ნიშნის მოგებით: მანამ ვიყავ ვჰამე და ვსვი, თქვენ

კი შიმშილით იხოცებითო და გეაბრალებდა, გვებენდა თავისი სწორეზულგერი მადით, საკმლიანი თავგადასვლით და ერთხელ ისიც მომესმა, ჰამპორამ ჩვენზე ჩაიხითხითა.

— ჰამპორავ, გვიშველე, გარდმოვლინე ჩვენზედ პურდვინო! — შეეძახე ვითომ და ხუმრობით, მაგრამ ბათხოს სულაც არ გაელიმა, მუცელზე ხელი მიიჭირა, თითქოს ტყვიელმა მოუარაო.

— დაედნი, დავიღვარე, გავთავადო! — და მწარედ დაიგრიხა.

მე შევშინდი...

— მიშველეთ, ქრისტიანებო! — იხლავნებოდა ბათხო.

— რა დავემართა ძმისავ! — ტვიდან თავს წამოგვადგა დაღრუბლული ბიჭი, ამირანის თვალებით, ჩვენი ძველი ნაცნობი „ქორია“ მხარზე ჰრელ-ხურჯინ აკიდებულა.

— არ გასტყდეთ ქართვის შვილებო, არავინა სოქვას, გავტყდითო!

ეუამბეთ ჩვენი შიმშილანი თავგადასავალი.

— ახლავე! — და ქორიამ ჩამოიღო ხურჯინი; მალე ახსნა ხურჯინის თვალს თასმები, ბაწრები, მერე მიწაზე ღვინისფერი ბაღდადი ფრთხილად გაშალა და ზედ დააწყო: ჯერ შავგვრეშანი შოთები... მაშინვე გლემურჯივით ვეცით პურს...

— დაიცათ, ვაკებო, დაიცათ! მადა შეინახეთ, — მოგვამახა ქორიამ და წინ დაგვიწყო: ნახუქები, მოქარშული კვერცხები, ორი სავსე დედალო... მერე ტიკპორა წამოსვა სუფრის თავზე, ახლა უბიდან ხის ჯამურა ამოიღო და ღვინო ჩამოგვირიგა.

უცხადებულესად ვხედავდით ყოველივეს, ლუკმა დაგემოვნდა პირში. მაინც არა გვეჯეროდა! ვფატრავდით, ვბლენდით დედალს, პირს ვიტენიდით, მაინც არა გვეჯეროდა; ღვინით გულს ვიგრილებდით, მაინც არ გვეჯეროდა!

ბათხომ ამოისულთა, მეც!..

წარმოსადგენია რა შესახედავებიც ვიქნებოდით?!

როგორც იყო, ვიგრძენით ქირმორ-
ზენა, გულზე ვარდი გაგვეშალა. ყოვე-
ლივე სასწაულად მივიღეთ. იმას კი არ
ვფიქრობდით, რომ ქორიას პერმარული
შეიძლება ნაქურდავიც ყოფილიყო.

ბავშვობიდანვე ხელშინაური, მუცე-
ლა ქორია ახლა განთქმული ქურდი
იყო, — „მგლის მუხლსაც“ ეძახდნენ,
„ჩამოხეთქილ ზევისაც“, „შეშაკის სახ-
ნისსაც“, „ძუძუნასხლეტსაც“!

ჯერ კიდევ ბავშვი იყო რომ გამო-
უთქვეს:

ვენახის ვაღმა დამარხეთ,
ხილი არ მოიპაროსაო.

ჩვენებური დედაკაცები გაცხლებუ-
ლი გულით სწყევლიდნენ:

— აი, მიწამ კი ჩაგჩიქნოს მალე!
შენ კი გაგებაროს წამალი! შენ კი მოი-
შალე მადლისაგან! — ლეგა მგელო, უნ-
და ფიცარზე გაგაკრას კაცმა და სულ
შამფურებით დაგზვრიტოსო, შე დაყ-
როლებულო მძროო, ყომრალ სული-
საყო.

ერთხელ, ქორიამ თავი მოიშვედარუ-
ნა, მოინდომა სოფლის სიფხიზზე დაე-
ძინებინა, ქალაქში მიედივარ სამუდა-
მოდაო, მუზობელი დედაკაცები ასეთი
სიტყვით აცილებდნენ გამომშვიდობე-
ბისას: წადი ჭირში და სიკვდილში! სა-
დაც წახვიდე, სულ შავითა და ბნელით
იარეო!

რის ქალაქი! ქორიამ იმავე ღამით კა-
შეჩების ხრო წაასხა; ძლივს დააყრევინ-
ნეს!

აი, ვინ იყო „ქორია“ ჩვენი უუსა-
სოესი მასპინძელი, — თავცეცხლა, მიწი-
შწვარა, ძირუბოვარი ქვა! რამდენჯერ
იჯდა ცხენში, მაგრამ ამაო!

დახეთ, ჩვენ მისი სტუმრები გავხ-
დით, ის — ჩვენი მასპინძელი შეიქნა!
საიდან მოდიოდა ამჟამად ქორია, სად
მიდიოდა, ვინ უწყოდა, განგების გარ-
და, საიდან შევიტყობდით? არც გვეკი-
თხებოდა; არც იმოდენა ღონე შემოგვ-
რჩენოდა, რომ გამოგვეძალა მისგან,
რას გამოტყუებოდა ათას თოკში გა-
მოვლილი ქურდი!

„ქორიას“ ბავშვობიდანვე ვიცნობდი.
პატარა ქორიას ოცნებაა ~~მამამდამდე~~
ჰამა“ იყო. ქვრივი დედაკაცი ~~შეშაკი~~
ჰამას დანატრებული, ახლა მტერის ამ-
დენი მტაცებელი გამხდარიყო. ულვაშ-
შემოყრილს თავისი საწადელი შეესრუ-
ლებინა, ახლა უკვე თითონ შეეძლო
სხვისი დაპატიყება და აკი ლუკმა მო-
გვიწუნწურუქა კიდევ, ამ მაწუნწარამ,
შე და ბათხომ რომ ძმად შევისადარეთ!
გულზეა დავეკარგეთ და ნებისა მნე-
ბებლობა!

რამდენჯერ გაგვივილ ეს. გაგვილან-
ძლავს, ზიზლით პირიც აგვირიდებია
გზაზე, ოჯახისა, გვარისა და სოფლის
შემრცხვენლისთვის, ახლა კი, ყბაგამო-
ტენილი ბათხო ქლარცის ენით გუნდ-
რუქს უქმევდა: აი, შე უტოლო, უება-
როო; აი, შე ოქროს ნათალო, ოქრო
ხარ, გამოწონილიო! ეუბნებოდა უქვე-
მოესი გრძნობებით.

მეც ტბილსა და ზეშეფრქვეულ სი-
ტყვებს ვხარჯავდი და არც უიშისობა
იქნებოდა! სხვაფერობა იყო, მაშ, რა?

ერთი სიტყვით, ეს ცუდსახელა, მიწის
დამამძიმებელი, ეს ქვეყნის ამამტუტე-
ბელი, გამაწყალებელი კარგად დავბას-
მეთ, — სიკეთის კაცად გამოვიყვანეთ.
ერთმანეთისობას შეგვირდით; ძმად შე-
ვიყარენით! — სახელდიდება შენ, ჩვენ-
ო გულისძმავ, გადაგვარჩინე და ეგ
არბი! მადლობა გადაგვხადოს, ჩვენც
შენი შემმატებლნი და დამსარგებლნი
ვეყოფილიყვნეთ სიტყვის გარდაუ-
ალად! — ვიძახოდით ჰამა მოჯერებულე-
ბი და თან გულიანად ვიღმურძლებო-
დით ორი დღის დამშეთლები. დვინო-
საც წურბელასავით მოვეკიდენით!

რას ვიზამდით! ქორიამ მარჯვე მიზე-
ზი გვიშოვა, ხელთ ჩაგვიყარა, დაგვი-
ძმაკაცდა!

და ასე უსირცხვილოდ ესვამდით
მქონებელ ქორიას სადღეგრძელოს, ვუ-
სურრებდით გამარჯვებას (ალბათ, ქურ-
ლობაშიც!) და თითქოს ვერც ვამჩნე-
დით, თუ რას ჩაედიოდით.

სიკეთის მოჩემარი ქორიაც იფერე-

ბლა: პურადი კაცი ქვეყანაზე არ დაილევია! მოყვარესთან ძღვენი მიშქონდაო, მაგრამ თქვენზე უკეთესი მოყვარები ვინა მყავსო?! მოყვრებადაც კი გავიხიხიდა!

კმაყოფილი ბათხოც დასძენდა: აი, ამას პქვიან მოყვრობაო!

ქორია გვეკითხებოდა: ერთი მითხარით, ვინ უფრო მეტია, პურადი თუ გულადიო! თვითონვე გვიპასუხა: პურადი კაცი მეტია! გულადობა გაცვდებო, პურადობა დარჩებო! პურადი კაცის სახელი შეილიშვილს რჩება სახელადო! მართალი იყო ქორია, აკი ხალხიც ასე ამბობს!

მალე დაეღვინიანდით...

ქორია განაგრძობდა, — გვეჯერებოდეთ ძმებო, ქვეყანაზე კაც კაცი არ დაილევია! — თავის თავზე ამბობდა ჩვენი მხსნელი, აკი პურადის სახელი დაითავისა, ჩვენც გულაჩუყებულებმა ეს ქურდი, გაწუწუებული ბაცაცა, ეს მანე, ეს მგლის კბილი, ეს ხეძგერა, ეს მიწის ლუკმა ყველაზე ძვირფას ადამიანად ვიწამეთ ახლა დედამიწაზე!

— აყვავდეს ყოველი ბალახი, თითოეულმა ხემ იმსხმოიაროს, გაიხაროს კაცის გულმა, მოკვდეს ავგულა, სოცცლობდეს პირტკბილი და პურტკბილი! გაუმარჯოს იმ გულს, ვისაც უყვარს ყუათიანი, მარტივაცხელებული ლუკმა, კეთილი გულით უჭირავს ჭრელი საღვინე!

— მაშ ქამპურას გაუმარჯოს, ქამპურას! — თითქმის ერთად შევძახეთ მე და ბათხომ და ქუდები მაღლა შევისროლეთ ნაღვინარებმა. უეცრივ ბათხო

ქამპურას საფლავის ქვაზე შედგა, დონჯ შემოყრილმა წარმოსთქვა, ეს კაცი იყო, ვით შეპფერის კაცსა კაცობაო! და ერთი დიდი ჭიქით ღვინო ქამპურას ქვას გადასხურა.

ვიგრძენით ქამპურა საფლავში შეინძრა.

— დაიტრებდეთ მარნებო, გაუგზავნოდეთ ნამსაო; იგლოვეთ, სამზარეულნო... — ვალექსებდით ქამპურას.

განა ჩვენ კი ქამპურები არა ვართ? ქამპურას რაღას დავცინით; ორი დღის შიმშილი ვერ ავიტანეთ! — შევწყვიტე დაცივნა.

— ყველანი ქამპურები არა ვართ, განა? — ხითხითებდა ბათხო, კინლამ ქათმის ბარკალი არ გადმოეარდა პირილამ.

ატყდა ერთი სიცილი, ჩანჩხარი... ღვინო საყელოზე ჩამოგვესხა. ჩვენსა, ქორიას და ქამპურას შორის ზღვარი წაშლილიყო.

ქორია ღიმილით შემოგვეყურებდა. მერე ასწია ხელთ შემორჩენილი ჯამი და... ხარჯი ხარჯიო, ქამპურას გაუმარჯოსო!

— თქვენც კაც ქამპურები ჰყოფილხართ მე და ჩემმა ღმერთმა, ქამპურას თავმოწაფენით! — გვითხრა ალერსიანი ბუმრობით და გადალიცილიცებული ჯამი გადაიწურა.

იორიც, თუკენას დუქანიც, გულამღვრეული ღრუბელიც სულ აღარ გვეკითხებოდა.

ქორია საძილისკუდედ მწვადებსაც გვიპირდებოდა...

ბათხო მთლად ჩაღვია ღვინოში...



პირი სვამაური

უკეთუ გაცთუნებდეს...

1

ცოტნე მოულოდნელად დაბრუნდა ტიან-შანიდან. თბილისში გადაუღებელი საქმეები ჰქონდა და მთამსვლელთა ჯგუფს გამოეყო, რამდენიმე დღით დაასწრო ჩამოსვლა.

დედამ საშინელი ამბავი დაახვედრა: უშმაზე დაღუპულიყო ჯაბა, ცოტნეს მეგობარი.

ცოტნე ერთხანს თავზარდაცემული იდგა. დედის სიტყვები აღარ ესმოდა. მერმე თითქოს თვითონაც უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ უეცრად უჩვეულო სიციარეღე იგრძნო. ისიც იგრძნო, აქამაღ არაფერი ჰქონდა სათქმელი. ერთადერთი, რაც შეეძლო, ყვირილი იყო, ისიც თუ ხმა ეყოფოდა და არ ჩაუწყდებოდა.

— შენ ვერ მიხვდები, — განაგრძობდა დედა, — რა გადავიტანე. უცებ მომეჩვენა, შენც დაგკარგე... მაშინვე გავიქეცი ალბიურ კლუბში. შეშინებულნი, გაფითრებულნი მორბოდნენ მთაში წასულთა შობლები, ნათესავეები, ძმები, დები, მეგობრები. ყველა თავისას კითხულობდა, ყველა თავისას დაეძებდა... მერმე ყველა ჯაბას ტიროდა, რადგან მის მეტი დაღუპული არავინ იყო...

— როდის დაიღუპა?

— ამ ოცი დღის წინათ დავასაჯლავეთ.

— მაინც როგორ დაღუპულა?

— სულ უაზროდ. კლდიდან მომწყდარა.

— დაუჯერებელია. ეგ რაღაც ზღაპარია ჰგავს. გამოუცდელი რომ ყოფილიყო, მაშინ კიდევ დაიჯერებდა კაცი.

ჯაბასთანა მთამსვლელი მეორე არ იყო...

— ამიტომ გითხარი, უაზროდ დაიღუპა-მეთქი.

— საწყალი ბიჭი.

ცოტნე სკამიდან წამოდგა. დაფიქრებულმა ოთახში უმიზნოდ დაიწყო სიარული. „საწყალი ბიჭი. — გაიმეორა ფიქრში, — საწყალი ბიჭი“. სინანულის მსგავსი ღიმილი -ვაუჯრთა სახეზე. რამდენჯერ უვლიათ ერთად ქარ-ყინვაში. გრივალში, მებთა ტეხაში, ყინულის კედელზე მიკრულებს ღამეები უთევიათ! ცოტნეს გაახსენდა, როგორ ათრია ერთხელ ჯაბამ პამირზე... ჯაბა რომ არა, შეიძლება, ცოცხალიც აღარ ყოფილიყო ცოტნე. ახლა კი მეტი ველარაფერი თქვა... „საწყალი ბიჭი“.

ეს იყო პირველი მახლობელი ადამიანი, რომელიც ცოტნემ დაჰკარგა. აქამდე თითქოს უცხოები კვდებოდნენ, თავისი თუ მეგობრების შორეული ნათესავეები ან ნაცნობები. ან ისინი, რომლებმაც თავის ერთხელ თუ ორჯერ ქუჩაში მოუკრავს თვალი, ან უნივერსიტეტში შეხვედრილი... „აა, როგორ არა, მახსოვს... საწყალი“... იტყოდა და, ეს იყო და ეს.

მაგრამ ერთხელ... მგონი პირველ, თუ მეორე კლასში იყო მაშინ... სიზმარივით აგონდებდა, როგორ დაამწყვრივეს ბავშვები, ჩააყენეს რიგში და მიიყვანეს ერთ ეზოსთან, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა... ვილაყვები ტიროდნენ, თავს იკლავდნენ. ორ-ორ ბავშვს თითო უზარმაზარი გვირგვინი მიანჩენს, ვილაცას თანაკლასელის გადიდებული სურათი დააკავებინეს და მერმე გზას გაუქვენეს... ბავშვებს მოსწყყინდათ ასე დინ-



ჯად სიარული. გვირგვინებიდან ყვა-
ვილებს ამრობდნენ და ერთმანეთს ეს-
როდნენ. ცოტათი გამზიარულდნენ, მაგ-
რამ მასწავლებელმა რამდენიმე ბავშვს
ჩემად აუწია ყური და დატუქსა... და-
ლილები, არაქათგაცლილები მიდიო-
ნენ დიდხანს. გზა აღარ ილეოდა. თან-
დათან დამძიმდა გვირგვინები და ბალ-
ლები ველარ ერეოდნენ... მერმე გადიო-
და დღეები. თანაკლასელი სკოლაში
აღარ გამოჩენილა. სულ ეგონათ მოვი-
დოდა, მაგრამ აღარ მოსულა. მერმე
ბავშვებსაც დაავიწყდათ და აღარასო-
დეს უფიქრიათ, მოვიდოდა თუ არა...

— რატომ არ მაცნობებთ ჯაბას და-
ლუბა? — ჰკითხა დიდი ხნის დუმილი-
შემდეგ ცოტნემ.

— ასე მირჩიეს, შვილო... ალბიურ
კლემშიც ასე გადაწყვიტეს.

— სისულელეა! მე უნდა მცოდნოდა.
აქ უნდა ვყოფილიყავი!

— მართალია, შენ აქ უნდა ყოფი-
ლიყავი.

— მართო წამოვიდოდი... სულ მარ-
ტო... — ცოტნემ ჯიბეები მოიხსრიკა.
სიგარეტი ამოიღო და ცეცხლი მოუკი-
და. ღრმად მოქაჩა და ისევ დედას
მიუბრუნდა. — აქი წელს არ აპირებდა
მთაში წასვლას? ხომ გახსოვს რამდენი
ვეხვეწე და ვერ დავიყაბულე.

— არ აპირებდა... ძალიან კარგად
მახსოვს, არ აპირებდა.

— როდის გადაიფიქრა?.. ან რატომ
კადაიფიქრა? — იკითხა ცოტნემ, თან
გუნებაში გაივლო: „ძალა უნდა დამე-
ტანებინა, ძალით უნდა წამეყვანა... ჩვენ
ერთად არ გავვიპირდებოდა“.

— მე მგონი, — გაუბედავად დაიწყო
დედამ, — სოფიკოს ამბავმა გადააწყვე-
ტინა.

— რა დაემართა სოფიკოს?

— არაფერი... ქუჯის მიჰყვება ცო-
ლად.

— ქუჯის?

— ქუჯის... თქვენს მეგობარს... ჯა-
ბას დალუბამ შეუშალა ხელი, თორემ...

— მერმე დათუნა? — გააწყვეტინა
ცოტნემ.

— რა, დათუნა?

— რა და დათუნა!

— არ ვიცი, შვილო, რა დათუნა...
რაფერი გავიგე.

ცოტნემაც ვერაფერი გაიგო. გოგ-
ნებული დაეშვა ტახტზე და უაზროდ
ბიაჩერდა დედას. ჯაბას დალუბვა ისე
უეცარი არ აღმოჩნდა მისთვის, რო-
გორც სოფიკოსა და ქუჯის ამბავი.

— წასვლის წინ ჩვენთან შემოიარა
ჯაბამ, — განაგრძობდა დედა, — ამ
სავარძელში თითქმის მთელი საათი იჯ-
და უსიტყვოდ. ვახშამი შევთავაზე, უა-
რი მითხრა. ბოლოს როგორც იყო, მო-
მიბრუნდა და მკითხა: „გაიგეთ, დედა
ნინო, რა ჩაიძინა ჩემმა დაიკომ? დამი-
ჯერეთ, არ ვიცოდი. ვერც კი წარმოვი-
დგენდი, თუ კი ასეთი რამ მოხდებოდა.
დათუნას ველარ ვუყურებ თვალებში...
ან რა ვუთხრა ცოტნეს, როცა ჩამოვა?“.
მე დამშვიდება დავუწყე, მაგრამ ქუ-
რადლება არ მომაქცია. ადგა და წავიდა.
არც კი დამეშვეილობა, ისე წავიდა.

ცოტნეს სახე დაეკვიმა. სწრაფად წა-
მოდგა და კარისკენ გაიქრა. ღია კარი-
დან დედას მოხედა.

— დათუნასთან წავალ, დედა.

— დათუნა თბილისში არ არის, შვი-
ლო... წავიდა...

— სად წავიდა?

— გიგამ მითხრა, სადღაც, კახეთში
გზის მშენებლობაზე მუშაობსო.

— გიგი ხომ თბილისშია?

— აქ არის, თბილისშია.

— მაშინ გიგისთან მივალ. თუ შინ
არ დამხვდა, პირდაპირ ქუჯის მივადგე-
ბი.

— ქუჯისთან ნუ მიხვალ, ცოტნე...
ქუჯისთან ბიჭები აღარ დადიან... პი-
რი მაინც გაგეპარსა, არას გახვარ...

შემოსასვლელ ოთახში, როგორც და-
ტოვა, ისევე ედგო წერაყინგარკობილი
ზურგჩანთა. ცოტნემ მიგდებულ ზურგ-
ჩანთას გადააღაჯა.

ცოტნე დიდი, ჩქარი ნაბიჯით მიჰყ-
ვებოდა ქუჩას სოლოლაკისკენ. „ნე-



ტავი გიგი შინ დამხედეს. — ფიქრობდა გზადგზა, — დედას ისე ეუთხარო, თორემ ქუჯისთან რა მიმიყვანს... ნეტავი შინ დამხედეს გიგი...“

გიგი შინ არ დახვედრია. ვინმე მაინც დახვედროდა, ეტყოდა, სად წავიდა გიგი. მაინც სად უნდა წასულიყო ამ კვირა დღეს? ცოტნე ვაჭარბელებული გამობრუნდა უკან. ქუჩის კუთხეში პაპიროსის გამყიდველის ჯიხური დაინახა და თითქოს ახლა გაახსენდა, რომ თამბაქო დიდი ზანია არ მოუწევია. მუშაპიროსისთან მივიდა, სიგარეტები და ასანთი გამოართვა. კოლოფი იქვე გახსნა. და სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა.

ქუჯისთან წასვლა ვერ გადაწყვიტა. იღგა და ფიქრობდა: წასულიყო თუ არა?

ქუჩის გადღმა, მეორე სართულის ფანჯრიდან ორი ქალიშვილი იცქირებოდა, ორთავეს ეშმაკური ღიმილი უთამაშებდათ სახეზე. ისე ეჭირათ თავი, თითქოს ცოტნეს ვერ ამჩნევდნენ. თითქოს სხვა საქმით იყვნენ გართულნი.

ცოტნე გატრიალდა. ქალიშვილებმა სიცილი დაადევნეს. ცოტნე არ შეჩერებულა ისე მიიხედა უკან: გოგონები ახლა დაურიდებლად უმზერდნენ და იცინოდნენ. ერთმა ისიც კი ანიშნა: რამხელა წვერი მოგაშვიო. ცოტნემ სახეზე მოისევა ხელი და გაიფიქრა: „უნდა ვამეპარსა, რა ქაჯივით გამოვედი ქუჩაში“. მერმე შეჩერდა. უნებურად მიბრუნდა ქალიშვილებისაკენ. ფიქრიანი მზერა მიაპყრო.

გოგონები მაშინვე მოწყდნენ ფანჯარას და სიცილით შეიმაღლნენ ოთახში.

ცოტნეს გაახსენდა, რომ ჯაბას ვიღაც უყვარდა.

ჯაბას სიყვარულის ამბავი მეგობრებს ვაგებულნი ჰქონდათ, მაგრამ, არავინ იცოდა, ვინ იყო ის ქალიშვილი. ზოგი ამბობდა: ქალიშვილი კი არა, ბავშვიანი ქალიაო. ზოგი — ქალი კია, მაგრამ ზავშიანი არ უნდა იყოსო.

ჯაბას ცხოვრების ეს მხარე ცოტნესთვისაც უცნობი იყო. თავის დროზე რომ ეცადა, ალბათ, გაიგებდა კიდევ.

მაგრამ, — რა ჩემი საქმეაო, — ფიქრობდა მაშინ.

უცნაური კაცი კი იყო ჯაბა, ღრუბულთურმე დედამისმა მეზობლისაგან ფული ისესხა და პურის საყიდლად გაატანა. ჯაბას გზად მიხაკები შეხვედრია. დედის ნასესხები ფულით უყიდა ყვავილები და იმ ქალისათვის თუ ქალიშვილისათვის მიუტანია.

საიდან გაიგეს მეგობრებმა, მიხაკები როგორ იყიდა პურის ნაცვლად, ცოტნემ ვეღარ მოიგონა. ის კი ახსოვდა, ბევრი იცინეს... იცინეს და... მგონი დასცინეს კიდევ.

ახლა კი საშინლად მოუნდა ცოტნეს იმ ქალთან შეხვედრა და საუბარი. ცოტნემ იცოდა, როგორი იყო ჯაბა ოჯახში, მეგობრებთან ურთიერთობაში, მაგრამ ვერაფრით წარმოიდგინა, როგორი იყო იქ, იმ ქალთან, თუ ქალიშვილთან. ან რა ცხოვრება იყო ის ცხოვრება?..

„ნეტავი იმ ქალს უყვარდა ჯაბა? თუ წითელ მიხაკებს ნაძალადევი თავიზიანობით იღებდა?“

ერთი სიტყვით, არავის უცდია ამის გაგება და ახლა ცოტნე სინანულით გრძნობდა, რომ იგი ასევე უცნობი დარჩებოდა ბოლომდე.

სინანული ცოტაა. ცოტნეს არასოდეს არ განუცდია ასეთი რამ და არ იცოდა, რა დაერქვა ამ გრძნობისათვის. ალბათ, ეს იყო სინანულთან შერწყმული ტკივილი. მაშინ ყურადღებას არ აქცევდა და ახლა ტკიოდა კიდევ, რომ ადამიანს, რომელსაც მუდამ მეგობრად თვლიდა, სხვა ცხოვრება აღმოაჩნდა და იმ ცხოვრებასთან მას არაფერი ჰქონდა საერთო.

ცოტნეს არავისთან შეხვედრა აღარ უნდოდა და ვიწრო ქუჩებით ბრუნდებოდა შინ. დაბნეული უმიზნოდ აკვირდებოდა დაბალ, ერთმანეთზე მიტყეპილ სახლებს, რომელთა ფანჯრები პირდაპირ ფილაქანზე გამოდიოდა და გამულელს თავისუფლად შეეძლო ყველა სახლში, ყველა ოთახში შეხედვა.

ცოტნეს მუდამ ეგონა, მეგობრების ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობაში, დამოკიდებუ-

ლებაში ვითარდებოდა და აღარ ენაღვ-
ლებოდა, რაც პირადი დამოკიდებულე-
ბის გარეთ არსებობდა. „რაც ჩვენ არ
გვეხებოდა, ის არც გვაწუხებდა, — ფიქ-
რობდა ცოტნე, — ოღონდ პირად ურ-
თიერთობაში ვყოფილიყავით პირნათ-
ლად. მაგრამ ვიყავით კი პირნათლად?“
საკუთარ ფიქრს ახლა პასუხი ვერ მოუ-
ნახა. თუმცა აქამდე ყოველთვის მიაჩნ-
და, რომ ერთმანეთთან მუდამ პირნათ-
ლად იყვნენ. „რაც ჩვენ არ გვეხებოდა,
ის არც გვაწუხებდა.“ — გაიმეორა ფიქ-
რში ცოტნემ და გაახსენდა ერთადერთი
შემთხვევა, როდესაც „სხვის“ საქმეში
ჩაერივნენ.

სწორედ ტიან-შანში მისი გამგზავრე-
ბის დღეს, ბიჭები შეთანხმდნენ, მეგო-
ბართავე არავენ მისულიყო სოფიკოს
დღეობაზე, რადგან სოფიკო ყველასათ-
ვის მოულოდნელად, სულ უშიზვზოდ
წაეჩხუბა დაათუნას. თანაც უთხრა: ჩემ-
თან მოსვლით თავს ნუ შეიწუხებ, აღარ
შეგირიგდები.

ბიჭებმა გადაწყვიტეს სოფიკოს დას-
ჯა...

3

გამგზავრებამდე სამიოდე საათით აღ-
რე ბიჭები ცოტნესთან შეიკრიბნენ. ცო-
ტას წაისაუბრებდნენ და მერმე აეროდ-
რომზე წაჰყვებოდნენ გასაცილებლად.

ივლისი იყო. ცხელოდა, ცოტნეს
ყველა კარი და ფანჯარა ღია ჰქონ-
და, მაგრამ ჰაერა მაინც არ იძვრო-
და. ბიჭებს პერანგები გავხადათ
და ნახევრად ტიტვლები, კი არ ისხ-
დნენ, ეყარნენ, ზოგი — ტახტზე, ზოგი —
სკამზე. იმდენად იყვნენ გაშინაურე-
ბულნი, არც კი ერიდებოდნენ დეიდა
ნინოსი, რომელიც იქვე ტრიალებდა და
ცოტნეს ეხმარებოდა ბარგის ჩალაგებას.

— სოფიკოს რა ვუყოთ? — იკითხა
საწერ მაგიდასთან, სკამზე გადაწოლილ-
მა გიგიმ. გიგი საშუალო ტანისა იყო,
ძვალმსხვილი და პირმსუქანი. წაბლის-
ფერ აბურძგნულ თმაში ნაადრევი ჭაღა-
რა შეპარვოდა. ისეთი იერი ჰქონდა მუ-
დამ, თითქოს ეს-ეს არის გაადვიძესო.

— რა უნდა ვუყოთ? — კითხვითვე უპა-
სუხა ქუჯიმ. იგი გულდასუფთავდა ტახტ-
ზე. თვალდახუჭულმა მისი მხარე დაი-
ყველაფერი.

გიგი წამოიწია.

— რატომ არის სისულელე?

— სისულელეა და იმიტომ!

— ეგ რა პასუხია... სოფიკო უნდა
დაესაჯოთ! არცერთი ჩვენგანი არ წავა-
დღეს სოფიკოსთან.

შემოსასვლელ ოთახში ცალ მუხლზე
ჩამოქილი ცოტნე ზურგჩანთაში რაღა-
ცას ტენიდა. ღია კარიდან ხედავდა მე-
გობრებს, მათი საუბარიც გარკვევით
ესმოდა.

— თქვენ გგონიათ პირველად წაეჩ-
ხუბეთ? — დათუნა ფანჯრის რაფიდან
ჩამოხტა და ზღაზვნით წაეიდა ღია კა-
რისაკენ, რომლის იქით ცოტნე მოჩან-
და. — მე და სოფიკო ისევ შევრიგდე-
ბით და ინანებთ.

— შეიძლება დაკარგული პურ-მარი-
ლი შენ გაეისრებინოთ. — უთხრა ქუჯიმ
ისე, თვალეები არ გაუხელია.

— მე, მაგალითად, არ წავალ, — კა-
კიმ ჰქროდა თვალეები შეანათა გიგის და
გაიღიმა. ასე იცოდა, ყოველთვის უად-
გილოდ იღიმებოდა.

დათუნა აბაზანაში შევიდა. წყალი
მოუშვა და კეფა შეუშვირა შხაპს.

ცოტნემ ზურგჩანთის შეკვრა მოათა-
ვა და ოთახში შემოვიდა. იგი, ცოტა
არ იყოს, გაოცებული იყო გიგის ფი-
ნიანობით:

— მე მგონი, სალაპარაკოდაც არ
ღირს. ყველანი უნდა წახვიდეთ... ეს კი
არა, დათუნა რომ ვიყო, მეც წაეი-
დოდი, შევეურიგდებოდი. ბოლოს და
ბოლოს ყოველთვის ვაქმა უნდა დაუთ-
მოს...

— ჩვენგან არავენ არ წავა. — მკაც-
რად თქვა გიგიმ.

ოთახში ვილაც შემოვიდა. ბიჭებს
ეგონათ, დათუნა შემობრუნდაო და კა-
რისკენ არც გაუხედავთ.

— გამარჯობათ. — თქვა შემოსულმა.
ხმაზე ჯაბა იცნეს. ყველამ ერთბაშად
მიაბრუნა თავი ჯაბასკენ. ქუჯი წამოი-

წია, ტახტზე წამოჯდა. ჯაბა დაბალ-
იყო, მაგრამ მოქნილსა და დაკუნთულს
სპორტსმენის აღნაგობა ჰქონდა, სახე —
ხმელი და ნებისყოფიანი.

— დათუნა სად არის? — იკითხა ახ-
ლადშემოსულმა.

— რომელი ხარ? — გაეხმაურა და-
თუნა აბაზანიდან.

ჯაბამ უპასუხა, ვინც იყო. დათუნამ
ითახში გაწუწული თავი შემოყო და
გაიღრჩია. მერმე ცოტნეს ჰკითხა:

— პირსახოცი სად არის?

— მანდვეა... თვალები გაახილე.

— დღეს რას აპირებთ? — ყველას
ერთად ჰკითხა ჯაბამ.

— დღეს? ცოტნეს ვაცილებთ. — მი-
უგო ქუჯი.

— ეგ ვიცი. მეც ვაცილებ ცოტ-
ნეს... — მცირე დუმლის შემდეგ დას-
ძინა. — დათუნა წამოიყვანეთ ჩვენთან.

— მე ვერ წამოვალ, ჯაბა.

ჯაბა ღია კარისკენ მიტრიალდა. ღია
კარში დათუნა იდგა და სველ სახესა
და მხრებს პირსახოცით იმშრალებდა.
მერმე მეგობრებს გადახედა. მეგობრებ-
მა თვალი აარიდეს. ის სიმტკიცე, რომე-
ლიც შემოსვლისას თაქ შემოჰყვია ჯაბას,
თანდათან ჰკარგავდა ძალას.

— რა ყურს უგდებ იმ სულელს, —
ეუბნებოდა ჯაბა დათუნას, — შენ ჩემ-
თან მოდი. იმ სახლში მეცა ვცხოვრობ.

— მე უკვე გითხარი.

— რომელ საათზე მიფრინავ? —
ახლა ცოტნეს მიუბრუნდა ჯაბა.

— შვიდის ოც წუთზე.

— კარგი... მე გნახავ კიდევ... აე-
როდრომზე...

— მოიცადე... — რალაცის თქმა დაა-
პირა ცოტნემ, მაგრამ ჯაბამ შეაწყვე-
ტინა.

— არა მცალია, საქმეები მაქვს მო-
საგვარებელი.

ჯაბა წავიდა. ცოტნემ გააცილა, კი-
ბეზე კიდევ ერთხელ უთხრა — დარჩიო!
ჯაბამ ხელით ანიშნა — არ შემიძლიაო
და სირბილით დაეშვა.

ცოტნე დაბნეული იდგა. ვერ მიმხვ-
დარყო, რატომ შეხვდნენ ბიჭები ასე

ცივად? ან გიგი რად მოითხოვდა ასე
დაინებით, ასე მკაცრად, სოფიკოსს
ბადების დღეზე ნუ წავალთო? —
ბრაღია, იმან აიხირა უშნოდ... სოფი-
კოს სისულელეზე რად უნდა აგოს ჯა-
ბამ პასუხი... რად უნდა დაისაჯოს?...
ჩვენ რაღა შუაში ვართ, რა ჩვენი საქ-
მეა, შეყვარებულები რალაცას მაიმუ-
ნობენ...“

ბიჭები საბოლოოდ აეროდრომზე შე-
თანხმდნენ — არცერთი მათგანი არ ეს-
ტუმრებოდა სოფიკოს. დათუნა თითქოს
მხარს არ უბამდა გიგის, მაგრამ ცოტნემ
შეატყო, კმაყოფილი იყო მეგობრების
მხარდაჭერით.

ჯაბა აეროდრომზე დარცხვნილივით
მოვიდა.

ბიჭები რესტორანში ისხდნენ. თითო
ქიქით გზა დაეულოცოთო, — თქვა და-
თუნამ და ბიჭებს მეტიც არ უნდო-
დათ, — სახელდახელოდ გააშლევინე!
სუფრა.

ბევრი ეხვეწეს ჯაბას — დაეჭიო,
მაგრამ ჯაბა არ დამჯდარა. ვადაეხეო-
ცოტნეს გადაკოცნა და მაშინვე დასტო-
ვა რესტორნის დარბაზი. ცოტნე და გი-
გი დაედევნენ.

— არ გეწყინოს ჯაბა. — უთხრა გი-
გიმ, — ხვალ მე თვითონ მოვალ შენ-
თან და გეტყვი, რაშიც არის საქმე.

— სულაც არა მწყინს, — მიუგო ჯა-
ბამ, — რა უნდა მეწყინოს...

ჯაბა ნამდვილად შემფოთებული იყო.
ლელავდა. თითქოს დამნაშავე ყო-
ფილიყოს, ვერავის უსწორებდა თვა-
ლებს, განსაკუთრებით დათუნას. სახე
დაძაბული ჰქონდა, მაგრამ ის ნებაყოფ-
ფის ნიშანი, რომელიც ასე ძალუმაღ
ეტყობოდა მის ხმელ სახეს, თითქოს
მღელვარებაში, შინაგან, ფარულ შემ-
ფოთებაში გათქვეფილიყო.

ცოტნე და გიგი ისევ სუფრას დაუბ-
რუნდნენ...

აქაც, თვითმფრინავშიც ბევრს ფიქ-
რობდა ცოტნე ჯაბას შემფოთებაზე.
ზოგჯერ თვეობით ყოფილან სოფიკო და
დათუნა წაჩხუბებულები, მაგრამ არა-
სოდეს ასე მტკივნეულად არ განუცდია...

არც მეგობრებს განუცდიათ... ასეთი შემტევი გიგი პირველად ნახა ცოტნემ. გიგიმ მოინდომა, კი არ მოინდომა, მოითხოვა და მეგობრები აიძულა კიდეც პირობა დაედოთ.

მას შემდეგ თითქმის სამი თვე გავიდა. ცოტნე დღეს დაბრუნდა და არ იცოდა, შეასრულეს თუ არა ბიჭებმა პირობა. ერთერთმა, ალბათ, დაარღვია და ეს ერთი ნამდვილად ქუჯი იყო. ახლა ცოტნეს ეჭვი შეეპარა: შეიძლება გიგიმ იცოდა, ქუჯი რომ დაარღვევდა პირობას და ამიტომაც მოითხოვდა ასე მტკიცედ მეგობართაგან არაფერ წასულიყო დღეობაზე...

ცოტნემ ქუჯისთან მისვლა გადაწყვიტა.

4

კარი ქუჯიმ გაუღო. მეგობრის დანახვისთანავე გოცებულმა წამოიძახა:

— ცოტნე, მშაო, როდის ჩამოხვედი?! — თან გადასახვევად გაიწია.

ცოტნე ისე შევიდა ოთახში, თითქოს კარის დირესთან არავინ ელოდებოდა. ქუჯი განზე გადავა, ვხა დაუთმო. მერმე პორჩილად გაჰყვა უკან.

ოთახში ცოტნეს კაკი დახვდა. ჯიბეებში ხელუბნაწყოებილი ფანჯარას მისდგომოდა და ქუჩაში იხედებოდა. ბიჭების შესვლისთანავე მობრუნდა. ცოტნეს ეგონა, ესეც გამოიწვიდა გადასახვევად, თან გოცებული წამოიძახებდა: „როდის ჩამოხვედიო!“ მაგრამ კაკი დინჯად, ქლალი თვალების პარპალით გამოეშურა და უხმოდ ჩამოართვა ხელი.

ცოტნე ოდნავ დაიბნა. ეგონა ქუჯი მარტო დახედებოდა, დედისგან გაიგო. ქუჯისთან მეგობართაგან არავინ დადიოდა და ახლა გაუკვირდა, კაკი რომ დაინახა. „იქნებ უკეთესია, — გაიფიქრა, — იქნებ კაკიც იმისთვისაა აქ, რისთვისაც მე მოვედი.“

მრგვალ მაგიდაზე ჰადრაკის დაფა იყო გაშლილი. ცოტნე დაჯდა და მკლავებით მაკლას დაეყრდნო. ჰადრაკის დაფას ისე დაამტერდა, თითქოს თამაშის გაგრძელებას აპირებდა.

დუმბილში ხანმა განვლო.

— გაიგე ჯაბას ამბავი, *ქუჯი* მისი შემდეგ ჰკითხა ქუჯიმ.

ცოტნემ არაფერი უპასუხა. ისევ ჰადრაკის დაფას დასცქეროდა. „თუ თეთრები იგებენ, მაშინ ჩემი აქ მოსვლა გამართლებულია...“

— საწყალი ბიჭი... ვინ იფიქრებდა...

ცოტნე უსიამოვნოდ შეიშმუნა. თითქოს ეწყინა კიდეც: ქუჯიმ იგივე თქვა, რაც მან, ჯაბას დაღუპვის ამბავი, რომ გაიგო.

— გახსოვს, ცოტნე, პამირიდან რომ დაბრუნდით შარშან.

„რას გაჩუმებულა კაკი?... ორთავე ისე არიან გამოწყვილები, მგონი, სადღაც აპირებდნენ წასვლას. შეიძლება, ქუჯი მიდიოდა და კაკიმ მოუსწრო ჩემსავე და დააყოვნა... ან იქნებ ვიღაცას ელოდებოდნენ და მოლოდინში ჰადრაკს თამაშობდნენ...“

— ვინ იფიქრებდა, რომ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა?..

„წესით თეთრებმა უნდა მოიგონ... ნეტავი ვინ თამაშობდა თეთრებით? ქუჯი თუ კაკი? თუმცა ჩემთვის სულერთია, ვინ თამაშობდა. თეთრები უსათუოდ იგებენ“.

ცოტნემ თავი აიღო და მეგობრებს შეხედა. ქუჯი ცალი მკლავით კაფელის ძველებურ ღუმელს დაყრდნობოდა. შავი ხვეული თმა, რგორც იცოდა ხოლმე, წყლით დაესველებინა და სავარცხლით გადაეტკეპნა. კულულებად რომ არ დაშლოდა. კონტად კი ჰქონდა გაყოფილი, შვენიდა. კაკი ისევ ფანჯარასთან იდგა ჯიბეებში ხელუბნაწყოებილი, ოღონდ ზურგი ახლა ქუჩისკენ მიექცია.

— ქუჯი, — დაიწყო ცოტნემ, — გახსოვს, ჩვენ პირობა დავდეთ. ჯერ ჩემთან — სახლში, მერმე — აეროდრომზე: იმ ღამეს არცერთი არ წავსულიყავით სოფიკოსთან. — ცოტნე პასუხს დაელოდა, პასუხი არავინ გასცა და ისევ განაგრძო, — ახლა გეკითხები: იყავი, თუ არა იმ ღამეს სოფიკოსთან?



— სულერთი არ არის, ვიყავი, თუ არა? ახლა რა მნიშვნელობა აქვს...

— მიიხარო, იყავი, თუ არა?

— დამაცადე... ავიხსნი...

— არაფერის ახსნა არ მინდა... ოღონდ მიიხარო...

— ცოტნე, ისე გამიხარდა შენი მოსვლა... მეგონა, გამიგებდი.

— იყავი თუ არა?

— რატომ არ მაცლი ლაპარაკს?

— იყავი?

— შენ არ იცი, რაშია საქმე.

— არ ყოფილხარ?

ჭუჯიმ არაფერი უპასუხა. კაფელის ღუმელს მოშორდა და ჩაჯდა ერთადერთ სავარძელში, რომელიც ქურნალე-ბისთვის განკუთვნილ, დაბალ, ოთხკუთხედ მაგიდასთან იდგა. ეს სავარძელი ჭუჯის უყვარდა და იშვიათად თუ ვისმე დაუთმობდა. როდესაც ბიჭება მის ოთახში თავს იყრიდნენ, ჭუჯი ყოველთვის ამ სავარძელში იჯდა და ნებივრობდა.

— ერთი სიტყვით, არ გინდა, პასუხი გამცე. — უთხრა ცოტნემ ჭუჯის და კაკის მიუბრუნდა, — შენა? შენ თუ იყავი?

— მე? არ ვყოფილვარ. — მყისვე უპასუხა კაკიმ.

— სხვას არა გთხოვ, ჭუჯი, ასევე მიიხარო...

— გამიგე, ცოტნე...

— რატომ არ ამბობ, იყავი თუ არა?

— იმ საღამოს სოფიკოსთან, სახლში, არ ვყოფილვარ. სახლამდე კი მივედი, მაგრამ ზევით არ აესულვარ... თუმცა, მართალი რომ ვთქვა, სოფიკოს შევხვდი...

— იმ საღამოს?

— მე იმ საღამოზე ვლაპარაკობ მხოლოდ... საღამოს თუ ღამით, სულერთია, მთავარია შევხვდი.

— მერმე?

— სჯობია თავიდან დავიწყო... ოღონდ შენ უნდა გამიგო, ცოტნე... მე მგონია, შენ გამიგებ...

ჭუჯიმ თავიდან დავიწყო...

იმ დღეს ჩვენ ძალიან ვეჭვოვართ ვეჭვებით ვაბას. ვულმოკლეული წავიდა შენგან. შენგანაც და აეროდრომიდანაც... შემეცოდა... აეროდრომიდან შინ დაბრუნებული მხოლოდ ვაბაზე ვფიქრობდი და ვწუხდი.

ოთახში ვეღარ ვავძელი. მით უმეტეს, რომ ცხელია, ჰაერი მძიმე და დახუთული იყო.

ქუჩაში ნაცნობები შემხვდნენ. ახლალარ მაგონდება, ვინ იყვნენ, მასხოვსკი, ერთხანს ვიდექით ლალიძის წყლებთან და ვსაუბრობდით. მერმე შევედით. თითო ჰიქა ცივი წყალი დავლიეთ და ისევე ჰადრების ქვეშ დავდექით.

ვერც იმათთან ვავძელი და დავშორდი. მაშინ გადავწყვიტე ვაბასთან მისვლა. მინდოდა მივსულიყავი, დამეშვიდებინა. ვაბა მწარედ განიცდიდა სოფიკოსა და დათუნას დაშორებას. ჩვენ კი ისე ცუდად მოვიქცეთ, უგულოდ, თითქოს ვაბა ყოფილიყო დამნაშავე.

ვაბას სახლთან მოულოდნელად ვიგე შემეფეთა.

— აკი შენ წახვედი? — მკითხა ვიგიმ.

— მე მგონი, ჩვენ ყველანი სახლებში ვაპირებდით წასვლას. — ვუპასუხე მე.

— სოფიკოსთან მოხვედი?

— შენა?

— რა თქმა უნდა... არა, დათუნას გადავეყვები თან.

გამიკვირდა, ერთადერთი, ვინც გადაწყვეტით მოითხოვდა სოფიკოსთან არ წასვლას, ვიგი იყო, ახლა კი პირველი ვარბოდა დღეობაზე.

— მე ვაბასთან მივდივარ. — ვუთხარი.

— ვაბაც იქ იქნება და სოფიკოც... და-შანი არ არიან?!

— იქნებ გამოვიხმით როგორმე, — ვუთხარი, — თუ გინდა, მე ავალ და ვაბას დავუძახებ. წავიდე თუ სადმე დავლიოთ.

— სადღა წავიდე, საქმელიც აქვთ, დასალევიც.

— რა ვიცი, დაეჭვით და... პირობა მინც პირობაა...

— არა, ავიდეთ!

— არ შემიძლია, — ვუთხარი.

— მე ვიცი, რაც გაწუხებს, — მითხრა გიგომ. — მერმე შემაგინა და გატრიოვდა. დიდ ხანს ვიდექი. ვერ მივმხვდარიყავი, რა დაემართა. ასე ტყუილ-უბრალოდ რატომ შემომიტია, რატომ გამლანძლა? ჩვენ არასოდეს ერთმანეთისათვის ზედმეტი სატყუა არ გვითქვამს. ყოველთვის ვუგებდით, ყოველთვის გვესმოდა ერთმანეთისა...

მინც შევედი სადარბაზოში. მავრამ ზევით აღარ ავსულვარ. გიგის მართლა არ ეგონოს-მეთქი. პირობა დავარღვიე. სადარბაზოდან გამოსულმა იქვე ახლო-შახლო ძებნა დავეუწყე გიგის.

ქუჩაში აღარავინ იყო.

ამ დროს სადარბაზოს კარებში სოფიკო გამოჩნდა. დამინახა. გახარებული გამოქანდა ჩემკენ.

— აღარ შემიძლია, ქუჯი, — მითხრა სოფიკომ, — სახლში ყოფნა აღარ შემიძლია.

— რა მოხდა?

— ჯაბამ მომიწამლა ცხოვრება. ვის რაში ეკითხება, რატომ წავეჩხუბე დათუნას?! ცოლ-ქმარნი ეყრებიან და ჩვენ რომ დავშორდეთ, ქვეყანა არ დაინგრევა.

სოფიკო აღელვებული ჩანდა. ალბათ ჯაბამ აწყენინა და იმიტომ ღელავდა. დამშვიდება დავეუწყე. მკლავში ხელი გავუყარე და ქუჩაში გავატარე. ჯერ მინდოდა დამეწყინარებინა, ხოლო მერმე გამომეკითხა. დაწვრილებით გამეგო. რა შეემა კატამ გაირბინა მათ შორის.

კარგა მანძილი ხმისამოუღებლად გავვიარეთ. ბოლოს შინ დაბრუნება შევთავაზე.

— ჩემთან მოდიოდი არა? — მკითხა. თავი დავუქნიე. ხომ ვერ ვეტყვოდი, არა-მეთქი.

— უკეთესია, სადმე გავიაროთ.

— მინც სად წავიდეთ.

— სადაც გინდა.

— არ ვიცოდი, სად წამეყვანა. უკვე

ლამის ათი საათი იქნებოდა. სად უნდა წავსულიყავით. კინოსა და რეპერზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ისევ სოფიკომ მიკარნახა.

— თუ გინდა, ზევით ავიდეთ.

„ზევით“, როგორც მივხვდი, ფუნქციონორზე ასვლას ნიშნავდა. უარი ვერ ვუთხარი და ჩვენ ავედით „ზევით“ — რესტორანში.

თბილისის სიციხეს გამოქცეოდა ხალხი. რესტორანში ტევა აღარ იყო. დიდი წვალების შემდეგ პატარა მაგიდა ჩავადგმევინე აივნის კუთხეში.

— რა მოვატანინოთ? — ვკითხე

— საქმელი არ მინდა.

„გრემი“ და ტკბილეული შევეუკვიე. — აქედან კარგია თბილისის ცქერა. — თქვა სოფიკომ, — ოღონდ დღისით უკეთესია, ახლა ნათურების ციმციმის მეტი არაფერი მოჩანს.

მე ვლუმდი. სოფიკოს ვაკვირდებოდი. უღარდვლად მიყრდნობოდა სელის საეარძელს და ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა ხალხს.

მერმე ნელ-ნელა შევუღექით „გრემის“ წრუბვას.

სულ ველოდი. დათუნაზე იტყოდა რასმე. სიტყვა არ დასცდენია. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და გაუბედავად შევეკითხე.

— რატომ წაენხუბე დათუნას?

— მე არ წაენხუბებივარ, ქუჯი, მხოლოდ ვუთხარი. აღარ მოხვიდე-მეთქი ჩემთან... თქვენ გგონიათ, მარტო ბიკებს აქვთ უფლება, როცა მოესურვებათ. უარი უთხრან გოგოს და მოიშორონ?.. რატომ იშორებენ გოგოებს თავიდან? რატომ ეუბნებიან უარს? მეც ხომ მაქვს უფლება აღარ მომიწონდეს ან აღარ მიყვარდეს?

— თქვენ ხომ მოგწონდათ ერთმანეთი, გიყვარდათ...

— არ ვიცი.

კიდევ რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ არ მათქმევინა, გადაჭრით მითხრა.

— დათუნაზე არაფერი მკითხო.

— გაწყენინა რამე?

— არა.

— მამ, რა მოხდა, გამაგებინე!

— დამისხი!..

ბერი არ დაგვიღევია. მაგრამ, რაც დავლოთ, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გველაპარაკა ათასგვარ სისულელეზე. სოფიკოს ვართობდი, ვუყვებოდი ანგვლოტებს, ზოგს — ძველს, ზოგს — ახალს. სოფიკო სიცილით კვდებოდა, მეც მიხაროდა, რომ ისევ კარგ გუნებაზე დადგა. თუმცა მიკვირდა კი მისი გუნების ასეთი ხშირი ცვალებადობა. პირველად აღელვებული შემხვდა... მერმე ცოტათი გაერთო გზაში. მერმე ისევ უგუნებობა მოერია, როცა დათუნა ვუხსენე... მერმე ისევ გამხიარულდა...

— ასეთი კმაყოფილი დიდი ხანია არ ვყოფილვარ, — თითქმის ჩურჩულით შიობრა სოფიკომ.

მეც კმაყოფილი ვიყავი. ერთ ადამიანს მაინც დავუტყვებ მღელვარება, დავაშვებ, სიამოვნება მივანიჭე.

— მალღობელი ვარ, ქუჯი, ახლა წავიდეთ... გვიან არის.

წამოვდექი, დერეფანი გავიარეთ და კიბეზე დავეშვიტ.

მე ვკითხვ:

— ტრამვაით წავიდეთ. თუ მანქანით? სოფიკომ მიპასუხა:

— ფეხით.

ჩვენც მოაწმინდის ბილიკებს დავყვით. მოვდიოდით ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, გვეშინოდა, სიბნელეში სადმე არ გადავჩხვნილიყავით.

— შენ კარგი ბიჭი ხარ, ქუჯი, — მეჩურჩულებოდა სოფიკო, — ძალიან კარგი.

არ ვიცი, როგორ მოხდა: სოფიკოს ზეგული სულ ახლოს ვივარჩენი — თავზრუ დამხვია.. გონება დავკარგე...

6

ქუჯი გაჩუმდა.

ცოტნე დაძაბული უსმენდა. ეგონა, კიდევ რაღაცას იტყოდა, მაგრამ ქუჯი ზმას არ იღებდა. ცოტნე მიხვდა, ქუჯიმ ამბის მოყოლა დაამთავრა. დაუფიქრებლად ჰკითხა:

— მერმე?

— შენ ვკითხვ: მივედი თუ არა იმ ლამეს სოფიკოსთან, მე გიპასუხებ. შენ ნია, უფრო მეტი გითხარო... კიდევ შენ გინდოდა მეტქვა.. მეტს ნულარ ვკითხავ. სოფიკოს გულისათვის ბერი დავკარგე... სამწუხაროდ, ვვარჩობ, შენც დავკარგავ... მაგრამ რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია... მე მიყვარს... სოფიკო მიყვარს...

ცოტნეს ეგონა, კარგად იცნობდა ქუჯის. ქუჯი ყოველთვის ჩუმი და მორიდებული იყო. თუმცა ამის თქმა ძნელია. მორიდებულად უფრო უცხო ოჯახებში და უცნობებთან ეჭირა თავი. შინაურებში ნებიერი იყო, ზარმაცი. ყოველშემთხვევაში, ცოტნე ვერაფრით იფიქრებდა თუ ასე პირდაპირ, ასე მკაცრად ეტყოდა ქუჯი თავის სათქმელს. ამ კაცში ყოველთვის არ მოსწონდა რაღაც, რასაც მაინცდამაინც არ ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას. რომ ვეკითხათ, რა არი ეს „რაღაც“, ვერც გიპასუხებდათ. ახლა ცოტნესთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ქუჯის გულწრფელი აღიარება, მგონი, ინანა კიდევ, ასე ჯიქურ რომ დაიწყო შეტევა. ახლაც ისევე მოეწონა ქუჯის საქციელში „რაღაც“, როგორც აქამდე არ მოსწონდა. მოუხვდავად ამისა მაინც ქუჯი მაჩნდა დამნაშავედ, თანაც ის ქანი, რომელიც აქ შემოსვლისას აიღო, ველარ შეანელო.

— დათუნამ რა ვითხრა, თქვენი ამბავი რომ შეიტყო.

— ეგ მე და დათუნამ ვიცით.

ცოტნე მიხვდა, ქუჯი დიდი სიამოვნებით გაუღებდა კარს, თუკი წასვლას დააპირებდა. სათქმელი მოათავა და ახლა თავიდან მოშორება უნდოდა.

— რატომ მელაპარაკები ასე? გიყვარს თუ არა სოფიკო, შენ მაინც ვერაგულად მოექეცი დათუნას... არ უნდა გეკისრა!.. — აინთო ცოტნე.

— რა არ უნდა მეკისრა, რა?!

— რაც იკისრე!.. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჯაბა აღარ წავიდოდა უშუაბეწელს თბილისში აპირებდა დარჩენას.

— არაეინ იცის, რას აპირებდა.

— მე ვიცი. მთელი გაზაფხული ვეხვეწე და მაინც არ წამომყვია ტიან-შანში.

— იქნებ მე დამაბრალო ჯაბას დალუპვა!

— არავის არ ვაბრალებ. ისე ვთქვი, არ აპირებდა-მეთქი მთებში წასვლას.

— ტიან-შანში არ აპირებდა, უშუაზე კი წავეიდა.

— მეც მანდა ვარ! რატომ წავეიდა?

— რატომ დადიოდა მთებში. პირველად შენ ატეხე, შენ წაიყვანე, შენ გახადე მთასვლელი.

— ჯაბას ვინ შეედრებოდა. მეცა მჯობდა, სხვასაც... ყველას ჯობდა.

— ეგ არ ვიცი, ვინ ვისა ჯობდით...

ცოტნე სკამიდან წამოდგა. ჩამქრალი სიგარეტი საფერფლეზე მიაგდო. ცხვირ-სახოცი ამოიღო და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. „რა შტერი ვარ, — გაიფიქრა, — რა სისულელეებს ვროშავ. ჩემი ბრალია. როცა რამეს იწყებ, უნდა იცოდე, რა ვინდა, რისთვის იწყებ...“ ისევ ჭადრაკის დაფას დააშტერდა. დიდ ხანს დასცქეროდა.

„თეთრები უსათუოდ იგებენ“, — გაიფიქრა ისევ ცოტნემ და ჭადრაკის დაფას მოშორდა, ქუჯის შეხედა:

— კარგი, მეტს აღარ შეგაწუხებ.

— როგორც გენებოს, აღარც მე შეგაწუხებ.

ცოტნე კაკის მიუბრუნდა, — თუ მოდიხარ, წავიდეთო. აქამდე მაინც ეგონა, ჩუმად რომ იდგა, ფარულად უწევდა თანაგრძნობას. მაგრამ კაკიმაც თავის მხრივ ანიშნა, აქ დავრჩებითო, კი არ ანიშნა, ცოტნე მიხვდა, კაკი არ წაჰყვებოდა.

უსიტყვეოდ, დაუმშვიდობებლად მიიხურა კარი. ვიდრე კარს მიხურავდა, ცოტნეს მოეჩვენა თითქოს კაკიმ გაიღიმა, ისე, როგორც იცოდა, უადგილოდ.

სადარბაზო კიბეებს სირბილით დაჰყვია. „რა ღმერთი გამიწყრა, ნეტავი არ მივსულიყავი... კარგი სილა გამაწნა და გამომიშვა... მტრულად მივედი და მტრულად დამხვდა. არც ისე ყოფილა საქმე, მე რომ მეგონა“.

ცოტნე ქუჩაში იდგა მისი უწყვეტმა დევილად აღარ იცოდა, სად წასულიყო. დაღლილობაც იგრძნო. მხრები მოუღუნდა. სიამოვნებით ჩამოჯდებოდა აქვე, ფილაქანზე, აკაციის ქვეშ დაისვენებდა. უხერხული იყო. თავისი ტანისამოსითა და მოშვებული წვერით ისეც იქცევა გამკვლეულთა ყურადღებას.

სექტემბრის მზე სახურავებს იჭით ეშვებოდა. ფანჯრებზე აღნობდა სხივებს და თვალის მომჭრელად აელვარებდა. მაღალი, თეთრი ღრუბლები ნოტო-ნოტო გაფანტულიყვნენ და ქალაქის თავზე უძრავად იდგნენ.

„გასაოცარი სიტყვაა „მიყვარს“... გეტყვის კაცი ამ სიტყვას და მკაცრად მოითხოვს იმის პატიებას, რისი პატიებაც სხვა დროს, სხვა შემთხვევაში შეუძლებელია. ეს სიტყვა, თუ კი ლიტონი არ არის, დიდ უფლებებს ანიჭებს კაცს. ზოგჯერ სიკვდილის ნებაც კი მიუცია ადამიანისათვის“. ცაცხვს მიყრდნობილი ქუჩას გასცქეროდა, ქუჩა გრძელი და ვიწრო იყო, აკაციებით დაბურული. ახლახან გაველო სარწყავ-მანქანას და სველ ასფალტზე მკრთალად ირეკლებოდა სახლები, ხეები, მანქანები, ადამიანები... ყველაფერს ირეკავდა, ყველაფერი დაყირავებული იყო ამ ვიწრო და გრძელ, აკაციებით დაბურულ ქუჩაში. სველ ასფალტზე.

იქვე სადარბაზოს წინ ტაქსი გაჩერდა. ცოტნემ მანქანაში სოფიკო დალანდა: ჩანთა გაეხსნა და ფულს უწვდიდა შოფერს. ცოტნემ მხარი შეაქცია, პირი მოარიდა. ცოტა ხნის შემდეგ გაიგონა: მანქანის კარი გაიღო და მიიხურა. გაუბედავად მიხვდა სადარბაზო შესასვლელს. კიდევ ერთხელ მოჰკრა თვალი სოფიკოს, უფრო სწორეთ, სოფიკოს შავ სამოსელს.

მანქანა დაიძრა.

— ტაქსი! — დაუძახა ცოტნემ შოფერს. რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა და მანქანაში შეიკეტა.

მანქანაში ნელსაცხებლის ნაზი, თა-

ნაც ნაცნობი სურნელი იგრძნო. ეს სურნელი არაერთხელ უგრძნებია წინათაც.

— კაი ქერივი იყო, აი! — მოუბრუნდა შოფერი ცოტნეს და მრავალმნიშვნელოვნად გაუცინა, ვითომ ცოტა რამ მეც გამეგებო ქალებისა.

— შენ რა იცი, ქერივი იყო... შაეები მარტო ქერივებს კი არ აცვიათ.

— ეგ ქერივია, ვიცო... ძალიან ლამაზია...

„რა უცნაურად წარიმართა ჩვენი ცხოვრება. — ფიქრობდა ცოტნე. — სოფიკოს თვალი ავარიდე. სამი თვის წინათ ხომ ასე არ მოვიქცევოდი?... გადავხევიოდი, გადავკოცნიდი... ახლა კი დავემალე. შეშეშინდა, არ დავენახე. კაცმა რომ თქვას, რისი შეშეშინდა, რისი მომგრიდა?“ ცოტნემ სიგარეტი გააბოლა, სოფიკოს დატოვებული ნელსაცხებლის სურნელი რომ გაქაჩრებინა.

— იმ კვირასაც მე მოვიყვანე... სულ აქ დადის. არ ცხრებოდა შოფერი, — ყმაწვილი ქალია, ლამაზი, ისე რა გააძლებინებს...

„კი მაგრამ რა იქნა, სად დაიკარგა ის წლები, რომლებიც ერთად გაატარეს სოფიკომ და დათუნამ. სამი წლის მანძილზე ერთმანეთს თვალებში შესცივინებდნენ. უერთმანეთოდ ნაბიჯსაც არ ადგამდნენ, უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეეძლოთ... რა იყო ეს? რა ერქვა? იქნებ ეს სიყვარული კი არა, თამაში იყო, სახლობანა — ბავშვობაში რომ უთამაშობან?“

ცოტნე გრძნობდა, მისი ცხოვრება დღეიდან სხვანაირად წარიმართებოდა, რასაც, ან ვისაც აქამდე შეეჩვიოდა ახლა უნდა გადაჩვეოდა. ცოტნეს ამ აღმანიებისათვის დათმობილი ჰქონდა საკუთარი ფიქრების, გრძნობების, განცდების ნაწილი... დროისა და, საერთოდ, თავისი ცხოვრების ნაწილი. ახლა კი უნდოდა წარმოედგინა, იმათ გარეშე როგორი იქნებოდა მომავალი დღეები. უნდოდა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი იყო, რადგან ისინი ინერტიით ჯერ კიდევ არსებობდნენ მის ფიქრებში... მის

ცხოვრებაში და, ალბათ, კიდევ დიდხანს იარსებებდნენ...

ცოტნემ დაინახა, მანქანა გვიგის სახლს გასცდა.

— თუ ძმა ხარ, გააჩერე. — შეეხვეწა, თითქოს სხვაგვარად რომ ეთქვა, არ გააჩერებდა...

8

გიგი ისე შეხვდა მეგობარს, იტყობოდა, დილიდან ელოდებოდა და ახლა ნაწყენი კი დარჩა — ასე რატომ დაუვითანეო. თმააბურძგნული, გამოუძინებელი სახით მისჩერებოდა ცოტნეს. იგი ძველ მოიგავარაკეს უფრო ჰგავდა ვიდრე მსატყარს. შარშანწინ აკადემია რომ დამთავრა გიგიმ, ძველი სამზარეულო სახელოსნოდ გადააკეთა და მას შემდეგ სულ აქ იყო. დღესა და ღამეს ამ სახელოსნოში ატარებდა. ძველებურ ფარდაგადაფარებული ერთი ტახტი ღდგა, მოლბერტი და რამდენიმე დანაჯღრეული სკამი. ფანჯრის რაფაზე და ფიცრის თაროებზე ათასგვარი საღებავები და ყოველი ზომის ფუნჯი ელაგა. იატაკზე ძველთა-ძველი თიხის ქურჭელი და სპილენძის რამდენიმე თუნგი მიეჭურჩებინა ერთად.

მოლბერტი ცარიელი იყო. დამთავრებული სურათები ოთახის ყოველ კუთხეში ერთმანეთზე მიეწყო პირით კედლისკენ.

გიგის ცალი თვალი ოდნავ მოეხუჭა და გაღიმებული აკვირდებოდა მეგობარს. მეგობართან შეხვედრით ვანცდილ სიხარულს ამ ღიმილით გამოხატავდა.

— რა წვერი მოგიშვია? — ჰკითხა ბოლოს ცოტნეს.

— ვერ მოვასწარი გაპარსვა.

— ქერა თმა კი გაქვს, მაგრამ არ მგონა თუ ასეთი წითური წვერი გექნებოდა... როდის ჩამოხვედი.

— დღეს.

— მე ოთხშაბათს გელოდებოდი. დღეს მამა მითხრა, ოთხშაბათს ჩამოვყო.

— ცოტათი ვიჩქარე.

— იქ გაიგე ჯაბას დაღუპვა?
 — არა...
 — შემზარავი ამბავი მოხდა.
 — შენ მაინც რატომ არ მაცნობე?
 — ჩემზე არ იყო დამოკიდებული...
 ალბერ კლუბში გადაწყვიტეს, არ ეცნობებინათ.
 — სისულელეა.
 — მეც ესა ვთქვი, სისულელეა მეთქი.
 — ძალიან იყო დაღეწილი?
 — კლუბის თავი არ აუხდათ... საშინლად ყოფილა დასახიჩრებული.
 — უკანასკნელად როდის ნახე?
 — წასვლამდე ერთი კვირით ადრე.
 — არ გააცილე?
 — არა. არც ვიცოდი... მეორე დღეს გავიგე მხოლოდ... ისე კი მითხრა: უშუაზე მივდივარო, მაგრამ როდის აპირებდა წასვლას, არ უთქვამს.
 — მაინც რა გელაპარაკა.
 — ისეთი არაფერი... უგუნებოდ იყო.
 — აეროდრომზე რომ უთხარი, ხვალ გნახავო, მიხვედი?
 — ვერ მოვახერხე. მხოლოდ იმ დღეს ვნახე, გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე.
 — სულ ერთხელ?
 — ჰო. მე და დათუნა მივედით ალბერ კლუბში. არ დაგვხვდა. გვითხრეს, ბაღში გავიდაო. იქვე დაუწყო თებნა. ბაღის ბოლოში ვიდაც ქალიშვილს ელაპარაკებოდა.
 — იმას ხომ არა, მიხაკები რომ მიუტანა?
 — შეიძლება ის იყო, არ ვიცი.
 — სახე დაიმახსოვრე?
 — არ დავკვირებივარ... შორს იდგნენ, თანაც ფოთლები ეფარებოდათ.
 — იქნებ დათუნამ დაიმახსოვრა.
 — არა მგონია. დათუნა ზურგშექცევით იდგა.
 — მერმე?
 — იმ ქალიშვილმა ჯაბას ანიშნა, და, ჯაბამაც, როგორც იქნა, მოგვხვდა. ხელი დავვიქნია — ახლაც მოვლო. ქალიშვილი მალე გაისტუმრა და ჩვენცენ გამოეშურა.
 — არ გიკითხავთ, ვინ არის ის ქალი-

შვილი-თქო?

— არა, რა ჩვენი საქმე იყო...
 — მერმე?
 — იქვე ჩამოვსხედით მერხზე. ჯაბა უფრო მეტად იყო შემფოთებული. თვალებს ვერ უსწორებდა დათუნას. სულ დაბლა იყურებოდა. მიწას დასცქეროდა... ასე უხმოდ ვისხედით. ბოლოს წამოდგა და გვითხრა: მალე უშუაზე წავალო. ჩვენც წამოვდექით. კლუბამდე მივაცილეთ. შეეპირდი, გამგზავრებამდე გამოგივლი-მეთქი, მაგრამ ვერც მაშინ მოვახერხე მისვლა.
 — როგორ შეიძლებოდა მთებში ჯაბას გაშვება?!
 — ვინ ფიქრობს წინდაწინ სიკვდილზე... პირიქით, ჩვენ გვეგონა მთებში დამშვიდდებოდა, გულს გადააყოლებდა.
 — უშუა გაგრა კი არ არის, ან სოქი... სიცოცხლე გადააყოლა.
 — ვერ წარმოიდგენ, როგორ განიცდიდა, როგორ იყო შემფოთებული.
 — ჯაბას თქვენზე უკეთ მე ვიცნობდი... მთებში უნდა გენახათ... ერთხელ ყინულის ფერდზე მოეწყდით. წერაყინი ხელიდან გამივარდა, ვერაფრით შევიკავე თავი. ასე ვისრიალე ოცდაათი მეტრი. ნაპრაღის პირზე შემთხვევით წამოვედე კლდეს და გადავრჩი. უცებ ზევიდან შემზარავი ღრიალი გავიგონე. ავიხედე: ჯაბას ძლივს აკავებდნენ ბიჭები, ჩემკენ მოიწევდა. მერმე როგორც იქნა ამიყვანეს. ჯაბა ტიროდა, ბლაოდა, მიკოცნიდა სახეს, ხელებს, მხევეოდა. იცინოდა, ისევე ტიროდა. ვერაფრით დავამშვიდეთ... შენ არ იცი, რა გული ჰქონდა... — ცოტენმ ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი მოიწმინდა.
 — ვიცი.
 — არ უნდა გაგეშვათ.
 — ახლა რომ ვფიქრობ, მე მგონია, ის ქალიშვილი დარჩენას ეხვეწებოდა. მთელი მისი სხეული, ხელების მოძრაობა, ხეწნასა და მუდარას გამოხატავდა.
 — ჩვენ ხომ ბავშვები აღარა ვართ, გიგია... — ცოტენმ არ დაამთავრა სათქ-

მელი. ფანჯარასთან მივიდა, ქუჩაში გადაიხედა.

— მე რატომ მეუბნები მაგას.

— საერთოდ ვამბობ... ჩემ თავსაც ვეუბნები, ძენც, დათუნასაც, სხვასაც.

გიგი სდუმდა. მერმე წამოდგა. ცოტნეს მიუახლოვდა, მხარზე დაადო ხელი.

— რა მეგობრები ვიყავით? — იყითხა ცოტნემ, ერთხანს გაჩუმდა და შემდეგ განაგრძო, — თუ მეგობრები ვიყავით, უნდა გეცოდნოდა, უჩვენოდ როგორ ცხოვრობდა. ჩვენ არც კი ვიცით, ვინ უყვარდა. ახლა, როცა იმ ქალიშვილის ხსენება გვინდა, უსირცხვილოდ ვამბობთ: აი, ის, მიხაკები რომ მიუტანა.

გიგი ხმას არ იღებდა. ცოტნეს შუბლიდან გადაუწია ჩამოშლილი თმა. მერმე გულხელდაკრეფილი ოთახში დადიოდა უსიტყვოდ.

— ჩვენს სიტყვას ჩვენვე ვუკარგავთ ფასს. — მოუბრუნდა ცოტნე გიგის, კაცს თუ პირობა მიეცი — მოვლო, უნდა მიხვიდე! ეს თითქოს უბრალო რამეა, უმნიშვნელო. მაგრამ ასე ვერვით სასულიერო სიტყვის აბუჩად ავლებას.

— ვერ მოვახერხებ... ვერც მეორედ მივედი, — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა გიგი.

„როდესაც კაცი ასე იღუპება, — გაიფიქრა ცოტნემ, — ტივილის გარდა სინდისის ქეჯნაც უნდა იგრძნოს... მე რომ ძალა დამეტანებინა და ტიან-შანში წამეყვანა“...

— მართალი ხარ, — თქვა გიგიმ, — სინდისმა უნდა შეგაწუხოს... ნეტავი მივსულიყავი, დამემშვიდებინა... ერთხელ კი არა, ყოველდღე უნდა მევლო.

ცოტნე შეცბა, ფიქრი ხმამაღლა ხომ არ წამომცდარო.

— ქუჯის ამბავი რომ გაიგო, სულ გადაირია... ჩემი ბრალიც არის. ვგრძნობდი, ასე მოხდებოდა და წინდაწინ, თავიდანვე უნდა გამემქოავენებინა.

— ქუჯიმ მითხრა... — დაიწყო ცოტნემ.

— როდის ნახე ქუჯი? — გააწყვეტინა სიტყვა გიგიმ.

— დღეს... შენთვის არ მითქვამს, დღეს ქუჯისთან ვიყავი.

— რამ მიგიყვანა, ბიჭო? — მინდოდა გამეგო, შეასრულა თუ არა პირობა.

გიგის გაეღიმა და ხმადაბლა დაიწყო ამბის მოყოლა.

9

წელან ვთქვი, წინდაწინვე ვგრძნობდი-მეთქი. ვერ ვიტყვი, საიდან ან როგორ ვიგრძენი. ან როდის შემეპარა პირველად ეჭვი, ვედილობ, გავიხსენო და ვერ გამიხსენებია.

რამდენჯერმე მოვიდა ჩემთან ქუჯი. სურათები გადმოალაგა, დაათვალიერა. მაშინ, მე მგონი, არაფერი შემომჩნევია, ახლა კი ვხვდები, სოფიკოს პორტრეტის სანახავად მოდიოდა. თუმცა, შეიძლება ქვეშეცნეულად მაშინაც დამეხანდა ეჭვი.

ერთი სიტყვით, იმ დამეს მეგობარი შევამოწმე. ალბათ, მეგობრის მიმართ ეს ვერაგობა იყო. ეჭვი რომ არ გამმართლებოდა, ჩემი თავი შემჯავრდებოდა, რადგან მე თვითონ ვიქნებოდი ის, რასაც მეგობარზე ვფიქრობდი. ნეტავი არ გამართლებულიყო.

აეროდრომიდან წამოსული სოფიკოს სახლთან ვიდექი და ქუჯის ველოდებოდი.

ქუჩას ბინდი ეფინებოდა. ხეს მიყრდნობილი პაპიროს ზედიზედ ვაბოლებდი რამდენჯერმე გადაეწყვიტე, წაეღმეთქი. რა უსინდისობაა, — ვფიქრობდი, — დარწმუნებული არა ხარ მეგობრის ვერაგობაში და ასე უსაფრდები.

სკოლიდან მახსოვს დაფაზე ცარკით დახაზული ქიმიური რეაქციის სქემები, ორი სხვადასხვა ელემენტი როგორ ერთდება და შემდეგ როგორ იქცევა სხვა ნივთიერებად. ვაკვირდებოდი და ზოგჯერ ამ სქემას ჰგავდა ქუჩა: ადამიანები მოდიოდნენ ცალ-ცალკე, დანიშნულ ადგილზე მოუსვენრად წრიალებდნენ, ლელავდნენ, მერმე წყვილდებოდნენ და ერთარსებად ქვეულნი

მშვიდად მიდიოდნენ თავისი გზით.

შემდეგ მილიციელმა შემიქცია ერთხანს. მოვიდა გამომელაპარაკა, მკითხა, რას უცდიო. პაპიროსი შეეთავაზე, უარი არ მითხრა. კარგი ბიჭი ჩანდა. კახეთში მოხუცებული დედ-მამა ჰყოლია. ვენახს ველარ უვლიან და უნდა გადავსახლდეთ.

კიდევ ერთხელ მოვაწვევინე პაპიროსი და წავიდა, ჩემს უბანს მივხედავო. თვალი გავაყოლე. მილიციელის იქით, ბინდში, ნაცნობი სხეულის მოძრაობა დავლანდე: გაჩქარებული მოდიოდა ქუჯი. ავღელდი, მომიჩვენა, გულის ბავაბუგმა სმენა დამიხშო...

მე და ქუჯი სადარბაზოსთან შევეფეთეთ ერთმანეთს.

— აკი შინ წახვედი? — ვკითხე მე.

— მე მგონი, ჩვენ ყველანი სახლებში წავედით. — მიპასუხა ქუჯიმ.

სული მოვითქვი და ისევ შევეკითხე:

— სოფიკოსთან?

— შენა?

— რა თქმა უნდა...

— მე უბაბს ხახვა მიჩნია. — მაშინვე მომიგო, სიტყვა არ დამამთავრებინა.

— ჯაბაც იქ იქნება და სოფიკოც.

— იქნებ ჯაბა გამოვიხმოთ როგორმე, თუ გინდა მე ავალ და დავუძახებ. წავიდეთ სადმე დავლით.

— სადღა უნდა წავიდეთ, საკმელიც აქვთ, დასალევაც.

— რა ვიცი...

— ხელში რა გიჭირავს? — ვკითხე და თვალი კობტად შეკრულ პატარა კოლოფზე ვანიშნე.

— არაფერია ისეთი...

ველარ გავუძელი თვალთმაქცობას. საყელოში ხელი წაველე და შევანჯღღრიე.

— მე ვიცი, რაც გაწუხებს, — ვუთხარი, — შე კაცუნა, შენა! თუ უბაბს ხახვა გინდოდა აეროდრომზე არ იყო! ან ხვალ ვერ ნახავდი. მაინც და მაინც დღეს მოგენატრა!

— ხელი გამიშვი!

ხელი ვკარი და სახლის კედელს მივანარცხე.

— გაგიჟდი, რა გინდა ჩემგან!

— შენ კარგად იცი, რაც მინდა... დღეს ხომ დავთქვითო!

— გითხარი, სადაც მივდივარ... სხვა-ღეწილმა ზიზლით შემომხედა, გამოალო სადარბაზოს კარი და შევიდა.

სილაგაწულივით დავრჩი, თითქოს ბავშვი ვიყავი და გამლახეს.

ხუთი წელი კაცთან მეგობრობ და ერთ დღეს აღმოჩნდება, რომ კაცი არ ყოფილა. აღმოჩნდება რომ, ამ წლების მანძილზე, მახლობელი გატყუებდა, თვალთმაქცობდა. სხვა იყო და სხვად გაჩვენებდა თავს: მაშინ მარტო მეგობარს კი არ ჰკარგავ, ჰკარგავ იმ დროსაც, იმ ფიქრებსაც, რომელიც მისთვის შეგიწირავს, მისთვის დაგიტოვია ოდესღაც და გაძარცველივით რჩები.

შინ დაბრუნება ვარჩიე. მაგრამ სადარბაზოს კარი ისევ გაიღო. ვიფიქრე, სინდისმა მაინც თავისი გაიტანა და ქუჯი გამობრუნდა-მეთქი. მივიხედე სადარბაზო შესასვლელთან კაკი იდგა და ჩემკენ იხედებოდა. სიბნელეში ვიდექი და შეაკვირდებოდა. ალბათ, უნდოდა გავეგო, ვინ ვიყავი.

— კაკი. — დავუძახე.

კაკი ჩემი ხმის გაგონებაზე შეკრთა. ვარდების ღიღი თაიგული ზურგისკენ წაიღო დასამალად.

— მოდი აქ, კაკი.

— შენა ხარ, გიგი? — კაკიმ გაუბედავად ვადმოდგა ჩემკენ ნაბიჯი.

— მე ვარ.

— აქ რას აკეთებ?

ჩვენ უკვე პირისპირ ვიდექით. კაკი თავის ვარდებს უკან ზალავდა.

— თუ შეთანხმებულები იყავით, ვერ მითხარით, მეც წამოვიდოდი თქვენთან.

— არავის არ შეეთანხმებია... ხომ ხედავ მარტო მოვედი.

— კი ვხედავ. ეგ თაიგული სოფიკოსთვის მიგაქვს.

— იცი რა, შინ ველარ გავძელი...

— მაჩვენე, ვნახო, რა ყვავილებია.

კაკიმ უხერხულად გამომიწოდა ვარდები... თაიგული უცებ გამოვტაცე ხელიდან და მესერს იქით ვისროლე.

მესერი სკოლისა იყო. ჰიშკარს ღამლა-
მობით კეტავდნენ.

— ახლა წადი!

ვერაფერი მითხრა, მხოლოდ ყღაღ
თვალებს აპარპალეზდა შეშინებული.

— წადი! — თითქმის ვულრიაღე, —
რას უღგეხარ.

— სად წავიდე?

— სადაც გინდა!.. სადაც მიდიოდი!

— რატომ ვაღამივდე თაიგული?

— მინდოდა და ვაღამივდე... აიღე
და მიუტანე სოფიკოს.

გაბითურებული იღვა და ხმას არ
იღებდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს
ნაჭურღალზე დაიჭირეს, მეტის ატახა
აღარ შემეძლო და სწრაფად გავეცალე-
სიბნელეს შევაფარე თავი.

კაკი მაციფტრებდა. ქუჯი, გასაგები
იყო, რისთვისაც მიისწრაფვოდა სოფი-
კოსთან. მაგრამ კაკის რალა მოარბენი-
ნებდა. მე ვერასოდეს ვერ ვუგებდი
კაკის. თუმცა რა, ეს ასეა. — მთვარის
შესწავლა უფრო უძნელდებათ მეცნიე-
რებს. ვიდრე მთვარისგან რამდენიმე
მილიონი კილომეტრით დაშორებული
ვარსკვლავისა, რადგან ვარსკვლავი თვი-
თონ ასხივებს შუქს, მთვარე კი ჩამქრა-
ლია, საკუთარი შუქი, საკუთარი გამოს-
ხივება არ გააჩნია. აღამიანებიც ასე
არიან. ვისაც საკუთარი ხასიათი აქვს,
ის აღვილი შესაცნობიკაა. კაკი მუღამ
სხვის ღების ხმასაა აყოლილი, მუღამ
ვიღაცას ბაძავს, ან სახის გამომეტყვე-
ლებით ან ხელების მოძრაობით... სხვის
აზრებს იმეორებს. ზოგჯერ შეხედავ და
გაოცდები: მასში ხან დათუნას იცნობ,
ხან — ჯაბას, ხან ვის და ხან ვის... ახ-
ლა ქუჯითაა გატაცებული, ქუჯის და-
ემსგავსა...

ორმოცდაათი ნაბიჯიც არ მექნებო-
და გავლოლი, შევეჩერდი. ვიფიქრე ერ-
თი ვნახავ, რა ჰქნა-მეთქი. შინ დაბრუნ-
და, თუ უთაიგულოდ ესტუმრა სო-
ფიკოს.

კაკი მესერთან იღვა. ჩემი ნაცნობი
მილიციელი მისულიყო და იმას ელა-
პარაკებოდა.

მერმე დავინახე, რკინის მაღალ მე-

სერს როგორ დაეკიდა კაკი. მილიცი-
ელმა ხელი შეაშველა და ისიც დიდი
გაჭირვებითა და წვალებით გადაცოცდა.
ცოტა ხნის შემდეგ ყვავილებმა
გაიღღვა სიბნელეში. მილიციელი შეხ-
ტა და თაიგული დაიჭირა. ერთი კი გა-
ვიფიქრე, მივალ და მესერს ვაღამე
ვანწრუწუნებ-მეთქი ხაფანგში გამომწყვ-
დებული თაგვივით, მაგრამ შემეცოდა,
მაინც შემებრალა... ასეთი საცოდავი
კაკი მეორე არ მენახა.

ვიღეკი და შორიდან ვუყურებდი
სერიის. გადაცოცებისას მილიციელი შე-
ეშველა. ახლა კი მარტო წვალობდა.
აცოცდებოდა, ცალფხს გადაიტანდა
მესერზე და ისევ ჩასრიალდებოდა, მერ-
მე პიჯაკი გაიძრო და მილიციელს გა-
ღმოაწოდა.

ხალხი მოგროვდა. ამაზე უკეთესს რას
ნახავდა. მილიციელმა წესრიგის დამ-
ყარება სცადა, ხალხი მიფანტ-მო-
ფანტა. ბოლოს, დიდი ვაი-ვაგლახის
შემდეგ, კაკი გაღმოცოცდა. მაშინვე
შეუღდა შარვლის ბერტყვას. მილიცი-
ელმა რალაც ანიშნა. კაკი გადაიხნიჭა და
უკან დაიხედა. როგორც მივხედი, გაღ-
მოცოცებისას შარვალი წამოსდო რკი-
ნის წვეტს და გახია.

მე მინახავს სასოწარკვეთილი აღამიი-
ნი, მაგრამ ასეთი — არასოდეს. ვერც სა-
ხეს, ვერც მის გამომეტყველებას ვხე-
დავდი. ვხედავდი მხოლოდ სილუეტს,
მისი სხეულის კონტურებს. როგორ გა-
მოხატავდა კონტურები სასოწარკვეთას,
ძნელი სათქმელია. ამის დახატვა შეიძ-
ლება მხოლოდ.

მილიციელმა პიჯაკი და ვარდები გა-
უწოდა, კაკიმ გამოართვა. რატომღაც
ცრემლები მომერია და აეტირდი. აჰ
საცოდაობას ველარ ვაუფქელი და შინ
წავედი. გზა და გზა მეცანიებოდა და
კიდეც მეტირებოდა. მე კაკი არ შემეცო-
დებია, საერთოდ აღამიანი შემეცოდა...

10

— იქნებ მართლა არ მისულან სო-
ფიკოსთან? — იკითხა ცოტნემ.

— არ ვიცი. მე რაშიც ეპვი შეპარებოდა, ის შევეამოწმე.

ორივე სდუმდა.

ცოტნე აჩქარებას ნანობდა: ჯერ გიგი უნდა ენახა და შემდეგ მისულიყო ქუჯისთან. ერთი რამ მაინც უყვირდა. ქუჯიმ ხომ იცოდა, გიგი არაფერს დაუმალავდა. მოწმე რომ არ ყოლოდა, მან სხვაა, შეეძლო, რაც ნოესურვებოდა, მოეჩმახა. ანდა კაკიმ როგორ გაბედა ასეთი ცივი უარის თქმა. „იმ წუთს ისე მომაჩვენეს თავი, თითქოს მართალნი იყვნენ, საკუთარ სინდისთანაც და მეგობრებთანაც. მართალნი კი არა, აღშფოთებულნიც, ჩემი ჯიქური სტუმრობის გამო. თანაც ისე გამომაბრუნეს, მეორედ აღარ მიმესვლებოდა. იმათთვის მთავარი იყო ის წუთი. ხვალ გაიგებ სიმართლეს თუ არა, არ ენაღვლებათ. ვითომ გაბრაზებულნი არც შემოგზებდავენ, არც გაგიჩერდებიან“... ცოტნეს თავი ასტივდა, საფეთქლებთან თითქოს მარწყუებს უჭერდნენ. პაპიროსს პაპიროსზე სწევდა. იქნებ ამანაც ატიცა თავი.

გიგიმ ერთი ბოთლი „წინანდლი“ გამოიტანა, პური და ყველი. ბოთლი შეორთქლილი და დაცვარული იყო, ეტყობოდა მაკივრიდან გამოიღო.

— ჯაბას შესანდობარი დაგლიოთ, — თქვა და ტახტთან სკამზე გაშალა სუფრა.

ცოტნემ სურათები გადმოაღაგა. კედელზე მიაყუდა ერთმანეთის გვერდით.

— ახალი რა დახატე?

— არაფერი. დავიწყე და ვერ დავამთავრე.

სოფიკოს პორტრეტი მოხვდა ხელში. ეს სურათი თავიდანვე არ მოსწონდა ცოტნეს. შავი და მზინავი თმის ნაცვალად, გიგიმ წითელი თმა დაუხატა, თითქმის სისხლისფერი. ასეთი ფერის თმა საერთოდ არავის არა აქვს ქვეყანაზე. სოფიკოს ბავშვური, გულუბრყვილო იერი აქვს, ნათელი, მშვიდი გამოხედვა. სურათზე კი რაღაც ქალური

სიხარბე, დაუოცებლობა გამოკითხვით ამ წითელთმიანი ქალის მზერაში, კაბიდან დასხლექილი სხეული თითქოს ყვიროდა.

ცოტნეს გაახსენდა გიგის ნათქვამი: ქუჯი ხშირად დადიოდა სოფიკოს პორტრეტის სანახავადო. იქნებ გიგიმ გაუგო და ისე დახატა სოფიკო, როგორც ნამდვილად არის. ხოლო ამ სურათმა ქუჯის მიანიშნა ისეთი რამ, რასაც თვითონ ვერ მიხვდებოდა.

ორივემ უსიტყვოდ დაცალა ჭიქა.

რაც უფრო აკვირდებოდა, მით უფრო მეტად მოსწონდა ცოტნეს სოფიკოს სურათი. სოფიკოსა და ამ სურათს შორის ახლა ისეთი მსგავსება აღმოაჩინა, რასაც მანამდე ვერ პოულობდა.

ხელმეორედ შეავსო ჭიქები გიგიმ.

— წამოდი, ქუჯისთან მივიდეთ, — თქვა ცოტნემ და ჭიქა აიღო.

— ქუჯისთან რა დამრჩენია.

— თუ შმა ხარ, წამომყევი.

— ნეტა ვიცი, რა გაღვლეებს. ქუჯი არა ღირს ამდენ ღელვად.

— სულ არ ვღელავ.

— მაშ ვისხდეთ და ვსვათ ნელ-ნელა. კიდევ მაქვს ღვინო.

— ორიოდ სიტყვა დამრჩა სათქმელი.

— დაანებე თავი.

— უსათუოდ უნდა ვუთხრა. სხვახორად არ შემძლია.

— გითხარი, არა ღირს-მეთქი... დამალევინე ერთი ჭიქა.

— როგორ გამაბახეს...

— ჯერ ერთი, შინ არ დაგვხვდება... ყოველ კვირა საღამოს ქუჯი, სოფიკო და კაკი სასაფლაოზე მიდიან.

— სასაფლაოზე წავიდეთ.

დამიჯერე, არ ღირს. სასაფლაოზე მარტო წავიდეთ. ასე უყეთესი იქნება.

— გეხვეწები წამომყევი. შენ, თუ გინდა, ხმას ნუ ამოიღებ.

— თუ შინ არ დაგვხვდა, ჩემთან დაგბრუნდეთ ისევ.

— კარგი.

— ჯერ ეს ბოთლი გმოვცალოთ.

კარი ისევ ქუჯიმ გაულთ ცოტნეს. გიგი და ცოტნე ერთად რომ დაინახა, გაფითრდა. ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, დაბნეული აწრიალდა.

ბიჭებმა შემოსასვლელი გაიარეს და ოთახში შევიდნენ. ვაოცებულებმა ერთმანეთს გადახედეს: მაგიდასთან დათუნა იჯდა. მეგობრების შემოსვლისთანავე წამოდგა, ბავშვივით გაწითლდა, სახე აულენა.

— აქ რა გინდა, ბიჭო? — ჰკითხა გაკვირვებულმა გიგიმ.

დათუნამ არაფერი უბასუხა. ცოტნეს შეხედა და ძლივს ამომარცვლა.

— გავიგე, დღეს ჩამოსულხარ... შეცდუნეს ჩამოვედი.

— აქ რამ მოგიყვანა?

— რა ვიცი, მოვედი.

სოფიკო სავარძელში იჯდა. დამშვიდებული სახე ჰქონდა, თითქოს მას არც ეხებოდა, რაც მეგობართა შორის ხდებოდა. კაკი ისევ ფანჯარასთან იდგა კაბეებში ხელბეჩაწყობილი. ოღონდ შეშფოთებული ჩანდა.

ცოტნეს დღეს რამდენჯერმე დაეუფლა ისეთი გრძნობა, რასაც სახელს ვერ არქმევდა. არ იცოდა, რა ემართებოდა. თან აღშფოთდა, თან შეებრაღა დათუნა. თანაც გაიფიქრა, ჯანდაბას ამათი თავი, წავალ აქედან და, რაც უნდათ, ის უქნითო.

— წავიდეთ აქედან გიგი. — ცოტნეს აღარ შეეძლო აქ დარჩენა. აღარც იმის გაგება უნდოდა, რისთვისაც მოვიდა. მეგობრის უნებისყოფობამ იმდენად გააღიზიანა, წამით ისიც კი მოეჩვენა, თითქოს დათუნა კაკი კი არა, დიდი ჩვირი ზყო, რომლითაც ყოველგვარი მტკრის გადაწმენდა შეიძლებოდა.

გიგი მაინც არ ეშვებოდა დათუნას, ასე იცოდა, ბურღივით იყო, რასაც მიაღებოდა, ბოლომდე გაიტანდა.

— ჩემთან რატომ არ გამოიარე?

— შენთან ყოველთვის შემეძლო მოსვლა... — უბასუხა დათუნამ, — აქ არა.

— მაინც, აქ რა მოგარბენინებდა?

— ალბათ გუნებაში დამცინი და მკიცხავ... მაგრამ ვეღარ გავძედი... ნამდვილად ვერ გავძედი. ალბათ არის... ესენი ან სამუდამოდ უნდა დამეკარგა ან... უნდა მოვსულიყავი... ვეღარ გავიმეტე...

— რატომ არ მოხვედი ჩემთან?

— შენ რატომ არ მოხვედი? — შეუბრუნა კითხვა დათუნამ. — იქ სულ მარტო ვიყავი, მარტო. ხმის გამცემი არავინ მყავდა. თითქოს დავცარიელდი. ველარაფრით ამოვავსე ეს სიცარიელე...

დათუნას სიტყვებში სამართლიანი საყვედური იგრძნო ცოტნემ. ამ საყვედურს გიგიმ წაუყრუა, ქუჯისა და კაკის გადაპყრა:

— მერმე ამ სიცარიელით გინდა ამოივსო სიცარიელე?

კაკი და ქუჯი უხზოდ იტანდნენ შეურაცხყოფას.

— მაგის თქმა ადვილია... ყოველთვის მივიკრიდა, სხვას რაც უღაღვილდება, მე რატომ მიჭირს-მეთქი. თქვენთვის იოლი ყოფილა მეგობრის მოიპოვება, დაკარგვა. — ერთგვარი სინანულით თქვა დათუნამ.

— თუ იცი, რას კარგავ, მაშინ არ დაგენანება... ზოგი მეგობარს მხოლოდ იმისთვის იძენს, რომ მერმე გაყიდოს.

ცოტნე გრძნობდა ამ კენწლანობისაგან არაფერი გამოვიდოდა. თუმცა სიტყვების კორიანტელში მაინც იმაღლებოდა ტკივილი და სინანული.

სხვები ხმის ამოღებას ერიდებოდნენ. დაკინებით სდუმდნენ. ალბათ, ეშინოდათ უფრო არ დაეძაბათ, არ გაემწევავებინათ ეს ურთიერთობა.

— მაინც არ მესმის, — ვერ ისვენებდა გიგი. — რისთვის მოხვედი აქ? რა გინდა.

— არაფერი... — უბასუხა დათუნამ, — აქ მოსვლამდე, მეგონა, ვიცოდი, რისთვის მოვდიოდი. ვცადე კიდეც თქმა. ვითხარი... მაგრამ, როგორც ვტყუობა, მოსვლის მიზეზი საკმარისი არ ყოფილა... ასევე ვუთხარი თქვენს მოსვლამდე ამათ...

— თუ კი ასეა, წავიდეთ.



— წაიღეთ, — დაეთანხმა დათუნა. ცოტნეს გაუხარდა. გულის სიღრმეში თითქმის ისიც აბატი, რაც წელან ასე აღიზიანებდა და აღაშფოთებდა. მაგრამ გიგი ადვილიდან არ იძვროდა.

ოთახი პაპიროსის ბოლით იყო და-
ნისლული.

„ყველაფერმა თავისი ნამდვილი სახე მიიღო, — ფიქრობდა ცოტნე, — ყვე-
ლაფერი ნათელი და გარკვეულია... ახ-
ლა მთავარია, დათუნა მოვაშორეთ
ამათ“.

გიგი კი ალბათ, სულ სხვას ფიქრობ-
და. სოფიკოს მიუახლოვდა და მხარზე
დაადო ხელი.

სოფიკომ ახედა, დიდი თვალეზი შეა-
ნათა. სახე დაეძაბა და ერთი წამით ჯა-
ბას დაემსგავსა. ცოტნეს უნდოდა, უფ-
რო ხანგრძლივი და უფრო დიდი ყოფი-
ლიყო მსგავსება, მაგრამ სოფიკომ გაი-
ლიმა და ის მსგავსება ღიმილში გადნა,
გაუფერულდა.

— სოფიკო, შენთვის არაფერი მით-
ხვია, — გიგომ რატომღაც ცოტნეს
მოხედა და მერმე ისევ სოფიკოს მიუბ-
რუნდა, — ახლა მითხარი, იმ საღამოს
იყვნენ შენთან ქუჯი და კაკი?

— რომელ საღამოს?

— შენს დღეობაზე.

— იყვნენ.

— ორივე? ქუჯიც და კაკიც?

— ჰო, ორივე. რატომ მეკითხები?

გიგის არ დაუმალავს, უთხრა, რატო-
მაც ეკითხებოდა.

ცოტნე ქუჯის და კაკის აკვირდებო-
და. გარეგნულად არაფერს არ იმჩნევდ-
ნენ. ერთადერთი, რაც მათ მღვლეარე-
ბას ამეღავნებდა, ის იყო, რომ ცდი-
ლობდნენ, ღელვა არ დასტყობოდათ,
ცდილობდნენ, დამშვიდებული კაცის
იერი აეფარათ სახეზე.

— რა საჭიროა... — თქვა დათუ-
ნამ, — ყველამ იცის...

— მე არ ვიცი, — ბოლოსდაბოლოს
ხმა ამოიღო ცოტნემ, — ვკითხე და და-
მიმალეს... ერთმაც და მეორემაც მო-
მატყუა.

— რატომ დაუმალოთ? — გარცდა
სოფიკო.

— მე უფრო მეტი ვუთხარი, ვიდრე
საჭირო იყო. — თქვა ქუჯიმ.

— თუ გინდათ, გიაზობთ, როგორც
იყო... ვატყობ, ათასგვარი ეჭვი გაწუ-
ხებთ, რადგან არც ერთმა არ იცით, რა
მოხდა იმ ღამეს ჩემთან.

12

ჯაბა დილიდან უგუნებოთ იყო, მიღ-
რენდა. მე საღამოსთვის ეგზავნებოდი
და არ ვაქცევდი ყურადღებას. რაღაცას
ბუტბუტებდა უკმაყოფილოდ, რაღაც
არ მოწონდა.

ღელამ რამდენჯერმე ჰკითხა:

— რა მოგივიდა, ჯაბა?

ჯაბა პასუხს არ იძლეოდა, თავისთვის
ჯუჯღუნებდა. ჯერ თავისი მაგიდის
უჯრაში იქეჭებოდა დიდხანს, ქალა-
დებს ალაგებდა, ხედა, ინახავდა. მერ-
მე პირი გაიპარსა, ახალი პერანგი ჩაი-
ვა და უხმოდ წავიდა.

— ჩაი მაინც დალიე. — ეხვეწებოდა
ღელა.

სადილობისას ისევ დაბრუნდა. ოდნავ
გაფითრებული იყო. მოღუშული მიუჯ-
და მაგიდას და უხმოდ შეუდგა სადი-
ლის ჭამას.

— როდის თამაშობენ ჩვენები. —
ჰკითხა მამამ.

— არ ვიცი. — უპასუხა.

— შენ რა, ცუდად ხომ არა ხარ?

— არა.

— ბიჭები ნაკრებში წაუყვანიათ, რო-
გორ იქნება ჩვენი საქმე? — წუხდა
მამა.

ჯაბამ ისაღილა და წამოდგა.

— აეროდრომზე მივდივარ. შენ ხომ
არ წამოხვალ? — მკითხა.

— საიდან? — ეუპასუხე მე, — არ
მცალია. ჩემ მაგივრად აკოცე ცოტნეს.
— წამოდი.

— გითხარი, არა მცალია.

— ტყუილად ირჯები, დღეს არავინ
მოვივა სტუმრად.

ბევრი არა მყოლია დაპატიყებული.

ორ გოგოსა და თქვენ გელოდით...
 დარწმუნებული ვიყავი ყველა მოვი-
 ლოდა, ჯაბას სიტყვები მის უგუნებო-
 ბას მივაწერე, თუმცა უგუნებობა ნელ-
 ნელა თურმე მეც გადმომდებოდა.

გოგოები დანიშნულ დროს გამოც-
 ხადნენ. მოწყენილები ვისხედით და
 გელოდებოდით.

ჯაბა აეროდრომიდან მარტო მოვიდა.
 ისე იყო აღეწილი და ამღვრეული ვი-
 ფიქრე, გაგიცადა-მეთქი.

გოგოები შეწუხდნენ და უხერხულო-
 ბა იგრძნეს, გადმომჩურჩულეს: ჩვენ
 წავალთო.

— ეს გინდოდა, არა?! — მკითხა
 გაბრაზებულმა ჯაბამ.

— რა მოხდა, გამაგებინე?!

ჯაბა შეიკეტა თავის ოთახში და აღარ
 გამოსულა.

მე გაუშვალე სუფრა გოგოებს.

რაც თავი მახსოვს, ყოველ წელს ვიხ-
 დიდი დაბადების დღეს. ეს დღე მუდამ
 მხიარული და ბედნიერი დღე იყო ჩემ-
 თვის, არაერთხელ თქვენც ყოფილხართ
 შემთან და კარგად იცით, როგორ ვატა-
 რებდით დროს.

ახლა კი სამნი ვისხედით, მოწყენი-
 ლებს აღარ ვიცოდით, რა გაგვეკეთები-
 ნა. გოგოებს, ალბათ, შევეცოდე და
 აღარ მიმატოვეს, თორემ ერთი სული
 ჰქონდათ, გაქცეულიყვნენ.

ამ დროს ქუჯი მოვიდა. გ. ჩარებულ-
 მა მოვეხვიე და ვაკოცე. მხსნელივით
 მოგვევლინა ქუჯი.

— მარტო მოხვედი? — ვკითხე.

— სხვას რას კითხულობ? — მიპასუ-
 ხა მხიარულად, — ჯერჯერობით მე
 მოვედი.

ოთახში შევიყვანე. გოგოები ყრიაძე-
 ლით წამოიშალნენ. ქუჯიმ შემოსვლის-
 თანავე იკითხა:

— ჯაბა სად არის?

მე დაუუკაცუნე ჯაბას და ვუთხარი:

— ჯაბა, ქუჯი მოვიდა.

კარს ქუჯიც მოუახლოვდა და პასუხს
 მიაყურა. ახლა მან დაუკაცუნა.

— რა გინდა? — იკითხა ჯაბამ.

— ქუჯი მოვიდა... — ვუთხარი მე.

— რატომ მოვიდა მერმე... რამდენა-
 დაც ვიცი, არ უნდა მოსულხყო! ^{გაიციე!}
 ბულმა ახეხე ქუჯის. ქუჯიმ მხრებზე
 აიხეჩა და კარს ღიმილით მოშორდა.

— დამალევენით რამე... — თქვა ღი-
 მილითვე, — ისე მწყურია, ლამის გავ-
 გივდე.

— რა მოხდა? დაეჭვებულმა ვკითხე
 ქუჯის.

— არაფერი... ხუმრობს...

ჩაციებულნი ღვინო გამოვიტანე.
 ორიოდ ქიქა დალია, ჩვენი გამხიარუ-
 ლება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვი-
 ლა.

— რომელი ხაათია? — იკითხა ბო-
 ლოს ქუჯიმ.

— ჯერ ადრეა, ათის ნახევარია. —
 ვუპასუხე მე.

— იცი რა, მოდი, სადმე წავიდეთ. მე
 გაბატონებ... დღეს შენი დღეა. — მომიბ-
 რუნდა, — ასე არ ივარგებს. უნდა ვიმ-
 ხიარულოთ.

— სად წავიდეთ?

— სადაც გინდა!

— მაინც?

— თუნდაც ზევით. — მითხრა ქუჯიმ.

„ზევით“ — მივხედი, ფუნქციონირ-
 ზე ასეღას ნიშნავდა. მაშინვე დაითანხ-
 მდი და გოგოები ავიყოლიე. ამ მოწყე-
 ნას ყველაფერი გვერჩია...

კარებში გაფითრებული და დარცხვე-
 ნილი კაცი შეგვეჩეხა. ხელში ვარდების
 დიდი თაიგული ეჭირა. სიცილითა და
 ხმაურით შევხედით ახალმოსულს. რო-
 მელმაც ყვავილები მაშინვე მომაჩეჩა
 და დაბადების დღე მომილოცა. გამიჯ-
 ვირდა: ვარდები ტალახიანი იყო.

— არაფერია, ალბათ, იატაკი დაგა-
 ვა, — იხუმრა ქუჯიმ. — წყალი გაიკლე.
 მერმე კაცის ვუთხარი, სადაც მივ-
 დიოდით, კაკიმ ცივი უარი დაგვიბ-
 რუნა:

— ვერ წამოვალ, არ შემიძლია.

— რატომ, ბიჭო, — შეეკითხა ქუჯი.
 კაკიმ გვერდზე გაიხმო შეგობარნი და
 რაღაც უთხრა. ქუჯი სიცილით კვდებო-
 და, კაცი პირზე აფარებდა ხელს, მაგრამ
 სათქმელი მაინც ითქვა: თურმე ქუჩაში

წამყვლიყო და შარვალი გახეოდა.

შარვალი სწრაფად გავხადეთ. სახელდახელოდ დაეუკერეთ და ისევ ჩავაცვით. ქუჯი ხუმრობდა:

— ეგ ნაკერი ისეა, თითქოს პანლური ამოკრესო.

ასე წავედით „ზევით“ — რესტორანში.

აივანზე მაგიდა ვიშოვეთ და მივუსხედით.

ნელ-ნელა შევექცეოდით „გრემს“, არასოდეს არ დამელია მაგარი სასმელი. გოგობიე პირველად სვამდნენ. მოგვეკიდა.

მე ბედნიერი ვიყავი. ვთქვი კიდევ: ასეთი დაბადების დღე არა მქონია-მეთქი. არცა ვტყუოდი, ნამდვილად ვფიქრობდი, რომ ეს დღე ყველაზე ბედნიერი იყო განვიღო დღეთაგან.

უკვე გვიან იყო და წამოვიშალეთ. აღარ მახსოვს სად გაქრნენ კაკი და გოგობი. მე ქუჯის მივეხდე. მკლავზე მოვხვიე ორივე ხელი და თავი მხარზე ჩამოვადე.

— ტრამვაით წავიდეთ, — ვუთხარი მე.

— ტრამვაით?

— მაშ რით? მანქანით?

— ფეხით. ასეთ ღამეში მხოლოდ ფეხით უნდა დადიოდე, — მითხრა ქუჯიმ.

ასე დავეყვით მთაწმინდის ბილიკებს. მე მეშინოდა, სადმე არ გადაეჩეხილიყავით. ჩემი შიში ქუჯის ვაჟუმელავენე:

— მეშინია, ქუჯი.

— რისი?

— სადმე არ გადავეარდეთ.

— ნუ გეშინია... მე კარგად ვიცი ეს გზები.

ხელზე ქუჯის ხელის შეხება ვიგრძენი, თვალები დავხუჭე და ბრმად მივიხდე. არ ვიცოდი, სად მივდიოდით, როგორ მივდიოდით... ყველაფერი სულერთი იყო ჩემთვის, ოღონდ ეს დაუსრულებლად გვევლო.

უცებ გამაჩერა და მკითხა:

— გძინავს?

— არა. — ვუთხარი.

სახეზე მომისვა ხელი. თვალები ფრთხილად გამიხილა და დაქნებით ჩამაცქვრდა, მერმე... მერმე მერმე წუთით, წუთით კი არა, წამით... ცა დაეწანახე...

13

ცოტნეს გიგის დახატული პორტრეტი გაახსენდა, წითელი, თითქმის სისხლისფერთმიანი ქალიშვილი, რომლის მზერაში ქალური სიხარბე და დაუოკებლობა გამოკრთოდა. შემდეგ დათუნას გადახედა და შეებრალა: მოკუნტული დაპატარავებული იჯდა და ღია ფანჯარაში იხედებოდა. ფანჯარაში კი დამტვერილი კრამიტების მეტი არაფერი მოჩანდა, „რაც დათუნამ სამი წლის მანძილზე ვერ მოახერხა, — გაიფიქრა ცოტნემ, — ქუჯიმ რამდენიმე საათში მოითავა. ალბათ აღარ უნდათ შენი სიყვარული. მით უმეტეს, ისე ხანგრძლივი და მოსაწყენი“... თანაც უკვირდა, დათუნა რომ ასე აღუშფოთებლად უსმენდა სოფიკოს. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს დათუნას ქუჯის დაკარგვა უფრო უძნელდებოდა, ვიდრე სოფიკოსი.

სოფიკომ სიგარეტი მოსთხოვა ცოტნეს. ცოტნემ სიგარეტი და ცეცხლი თითქმის ერთდროულად მიაწოდა.

— მართლა ასე იყო? — ჰკითხა ქუჯის ცოტნემ.

ქუჯის სახე წამოუწითლდა, შუბლზე ძარღვი დაებერა.

— გეკითხები, ასე იყო-მეთქი?!

— ბავშვები აღარა ვართ, ცოტნე, — თქვა სოფიკომ. — გითხარით, როგორც იყო. ახლა ჩვენ...

— ახლა ჩვენ დროა ვიცოდეთ, — გააწყვეტინა გიგიმ, — ვინა ვართ და რა ვართ. ბავშვებს ეპატრებათ ამის არ ცოდნა... ჩვენ — არა... არ გვეპატრება.

— მუდამ ასეთი იყავი გიგი, — გაიღიმა სოფიკომ, — ჩემ სათქმელს შენ ამბობდი... — მერმე წამოდგა, კაბა და თმა გაისწორა, — წასვლამდე ერთსაც გეტყვით, ესეც უნდა იცოდეთ... წუხელ კაკიმ დააპირა იგივე, რაც ქუჯიმ ჩაიდი-

ნა. მე მგონი, ეგენი შეთანხმებულებიც იყვნენ...

ბიჭები ერთხანს ვერ მიხვდნენ, როსი თქმა უნდოდა სოფიკოს, როდესაც გაიზარეს და მიხვდნენ, სოფიკო უკვე ოთახში აღარ იყო.

კაცი ვერ წარმოიდგენს, რაც იქ მოხდა. სამივე ერთმანეთს აკავებდა და ამავე დროს, სამივე ერთად მიიწევდა კუთხეში მიმწყვედვულ ქუჯისა და კაკისაკენ. სამივე ყვიროდა, ღრიალებდა. იგინებოდა, გაცოფებული აწყდებოდნენ ერთმეორეს. ისინი ძველ, ყოფილ მეგობრებსაც აუჯანყდნენ და — საკუთარ თავსაც. ბოლმა, რომელიც აქამდე გულზე აწევებოდათ, დაძრა, გადმოინთხა, ვერ გაიგებდით, ვის რა უნდოდა, ვინ რას აკეთებდა. რალაც ეცემოდა, იმსხვრეოდა, ისმოდა ლაწანი, ღრიალი.

ეს იყო ნამდვილი ამბოხება, დაგუბებული ბოლმის ამბოხი, რომელიც ერთმა სიტყვამ დაძრა. ასე გადმოიდგრება ხოლმე დაგუბებული მდინარე, როცა ჩაბერგილს ერთი ბელტი მიანიც უღალატებს.

— ცოტნე! — შეჰკვივლა სოფიკომ.

როგორც ეტყობოდა, სოფიკოს ეს ღრიანცელი კიბეზე გაეგონა და მობრუნებულყო.

უცებ სიწყნარე ჩამოვარდა. ბიჭებს გული ამოვარდნაზე ჰქონდათ. დაღლილები, დაღეწილები ღრმად სუნთქავდნენ.

მარტო ცოტნე იდგა ხელშეოხები. ეს გოლიათური აღნაგობისა და ძალის პატრონი უფრო აკავებდა მეგობრებს, ვიდრე იბრძოდა.

ოთხივემ უხმოდ დატოვა ოთახი. ცოტნემ, ვიდრე გავიდოდა, თვალი მოჰკრა მაგიდაზე გაშლილ ჭადრაკის დაფას, რომელზეც ფიგურები უკვე უწესრიგოდ ეყარა.

უსიტყვოდ ჩამოათავეს სადარბაზო კიბეები ოა ჭოჩაში გაიდნენ.

— ჩემთან წავიდეთ, — თქვა გიგიმ.

— არა... სასაფლაოზე. — ცოტნეს დღესვე უნდოდა მეგობრის საფლავის ნახვა.

— სასაფლაოზე ახლა გვიანაა.

— თქვენთვის, თითქმის თქვენი ჯგუზი დაილუბა... ჩემთვის დაილუბა დღეს... მე დღეს გავიგე — დღემდე ცოცხალი შეგონა, ჩემთვის ცოცხალი იყო.

— კარგი წავიდეთ. — დაეთანხმა გიგი.

— შენც წამოხვალ, სოფიკო? — შეეკითხა ცოტნე.

— არა... თქვენ წადით.

ცოტნემ მქალავი გაუყარა სოფიკოს და ავტობუსის გაჩერებამდე მიაცილა. გზაში ჰკითხა:

— დათუნასთან ქუჯიმ წავაჩხუბა?

სოფიკომ გაიღიმა და თავი გაიქნია.

— მაშ, რა მოხდა?

— არ ვიცი.

— მიანიც?

— ამას მამაკაცები ვერ გაიგებთ.

— რა არის ისეთი, მე რომ ვერ გავიგო?

— ზოგჯერ ხდება ხოლმე... ვერ იგებთ...

— შეიძლება... — მცირე დუმილის შემდეგ ცოტნემ ისევ ჰკითხა, — დღეს რად მოხვედი ქუჯისთან?

— ასე იყო საჭირო.

— დროზე მოგვისწარი, თორემ დავხოცავდით ერთმანეთს!

— შენ რა, იმათ იკითხონ...

— არაფერია, მოუვლიან ერთმანეთს,

— ასე გაცოფებული არასოდეს მიწახვებართ.

— აბა, ნამდვილად გაციოფდით... მე მიანიც მოვახერხე თავის შეკავება.

— დათუნაზე მეციენება, შეშლილსა ჰგავდა.

— დათუნა კარგი ბიჭია.

— ვიცი.

— ვაჟაკია.

— ვიცი. სხვაზე უკეთ მე ვიცნობ... ახლა არ ვნანობ, მაგრამ ოდესმე, ალბათ, ვინანებ.

— რას ინანებ?

— დათუნას რომ ასე მოვექეცი... დღესაც დაერწმუნდი...

— დღეს?

— პო. ქუჯისთან რომ მოვიდა, მაშინ.

— მე ვერ გავიგე რატომ მოვიდა ქუჯისთან... გაგებრაზდი. ერთი წუთით თითქოს შემეზიზნა კიდევ.

— მე გაუვიგე, მე მიეხვედი, რატომაც მოვიდა.

— მითხარი.

— სხვა დროს გეტყვი... თუ კი შეგხვდებით ერთმანეთს სალაპარაკოდ.

— წამოდი. სასაფლაოზე წავიდეთ ერთად.

ავტობუსი გაჩერდა. სოფიკო დაემშვიდობა ცოტნეს და მანქანაში ავიდა.

ცოტნეს ისევ გიგის ნახატი გაახსენდა და შეეშინდა: პორტრეტისა და სოფიკოს მსგავსება შემხარავი იყო.

14

სასაფლაოზე შებინდებისას მოვიდნენ.

მთელი გზა უხმოდ გაიარეს დაყინებით სდუმდნენ. თითქოს არაფერი ჰქონდათ ერთმანეთისთვის სათქმელი.

ნორიოს მხრიდან ვეებერთელა მთვარე ამოდიოდა. სპილენძისფერი მთვარე დახატულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ნამდვილს.

სამნი უხმოდ მიჰყვებოდნენ კიპაროსებსა და ტირიფებს შორის სასაფლაოს ბილიკებს.

„ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ, — ფიქრობდა ცოტნე. — უნდა მოეუაროთ ერთმანეთს, მერმე ყველადერი გვიანაა. აღარც ტყვილი შველის, არც მწუხარება, არც სინანული... ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ“. უწესრიგოდ მიყრილი, დამკნარი, ძველი გვრგვინების გროვა დაინახა და მიხვდა, ეს იყო ჯაბას საფლავი. ცოტნეს გული შეუქანდა და შეჩერდა. წინ ველარაფერს ხედავდა. ხელები მეგობრებს მოხვია და მკერდზე ღონივრად მიიკრა. უცებ რატომღაც ისევ ის გრძელი, დამკნარევი გზა გაახსენდა, არაქათგაცილილი ბავშვები მიძინე გვრგვინებს რომ მიათრევდნენ. თითქოს ის გვირგვინები

დღემდე ათრიეს, აქ მოიტანეს და ასე დაეარეს მეგობრის საფლავზე.

ცოტნემ ცრემლი მოიწმინდა და საფლავს დახედა.

ბიჭებმა იქვე მოძრავი ლანდი შენიშნეს.

ახლოს მივიდნენ.

ვილაც შავსამოსიანი ქალი ჩაჩოქილიყო და ძველ გვირგვინებზე წითელ მიხაკებს აწყობდა. ქალს სუსტი და უღონო მხრები ჰქონდა. სახე არ უჩანდა, ნეილონის შავი მერდინი უფარავდა.

ბიჭები ჩუმად, ფეხაყრფით მოვიდნენ, თითქოს საფლავს მიეპარნენ. ქალს მათი მოსვლა არ გაუგია და ისევ თავის საქმეს განაგრძობდა.

საიდანღაც პატარა გოგონა გამოჩნდა. შეშინებული დიდი თვალებით მიაცხეტრდა ახლადმოსულებს. მთრთოლვარე ხმით წამოიძახა:

— დედა!

დედამ თავი აიღო, შვილს შეხედა და მერმე, უნებურად მიატრიალა თავი. ბორცვზე სამი ვაჟაკი იდგა. სამივეს თავი დაეხარა და ნაღვლიანად დასცქეროდნენ მიწას.

ქალი სწრაფად წამოდგა და კაბა მუხლებთან დაიბერტყა. გოგონას ხელი გაუწყო.

— წავიდეთ... როგორ დაღამებულა.

ქალს უფრო ახალგაზრდული ხმა ჰქონდა, ვიდრე თვითონ ჩანდა. დედა და შვილი მაშინვე გაშორდნენ საფლავს და ბილიკით ქვევით დაემშენენ, ხეებსა და ბუჩქებს მოეუარნენ.

— იცანიტ? — ჰკითხა ცოტნემ მეგობრებს.

— ვერა. — თითქმის ერთხმად მიუგეს მეგობრებმა.

— აგერ წითელი მიხაკები.

ყველამ სასაფლაოზე გათანტულ წითელ მიხაკებს დახედა და სიტყვა არ უთქვამთ ისე, შეთანხმებულებივით, დავდევნენ უკან დედას და შვილს.

მთავარ გზაზე, სადაც ასფალტი იწყება, დაეწიენ, ჩრდილებივით უკან მის-

დევდნენ. ვერცერთი ვერ ბედავდა ახლოს მისვლას.

დედამ და შვილმა ნაბიჯს აუჩქარეს. ალბათ იგრძნეს, რომ ვილაკეები მისდევდნენ. ცოტნე დაწინაურდა მიუახლოვდა ქალს და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— მაპატიეთ, ქალბატონო.

— რა გნებაეთ, — ისე უთხრა ქალმა ცოტნესკენ არ მიუხედავს.

ცოტნე ცდილობდა, ქალის სახე დაენახა. ნეილონის მერდინი და სიბნელე ხელს უშლიდა. თუმცა მერდინი გამჭვირვალე იყო და მაინც დალანდა გაფითრებული, გაცრეცილი სახის ნაკვთები. გაუკვირდა: იმდენად ბავშვური იერი ჰქონდა, ქალს არც კი ჰგავდა.

— თქვენ ჯაბას მეგობარი იყავით... —

ცოტნე უჩვეულოდ ლელავდა. ხმა უთრთოდა, ვერაფრით მოახერხა, საუბრისათვის თავი მოეხა.

— თქვენ? თქვენც იყავით ჯაბას მეგობრები?

— დიახ... მე ცოტნე ვარ... ისინი...

— დათუნა და გიგი... ჯაბა ბევრს მიამბობდა თქვენზე...

ქალს ხმა ჩაუწყდა. ცოტნემ იგრძნო, იგი ცრემლს იკავებდა. ცდილობდა, არ ატირებულყო.

— ნახვამდის... ჩვენ გვეჩქარება... — უთხრა ქალმა.

— გაგაცილებთ.

— არა, ნუ შეწუხდებით.

— პირიქით, ქალბატონო.

— არა, არა!

— მისამართი მითხარით, ჩვენ გამოვივლით...

— ნახვამდის... ნუ მოხვალთ ჩემთან! ქალი ჩქარი ნაბიჯით გაშორდა ცოტ-

ნეს. ცოტნე მარტო დარჩა და მხერგა გააყოლა მიმავალ დედასა და შვილს. ისინი ალაყაფის კარს გასცდნენ და ქუჩაში გავიდნენ, მარცხნივ შეუხვიეს.

ცოტნე თითქოს გრძნობდა, რომ ასე მოხდებოდა. ამგვარი ტკივილი ერთხელ უკვე ჰქონდა განცდილი. ჯაბას ცხოვრების ეს მხარე ისევე ნისლით იყო შებურული. ოღონდ ის ნისლი ახლა უფრო ნათელი იყო, თითქოს შიგნიდან მზე ამუქებდა.

ცოტნეს მეგობრები წამოეწივნენ.

— რა გითხრა?

— არაფერი.

— ის არის, თუ სხვა?

— რა თქმა უნდა, ის არის.

— რა ჰქვია?

— არ ვიცი.

— რატომ არ ჰკითხე?

— ვერ ვკითხე...

— ბავშვი ჯაბასი ხომ არ არის?

— არ ვიცი... ვერც ვგ ვკითხე...

ცოტნეს უნდოდა მერდინში თვალმოკრული ნაკვთების მიხედვით სრულად წარმოედგინა ამ ქალის სახე. ვერ ახერხებდა, რალაც უშლიდა ხელს, მაშინვე ამსხვრევდა, როგორც მდინარის გლეჯ ზედაპირზე არეკლილ ადამიანის სახეს წყალში გადასროლილი კენჭი.

სასაფლაო უკან დარჩათ...

ქუჩა მაღალი ნათურებით იყო გაჩირალდნებული.

სამნი ბრუნდებოდნენ. მხარდამხარ მოდიოდნენ უშოდ. სახეპოლოშოონი, ისე, როგორც იეროშზე შიდიან ბოლძე ჯარისკაცები.

წინ ქალაქი მოჩანდა, დიდი ქალაქი, განათებული, გაბრწყინებული, აელვარებული...



გიორგი ბერაშვილი

მარს დროს...

პ ა ტ რ უ ლ ი

ომის დროს...

ლამის თერთმეტი საათი სრულდებოდა.

პალტოში გახვეულმა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ყმაწვილმა გადასკრა ქუჩა და თავქვე დაეშვა.

— სდექ! — გაისმა მაშინვე სიბნელეში.

ყმაწვილი მიხვდა; ვერ ასცდა სადღაც ჩაღარაჯებული პატრულის თვალს და ბრახით ხელი ჩაიქნია. შეჩერდა. მოპირდაპირე ტროტუარზე ცივი ელვარება შენიშნა — თავად უჩინარ პატრულს მკერდზე ავტომატი ულაპლაპებდა.

— საბუთები წესრიგში მაქვს, — გასძახა ყმაწვილმა, — ოღონდ ლამის საშვი არ გამაჩნია და იმიტომ მივრბივარ. თერთმეტ საათამდე სულ ხუთი წუთი-ღა დარჩა.

— მაინც გავსინჯოთ.

პატრული და ყმაწვილი ერთმანეთისაკენ გაემართნენ და შუა ქუჩაში შეხვდნენ.

პატრულმა ჯიბის ფანრის შუქზე გულდასმით გაუსინჯა ყმაწვილის საბუთები და უკან დაუბრუნა.

— თავისუფალი ვარ? — მოუთმენლად და ნიშნისმოგებით იკითხა ყმაწვილმა, რაკი პატრული მას ვერაფერში შეედავა. ის კი ახლა თვით ახალგაზრდა მოქალაქეს აკვირდებოდა ყურადღებით. პალტოს უბიდან თბილი ორთქლი და ოხნივარი ამოსდიოდა და პატრული აქ საოცრებამ გაახვევა.

— თავისუფალი კი ხარ, მაგრამ ეგ რა არის, რა ცეცხლი გიკილია?

— ეს უკვე თქვენ არ შეგეხებათ.

— მაინც.

— ყუმბარა არ მიდევს, ყოველ შემთხვევაში, — ყმაწვილმა ნერვიულად ჩაიყო უბეში ხელი და რალაც მრგვალი, ყვითელი და თბილსურნელოვანი პატრულს ზედ თვალწინ მიუტანა, — მკადია, ჩვენებური პური. რა დასამალია, ნამდვილი პურის ნორმა ყოველთვის არ გვეყოფნის და თუ საშუალებაა, ამას ვიშველიებთ. ეხლა ამხანაგთან ვიყავი, ვიდრე თითო ამისთანა გამოვიცოდვილეთ, ქუჩაში მოძრაობის შეწყვეტის დრომაც მოაწია. მეც ჩემ კვერს დაეტაცე და გიყვივით გამოვიქეცი.

პატრულიც ახალგაზრდა იყო და მასაც შიოდა.

— გემრიელია? — ყმაწვილს თანაგრძნობით გაუღიმა და უცნაურ კვერს ფრთხილად ხელი შეაბო.

— გემრიელი და როგორი! — გაიციონა უცებ მოხასიათებულმა ყმაწვილმა და მკადი ძმურად გაუყო სალდათს, — თვითონვე გასინჯე.

ჯარისკაცმა პირველად უნდობლად მოცმულა. მაგრამ ეაზა კი უცხო ღილი და კბილი მარად გაუსვა.

— გაგაცილებთ, — მოულოდნელად გადაწყვიტა მან, — თორემ გზაზე სხვაც შეგხვდება ჩემისთანა და ახლა იმათ უხსენი რატომ და რისთვის.

თვითონ ყმაწვილს ჯერ პირიც არ დაეკარებინა თავისი წილი მკადისათვის, ჯარისკაცის მადა და მოწონება სიამოვნებდა და მასვე მისჩერებოდა ღიმილით.

ახლა თვითონაც მადიანად მოკბინა და ჭამა-ჭამით გაჰყენენ ჩაბნელებულ ქუჩებს.



პატარა ძმობილი

ომის დროს...

დიდი ნაცრისფერი შენობა ჩვეულებრივ საავადმყოფოს წარმოადგენდა და ახლა სამხედრო ჰოსპიტალად გადააკეთეს.

თითქმის იმავე დღიდან ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ოდნავ შემალვებული ერთსართულიანი სახლის სადარბაზო კარის კიბეები აიჩემა თორმეტიოდე წლის ბიჭმა. ნაშუადღევს, დაახლოებით ორ-სამ საათზე მოცუცულებოდა იგი აქ და დაეკვროდა ერთ-ერთ საფეხურს, რომ შემდეგ, ბელურასავით მობუზულს, შეზინდებამდე წამითაც არ მოეწყვიტა ნაღვლიანი მზერა ჰოსპიტლის ფანჯრებისათვის. თვითეულ ფანჯარას კი თითქმის ყოველთვის ჯგუფად მოსდგომოდნენ შიგნიდან დაქრილი მებრძოლები.

ბიჭი ხედებოდა, რომ ფანჯრებიდან მზირალთ შედარებით იოლი პრილობები ჰქონდათ, ხოლო მათ ზურგს უკან ერთ-თავად საწოლებს იყენენ გაკრულნი სხვა, მძიმედ დაშავებული ადამიანები, რომელთაც დარდი და ტკივილები კიდევ უფრო აწეალებდათ.

დაქრილებმა, ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო, მეტადრე პირველსართულელებმა, მალე შეაჩვიეს თვალი ნაღვლიან ბიჭს და როგორც კი მისი გამოჩენის დრო მოაწევდა, ფანჯარას მოადგებოდნენ, მაღლიერა ღიმილით და ხელის დაქნევით ესალმებოდნენ.

ბიჭი მაშინვე მკვირცხლად წამოხტებოდა, გაუღიმებდა, თავაზიანად თავს დაუკრავდა და ისევ ადგილს დაეკვრებოდა. ერთხელ კი ფანჯარასთან მიცუცულდა და იქნებ რამე დამავალოთო, სთხოვა.

მებრძოლებს, სჩანდა, არაფერი სკირდებოდათ, მაგრამ არ გააწბილეს იგი, საჩქაროდ დაუყარეს თავი გამზადებულ წერილებს და ბიჭს მთელი დასტა გადმოაწოდეს.

ბიჭმა უმალ საითყენდაც გაკურცლა და უკან შობრუნება მოაპოვანდა.

— ხოპ არაფერი შეგემთხვა? — შე-

ფოთებით ჰკითხეს ბიჭს ფანჯრიდან, როცა იგი ბოლოსდაბოლოს გამოჩნდა.

— არაფერი, ოღონდ შორია სადგურამდე.

— სადგურამდე?

— ჰო, სადგურიდან უფრო მალე წავაწერილები.

დაქრილებმა მაღლიერად და ნაღვლიანად გაიღიმეს.

— წადი ახლა. წადი უკვე, თორემ დაბინდდა და შინ გაგიჯავრდებიან.

შემდეგ სხვა წვრილმანი დავალებანიც გამოუჩინეს დაქრილებმა პატარა ძმობილს, რაკი ხედადნენ, სევდა მაშინ უჭრებოდა ბიჭს სახეზე, როცა მათ რაიმე სამსახურს უწევდა.

ერთ დღეს, როგორღაც, ძლივს-ძლივს მოლასლასდა ბიჭი სადარბაზო კართან და ფეხმოკვეთილივით ჩაჯდა აჩემებულ ადგილას, მაშინვე თავი მუხლებში ჩაუვიარა და მხრებმა ცახცახი დაუწყო. ბიჭი ქვითინებდა.

მებრძოლებს გული შეუქანდათ და აქოთქოთდნენ. რამდენჯერმე შემფოთებით დაუძახეს, მაგრამ ბიჭმა არც გამოიხედა. ბოლოს ბიჭმა მუხლებზევე შეიმშრალა ცრემლები და მათყენ თავჩაქინდრული გაემართა.

— შეგემთხვა რამე, ძმობილო? — შიშით ჩაეკითხნენ ისინი მიახლოებულს.

არა. კვლავ არაფერი შეემთხვა ბიჭს. პირიქით, დღევანდელმა დღემ სიხარულიც მოუტანა დედა-შვილს. მამის მშვიდობით ყოფნის ამბავი ჩამოიტანა მამა თანამებრძოლმა. ოღონდ, ეს არის ეხლა, აქეთ მომავალი ბიჭი ჰოსპიტალის ჰიშკართან დიდმა ფუსფუსმა და გულასატირებელმა სურათმა შეაყოვნა. თეთრხალათიანი ადამიანები ჰოსპიტლიდან გაწერილ, მოჯანიერებულ მებრძოლებს ეთხოვებოდნენ. მათ შორის, ბიჭის თვალწინ. ყავარჯნების შეუჩვეველი ხმარებით ჩაიარა ცაოფება მებრძოლმა, რომელსაც ზურგზე მეორე, დაკარგული ფეხის სანაცვლო პროტეზი ეკიდა ირიბად; მას მიჰყვა სხვა, ცალხე-

ლა მებრძოლი, რომელმაც დამწვიდობებისას ერთ-ერთ თეთრხალათიანს თამბაქოს გახვევა სთხოვა დარცხვენით, ბოდიშით: ბოლოს ყველას ნაძალადევი ღიმილით დაემწვიდობა სრულიად უსინათლო მუხღვაური, რომელსაც სამედიცინო და, ალბათ, სადგურამდე მიაცილებდა.

ამიტომ ქვითინებდა წელან ბიჭი, ახლაც ცხარე ცრემლები წასკდა. — მე კიდევ მოვალე ვარ, — თქვა მხოვალ გაკვეთილების შემდეგ.

საბრალო პატარა ძმობილმა დამნაშავესავეთ, ახედა მებრძოლთა გაქვავებულ სახეებს და ზღუქუნ-ზღუქუნით გაჰკურცხლა.

სამხედრო ქალი

ომის დროს...

სადგურის წინ მდებარე ხმაურიანი მოედნის პატარა სკვერში ახალგაზრდა კაცი იჯდა მერხზე და უგუნებოდ დასცქეროდა მუხლებზე გაშლილ, უკვე წაიკითხულ გაზეთს.

თავს დ-წოლილმა ჩრდილმა ფიქრიდან გამოიყვანა და როცა აიხედა, მაშინვე სწრაფად წამოხტა.

მის წინ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი იდგა უმცროსი ლეიტენანტის სამხრეებით. ნამგზავრი იყო, მტერიანი, ოფლიანი, მაგრამ ყოველივე — თავზე ოდნავ მოგვერდებული პილოტურა, ქამარშემოქერილი ხაკის გიმნასტურა, ლურჯი ქვედატანი და მაღალქუსლიანი ჩექმები საოცარ ლაზათს აძლევდნენ ისედაც თვალტანად ქალს.

ესა და ეს ქუჩა მინდაო, თქვა მან. ახალგაზრდა კაცმა დიდი ხალისით და მოწადინებით დაუწყო ახსნა. ამ ქუჩას გაპყვეითო, ხიდს გაივლითო, მარცხნივ აღმართს აივლით, იქ მოედანია და მარჯვნივ რომ ვიწროსა და აკლავნილ ქუჩას დაინახავთ, ახლა იმით ივლით ზემოთ და ზემოთო, მერე კვლავ მარცხნივ გადახვევა და გვირდებათ და...

ქალი მზიარულად იღიმებოდა.

— მე რომ აქაური ვიყო, ალბათ, ადვილად მიგიხედებოდით, მაგრამ... მე გზად ვარ, აი გამოტანებული წერილი მინდა მივეტანო დობილის მშობლებს და ორ-სამ საათში ისევ მატარებელზე უნდა ვიყო...

ახალგაზრდა კაცი ახლა-ღა მიხედა, რომ გაურკვეველი ხლართი შესთავაზა ჩამოსულს.

— მაშინ მე თვითონ გაგყვებით, — უცებ იპოვა ბედნიერი გამოსავალი და ხელი ქალის ნათრეე-ნახობიალებ ჩემოდანს წაატანა.

— რა საქმე გამოგიჩინეთ, არა? — თქვა გზაზე ქალმა.

— სახალსო საქმეა! — მიუგო მეგზურმა.

— ფიქრებში იყავით წელან და მე გამოგიყვანეთ.

— ფიქრებში ვიყავ. ისევ უკან იხევენ ჩვენები.

— წინ წასვლის დროც დადგება.

— ვიცო ეგ, მაგრამ მალე მინდა, მალე მინდა.

ერთ წამს ყურადღებით გაუსწორეს ერთმანეთს თვალი და ერთი მეორის განცდა, რწმენა და იერი მოეწონათ.

— თქვენ...

— მეზენიტე გახლავართ, — გაუგო დაუმთავრებელი შეკითხვა ქალმა და თითქოს ხუმრობით მკერდზე მიბნეულად მედლები და გვარდიელის ნიშანი შეაქლარუნა.

მეგზურს ჯერ არცერთი ქალისათვის არ ეკოცნა, ასე წარმოედგინა, სამხედრო ქალის კოცნა სულაც არ შეიძლებაო. ეს კი ძლიერ საკოცნელი იყო...

ამასობაში მისაკვლევ ქუჩაზე გავიდნენ და საჭირო ნომერი მოძებნეს. იქ დაემწვიდობნენ.

— დიდი, დიდი მადლობელი ვარ.

— რას ბრძანებთ...

— კარგად იყავით.

— თქვენ იყავით კარგად, ფრონტზე თქვენა ხართ.

სამხედრო ქალი ერთი საათის შემდეგ

გამოვიდა სახლიდან და სიხარულით კინალამ შეჰკივლა. იქვე, სადაც დასტოვა, იდგა მისი მეგზური და უღიმოდა.

— თქვენ იფიქრეთ, რომ უკანაც ვერ გავიკვლევდი გზას?

— არა, უბრალოდ ვერ მეთმობით. მრავალმნიშვნელოვნად, სევდანარევი სიამით შეხედეს ერთმანეთს და მდუმარედ წავიდნენ. ჩემოდანმა ისევ მეგზურის ხელში გადაიხანკლა. მატარებლის გასვლის დრო დადგა და პირი სადგურისაკენ ჰქნეს.

თითქოს დიდხანს, დიდხანს ეძებდნენ ერთმანეთს და ძლივ-ძლივს ერთმანეთს იქნა, იპოვნეს ერთმანეთს. პირისპირ, ძლიერ ახლოს, უსიტყვოდ გულთან გულს ამუსაიფებდნენ და ერთიმეორისათვის თვალი ვერ მოეწყვიტათ.

მატარებლის შეკივლება და ათასი კოცნა ერთია.

ეს ორიც მატარებლის შეკივლებამ მიჰყარა ერთმანეთს.

გულთბილი კაცი

ომის დროს...

ფარღალა ეზოში ორი აივნის კუთხესთან — აჩემებულ მიმყუდროებულ ადგილზე ქალები ჩამსხდარიყვნენ. რაღაცას კემსავდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. შორი-ახლოს ბავშვები ჩაკუნტულიყვნენ. არც იმათ გაჰქონდათ ჩვეულებრივი ყვილა-ხვილი.

ერთ-ერთ აივანზე შუახნის ნათელი სახის მამაკაცი გამომდგარიყო, იდაყვები მოაჯირზე დაეწყო და ძირს, აივნის გაყოლებაზე, ვიწრო ყვავილნარს მზრუნველი თვალთ დასცქეროდა.

ძლიერ აკვარგიანი და გულისხმიერი იყო ეს კაცი. მეზობლის ძირიან-ბუღიანად მოკითხვა და დახმარება იცოდა. საღდაც, რომელიდაც სახელოსნო სასწავლებელში, რაღაც მხატვრულ ხელოვნებას ასწავლიდა და, თუ შინ იყო, კიდევ ერთთავად რაიმეს ჩხირკედლობდა. ან აივანზე რეზინის სარწყავი მილით გადმოდგებოდა და წყალს მიუმარჯვებდა ყვავილნარსა და ეზოს, სადამდეც ჰქავლი მისწვდებოდა.

ორი დროული, მაგრამ ჯერ უცოლ-შვილო ვაჟკაცი ჰყავდა. მშობლებმა, ორივე ფრონტზე გააცილეს. თვითონ კი გამოურევენენ. გულთბილ კაცს მანც ერთთავად სხვისი დარდის შემსუბუქების ცდა ახსოვდა და ახლაც ასე მოიწადინა. თავის სარწყავი რეზინი მომარჯვა და პირველად ეზოსა და ყვა-

ვილნარს კი არა, აკაციის ჩამოფხატულ ტოტებს მიუმარჯვა ჰქავლი. აკაციას ახალაყვებულნი თეთრი მტევნები ეკიდა, წყალმა მეტი სურნელება გამოაცემინა მათ და ციმციმა წვეთები ჩამოესხურენ სიტყვასედიან ქალთა თმებსა და კალთებს.

ქალებს როგორღაც გულმა გამოუდარათ, მაღლიერად გაუღიმეს გულთბილ კაცს და ახლა ბავშვები აუტოკიკი-აუთამაშდნენ უკვე მათკენ მიშვებულ ჰქავლს.

ეზოში ამ დროს როგორღაც უცნაურად, ნაცემ-ნაგვემივით კედელ-კედელ შემოიპარა ნაცნობი ფოსტალიონი, რაღაც ქალადი შიშით, გაუბედავად, თითქოს საწამლავი შეაპარათ, დაუდო გულთბილ კაცს მოაჯირზე და მაშინვე გარეთ გასხლტა.

ქალებმა შეშინებული თვალი მიაპყრეს. კეთილი კაცი უღონოდ მიესვენა მოაჯირის სვეტს და დეპეშის ხელში აღებას ვერ ბედავდა. თუმცა ისედაც უკვე ცხადი იყო უბედურება, რომელსაც, ალბათ, დეპეშა იუწყებოდა: თქვენი ვაჟი მამაცურად, სასახელოდ იბრძოდა მტრის წინააღმდეგ და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე...

და რას უშველიდა იმის ცოდნა, რომელი თითი წაეჭრა საბრალო გულთბილ კაცს, მაგრამ მანც კითხვა ჩაეჭვდა ტვინში: რომელი?

იყო ასეთი მებრძოლი

სიონიზმი
და ჯიუტი

ომის დროს...
დაპირველ მებრძოლებთან საუბრის შემდეგ კომპაგნიის რაიკომის მდივანი პალატიდან ვრცელ დერეფანში გავიდა და იქ მას მკლავჩამოხმული მებრძოლი მიეჭრა.

- სათხოვარი მაქვს შენთან.
- მიბრძანე.
- თითქმის ტოლები ვართ მე და შენ.
- თითქმის.
- ამიტომ უნდა გამიგო და შემისრულო.
- ვეცდები.

— აი, პოსტიტალის უფროსი შენ ანგარიშს გიწვევს. თუ ასე ვთქვათ, თავლებად დამიდგები, შენთან ერთად იქნებ ერთ საღამოს მაინც გამიშვას ქალაქში. მე ხესტაფონიდან თითქმის პირდაპირ ფრონტზე მოვხვდი, ასე თუ ისე, უკვე ბევრი ვნახე და ამ ჩვენს დედაქალაქში კი არცა ვყოფილვარ. ახლა პირველად ვარ აქ, მაგრამ ვერაფერს ვხედავ. მალე ისევ ფრონტზე გავემგზავრები და აქაურობა კვლავ უნახავი დამჩნება.

კომპაგნიის რაიკომის მდივანი უკვე იცნობდა მკლავჩამოხმულ მებრძოლს. ეშხანი და თავმომწონე ყმ-წვილი იყო, პოსტიტალის პირობებშიც კი დერეფანსა და ეზოში ისე ფეხს არ გასდგამდა, თუ რაც ეცვა და ეხურა, კობტად მორგებული არ ჰქონდა.

ნდობა შეიძლებოდა.

პოსტიტალის უფროსი მაინც ჭკობიანით დასთანხმდა.

მეორე საღამოსვე დათქმულ დროს რაიკომის მდივანს მებრძოლი სანიმუშოდ გამოწყობილი და მოკობტავებული დახვდა. ტოტებანიერი შარვლის ნაკეცი მაინც იგი გაეტყვიცა, ვინაშნო ტალღის გამობაში თვით გემის ცხვირს არ დაუღონ ტოლიო. თვითონ გაეტყვიცა თავაზიანად უარყო ადგლობრივი დიასახლისების სამსახური და მარცხენა ჯანსაღი ხელით მთელ დღეს ეტრიალებინა უთო. ხოლო აღარც მაჯიდან ილ-

ლიამდე ხიშტით აფხვრეწილი მარჯვენა ჰქონდა ახლა ჩამომხმული. ჭრილობა გერ სრულად არ შეხორცებოდა, მაგრამ მაშველი ხილაბანი დროებით გაღივებო, რომ ქალაქში სრული პეწით გასულიყო.

მშვიდი და თბილი საღამო იყო. აღფრთოვანებულმა მებრძოლმა თანხლებთან ერთად ქალაქის მთავარი ნაწილის ყოველ კუთხულში შეიხედა და ახლა კულტურისა და დასვენების ცნობილი პარკი მოინდომა.

— წამიყვანე, შენი ჭირიმი, იმ თქვენს სანაქებო ბაღშიც.

მებრძოლის ბედად შექმნილ ქალაქის თავზე სახე მთვარე იდგა და მისი ვერცხლისებური ბრწყინავალი პარკის ჩაბურთულ ხეივანებშიც ატანდა.

ხალხი მაინც კანტი-კენტად იყო.

ერთგან ხეივანში თვითნაკეთი მაცდური ძალმზომი მოწყობილობის ირგვლივ რამდენიმე კაცი იდგა და ტყავადაკრულ თავისებურ გრდემლზე რიგრიგობით ურტყამდა შესატყვის უროს.

მებრძოლმა უმალ იჩით გასწია. მოქალაქეებმა მოწინებით დაუთმეს მას ასპარეზი. მებრძოლი გულმოდგინედ შეემზადა, მაგრამ მარცხენა ხელის ჩვეულებრივმა ძალნაკლებობამ დარტყმის სიმძლავრის მანიშნებელი ისარი შეეუღლი საზომის შუამდევ ვერ ატყორცნა.

მებრძოლმა მწარედ გაიღიმა, თავის თავს დასცინა და მარჯვენა მკლავს დანანებით დახვდა. სულგანაბული ადამიანები მიხვდნენ. რაშაც იყო მებრძოლის მარცხის მიზეზი. მათ შორის ვიღაცამ. სხვათა ზურგს ამოფარებულმა ერთადერთმა წუნკალმა კი, დამცინავად ჩაახველა. თითქოს და — ეგვეც თქვენი ტრამბა მებრძოლების წარმომადგენელიო.

მებრძოლი კი თითქოს გაგიცა, განარდა. გახელდა, ოღონდ ამ სირცხვილს ნუ შემაპყვე და ჯანაბას ჩემი თავი და ჩემი მარჯვენა მკლავიო თა. გაბუყებულ-გაკავებული ხელი რომ არ გაჰყვა, სწორედ თავი დაიქნია მოწყვეტით და-

შვეულ უროსავით და ტყავგადაკრულ ხეშეშ გრდემს შუბლი დაანარცხა — შვეულ საზომზე ისარი ზრიალით ავარდა, უკიდურეს ზღუდეს მიასკდა და გასაქანი რომ არ ჰქონდა, უკანვე ჩამოვხეთქა.

ყველას საზარელმა ქრუანტელმა დაუარა.

შოშით, გოცებით, პატივისცემით, ვიღაც წუნკალის წელანდელი საქციელით დარცხენილი ადამიანები მიაკეპრდ-

ნენ თავზეხელადებულ, გადარეულ მებღღავურს, რომელიც უმაღლეს წმინდანად გაიმართა, — თუმცა ქვეყნისკენ ვარდნოდა, თმები ჩამოშლოდა, შუბლზე სისხლს გამოეყონა, — მაინც დამცხრალიყო, დაოკებულიყო, დაშოშმინებულიყო, თავმოწონედ იღიმებოდა.

ცალკე უძრავი და გაფთხებული, დაძაბული იდგა მებღღავურის თანმხლები და მებურვე. ახლა მასაც გაღიმება ეწადა.

ნ ი შ ა ნ ი

ჩემი დროს...

კიშკრის წინ, ქუჩაში მებზობლებით გარშემორტყმული ჯანიერი ვაჟკაცი იდგა. მისი ასაკისა უკვე ყველა გააცილეს მებზობლებმა და ახლა ისიც ფრონტზე მიემგზავრებოდა. მშვიდი ღიმილითა და მცირე შეხუმრებით ყველას ხელი ჩამოართვა და იმ დროს გაჩნდა სულ სხვა ეზოს წარმომადგენელიც — ტანთხელი, მორცხვი და თითქოს შეშინებული ქალიშვილი.

ეზოს უკანასკნელი წვევამდელი სიხარულით ჯიქურ მას მიეგება და მის წინ თავი დახარა.

— გმადლობთ, ჩემო...

შორი-ახლოს იდგა ვაჟკაცის დედა, ლოყებჩაცხენილი, თვალთბუღე ჩაშავებული და, თუ კი ფიქრი რიგიანად წეებლო, ფიქრობდა იმას. რასაც ალბათ ასეთ დროს ყველა დედა იფიქრებდა: ოღონდ ეს ჩემი იმედი, ჩემი სიცოცხლე და სალოცავი ასევე დამიბრუნდეს და ვინც უნდა იყოს, — ეგ რძალი და მე — დედამთილი.

უცებ რაღაც წიოკი ატყდა.

ბებიას ერთი ციდა ბიჭი გასხლტომოდა. ალბათ ეზოში შეძრომა დაეპირებინა, სარებზევით ჩარიგებულ რკინის თითის სისხო ლატანსა და ლატანს შუათავი კი გაეყო. მაგრამ, ვერც წინ და ვერც უკან ვეღარ წასულიყო. ბავშვი დაქინძრულივით გაჰკიოდა და დაკუნტული ბებიაც ვიშვიშს მოსთქვამდა.

მაშინვე ჯარში მიმავალი გაჩნდა იქ, ღონიერ თითებში მობლუჯა ეს ორი ლატანი, და ერთი მძლავრად რომ გაძაგრა მხრები, მართლაც საძრომი გაკეთდა მესერში, ისე გაიღუნა რკინა აქეთ და იქით.

— აგრემც ემაგ გულმა და ემაგ მარჯვენამ სულ ეგრე გიმართლოს და გივარგოს ყველა სიკეთელეში, — ჩიფჩიფით, მებურვალედ დალოცა იგი უცხო ბებია.

რამდენიმე დღის შემდეგ ეს დაზიანება — ორი ლატნის უცნაური გაღუნულობა მესერში, შეამჩნია კომენდანტმა და, რაკი სულ თვითონ იყო მებზობლების ყბაში ჩაეარდნილი და ახლა კი საბაბი გაუჩნდა, ერთი ორომტრიალი ატება.

როცა დაშოშმინდა, ლატნების თავადვე გაწორება განიზრახა. მაგრამ ერთი ჩია კაცი იყო და იმდენი არ შეეძლო, რამდენსაც იქაღნებოდა. ეცა და დაეჯავგურა ლატნებს, მაგრამ ვერა დააჩყო რა. ვიღაც თავისი ყალიბის გამვლელო დაიშველია. ღომი და ჩაქუჩიც მოიხმარა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

შორი-ახლოს ათი-თორმეტიოდე წლის გოგო-ბიჭები შეყრილიყვენენ და სიცილით იფხრიწებოდნენ.

ბაიშეთთან ერთმა კი ყეოვას მაგიერ ურჩია ნირწამხდარ კომენდანტს:

— დარჩეს ეგრე, ძია. ის რომ ჩამოვა, თვითონ გააწორებს.



საუზან ზორიანი ვაშლის ბალი

I

დიდია და მდიდარი დაბა ორანი. დაბაში ჩინებული სახლებია. მრავალი სავაჭრო გაცხოველებულად ვაჭრობს მაზრის სოფლებთან. საკუთარი ეკლესიაც აქვს ორანს — დიდი და ძველი.

ეკლესიაში მოღვაწეობს სამი მღვდელი, რომლებიც მუდამ კინკლაობენ მრევლის გამო, მიცვალებულისათვის წესის აღსრულებისას ცდილობენ ერთმანეთს ხელი შეუშალონ.

ორანს, როგორც სამაზრო დაბას, აქვს სკოლა, საავადმყოფო და საპყრობილეცა.

როცა მგზავრი აღმოსავლეთის მხრიდან ორანს მიუახლოვდება, უწინარეს ყოვლისა, იგი შეხედება დაბალი კედლებით გარს შემოვლებულ ბაღს. ადგილობრივი მცხოვრებლები დიდად დაინტერესებული არიან და ზოგჯერ ამაყობენ კიდევაც ამ ბაღითა. ეს არის ვაშლის ბაღი, რომელშიც ხეები ჩამწკრივებულია სწორ-სწორად. თითქმის ზრთნაირი სიმაღლისანი, ხელიხელ ჩაკიდებულნი ისე სდგანან, თითქოს საცეკვაოდ გამზადებულანო.

გაზაფხულზე კირწასმული ბაღი თეთრად შეფეთილია, ზაფხულში — მომლიმარე დიდრონი ვაშლებით დაბუნძლული, ხოლო შემოდგომით — ფოთოლდაცვნილი და დაღარიბებული. თითქოს ნაყოფის მოკრეფით გაანაწყუნესო. ბაღის ერთ ბოლოში მოსჩანს პატარა, თეთრი სახლი — კრამიტით დაბურული და ხეებით გარსშემორტყმული.

ეს გახლავთ ორანში და მთელს მაზრაში განთქმული, ბიძია მარტინის ბაღი.

მოხუცმა მარტინმა ბაღი თავის ახალგაზრდობაში გააშენა, თვითონვე უვლის, პატრონობს და ბაღის შემოსავლით ცხოვრობს. მთელი მაზრა თითქმის მისგან ყიდულობს ვაშლს, ახლო-მახლო ქალაქებიდანაც კი ყუთებით მოდიან ვაშლის წასაღებად, მეტადრე „ზამთრის ვაშლისა“, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „ანპორტს“ ეძახიან.

მაზრის გლეხები ვაშლს ფულად კი არ ყიდულობდნენ, — მოქონდათ ზორბაღი, ერბო, ყველი, ბურღული და ვაშლზე სცვლიდნენ.

ბიძია მარტინი ვაშლის შემოსავლით მარტო თითონ არ ცხოვრობდა, იგი ინახავდა ბაღის მცველსა და ვაშლის შემგროვებელ ქალებს ქირაობდა ხოლმე — ქალები უკეთესად ასრულებდნენ სამუშაოს, ვიდრე მამაკაცები.

ვაშლის შემოსავლით აიშენა ბიძია მარტინმა თავისი თეთრი სახლი, იყიდა ორი სკა ფუტკარი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ისე მომრავლდა, რომ სკების გაკეთებას ვერ აუღიოდა, ახალნაყარი ფუტკარი ტყეში მიდიოდა და იქ ბინადრობდა. მაგრამ ბიძია მარტინის მზავარი საზრუნავი ბაღი იყო, მას ზედმიწევნით კარგად ესმოდა ხეების ენა, ზოგჯერ გამოცდილებაც ეხმარებოდა, ზანაც მიდიოდა ნაცნობ აგრონომთან და სათანადო დარიგებას სთხოვდა.

გაზაფხულზე მუდამ კირით ათეთრებდა ხეების მერქნებს, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე, ტყიდან კურდღლები არ მოსულიყვნენ, არ აეჭერქათ ხეები და მატლები ზევით არ აცოცებულყვნენ. როცა ხეები ახლად კვირტში

ან ყვავილში გამოდიოდა, ცა მოიწმინდებოდა და ცივი ღამეები დგებოდა. ბიძია მარტინი ბალის რამდენიმე კუთხეში თივას, ან ნეშომპალას აახრჩოლებდა და ბალს ბოლით აავსებდა იმ იმედით, ყინვას კვირტები რომ არ დაეზრო...

ამგვარად ბევრჯერ გადაურჩენია ხეები დაზვრისაგან.

გაზაფხულის პირზე, დიდის ყურადღებით ათვლიერებდა ბიძია მარტინი თვითვე ხეს და ამოწმებდა, თუ რომელი ტოტია ავად, რომელია ზედმეტი, ან ძალიან წაგრძელებული, რომელი უნდა მოკრას, რომ ხე ჯანმრთელად დარჩეს.

ამ დროს იგი სასხლავით ხელში ირგვლივ უვლიდა ხეებს, როგორც ცხვრის მპარსავი ცხვრის ფარას.

ბიძია მარტინმა კარგად იცოდა აგრეთვე, თუ რა დროს და როგორ უნდა მოერწყა ხეები, რომ „ყვავილები არ წამოსცვენოდათ“, და ამას „ყვავილის ყალს“ არქმევდა. ასე გაითქვა სახელი მან. გლეხები „ხეიბის ექიმს“ უწოდებდნენ ბიძია მარტინს და სოფელში ვისი ხეც ცუდად იხარებოდა. ურჩევდნენ მიემართა ბიძია მარტინისათვის.

— ბიძია მარტინს დაუძახე, ვნახოთ რას იტყვისო.

უწინ ბალსა და სახლს ცოლთან — საბედ ნანთან ერთად უვლიდა, ხოლო ერთი წლის წინ, ვაშლის მოკრეფის შემდეგ, მეუღლე გარდაეცვალა, მარტოხელა დარჩა ბიძია მარტინი.

მართალია, მებაღე სააკი, როგორც ქალბატონის სიცოცხლის დროს, ისე ახლაც სახლის საქმეებსაც ავგარებდა და ბაზარშიც დადიოდა, ან ბიძია მარტინის ქალიშვილები მოდიოდნენ ხშირად, სახლს უვლიდნენ, საქმელს უმზადებდნენ, ურეცხავდნენ, მაგრამ ბიძია მარტინს ეჩვენებოდა, საქმე მაინც ისე არ მიდისო წინ, როგორც მისი მეუღლის დროს. ზამთარ-ზაფხულმა როგორც იქნა, გაიარა, მაგრამ ახლა, როცა ვაშლები დამწიფდა, დროზე იყო საჭირო მოკრეფა, შეგროვება, გაყიდვა... თუმცა

წინანდელივით ვაშლების შემგროვებლები ჰყავდა, მაგრამ დანაზრენ საქმეს იგი და სააკი თავს ვერ ართმევდნენ.

თავის ქალიშვილებს ბიძია მარტინი სტუმრებდა სოფილა, ისინი ვერ დამეხმარებინათ. რაც შეეხებოდა სიძეებს — ორივეს თავისი საქმე ჰქონდა:

ერთი თერძი იყო სოფლად, მეორეს, — უფროს სიძეს, სოფლის შუაგულში დიდი სავაჭრო ჰქონდა. როგორც ამბობდნენ „ყველაზე კარგი“ დუქანი, სადაც გასტრონომიულ საქონელთან ერთად ღვინოს, არაყსა და სხვა სასმელებს ჰყიდდა.

თერძი ვახესი სიმამართან მხოლოდ კვირაობით მოდიოდა, ხოლო მედუქნე არტუშა იშვიათად თუ ინახულებდა სიმამრს, თავისუფალი დრო არა ჰქონდა, კვირაობითაც ვერ იცლიდა, ამიტომ ეტლით მოგრიალდებოდა და ეტლითვე წავიდოდა ხოლმე. ყოველ მოსვლისას დუქნიდან თან მოჰქონდა ერთი-ორი ბოთლი ღვინო ან არაყი.

— პა, პაპაშ, ქეიფ ვონცეს? — ეტყობა სიმამრს და ხელს დაარტყამდა მხარზე.

მერე გამოკითხავდა, რა ეჭირებოდა სიმამრს, რა გსურს, რომ შეგისრულო, და ვინაიდან „პაპაშა“ არავითარ სურვილს არ გამოსთქვამდა, არტუში მაინც მზრუნველის კილოთი ეკითხებოდა:

— ნუ მერიდები, პაპაშ, თუ რამე გიჭირს, მითხარი. მე ყველაფერს გაეაკეთებ. თითონ პრისტავიც ჩემგან ყიდულობს, მამასახლისიც, ერთი სიტყვით ყველა... თუ რამე გინდოდეს, მითხარი, თუ ვაშლი დაგრჩეს, შემატყობინე, მუშტარს მყისვე გიშოვნი...

და კვლავ დაიწყებდა ლაპარაკს თავისი საქმიანობის, თავისი ნაცნობობისა და გავლენის გამო, მერმე გამოთხოვების დროს, ღვინის ან არაყის ბოთლებს ქალადლებს შემოაცლიდა და საზეიმო წესით, როგორც ძვირფას საჩუქარს, წინ დაუღალავებდა სიმამრს:

— დალიე, სადილად დალიე, პაპაშ. კარგი, ნამდვილი ღვინოა, პაპაშა-ჯან.

პრისტავსაც ამ ღვინისა მიაქვს. თუ მოგწონა, კიდევ მოგიტან...
 ბიძია მარტინს მოსწონდა თუ არ მოსწონდა, მედუქნეს მაინც მოჰქონდა თავისი ძღვენი — ღვინო, ან არაყი. სიძეს ის უფრო ახარებდა, რომ ხედავდა, წინანდელი მოტანილები აღარა სჩანდა: „მამასადაძემ, მოხუცი სევასო, — გაიფიქრებდა, — ეს კარგი ნიშანია...“

მაგრამ სიძემ არ იცოდა, რომ ბიძია მარტინი თვითონ არა სევამდა, პატივობდა ხოლმე მეგობრებს, ხანაც წყლის განმანაწილებელს, მესროპს, ხან თავის ნათლია ამბაკუმს, (რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი შემოკლებით, „ამბაკს“ ეძახდნენ), ხან სხვებს, რომელნიც ხანდახან ბაღში სამუსიაფოდ მოდიოდნენ როგორც ძველი ნაცნობები.

მედუქნე, როგორც უფროსი სიძე, თავის თავს მოხუცის პირველ მემკვიდრეთა სთვლიდა და, როგორც თვითონ ამბობდა, ცდილობდა „სულში ჩასძვროდა მას, რათა მეორე სიძე, ვანესი მისი მეტოქე არ გამხდარიყო“.

მოხუცი მარტინ ბიძია სიძის მოტანილ ძღვენს უხმოდ იღებდა, უგულოდ უსმენდა მას, თანაც იგი რაღაც ფიქრებით იყო გართული, ან ხეების მოვლითა და მოსავლით იყო დაინტერესებული და, როდესაც სიძე შინ მიდიოდა, ბიძია მარტინი თვალს გააყოლებდა ხოლმე, ერთ წამს შეჩერდებოდა და თავს შიშველ გაიქნევდა.

— ჩაჩანაყია, ყბელი, მე რა, დავრდომილი მნახა, თუ მოხუცი?..

სიძეს კი ეგონა, კეთილსაქმეს ვაკეთებო, ძალიან გონიერულად იქცეოდა. ფიქრობდა, მოხუცი ერთ-ორ წელიწადს ძლივს გააწევსო, ბალი კი მე დამირჩებო. რამდენიმე ბოთლ ღვინოს... ჯანიც გავარდნია... თანაც უხაროდა, მისი ქვის-ლი თერძი ვანესი ისე იყო გამოშტერებული, რომ მოხუცის გულის მოგებას არც კი ცდილობდა. საეპრო დუქნის საქმე საშუალებას არ აძლევდა დიდხანს დარჩენილიყო სიმამრთან და საჩქაროდ ბრუნდებოდა ფულიანად. ხში-

რადაც ვერ ნახულობდა, ამიტომ თავის ცოლს ნოემს აგზავნიდა ~~ქვემოთ~~

— წადი, ღმირ-ხშირად დაგნახებ, საქმე ექნება, გაუკეთე, — თავი დაბანე, ტანისამოსი გაურეცხე ქალო.

მეუღლის ასეთი გულშემატკივრობა მისი მამისადმი ეუცხოვებოდა, თანაც ახარებდა ნოემს, საბრალომ არ იცოდა, ვერა ხედებოდა, თუ რატომ აიძულებდა მეუღლე მამასთან ხშირად სიარულს.

— რა მოხდა, კაცო, რა მინდა, ყოველდღე, ანგინი დაიარება, საკმარისია, მას ბავშვები არ აწუხებს, — შენიშნა ერთ დღეს ნოემმა.

ანგინი იყო ნოემის უმცროსი და — თერძის, ვანესის მეუღლე.

ცოლის პასუხი მედუქნეს არ ეპიტნავა და გაკვირვებით თავი გააჩნია. — მენ ეს გინდა, რომ თერძი ვანესი გახდეს მამაშენის მემკვიდრეო?!.. ცოლი კარგად ვერ მიუხვდა მეუღლის ნათქვამს და მედუქნემ გამჭირდავი ღიმილით უთხრა:

— წავა, მამაშენის გულს მოიგებს და მერმე... ერთიც ენახოთ, მამაშენმა ბალი მას დაუშტკიცოს!

ამ დღიდან მოყოლებული ნოემი — მცირეწლოვან ბავშვებს შინ მიატოვებდა და დღეგამოშვებით ეახლებოდა ხოლმე მამას, ყველაფერს უკეთებდა. მაგრამ ისეც ხდებოდა ხოლმე, მივიდოდა და მის დას ანგინს ყოველგვარი ოჯახური საქმეები უკვე მოთავებული ჰქონდა: სახლი — დასუფთავებული, მამის ტანისამოსი — გარეცხილი, ზოგჯერ გამზადებული სადილიც კი მოჰქონდა შინიდან, ან იქვე უხარშავდა. ამ დროს, დას რომ არ ჩამორჩენოდა, ნოემი რაღაც საქმეს გამოსძებნიდა...

— ეს კარები რა ჭოკყიანია. — იცოდა ხოლმე მამისა და დის თანდასწრებით, და უმალვე მკლავებს დაიკაპიწებდა და ოთახის კარის გაფხეკას ან გარეცხვას იწყებდა.

— მამე, სხვა რაღა გაქვს გასაკეთებელი? — ეკითხებოდა იგი დის გასაგონად, საქმის დამთავრების შემდეგ ბიძია მარტინს.

— სხვა რაღა საქმე უნდა მქონდეს,— უპასუხებდა მამა და ჩიბუხს მოუყიდებდა.— ანგინმა თითქმის ყველაფერი მოათავა.

მამის პასუხი გულს უკლავდა ნოემს, არ სიამოვნებდა, რომ და უფრო ადრე მოდიოდა მამასთან და ყველაფერს უყეტებდა, რის გამო მამის მადლობა დაიშასხურა.

ციდილობდა, თითონაც არ ჩამორჩენოდა დას, გამზადებული სადილი მოჰქონდა, მამას ურჩევდა, თავი დაეხანა, მაგრამ ანგინს ეს ყველაფერი გაკეთებული ჰქონდა უკვე.

ისევ ის ანგინი... ნოემს ეგონა, რომ ანგინი მამას უფრო მეტად უყვარდა და ცდილობდა როგორმე თვითონაც მოეგო მამის გული. რაიმე საქმეს გამოსძებნიდა, გულთად დარიგებას აძლევდა მამას, ან ხანდახან პატარა ბავშვებსაც მოჰგვრიდა, რათა მამა უფრო დაეახლოვებინა.

გზაში ბავშვებს ასწავლიდა, პაპას ხელი ჩამოართვით და ხელზე აკოცეთო. ან ათქმევინებდა: „პაპი, გინდა, შენთან დაერჩე, მარტო ხარ“. „არა, შეილიკო, — უპასუხებდა პაპა. — მარტო დაღონდები, აქ ამხანაგი არ გეყოლება, რომ ითამაშო და გაერთოო“.

მეორე სიძე — თერძი ვანესი სიმამრს მხოლოდ კვირა დღეს ესტუმრებოდა ხოლმე. წვერს გაიპარსავდა, სუფთად ჩაიცვამდა, უღვაშებს დაიგრებდა, ერთადერთ პატარა გოგონას აიყვანდა და ცოლთან ერთად გამოეშურებოდა, თან ახლად დაკლულ ცხვრის ხორცს წამოიღებდა ხოლმე თან.

ვანესის ცოლი ანგინი მისვლისთანავე დაიწყებდა მამის ოთახის მოვლას, ლოგინებს გამოამზიკორებდა. რაბირტყავდა, იატაკს გარეცხავდა, მერმე სადილის კეთებას შეუდგებოდა. ამ დროს თერძი ვანესი ბავშვივით დასეირნობდა ბაღში. ან სიმამრს ეშველებოდა რაიმე საქმეში. თერძი ჩუმი კაცი იყო, იგი არც ბევრსა ყბედობდა მედუქნესავეით, არც შამებულ სიტყვებს სთავაზობდა სიმამრს, არც რჩევა-დარიგებებს აძლევდა. მას

ესმოდა, რომ მოხუცმა ყველაფერი კარგად იცის და დარიგება არა უკლებლობაო. თერძი ყველაფერს ჩემად წყნარად აკეთებდა, რაც დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ბიძია მარტინს.

ერთ დღეს ვანესმა დაინახა: სიმამრს შარვალი დახეოდა. მან იქვე დაუქერა შარვალი და შემდეგ კვირას ახალი შარვალი მოუტანა:

— „შენთვის შეეკერე, მამიჯან“.

ამის მეტი კრინტი არ დაუძრავს ვანესს. მოხუცი კმაყოფილი იყო სიძის საქციელით და თავისი კმაყოფილება არც დაუმაღავს:

— იცოცხლოს ვანესმა, შარვალი გაცივითილი მქონდა მე საწყალს, ახალი შარვალი მომიტანა.

ნოემს ეს არ ეკაშნიკა, გუნება წაუხდა, მაგრამ მამასთან არაფერი თქვა, მხოლოდ საღამოს აცნობა მეუღლეს, თუ როდენ მადლობელი იყო მოხუცი უმცროსი სიძისა.

— ხედავ, ჭეციან დერციკს გულის მოგება სდომია! — თავი გააქნია ღვინით მოვაკრემ და ოთახში გაიარ-გამოიარა, მერმე უცებ ცოლს მიაშტერდა:

— ჩვენ რა შეგვიძლია ვიყიდოთ ჭალო?..

ცოლ-ჭმარმა დაიწყეს ფიქრი, რა ვყიდნათ მამისთვის? მაგრამ ვიდრე რაიმეს მოიფიქრებდნენ, ნოემმა აუხსნა, რომ მამა საერთოდ კეთილი თვალთ უყურებს იმათ, რადგან თერძი ვანესი ცოლ-შვილიანად ყოველ კვირა მიდის მამასთან და ყოველგვარ საქმეში ეხმარებოდა.

— ეს ოხერი, მე სწორედ კვირაობით გეპრობ! — ნაოგლიანად წარმოთქვა მედუქნემ. — შენ მაინც მალიმალ მიდი, ბაღი ხელიდან არ წაგვივიდეს, — ვანიგრძო მან, მაგრამ უმაღვე შეჩერდა. — თუმცა კვირა დღით მეც შემიძლია მოვიდე. ორიოდ საათით.

— საკმარისია, — გაუხარდა ცოლს.

და მათ ყოველ კვირა დღეს იწყეს სიარული მამასთან. მუდამ ადრინადა მოდიოდნენ. როცა ნახავდნენ, რომ თერძი ჯერაც მოსული არ იყო, მათ სიხა-

რულს საზღვარი არა ჰქონდა, დაინტერესდებოდნენ ბალით, მამის მდგომარეობით, ჯანმრთელობით, უამბობდნენ სოფლის ახალ ამბებს.

ხოლო როცა თერძი მოვიდოდა თავისი ოჯახით, საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილი, ჩვეულებრივ სუფთად გაპარსული, შეუღლავშავდაგრებილი, ნოემს და შედუქნეს პირისახეზე სევდიანი ღრუბელი გადაეკვროდათ ხოლმე: აგრე ეგონათ, ისე ვერ გაიხარებდნენ როგორც მათ სურდათ, მაგრამ თერძი ხელს არ უშლიდა, ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ, თავისი ბავშვით გაისერიანებდა ბაღში, ყვავილებს და ხილს უკრეფდა ბავშვს. როგორც აღვნიშნეთ, თერძი ჩუმი და მორიდებული კაცი იყო.

— შეხე, შეხე, თავს როგორ იკატუნებს, მამა აბრამის ბატყანი გეგონება, — იდაყვს წაჰკრავდა ხოლმე მედუქნე თავის ცოლს. — ჰხედავ, აქა ვართ და ახლოც არ გვეკარება.

ერთი-ორი საათის შემდეგ მედუქნე წასვლას დააპირებდა, — აბა, ნოემ, მე წავედი, ფიზიკად იყავი, — ეტყოდა ვაჰარი, რაც თავიანთებურად ნიშნავდა შემდეგს: თერძს უთვალთვალე, ბიძას თავი არ მოაწონოსო. მერმე მიუახლოვდებოდა სიმამრს, ხელს დაჰკრავდა მხარზე.

— აბა, პაპაჯან, ყოჩაღად იყავი, მე ისევ მოვალ. იმ დღევანდელი ღვინისა მოგიტანე, დალიე, ნურაფერზე ნუ იღარდებ, თუ რამე დაგჭირდეს, მე აქა ვარ, მითხარი, შენ იცი, რომ...

ბიძია მარტინი მუდამ მუშაობით იყო გართული, თავაუღებელი. ზრდილობისათვის ან „კარგით“ ეტყოდა, ან სულ აოათურს და განაგრძობდა თავის საქმეს, ზოგჯერ კი ხმადაბლა ჩილაპარაკებდა:

— ჩაჩანაკია, ყბედია. ისე მიყვირის, თითქოს ყრუ ვიყვე. თერძი ვანესი კი ამ დროს, ბავშვებთან გასეირნების შემდეგ ეხმარებოდა მოხუცს ხეების გასხლეაში, ან მებაღე სააკთან ერთად გასხლეულ ტოტებს ერთ მხარეს ეზიდებოდნენ. ერთ კუთხეში აწყობდნენ ზამთრის სა-

წვავად, ან ხილისაგან დამძიმებულ ტოტებს ბიჯგებს უდგამდა. სანამ ქალები სადილს დაამზადებდნენ და მზის წყვადნენ.

სადილის დროს თითქმის არა ლაპარაკობდნენ. ნოემი კი ფიქრობდა, რომ სიძე და თავისი და განგებ ხმას არ იღებდნენ... და მოიღუშებოდა ხოლმე. როცა მამა თერძს რაიმე დარჩევასაჰკითხავდა, ან თამბაქოს სთხოვდა, ნოემი უმალვე ლაპარაკში ჩაეროდა.

— თამბაქო? მე არტუშს ვეტყვი, კარგი თამბაქო მოგიტანოს, მამიკო.

— არა, ნუ შეაწუხებ. ვანესი მომიტანს, — ეუბნებოდა მამა. ნოემი მამის პასუხში რალაც უცნაურობას ხედავდა და არ ეშვებოდა:

— მამა, ვანესი დღეისწორ კვირამდი არ მოვა. შენ იქნებ გეჩქარება?..

— არა, კვირამდის მეყოფა, — ბიძია მარტინი ამოიღებდა ჭისას და ჩიბუხს აესვებდა თამბაქოთი.

ნასადილევს მოხუცი მარტინი აივნის ტახტზე წამოწვებოდა, ან როგორც თითონ ამბობდა — „გვერდზე“ მიწვებოდა და ჩაფიქრებული ჩიბუხს სწევდა. როცა ქალები სუფრას აალაგებდნენ, ჭურჭელს დარეცხავდნენ და წასასვლელად მოემზადებოდნენ, როგორც ავადმყოფს, ისე ამხნევებდნენ მამას:

— მამა, ჩვენ კიდევ მოვალთ.

ბიძია მარტინი დუმილით თავს დაუქნევდა.

— კარგი.

სიძეები, თავის ჭკუით ანუ გეშვებდნენ მოხუცს, აქაო და ჩვენს მოვალეობას პირნათლად ვასრულებთო და სჯეროდათ, რომ მოხუცი კმაყოფილი იყო მათი ყურადღებით. ძია მარტინი კი პირიქით, არამცთუ წყნარდებოდა, არამედ უფრო მწარედ გრძნობდა მარტოობას და ზანდაზან შურისმაგვარი გრძნობაც უჩნდებოდა, თითქოს შურდა როგორც სხვა მამაკაცების, ისე თავისი სიძეების მდგომარეობა, რომ ისინი მასავით მარტონი არ იყვნენ, ჰყავდათ ამხანაგი, რომელიც ოჯახს უვლიდა, ჭმარს პატრონობას უწევდა... იგონებ-



და ოთხი ათეული წლის მანძილზე თავის განსვენებულ მეუღლესთან ცხოვრებას, გული ნაღველით და ბოლმით ევსებოდა, ველარ ითმენდა ვარამს და უსიტყვოდ აქვითინდებოდა ხოლმე...

როგორც ყოველ წელს, ამ ზაფხულსაც ბიძია მარტინს სამი ქალი დაქირავებინა კვლების გასამარგლად, ძირს ჩამოკვენილი ვაშლინის ასაკრფეად და დასახარისხებლად... ამთვან ორნი თანასოფლელი დედაკაცები იყვნენ. ესენი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, ლეიძლი დები გეგონებოდათ, მესამე ლტოლვილი ქალი იყო, სახელად ნუნუფარი.

ეს უკანასკნელი შიდარებით ახალგაზრდა იყო და საქმეშიც უფრო მარდი. მაგრამ ვაშლის მოვლის თადარიგი კარგად არ ესმოდა. ის ორი დედაკაცი კი უფრო გაწაფულნი იყვნენ, იცოდნენ როგორ უნდა მოეკრიათთ ვაშლი, დაეხარისხებინათ, ან ყუთებში ჩაელაგებინათ. ნუნუფარს პირველად ის საქმე არ ესმოდა, მაგრამ ძია მარტინმა რამდენჯერმე უჩვენა და ქალმა ისე ჩქარა შეასწავლა ყოველივე, გაოცებულნი შეჰყურებდნენ სხვები.

ყველას უკვირდა ლტოლვილი ქალის შინა და უნარი, იგი ისე სწრაფად და გულმოდგინედ აკეთებდა ყველაფერს, თითქოს მთელი თავისი ცხოვრება ბაღის მოვლაში გაეტარებინოს, ქალმა კარგად შეისწავლა აგრეთვე ფასები და სასწორის „რნა“. რის გამო ძია მარტინმა აწონის საქმე მალე ნუნუფარს მიანდო, რადგან დარაჯი სააკა ძალიან გადამტვირთული იყო და ზშირად სცდებოდა, — ორ გირვანქიან გირის ნაცვლად სამიანს დაღებდა, ან პირიქით. ანგარიშწარმოებაც ნუნუფარს უფრო ემარჯვებოდა და გამოთვლაც მარდად იცოდა, სანამ მარტინ ბიძა საანგარიშოზე დაიანგარიშებდა, ნუნუფარი უკვე ზეპირად შეუცდომლად ეტყოდა.

— იცოცხლე, ნუნუფარ, შენ ჩემზე მალე იანგარიშე.

ზშირად, როცა ვაშლსა სწონიდნენ. მარტინ ძია ნუნუფარს ეძახდა, შეეკითხებოდა — რამდენი იქნებაო, და ნუნუ-

ფარის ნათქვამი მუდამ სწორი გამოდიოდა.

მარტინ ბიძიამ შენიშნა, რომ ნუნუფარი სისუფთავის მოყვარული დედაკაცი იყო, ამიტომ ზოგიერთ ოჯახურ საქმეებსაც ანდობდა, მეტადრე მაშინ, როცა იმისი ქალები აგვიანებდნენ. ოჯახში ყოველ დღე სადილის გაკეთება იყო საქირო. დაქირავებული ქალები თავიანთი პურით მოდიოდნენ სამუშაოდ, მარტინ ბიძას და სააკს კი კვება სჭირდებოდათ, ისინი ხომ დღე და ღამე მუშაობდნენ, კარგად რომ არ ექამათ, ამა როგორ შესძლებდნენ განუწყვეტლივ შრომას! ზოგჯერ მარტინ ბიძა სააკას მოსასვენებლად გზავნიდა, ხოლო ბაღის ყარაულობას თავად კისრულობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბაღის ყოველ კუთხეში ძალი ება და ამიტომ ქურდი ვერ შემოიპარებოდა, თავისი ომახიანი ტანის მიუღიდავად, მარტინ ძია თავის ზეგებს შუა წახრილი ფრთხილად დადიოდა, ყოველ კუთხეს ზვერავდა, ზოგჯერ შეჩერდებოდა, ყურს უგდებდა უმცირეს ჩქამს, ურმის ჭრიალს, ტყიდან, ან სამუშაოდან შინ დაბრუნებულთა ზმაურს. დღისითაც მოსვენება არა ჰქონდა: ფურცლებისთვის უნდა მიეხედა. ძალებებისთვის სალაფავი მიეცა, მყიდველები გაესტუმრებინა, და იმავე დროს თვალყური ედევნებინა პატარა მენახირეებსა და კალოზე მომუშავეებისათვის, გალავანი არ გადმოეღახათ, ხეებზე არ აცოცებულიყვნენ.

ისინი იმდენს არას სკამდნენ, რამდენსაც ტორებს ამტარებდნენ უმოწყალოდ. ამდენი შრომის შემდეგ ბიძია მარტინს და სააკს ნოყიერი კვება სჭირდებოდათ.

ზამთარში და გაზაფხულზე ისინი თითონ იმზადებდნენ სადილს, მაგრამ ზაფხულში და შემოდგომაზე, როცა საქმეს ვერ აუდიოდნენ, როდესაც, ბიძია მარტინის სიტყვით, „თავის მოტხანის“ დრო არ გააჩნდათ, საქირო იყო ვინმესთვის დაევალებინათ საქმლის მომზადება. ნუნუფარმა ზოგიერთ ოჯახურ საქ-

მეს წესიერად გაართვა თავი, ამიტომ მარტინი ძიამ სადილის მომზადებაც მას დაავალა... და ერთხელაც ლტოლვილი ქალის გაკეთებული საქმელი ძლიერ იამა მოხუცს... მშვიერი იყო, თუ კარგად იყო შეკმახული — მარტინი ბიძამ გემრიელად მიირთვა და შეაქო კიდევაც ნუნუფარი.

— იცოცხლე, ნუნუფარ, გემრიელი საქმელი დაგიმზადებია.

ნუნუფარი გაწითლდა, მხრები აიჩეჩა და თავი ჩაჰქინდრა.

— სადილის გაკეთება სად ისწავლე, ნუნუფარ? — შეეკითხა მარტინი ბიძა.

ნუნუფარმა თავი ასწია და წარბებ-ქვემოდან გამოხედა მარტინს.

— ჩვენს ქვეყანაში.

— შენ სადაური ხარ, ნუნუფარ?

— არზრუმის მხრიდან, მამი.

— არზრუმის მხრიდან... კეთილი...

სახელიც მოსაწონი სახელია, ნუნუფარი... იცოცხლე, ნუნუფარ, ხვალაც მოგვიხარშე.

ნუნუფარმა თავი ისევ ძირს დახარა.

— თუ კარგი სანოვავე მექნა, მამი, მე უკეთესი კერძების მომზადება ვიცი.

— კარგი, ხვალ მოგვიხარშე.

და ძია მარტინმა იქვე, სადილობისას დაავალა მებაღე სააკას მეორე დღისათვის მსუქანი ცხვრის ხორცის ყიდვა. სააკას ორნარად გაეხარდა, ჯერ ერთი, ხვალაც ცხვრის ხორცი გვექნებაო სადილად, მეორეც თვითონ აღარ ვიწვავლებო კერძის მომზადებაზე, (რომელიც მაინცაღამაინც არ მოსწონდა ბიძი: მარტინს).

სააკამ გულითადი მადლობა გადაუხადა და კარგ ხორცს ვიშოვიო... აღუთქვა.

ამრიგად, ნუნუფარი ბაღშიც მუშაობდა და თანაც მზარეულობდა. სააკი სადილობის დროს ხშირად ბიძია მარტინის განსვენებულ მეუღლეს მოიგონებდა ხოლმე, თან გემრიელად შეექცეოდა კერძს. ხოლო ბიძია მარტინი ნასადილევს უღვაშებს აიგრებდა და ნუნუფარს ეტყოდა:

— იცოცხლე, ნუნუფარ, შენი ნახე-

ლავი კერძი დღესაც გემრიელი იყო.

არა ნაკლებ გახარებულნი იყვნენ ბიძია მარტინის ქალებიც; მამისათვის კერძის დამზადება აღარ უხდებოდათ. პირველ დღეებში თავად ქალები არიგებდნენ კიდევ ნუნუფარს, როგორი კერძები გაეკეთებინა. მაგრამ ნუნუფარს სწავლება არა სჭირდებოდა. ის უკეთეს უღუფასაც აკეთებდა და მრავალფეროვანსაც, ვიდრე ორივე და. ქალებმა გვიან-გვიან დაიწყეს სიარული, ნაწილობრივ ამ მიზეზითაც, ისიც მხოლოდ კვირაობით. ხანდახან ისინი მამას აფრთხილებდნენ, ლტოლვილი ქალია, შეიძლება უეცრად რამე მოგპაროს და გადაიკარგოსო. სიფრთხილეა საჭირო... მაგრამ ბიძია მარტინი აინუნში არ ავდებდა შეილებს რჩევას, მას არაფერი ცუდი არ ახსოვდა, პირიქით, ნუნუფარი ურთულად მუშაობდა, ოჯახის საქმეებსაც უძღვებოდა და აწონის თაღარიგშიც შევლოდა, ისე მარჯვედ მუშაობდა, რომ გაცილებით მეტს აკეთებდა, ვიდრე ბიძია მარტინის ორი თანასოფელი დედაკაცი. დედაბრებს არ სიამოვნებდათ ნუნუფარის ასეთი წარმატება და მის მიერ ყველგან „ცხვრის ჩაყოფა“, როგორც ისინი ამბობდნენ. ხოლო ნუნუფარი გაყიდული ვაშლის ღირებულებას თითებზე დაითვლიდა, მერე კი კაბის კალთებაწეული მიირბენდა საქმელისათვის დასახედად, მოხუცი ქალები თითს ტუნზე მიიღებდნენ და ჩურჩულებდნენ:

— რა ღირფი ქალია, აქაო და ყველაფერი ხელიდან გამომდისო... აი, მეხი კი დაგეცეს მაგ მაწანწალა თავზე. ნუნუფარი კარგად გრძნობდა ამათ მოპყრობას, ზოგჯერ მათ მტრულ განწყობილებასაც კი, ხედავდა, როგორ მიადებდნენ ხოლმე ერთმანეთს ცხვრის ცხვრზე და მასზე უბრაობდნენ, მაგრამ იგი არაფერად ავდებდა ამას ყოველივეს და ორივეს სიყვარულით მაინც „მთირისა“! ეძახდა. ორივეს შევლოდა სავეს გოდრების აწევაში, ყოველდღე საღამოთი მათთან

1 დედა (სომხ.)



ერთად გაუდგებოდა ხოლმე გზას სოფლისაკენ. წინასწარ ჰკითხავდა ხოლმე ბიძია მარტინს:

— მამა, გასაკეთებელი ხომ აღარაფერია?

ხოლო ბიძია მარტინისაგან ერთსა და იგივე პასუხს ლებულობდა.

— არა, ნუნუფარ.

ამ დროს ბებრები ერთმანეთს თვალს უპაჭუნებდნენ და ჩურჩულებდნენ.

— უყურე, რა ლირფია... მიწამ გიყოს პირი შე მაწანწალავ, შენა...

მაგრამ ერთ დღესაც, როცა ნუნუფარი წასვლისას ჩვეულებრივად შეეკითხა „ხომ არაფერია გასაკეთებელი?“ ბიძია მარტინმა იგი შეაჩერა:

— პო, ნუნუფარ, გაუშვი წავიდნენ ეგენი, შენ კი აქ დარჩი, საქმეა, — და სახლისაკენ გაუძღვა მას.

ნუნუფარი ბებრებს გამოეყო, თავშალი გაისწორა და უკან გაჰყვა ბიძია მარტინს, რომელიც დინჯი ნაბიჯით მიდიოდა, გზადაგზა აქეთ-იქით იხრებოდა, რომ ხის ტოტებს არ შეხებოდა.

როცა სახლს მიუახლოვდნენ, მოხუცა შეჩერდა, ჯიბეში გასაღებებს დაუწყო ძებნა.

— ნუნუფარ, დიდი ხანია თავი არ დამიბანია, იქნებ დამბანო, — კარის გაღებისას ისე ლმობიერად ჩაილაპარაკა ბიძია მარტინმა თითქოს ემუდარებო. — შეგიძლიან?

— რატომაც არა, იოლი სამსახურია, — თავაზიანად და გაბედულად უპასუხა ნუნუფარმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ნუნუფარი, კაბის კალთებანჯეული და მკლავებდაკაბიწებული, ფუსფუსებდა, ქვაბით წყალს ატყელებდა, მოხუცისათვის თავის დაბანის თადარიგში იყო.

წყალი გაცხელდა, ნუნუფარმა მოხუცი ტაშტთან დააყენა, გაქალარავებულ თავზე საპონი წაუსვა და ჯანიანი მკლავებით უქექავდა თავს. ნუნუფარმა რამდენიმეჯერ აუქათა თავზე საპონი, მოფხანა, თმებზე ხელი გადაუსვა, თითქმის უხეშად. ბიძია მარტინს კი ძალიან ია-

მებოდა და ხშირად იმეორებდა — „კიდევ, კიდევ“...

ნუნუფარმა მოხუცის თავის დაბანა დაამთავრა. ბიძია მარტინი დიდად კმაყოფილი დარჩა...

— იცოცხლე, ნუნუფარ, იცოცხლე...

ნუნუფარი აიღუწა. თავშალი თითებით შეისწორა, და საპნიანი წყლით სვესე ტაშტის ალებიას ყრუდ შეეკითხა: „საცვლები ხომ არა გაქვს გასარეცხი“...

ბიძია მარტინმა წინდების გარეცხვა სთხოვა და სანამ ნუნუფარი წინდებს გარეცხავდა და აივანზე გაბმულ თოკზე გაფენდა, დაღამდა კიდევაც.

— მე წავალ, მამიკო, — მიუახლოვდა ნუნუფარი იმ ოთახის კარებს, სადაც საწოლზე მგდარი მოხუცი ჩიბუხს აბოლებდა, ბოლს რგოლებად უშვებდა ჰერისაკენ, და ისეთ სიამოვნებასა გრძნობდა, როგორსაც ადამიანი განიცდის აბანოდან დაბრუნების, ან დიდი ჯაფის შემდეგ დასვენების დროს.

ნუნუფარის ხმამ ბიძია მარტინი ფიქრებიდან გამოიყვანა.

— ბნელა, ნუნუფარ, უკეთესია დარჩე, — ისე გულტყლიად უთხრა მოხუცმა, თითქოს თავის დაბანისათვის მადლობას უხდისო. ასე ენიშნა ნუნუფარს მოხუცის ხმა.

— არა, მადლობელი ვარ, მამავ სახლში მელოდებიან, — უარი განაცხადა ნუნუფარმა.

— სახლში... ვინ გელოდება?

— არავენ, მარტო ვარ. ორიცაანთ ოდაში ვცხოვრობ.

ბიძია მარტინმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო.

— რაკი ეგრეთა, დარჩი, ბნელა. გზაში ვინ იცის, რა შეგემთხვეს. წადი, იმ ოდაში დაიძინე. დილით აღარ მოგიხდება აღრიან მოსვლა...

ნუნუფარმა მხრები აიჩქია.

— მეშინიან, მამავ.

— რისა გეშინიან?

— სხვა ბინაზე დარჩენას ჩვეული არა ვარ, წავალ...

— რას ამბობ? — გაიღიმა ბიძია მარ-

ტინმა.—ჩვეული არა ვარო?—გულ-ტფილად გამოაჯავრა და ტახტიდან ფეხები იატაკზე დაუშვა. — კარგი, მოიცა, და ჩუსტების ფლატა-ფლუტით, მივიდა ძველებურ კარადასთან, რომელიც დიდი ხნის წინად ქალაქში ეყიდნა. — რაღი დარჩენა არა გსურს — მოითმინე.

ოთახის ზღერბლზე გაჩერებული ნუნუფარი თვალს არ აშორებდა მოხუცს. ამასობაში ბიძია მარტინმა კომოლდის დაკეცილი შვინდის ფერი თავშალი ამოიღო და ნუნუფარს გაუწოდა.

— შენი დაძველდა, ეს იხმარე, — დასძინა მოხუცმა მხრუნველობით, შემდეგ სააკს დაუძახა და ოთხრა, სახლამდის მიაცილეო ნუნუფარი...

მეორე დღეს დედაბრები სამუშაოზე მოვიდნენ. მალე ნუნუფარიც მოადგა კიშკარს, ახალი თავშალი ებურა. მებღე სააკმა კარი გაუღო, ნუნუფარს მიაშტერდა და ბებრებს თვალი ჩაუკრა. ახალ თავშალს მთლად გამოეცვალა ნუნუფარი. დედაბრებმა იცნეს ბიძია მარტინის შეუღლის განსვენებულ საბედ ნანის თავშალი და თავები ერთმანეთს მიადგეს.

— იქნებ მოიპარა მაგ სასიკვდილემ? — ეპვი გამოსთქვა ერთმა.

— მოპარულს არ მოიხვევდა, — შენიშნა მეორემ. — აქ სხვა ამბავია...

მაგრამ მათი ეჭვები სააკმა გაფანტა. კვლავ თვალი ჩაუტაკუნა დედაკაცებს, ნუნუფარს გადახედა და სთქვა:

— იმისია. გუშინ ბიძია მარტინმა აჩუქა — თავის დაბანვისათვის.

დედაბრებმა თავები მიადგეს ერთმანეთს და ერთხმად წამოიძახეს:

— ლირფი.

2

ნუნუფარი მართლაც „იაქესავით“ მარტოხელა ქალი იყო, არამც თუ დაბა ორანში, არამედ მთელს ჰანგიდუნიაზე არაიენ არ გააჩნდა, საშინელი ომის წლებში დაკარგა მეუღლე და შვილები, თურქეთიდან გადმოხვეწილმა, ბევრი ხეტიალის შემდეგ ორანში დაიდო ბინა

და აქ ატარებდა თავის სიცოცხლის დღეებს. როცა სოფელში ნუნუფარზე ლაპარაკი ჩამოვარდებოდა, ყველა ურთხმად გაიძახოდა „უბატრონო ქალიაო“.

იგი ორანელ შემოღებულთა ოჯახებში მუშაობდა: ბოსტანს მარგლავდა, სარეცს რეცხავდა, მატყლს ჩეჩავდა, — ერთი სიტყვით, ყველაფრის გაკეთების შინა შესწევდა.

რა საქმესაც მოჰკიდებდა ხელს, წესიერად და პირნათლად ასრულებდა. თუმცა ორმოც წელს გადაცილებული ქალი იყო, მაგრამ პატრძალივით მორცხვი, მორიდებული, ახალგაზრდული ჯანღონით აღსავსე, გამრჯე, მხნე, დაკვირვებული; კარგა ჩასხმული გულშეკრდი, მშვენიერი მიმზიდველი პირისახე ზედმიწევნით სანღომიან იერს სდებდა მის გარეგნობას.

დიდი ჯაფის შემდეგ მის ჯანმრთელ სახეს წითლად გაქონდა დაედაი, ფართო მღელვარე გულმკრდი ჰქონდა. ძველ მოსასხამში ის პეწი არა ჰქონდა, რაც ბიძია მარტინის ნაჩუქარ შალში, შვინდის ფერმა თავსახვევმა მთლად გამოეცვალა, ეშხიანი გახადა, რაც მაშინათვე შეამჩნია სააკმა.

— ოჰო, ნუნუფარ, როგორ გამოცვლილხარ! ძლიეს-ოა გიცანი, — უთხრა სააკმა და ბაღის კარები გაუღო ნუნუფარს.

იგივე დაემართათ ამ ბაღში მომუშავე დედაბრებსაც: მოშტრის თვალთ გადახედა ბიძია მარტინმაც და გუნებაში იამა, რომ ნუნუფარს ძალიან შეენოდა მისი ნაჩუქარი თავშალი. ზოლო როცა ინავე დღეს ბიძია მარტინის უფროსი ქალი ნოემი მოვიდა, მანაც მაშინვე თვალი მოჰკრა ნუნუფარს, ახალ თავშალს. იცნო, გაოგნებული ერთ წამს შეჩერდა. ერთი მაგრად დაუბღვირა ქალს, რაღაც წაიფრუტუნა და აღეღვებული წავიდა მამის მოსაძებნად. მოხუცი ბაღის ერთ კუთხეში ვაშლით დახუნძლულ ზეს სარებს უდგამდა, რათა სიმძიმისაგან ტოტები არ დამტვრეოდა. გაბოროტებული ნოემი, ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა მოხუცს და შორიახლო გაჩერდა. მამამ

მოიხედა და, ხუმრობანარევი ხმით შეეკითხა:

— პა, ნოემ, რასა იქ?

— საიდან აიღო იმ მაწანწალამ დედაჩემის თავშალი?

ნოემს ხმა უწყდებოდა აღელვებისაგან.

— მე მივეცი, — მშვიდად უპასუხა მამამ და კვლავ დინჯად განაგრძო მუშაობა.

მამის სიმშვიდემ და გულგრილმა პასუხმა მთლად განაიარაღა ნოემი.

— მე კი მეგონა, მოიპარა-მეთქი, — მიუგო მან და განზე გაიხედა.

— რად უნდა მოეპარა, — იგივე ტონით უპასუხა მოხუცმა და გულმოდგინედ განაგრძო თავისი საქმე.

— ადვილი მოსალოდნელია უპატრონო, მოხეტიალე დედაკაცისაგან.

— რატომ, სუფთა ქალი ჩანს.

— სუფთა! — ნოემს მწვანე თვალები აუთამაშდა, გამზდარი პირისახე თითქოს მოეღრცეა კიდევ. — აბა რა იცი, რომ სუფთაა? აი, პეტანთ ოჯახში მაგნაირ დედაკაცს ყველი მოუპარია და გაუგდიათ.

— ყველა ხომ ერთნაირი არ არის, — ისევ ისე გულგრილად უპასუხა მამამ და ზურგი შეაქცია შვილს ბიჯგის მაგრა ჩასარკობად.

ნოემი მიხედა, რომ მამას საუბრის გაგრძელება აღარა სურდა და ჩქარი ნაბიჯით გასწია სახლისაკენ.

ბალიდან გასვლამდე სააკმა აცნობა ნოემს, რომ ბიძია მარტინმა ნუნუფარს თავშალი აჩუქა თავის დაბანისა და წინდების გარეცხვისათვის...

ნოემმა უსაყვედურა თავის თავსაც და აწგინსაც, მთელი კვირა უპატრონოდ რომ მიატოვეს მამა. „მამა იძულებული ვაზნდარა დახმარებისათვის ნუნუფარი-სათვის მიემართა და გასამრჯელოდ თავშალი უჩუქნიაო, ფიქრობდა ნოემი, — ჰმ, დედის თავშალი... ერთი წელიც არ გასულა და მამამ უკვე დედის თავშალი გაასაჩუქრა... მერმე ვის აჩუქა? ვიღაც ლტოლვილ, უპატრონო, ოხერ დედაკაცს“. ეს ფიქრი ტეინს უხერტდა

ნოემს, სტანჯავდა, ამასთან უფრო ჭირუ მატდებოდა, რომ მამამ თავისი მწველად არაფრად ჩაადგო, მათი აზრით მათი მისი. გაავებული დაბრუნდა შინ. საღამოს თავის მეუღლეს დაწერილებით უამბო ყველაფერი. მედუქნემ ხელი ჩაიქნია:

— ერთი თავშალია, სხვა ხომ არაფერი. რა დიდი საქმეა, შენ ბალზე იფიქრე.

— მეც მაგისი მეშინიან, ერთ მშვენიერ დღეს ერთიც ენახოთ მაგ მაწანწალამ დედაჩემის ტანსაცმელი, ოქროვერცხლი მოიპაროს და მოუსვას, ოხერი, უპატრონო ქალია, საღდა იპოვნი?! — შენც ხშირ-ხშირად მიდი, — ურჩია მედუქნემ. — მიხვდეს, რომ მოხუცს პატრონი ჰყავს. არ იცი ბებერი კაცის ამბავი, ყველაფერს ხომ ვერ ჩაეცთავს.

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, როცა ნოემი კვლავ ეახლა მამას, ელდა ეცა: ნუნუფარს დედის მუქ-ლურჯი კაბა უქუსლო ფეხსაცმელები ეცვა, და მკლავებდაკაპიწებული აივანზე ბალიშებს ბერტყავდა... ნოემი გაკვირვებისაგან ჯერ აიღეწა, მერმე გაფითრდა და ისე გადაუტრიალა ნუნუფარს თვალები, თითქოს ეუბნებოდა, საჩქაროდ გაიხადეო დედის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

ნუნუფარი შეაძრწუნა ნოემის თვალთა ბრიალმა, მაგრამ არ დაიბნა და ისევ განაგრძო ბეჯითად და მონდომებით ბალიშების ბერტყვა.

ნოემმა უყურა, უყურა ნუნუფარს, ცხვირი აიბზუა, უეცრად მოწყდა ადგილს და ბალისაკენ გაეშურა მამის საძებნად. „ამას რას სჩადის მამაჩემი, — თავისთვის ბუტბუტებდა ნოემი, — ასე სცემს პატივს დედაჩემის ხსოვნას? რას იტყვიან მეზობლები, ნაცნობები, ხალხი?!“ ...ნოემი მამის საქციელათ ისე იყო აღელვებული, რომ თვალცრემლიანი მივიარდა მამას, რომელიც ამ დროს ფუტკრების სკებთან ფუსფუსებდა:

— ნანის ტანსაცმელი შენ მიეცი იმ მაწანწალას, პა?!..

ბიძია მარტინი ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა ერთ-ერთ სკას, დაინტერესე-

ბული იყო ფუტკარების საქმიანობით და სანამ პასუხს გასცემდა, ოდნავ გაოცებულია გადახედა ქალს — ნოემის ხმა ძალიან უცხოდ და უჩვეულოდ მოეჩვენა რატომღაც.

— მერმე რაო?

— რაკი ეგრეა, — გაცხარდა ნოემი, — ნუთუ ჩემი საწყალი დედა იმდენი პატივისცემის ღირსი არ იყო, რომ ჯერ წელიწადიც არ შესრულებულა და იმისი ტანსაცმელი ვიღაც ლტოლვილმა უნდა ჩაიცვას? მამ ეს საქმეა, მამაჩემო?...

— მერმე რა, ოდესმე ვინმემ ხომ უნდა ჩაიცვას, ეგრე რამდენ ხანს უნდა ეყაროს...

მამის ასეთმა გულგრილმა პასუხმა გული ატყინა ნოემს და კვლავ ცრემლებით ავესო თვალები.

— რას იტყვიან მეზობლები! ერთი წლის მიცვალებულის ტანსაცმელი ასე უნდა განიავდეს...

— უხმარად რომ ეწყოს, ამით რა ეშველება? — სთქვა მამამ გულგრილად, სავსებით მშვიდობიან კილოზე. — ოჯახის დედაკაცია, საქმეს აკეთებს, ჩაიცვას...

— ოჯახის დედაკაცია... — გაიმეორა ნოემმა, მაგრამ პასუხი ვერ იპოვა, სახე წამოენთო, თავი ჩაქინდრა. „ოჯახის დედაკაცია... ორი დღეა შემოხვევით რაღაცას აკეთებს და უკვე სახლის დედაკაცი გახდა ეგ უბირი მაწანწალა, ეგა! არც დედაა, არც ქალიშვილია, მამა კი სახლის დედაკაცად სთვლის, არა, მამაჩემს მთლად დაუეარგია ჭკუაგონება. ეკითხა მაინც ან ჩემთვის ან ანგინისთვის“... ფიქრობდა ნოემი და ისე იყო აღვლევებული, რომ ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა. მამას კაცხავდა, მიუტოვებელ დამწამავად თვლიდა, დედის წმინდა სახელის წაბილწვად ეჩვენებოდა ეს ყოველივე. მიუხედავად ამისა, მაშინ ვერ შეჰხედო საყვედურის თქმა, მან კარგად იცოდა მამის ხალიხი. საამარისი იყო ერთი ზედმეტი სიტყვა წამოცდნოდა, მამა გაბრაზდებოდა. ამიტომ თავი შეიკავა ნო-

ემმა და შეურაცხყოფილი განწიროდა მამას.

გზაზე, ბაღის დასაწყისში დაჩვილი სააკი შემოხვდა. სააკმა გაიღიმა, დაალოპირი და აროხროხდა:

— ნახე ნუნუფარი? ნანის ტანისამოსი აცვია, — და თვალი ჩაუბაკუნა.

ნოემმა ხმა არ გასცა, გაიფიქრა, ამ უბრალო დარაჯსაც კი ესმის, რომ ეს საქმე უკეთურია და მამამ როგორ ვერ შეიგნო. ამ აზრმა უფრო ააფორიქა იგი, ნაბიჯს უმატა და განერვიულებული გავიდა ბაღიდან.

ნოემმა, სახლში წასვლის ნაცულად, პირდაპირ დის — ანგინის სახლისაკენ გასწია, რომ იმისთვისაც ეცნობებინა ეს ახალი ამბავი, იმისი აზრი შეეტყოს და ერთად მოეთათბირათ — რა ზომები ეხმარათ, რომ მამას მათი თანხმობის გარეშე ასეთი ნაბიჯი აღარ გადაედგა. „თუ საჩქაროდ არ მივიღეთ ზომები, მამაჩვენი ყველაფერს გაასაჩუქრებს. მარცხნივ და მარჯვნივ: დღეს დედის ტანსაცმელი აჩუქა ლტოლვილ ქალს, ხვალ სხვა ნივთებს გასცემს, ზეგ ვაშლის მომკრეფ დედაბერს, ან თუგინდ დარაჯ სააკს მთელ ქონებას უბოძებს“. — ფიქრობდა ნოემი და მამის ასეთ მოქმედებას ნანის გარდაცვალებით, მამის მოწყენილობით ხსნიდა. „მამას თვალში აღარაფერი მოსდის. მოხუცებულია, სევდამ ალბათ ერთიანად დარია ხელი, წონასწორობა დაკარგა, საჭიროა თვალყურის დევნება. მისი ხელში აყვანა.“ — გულამღვრეული ფიქრობდა ნოემი. დასთან მივიდა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ანგინმა ცხარე ცრემლები გადმოჰყარა:

— რასაკვირველია, ჩვენი ბრალია, რომ მამა ასე იქცევა. ყურადღებას არ ვაქცევთ. ხშირ-ხშირად არ მივდივართ, ისიც აღამაინია, ოჯახში საქმის გამკეთებელი არავინა ჰყავს, ვინც დავხმარება, იმას სცილს პატიოს, ამა რას იზამს?!

დის ოჯახში ნოემი ცოტა არ იყო დაამშვიდდა. საღამოს, როცა ეს ახალი ამბავიც მეთლლეს გადასცა, მელტქნებ,



თავისი მოსაზრების გაზიარებით კვლავ ააღელვა ცოლი.

— ვაი თუ მოხუცი შეყვარებულია ამ ლტოლვილ დედაკაცზე! — გაიცინა მან.

მეუღლის სიცილი ნოემს არ მოეწონა.

— ეგლა აკლია, — დაუბღვირა ქმარს.

— შევრცხვით, თავი მოგვეჭრა.

— შენი ნათქვამიდან ასე სჩანს, — განაგრძო მედღუქნემ და სერიოზული სახე მიიღო, — თავათ შენ ამბობ, ყოველ დღე თითო რამე ხდებოა, ეგ რაღას ნიშნავს? შრომის საფასურში შეეძლო ვაშლი მიეცა, ან ფული, როგორც სხვებს უსწორდება, მაგრამ მეუღლის ტანსაცმელის ჩუქება რას ნიშნავს!.. — მედღუქნემ თავი გააქნია — არა, შეყვარებულია, შეყვარებული! — გაიმეორა მან, — ჩემმა მზემ შეყვარებულია...

ნოემის გულში ეჭვის მატლმა დაიბუღა. მეუღლის ხუმრობა ენიშნა.

— რაებს ამბობ, განა შეიძლება ასეთი რამ მოხდეს?

— ვითომც რატომ არაო? პაპანიანთ მოხუცი სამოცდაათი წლისა იყო, ახალი ცოლი რომ მოიყვანა! ხდება ხოლმე.

— მამაჩემი ასეთ სისულელეს არ ჩაიდენს, — მოუჭრა ნოემმა. — მამაჩემი...

— მამაშენი რა, ბერია თუ ეპისკოპოსი? ეპისკოპოსები სცდებიან ხოლმე და მამაშენი რა წითელი კოქია! — განაგრძობდა ოხუნჯობას მედღუქნე, რომელიც დღევანდელი ვაჭრობით ძალიან კმაყოფილი სჩანდა. პრისტავი თავისი ფეხით მისულიყო. შაღლობა ეთქვა არტამატის ღვინის მიცემისათვის და ეთხოვა კიდევ კაგზავნა.

— მოხუცი და შეყვარებული?! — გაკვირვებული ამბობდა ქალი.

— წლოვანება აქ არაფერ შუაშია, — ბევრი, ბევრი სამოცის, სამოცდაორის იყოს. რა დიდი საქმეა!.. — ოთახში დაიწყო სიარული, შემდეგ ცოლს შეამჩნია რა სასოწარკვეთილება, იფიქრა ვანუგეშებო, მიეახლა, წინ აეტუხა და უთხრა:

— მე ხეალ გავუვლი მას. ენახავ რა ქალია, ვინ არის, სადაური ჩიტია...

დადამდა. ვაშლის ბაღში დღემდე მოწვა. საესე მთვარე გაიზადრა მოკრიალეზულ ცაზე, რძისფერი სხივები მოკფინა მინდორს, სოფელსა და ბაღს. ახლოზელ ჭოზბებში და მდინარის პირას ბაყაყები ყიყინებდნენ თავიანთ სევიდან სიმღერას. ძაღლები არ ჰყეუდნენ, უძრავად იდგნენ ვაშლის ხეები. მხოლოდ პატარა რუ ჩხრიალებდა, გეგონებოდათ ბალახებში კისკისებსო.

სააკს, სიარულის დროსაც რომ ეძინებოდა ხოლმე, დღეს დაწოლილსაც არ ეკარებოდა ძილი: წამოდგა, კეტით ხელში აუარ-ჩაუარა ბაღის გაღავანს, ზვერაგდა, — ღამე ვინმე მენახირე ან ქურდი არ გადმოპარულიყო ბაღში, მაგრამ არსად არაენა სჩანდა...

დათვალეირების შემდეგ, სააკა მივიდა თავის ქონთან, რომელიც ბაღის კუთხეში იდგა და ტახტზე წამოწვა დასაძინებლად, მაგრამ რატომღაც ძილი გაუტყდა. მთვარეც, თითქოს საგანგებოდ, პირდაპირ თვალებში უჭვრეტდა, თვალს უპაჭუნებდა.

სააკი ისევ წამოდგა, სახლისაკენ წავიდა და შიგ შეიხედა.

ნუნუფარს ისევ ტომრებს აკერებდა, ჯერ არ დაემთავრებინა. ამ საღამოს ბიძია მარტინმა ნუნუფარს სთხოვა ხორბლის ტომრები დაეკერებინა. შეიძლებოდა მეორე დღით გაკეთებულიყო ეს საქმე, მაგრამ ბიძია მარტინს, საქმის გადადება არ უყვარდა, ამიტომ რის გაკეთებაც წინასწარ შეიძლებოდა, იმას მეორე დღისთვის არ გადადებდა. ცოლს ტომრებს ზაფხულის დასაწყისში აკერებინებდა ხოლმე, იმ დროს, როცა ჯერ ვაშლი შემოსული არ იყო. ხეალ კი ხორბალს ელოდებოდა, ვაშლზე გადასაცვლილად ღნოა მოეტანათ.

სააკი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სახლს, თრთხილად ავიდა ავიანზე და ფანჯრიდან შეიხედა. ნუნუფარს ისევ ნანის ტანსაცმელი ეცვა, იატაკზე გაშლილ ფარდაზე იჯდა და ტომრებს აკერებდა. იგი სათითაოდ შლიდა ტომარას, მოსინჯავდა დასაკერებელ ად-

გილს, მერმე მუხლზე დაიდებდა და აკერებდა.

ბიძია მარტინი იქვე ტახტზე იჯდა, ჩიბუხს ეწეოდა, ღიმილით და თავის ქნევით რაღაცას ეუბნებოდა. ცოლის გარდაცვალების შემდეგ კარგა ხანი იყო, რაც სააკს ბიძია მარტინი ასე გაღიმებული არ ენახა. ცნობისმოყვარეობამ წასძლია სააკს, სურვილი აღეძრა გაეგო, თუ რის შესახებ ელაპარაკებოდა მოხუცი ნუნუფარს. თითქოს სირცხვილის გამო ნუნუფარი თვალბუბინებში ვერ უყურებდა ბიძია მარტინს, მაგრამ თავის ქნევით ხან „ღიხას“ ეუბნებოდა, ხან „არას“.

სააკი ვერაფერს ხედებოდა რის გამო ლაპარაკობდნენ, მაგრამ, რამდენადაც მოხუცი იღიმებოდა, იმდენად იზრდებოდა სააკში ცნობისმოყვარეობა და რომ შიგნიდან არ დაენახათ, ფანჯარასთან მარჯვედ მოიკალათა და თვალს არ აშორებდა მათ. ირგვლივ სიჩუმე იდგა. წინაღ, როცა ნანის ელაპარაკებოდა, ყველაფერს იგებდა ხოლმე სააკი, მათი ლაპარაკის ხმა გარკვევით ისმოდა აივანზე, მაგრამ ახლა ბიძია მარტინის ხმა სრულიად არ ისმოდა. სააკი ხან წამოიწევდა, ხან ფეხის წვერებზე დგებოდა, ცდილობდა სიტყვებისათვის ყური მოეკრა, მაგრამ ამაოდ: ისე ჩუმად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, რომ ვერაფერი გაიგო.

ნუნუფარმა ტომრების დაკერება დაამთავრა, დაკეცა, ერთ მხარეს მიალაგა და ზეზე წამოდგა, მხოლოდ ახლა გაიგო სააკმა ნუნუფარის სიტყვები:

— მე დავამთავრე, მამა.

— კარგია... — მოესმა სააკს ბიძია მარტინის ხმა და კიდევ რაღაც გაუგებარი სიტყვები. ნუნუფარი გაწითლდა და თავი ჩაქინდა.

— რისა გრცხვენია? — კვლავ მოესმა ბიძია მარტინის ხმა. — თანაც მე რა „მამა“ ვარ შენი, ქალო, მუდამ „მამას“ რომ მეძახი... მოდი აქ, მომიჯექი, — და მარტინმა ტახტზე მოუთითა, სადაც თითონ იჯდა. მაგრამ ნუნუფარი არ მივიდა. მოხუცმა ხმადაბლა რაღაც უთხრა და ხელით უჩვენა ტახტზე, ეტ-

ყობოდა; ნუნუფარს დაჯდომას სთავაზობდა. ნუნუფარი ისევ მოხუცებულია. მოხუცმა ეს რომ დაინახა: *გმდმტმწია*, კაბის კალთაში სწვდა და თავისკენ მიიზიდა. შეფაკული ნუნუფარი მოწიწებით დაჯდა ტახტზე. უცერად ბიძია მარტინი ახალგაზრდული სიმარადით — რამაც სააკი ძალიან გააოცა — ადგილიდან წამოდგა და ნუნუფარს გვერდით მიუჯდა. ნუნუფარმა მოკრძალებით გვერდზე გადაწია, მაგრამ ბიძია მარტინმა საოცარი სიმარადით მოხვია ხელი კისერზე და მისი თავი თავისთავთან მიიზიდა...

სააკი, თითქოს მეტი გაეზარდაო, ჯერ ზეზე წამოხტა, მერმე უცბად თავი მოიკუნტა, თითზე იკბინა, თვალი ჩაუპაჭუნა ვარსკვლავებს თუ მთვარეს, და თავის ქოხისკენ გაიქცა. შუაგზიდან კილევ მოისურვა უკან დაბრუნება, მაგრამ ოთახში სინათლე უკვე ჩაქროთ...

ღილით ნუნუფარი, საოჯახო საქმეების გამო, დედაბრებთან არ გამოვიდა ვაშლის მოსაყრევად. დედაბრებმა თავი თავზე მიადვეს და ამურჩულდნენ:

— ღირფი, დღეს ქალბატონობას ეწევა.

— ქალბატონის ტანისამოსი იმიტომ აცვია, რომ ქალბატონობა გასწიოს, მამა...

როცა გლეხები მოვიდნენ ხორბლით დატვირთულები, მხოლოდ მამინ გამოჩნდა ნუნუფარი. იგი ბიძია მარტინთან ერთად სწონიდა გუშინ მოკრეფილ ვაშლს, გლეხებს ტომრებში უყრიდა, იმათ მოტანილ ხორბალსაც სწონიდა. თავიანთ ტომრებში ყრიდა, თან თითებზე ანგარიშობდა მიღებული ხორბლის და გაცემული ვაშლის წონას, ფულზე გადაჰქონდა და ვიდრე ბიძია მარტინი საანგარიშოზე ჯამს გამოიყვანდა, ნუნუფარს უკვე ზეპირად ჰქონდა დაანგარიშებული.

„ცეცხლია, ცეცხლი,“ — ამბობდა თავისთვის ბიძია მარტინი, როცა ქალი მასზე მარდად და სწრაფად გამოიანგარიშებდა ხოლმე.

გლეხების შემდეგ ადგილობრივი მუშ-

ტრები მოვიდნენ. ნუნუფარმა ისინიც სწრაფად გაისტუმრა.

ამ დღეს ბევრი საქმე გაცეთდა. ძალზე მოიჭანცნენ. მთელი დღე ძაღლები ყვდნენ. როცა მუშტარი ბევრი იყო, მენახირეები და კალოზე მომუშავე ბიჭებიც შესაფერ დროს იხელთებდნენ ხოლმე, იცოდნენ, ბაღში მომუშავეები ყველანი ზევით იქნებოდნენ მუშტრის გასასტუმრებლად, გალაუნის კედელზე აცოცდებოდნენ, კაუჭა ჯოხით ვაშლია ტოტს თავისკენ იწეოდნენ და კრეფდნენ.

სააკი დილიდან საღამომდე გაწამაწიაში იყო, ხან მუშტრების გასტუმრებაში ეხმარებოდა მარტინს, ხან ქურდებს დასდევდა, ზოგს ვაშლის სროლით იგერიებდა, ზოგს ჯოხის მოქნევით, ერთმა ქურდმა ქუდი მიატოვა და გაიქცა. სააკმა დაბნული ძაღლები დატუქსა, რათა ყეფა შეეწყვიტათ მათ და დასასვენებლად ჩაიმუხლა. დაუჯდა და მაშინვე მოაგონდა წუხანდელი შემთხვევა: გაელიმა, თვალი ჩაუბაჭუნა ხეებს თუ ვის, ვერ გაიგებდით.

ამ დღეს, შეიძლება ითქვას, ყველა დაიღალა, იმდენი მომსვლელ-წამსვლელი იყო. ის იყო მორჩნენ საქმეს, მიალაგ-მოალაგეს და ვახშმის საქმელად მოემშადნენ, როცა ეტლით მოგრიადდა ბიძია მარტინის უფროსი ქალის ქმარი სირაჯი არტუშა.

იგი მოსულიყო ლტოლვილი ქალის სანახავად და თავისი ვარაუდის შესამოწმებლად. გარდა ამისა, მთელი ორი კვირა არ ენახა სიმამრი და მოვიდა ცოდვების მოსანანიებლად, თან მოიტანა ორი ბოთლი ღვინო, ორი ბოთლი არაყი და ტრაპიზონის თუთუნი. ეტყობა ნოემს არ დაეწყებოდა, რომ მამას შეპირდა თუთუნის გამოგზავნას.

— სააკ, ვინ არის სახლში? — შეეკითხა სირაჯი, როცა სააკი კარებს უღებდა.

— ბიძა, და ის... — სააკმა თვალი ჩაუბაჭუნა. ბინდის გამო სირაჯმა სააკის თვალის ჩაყვრა ვერ შეამჩნია, და „ნუნუფარ, ნუნუფარს“ ჩურჩულით გა-

სწია სახლისაკენ. სიმამრს ფეხთ გაეხადა, ტახტზე ფეხმორთხმული იჯდა... და აივანზე ჩაისა სვამდა, იქვე მორჩობლთ თვალცეცხლა ქალს ჩერის ნაჭერი ეჭირა, ჩაიდანს სწმენდავდა.

სიძე მიხვდა, რომ ნუნუფარი ეგუნდა ყოფილიყო და განსაკუთრებული ყურადღებით დაუწყო გასინჯვა. ქალის თეთრყირმიზა სახე, ცეცხლოვანი თვალები, საესე გულმკერდი, ბროლის მკლავეები, — ძალიან მოეწონა მდელქნეს და გუნებაში გაივლო — სიმამრს ცუდგემოვნება როდი ჰქონიაო. მდელქნეს მოაგონდა, რომ ეგ ქალი წინადაც ჰყავდა ნახული, მაგრამ ან ყურადღება არ მიმიქცევია ანდა კარგად არ შემიხედაია... ასე იფიქრა.

არტუშმა ბოთლები მიიტანა, საზეიმოდ დაუწყო სიმამრს მაგიდაზე. თან ცალი თვალთ ნუნუფარს უმზერდა.

— ჰა, ჰაპაჯან, როგორა ხარ? — და ჩვეულებისამებრ ხელი მოუთათუნა ბეჭებზე. — ყოჩაღად იყავი, ყოჩაღად... ეს ჩემი დაიყო ვინაა, ჰაპაშა, ასე შახით რომ საქმიანობს? — მდელქნე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, რომელზედაც მალაყელიანი პრიალა ჩექმები ეცვა, და პასუხს არ დაელოდა, განაგრძო: — კარგია, ჰაპაჯან, კარგია, ოჯახია, საქმეა, ერთი ვინმეს ყოლა ცუდი როდია სახლში. მარგვლაა, გამარგვლაა, რამეა... კარგია, — რა გქვიან სახელი, ჩემო დაო?.. ნუნუფარი? კარგი სახელია... — ელაპარაკებოდა სირაჯი და თანაც დაკვირვებით უმზერდა ნუნუფარს.

უტბად მან შენიშნა, რომ ნუნუფარის მიმართ მისი დაყინებით მზერა და სიტყვები მოხუცს არ სიამოვნებდა და საუბრის თემა შესცვალა.

— კარგა ხანია, ავერ ორი კვირა იქნება არ მოვსულვარ, ვთქვი, ჰაპას ეწყინება-მეთქი, წაიდე, მივხედო, გაევიგო როგორ არის, რა ესაქიროება. სხვა, ვაშლი საღდება, თუ არ იყიდება, მუშტარს გამოგიგზავნი.

სირაჯი ლაპარაკობდა გულლიად, წვრილ უღვაშებს ხშირად იგრეხდა, თან ხელით საათის ძეწვეს ათამაშებდა. ნა-

ხევარი საათის განმავლობაში ის ბევრ ახალ ამბავს მოუყვა, და სიტყვა თავის ვაჟობაზეც ჩამოაგდო, აგრეთვე თავის ურთიერთობაზე დაბის წარჩინებულ პირებთან, და როცა წამოიწია წასასვლელად, კიდევ ერთხელ გაუმეგრა გული სიმამრს:

— აბა, ყოჩაღად იყავი, პაპაჯან, მე წავედი, თორემ დუქანში ბიჭი მარტოკაა, კიდევ მოვალ, ნოემსაც გამოვგზავნი, შენ ყოჩაღად იყავი. ღვინო დალიე, არ მოიწყინო.

ხოლო როცა ნუნუფარს ჩაუბრა, — მისკენ დაიხარა:

— აბა, შენ იცი, ჩემო დაო ნუნუფარ, ოჯახზე, საქმეზე თვალი გეჭიროს. პაპა მარტინს კარგი ყურადღება მიაქციე...

— და ქალის სახელის გამეორებით — უღვაშების გრეხით ეტლში ჩაეგდო, და სოფლისაკენ გააქროლა. მაგრამ ამჯერად დუქანში როდი წავიდა, როგორც აქამდე ჰქონდა განზრახული, არამედ სახლისაკენ.

— ნოემ, ბალიდან მოვდივარ, — მისვლისთანავე მიახარა მეუღლეს, — საქმე უკვე მოქაზრდა.

— ესე იგი! — და ნოემი გაფითრდა. — მაგითი რა გინდა თქვა?

— ის, რომ ბებერი შეყვარებულია. ახლა უნდა ვეცადოთ, რომ მოხუცმა ნუნუფარზე ჯვარი არ დაიწეროს, თორემ მართლაც დიდ სირცხვილსა ვჭამთ. ჭორები გავრცელდება და ბოლოს ვინ იცის...

მეუღლის ამ სიტყვებმა თავზარი დასცა ნოემს. ჯერ გაოცდა, თვალები დაჟყიტა, შემდეგ ანახლებულად წამოხტა:

„მე იმ მაწანწალას თმებით ვათრევე“ წამოიძახა მან. მაგრამ მეუღლემ დაამშვიდა, ალიაქოთისა და აყალი-მყაყალის ატეხა ზედმეტიაო. მეზობლები გაიგებენ, და სულ თავი მოგვეჭრებაო. ნოემმა ხმას დაუწია.

— თუ აგრეა, მე იმდენს ვიზამ, რომ იმ მაწანწალამ ფეხი ამოიკვეთოს მამაჩემის სახლში. ისაა თავიდათავი დამნაშავე, თორემ ჩემი ნამუსიანი მამა იმას არავითარ ჩასაცემელს არ მისცემდა. ვინ

იცის რა როსკიბის ერთი! იმას გაგადეგდებ და მამაჩემს სხვანაირად მოსწონს ვუშოვნი.

სირაჯს მოეწონა ცოლის აზრი.

— ნოემ, გენაცვალე შუბლში, ჭკუის კოლოფი ხარ, შენ არასოდეს ასეთი ჭკვიანური არ გითქვამს. ეგ კარგი მოიგონე, — და ვაჟარმა წინ და უკან დაიწყო სიარული ოთახში. — მაგრამ ვაითუ საქმე უკვე მოთავებულა?

— მე მაგ მაწანწალას ვაჩვენებ სერის...

იმტკრებოდა ნოემი და ჰაერში მუშტებს ატრიალებდა. შემდეგ საჩქაროდ წამოდგა და ჩაუცემლად დასთან მოსათათბირებლად გასწია.

დებს ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა არა ჰქონდათ. მართალია, გაბუტულება არ იყენენ, მაგრამ რატომღაც გაურბოდნენ ურთიერთთან სიახლოეს. არც მათ ქმრებს უყვარდათ ერთმანეთი, სირაჯს არ მოსწონდა მუდამ მღუმარე თერძი ვანესი, გუნებას ვერ უწყობდა, ვანესსაც არ სიამოვნებდა მკვებარა და ტრახბახა სირაჯის დანახვა. ვანესი ვერ იტანდა, რომ ქვისლი ცუდი გზით იგებდა ფულს, მისი აზრით ვაჟრობა — მოტყუებაა, ხოლო ღვინით და არყით ვაჟრობა კი ორმაგი მოტყუებაო.

ამასთანავე არც ის სიამოვნებდა, რომ სირაჯი მაღალყელიან პრიალა ჩექმებს ატარებდა, ხშირად ქეიფებს მართავდა. ვანესს აბრაზებდა კიდევაც სირაჯის ჩექმების ჭრაქუნი, მისი ლაპარაკის კილო. ასევე აგდებულად უყურებდა სირაჯი ვანესს, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა თერძზე, მაშინვე ტუჩებს იბზუტებდა, და დასძენდა:

— ვითომ... ისიც კაცია... მთელი ცხოვრება სულ მუცელს ჩასტირის, კაცი კი არა — ტილაა...

მეუღლეების გულგრილობა გულგრილობას ჰბადებდა აგრეთვე დებს შორისაც. ნოემი ახლაც არ წავიდოდა დასთან, მაგრამ საკითხი ორივეს ინტერესს ეხებოდა, ორივეს სახელს და პატიოსნებას, მამის შერცხვენას თავიანთ შერცხვენათ თვლიდა, უნდოდა სერაოზულ-



ად, წესიერად მოლაპარაკებოდნენ მამას, მართალია, მარტოც შეეძლო მოლაპარაკებოდა, მაგრამ ორივეს უკმაყოფილებას სულ სხვა აზრი და გავლენა ექნებოდა, უფრო თამამად გაეპაექრებოდნენ მამას. ანგინიც რომ დაუმატებდა, იმ „მაწანწალას“ შენახვა უხერხულიაო, მამა უფრო მეტად დაირცხვენდა...

ამ ფიქრებით აფორიაქებული ნოემი დასთან მივიდა და შორიდანვე შეჰყვირა:

— ხედავ, მამაჩვენი რაებს აკეთებს?..

ანგინი არაფერს შეეკითხა, და აღელვებული და რომ დანახა, სახტად დარჩა. ნოემმა სხაპასხუთი მიიყარა:

— ვაი სირცხვილო, ვაი სირცხვილო! ეტყობა ეგ კაცო ჩვენიც საქვეყნოდ თავს მოგვეკრის.

— რაო, კიდევ სხვა რამე ხომ არ აჩუქა ნუნუფარს?

— ნეტა მარტო საჩუქრების მიცემით გათავებულაიო საქმე.

და ნოემმა ხმას დაუწია, იფიქრა — კედლებსაც ყური აქვთ გამომბუღლიო. შემდეგ ანგინს მიუახლოვა ტუჩები და ჩუმად გადასცა ქმრის აღმოჩენილი საიდუმლო. ანგინი გაოცებული დარჩა.

— რას ამბობ?.. ხომ არ სცდები, გოგო?.. — ასეთი რამ როგორ იქნება?..

ნოემმა დაუდასტურა, დიახ, ასეა საქმე და ამიტომაც მოვედი, რომ ერთად წავიდეთ მამასთან, სერიოზულად მოველაპარაკოთ, — ასეთი სირცხვილი არ გვაკამოს, ვერჩიოთ, ის ლტოლვილი დედაკაცი მოიშოროს და მის ნაცვლად სხვა მოსამსახურე აიყვანოს.

— აღარ დავაგვიანოთ, ხელავე წავიდეთ, — დაუმატა მან. — მე მარტო წავდოდი, მაგრამ ორივე ერთად რომ მივლთ, მამას მეტი რიდი ექნება...

ანგინმა არ იცოდა რა პასუხი გაეცა, ის გაოცებული იყო და ფიქრობდა, ნოემის სიტყვა რომ ახდეს, — ეგ, რასაკვირველია, ძალიან სამარცხვინოა ჩვენი სახელისათვის, აგრეთვე მამისთვის, მაგრამ როგორ გაებედა მამასთან მისვლა, როგორ გაებედა ასეთი წინადადების მიცემა?!.. ნოემი არწმუნებდა, მისვლა

აუცილებელიაო, თორემ მერე გვიან იქნებაო.

— ამ საქმეს რომ წავუყუროთ, ხმა არ ამოვიღოთ, ხალხი სამარცხვინო ბოძზე გავგვარავს, იტყვიან, მამას არ უპატრონეს, ყურადღება არ მიაქციესო, გესმის თუ არა?...

ნოემის სიტყვები სარწმუნოთ მოეჩვენა ანგინს და დასთანხმდა. — ხეალ ერთად წასულიყვენ მამასთან მოსალაპარაკებლად... დათქვეს ხეალ ისეთ დროს მისულიყვენ ბაღში, როცა მუშტრები ნაკლებად იქნებოდნენ, ან საესებით არ იქნებოდნენ. ამისათვის ყველაზე შესაფერი დრო — დილაო...

საღამოს თერძი ვანესი სახლში დაბრუნდა, მან შენიშნა, ცოლი აღუწილი იყო. ვანესმა გამოკითხა მიზეზი. აპარხლებულმა ცოლმა სინდისის ქენჯნით ყველაფერი უამბო ქმარს, თანაც უთხრა რომ დილაზე მამასთან მიითხოვდნენ მოსალაპარაკებლად, რათა იმ მაწანწალა დედაკაცზე ხელი ააღებინონ და სახლიდან გააგდებინონ. ბოლოს სთხოვა, კარგი იქნება შენც რომ მოელაპარაკებოდეთ მამას.

— კაცია და გუნება, — მიუგო თერძმა. — მე სხვის საქმეში არ ჩავერევი. თქვენ იცით და მამა თქვენმა.

ანგინი გაჩუმდა, შუალამემდის ძილი არ ეკარებოდა. სირცხვილისაგან სახე უხურდა დის სიტყვების გახსენებაზე. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ გათენებისას ძლიერი ქარი ამოვარდა, რომელმაც მთელ სოფელს გადაუარა და მათი სახლის სახურავზე გრიალი გაჰქონდა.

3

აგვისტოს დილა თენდებოდა. ბიძია მარტინი წამოდგა ლოჯინიდან, პირი დაიბანა, პარარა კალათი აიღო და ბაღში ჩავიდა ღამით ხეებიდან ჩამოცვენილი ვაშლების ასაკრფად და წუხანდელა ქარის შემდეგ ვაშლის ხეების დასათვალიერებლად.

იგი ფიქრობდა, წუხელის ისე ბობო-

ქრობდა ქარი, რომ, ალბათ, დიდ ზარალს მიაყენებდაო ბაღს. წყნარი დილა იდგა. წუხანდელი ქარიშხლის კვალიც არ ჩანდა. მზე ჯერ არ იყო ამოსული, მაგრამ სხივებს აღმოსავლეთიდან წითლად შეეღებათ ლაქვარდოვანი ცის თალი.

არგვლივ სიწყნარე სუფევდა, როგორც კვირა დღეობით სჩვევოდა სოფელს. მთელი კვირის განმავლობაში კალოებზე და მინდვრად მომუშავე ხალხი შრომის შემდეგ რამდენიმე საათით ისვენებდა.

ამ სიმშვიდეში ნათლად ისმოდა ტოროლების მზიარული წკრიალი და მერცხლების ქლურტული. ტყე ისევ ჯერაც სთვლემდა, ბაღში — ხეები თუ ბალახები ნამით იყო შეფეთილი. ძირს დაცვინულ ვაშლებსაც ოფლივით მოსდებოდა რთვილი.

ბიძია მარტინმა შემოიარა ბაღი, ყველა ხე დაათვალიერა, მაგრამ მისი ფიქრი არ გამართლდა: ხეების ქვეშ ძალიან ცოტა ვაშლი ეყარა, მცენარეებიც უვნებლად გამოიყურებოდნენ. მოხუცი დამშვიდდა, რომ ბაღი დაზარალებული არ იყო... ეტყობოდა ქარიშხალს ზევით გადაეველო.

ბიძია მარტინმა სააკის ქონისკენ გასწია. სააკს ტახტზე ეძინა და ძილში იქექებოდა. შორიანლო დაბმულმა ძაღლმა ასლანმა, პატრონის დანახვაზე, კუდის ჭიკინი დაიწყო, გაეხარდა პატრონის დანახვა, არ ვიცი, ერთგულებას უმქდავენებდა თუ სალაფავს სთხოვდა! ბიძია მარტინმა იფიქრა, ძაღლი, მოფერებას თხოვლობსო და მივიდა, მიუაღერსა, თავზე ხელი გადაუსვა. ასლანი სიხარულისაგან აწკმუტუნდა, კბილები დააკრაკუნა და ჩაცუცქდა იმის მოლოდინით, რომ სააკი ან პატრონი მას და მის ამხანაგებს მალე სალაფავს მისცემდა.

ბიძია მარტინს სააკის გაღვიძება არა სურდა, — ცოდოა, დაე იძინოსო, და ის იყო უნდა გამობრუნებულყო, რომ თვალის შეავლო დამწიფებულ ყოლოს.

„ცოტას მოვკრეფ, წავუღებ ნუნუ-

ფარს;“ გაიფიქრა ბიძია მარტინმა, და ლელვის ფოთლები მოგლოჯა, კალათას ძირში ჩაუგო, რამდენიმე პეშვი ყოლოს მოკრიფა და ნუნუფარს წაუღო.

— ნუნუფარ, აპა, აიღე, რა მწიფე ყოლო მოგიტანე, — და მარტინმა კალათა გვერდით დაუდგა ნუნუფარს, რომელიც ამ დროს სამოვარში წყალს ასხამდა.

ბიძია მარტინმა ხელები დაიბანა, საკვირაო ტანსაცმელი ჩაიცვა — წმინდა შალის ახალუხი, ვანესის შეკერილი, და კრიალოსნით ხელში, დინჯი ნაბიჯებით გასწია ფუტკრის სკვებისაკენ, ვიღრე ნუნუფარი ჩაის გააწყობდა. ჩაის შემდეგ ვაშლის მყიდველები უნდა მოსულიყვნენ.

ბიძია მარტინს არასოდეს ისე კარგად არ უგრძენია თავი, როგორც დღეს. ერთი წლის წინად, როცა ცოლი საბედი გარდაიცვალა, მარტინს ეგონა, მთელი ცხოვრება აეწიწებოდა, მისი სიცოცხლე ყოველგვარ აზრს დაკარგავდა, არაფერს გემო აღარ ექნებოდა, ყველაფერი თვალწინ დაედუბებოდა, მაგრამ ახლა, ნუნუფარი რომ სახლში ტრიალებდა, მის თვალში თანდათან ყველაფერი ისევ წესრიგში მოდიოდა, წინანდელ მოუსვენრობას აღარა გრძნობდა, გული დაუშვიდდა და დღეს იმასაც კი ნატრობდა, რომ არავის დაერღვია მისი ცხოვრების მყუდროება. დღეს მას სურდა დაესვენა ისე, როგორც ყველა ადამიანი ისვენებს კვირა-უქმე დღეს. წარმოიდგინეთ „კალოზე ხარცი კი ისვენებსო, — გაიფიქრა მან, — ჩვენ კი მუდამ ვაწამაწიაში ვართ, მოკრიფე, შეაგროვე, აწონე, იანგარიშე“...

ბიძია მარტინი, მართალი რომ ეთქვათ, ვეჭრობა-მოგებით არც ისე იყო გატაცებული, მას უფრო თავისი ბაღის ბედობალი აინტერესებდა, მისი მრავალფეროვანი სიცოცხლე აღრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე.

ბიძია მარტინი მშობელსავით თავს დასტრიალებდა თვითველ ხეს. ბუნჯს, თვალს აღვიწებდა კვირტიანობას, ყვავილობას, პირველი მარცვლების გამო-



სმას, ქინძისთავის ოდენა წაყოფს, რომელიც თანდათანობით მუქის ოდენა ხდებოდა. მან ისე კარგად იცოდა ყოველი ხის ბიოგრაფია, როგორც მამამ—თავისი შვილებისა, მცენარეების პირველი დაყვავილება მოხუცს ისევე ჰგვირდია უსაზღვრო სიხარულსა, როგორც მშობლებს — შვილის ქორწინება, ხის დააყვადება გულსა სტყენდა მოხუცს. მთელი დღე მზრუნველობას არ აკლებდა, ავადმყოფ ხეს გამოცდილი ექიმით მკურნალობდა. მცენარის დასახიჩრება ხომ, ან დასეტყვა სულსა და გულს უფორიაქებდა. განსაკუთრებული ყურადღებებით ეპყრობოდა ნამყენებს, ხშირად გაიგონებდით ბიძია მარტინის ხმას:

— „სააკ, სააკ, მოდი ნახე ნამყენებს როგორ გაუხარიათ!..“ — და ღიმილი ეფინებოდა სახეზე. თუ სააკი იქ არ იყო, ცოლს საბედის მოუხმობდა ხოლმე და მხიარულად ეტყოდა:

„საბედ ქალო, საბედ, მოდი, ერთი ნახე ნამყენებს როგორ გაუხარიათ“.

ბიძია მარტინი, ერთმა ცდამ, რომლის ირგვლივ მთელი სოფელი ალაპარაკდა, ძალიან გაახარა. ერთ-ერთ ხანდაზმულ ვაშლზე ოთხნაირი ნერგი დაამყნო, ოთხივემ იხარა და სხვადასხვა წაყოფი მოიხსა.

ეს მარტინის დიდი სიხარული და გამარჯვება იყო, ხოლო გლეხებისათვის კი სასწაულომოქმედება, — ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდა ამ ხის სანახავად, და მარტინი ძიას მდაბლად აძლევდა სალამს...

ამრიგად, ბიძია მარტინი მარტო მეზაღე კი არ იყო, ხე შეენახა სარგებლობის მიზნით, არამედ მცენარეთა დიდი მეგობარი, მას ეს საქმე უყვარდა, მცენარეთა მოვლა-პატრონობაში უდიდეს სიამოვნებასა გრძნობდა.

მარტო ხეებს კი არა, — ბუჩქებსაც სათანადო მზრუნველობას უწევდა ბიძია მარტინი. ვალანის გასწვრივ ყველგან დარგული ჰქონდა მაცვლის, ყოლოს, ფშატის და სხვა მცენარეების ნერგები, სახლის ირგვლივ კი ყვავილნარი. ქარი-შხლის ან ყინვის დროს მარტინის

თვალს ძილი არ ეკარებოდა თავის „შვილობილებზე“ ფიქრისაგან.

ბალის შემოვლის შემდეგ ის იყო სახლში ბრუნდებოდა, უცებ ჭიშკარზე დააბრაზუნეს. მარტინი ბიძა შეჩერდა, მოწყურული თვალით გაიხედა, ამ სისხან დილით ვინ უნდა იყოსო. კარების გასაღებად სააკისათვის უნდოდა დაეძახა, მაგრამ მოაგონდა, რომ მას ეძინა და კრიალისნის მარცვლით თითონ გასწია.

კარები გააღო თუ არა, თვალწინ აეტუნუნე ქალიშვილები — ნოემი და ანგინი. ორივეს სერიოზული გამომეტყველება ჰქონდათ და აღელვებულნი იყვნენ.

მარტინისათვის სრულიად მოულოდნელი იყო ქალიშვილების ასე ადრინად მოსვლა, ეუცნაურა მათი აღელვებული გამომეტყველება — ნეტავი რა შია საქმე?!.. შვილებმა შეატყეს შეცბუნება და მოუგეს:

— ადრე მოვედით, მამა, შენთან მოსალაპარაკებელი გვაქვს. არ გვინდა სხვები დაესწრონ ჩვენს საუბარს. — წაილაპარაკა პირველად ნოემმა. — იქით წავიდეთ, — სახლის უკან, ბალის სიღრმეში.

— რა ამბავია, რა მოხდა? — მოუთმენლად შეეკითხა მოხუცი, იფიქრა, ალბათ, რომელიმე სიძეს რაიმე უბედურება შეემთხვაო.

— არა, არაფერი მომხდარა, — განაგრძო ნოემმა, სერიოზულ კილოზე, — ჩვენ მოვედით მაგ მაწანწალას საქმის გამო...

მაგრამ მამამ აღარ დაამთავრებინა წინადადება. იგი ადგილზე შეირხა და ხშირი წარბები შეიჭმუნხა.

— რაო?... — ყრუდ აღმოხდა მოხუცს უცნაური ხმა და ამ კითხვაში მკვეთრად გაისმა შეკავებული სიბრაზე. ნოემიც, როგორც წესია, გასწორდა, აიფოფრა და ტუჩები მოკუმა, დაეტყო მამამისის შვილობა.

— შენ ჯერ არაფერი გაგივია, — ნუ ბრაზობ, მამა, ჯერ გვათქმევი და მერე.

— სთქვი.

— ჩვენ ქალები, შენი ღვიძლი შეი-
ლები ვართ, არა? შენი სახელი და პა-
ტიოსნება ჩვენიცაა, არა?

— რაც სათქმელი გაქვს, ისა სთქვი
და მორჩი. — შეაწყვეტინა მამამ.

— ეთქვა? — და ნოემმა დონეჯი შე-
მოიღვა, ღრმად ამოისუნთქა, თავის დას
ანგინს გადახედა, თითქოს იმისგან დახ-
მარებას თხოულობსო, და დაიწყო:

— ეგ მაწანწალა დედაკაცი სახლში
რად დაისვი?

მამამ გადაუბღვირა ნოემს, ვერ ამო-
ეცნო სიძულვილი ალაპარაკებდა ქალს
თუ თავხედობა, მაგრამ ნოემი მამის
მრისხანე თვალებმა ვერ დააბნია.

— ხალხი ათას რამეს ლაპარაკობს,
შენ შორსა ხარ, არაფერი გესმის... ისეთ
რამეებს როშავენ, რომ ადამიანი სირ-
ცხვილისაგან დაიწვება...

— ისეთ რამეებს, — ვერ მოითმინა,
გამოაჯავრა მამამ და ქალი აათვალერ-
ჩათვალერა. — რას როშავენ?.. — და
ნოემის ნაცვლად ანგინს მიმართა: — შენ
მითხარი, ხალხი „რას ამბობს?..“

ანგინი აწითლდა.

— რა ვიცი. ნოემმა თქვას. — დუმე-
ლი არჩია ანგინმა.

ნოემმა არ დააყოვნა და დაიწყო იჭი-
დან, რომ მამის სახელისა და პატიოსნე-
ბისათვის შეუფერებელი იყო მაწანწალა
დედაკაცის შენახვა ოჯახში, რომ ნუნუ-
ფარი განთქმული ქურდია, ის მამის ქო-
ნებას ისე მოიპარავს, რომ მამა ვერა-
ფერს მიხედება, და ერთ მშვენიერ დღე-
საც სახლი მთლად გამოცარიელებული
დაუხვდებოდა მოხუცს.

— უფრო ცუდ რამეებსაც ამბობენ,
— განაგრძო ნოემმა. — ბოზის ერთიას.
ასე არ არის, ანგინ?

ანგინს სიწითლემ გადაჰკრა სახეზე
და თავი დახარა, მას რცხვენოდა, მამას
პირდაპირ ვერ უყურებდა.

ბიძია მარტინი ჯერ ცალი ყურით
უსმენდა, მისდა უნებლიეთ, მერმე დაი-
წყო შიგადაშიგ ბღვერა, ხოლო ნოემის
სიტყვების შემდეგ ველარ მოითმინა და
გაცეცხლებულმა ჰკითხა:

— ეგ იყო თქვენი სათქმელი?

და მამის ხმაში ქალებმა იგრძნეს თავ-
შეკავებული სიბრაზე. მარტინი

— ყველაზე საძრახისი ის არის, — ისა,
— გაცეცხლდა ნოემიც, თითქოს მამი-
საგან გადაედო სიბრაზე, — რომ ეგ ქა-
ლი როსკიპია, ვის სახლში არ დაეთრევა,
ვისთან არ უღამდება, ხალხი რას
იტყვის?..

— ხალხი, — შეაწყვეტინა სიტყვა
ქალს მამამ. — ამ საქმეში ხალხს რა ხე-
ლი აქვს?

— როგორ თუ რა ხელი აქვს! ეგ
ჩვენც ჩირქსა გვცხებს, ჩვენც ხომ აქ
ვცხოვრობთ. დედაჩვენის ტანისამოსს
რომ აცმევ, ვინც დაინახავს რას იტყვის?

— თქვენ რა, თქვენთვისა ფიქრობთ?
ეგ არც თქვენი საქმეა და არც ხალხის.
ქალია, მეხმარება, ტანისამოსს მირეც-
ხავს, სადილს მიკეთებს, ოჯახში საქმეს
აკეთებს. ვის რა ესაქმება, — წარბები
შეიკრა მოხუცმა. — თუ სურვილი მექ-
ნა, ჯვარსაც დავიწერ — რა თქვენი სა-
ქმეა...

ნოემმა და ანგინმა ერთმანეთს გადა-
ხედეს, გაფითრდნენ. ნოემს კი ზემოთა
ტუჩი აუთრთოლდა.

— ასეთი ამბავი გაგონილა! — ტაში
შემოჰკრა ნოემმა. — სათნოებით საესე
დედაჩემის ადგილზე ეს ვიგინდარა მა-
წანწალა დედაკაცი უნდა მოიყვანოს! ეს
რა მესმის, ცხადია თუ სიზმარი, მამაჩე-
მო! მაშ შენ გინდა შენი სახელიც და
დედაჩემის ძვირფასი ხსოვნაც მიწას-
თან გაასწორო? ასეთი საქმე თუ ჩაიდი-
ნე, ფეხს აღარ დავადგამთ ამ ოჯახში.

მამამ რაღაც წაიფრუტუნა და გვერ-
დზე გაიხედა.

— ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე
ვარ და არა თქვენ, როგორც მინდა, ისე
მოვიქცევი.

— კი მაგრამ, ლტოლვილთან დაქორ-
წინება?..

— მე ხომ არ ვერვინ თქვენ ოჯახურ
საქმეებში.

ბიძია მარტინმა ისეთი მრისხანე გა-
მომეტყველება მიიღო და ისე მტკიცედ
თქვა ეს სიტყვები, რომ ქალებს ფერ-
ფერი წაუვიდათ, ნოემმა წინსაფრის კა-

ლთა აიღარა თვალეზზე და აქვითინდა. ასევე მოიქცა ანგინიც. მაგრამ მამამ არავითარი ყურადღება არ მიჰქცია მათ ცრემლებს, წამოდგა და კრიალოსნის ჩხარუნით განშორდა ქალებს, გაბრაზებული, ოდნავ წელში მოხრილი. უღვაშების ცმატუნით ბიძია მარტინმა სკები-სკენ გასწია, სადილობამდის იქ დაჰყო, სკებს გარშემო ბალახ-ბულახებს აშორებდა და თანაც თავისთვის რაღაცას ზეტბუტებდა.

ღარაჯ სააკას მამა-შვილების ცხარე პაექრობისათვის თურმე ყური მოეკრა, მაგრამ ვერაფერი გაეგო. ქალები რომ ქვითინით გაბრუნდნენ, ხოლო გაბრაზებული ბიძია მარტინი სკებისაკენ წავიდა. გულმა აღარ მოუთმინა და რაც კი ძალღონე შესწევდა, ფაცაფუციით ნუნუფარისაკენ გაიქცა ამბის გასაგებად, მაგრამ ნუნუფარიც შეწუხებული დაუხვდა: მასაც გაეგო ბიძია მარტინის ქალებთან ჩხუბის ამბავი და არანაკლებ აინტერესებდა მიზეზის ვაგებჯ.

ბიძია მარტინს ვერ უბედავდა შეკითხვას, უხერხულად გრძნობდა თავს. ქალების წასვლის შემდეგ, მზე კარგა იყო ამოსული, როცა მოვიდნენ ვაშლის მუშტრები. ბიძია მარტინმა სააკს დაუძახა და უბრძანა — მუშტრები გაეფრთხილებინა ხვალ მოსულიყვნენ, დღეს ვაშლს არა ვყიდით.

ეს უჩვეულო განქარგულება სააკს უცნაურად მოეჩვენა, მაგრამ ვერ გაბედა მიზეზი ეკითხა და პატრონის ბრძანებას ზუსტად ასრულებდა: ვინც ამ დღეს ვაშლის საყიდლად მოდიოდა, კიშკრიდანვე გასძახოდა:

— დღეს ვაშლი არ მოგვიკრეფია, ხვალ მოდით.

ბიძია მარტინს შორიდან ესმოდა ეს სიტყვები, სკების წინ დახოცილ ფურტკრებსა ჰყრიდა, ან ბალახებს და ყვავილებს ფურჩქნიდა.

ნამდვილად კი თითონაც არ იცოდა, ამ ამარ საქმეს რისთვის აკეთებდა, აღელვებული იყო, არ უნდოდა სააკს და ნუნუფარს გაეგოთ მისი სულიერი მღეღვარება და გულს აყოლებდა, მაგრამ

ბრაზი როდი უნელდებოდა, არამედ უფროდაუფრო ერეოდა, წუნასწორთბას აკარგვინებდა.

„რა უნდათ ჩემგან? არ უნდათ, რომ ვიცხოვრო?! ჰმ, დედის ტანსაცმელი.. თითქოს მათი ნაყიდი იყოს ეგ ტანსაცმელი!“ — ფიქრობდა იგი და გუნებაში თავის თავს ელაპარაკებოდა, ხანდახან საქმეს მიანებებდა და წელში ოდნავ მოხრილი ეს მაღალი კაცი ხეებსქვეშ მიდი-მოდიოდა.

მცირე ხნის შემდეგ სააკი ისევ მივიდა მარტინთან.

— ვაშლის მყიდველები კიდევ მოვლდნენ, ბიძა. არ მიდიან. შენ გკითხულობენ...

ბიძამ ხელი ჩაიქნია.

— წადი, თუ შეგიძლიან მიჰყიდე.

სააკამ ახლაც ვერ გაუბედა მარტინს გამოეკითხა რატომ იყო ცულ გუნებაზე, გაიფიქრა, ამის მიზეზი ალბათ შვილები არიანო, ასე დილაადრიანად რომ თავს დაესხნენო მამას, და წავიდა „მუშტრების“ გასასტუმრებლად. ნუნუფარმა დაინახა, სააკი მარტო წვალობდა სასწოროთა და მისაშველებლად მიიბრძინა.

სააკი დახარისხებულ ვაშლს, რომელიც გულში მოეკრიფათ მოხუცებულ ქალებს, გოდრებით წონიდა და მუშტრებს ისტუმრებდა. როგორც ყოველ კვირაობით, ამ დღესაც ბევრი მუშტარი მოვიდა, ზოგი ფულად ყიდულობდა, ზოგიც ნატურით — ხორბალს იძლეოდა. როცა სადილობისას მუშტარი გაისტუმრეს, ნუნუფარი მზიარულად დაბრუნდა სახლში.

— თორმეტი ფუთი გავყიდეთ, — მიახარა ბიძია მარტინს, რომელიც დაღლილ-დაქანცული ჩაფიქრებული იჯდა აივანზე.

მოხუცმა არაფერი უპასუხა, თითქოს ვერ გაეგო, მხოლოდ ამოიხარა და კრიალოსანი მუხლზე დაირტყა.

ნუნუფარმაც გაიფიქრა — ბიძია მარტინის უგუნებობა მისი ქალების ბრალიაო, ფეხაკრეფით მიუახლოვდა და შესჩივლა:

— მე შენი უფროსი ქალისა ძალიან

მეშინიან, — აკანკალებული ხმით ისე უთხრა ნუნუფარმა, თითქოს შველას სთხოვსო, — დღეს ისეთი ბოროტი თვალებით შემომხედა... ისეთი...

— შემოგხედა?.. — მწარე დაცინვით გაიმეორა მარტინმა და განზე გაიხედა. — მერე, შეგეშინდა?.. რამდენიც უნდა გიყუროს. — უცბად ხმას აუწია მოხუცმა, მუხლებზე ხელი დაირტყა და ზეზე წამოდგა, — შემოგხედა... იმას რა ეკითხება აქა? ის თავის ქმრის ცოლია და არა ჩემი ოჯახის ბატონ-პატრონი. იმას აქ არაფერი ესაქმება. შემოგხედა!.. დიდი ამბავი, შემოგხედა...

ბიძია მარტინმა ისეთი აღლევებით დაიწყო ლაპარაკი, რომ ნუნუფარს შეეშინდა, საჩქაროდ მოშორდა, ოთახში შევიდა და თავისთავს უსაყვედურა — მერად გავხდით მოხუცის გაბრაზებისა მიზეზი?! მოხუცს კვლავ მოაგონდა ქალების უწყესო და წინდაუხედავი ლაპარაკი, უკვირდა მათი გამბედაობა, და თანდათან რწმუნდებოდა, რომ ქალებს არ უყვარდათ.

„უნდათ მარტოკა დავრჩე, მათი ხელის შემხედვარი“. მას მეტადრე ის აბოროტებდა, რომ ბავშვად სთელიდნენ, რალაც რჩევა-დარიგებას აძლევდნენ როგორ უნდა მოქცეულიყო... იგონებდა, ქალები როგორი გაბარებულნი იყვნენ, როცა ნუნუფარი ოჯახურ საქმეებს აკეთებდა, საქმელს უხარშავდა, ზოგჯერ ისინი ასწავლიდნენ კიდევ როგორი საქმელი გაეკეთებინა, იმასაც ეუბნებოდნენ, — სად რა იყო, რა სჭირდებოდა და სხვა. „ახლა რა მოხდა?.. დედის ტანსაცმელი მიუციაო, — ამისათვის არიან გაცოფებული და ბოხს ეძახიან!.. ამბობენ ქურდიაო, როსკიპიაო... ამას ჩაადგენს, იმას... თითქოს მე ადამიანს არ ვცნობდე... ქურდს, როსკიპს — თვალბში შეეტყობა... საწყალი დედაკაცია, მეტი არაფერი. ამბობენ, ლტოლ-

ვილიაო... თითქოს ლტოლვილი ადამიანი არ იყოს! ჩვენ აქ მომსვლელსმარა ვართო!..“

ბიძია მარტინი გაოცებული იყო და ვერაფრით აეხსნა, საიდან შესწევდათ ქალებს ამდენი გამბედაობა, როგორ ჰკადრეს ამგვარი ლაპარაკი. „რად არიან ასე აწრიალებულნი? ღობე-ყორეს რად ედებინან?..“ „ჩვენ აქ მომსვლელი არა ვართო...“ უფრო კარგი. ერთი დამიხედეთ!.. უთქვენოთ მიცხოვრია, კვლავაც ვიცხოვრებ... შეგიძლიანთ სულ არ მოხვიდეთ...“

მაგრამ სალამო ეამს, ჯერაც ლამპები არ აენთოთ, როცა უფროსი სიძე ეტლით მოგრიალდა, ბადის კედელთან შეჩერდა, რალაც სიმღერა დაუსტენა, და მერმე თავისი გრძელ-ყელიანი ჩექმების ბაკუნით მიუახლოვდა მოხუცს:

— სალამო მშვიდობისა, პაპაშა, გამარჯობა, ჩემო დაო ნუნუფარ, — მიესალმა აივანზე მაგიდასთან მჯდომ ბიძია მარტინს და თავი დაუქრა ნუნუფარს, რომელიც აქაფქაფებულ ჩაიდანთან ჩაის უსხამდა მოხუცს. — როგორა ხარ, პაპაჯან, — განაგრძო მან ხმამაღლა, თითქოს ყრუს ელაპარაკებო, რაც მოხუცს საესებით არ სიამოვნებდა. — გავიგე დღეს შენ ქალებს შენთვის რალაც სისულელეები უთქვამთ — უწყენინებთ.

ჩემმა მზემ, ძალიან გავბრაზდი. შენ მათ ნათქვამს ყურადღებას ნუ მიაქცევ, პაპაჯან! ხომ გავიგია, ქალი თმა გრძელი და ქეუა მოკლეაო. იმათ რა უფლება აქვთ შენ საქმეში ცხვირს რომ ყოფენ? იცი, რო გავიგე — ძალიან გავბრაზდი, ძალიან. ვთქვი — წავიდე-მეთქი პაპასთან, დავამშვიდო, თუ სწყენია-მეთქი. ეპ, პაპაჯან, ყველა კაცმა რო თავის საქმეს უგდოს ყური, — ქვეყნის საქმე მუდამ აღჩუს იქნება. მე რომ პრისტავისან მამასახლისის საქმეებში ჩავერიო, ისინი ჩემსაში, რა გამოვა? დომხალივით აირ-დაირევა ყველაფერი.

თარგმნა კონსტანტინე ვანსახურდიამ ი. და ბ. ლავითინაშვილის მწკარედის მიხედვით.



ლინა ზუბინსკი

ჩვენ კომუნისტები ვართ!...

ელექტროსადგურების მშენებლები ის ადამიანები არიან, რომლებმაც თავისი გმირული შრომით სინამდვილედ აქციეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ანდერძი.

ნ. ს. ხრუშჩოვი

თრიალეთის დათოვლილი კალთების ახლოს სოფელ ფიჭვების-ხევში მგვირაბზეთა პარტიული კრება მიმდინარეობდა. ასაკით ყველაზე უფროსი და ოსტატობით პირველი, შალა-შალაო, ხართოშუბლიანი ირაკლი ობოლაძე ლაპარაკობდა კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის შესახებ.

ირაკლის, ეტყობა, გულში ღრმად ჩაჯდომოდა და ზეპირად იმეორებდა პროგრამის ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ დებულებას:

„კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ძირითად ამოცანებს რომ განსაზღვრავს, პარტია ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის გენიალური ფორმულით: „კომუნისმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლენ მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“.

და შემდეგ ისევ ზეპირად და ისევ ზუსტად: „ელექტროფიკაცია, რომელიც კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის მშენებლობის ღერძს წარმოადგენს, წამყვან როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, მთელი თანამედროვე ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფაში, ამიტომ საჭიროა უზრუნველყოთ ელექტროენერჯიის წარმოების წინგამსწრები ტემპები“.

შემდეგ მგვირაბები თავიანთი მშენებლობის საქმეზე გადავიდნენ. ილაპარაკეს იმაზე, რომ შათი ჰიდროელექტროსადგური — ხრაპი-2 დაწყებულია პარტიის მე-20 ყრილობის ნებასურვილით და იგი პირველი ჰესი იქნება საქართველოში, ამუშავებული ახალი პროგრამის მიღების შემდეგ.

მე ვიკვირე აფეთქებისაგან წამოქცეულ მუხაზე და ყურს ვუვადებდი, თუ რას ლაპარაკობდნენ ადამიანები, რომელთა ყოველდღიური შრომა აოცებს მძლავრ ცივ ნაკადს და აიძულებს მას შეუფერხებლად აბრუნოს ელექტროსადგურის ტურბინები. ვამახსენდა, თუ როგორ ჩასწვრა ლენინმა თავისი ხელით საბჭოების მერვე ყრილობის რეზოლუციაში, დაუვიწყარი სიტყვები იმ მუშების შესახებ, რომლებიც ელექტროფიკაციის გეგმას განახორციელებენ.

ერთი ასეთი მუშათაგანი იღვა ჩემს წინაშე: ირაკლი ობოლაძე! ყველა მნიშვნელოვანი ელექტროსადგურის მშენებლობის მონაწილე სურამის უღელტეხილის აღმოსავლეთით და დასავლეთით.

1.

1929 წლის შემოდგომაზე წითელარმიელები მშობლიურ ვერას უბრუნდებოდნენ. ბინდ-პუნდში მატარებელი სადგურ რიონში გაჩერდა. ცოტახანს შეისვენა და განაგრძო გზა თბილისისაკენ. სადგურზე დარჩა ოცეულის უფროსის თანამეშვე, არტილერისტი ირაკლი ობოლაძე, ორი წელი იმსახურა სამთო ქვემეხთა დივიზიონში. თვითონ ტყიბულელი მუშაბტვა, უბრალო ბიოგრაფია აქვს. მშობლებზეც ბევრს ვერაფერს გეტყვით. ორივე აღრე გარდაეცვალა. ხუთი ობოლი ოთხმოცი წლის ბაბუა დიმიტრის საზრუნავი დარჩა.

როგორც კი წამოიზარდა ირაკლი, ბაბუამ მწყემსად მიიბარა. ჯერ ცხრა წლისაც არ იყო

შივი და უკვე მოგამავირის ჰაზანს ეწეოდა. ჯერ მშობლურ სოფელ ხრესილში, შემდეგ კი მებობლად — ახალდაბაში, სორმონში, ტუიბულში.

1917 წელს თორმეტი წლის ირაკლი მალაროში ჩავიდა. დღემდე ახსოვს: კალთა ჯერ ნელა წაიღია ქვემოთ, მერე ისე ჩქარა, რომ ბიჭს მოეჩვენა, კალთი, რომელშიც იგი იჯდა, ეს-ესაა ჩავარდებოდა. თვალთ დაუბნებდა, ტანში გრუნტებოდა დაუარა.

მაღე შეეჩვია ყველაფერს ისევე, როგორც მისი უფროსი ძმა ესტატე და ბიძია ვასილი. სოფელ ხრესილიდან, სხვათაშორის, ბევრი ცნობილი მემალარო-მწერტეელი და გვირაბგამყვანი გამოვიდა.

შემდეგი ათი წელი — არმიაში გაწვევამდე — ირაკლი ტუიბულში მუშაობდა — ძველ მალაროში... შემდეგ სტალინის სახელობის ახალ მალაროში, კომკავშირის რიგებში ირაკლი მენშევიტების დროს შევიდა.

ახლა, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ოცულის მეთოულის თანაშემწე — ირაკლი ობოლამე შინ ბრუნდებოდა ტუიბულში. ხარბდ ისუნთქავდა ჰაერს, იმედი ჰქონდა, იგრძნობდა ნახშირის სუნს.

— რატომ არ გვესალმები, ჰაბუყო? — შემოესმა ირაკლის ნაცნობი ხმა. იცნო და გაეშურა ბრგე მამაკაცისკენ, რომელსაც ბრუნდენტის საწყემარი და რეზინის ჩექმები ეცა... —

უკეთეს შეხედრახზე ვერც კი იოცნებებდა კაცი. ირაკლის წინ იდგა მისი ყოფილი მალაროს ყველაზე მთავარი გვირაბგამყვანი, ინჟინერი თეიმურაზ ნემსაძე. თავაზიანი, მხიარული, აღამაზის სული და გული.

ბუდუტში, როცა ერთ ბოთლ იმერულ ლეინოს მოუსხდნენ და საუბრობდნენ, ნემსაძე შეეკითხა:

ესე იგი, სამსახური მოიხადე ზომ? ახლა შინ ბრუნდები?

- დიას, ჩენს მალაროში.
- მე ექ აღარ ვმუშაობ. — განუცხადა ნემსაძემ. შენიშნა, როგორ მოედრებოდა სახე ირაკლის და საჩქაროდ დაუმატა.
- შენც გირჩევ, დარჩე რიონში. გაზეთებში გამოცხადებულა — შრომისა და თავდაცვის საბჭომ სერო ჩენი რიონის ჰიდროელტრალი განსაკუთრებულ დამტკიცებულ საკავშირო მშენებლობადა დაფიქრდი, შეგობარო.
- როგორი სამუშაოა?
- ზენებური, მალაროელებს! გვირაბებში ვასაფვანი, გვირაბებში წყალს ვაღმეებენ ტურბინებისაკენ, ხოლო მდინარეს კი — სულ სხვა ზეობაში...
- ნემსაძეს არც კი დაემთავრებინა სათქმელი, შუბლზე ხელი შემოიკრა.
- აღბათ, ვებრდები. ახლა მომავონდა, შენ

ხომ მალაროელთა მიერ გავზავნიდი დღე-გატი ივაგი. იყენხიდი, სადგურის საბირკველის ჩაურისას კალინინის გვერდით ვიღებდი. ირაკლი განჯავძო:

— მიხეილ ივანეს-ძემ გადაკაიწია ლტოჯი ხალათის სახეოები და სამჯერ ზედხედ დააკირა ხელი ლილს. იმწამსვე იგრიოლა! გდამ მხარე კვამლში გაეხვია. როდესაც ცოტათი გაღიწმინდა, დაეინახე გადაბრუნებული და დაფანტული ჰქვის ლოდები. მთის ძირში — ნაპირალი... კალინინს კეპა კეფაზე მოეგდო, წვერზე ხელს ესვამდა და სიტყვას ამბობდა.

ირაკლის არამეუღლებრივი მესხიერება აქვს. იგი ყველაფერს ზუსტად გადმოგეკვთ.

... შეგობრებს ბევრი ჰქონდათ სალაპარაკო. ორი წელი მიინც საყმაო დროა. ასე რომ თენგზ ნემსაძემ იმ ლამეს ირაკლი მუშათა ბარაყის სამეუთხა ოთახში დატოვა.

ას-ის იყო დაწვენენ, რომ თანჯარაზე ვილაცამ მოაკაენა:

— განგამია! მდინარეს მიაქვს ზღუდარი... ირაკლის დააიწყდა, რომ იგი მხოლოდ სტუმარი იყო. სხვებთან ერთად ნაპირისაკენ გაიქცა, ღონიერი ვაყაეცო მამინევე ქვების საზიდავად გაგზავნეს უორტე.

სახელათო მდგომარეობა უფრო გართულდა. არამეუღლებრივად აღიდებულმა რიონმა უცარი სიმამართ შეეტია ჯებირს. მღერი თეთრ-ფაფრიაანი ტალღები ბრუნავდა ველურ მორტეად. მდინარის სათავესთან განლაგებული ჰიდრომეტრული პუნქტები წყლის შეუწყვეტელ მომატებას იუწყებოდნენ. მორიგე შეთავალთვალ ჩახლეჩილი ხმით ხრიალებდა ტელეფონში ალპანდიან:

— წყალი მოდიდდა! ყველაფერი დაფარა! თავს უშველეთ!

ჯებირზე ჯოჯოხეთური ხმაური იყო, მოხალისე მუშებსა და ინჟინრებს ბრძანებას აძლევდა მშენებლობის ახალი უფროსი ელადიმერ ჯიქია.

მან ბრწყინვალედ დამთავრა პეტროგრადის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, და მამინევე, იატაკვეშა ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით, ფრანტზე წაიდა. რევილტციის დროს ჯიქია იყო პეტროგრადის ციხე-სიმაგრის კომენდანტის თანაშემწე და იცავდა ლენინს... კურსანტების ბრიგადით აიღო კომსტადტი. შემდეგ კი წითელი არმიის მთავარ სამმართველოდან სეირსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე გადავიდა, იყო აკადემიკოს გრატეიოს მოადგილე. ერთ დღეს ჯიქია სერგო ორჯონიქიძემ გამოიძახა. — გთხოვ ხელი მოჰკიდო რიონს, — უთხრა მან, — როცა ვაგიტირდეს, შე დამირეკე. რაც შემოძლია, დაგეხმარები. თავად იგი, ჯერჯერობით ღირებულად ეცხოვრობო...



...განთიადისას ღეროთაფი წამოვიდა. მითიდან ქარმა დაუბერა. რიონის მხარდაჭერით გამსწვებული, ზედ გადავლო, დასძრა ქვები. ზემო კუბირი შეირყა, ერთმანს გაქვავდა და შემდეგ ჩამავდა შავ, აღრიალებულ, სამიშ მდინარეში. თითქოს კრუნჩხვებით ამოხუტა, შეარხა მეორე კუბირი და ისიც ასევე უკვადლოდ გაქრა ტალღებში... დანარჩენები გადაარჩენ. აღამიანებმა მიანიც დაიცივეს რაბი — მრავალი თევების ნაშრომი.

თითქმის ერთი დღედაღამე იმუშავეს. დაღლილ, დასვენებულნი, სახეზე და ზედალზე სისხლიანი ნაწილებებით ირავი კვლავ შეხვდა ინჯინერ ნეშაძეს. დრო იყო გადაწყვეტილების მიღებისა.

ახალგაზრდა კაცი, — ფიქრობდა თეიმურაზი, — შესაძლოა არც უნდა ელტვოდეს ამ ხიფათში ჩაბმასა და წამების, როდესაც მას შესანიშნავი სპეციალობა აქვს, შეუძლია ყარგი ხელფასი მიიღოს, პარტი და დიდება მოიპოვოს და ტყიბულში იცხოვროს ზედნიერად. მაგრამ თუკი ვაჟაკი მღვირანის სელითაა დაბადებული, თუ მას აქვს ნიჭი და უნარი, შეუძლია ასეთ შემთხვევაში მოიქცეს ისე, როგორც სხვა რომელიმე აღამიანი?

ირაკლიმ ჯერ კიდევ დამით, აქაფებულ მდინარესთან ბრძოლების დროს, გადაწყვიტა მშენებლობაზე დარჩენა. ადგილი სრულიად შესაფერისი იყო მისთვის.

გვიდა მრავალი წელიწადი. იყო მრავალი შემთხვევა, ვანცდა და შეხვედრა. როგორც კი ლაპარაკი დაიწყებდა ინჯინერ ნეშაძის შესახებ, ირაკლის წუთით ვაუნთლდება დანაოუებული, გვირაბიდან მონაბერი ქარით შერეული სახე და თვალეში ნაპერწყალი აენთება. მტკიცედ ახსოვს ყველაფერი მგვირაბთა ბრძოლის, სოციალისტური შრომის გმირს, სტალინური პრემიის ლაურეატს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ახსოვს თუ რამდენადაა დავალებული რიონში თეიმურაზ ნეშაძესთან შეხვედრით. ირაკლის უმცროსი ვაჟი, თეიმურაზიც ხომ მგვირაბზეა.

2.

შორიდან ეს ამბავი სასაცილოც ვიკ. ვინ მიიღებს სერიოზულად პატარა ბიჭისაგან ჩემპიონატში გამარჯვებული მიქიტ წონის მოქიდავის გამოწვევას? ბიჭს სიცოლით ვაავლებენ ჯერით და, რომ არ იტროს, კამფეტს ანდა ცირკში დილის წარმოდგენაზე კონტრაპარკას აძლევენ...

როგორ მოვიქცეთ, თუკი საქმე არენასა და სცენაზე არ ხდება? თუ რიონის მთელი მშენებლობის შემდგომი ბედი დამოკიდებულია იმაზე, მიიღებენ თუ არა კომკავშირულ ირაკლი ობოლადის უსაზღვროდ კანდიერ გამოწვევას

საზღვარგარეთელი ექსპერტები და კონსულტანტები!

თვეებისა და წლების მანძილზე ტყვეობაში მიდიოდა. უკვე განსაზღვრული იყო მუშაობის დამთავრების უახლესი ვიდა. ქუთაისში, ტყიბულში, ზესტაფონში უკვე ჩქარობდნენ, რიონ-ქეისის ენერჯიაზე წარმოქმნილი ქარხნების დამთავრებას. რკინიგზებზე შესარულეს ყოველგვარი მოსამზადებელი სამუშაოები სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის, ორთქლმავლების ელექტრომავლებით შესაცვლელად.

მთვლარდნულად მთა დაიძრა და ათასობით ტონა მიწა დაეშვა არხისაკენ. ფერდობების ბზარები გაფართოვდნენ. გეოლოგების მთელი ანგარიში, მთელი ავტორიტეტული ექსპერტები უიმედოდ ისპობოდნენ.

უცხოელი კონსულტანტები — გერმანელი, იტალიელი, შვედი ექსპერტები — ძალზე დარბიხელი, ყარვად გაპარსულები და ჩაცმულები, დაქინებით ამბობდნენ:

— რამდენიმე წელს უნდა მოეცადათ. შესაძლოა მთა დადგეს, მიწა დამარჯდეს, დაიტკუნოს. მაშინ შესაძლო იქნება ხელახალი ცდა. ჩვენ ზახს ვუსვამთ — ცდა!

გზნებარე კომკავშირელი, ობოლად, კრებაზე ბრუნების სპეცტანსაცმელით და მალარკლის ხაყის ფერი მუზარადით გამოცხადდა. სიბრახისაგან ლაპარაკი უქირდა:

— არც ერთი დღით ლოდინი და ცუხა არაა საძირო... ჩვენმა ახალგაზრდულმა ბრიგადამ გადაწყვიტა და არხის ნაცულად გაიყვანოთ გვირაბი № 3... შემოსასვლელს შორის სულ ნაშვლევებია... განეფიოთარებო. საჯაროდო ტემპებს. პირველი გვირაბით ვეროპას უკვე ვავეუსწარით, ახლა ამეროკას ვავეულებებო!

კონსულტანტებმა და ექსპერტებმა იმწამსვე მოიხსნეს ყოველგვარი პასუხისმგებლობა.

დარბაზში ჯოჯოხეთური ხმაურია და ყვირილი. მოხუცი — გვირაბგამყვანი ნესტორ გოგლიშვილი რაღაცას ხმაშალა უხსნის ჩინელ კა ფაოენს. სერბიელი ავდამოიონი, ბერძენი პოლიტიდი, იტალიელი ბრანკალიონი ვაცხარებულნი მოითხოვენ ყოველი სიტყვისა და რეპლიკის დუფოვნებლაც და სრულ თარგმანს.

ერთადერთი აღამიანი, რომელსაც შეუძლია აღვსნებულნი ზალხის დამოშინება, — არის მშენებლობის უფროსი ჯიქია. იგი რატომღაც არ ჩქარობს ძალაუფლების გამოქნენას. ვადის კიდევ თითქმის ერთი საათი და ჯიქია აცხადებს:

— დღეისათვის კმარა, ამხანაგებო. კრება განახლდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თაემუდომარის ბესარიონ ტვიჩინაძის ჩამოსვლის შემდეგ. იგი ამხანაგ ორჯონიკიძის რწმუნებულია.

ყველამ შეეხოთ ამოსუნთქა. ჭიჭინაძეს უცი-
ლოდელი ფტორიტეტი აქვს. იგი იყო ზაქსის
შწინებლობის საბელოვანი ხელმძღვანელი, რიო-
ნისა და სომხეთში მდ. ძორაჯათის სამშეოების
ინჟინერთი. იგი პრიფესორია, ინჟინერი, ფარ-
თოდ განათლებული.

ადრეულ წლებში ბესარიონი მისი ნათესაის—
გამორჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის,
ჩერნიშევსკისა და გერცენის შვილობის — ნიკო
ნიკოლაძის გავლენას განიცდიდა. ნიკოლაძის
ჩარევით განისაზღვრა ჭიჭინაძის შემდგომი
ბედი. იგი გაემგზავრა პეტერბურგში და შევიდა
ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში. ბესარი-
ონის სადღობლოში პროექტი დიდი რუსი ინჟინ-
რების ყურადღებას იპყრობს და ძალიან მაღლ
ცხოვრებაში ზორციელდება, აღიარებასა და წარ-
მატებას აღწევს.

ჭიჭინაძე ახლო ეცნობა სერგო ორჯონიძის.
მათ განსაკუთრებით აახლოვებთ ერთობლივი
ბრძოლა ზაქსისათვის. როდესაც ზაქსის შწი-
ნებლობის წინააღმდეგ გამოდიოდა მოსკოვსა
და თბილისში — ზოგიერთი დიდი პარტიული
ხელმძღვანელი, ლენინმა სერგოს მოთხოვა ამა-
ლი სერიოზული არგუმენტები შწინებლობის
სასარგებლოდ. საინჟინრო ანგარიშებს, ყველა
ტექნიკურ დასაბუთებას, გამოთვლასა და ციფ-
რებს ჭიჭინაძე ამზადებდა. მან პირადად რამ-
დენჯერმე მისწერა ლენინს. ლენინმა აღიარა
ორჯონიძისა და ჭიჭინაძის სიმართლე. რუსე-
თის ძალზე უმნიშვნელო ოქროს მარაგიდან
ვლადიმერ ილიჩმა გამოჰყო შვიდასი ათასი
ოქროს მანეთი ზაქსის პირველი რიგის საჭი-
როებისათვის.

ვის შეეძლო ბესარიონ ჭიჭინაძის გარდა
მოეტებნა გამოსავალი რიონის „ჩიჩიდან“.

უცხოელ ექსპერტებს იგი კარგად იცნობდა.
ზოგიერთებს ზაქსში შეხვედროდა. მათი კმა-
ყოფილი იყო. თბილისში კი?

— თბილისში... თბილისში... გამოვიჩინა მის
შესახებ. მგონი, კარგი რამ? — ჭიჭინაძე მებ-
სიერებას ძაბავდა.

როდესაც შწინებლობაზე მივიდა, ჯიქიას
პკითბა:

— ამხანაგო ლალო, თუ არ ვცდები, „კრანის
პუტილოვეცის“ შემონტაჟებიდან გამოთხარა
და გამოიტანა ჩახერგილი შტოლნი ამ „უარ-
ყოფელმა“ თბილისში?

— რასაკვირველია, ირაკლიმ! ყველანი განზე
გაღვანე. ქუთაისიდან გამოძახებული სახანძრო
რამზიკ და მესანგრებებიც. მხოლოდ თბილისში
არ დაუხვია უკან, თექვსმეტ საათს არ გაუვ-
და ზელოდან წერაქვი. თავზე მიწა ეყრებო-
და, ყოველწუთს მოსალოდნელი იყო წერაქვი
ქეის მოდებოდა და ჩამოშვებულყოფი. ირაკლი

მუშაობას განაგრძობდა. ბოლოს გააქეთა საძ-
როში. ყველანი გადაარჩინა!

— შე მისი შვიკა, — დასკვნა ჯიქიამ, —
ამ დღეებში პარტიის კანდიდატა რიგებში
მივლეთ.

...ისევე მოიწვიეს კრება. ჭიჭინაძემ ასე მი-
მართა აბოზქებულ ხალხს:

— შე თქვენგან მოგიტოვებ გაბედულ აზრო-
ვნებას, გაქანებას. ნურასოდეს დაგავიწყდებათ,
რომ ცხოვრობთ საქართველოში, მდინარეების
რესპუბლიკაში, ქვეყანაში, რომელიც „ეთერი
ნახშირის“ აურაცხელი მარაგი აქვს...

ჭიჭინაძის ზრქანება იყო: — ვაუვანათ შე-
მოსავლელი გვირახი ნომერი სამი. შეჭრილი-
ყვენენ ჩამოწოლილ მთაში, ნახვავებში, ერთ-
დროულად სამი შტრეკით, თვითველი მთავანი
დან ვაუვანათ გასასვლელი მარცხნივ და მარჯ-
ვნივ.

როინზე ყველაზე მთავარი ძალა იყო შეუ-
ფერხებელი, დაუღლევი ოსტატის ხელა. იქ
ხომ საჭირო იყო ორი მილიონ ორასი ათასი
კუბიკური მიწისა და ამდენივე დამსხვრეული
კლდის გადაჩვენა.

ს. ორჯონიძემ თბილისისათვის საეკონომი-
კურად გერმანიიდან გამოიწერა მექანიკური დამ-
ბეტონებელი. ამ ამბავმა თავის დროზე დიდი
სენსაცია გამოიწვია.

ჯიქიამ ვერ მოითმინა, ორჯონიძეს დაუ-
რეკა, გამოუტყდა:

— ჩემს თავს ყოველთვის ვთვლიდი კარგ
მათემატიკოსად, ვფაქრობდი, ესა ჩემი ნამდ-
ვილი მოწოდება-მეთქი, ახლა შერცხვენილი ვარ,
ვანგარიშობდი, მესამე გვირახის ვაუვანას ორ
წელში (პირველმა, თუ გახსოვთ, სამი წელი
წაგვართვა, სიგრძე კი თითქმის ოციკილო...),
თქვენც იცით, სერგო, მეწვერიანი და მეწვერი
ნიადაგი განუწყვეტლად უნდა ამავრო ხის
ბიგებით, დაოყო ლითონის კავეებით. ფეხ-
ქვეშ კი წყალი და წებოვანი ტალახი, ზემოდან
ფონანეს... სადაველი ადგილა! რვა თვე გავიდა
და გვირახის ზემო და ქვემო გასასვლელი მზა-
დაა. სულ 1500 მეტრი. თოელი რვა თვის გან-
მავლობაში თბილისის, გოგოლეიშვილის, გრი-
გორიანის, ხერხაძისა და პოლიტიკის ბრიგადე-
ბი გამოსასვლელ დღესაც მუშაობდნენ, ექვსი
საათის წაველა — რვა საათს!

მე-3 გვირახში ყველა სამუშაოს დამთავ-
რების რამდენიმე საათით ადრე, როდესაც
ქუთაისის, ტყიბულისა და ზესტაფონის ყველა
ორკსტრი მომილიზებული და გაგზავნილი
იქნა რიონში, რათა შეესრულებინათ მქუხარე
ტრუმი შეგვირახეთა გვირახის პატრვასემაღ,
ჩამოინგრა მოსყიდული მკვლელის ხელით რამ-
დენიმე ადგილას გახერხილი ექვსმეტრიანი ეს-
ტაკადა.

ირაკლი კიდევ ცდილობდა ვაგონებიდან ვი-

ლაცს გამოთრევას, როცა მთის მწვერვალთან ქვა მოწყდა და ჩაეცა გვირაბის ფსკერში. მას მარცხენა ფეხზე დაეცა ქანებით სავსე ურდია... თბილისიდან გამოძახებული პროფესორები დაყინებით მოითხოვედნენ:

— თუ გინდათ რომ ეს მიმდებარე მთები უკან დაიხრებოდნენ, უნდა მოგვტანათ ფეხი. სხვაგვარად შეუძლებელია... სისხლის მოწამელის შემთხვევაში ძნელი იქნება გადაჩრეხა.

მეგვირაბებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს პროფესორებს. საავადმყოფოს მორიგე საოპერაციოსენ იწვევა. ჯიქია და ჰიჭინაძე კი პროფესორებს უხსენებდნენ: დიუკოლიეს ირაკლის ახალგაზრდა მეუღლე ექნია, მან მისცა ხელწერილი, „გართულების შემთხვევაში ექიმები პასუხს არ აგებენო“.

ექვსი თვე იწეა ირაკლი საავადმყოფოში. დევგმარულში ორგანიზმმა თავისი ვიტიანი. მეგობრები ხელს უწყობდნენ.

ირაკლი გამოკეთდა. ფეხზე წამოდგა, მარცხენა აბაჯონი, დარწმუნდა, ძელები გამომთელდა და ახლა ძალდონეც მაქვსო. შეებულება დასთავრდა. ევგენია და ირაკლი ობოლადები სტრამის უღელტეხილიდან აღმოსავლეთისაკენ გამოეშურნენ, მდინარე ხრამის უცნობ ადგილაში. იქ, სადაც თრიალეთის ქედის თხემია, ჯავახეთის ზეგანის ველკანობა პლატოზე, მეგობარი — მეგვირაბები ახალ, დიდ საქმეს იწყებდნენ. ვლადიმერ ჯიქიას შეთაურობით მიმდინარეობდა მზადება ხრამის ჩანჩქერის ჰიდროელექტროსადგურის პირველი საფეხურის დიდი, საინტერესო მშენებლობისათვის.

ადგილს და სამუშაო მოეწონა ირაკლის. აღმოსავლეთს კი ყარაღდ იცნობდა ადრევე, გამოცდილი რიონელი ამხანაგები იყვნენ: ლავრენტი გელაშვილი, არტემ გრიგორიანი, უზნის უფროსი ნიკოლოზ მაკარევიჩი. ყველანი თავისი ბედით დიდხანა დაკავშირებული იყვნენ გვირაბებთან, საქართველოს ჩქარაი, გვიმაგი მდინარეების დამორჩილებასთან.

ძველ თბილისში დაბადებული ნიკოლოზ მაკარევიჩი მრავალი წლის მანძილზე რკინიგზის რიგითი ტექნიკოსი იყო. ერთხელ დაავადეს სტრამის უღელტეხილის გვირაბის შეკეთება. ის იყო „საბედისწერო შეხვედრა“, ამას მოჰყვა ძლიერი, ყველაფრის დამძლევი „სიუფარული“. მაკარევიჩს შეუფარდა გვირაბი. დაუყოვნებლივ მიატოვა რკინიგზა, უარი თქვა ყოველგვარ შეღავათზე, ხელფასის მომატებასა და დიდ ქალაქში ცხოვრებაზე და წინა წლებში ირაკლი ობოლადებთან ერთად მოეწყო რიონ-პების მშენებლობაზე. ახლა კი მრავალი წლის მანძილზე გადაჯაჭვნიერ ერთმანეთს ირაკლისა და ნიკოლოზის გზები. ერთად აშენებენ თოქაზის საქართველოს ყველა ჰიდროსადგურს. ერთად იღებენ სტალინურ პრემიას!

მაკარევიჩი სამოცდაათ წელსაა მიღწეულა და ისევე გვირაბებითაა გართული, უფლებებითაა თავს გაუფრთხილდით. ცოტათუ მანძილზე წინ, დაწერეთ სახელმძღვანელოები გვირაბებზე, ან მოგონებები ჰიდრომშენებლობაზე... მაგრამ ნიკოლოზი ძველ საქმეს არ დალატობს.

ამავე მოდემსაა არტემ გრიგორიანი. მან 1907 წელს დაიწყო ზრდლო-კავკასიის რკინიგზაზე მუშაობა. არმავერიდან ტრაფსიმდე ყველა გვირაბი მისი გაყვანილია. მისი ბოლო სამუშაო — ლაჯანური, საწნეო გვირაბი და სამანქანო დარბაზი კლდის სისქეში. მთელი სამუშაოების უფროსი მაკარევიჩი იყო, ყველაზე რთული უზნის უფროსი — გრიგორიანი. ლაჯანურის შემდეგ სამოცდაათი წლის გრიგორიანი პენსიონერი გახდა.

მეგვირაბის ისტორიით დაინტერესდა სერგო და მოსკოვში გამოიძახა ირაკლი.

ორჯონიქიძემ დაითმინა მეგვირაბებზეა ზრადილი, გაოსტოლოო ჰიდრომშენებლების, სწავლებლების, ინჟინრების წინაშე, ეამბნა თავის ცხოვრებაზე, გაეზიარებინა აზრები, ეკამათნა, ობოლადეს მოუხდა მუშაობა სამეცნიერო ტექნიკურ კომისიაშიც. რომელიც დანიშნული იყო სერგოს მიერ ხრამის წყალუარდნილის პროექტის საბოლოო განხილვისათვის. 1936 წლის 29 თებერვალს ვაზეთში მოთავსებული იყო ფორტო-სურათი: მაგდას უსხედან სერგო, აკადემიკოსები — გრადტიო, ვინტერი და... ჩვენი ირაკლი.

2.

ის-ის იყო ვაიშალა მთელი გაქანებით მუშაობა, ის იყო გასცდნენ თრიალეთის ქედის გრანიტის სისქეს, და დაიწყო სამამულო ომიც.

22 და 23 ივნისს მთელი ღამეები მუშაობდა ირაკლი გვირაბში, დილით კი გამოცხადდა წალკის რაიონის სამხედრო კომისართან.

— დღესვე გამოგზავნეთ ფრონტზე. სპეციალობით სამთო არტილერიისტი ვარ. ერთი წელი ვსწავლობდი ლეგიონის სკოლაში, ვიყავი ოცეულის უფროსის თანამეწიე. კიდევ რა არის საჭირო!

სამხედრო კომისარმა თხოვა, ხელამდე დაცადეო. შემდეგ კი სულ უარი სტიკია.

— თქვენ, ამხანაგო ობოლადე, ჯავშანი გაქვთ. უფლება არა მაქვს შეგაწუხოთ.

ირაკლიმ მისწერა რესპუბლიკის კომისარიატი. თხოვდა მხედველობაში მიეღოთ, რომ იგი პარტიის წევრია 1931 წლიდან და ძველი კომკავშირელია. შეუწყმანდა, მაგრამ მაინც დაემტა — ორდენოსანი ვარო, ასზე მეტი მაღლობა და პრემია მაქვს მიღებულიო.

პასუხი მალე მოევიდა. ნუთუ ასე მალე ჩავიდა თბილისში წერილი? ამიერკავკასიის ფრონტის შტაბმა ობოლადე და გვირაბების მცოდნე სხვა მშენებლები გადაიყვანა უღელტე-

ხილვ. შემდეგ კი — თვითმტრინავეთ კავასიის დაკვის წინა ხაზზე, სააგიაყო ბოშბაღამწუნებ-სა და საარტილერიო ცეცხლის ქვეშ ჰიდრო-სადგურების ამასწინანდელი მშენებლები მნიშ-ვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობებს ამე-ნებდნენ, ვიწროებსა და ხეობას მიუვალ საზღე-რად ხდიდნენ.

დაღა დრო და საბჭოთა არმიის დღეი-ნიებთან ერთად ობოლადის ნაერები ბრი-გადის მეგვირაბეები, მებეტონეები, ხტოლები ჩრდილო კავასიის ველზე დაეშენენ. ნაღჩაში საბრძოლო ბრძანება მიიღეს: მწყობრში ჩაეყე-ნებინათ აფეთქებული გადამწვარი ზაქსანის ქსი. ბრიგადირს აცნობეს: აღეყსანდრე გიორ-გაზე უღაღტებილზე მოჰკლეს, ფროლ კედრი-ფეყვი თურგთან დაფლითა ავიაბომბმა, ვასილ აივაზოვი — ფაბარდოში დეცა გმირული სიყე-ლით.

ჩვენს რიგებში არ უნდა იყოს თავისუფალი ადგილი, — წარმოთქვა ირაკიმ ღვინის შემ-ღებ — უნდა ვიძულოთ ჩვენი დაღუპული ამხა-ნაგებს მაგვირად და ვასწავლოთ ახლადმოსუ-ლებს.

ახლადმოსულები კი მოზარდები და მოხუცე-ბი იყვნენ, პიტლარულთა ტყვეობიდან ახლახან-დახსნილები, ჩაშქარალი, ღრმად ჩაყვენილი თვალებით, გაჟაღრტყაებული ხელები უკან-კალბდათ. ისინი შესაბრაღისნი იყვნენ, მაგრამ ამყანი, შეწყალუბას როღი მოითხოვდნენ. მოუ-თმენლად ელოდნენ უკვლადგარში თანასწორ-უღლებიანად გახდობას.

თავდაღებით შეუღდნენ აღდგენით სამუშა-ოებს.

უმაღლესი მთავარსარდღის ბრძანება შესრუ-ლებული იქნა. უმოკლეს ვადაში მიეცა ნაღჩის, პიტიგორსკს, შინერალურ წყლებს, კისლო-ვოღსკს, გეორგიევსკს ელექტროენერგია.

სარდღობამ დეკემბით უბასუბა: — მაღლობელი ვარ, საშობლო არ დაგიფეყებთ!

ბრღესად ახლო-შახლო იქნებით, დაინტერეს-დით, შედით ლამაზი ქესის მანქანის ღარბახში. იქ დაფა ჰკიღა, რომელზედაც სწერია: „ბაქსა-ნის პიდროელექტროსადგურის აღდგენის სამუ-შაოებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ი. ო. ობოლადის ბრიგადა საქართველოდან“.

...ოში უყვე შორს, დასაეღოთში მიმდინარე-ობდა. ქვეყანა სამხედრო დროის წესებით ცხოე-რობდა. ირაკლი ისეც ზრამზუა.

ეგი დღეხანს ესაუბრებუბა პეტრო ზელოგორ-ციეს, შუახანს ყუბანელ კოღმეურანს. ზან უკრაინელ იაკობ ბენჭეტრის, ექსკრისსაზე მი-ხაღს ითვის საწვრევი კომკავშირლები: ფანჩე-ლიძე, ლომთაძე, გამყრელიძე... ცოტახანში კე-დრების განყოფილება განცხადებებით აიღსო: „გუბოვთ გადამიყენით ამხანაგ ირაკლი ობო-ლადის ბრიგადაში“... ქვემოთ შინაწერი: „ჩემის

მხრივ პირობას ვიძლევი მიეცე მით გვირბაგამ-ყვანისა და მებეტონის მაღალი ცალკეობა. ბრიგადირი ობოლადე“.

აღელი გამოსასიკომბია: ირაკლი ცუდილობდა, შეესებტელიყო ომის დროს ძალზე შეთხლე-ბულ მეგვირაბეთა რიგები.

ბრამი თბიღისის საშპრეთით მღებარეობს, მაგრამ იქ შანც ძალიან მაგარი ზამთარი იცის, 1946 წლის თებერვალი 25-გრაღდსიანი ყინეე-ბით დაიწყო. ერთ ღამეში ყინვით შეიკრა წყალ-საყავი. თოვდა, მშენებარებუბა ჰარბეტი. ჩვეუ-ლებრივი, ევენებიანი მარხილები უყვე აღარ ვარგოდნენ. წინ წავიდა ზუღდოზუგრი, მას მიყვა მუხლუზოვანი ტრაქტორი, ის მიათრევედა მარ-ხილს. ასე გადაუადებ ერთ ნაბირიღან მეორეზე მუშები, მიქრონად შროღმტები და მასალა. პირველ განყოფილებაზე, გივანტრო მიღში, სადაც საოყარი ძალით უბერაყდა ორბირი ჰარი — მოქმედებდა მოხალისეთა გგუფი ობოლადის შეთაერთობით. სამუშაო სპეციალო-ბამ მიხედვით არ იყო, მაგრამ შისი შესრუ-ლება მხოლოდ მოხალისეებს შეეფლოთ. საქმე წინ არ მიდიოდა. ყინვისგან ითომ ბოღნენ, ძალიონე ელეოდათ გულაღებს, რადაც არ უნდა დაჯღომოდათ, გახალხელის წყალდიღო-ბამდე უნდა მოესწროთ შობირეთების შონტი-რება, ბეტონის ჩაწყობა, წყალდიღობის დროს გამჭინვარებული მდინარე უთოოდ მიღებში უნდა გაეშავათ. წინაღმდეგ შემთხვევაში ყვე-ლაფერი ერთი წლით უნდა გადაღებულყო, შოულს რესპუბლიკაში ისედაც უმოქმედოდ იღგნენ ჰარხხების ცელები ენერჯის შოლო-ღინში. ბრამის გარდა არავის არ შეეძლო მათი გამოყვანა ამ მღგომარეობიღან.

— მე და შენ ზომ კომუნისტები ვართ, ლავრენტი, — მიმართა ირაკიმ თავის მეგო-ბარს და კოლეგას, გელაშვილს. — ორიენი რიონიღან ვართ, ორივე ბრიგადირები. ზვენ კომუნისტები ვართ და ჩვენ უნდა წავიღეთ პირველნი!

— მე არა ვარ მიჩვეული უარისთქმას, ირა-კლი, — მიუგო ლავრენტი.

ზელი მოჰკიდეს საქმეს და გააკეთეს კიდეც. პიდროსადგური ზრამი-I განსაკუთრებული ზეიშით ამუშავეს. გვირაბების, კაშხალის, ტერ-ბინების აღწერის დროს უსათოოდ დაღმატებ-დნენ — ყველაზე მაღალი, ყველაზე დიდი, ყვე-ლაზე გრძელი, ყველაზე ძლიერიო. სპეციალის-ტები, ჩვეულების წინააღმდეგ აღარ ემაღებო-დნენ კორესპონდენტებს: თავად კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ქესის დამპროექტებლებსა და მშენებლებს მოუხდათ ძალზე რთული, პირ-ველაზე წარმოქმნილი საინჟინრო პრობლემის განაწილება, არაჩვეულებრივი კონსტრუქციის გამოყენება. საწვეო გვირაბები კი, რომლებიც გაყვანილი იყო ძალზე არაკეთილსასურველ ვულკანურ და შონამტრევე ქანებში, ტბის და-

ნაღებებში, უნდა აღიარო იყო. ვეროხამ არაფერა ამის შესახებ არ იცოდა, ამას ვერც ამერიკელებმა დაიკვირებინდნენ.

ირაკლიმ, რომელიც ერთი წლის წინ დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, ახლა ლენინის ორდენი მიიღო. მადლობა გადაიხადა, მოაგროვა ბრიგადა და წავიდა ახალ ადგილზე — სამგორში. მამინ არაფერი იცოდა, რომ მოსკოვიდან იყო მოთვარიანის დაყვანა: — ეთხოვო სწავლულებს და დიდ ინჟინრებს შეუწყვეტელი მეთვალყურეობა გაუწიონ ხრამის პილაროცენტრალს. შეაკრად გასინჯონ, როგორ იმუშავებს ყველა ორიგინალური კონსტრუქცია და ნაგებობა. ღრო ყველაზე საიმედო გამოცდელია, იგი არაა ამოუკლებელი არაფის გემოვნებაზე, სიმპატიანზე, პატივმოყვარულ ანგარიშებზე... 1951 წლის მარტის შუა რიცხვებში ხრამის ვეტერანებს მიეკუთვნათ სტალინური პრემია.

ბედმა, უფრო სწორად კი პროფესიამ, დაიკავა ცალკეა ლარეატითა ეს დიდებული ჯგუფი. მეგვირბაბეთა ბრიგადიანი ირაკლი ობოლად და ინჟინერი შირიან ებრაელიც ისევე ხრამზე არიან. არონ გინდინი — ბრატსკის პესეს მშენებლობის მთავარი ინჟინერი — ციმბირშია. გიორგი წულუისკირი — ეგვიპტეშია, ასუანის კამხალის და პილაროცენტრალს მშენებლობაზე ხელმძღვანელობს გვირაბის სამუშაოებს ზესარიონ ერისთავი — მოსკოვშია, სსსრ პილაროცენტრალს დიდ სამუშაოზე.

დაიხ, ხრამი ეს მალღი მარგაა. სახარბილო სკოლა ხომ ისევ, რამდენიმე წლის შემდეგ, დაუბრუნდნენ ჰიკინაიისა და ჯიქიას მარწყინებულ იღას — შეიქმნას ხრამზე და მის წინაკალებზე დიდი წყალღარდნილი, რათა შენალი რომელიც იმუშავებს ზემო საღვტროში, ვარდებოდეს ტურბინების ფროებზე, შემდეგ ჰესში ასე, მდინარის ქვემო წელამდე, ელგტროსადგურის ყოველ საფეხტრზე მარეგულირებელი, ეს იგი დამოუღკადებლად წელიწადის დროსთან და წყალღილობასთან. ამ აზრს მხარი დაუჭირეს აკადემიკოსებმა ვინტერში და გრატტიომ. მოიწონა, აგრეთვე, სურგო ორჯონიკიძემაც, ამ დღეებში, როდესაც ირაკლი იყო მასთან სტუმრად.

შემდეგ უკვე პარტიის XX ყრილობამ მისცა მითითება ხრამი-2-ს აშენებისთვის. მორიან ებრაელიც დანიშნეს სამუშაოთა უფროსად. მან წინადადება მისცა ირაკლის, წასულიყო მასთან სამუშაოთა უფროს მწარმოებლად.

— სხარბილი წამოღად, მხოლოდ — გვირაბში, — იმწამსვე უთხრა ირაკლიმ, რომელიც მესამე თვეა საავადმყოფოში იწეა. გადატეხილი ფეხით. ამჯერად მარჯვენა ფეხი ჰქონდა დაზიანებული...

— გინდათ, წამოვად გვირაბგამყვანად, ან ბრიგადიარად. სამუშაოთა მწარმოებლად. კი არავითარ შემთხვევაში!

მაგრამ ამის შესახებ შემდეგ, ირაკლი ობოლანის ცხოვრებაში კიდევ უნდა მოხდეს ბევრი შემთხვევა: კარგი და ცუდი...

1948 წელი. სამგორი. მოუღებულმა მინელი შეტაკება ამოებრილ თიხასთან. თითქოს გინდათ იკითხოთ: რას წარმოადგენს ეს თიხა, რა შეტაკება შეიძლება მოხდეს თიხასთან, რა ძალა აქვს მას?!

იტალიელი მეგვირაბებები, ალბებში სიმპლიანის უღებტეხილზე, წააწყდნენ ამოებრილ თიხას, მათ მაშინვე დასტოვეს სანგრევი. რამდენიმე კლომეტრი მზა გვირაბი სამუღამოდ მიტოვებული იქნა. მილან-ბერნის გზატკეცილი და რინიგზა შემოვლით გაიყვანეს. არაფის არ უთქვამს მათთვის საყვედურის!

სამე იმაშია, რომ რომელიც გვირაბგამყვანებში ხსიან სანგრევეს, ეს თიხა თავისუფლდება წნევისაგან, რომელიც მასზე მოქმედებდა მრავალ ასწლეულს. იგი იბერება და არაწვეულბერებად ფართოვდება საფუარიან ცომზე სწრაფად. თიხა ისევეა, შემდეგ ვარდება და საოყვარი სახით გათხრ-ფოლადის კოქებს, ამარტყელებს ორმოც-ორმოცდაათთან სანტიმეტრანი დიამეტრის დირევეს.

თეორიულად ცნობილია, რომ ამოებრილ თიხასთან ბრილის ერთ-ერთი საშუალებაა. დაუყოვნებლივ დაბტონდეს ყოველი გაღილი მეტრი. იტალიელმა მეგვირაბებებმა საიმედოდ ვერ სცნეს ასეთი საშუალება... ქართულმა გვირაბგამყვანებმა კი გაუძღეს ამას!

ირაკლის კარგად ასხოეს სამგორში მისი ბრიგადის მიერ ახლამან გახსნილი მეთერთმეტე სანგრევი, ღამის ცელაში ცოტათი დაიგვიანეს, შეაყოვნეს გამაგრება და დაბტონება, ვაგვირღმა თიხამ გამოიჩინა თავისი ძალა. ამოვარდა და დაანგრა ყველაფერი. დაშოშინება მაშინვე როდი მოხერხდა — არც ერთი და ორი დღის შემდეგ — ძვირადღე დაუჯდათ. სამი კაცი დაიღუბა, რამდენიმე დაიჭრა. გაძღებით კი — გაუძღეს. სანგრევი გაიყვანეს საშინლად გაბერილ თიხაზე.

ასეთია მეგვირაბეთა სპეციალობა! სამგორის შემდეგ — სიონი. შემდეგ — ბევრმა არც იცის — სოფელი ძეგრი, ეს მთებშია, სურამის უღებტეხილის დასავლეთით.

4.

ბირველი დაბრილი გვირაბის მომავალი მიღგყვანილობა გაპყვლათ ქვემოღან ზემოთ. წყალი ძალზე აწვებოდა. საჭირო იყო ერთღროულად სწრაფად ამოეტრმნათ ცივი ნაყლი, გვეშვარებინათ სანგრევი, ეწარმოებიათ გაყვანა. ირაკლის ერთად დასტორდა თითქმის რვავე სპეციალისტი. ბრიგადიანი კი, თითქოს ჯიბტრზე, გაკოტრდა...

— თქვენთან მოვედი, ამხანაგო უფროსო,

პარტიულ საქმეზე, — განუცხადა ობოლამე ტუბულის. პიდროცენტრალის მშენებლობის ხელმძღვანელს ვასილ ყავლაშვილს. ისინი დიდხანს ნაცრობები იყვნენ. ხშირად უხდებოდათ შეხვედრა. ყავლაშვილმა, ისე როგორც ობოლამე, მხოლოდ ერთხელ „უღალატა“ პიდრომშენებლის მოწოდებას. სამამულო ომმა ვასილი შესაძლებლად გააძლიერა. ფონტიდან იგი ბოგდან ხმელნიცის, სამამულო ომის წითელი ვარკველავის ორდენითა კავალერი დამბრუნდა. ხრამი-1-ის მოთავეების შემდეგ შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო.

— თუ შეიძლება, ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მდივანიც მოვიწვიოთ, — სთხოვა ირაკლიმ.

შემოვიდა ილია ბერიშვილი, პარტიუროს მდივანი, ობოლამე შეეკითხა:

— ხომ სწორია, რომ პარტიულ მუშაობაში მთავარია ადამიანების აღზრდა?

— ამაზე მთავარი არაფერია, — დაემოწმა ბერიშვილი.

— შეც ასე მგონია. უველაზე მთავარია ადამიანზე ფიქრი, მისი აღზრდა, მიეცეს ვასაქანი მის შრომას...

— მართალია!

— მაშინ ვთხოვთ ჩემი ბრიგადის გაუქმებას.

— გაუქმებას? — გაოცებული მშენებლობის უფროსი წამოიღო კიდეც. — ეს რა თქვი, ირაკლი?

— სრულიად უბრალო საქმეა. მე ხომ კომუნისტი ვარ? ადამიანთა შორის მუშაობას ხომ უნდა ვეწეოდე? ხომ უნდა ვიფიქრო ადამიანზე?

— შერი, ბრიგადა ვიშლის, თუ რა მოხდა? შენი ადამიანებზე ფიქრზე კიდევ.

— პოდა, მეც ვფიქრობ...

— არაფერი არ მესმის, — ვერ მოითმინა ყავლაშვილმა.

— ახლავ გაიგებ, — ძალზე მშვიდად მიუგო ირაკლიმ — არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ადამიანს წინსვლისაკენ მოუწოდო და დაბნეული კი გყავდეს. დროა, ადამიანები დამოუკიდებელ საქმეზე დავაყენოთ, ისინი კი ჩემი ბრძანებლობის ქვეშ იმყოფებიან. ასეთი წინადადება შემომაქვს: ბრიგადას, რომელთანაც ერთად აქ ჩამოვედი, დაეშლი. ტარასი ნოზაძე, პეტრე ბელოგორცევი, იაკობ ბესნეტნი, არტამ მარტიანიანი, აქ ყველაფერი დაანგარიშებოლია, — ირაკლიმ რვეთლიდან ფურცელი ამოხიდა, მშენებლობის უფროსს გაუწოდა, — ბრიგადირებად დანიშნეთ. ვლადიმერ დობროვი, თუ ჩემს რჩევას დაიჯერებთ, დანიშნეთ ცვლის ოსტატად. იგი დაუსწრებელი ინსტიტუტის უკანასკნელ კურსზე გადავიდა. დანარჩენები, რამდენიმე კაცი, გაანაწილეთ უბნებზე. ახალბედანსთან ერთად ყოველთვის კარგი გამოცდილი მვეტირება გყავდეთ.

— თქვენ კი სად აპირებთ წასვლას?

— ეს, ვასილ ტიშოტეს ძე, თქვენი საზრუნავია. გვირახის სამუშაოებზე ბევრივე იქნენ, გამოყავით მუშებიდან საშორი კაცი, რამდენიმე კომკავშირელი. მათთან ერთად გავიყვან სანგრევს. ეს იქნება ჩემი პარტიული სამუშაო ადამიანებთან.

მშენებლობის უფროსმა და პარტიუროს მდივანმა უხმოვ გადახედეს ერთმანეთს.

ყავლაშვილმა ევლარ მოითმინა, დანახებით წამოიძახა:

— არ მესმის შენი დემილი, ილია! იცო თუ არა, როგორ მივალწი ტრესტში, ობოლამის ბრიგადის გამოგზავნას ჩვენთან. ახლა კი...

ბერიშვილმა ხელები გაასავსა: — ჩვენ, ვასილ ტიშოტეს ძე, — უთხრა მან. — პასუხი გავცეით საუბრის დაწყებისთანავე. ობოლამე გვეკითხებოდა, რა არის მთავარი, მთავარი, ნამდვილად, ადამიანები არიან. თუ მათ ვასაქანს მისცემ, ნახავ, რომ მანქანებზე იგი გაიზრდება. დღევანდელი დღის გადაწყვეტილება კი, რომელიც ირაკლიმ წამოგვიყენა, სიმართლე რომ ვითხრათ, — მისმია. დასაძალი რა გვაქვს, ჩვენ მოველოდით, რომ ძალი ბრიგადა უეცრად წავიდოდა წინ, მას კი ძალაუბრებურად გააყვებოდა დანარჩენები და გვემასაც შევასრულებდით. ახლა კი მდგომარეობა იცვლება. რამდენიმე ხანს არ გვეუოლება მავარი ხელმძღვანელი შეჯიბრებაში, ობოლამეც წავა შეჩვეულ ადგილიდან...

— მე ჩემს სახელს ვუფრთხილდები, — ჩაერია საუბარში ირაკლი, — ნუ გეშინიათ. თავის ქებას არ მოყვები, მაგრამ ოთხი-ხუთი თვის შემდეგ გარდამავალ წითელ დროშას ჩამოვეტან ჩემს ახალ ბრიგადას. მანამდე კი შეჯიბრებაში გამოვიწვევ გელაშვილს ბრიგადას. ჩვენ ერთსა და იმავე წესს შევდით პარტიაში, კომკავშირმა მოგვცა რეკომენდაცია. ორივემ ერთად მივიღეთ ლენინის ორდენი.

— მაშ... უნდა დაგეთანხმოთ, — გადაწყვიტა ყოყმანი ყავლაშვილმა, — გაგვიჩრდება ობოლამე. არც მეუღლე დაგრჩება მაღალფორ, პრემიაზე წინასწარ რომ ამბობ ურას, თქვენ ოჯახში კი, როგორც ვიცი, სამი მონაწილეა. ქმრის პატარა ჯამაგირი — ცოლისთვის დიდ საზრუნავს იწვევს. უსამაოვნება შეგხვდება, ირაკლი.

რამდენიმე დღის შემდეგ ობოლამე ახალი ბრიგადა მიიღო. ბრიგადა ორმოცდაათი კაცისაგან შესდგებოდა. მშენებლობაზე ახლადმოსულთაგან, რომელთა უმრავლესობას გვირახი თვალითაც კი არ ენახა.

თავის სიტყვის პატარონმა ირაკლიმ, ძალუბის გამოსაცდელად გელაშვილის ბრიგადა გამოიწვია. ერთი თვის შემდეგ მან ლაიონის მითოლოგია დანახებულად გამოარჯევია. ენამოსწრებულმა ლაიონებმა ვერ მოითმინა:

— შენ რომ არა ხარ მიწვეული, ირაკლი, საპატიო დაფაზე შენი გვარი არ დაინახო?

— არაფერია, მე უკვე ვიყავი ქალაქში, ახალი ფოტოსურათი მოვაფარა, მალე გამოვუფენ, — დაპირდა ირაკლი.

მაგრამ, ამჯერად ირაკლიმ კარგად ვერ გამოიანგარიშა. მან ცოტა შეუქვეთა ფოტოსურათი. იგი მარტო საპატიო დაფისათვის კი არ იყო საჭირო. ლავრენტი გელაშვილთან ამ ლაპარაკის შემდეგ რამდენიმე კვირაში ზემო კმერჯეთის მომიჯნავე რაიონების პიღრომშენებლებმა, მევენახეებმა და მესიმინდეებმა-მეგვირაბეთა ბრიგადირი, კომუნისტი ობოლაძე აირჩიეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ირაკლიმ ითხოვა თავისი ენობილი ბრიგადის

დაშლა 1954 წლის ბოლოს და სასწავლებლად იყვანა ახლები. საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნები შესდგა 1955 წელს და ირაკლი არჩეული იქნა დეპუტატად შარშანწინ, უკვე ხრამ — 2-ზე.

ვინ იცის, სად წაიყვანს მას მეგვირაბის მოუსვენარი ბული შემდეგი არჩევნების დროს. ხრამის მშენებლობას რამდენიმე თვეში დაამთავრებენ, სამაგიეროდ, ენგურზე გვირაბის სამუშაოები მხოლოდ ახლა იწყება. ახალი უზარმაზარი მშენებლობის ხელმძღვანელად (საქართველომ ჯერ კიდევ არ იცის ასეთი მასშტაბები და ასეთი გაქანება) — დანიშნულია... ვასილ ყავლაშვილი. ის და ირაკლი ერთმანეთს კმაყოფილნი არიან. ერთი ჯიშისანი არიან...



ზ. ჯამასკიძე, ზ. მარკვილიძე

ინტელექტუალური გიგანტი

რუსთავი მეგობრობის ქალაქია, ამბობენ. ეს სრული ჭეშმარიტებაა. მის მშენებლობაში ჩვენი საშრობლოს თითქმის ყველა ქალაქმა მიიღო მონაწილეობა. ლენინგრადმა გამოგზავნა ელექტროდინამოგარეები, სოლიკამსკმა — ასაწყობი სახლები, სვერდლოვსკმა — ზღუძინგი, ტაშკენტმა — მაგნიტურ — გრეიდერული ოჩკანები, კოემა, აღმა-ატამ და ერევანმა — აწეუ მანქანები, ბენკეკები, ანკერული ბოძები, მერლახის დილები... საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან აქ ასობით პატრიოტი ჩამოვიდა, რომ თავისი წვლილი შეეტანა მეტალურგიული ქალაქის მშენებლობაში. ბევრმა მოგანმა თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა ახალგაზრდა ქალაქს, აქ დასახლდა, გაიჩინა საკუთარი კუთხე და ჩინებულად გრძნობს თავს ამ მეგობრულ ქალაქში.

...რუსთავი ოთხი ქარხნის ქალაქია, მეტალურგიული ქარხანის მშენებით უღვანან გვერდში აზოტოვანი სასუქების, ცემენტისა და მექანიკური ქარხნები. რუსთავის მარცხს პროდუქცია ახლა სულ უფრო და უფრო ფართო ადგილს იჭერს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ იგზავნება მეტალურგიული ქარხნის ნაშაბი — მიწები, რკინის ფერცლები, მათეული და ახა მარტო ჩვენს ქვეყანაში. აქ დაშაბდებულ პროდუქციაზე დიდ მოთხოვნილებას აქუნებენ დემოკრატიული ქვეყნები, საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფოები.

ამ დღეებში სატვირთო სადგურ რუსთავიდან გაიგზავნა სპეციალური ვაგონი, რომელსაც ეწერა: „რუსთავი — კუბა“. ქართულმა მეტალურგებმა ვადაზე ადრე შეუსრულეს ახლანდელი კოლონიური რევიზისაგან თავდაღწეულ კუბას დაკვეთა და მის დიდი რაოდენობით გაუგზავნეს მოთხოვნილებულ მათეული, რასაც დიდი გამოყენება აქვს სოფლის მეურნეობაში.

ქართულმა მეტალურგებმა შესანიშნავი ტრადიცია დაამყიდრეს. ნერგავენ რა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციასა და კომპლექსურ მექანიზაციას, სრული მეტალურგიული ციკლით ასრულებენ ყოველთიერთ სახელმწიფო დაეხლებას. მეორე წელია, რაც ზელიდან არ უშვე-

ბენ რესპუბლიკურ ორ გარდამავალ წითელ დროშას, რომელიც მოპოვებულა სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და ელექტროენერჯის მოპოვრებით ხარჯვისათვის.

• •

1958 წლის 25 ნოემბერი. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძანებო-სააგლომერაციო საამქროს კლუბში ბევრი ხალხი შეკრებილა.

ტრიბუნაზე აღის საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი ვარლამ კობერიძე.

— ამხანაგებო, ჩვენ დიდი სიხარულით შევიტყუეთ, რომ მომავალი შეიღწილიანი გეგმის წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად ქვეყანაში იწყება ახალი, შესანიშნავი მოძრაობა. ჩვენი ქარხნის კოლექტივი ყოველთვის იყო რესპუბლიკის საწარმოთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი. საჭიროა ეს ტრადიცია მომავალში კიდევ უფრო განვამტკიცოთ. ვის სერს პირველი გამოეხმაროს ამ ამბავს, ვინ ითაუვებს პირველი კომუნისტური შრომის ბრიგადის შექმნას, კომუნისტური ვალდებულებების აღებას?

დარბაზში სიწყნარება. მხოლოდ აქა-იქ გივიონებთ ზოგიერთების ჩურჩულს:

— რომ ვიკოსო და ვერ შევასრულო?

თითქოს მსურველი არაინ არის. მაგრამ, აა შეირბა ხალხი, ტრიბუნისაკენ გაემურა საშუალო ტანის შევეკრემანი ჰაბუცი.

— არჩილ ძამაშვილია, ჩვენი არჩილი!

— ამხანაგებო, მე დიდი მოლაპარაკე ვაიცი ვარ, — პირველად მიხდება გამოსვლა ამდენ ხალხის წინაშე, მაგრამ კიტყვი, როგორც შემოძლია:

სიტყვას გაძლევთ, ვიცისრებ კომუნისტური შრომის ბრიგადის სათავეში ჩადგომას, მთელ ჩემს ცოდნასა და ენერჯიას მოვასმარ ნაყისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ამხანაგებო, ვიცხოვროთ, ვიმროშოთ და ვისწავლოთ კომუნისტურად! — არჩილი ტრიბუნიდან ჩამოვიდა. მჭუხარე ტამის გრიალში ვაისმა შეძახილები „ვაუმარჯოს ჩვენი ქარხნის კო-



მენისტრები შრომის პირველ ბრიგადას* ... კრების შემდეგ არჩილს ერთი აწრი აუკვირებ: ხომ არ გადაეკარბებ? ბევრის უფლება ხომ არ მიეცეო ჩემს თავსო? თუაღწინ წარმოუდგა საამქრო, მთელი კოლექტივი. გონების თქლით ერთხელ კიდევ აწინ-დაწინა აღებული ვაღებულებანი.

— აბა, ბიჭებო, ახლა მთავარია — არ შევრტყევთ. რაღაც უნდა დაგვიჯდეს, სიტყვა უნდა შევასრულოთ!

მეორე დღეს არჩილი და მისი აშხანაგები სამუშაოზე ერთი საათით ადრე გამოცხადდნენ. ვიდრე მოელოდნენ დაიწყებდნენ, საამქროს უფროსს ერთხელ კიდევ მოაგონეს, რომ აგლომერატი, რომლის უქონლობის გამო წინააზნირად ეშვებოდათ გრაფიკა, მუდამ ჰქონოდათ სპირო რაოდენობით. დანარჩენი კი ჩვენზე იყო.

დაიწყო სამუშაო დღე. ოსტატმა სპეციალური შემთხვევა დასაშინებში, რომ გაერკვია, როგორ მიდიოდა წყის პროცესი. სპირო იყო თუ არა მაცივრის გამოცემა, რიგზე იყო თუ არა თუჯის და წილის გამოსაშვები ღარები.

— ბიჭებო, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ჰაერმასხრებლის მოწყობილობას, — იძლევა განკარგულებებს არჩილ ძამაშვილი, — უფერადლებოდ არ დატოვოთ თუჯის გამოსასვლელი ხერხელები. ხომ იცით, თუ თუჯის გამოსვლის დროს ხერხელი სველი დარჩა, ადვილი შესაძლებელია გამოხეთქვა, ეს კი დემარტმა გეშროს.

ჯერასავე ტრიალებენ ბიჭები. წუთი რა არის. წუთსაც კი არ კარგავენ ექმად.

— თუჯი მზად არის გასაშვებად, ღარებიც ამოღესოლია ცეცხლგამძლე თხიით.

— შეიძლება გაშვება!

ახლა უკვე მთავარია ხარისხი. არჩილმა და მისმა თანამოსამუშევრებმა წინასწარ იცოდნენ, რომ ხარისხი უსაბუთოდ კარგი იქნება, რადგან თუჯის გამოდნობის რეცეპტურა შესანიშნავად არის დატული. და იგი მოვიდა კიდევ ლაბორატორიის დანაცნა: ხარისხი საუკეთესოა.

გამოდნობილი მაღალხარისხიანი თუჯი — კომუნისტური შრომის პირველი ნაყოფი. არჩილის სიხარულს საზღვარი აღარ აქვს. იგი გზავნა ბრიგადის წევრებს. ულოცავს გამარჯვებულს და სათითაოდ კოცნის მათ.

ეს იყო ა. ძამაშვილის ბრიგადის პირველი გამარჯვება. მის შემდეგ კინ მოთვლის, რამდენი შრომითა გამარჯვება მოიპოვა გვირგვინ მეტალურგმა.

ასე შეიქმნა პირველი კომუნისტური შრომის ბრიგადა. მათი რიგები თანდათან ვიზირდა და დღისათვის ქალაქში უკვე 20-მდე ბრიგადა და რამდენიმე უბანი თუ საამქრო ატარებს კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელით სხელს.

სექ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმზე აშხ. ნ. ს. ხარჭილავა აღნიშნა, რომ მიუხედავად ლითონის წარმოების სწრაფი ზრდისა, ჯერ კიდევ არ არის საქმარბის ლითონი იმისათვის, რომ დაემყოფილდეს სოფლის მეურნეობის მთელი მოთხოვნა მანქანებზე, მოწუოდა მეტალურგებს დახმარებოდნენ სოფლის მეურნეობას, მეტო ლითონი გამოეშვათ გვეგის გადაამტებით. ამ მოწოდების ასახვად სახელოვანმა მეფოლადემ ა. ფანცულაიამ ვაღებულება იყისრა შექმნას სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანების ქარხნებისათვის სპირო ლითონის დამატებითი ფონდი და მასში ყოველწლიურად გვეგის ზევით გამოდნობილი პროდუქციიდან შეიტანოს 1500 ტონა ფოლადი. ამ პატრიოტულმა სიტყვამ ფართო გამოხმარება ჰპოვა მის კოლეგაში. მალე გ. ბერეკაშვილმა, გ. სიგაძე და სხვა მეფოლადეებმა იყისრეს მსგავსი ვაღებულება. მეფოლადეთ სიტყვა ფოლადით მტკიცე აღმოჩნდა. წელს დამატებით ფონდში უკვე შეტანილია 10.000 ტონაზე მეტი ფოლადი.

მეტალურგები რომ სიტყვის ხალხია, იჭიდაც ჩანს, რომ მათ ორი თვით ადრე შეასრულეს ნაყისრი წლიური ვაღებულება — პროდუქციის თვითღარებულების შემცირების გზით შეიღწეულეს კონომიურ ფონდში შეიტანეს 12 მილიონი მანეთი.

ფართო გვეგებს ითვალისწინებს მეტალურგების შეიღწევა. 1965 წლის ბოლოსათვის ერთიორად უნდა ვიზირდოს ქართული ფოლადის, თუჯის, ნაგლინისა და სხვა მეტალურგული პროდუქციის წარმოება. გამოიანგარიშეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, მეტალურგებმა საქვეყნოდ იყისრეს პროდუქციის წარმოების 1965 წლისათვის გათვალისწინებულ დონეს მიღწეონ ორი წლით ადრე, 1963 წლის ბოლოსათვის.

შესანიშნავი შედეგები გამოილო წარმოებაში ბუნებრივი გაზის გამოყენებამ. მან განსაკუთრებით გაზარდა ბრძმედისა და მარტინის ლუმელების წარმოდობა და, რაც მოთავარია, თუჯისა და ფოლადის წარმოება. პროდუქციის წარმოების მეეტორი ზრდა გამოიწვია, აგრეთვე, მარტინის ლუმელებში თხვეადი თუჯის, ხოლო ბრძმედის წარმოებაში ეანგადის გამოყენებამ.

ყოველდღე სასიხარულო ცნობები მოდის რუსეთის სხვა საწარმოებოდანაც. ცემენტის ქარხანამ, რომელსაც არსებობის შედარებით პატარა ისტორია აქვს, მიადწია საბჭოთა ეკონომიკის ლუმელების მარჯო გამოყენების ყველაზე მაღალ კოეფიციენტს. რუსეთის მეეტემურტეები მიღწეულს არ სჯერადებიან. ისინი ითვალისწინებენ პროდუქციის შემდგომ ზრდას, მაღალი მარკის ცემენტის ათვისებას. შრომის ნა-

ყოფიერების მკვეთრ ზრდას და თვითღირებულების შემცირებას. მეცემენტები კანონიერად ამაყოფენ იმით, რომ პირნათლად ასრულებენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაყისრ ვალდებულებებს.

...გულს ახარებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიღწევები. მათში თავისი წვლილი რუსთავის ჭიმიკოსებსაც მიუძღვით. მათ მიერ დამზადებული მინერალური სასუქებით განაყოფიერებულ მიწაზე ჩაის, ციტრუსების, სიმინდის, ყურძნისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი მოდის.

რუსთავის ავტოტრავნი სასუქების ქარხანა ერთ-ერთი მძლავრი ჭიმიკური ობიექტია რესპუბლიკაში. ჭიმიკოსების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წელს თავი დააღწიეს იერიშობანას და წარმატებით ასრულებდნენ გეგმებს.

კვლავ შეუფერხებლად მუშაობენ მექანიკური ქარხნის დასვები. ეს ქარხანა სათვალავით შეაოხება, აქ დამზადებული მექანიზმები თუ ცალკეული დეტალები იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, საზღვარგარეთ.

მეტალურგიულ ქარხანაში რომ შეხვალთ, ერთ დიდ დაფას დაინახავენ, დაგანტრავსებთ ქარხნის მოწინავე ადამიანების პორტრეტები. აი, აგერ, შავკერძმანი გრუხა ბიჭი რომ ჩანს, ა. შამაშვილია — მებრძვედეთა ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მას მხარს უმშვენივრებს ს. საუვარაძეძე, დ. შამანია, ს. სიხარულიძე, ნ. კურიაშვილი, ვ. მეზაბიშვილი, პ. წერეთელი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სხვა. ისინი ოქროს ფონდს წარმოადგენენ, სათავეში უდგანან რუსთავის შეიღწეულს და, როგორც იტყვიან, დროსაც დიდად უსწრებენ.

მოწინავე ადამიანები სხვა ქარხნებშიც ბლომად არიან. ვინ არ იცნობს ცემენტის ქარხანაში რ. ჰივინაძეს, მ. ჩხიტინიძეს, ე. კოტიოლიანს, ლ. სოსელიას; ავტოტრავნი სასუქების ქარხანაში — ლ. სერედიანს, ს. სარდანიძეს, ლ. მეტროპოლიტს, გ. ჩიტაშვილს, მშენებლობათა სამმართველოში — გ. დემეტრაშვილს, შ. მოდებაძეს, ა. ზოდელავას, გ. კურავსკის, ა. ვოგატიშვილს და სხვებს. მათ ქალაქში ქებითა და დიდებით იხსენიებენ.

კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურისათვის ამ სიტყვებს ახლა გაავრცობთ ყოველ ფეხის ნაბიჯზე, დაზუსტად, კულტურის სასახლეში, ოჯახში, და აქ ვასაყობს არაფერია. ამ სახელის მოსახვეჭად იბრძვიან ბრიგადები, ცვლები, საამქროები, უბნები, ქარხნები, თვით ქალაქი.

სუვასტოპოლის, ოდესისა და სუვასტოპოლის მაგალითის მიხედვით რუსთავში ბევრი კინტერესო ლონისძიება განხორციელდება, ერთი ლონისძიება ითვალისწინებს ავტობუსების მუშაობას უკონტროლოდ, — კინოთეატრებში კონტროლის შტატის გაუქმებას, დასვენების პარკში უფასოდ შესვლას, ქალაქში მილიციის საგნაგობის გაუქმებას, საამქროებში ტექნიკური კონტროლის განყოფილებებზე უარის თქმას და სხვ.

...ცენტრალურ მოედანზე ვართ. ეს ლამაზი ადგილია. ამას წინათ აქ გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი. აქვე უერთდებანს იპრობს ოთხსართულიანი თეთრი შენობა. მის საბუთების სახლს უწოდებენ. მუკობზე სართულზე მოთავსებულია ქალაქის საბჭოს საარქიტექტურო განყოფილება.

— რუსთავის შესანიშნავი მომავალი აქვს, — გვეუბნება მთავარი არქიტექტორი შ. ბაღაშვილი. — საგმარისა აღინიშნოს, რომ მიმდინარე შეიღწეულში აშენდება და მუყობრში ჩადდება კიდევ ოთხი დიდი ქარხანა. ესენია სინთეზური ბოქვოს, კაპროლაქტამის, სახლსამშენებლო და თამაშობის ქარხნები. გარდა ამისა, მუყობრში ჩადდება მსუბუქი და კვების მრეწველობის შრავალი საწარმო. ქალაქის შეიღწეულიანი გეგმა ისეა შედგენილი, რომ თუ გერ კიდევ რუსთავი მარტო მეტალურგიული მრეწველობის ცენტრად ითვლება, მაღე იგი რესპუბლიკის ჭიმიკური მრეწველობის ცენტრად გადააქცევა.

ოთხი დიდი ქარხნის, აგრეთვე, არსებული საწარმოების გაფართოება მოითხოვს უდიდეს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას, ქალაქის შემდგომ კეთილმოწყობას.

ახლაგარდა ქალაქს ბევრი სტუმარი პყავს. აი რა ჩაუწერია შთაბეჭდილებათა წიგნში ანტონ ნოვოტინს — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს:

„ქალაქი რუსთავი — სასწაულმოქმედი, შესანიშნავი ქალაქია, და ადამიანებიც ამ ქალაქში შესანიშნავები არიან. მათ უყვართ თავიანთი ქალაქი, ქარხანა, ცხოვრება, შრომა. მე მინდა მივესალმო მათ ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სახელით“.

გადაშლით მეორე ფორცელს და კათხლობით: ქალაქმა რუსთავმა, მეტალურგიულმა ქარხანამ, ჩვენზე წარმუღელი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ მოხარული ვიყავით გავეცნობოდით თქვენ ადამიანურ ცხოვრებას. ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნ. ა. რუ“.

ეს შესანიშნავი ქალაქი, საქართველოს ინდუსტრიის ერთ-ერთი ცენტრი, რუკაზე მხოლოდ თორმეტი წლის წინ აღინიშნა.



რეპიო ბეჰიძე

პოლიტიკა და დიპლომატიკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, აღნიშნულია: „თავის საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობის მთავარ მიზნად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიიხანია: უზრუნველყოს მშვიდობიანი პირობები სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების ამწეობისა და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარებისათვის და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად იხსნას კაცობრიობა გაჰანადგურებული მსოფლიო ომისაგან“.

ამრიგად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა მჭიდროდა დაკავშირებული ჩვენს ეკონომიკასთან, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანებთან. კაცობრიობის განვითარების ისტორია უტყუარია ქვეშაობებით აღსატურებს, რომ ეკონომიკა და პოლიტიკა მჭიდროდა ერთმანეთთან დაკავშირებული, ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, პოლიტიკა არის კონცენტრირებული ეკონომიკა, „პოლიტიკა არის მეცნიერება ოა ხატოვანება“.

პოლიტიკად ჩვენ ვგულისხმობთ იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებსაც საზოგადოებრივი კლასები ისახავენ თვითანთი ინტერესებისათვის ბრძოლაში, ეს ის მეთოდები და საშუალებებია, რომელთა შემწეობით შესაძლებელი ხდება ამ ინტერესების დაცვა. ქვეშაობითა ის დებულებაც, რომ პოლიტიკაში ძალების აწონ-დაწონისას საჭიროა წინააღმდეგობათა გათვალისწინება. მომხრე და მოწინააღმდეგე ძალების სწორად გასათვალისწინებლად პოლიტიკა მეცნიერულ დასაბუთებას უნდა ემყარებოდეს. ვ. ი. ლენინს ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა ამბობდა, რომ პოლიტიკა ჰგავს მათემატიკას, თანაც, უფრო უმაღლეს მათემატიკას.

სოციალ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის გაგრძელებაა და, როგორც წესი, მიზნად ისახავს უზრუნველყოს უაღრესად ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებსაც ამა თუ იმ ქვეყნის მმართველი კლასი აყენებს.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიზანია, შეიქმნას ყველაზე ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები, რათა გადაიჭრას მრეწველობის აღმავლობის და სოფლის მეურნეობის განვითარების, შემდგომი ტექნიკური პროგრესის, ხალხის მატერიალური და კულტურული ღონის ამალღების ამოცანები, აგრეთვე შეიქმნას ხელსაყრელი პირობები სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის სოციალიზმის გზით განვითარებლად. ვლადიმირ ილიჩმა უმთავრესად საგარეო პოლიტიკაზე, ჩვენ სრულიად არ ვფიქრობთ საგარეო პოლიტიკის გამოყოფას საერთო პოლიტიკისაგან. ვ. ი. ლენინი სამართლიანად მიუთითებდა, რომ „საზოგადოდ პოლიტიკისაგან „საგარეო პოლიტიკის“ გამოყოფა, ან მით უმეტეს, საშინაო პოლიტიკისაგან საგარეოს დაპირისპირება — ძირფესვიანად უმართებულო, არამარქსისტული, არამეცნიერული აზრია“.

ხალხთა შორის მშვიდობა მუდამ იყო მოწინავე ადამიანთა ოცნება. ჯერ კიდევ ძველ სამყაროში მშვიდობაზე ლაბრაკობდნენ და წერდნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორც იყვნენ ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი და რომაელი პოეტი ვირგილიუსი. კაცობრიობის მოწინავე მოაზროვნენი საზოგადოების ისტორიის მთელ მანძილზე დაუღალავად ჰადაგებდნენ, რომ მშვიდობა უნდა სუფთედეს ხალხთა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მაგრამ შედარებით ფართო ხასიათი მშვიდობის იდეის პროპაგანდამ მიიღო მაშინ, როცა ახლადმოხილი ბურჟუაზიული წყობილება განმტკიცებას საჭიროებდა. ფილოსოფოსმა კანტმა „მარადიულ მშვიდობაზე“ წამოიწყო ლაპარაკი. მაგრამ კლასობრივ საზოგადოებაში ამ საზოგადოების იდეოლოგიამ და მმართველი წრეები მხოლოდ სიტყვით უქერდნენ მხარს მშვიდობას.

სულ სხვა მდგომარეობაა უკლასო, სოციალისტურ წყობილებაში, სადაც ძალა-უფლება მშრომელებს ეკუთვნის და ხალხთა ერთიანობის მთავარ პრინციპად მშვიდობაა აღიარებუ-

ლი. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ ახლდმოხილი საბჭოთა სახელმწიფოს პირველი სიტყვა 1917 წლის ოქტომბერში იყო მშვიდობა. სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის მიერ გამოქვეყნებული დეკრეტი ზავის შესახებ საბჭოთა სახელმწიფოს პირველი საგარეო პოლიტიკური აქტია, რომლითაც ახალი ეპოქის დაწყება აღინიშნა საერთაშორისო ურთიერთობაში. ლენინის მიერ ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკის პრინციპები საფუძვლად დაედო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელ საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამას მჭერმტერველურად ადასტურებს საბჭოთა მთავრობის დიპლომატიური მიწერ-მოწერა, პარტიული კონფერენციებისა და ყრილობების მრავალრიცხოვანი გადაწყვეტილებანი. საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების უკლებლად ყველა გადაწყვეტილებაში საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე წითელ ზოლდაა გაკლებული მშვიდობისათვის ბრძოლის იდეა.

საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს თანმიმდევრულ ბრძოლას მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ნათელ ზესტ და მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკის დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოებში უპირისპირებენ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას. სოციალისტური ბანაყის ქვეყნების წარმატებებით გაბოროტებული ყველა ქვეყნის იმპერიალისტები მთელ ძალდონის ძაბავენ იმისათვის, რომ მოამზადონ და წამოიწყონ ახალი-მსოფლიო ომი, მიმართავენ ღონისძიებებს იმისათვის, რათა არ დაეშვან საერთაშორისო ვითარებაში დაძაბულობის შენელება, გააძლიერონ გამაღებელი შეიარაღება, საფრთხე შეუქმნან საყოველთაო მშვიდობას და ხალხთა უმეზრობას. ამერიკელი ბიზნესმენების ფერნალი „მაგაზინ ოფ უორლდტრიტი“ განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „საერთაშორისო ვითარების შენელების ყოველგვარი ნიშნის მოსპობის შედეგად კიდევ უფრო მეტ მწეკეთებს მიიღებენ ისედაც გადატვირთული კომპანიები, რომლებიც თვითმფრინვაებს და სხვა საომარ საქურველს აწარმოებენ“.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1949 წელს შეაკოწიწეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბლოკი — „ნატო“, რომელიც მიმართულია სსრ კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. გამაღებულმა შეიარაღებამ გამოიწვია ის, რომ საშხედრო პროდუქციას ამერიკის შეერთებულ შტატებში ამეამად დაახლოებით ერთ მეზუთედ აღწეული უკავია ამ ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის საერთო გამოშვებაში. ინგლისში საშხედრო დაკვეთებზე მოდის მთელი სამრეწველო წარმოების ერთა

მეშვიდედი ნაწილი. დასავლეთ გერმანიის მთავრობა წელიწადში ერთ სტუდენტზე ზარჯებს 105 მარკას, ბუნდესვერის ერთ-ერთი კარგად 25.000 მარკას, ე. ი. 238-ჯერ მეტს.

საბჭოთა მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკაში უდღედეს ყურადღებას უთმობს სხვადასხვა სოციალური სისტემის შქონე სახელმწიფოთა თანაარსებობის პრინციპს. უფრო მეტად, ეს პრინციპი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია.

1917 წელს რუსეთში იმპერიალიზმის ვრთიანი ჯაჭვის ვარღვევით და ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო სოციალიზმის ძლევა-მოსილი წინსვლა. სოციალისტური წყობილების ისტორია მხოლოდ 44 წელს ითვლის, მაგრამ დროის ამ მოკლე მონაკვეთზე ვაკეთებულა ძალიან ბევრი რამ: სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა; ერთ მილიარდ 400 მილიონმა კაცმა თავი დაიბნა კოლონიური ჩაგვრისაგან; პროგრესული ძალები სწარბობენ რეაქციის ძალებს; სოციალიზმის იდეა შარხერბელოვ იკავავს გზას მთელი მსოფლიოს მშრომელთა ყველა ფენაში.

სოციალიზმის მომხრეებს ღრმად სწამთ, რომ გამარჯვებს სოციალიზმი, რომ კაპიტალიზმი, განწირულია. მაგრამ მათ ამავე დროს მიანიათ, რომ როცა საზოგადოების განვითარების კანონზომიერების შესაბამისად სოციალიზმი წინ მიდის, ხოლო კაპიტალიზმი შეუხერხებლივ მიეჭანება თავისი აღსასრულისაკენ, ეს სისტემები მშვიდობიანად უნდა თანაარსებობდნენ, ეინაიდან არ არსებობს არავითარი აუტრალელობა, რომ სახელმწიფოებმა იარაღის ძალით თავს მოახვიონ ერთმანეთს სისტემა, რომელიც მათ მოსწონთ. ამიტომ არა მარტო სოციალისტური ბანაყის ქვეყნების ხალხები, არამედ მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალები უდღედეს მნიშვნელობას ანიჭებენ თანაარსებობის ღენინური პრინციპის განხორციელებას. მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი თანდათანობით იქითკენ იხრება, რომ ამ პრინციპის განხორციელებისათვის საჭიროა ყველა საშუალებებით ბრძოლა. ამერიკელი ბურჟუაზიული ვაზუთი „ეკონომისტ პოსტი“ სტატიაში „24 საუენის შემდეგ“ წერდა: „32 წელს ჩეკომად სპარტელები ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რომ მათი ცხოვრება ათეულების გვერდით პირდაპირ შეუძლებელია — ორი სისტემა შეუარიგებელია. როცა ათენი განადგურებულა, საყოველთაო მშვიდობა მაშინ დაშყარდება — დ. ე. ასე დაიწყო პელეპონესის ომი, რომელშიც ძველი საბერძნეთი გააპარტახა. მის შემდეგ გასული 2392 წლის მანძილზე თვითუღლ ერს ყოველთვის მიანდა, რომ მას გზას უღობავს რომელიღაც ახალი მტერი და რომ ყველა წინა შემთხვევისაგან განსხვავებით ამ ერის

საქმე ღირს იმად, რომ დაიწყოს მისი გული-სათვის ომი.

როგორ არ უნდა გამოვთქვათ სინანული, რომ ჩვენ დღემდე ვაზროვნებთ იმავე არაბულ კატეგორიებით, რომ ჩვენ დღემდე ჩაფიქრებულნი დავსკვებით ჩვენს რევუტს და ვაგვყავს უკველგვარი ხაზები სწორედ ისევე, როგორც ამას აკეთებდნენ სპარტელები 24 საუკუნის წინათ, რომ ჩვენ დღემდე ვჯვარა, თითქოს დათრგუნაეთ რაკიდევ ერთ მტერს, ჩვენ ფეხს შევდგამთ ათასწლოვან ოქროს საუკუნეში?..

მეორე მსოფლიო ომის შედეგად მნიშვნელოვნად შესუსტდა იმპერიალისტური სისტემა, მნიშვნელოვნად განმტკიცდა სოციალიზმის ბანაკი. მოხდა რევოლუცია მეცნიერებასა და ტექნიკაშიც, განსაკუთრებით სამხედრო მეცნიერებაში. თოფის წინაღობა თანამედროვე სამხედრო იყო, მაგრამ რამდენად უფრო სამიზნა ატომური და წყალბადის ბომბებით თანამედროვე ამიტომაც კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელი და საღად მოაზროვნე ადამიანები აზაფერ კარგს ახალ ომისაგან არ მოელოან.

მაგალითად კრუპი (ჟემერსონი) წიგნში „გერმანიის მომავალი“, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოვიდა, წერს: „თქვით, ჩვენ ხეთი-ექვსი წლის შემდეგ კვლავ დაიწყებთ ომი. დაეშვით, რომ ჩვენ შევძლებთ ჩვენი აღმოსავლეთელი თანამემამულეებისა და საბჭოთა პოლონეთის დათრგუნვა. ეს გერმანიის მოსახლეობის 50 პროცენტს შეიწირავს. მერე? საომარ მოქმედებაში რუსეთის დივიზიები ჩაებმებიან. ჩვენ დაეკარგავთ დანარჩენ 50 პროცენტს და ამით დამთრგუნება გერმანელი ხალხის მიერ სავალაო ისტორიაა“. ამგვარი მსჯელობა ბევრ რამეს ეუბნება მძარცველთა ლაშქრობათა მოყვარულებს.

საბჭოთა მთავრობას მიჰანია, რომ სახელმწიფოთა შორის არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს ისეთი სადავო საკითხები, რომლებიც მშვიდობიანი, დიპლომატიური მოლაპარაკების გზით ვერ მოწესრიგდება.

ცნობილია, რომ დიპლომატიად იგულისხმება სახელმწიფოთა შორის ისეთი მოლაპარაკება, რომელიც გულისხმობს სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრას. თავის საგარეო პოლიტიკას სახელმწიფო თავისი დიპლომატიების ან მთელი დიპლომატიური უწყების მეშვეობით ახორციელებს. გარკვეული თვალსაზრისით დიპლომატია არის პოლიტიკის იარაღი, საგარეო პოლიტიკის განხორციელების ტექნიკური საშუალება. ბურჟუაზიული ქვეყნების დამპყრობლურ საგარეო პოლიტიკას შეესაბამება მთი დიპლომატია.

პირველ მსოფლიო ომამდე საერთაშორისო

პოლიტიკა ძირითადად იყო ხელისუფლების სათავეში მდგომი პირებისა და დიპლომატიების საქმე. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი პარლამენტები არ სარგებლობენ მანერა, რეალურად კონტროლის თითქმის არავითარი უფლებით. მართალია, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის მიზნით, ხელი იღეს საიდუმლო დიპლომატიაზე, მაგრამ მხოლოდ სიტყვით. სახელმწიფო საქმეების ისევ ისინი მართავდნენ, ვისაც საიდუმლოებას ანდობდნენ, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკას წინააღმდეგობა ბურჟუაზიული სამყაროს საქმისნები ხელმძღვანელობდნენ. მეორე მსოფლიო ომში, გამართლა ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ იმპერიალიზმის დიპლომატია იმ პოლიტიკის იარაღია, რომელიც „ხალხებს საზარბაზნე ხორცად აქცევს“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხალხები სულ უფრო გაბედულად ერევიან სახელმწიფო საქმეებში და მათი გავლენა საერთაშორისო ცხოვრებაში სულ უფრო ძლიერად იგრძნობა. ხალხის ცხოვრებისაგან გათიშული დიპლომატიის ეპოქა დამთავრდა და ახლა არ არსებობს მსოფლიოში ისეთი მთავრობა, რომელსაც შეეძლოს თავის მოქალაქეთა აზრებისა და გრძნობების უგულებელყოფა თავის საგარეო პოლიტიკაში. სწორედ საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებამ სტალინის მიწოდების პერიოდში სერიოზული დამბრკოლება შეუქმნა იმათ, ვინც ატომური ომის გაჩაღებას ლაშობდა. სწორედ საზოგადოებრივმა აზრმა აიძულა საფრანგეთის მთავრობა შეეწყვიტა ომი ვიეტნამში, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობები — უარი ეთქვათ „ევროპის თავდაცუთა თახაზის ნაწილობრივად“. საზოგადოებრივმა აზრმა ვერ შეუშალა ხელი ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, მაგრამ მან მნიშვნელოვნად შეაფერხა ამ შეთანხმების განხორციელება. სწორედ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების დიადი ეროვნულ-გამთავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი.

არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ახალ ფაქტს — ხალხის ძალების უშუალო ჩარევას საერთაშორისო ცხოვრებაში.

საუკუნეთა განმავლობაში ხალხები ჩამოშორებული იყვნენ სახელმწიფოთა ურთიერთობის საკითხებისაგან. ამ ურთიერთობას წარმართავდნენ საზოგადოების პრივილეგიური წრეები, რომლებიც თავიანთი პირადი ინტერესებისათვის იყენებდნენ დიპლომატებს. ხელმწიფის პირადი ნება და სურვილი მიმართულებას აძლევდა საგარეო პოლიტიკას, ძლიან ხშირად ხელშეკრულებებს მხოლოდ შეეთვა ნათესაობრივი კავშირი წარმოშობა, რაც დიდ ზიანს აყენებდა

ხალხთა ინტერესებს. ასეთი როლი შეასრულა ფრანგი და ესპანელი ბურბონების 1761 წლის საოჯახო ხელშეკრულებამ. ამ ხელშეკრულების შედეგად ესპანეთი ჩათრეულ იქნა ომში ინგლისის წინააღმდეგ, ასეთი დიპლომატია აბსოლუტურ საიდუმლოებას მოითხოვდა. „საიდუმლოება საქმის სულა“.—წერდა რიშელე თავის მემუარებში. დიპლომატიის საიდუმლოება იყო დნენ მხოლოდ მეფეებმა, მათმა მინისტრებმა და ელჩებმა. უკანასკნელნი იმ დროს დიდმანქნელოვან როლს ასრულებდნენ.

ესეთ პირობებში, როცა არ იყო ტელეფონი, ტელეგრაფი, ავიაცია, და არ არსებობდა სამშობლოსთან სწრაფი დაკავშირების არავითარი საშუალება, სწორედ ისინი განსაზღვრავდნენ პოლიტიკის მიმდინარეობას და შედეგს, რიშელეს და მანარინის თავიანთი დიპლომატიური კარიერის მანძილზე არც ერთხელ არ ჰქონიათ შემთხვევა ენახათ ბერკის ის უცხოელი მინისტრი, რომლებთანაც ისინი წლობით თავიანთი ელჩების მეშვეობით აწარმოებდნენ პოლიტიკურ ურთიერთობებს.

მაგრამ დრო გავიდა და ვითარება შეიცვალა. დიპლომატიის ტრადიციული ფორმების შეცვლა დაიწყო ტექნიკის პროგრესის გავლენით, რომელიც შეამოკლა მანძილი ქვეყნებს შორის და გააადვილა პირადად კონტაქტები. კიდევ უფრო დიდი გავლენა მოახდინა მეორე მტრად მნიშვნელოვანმა ისტორიულმა ფაქტმა: ეროვნულ თვითშეგნების გაღვივებამ და ეროვნული არმიების შექმნამ. საზოგადოებრივი აზრი გახდა ფაქტორი, რომლისთვისაც ამიერიდან ანგარიში უნდა გაეწიათ, რამდენადაც ომებს მსოფლიო ომებად ვადაქციებს ტრენდენცია ჰქონდათ და აღარ შეიძლებოდა დაქირავებული არმიის იმედით დარჩენა; არამედ საჭირო იყო საყოველთაო მობილიზაციის მოშველიება. აქედან იმ პროპაგანდის აუცილებლობა, რომელმაც უდიდესი განვითარება ჰპოვა XX საუკუნის ისეთი გამოგონებების მეოხებით, როგორიცაა რადიო, კინო, ტელევიზია, რომ არაფერი ეთქვით პრესაზე. მაინც ამას არ მოჰყოლია საიდუმლო დიპლომატიის მოსპობა. მაგრამ როგორც კი საზოგადოებრივი აზრისა და პარლამენტების აუცილებლობის უგებლებელყოფით გამოიყენებდნენ საიდუმლო დიპლომატიას, ამას მუდამ დაშლბუვლი შედეგი მოჰქონდა.

ამჟამ ბრეზიდენტი ვილსონი თავის „თოთხმეტ მუხლში“, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, პროპაგანდის მიზნით ცდილობდა საიდუმლო დიპლომატიის მოსპობას და საზავო ხელშეკრულებების საჯარო განხილვას მოითხოვდა. მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც უკანასკნელად პარიზის კონფერენციაზე მშვიდობის ბედობაზე წყვეტდნენ, კვლავ საიდუმლო მოლაპარაკებას დაუბრუნდნენ, მიუხედავად სიტყვი-

ერი აღიარებისა, რომ საზოგადოებრივი აზრის ვარჯიშით მათ შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ უარყოფითი შედეგი ჰქონდეს. [ქვემოთ] ბრეზიდენტი მთავრობათა მეთაურებმა დაადგინა, რომ პრესის წარმომადგენლები შეიძლება დაშვებულ იქნან პლენარულ სხდომებზე, მაგრამ მათ ცნობებს ცენზურა გაეწევა, ახლა კერძოაღიარებულ პლენარულ სხდომებზეც არ უშვებენ. ცენზურაც არ არის, მაგრამ მათთვის და მათი მეშვეობით საზოგადოებრივი აზრისათვის იმართება პრეს-კონფერენციები, რომლებიც მტრსაყლები ობიექტურობის სულისკვეთებით მიმდინარეობს.

საზოგადოებრივი აზრის ჩარევა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში ხელს არ უშართავს ბურჟუაზიულ დიპლომატებს. ცნობილი ფრანგი დიპლომატი კამბონი წერდა: „პოლიტიკამ, საერთაშორისო პოლიტიკამაც კი ამიერიდან მიატოვოს სახელმწიფო შოლდინეთა კაბინეტები. მასში ქუჩის აღამიანი ჩაერია. იგი შეიტანს თავის აღგზნებას, თავის ინსტინქტებს, თავის ცრურწმენებს, თავის უცილობას და ამით ამოცანას გაუძნელებს იმ აღამიანებს, რომლებიც კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით შეეცდებიან შევლადონ მის გონიერებას“. კამბონი დიპლომატიურ საქმეებში მართო „ქუჩის აღამიანის“ ჩარევის წინააღმდეგ როდი გამოდის; იგი აშკარად ილაშქრებს დემოკრატიული პრინციპების წინააღმდეგ და აცხადებს, რომ „დემოკრატია მუდამ ეუოლება ელჩები და დესპანები, მაგრამ საკითხია, ეყოლება თუ არა მას დიპლომატიები“.

ბურჟუაზიულ დიპლომატს არ შეეძლო და არც სურდა წარმოედგინა, რომ დემოკრატიულ წყობილებას არ შეიძლება არ ჰქონდეს თავისი დიპლომატია.

სსრ კავშირის და როგორც ევროპის, ისე აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პრაქტიკამ გააბათილა კამბონის უსაფუძვლო მტკიცება. სახელმწიფოს მართვის დემოკრატიულმა სისტემამ შექმნა თავისი დიპლომატია, რომელიც დაუფარავად, აშკარად ეწევა თავის მუშაობას, იცავს ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის საქმეს.

კამბონი სინანულთ აღნიშნავდა, რომ „ხალხი არ განასხვავებს ფარულ დიპლომატიას საიდუმლო დიპლომატიასაგან და ვინაიდან ორივე გამოთქმა მას სინონიმებად მიიჩნია, ამიტომ მისი ზრით როგორც ერთი, ისე მეორე ერთნაირად სახელგატეხილი და საშიშია“.

ამაში კამბონი მართალია. ბურჟუაზიულმა დიპლომატიამ ხალხის თვალში მართლაც სახელს გაიტყუა, ვინაიდან იგი დიდი საიდუმლოების პირობებში ხალხის ზურგს უკან და ხალხის ინტერესების საზიანოდ ხორციელდება. „სი-



დემოკრატიული შეთანხმებები — წერდა ამერიკელი გაზეთი „ნიუ-იორკ ტრიბუნ“ — შეგვიძლია დედოფალი უფრო სწრაფად და ადვილად ვინაიდან საიდუმლოება საშუალებას გვაძლევს მოვიშველიოთ დიპლომატია, დაპირებანი, ის სხვა ტექნიკური ხერხები, რომლებიც იმდენად ეფექტური არ არიან, როცა აშკარად მოქმედებს“.

რაც შეეხება დიპლომატიის საიდუმლოებას, ჩვენ მას ვაღიარებთ, ვინაიდან სახელმწიფოს ინტერესები ამას მოითხოვენ. მართლაც, დიპლომატია ეს არის მოლაპარაკება, უფრო ზუსტად, ვაჭრობა და რატომ საიდუმლო არ უნდა იყოს მოლაპარაკების მიმდინარეობა? სხვა საქმეა მოლაპარაკების შედეგები. ისინი საზოგადოებრიობის კეთილდღეობა უნდა გახდეს.

ბოლოს და ბოლოს მთავარია მოლაპარაკების პრაქტიკა, არამედ შინაარსი. სამართლიანად აღინიშნავდა აკად. ე. ტარლუ უ. ჩერჩილის შიგნით ფულტონში წარმოთქმული სიტყვის გამო: „დიპლომატია ბალეტო რიოდა, და არსებით ის კი არ არის, თუ ვინ, როგორ ცეკვავს: ელვგანტურად თუ ულაზათოდ, უფრო მნიშვნელოვანია, რომელი კეთილდღეობა ცეკვავს ის“.

რეაქციონარ კრიტიკას ვერ უძლებს მტკიცება, თითქოს ბურჟუაზიული ქვეყნების მთავრობები ეროვნული ინტერესების კარნახით მოქმედებენ. განა შეიძლება სერიოზულად იმის მტკიცება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ბოლშევიკის სამინიარო საქმეებში და იქ დემოკრატიული წყობილების დათრგუნვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ განაპოცივდა ამერიკელი ერის და არა — „იუნიტედ ფრუტ კომპანიის“ ინტერესების სასარგებლოდ? განა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, მხარს უჭერს რა ჩინელი ხალხის მოლაპარაკებს ჩანკაი-ში, ამერიკელი მუშების, ფერმერებისა და მშრომელი ინტელიგენციის ინტერესებს იცავს? ან რაში სჭირდებათ ინგლისელ და ფრანგ ხალხებს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ? ვის შეუძლია თქვას, რომ გერმანელი ერის ინტერესებს სასარგებლოდ მოქმედებს აღენაუერის მთავრობა, რომელიც სამხედრო ბანაკად აქცევს თავის ქვეყანას? ზომ ცნობილია, რომ იარაღის ელარენი აშკარად არარენტაბელურია გერმანელი ხალხისათვის. ორი მსოფლიო ომის გამოცდილება ამას აშკარად ადასტურებს. საესებით მართალი იყო გერმანიის უოფილი კანცლერი, აწ განსვენებული იოზეფ ვირტი, რომელიც ამბობდა, რომ შეიარაღება მალამო არ არის გერმანიისათვის, გერმანიის ხსნა ომში კი არა, მშვიდობაშიაო.

კაბიტალიზმის ერას ბოლო ეღება. ეს ნათელია ყველასათვის. სწორედ ამიტომ არის, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მისაძებნი და პირველ ყოვლისა, დიპლომატია, გონივრუ-

ლი პოლიტიკის ნაცვლად აინტერესას და პროვოკაციას მიმართავენ. აინტერესობენ და უგუნურ პოლიტიკას სოციალისტური რანსის მეთაური საბჭოთა სახელმწიფო უპირისპირებს ხალხების საკეთილდღეო აშკარა და ქმედით დიპლომატიას. ამიტომ საბჭოთა საგარეო სამშვიდობო პოლიტიკას, მის დიპლომატიას მხარს უჭერენ მსოფლიო პროგრესული ძალები. შემთხვევითი როდია რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს ხალხთა შორის მშვიდობის მოამაგეს უწოდებენ და ეს არა მხოლოდ ჩვენში, არამედ მთელ მსოფლიოში. საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პროექტები და ნ. ს. ხრუშჩოვის აშკარა, პირდაპირი და დასაბუთებული გამოსვლები წინასწარობას უკარგავენ იმპერიალისტური ქვეყნების მესვეურთა და დიპლომატებს. მაგრამ ის, რაც გზა-კვალს უნებნის ბურჟუაზიას, გზას უნათებს მშვიდობისათვის მებრძოლ ხალხებს.

იმპერიალიზმის აგრესიულ ხასიათს მილიანად შეესაბამება ბურჟუაზიული ქვეყნების დიპლომატიური აპარატის პირადი შემადგენლობა. ნატიველი შრომაში „ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს და დიპლომატიური სამსახურის პირადი შემადგენლობა 1851—1929 წლებში“ წერს: „დიპლომატიური სამსახურის მოხელეთა 60 პროცენტი აღიზარდა 11 ყველაზე ძვირ სასწავლებელში. დანარჩენებიდან ნახევარზე მეტმა ისწავლა სხვა პრივილეგირებულ სასწავლებლებში, მიიღო სამხედრო ან სამხედრო-სახლგაო განათლება, სწავლობდა ყერძოდ, ან სახლგარეგარეთ. დიპლომატთა კატეგორიის 86 პროცენტი შეჩვეული არისტოკრატების — რანტიების, ბიუროკრატებისა და თავისუფალი პროფესიების პირთა შემადგენლობადაა“. ამრიგად, ბურჟუაზიული ინგლისის საგარეო პოლიტიკა მუდამ უზრუნველყოფილია დიპლომატიური უწყების მთელი აპარატის მხარდაჭერით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ისევე, როგორც ინგლისში და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, დიპლომატიური უწყება პრივილეგირებული პირებისაგან შედგება. ამ უწყების მთავარი ნიშანია—დიპლომატიური სამსახურის გასამხედროება, შტატების არაქვეყნობივი გაზრდა და ამის შედეგად — დიპლომატიისა და სახლგარეგო შემოაბის ერთმანეთში არევა. საგულისხმო დეტალი: თუ 1790 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ელმბრატამენტში სულ 8 კაცი, ხოლო მეორე მსოფლიო ომის წინ 1938 წელს 953 კაცი მუშაობდა, 1946 წელს უკვე 7623 კაცი ირიცხებოდა, ხოლო სახლგარეგათელ საფუარზე 11.115 კაცი იყოფებოდა. ინგლისის პრესის ცნობით, 1955 წლის 1 იანვრისათვის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შტატში ლონდონში 1300 კაცი იყო. ეს საელჩო უნაკა-

ღერია არა მარტო რიცხობრივი შემადგენლობით, არამედ თავისი ფუნქციებითაც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „დაბლომატიზის“ მთლიანი რაოდენობის ორ მესამედს არაფერი აქვს საერთო დიპლომატიასთან და სადაზვერულო-ძირგამომსწრელ საქმიანობას ეწვეა.

შეშასადავებ, თანამედროვე ბურჟუაზიული დიპლომატიის განსხვავება წინანდელისაგან მდგომარეობს უმთავრესად ფორმაში და არა შინაარსში. ბურჟუაზიული დიპლომატიის შინაარსი, ამასთან ძირითადად იყო და რჩება ხალხთა და სახელმწიფოთა ერთმანეთის წინააღმდეგ წასისრება, ომის ღრმა საიდუმლოებით მოწინააღმდეგე. მაგრამ ხალხები არმდებლად იბრუნდებიან მსოფლიო ომის მწერად გამოცდილება ახსოვთ, სულ უფრო აქტიურად ერევიან საგარეო საქმეებში და აიძულებენ თავიანთ მთავრობებს ღირსის ელარუნის ნაცვლად მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა განახორციელონ.

ზემოთ აღნიშნული, რომ საშუალო მთავრობა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ორი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის სახელმწიფოების თანაარსებობას, ხოლო თანაარსებობის განმტკიცებისათვის — სახელმწიფოს თუ მთავრობის მეთაურთა პირად კონტაქტებს.

ბურჟუაზიული სახელმწიფოების თვალსაზრისით მოღვაწენი, გამოიმდინარე იმავე ბურჟუაზიული დიპლომატიის ტრადიციებიდან, უმნიშვნელო გამოწვევის გარდა, წინააღმდეგე არიან ასეთი კონტაქტებისა. ამის ერთგვარ თეორიულ დასაბუთებას იძლევა ამერიკის შეერთებული შტატების ძლანდელი სახელმწიფო მდივანი დინ რასკი თავის წერილში, რომელიც გამოქვეყნებული იყო ქუჩინალ „ფორბს აფერისის“ 1960 წლის აპრილის ნომერში სათაურით „პრეზიდენტი“. მართალია, დინ რასკი შამინ სახელმწიფო დეპარტამენტში არ მოღვაწეობდა, — იგი რაოფელერის ფონდის პრეზიდენტი იყო, — მაგრამ, სრული იმედი ჰქონდა, რომ ახალი საპრეზიდენტი არჩევნების შემდეგ ის სახელმწიფო მდივანი იქნებოდა. ამიტომ რასკის სტატუს ამერიკაში „საპროგრამო“ სტატია უწოდეს.

რასკის მსჯელობის შინაარსი მოკლედ ასეთია: დიპლომატიე ყოველთვის სექტიკურად ეუფრება მთავრობის მეთაურთა ან საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივად მუშაობის იდეას. ამის დასადასტურებლად მას მოჰყავს მეტოხუმეტიე საუკუნის სახელმწიფო მოღვაწის ფილიპე დე კომინის აზრი იმის შესახებ, რომ: „თუ ორ ხელმწიფეს სურთ ჰქონდეთ ურთიერთშორის კარგი პირადი ურთიერთობა, ისინი არ უნდა შეხედნენ ერთმანეთს, უწყობისა კავშირი განახორციელონ თავიანთი კარგი და

ბრძენი ელჩების მეშვეობით“. მოჰყავს რა ეს სიტყვები, რასკი დისყენს, ჰეგელი დროის ცნობილი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე პარიოდ ნიკოლსონიც ან აბრისააო, ისიც არ იწინებს მსოფლიოს სახელმწიფო მოღვაწეების ჩვეულებას პირადი კონტაქტების დამყარების შესახებო. რატომ? რასკი ამ კითხვას უპასუხებს, მაგრამ გრანობს, რომ კონტაქტებო შორს წასვლა არ შეიძლება და იძულებულია ითქვას, რომ „გონივრული იქნება ქვეყნებს შორის ურთიერთობაში პირადი შეხვედრების ხელშეწყობის შესუღვა“. მაინც, კითხვა „რატომ?“ უპასუხოდ რჩება. რასკი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი თავისი უსაფუძვლო დებულების საფუძვლანობაში. დაარწმუნებელი იმამში, რომ ყოველი სახელმწიფოს მეთაური ყოველთვის რადი მოისურვებს ჩავიდეს ვაშინგტონს, რათა პირადად პრეზიდენტთან მოაგვაროს ესა თუ ის სადავო საკითხი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ვალდებული იქნება იმოგზაუროს სხვა ქვეყნებში, რასკი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ერთსა და იმავე დროს არის სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის მეთაური და შეიარაღებული ძალების სარდალი, მას შოლოდ რამდენიმე დღით შეუძლია დატოვის სახელმწიფო და გაემგზავროს სახელარგარეთ. უცხო ქვეყანასთან თუ ქვეყნებთან მოლაპარაკება მოითხოვს ხანგრძლივ დროს და რამე სახელარგარეთ პრეზიდენტის დიდი ხნით გამგზავრების გამო ქვეყნის მნიშვნელოვანი საკითხები გადაუჭრელი არ დარჩეს, უცხო ქვეყნების ხელმძღვანელებთან კონტაქტები და მითთან მოლაპარაკება უნდა მიეღოს სახელმწიფოს საგარეო უწყების ხელმძღვანელს, ე. ი. საგარეო საქმეთა მინისტრს.

ჯერ ერთი, თუ საკითხები მოწინააღმდეგეობა (მოუშხადებელი საკითხებით არამცოთე სახელმწიფოს მეთაურებს, რიგით მუშაკებსაც არ შეუფერით გამოსვლა), რატომ არ შეიძლება მათი გადაწყვეტა მოკლე დროში, ხანგრძლივი და დამყოფნებელი ლაპარაკის გარეშე? მართალია, ბურჟუაზიული დიპლომატიე შეჩვეული არიან შედარებით მეორეხარისხოვან საკითხებდაც თვეობით და ხანდახან წლობითაც კი ლაპარაკსა და წულის ნაყვას, მაგრამ ეს ხომ სავალდებულო არაა ყველასათვის? მეორე, ნუთუ არსებობს სახელმწიფოს მეთაურისათვის თვით მნიშვნელოვანი საკითხი, უფლებ ომის უფროდანი აცილება და მშვიდობის შენარჩუნება? ამერიკის შეერთებული შტატების ის პრეზიდენტი, რომელიც ასეთი ფეხებამდე შეიარაღებულ მრავალმილიონიან ქვეყანას დაამოშინებდა, განიარაღების გზაზე დააყენებდა და ამით მშვიდობის საქმეს შეუწყობდა ხელს, ისტორიაში შევიდოდა როგორც დიდი და გონიერი პრეზი-

დენტი, თუნდაც მის რამდენიმე დღით ან კვირით დაგვიანებინა ამა თუ იმ საშინაო ხასიათის კანონის ძალაში შეყვანა.

პირადი კონტაქტების აოწინააღმდეგებებს პრეზიდენტის ვადტივორტულობა და დროის უკონტროლო ნაძაღვად აქვთ მოტანილი. აქ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზია მოსახლეობის. საგარეო საქმეთა მინისტრს ან სახელმწიფოს სხვა რომელიმე მაღალი თანამდებობის პირს შეუძლია განსუსაზღვრელი დროით აწარმოოს შინაარსსაოცლებული მოლაპარაკება და თანაც მიუთითოს, რომ მოელის თავისი მთავრობის ამა თუ იმ სასიათის ინსტრუქციას. სახელმწიფოს მეთაურს ლოდინი და ინსტრუქციების მიღება არ ესაქიროება. ის ვალდებულია თქვას „პო“ ან არა, და ამით გამოამკლავოს მის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფოს პოზიცია. მოვიყვანოთ ერთი უახლესი მაგალითი.

მიმდინარე წლის მაის-ივნისში ქ. ევიანში, ევენის ახლოს, მიმდინარეობდა მოლაპარაკება საფრანგეთისა და ალჟირის დროებითი მთავრობის წარმომადგენელთა შორის ალჟირის პრობლემის გადასაწყვეტად. საფრანგეთის მთავრობას ალჟირის დროებითი მთავრობასთან მოლაპარაკება არ სურდა, მაგრამ იძულებული შეიქნა საზოგადოებრივი აზრის გავლენით დე-ფიო მოლაპარაკება. ვევიანიდან პარიზს კონსულტაციის მისაღებად გაგზავრებული საფრანგეთის უღვგაციის ზეჰმდვანელი, ცნობილი დიპლომატი ეოქსი, როდესაც ვევიანს დაბრუნდა, ისეთ ახალ წინადადებებს წააწყდა, რომელთა მიუღებლობა შეუძლებელი იყო. მან ახალი კონსულტაციისათვის მიმართა პრეზიდენტ დე გოლს. როგორც შემდეგ ვახუთებმა გაახანურეს. პრეზიდენტმა ტელეფონით უქანუხა ეოქსს: „მოიქეცით ისე, როგორც მე გუშინ საღამოს ვითხარით“.

მიუხედავად იმისა, რომ ალჟირის დელეგაციის წინადადება ურადსაღები იყო, დე გოლს ვინაიდან მოლაპარაკება არ სურდა, ამოეფარათაის დელეგაციას, დელეგაცია კი — პრეზიდენტს და მოლაპარაკება ჩააშალა. მოლაპარაკების ნიუანსები საზოგადოებრიობისათვის ცნობილი არაა, მაგრამ მთელი მსოფლიო დარწმუნებულია იმაში, რომ ვევიანის მოლაპარაკება ჩაშალა საფრანგეთის მთავრობამ, რესპუბლიკის პრეზიდენტმა დე გოლმა. ასე რომ, საქმეს არ შევლის სიტუაციის პოლიტიკის წარმოება და უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრის სხვისათვის შინდობა. ეს უნდა გააკეთოს სახელმწიფოს მეთაურმა.

საბჭოთა დიპლომატია ისეთივე პირდაპირი და ამჟამაა, როგორც მისი პოლიტიკა. მისი მიზანია ბრძოლა ხალხთა შორის მშვიდობისათვის. საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში არ არსებობს

უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, ვიდრე მშვიდობის შენარჩუნება და მისი გაჩაგრევა. ამიტომაც, რომ ამ საკითხებს ზეენმი ურთიერთის მთავრობის თავმჯდომარე, უემოხსენებელი რასკი დემოკოგორად აღნიშნავს, როდესაც მთავრობის თავმჯდომარე იღებს ხელში ასეთი საკითხების გადაწყვეტას, მოგზაურობს სახლ-ვარგარეთ და ამყარებს პირად კონტაქტს სხვა სახელმწიფოების მეთაურებთან, ეს ნრდილს აყენებს საგარეო საქმეთა მინისტრს, მისაღმი ერთგვარ უნდობლობას მოასწავებსო.

სულ ტყუილად წებს ბანი რასკი საბჭოთა მთავრობის შიგნით ნდობის საკითხზე. ჯერ ერთი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ესა თუ ის საკითხი რომ გადაწყვიტოს, ეს რატომ არის მინისტრისადმი უნდობლობა? და, მეორეც, სად და როდის იყო, რომ მოლაპარაკების საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარისთან ერთად არ იყო მისი საგარეო საქმეთა მინისტრი? პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ როდესაც ზეუღლებრივ დიპლომატიებთან საგარეო საქმეთა მინისტრები აწარმოებენ მოლაპარაკებას, სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს მოლაპარაკება ხშირად უშედეგოდ მთავრდება. გარდა იმისა, რომ მთელ რაგ შემთხვევებში ბურჟუაზიული ქვეყნების წარმომადგენლებს სურვილი არა ქვეთ სადგეო საკითხები მოლაპარაკების გზით გადაჭრან, აღსანიშნავია, რომ მათი რწმუნებები შეზღუდულია და დუბოლოვებლად ლებოლო ბენ სულ ახალ და ახალ ინსტრუქციებს თავისი მთავრობისაგან. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს მოლაპარაკებაზე.

საბჭოთა მთავრობის აზრით, მომწიფებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხი უნდა გადაწყდეს სახელმწიფოს ან მთავრობათა მთავრების მიერ. მათი რწმუნება და მოვალეობა ვადილებით მეტია, ვიდრე ზეუღლებრივი ელჩისა ან, თუ გნებავთ, საგარეო საქმეთა მინისტრისა. მათ პირდაპირ უნდა დააყენონ და გადაწყვიტონ ესა თუ ის საკუბრობოტო საკითხი. ისინი არ უნდა ეფარებოდნენ თავიანთი წარმომადგენლებისა და თარჯიმნების ზურგს.

ფაქტები რომ შორეული წარსულიდან არ მოვიშველიოთ, მოვიკონოთ მხოლოდ ზეენი დიდი სამამულო ომი. მიუხედავად ომის მიერ შექმნილი მძიმე საერთაშორისო, სამხედრო და პოლიტიკური ვითარებისა, ანტიპოტლერული კოალიციის სახელმწიფოთა მეთაურებმა, გარდა იმისა, რომ სათანადო საგარეო საქმეთა მინისტრები დიდ მუშაობას ეწეოდნენ, მიანიც საჭიროდ დაიწახეს და შეჭლეს პირადი კონტაქტის დამყარება და კარდინალური საკითხების გადაწყვეტა. ზვენ დროში დიპლომატიის ისტორიის რომელი მკვლევარი იტყვის, რომ თვირანში, იალტასა და ბერლინში მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლებელი იყო მთავრობის

მეთაურთა შეხვედრის გარეშე? და თუ ომის ვითარებაში მთავრობის მეთაურები თვლიდნენ საჭიროდ და ნახულობდნენ დროს ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად, რა უნდა ხელს მათ მშვიდობიანობის დროს შეიკრიბონ და იმსჯელონ სწორედ ამ მშვიდობიანობის გახანგრძლივებისა და განმტკიცებისათვის?

მართალია, ნ. ს. ხრუშჩოვის პირად კონტაქტს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერთან არ მოპყრობია ის შედეგი, რასაც ხალხები მოელოდნენ, მაგრამ ხომ ამბობდა თავის დროზე ვ. ი. ლენინი: ამერიკას მართავს არა პრეზიდენტი, არამედ მონოპოლიზმი!..

მიიჩქ ასეთ კონტაქტს დიდი მნიშვნელობა უქონდა: მან თვალსაზრისი გახადა ათეული მილიონი ამერიკელისათვის საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, გამოამჟღავნა და ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული საგარეო პოლიტიკა, ის პოლიტიკა, რომელიც მოლაპარაკებას არ ცნობს ურთიერთობაში ძირითად მეთოდად და აღიარებს საგარეო პოლიტიკის საკითხებში გადაწყვეტოს ძალის საშუალებით.

ან ავიღოთ უკანასკნელი შეხვედრა ნ. ს. ხრუშჩოვსა და დ. ფ. კენედის შორის ვენაში. იქ სადავო გადაუტრეული საკითხები არ მოგვარებულა და არც იყო ეს გათვალისწინებული შეხვედრის პროგრამით. მაგრამ იქ ერთმანეთს გაეცნენ ორი დიდი და, რაც მთავარია, სუადამსტვა სისტემის მთავრობათა მეთაურები, მოსინჯეს პოზიციები და დააყენეს მნიშვნელოვანი საკითხები, რაც ორივე მხარეს აინტერესებდა. უძველესი, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გამოიჩინეს გონიერულობას, დაყენებული საკითხები გადაწყდებოდა, როგორც ამას არა მხოლოდ სსრ კავშირისა და აშშ ხალხების, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხების ინტერესები მოითხოვენ.

გადუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მეთაურთა პირადი კონტაქტების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ისეთ პატარა ქვეყნებთან, როგორც ავსტრია და ფინეთი, ან ისეთ დიდ ქვეყნებთან, როგორცაა ინდოეთი და ინდო-

ნეზია. ეს ქვეყნები თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური წყობით ბურჟუაზიულია, მაგრამ ჩვენ გვაყავთ ირებს და გვახსოვს, რომ მათთან საერთო ბრძოლა მშვიდობისათვის. ჩვენსა და ინდონეზიას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის სიმტკიცის მაჩვენებელია ის, რომ ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და პრემიერმა სუკარნომ მოსკოვში განაცხადა: როდესაც უცხოეთში მოგზაურობის გეგმას ვაღგენდი, ეს გეგმა ისე შევადგინე, რომ ჩემი დაბადების 60 წლისთავი იმ ქვეყანაში აღმენიშნა, რომელიც ყველაზე უფრო თანმიმდევრული მეგობარია ჩემი სამშობლოსი.

რაცა პირადი კონტაქტების მნიშვნელობაზე ვლაპარაკობთ, ამით სრულიად არ ვამტკიცებთ. თითქოს სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურთა შეხვედრებს შეუძლიათ გადალახონ არსებული კლასობრივი წინააღმდეგობანი, არა ბურჟუაზია თავის პრინციპებს მოლაპარაკებით არ დასთმობს. ეს ჩვენთვის კარგად ცნობილია. ბურჟუაზიისათვისაც კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა სისტემა და მთლიანად სოციალისტური ბანაკი რაიმე პრინციპულ დამოძახე არ წავა. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ამ ორი მოწინააღმდეგე სისტემის თანაარსებობა და მშვიდობიანი განვითარება სავსებით შესაძლებელია. თანაარსებობის განხორციელებისათვის კი საჭიროა დროადრო სახელმწიფოსა და მთავრობების მეთაურთა შეხვედრები და საჭირობორტო საკითხების მოგვარება მათი პირადი ჩარევით. სწორედ ასეთი უნდა იყოს საღი რეალისტური პოლიტიკა და მ-ის გამოშვატეული დიპლომატია.

„სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა, — ნათქვამია სკვ პროგრამაში, — აღამანთა საზოგადოების განვითარების ობიექტური აუცილებლობაა. ომი არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს საერთაშორისო დავის გადაჭრის საშუალება“.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპიდან გამოდიოდა და მომავალშიც გამოვა საბჭოთა დიპლომატია, რომელსაც გზას უნათებს საზოგადოებრივი განვითარების მარქსისტულ-ლენინური თეორია.

სიომე ჩიქოვანი

ნიკო ღორთქიფანიძე

ქართული სიტყვის შთაგონებული და ფაქიზი ხელოვანი ნიკო ღორთქიფანიძე ადრე ჩემი მასწავლებელი იყო. ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, სამი წლის განმავლობაში, გერმანულ ენას მასწავლიდა. როდესაც მისი საგანი პირველ გაკვეთილზე მოხვდებოდა, იგი უსათუოდ რამდენიმე წუთით დაიგვიანებდა. ასეთ შემთხვევაში, მისი შემოსვლისთანავე, ბავშვები მოქნარებას დაიწყებდნენ, ნიკო იტყოდა: „ყმაწვილებო, შინ კარგად უნდა გამოიძინოთ და სასწავლებელში ისე მოხვიდეთო“. მიუხედავად მოსწავლეების ამ ცელქობისა, ნიკო ღორთქიფანიძე ყველას ძლიერ უყვარდა და ყველა უჩვეულო მოკრძალებით ეპყრობოდა. თავადაც მოწაფეებს თავაზიანი საღამით ხვდებოდა და „თქვენობით“ ესაუბრებოდა. ყოველი სამოსწავლო წლის დასაწყისში იტყოდა: „ყმაწვილებო, ცოტა ვისწავლოთ, მაგრამ ის ცოტა კარგად, ბეჯითად ვისწავლოთ“. ნიკო ღორთქიფანიძე ზომიერად მაღალი და თითქმის კათანდარა კაცი იყო. მუდამ ფაქიზად გამოწყობილი და თითქო უნებლიეთ დაღონებული ცხადდებოდა გაკვეთილზე. სქელი ტუჩები, მეჩხერი უღვაშები და კობხად შეკრეპილი მოკლე წვერი ამშვენებდა. სათვალთან დადებული იქცირებოდა და კათედრასთან, ოდნავ წინ დახრილი, მშვიდი ნაბიჯით დადიოდა. სახეზე მუდამ ნაღვლიანი შთაგონება ეფინა და ჩემი ირონიით შეფერილი „მწარე“ ღიმილი იცოდა. ხალზე თავისებური და შეუცნობელი გარეგნობა ჰქონდა.

ნიკო ღორთქიფანიძის ნაწერები მოწაფეობის ემასაც წაკითხული მქონდა.

მისი შემოქმედების დიდი პატივისმცემელი ვიყავი და ძლიერ შეამაყებოდა, რომ ასეთი მწერალი ჩემი მასწავლებელი იყო. მაინც მიკვირდა და ვერ ამეხსნა „დანგრეული ბუდეების“, „მრისხანე ბატონის“ და „ეამთა სიავის“ ავტორი, როგორ გახდა „ცისფერ ყანწელების“ ახლობელი და მათი კრებულების თანამშრომელი. მისთვის დეკადენტობა შეუფერებლად მიმაჩნდა. დახვეწილი გემოვნებით და მაღალი სისადავით გამოთქმული მისი გულისნადები ვერაფრით ვერ დამეკავშირებინა „ცისფერ ყანწელების“ მაშინდელ უცნაურად და უჩვეულოდ გაფრენილ სტრიქონებთან.

გერმანულ ენის გაკვეთილებზე მე სხვა საშუალო მოწაფეებში არაფრით გამოვიჩნეოდი. იგიც ვერ მაჩვენებდა და განსაკუთრებული ყურადღების ღირსად არ მთვლიდა. მხოლოდ ერთხელ, უფროსი კლასის მოწაფეების მიერ გამართულ ერთკლემეოროს გასამართლებაში მონაწილეობა მივიღე. ეტყობა, ამ გამოსვლით მისი ყურადღება დავიმსახურე. მეორე დღეს, გაკვეთილზე გამომიძახა, ჩემმა გერმანული ენის ცოდნამ ვერ დააკმაყოფილა და თავაზიანი კილოთი დამარბა: „თქვენ ერთი რომელიმე უცხო ენა უსათუოდ უნდა შეისწავლოთო“.

განსაკუთრებით ჩამრჩა ხსოვნაში 1921 წლის მარტში, ქუთაისში, თეთრ ხილზე ჩვენი შეხვედრა. იმ ქარიშხლიან დღეებში სწავლა არსად არ მიმდინარეობდა. მე სასწავლებლის შენობაში ვცხოვრობდი და ე. წ. მოწაფეთა ქალაქში ვიმყოფებოდი. ათ მარტს, როცა ქუ-

თაისის ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა იწყებოდა, როცა მენშევიკური მთავრობა გადაიხვეწა და უქიმერიონის მიდამოებში ჯერ კიდევ ბოლშევიკებს ხელში არ აეღოთ მმართველობის სადავე. სწორედ ამ შუალედ წუთებში მთელ ქალაქში უჩვეულო სიწყნარე და ღუმილი გამეფდა. შხიანი დღე გათენდა, და ჩამოვარდნილი სიჩუმე სამაისო და სავარდო ქალაქის იერს სრულიად არ შეეფერებოდა, მაგრამ ხალხის ცხოვრებაში უჩვეულო ხანის დაწყებას თურმე ყოველთვის შესავალივით წინ მიუძღვება რამდენიმე საათიანი დამაფიქრებელი ღუმილი. ამ ღუმილში მკაფიოდ მქლავნდება ხალხის სულიერი მიდრეკელება და თავად სიჩუმე ბუნების სულიერ აღსარებას ემგვანება, იგი თანხმობის მომასწავებელი ხდება. ასეთ გარემოებაში ფიქრი უფრო გამძაფრებული და ხელშესახები გვეჩვენება. ქუთაისშიც ეს სიჩუმე თითქო ისეთი ხილული და შენივთებული იყო, როგორც მთებზე დაფენილი გაზაფხულის მსუბუქი ნისლი. დღის სამ საათზე შინიდან გამოვედი და ამ ხანმოკლე მყუდროებაში თეთრ ხიდთან მივალწიე, ხიდს მიღმა გასვლას ვაპირებდი. თეთრი ხიდი ჩვენი სიკაბუციის მესაიდუმლე და საასპარეზო ადგილი იყო. ჩვენ ამ ხიდიდან ვუყურებდით ქვეყანას და უქიმერიონის მხრიდან შავი ზღვისაკენ გაქცეულ რიონის ტალღებს თვალს ვაყოლებდით. გაზაფხულის მოახლოების მაუწყებელ ყვავილებსაც თეთრი ხიდის ყურეში ვიძინდით და გვიან შემოდგომამდე გულის სიღრმეში ვინახავდით. უჩვეულო ცხოვრების მოლოდინშიც თეთრ ხიდზე მოვხვდი. ქალაქში გამეფებული ღუმილი ხიდის ყურესაც გადადებოდა და რიონიც დაბლობისაკენ თითქო ხმაგაკმენდილი მიეშურებოდა... და სწორედ ამ დროს ჩემს პირისპირ მომავალი, დაფიქრებული ნიკო ლორთქიფანიძე დავინახე. იგი ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებისაკენ იყურებოდა და აუჩქარებელი ნაბიჯებით მიახლოვდებოდა, ხოლო რაქის მხარეზე, მთებში დიდი ცისკარი

იმშუშნებოდა. მომეჩვენა, რომ ნიკოს ჩემი შეხვედრა გაეხარდა. მტკნარი ხელი ისე ჩამომართვა, თითქო მისი ხელი და მეგობარი ვყოფილიყავი, მკითხა: „საით მიეშურებით“. უცებ გეგუთის ქუჩის მხარეზე დიდი ქრიაშული ატყდა და მალე იქიდან გაძლიერებული ვაშას ძახილი მოისმა. საერთო ღუმილში კუნძულივით შემოიჭრა ეს ხმაური და მთელი ჩვენი ყურადღება მიიპყრო. ქალაქში გამეფებული სიჩუმე კიდევ უფრო ამძაფრებდა შორს ატეხულ ხმაურს და მას უფრო გაუცხოვებულ და მიმზიდველ იერს აძლევდა. ნიკომ მკითხა: „ყმაწვილო, რა ხმაურობა ისმისო“, მე ვუპასუხე: „აღბათ, ხალხმა ბოლშევიკები გაათავისუფლა ციხიდან და მათ გამარჯვებას ულოცავენ-მეთქი“... გაიღიმა და მოულოდნელად მითხრა: „დიდი ციხისკენ წავიდეთო“. შემობრუნდა და ჩვენ მალე გადაუხვივით გეგუთის ქუჩაზე, დიდი ციხისკენ ავიღეთ გეზი. მე ფეხს ვუწყობდი ნიკოს ნაბიჯებს და ორივე მივეშურებოდით პირისპირ მომავალი ახალი ცხოვრების შესახვედრად. ვაშას ძახილი და გამარჯვებულთა ყიჟინიც თანდათან გვიახლოვდებოდა. ეს ხმაური გულისყურს იპყრობდა და გაზაფხულის დამკვიდრების ნიშანს იძლეოდა... მერმე დიდხანს დავდიოდით ქუთაისის ქუჩებში და როცა მოსაღამოვდა, იგი მესხეთის ქუჩაზე, საკუთარ ბინამდე მივაიცილე და გულდაწყვეტილი დავშორდი.

ხუთი თუ ექვსი წლის შემდეგ თბილისში მოხდა ჩვენი ხელახალი შეხვედრა და დაახლოება. ქუთაისში თეთრ ხიდზე განცდილი დღე, როგორც განუშორებელი მოგონება, მუდამ დაძვებოდა ცხოვრების გზაზე. თუმცა ჩვენი დაახლოების ეს პირველი დღე შემდეგში არ გაგვიხდია საუბრის საგნად. ხვალისდელზე ფიქრმა შეცვალა გუშინდელი გაზაფხული და მიმდინარე ცხოვრებას თავისებური გეზი მისცა.

ნიკოს ძლიერ უყვარდა საღამოობით მეგობრებთან ვახშობა და სუფრასთან

უნებლიეთ გაჩარხული, მიმზიდველი მასლათი. შინიდან დაახლოებით ღამის ათზე ან თერთმეტის ნახევარზე გამოვიდოდა. ჰავჭავაძის ქუჩიდან რუსთაველის პროსპექტზე დაეშვებოდა, მეგობრებს და ახლობლებს მოძებნიდა, შეგვეკრებოდა და ახლანდელ „ინტურისტში“ შეგვიძვებოდა, ეტეხის გამოიძახებდა, შეაგულიანებდა და სუფრას გააშლევინებდა. დაახლოებით რვა-ათი წლის განმავლობაში ნიკოს მიერ მოწყობილი მრავალი ნადიმის თითქმის მუდმივი მონაწილე ვიყავი. საერთოდ, იმ წლებში მწერლები უფრო ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. სუფრასთან გამართული კამათი და სადღეგრძელოები დიდხანს გრძელდებოდა. გვიან ღამით ავიშლებოდით სუფრიდან და გამოვეფინებოდით დაცარიელებულ რუსთაველის პროსპექტზე. ოპერის თეატრამდე ერთად მივდიოდით, მოსახვევთან ნიკო დაგეტოვებდა, გადავიდოდა ქუჩის მეორე მხარეზე და დაგვიანებული მთასეულელით ჰავჭავაძის ქუჩის აღმართს ნელი ნაბიჯით შეუდგებოდა. იგი თითქო მალა მიეშურებოდა, რათა მთაწმინდაზე ამომავალი განთიადისათვის მიესწრო. ამ საღამოებზე ნიკოს ძლიერ შევეჩვიე. ხშირად ვესირნობდით ერთად, ვეძებდით მეგობრებს და თითქო ღამის თევაში ემონაწილეობდით. მწერლობაზე გადამეტებული საუბარი ნიკოს არ უყვარდა. თუ სუფრის გარშემო რომელიმე ახალ ნაწარმოებზე კამათი გაჰიანურდებოდა, „ეს გემრიელი ვახშაში შემარგეთო“, გვეტყოდა. მაინც, როცა მწერლობაზე თავად მსჯელობდა, ძლიერ საყურადღებო აზრებს გამოთქვამდა. ნიკოს მიერ გამოთქმული შეხედულებები მწერლობის თუ ხელოვნების ნიმუშებზე მუდამ მკაფიო და ზუსტად ჩამოყალიბებული ჩანდა.

როგორც აღეჭანდრე ჰავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, იგიც მწერლობას თითქო პროფესიად არ მიიჩნევდა. შემოქმედება, მისი აზრით, ადამიანის სულის მოწოდება უნდა ყოფილიყო და მის ყოველდღიურ საქმიანობად გახ-

დომა მას სათაჯლოდ ეჩვენებოდა. მაინც ქართველ პროზაიკოსებში (დასაზრ-გალო მოღვაწეებში) განსაკუთრებით ილია ჰავჭავაძე უყვარდა. იგი მიიჩნდა საქართველოს გონებრივი ცხოვრების სარდლად და ქართული ბელეტრისტიკის მამამთავრად. „ილია ჰავჭავაძემდეც იყო საქართველოში კარგი მხატვრული პროზა, მაგრამ ნამდვილი ბელეტრისტიკა ილიამ შექმნაო“, — მითხრა ერთხელ სოფრაზო და მისი ხსოვნის პატივსაცემად ჰქია ასწია. ნიკო ლორთქიფანიძის მრავალ მოთხრობასა და სოველაში ამოტვიფრულია ამ დიდი წინაპრის სახელი და ილიას საზოგადოებრივი ზრახვები დაუფარავად გამოთქმულია ნაწარმოებებში: „ტლუ ბიკი“, „შეგარდი“, „გულს გული იცნობს“ და სხვ. „აჩრდილის“ ავტორის პოეტური სტილი ნიკო ჩაქსოვილია ნიკო ლორთქიფანიძის მრავალ სხვა სოველაში. ხოლო ჩვენი ახალი მწერლობის შედეგებში: „თესაფრიანი დედაკაცი“, „ბებრები“, და „მყინვარი“ ილია ჰავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“, „კაცია ადამიანის“ და „მგზავრის წერილების“ ძლიერ შორეული, მაგრამ მაინც ნათესაური სულის ზრახვებია აღბეჭდილი. ნიკო ლორთქიფანიძის მიერ ეს ნათესაური ზრახვები სიტყვის სრულიად სხვა ფერებით და სხვა მუსიკალური პანგიტაა ვადმოცემული.

იგი წრფელი სიყვარულით და პატივისცემით იყო გამსჭვალული ჩვენი წარსულის სხვა დიდი ადამიანებისადმიც. იგონებდა ადრინდელი სიტყვის ოსტატების უჩვეულო ცხოვრებას და გული საძაყით ევსებოდა. ვერ იტანდა წინაპრებზე მითამამებულ საუბარს და მათი ღვაწლის გადაფასების ცდას, მით უმეტეს მათი უდიერად მოხსენება მის აღშფოთებას იწვევდა. მაგონდება, ოცდაათიან წლებში ბათუმში ლიტერატურულ საღამოში ემონაწილეობდით. ერთმა ახალგაზრდა პოეტმა საღამოზე წაკითხულ ლექსში ილია ჰავჭავაძე უდიერად მოიხსენია. ნიკო ლორთქიფანიძე აღშფოთდა, საჯაროდ პროტესტი გამო-

აცხადა და საღამოზე თავისი ნაწარმოები არ წაიკითხა. იგი შინაგან კეთილშობილებას შეუბღალავად ინახავდა და მუდამ ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების სადარაჯოზე იდგა.

ნიკო ლორთქიფანიძემ საქართველოს სიყვარულს შეაღია ძალღონე და მისი გული სამშობლოსადმი ტრფიალებით დაიფერფლა. მისთვის საქართველო ისე ახლობელი იყო, როგორც სიყრმის ოცნება და სიყრმის მოწმე საკუთარი კარმიდამო. იგი თითქო უჩინარად, გულის სიღრმეში ინახავდა მამულის ხატებას, ეშინოდა არ დაკარგოდა მისი მშვენიება. 1910 წელს მან გამოაქვეყნა ერთი საოცარი, გულის სიღრმიდან ამონაკენისი მინიატურა, სათაურით „საქართველო იყიდება“. ავტორი მოგვეთხრობს: „იყიდება საქართველო მინდორ-ველით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსული ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერის ენით, ნაქარგი ფარჩა-ხავერდით, ვაჟაკურ ხასიათით, სტუმართმოყვარეობით, დიდებული სანახაობით, წმინდა ჰაერით, ნაამაგვეი სახლით, ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით, მჩქეფარე ნაკადულებით და ლურჯი ზღვით... იყიდება ნაწილ-ნაწილ კახეთი, იმერეთი, ქართლი, სვანეთი, სამეგრელო, გურია, ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი... ნისიათ, უფასოდ, დროებით და სამუდამოდ. იყიდება ყველგან... ჰყიდის ყველა: თაყაღი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი“... აუღელვებლად, შეუშფოთებლად არ შეიძლება ამ ლირიკული გოდების წაიკითხვა. რა მკაცრი, დატრიდებული და გულმემატკივარია ამ სიტყვების მთქმელი, სასოწარკვეთილებამდე მისული ხელოვანი. მისი აღრინდელი პოეტური ნაზრევი საქართველოს ტკივილების ანარეკლია. იგი შემდეგში თავისი ხალხის მომავლის ნათელი მომღერალი გახდა და თქვა სრულიად ახალი საგალობელი „მოუარეთ საქართველოს“. წრფელი გულით მიენდო საბჭოთა ხალხს და უანგაროდ მოღვაწეობდა ჩვენი ქვეყნის საყეთლდღეოდ. შეჭა-

როდა ქართულ კულტურის აღორძინებას და თავისი ხალხის ბრწყინვალე მომავალზე დაიმედებულნი ხუნებობდა.

ნიკო ლორთქიფანიძე მწერლობას თავისი სულიერ მოწოდებად სთვლიდა. როცა ემღერებოდა, მხოლოდ მაშინ მღეროდა. როგორც დილით აყოლილი თუ აკვიატებული სიმღერა მოულოდნელად იზადება, ნიკო ლორთქიფანიძეც თთქო ასე უნებლიეთ, მხოლოდ ზეშთავონებით აღტურვილი ქმნიდა საკუთარ სამწერლო ცხოვრებას. წერდა ისე, თითქოს საშინაოდ ვალობდა ან ახლობელ ადამიანთან შინაურულად საუბრობდა, თითქოს მისდა უნებლიეთ იქმნებოდა მისი სახელით და გვარით დამშვენებული ქართული პროზის შედეგები. იგი ხან სამუშაო მაგიდასთან და ხან ტახტზე, მხარეთქოზე წამოწოლილი მუშაობდა. ნოველა „ცხოვრების მეფე“-ს მინაწერში ნათქვამია: „დაწერილია ბოსელში, თოვლ-ჰყაპიან საღამოს“. ეს ცნობა ადვილად დასაჯერებელია, რადგანაც ნიკო ლორთქიფანიძე იქვე თხზავდა მოთხრობას თუ ნოველას, სადაც შთავონება მოუსწრებდა. მღეროდა ალალი გულით, მაგრამ გონიერება მუდამ მარქავდა დაჰყვებოდა მის პოეტურ აღმადრენას. იგი არ იყო ალგზნებული და ნაპირებგადალახული ხელოვანი. შემოქმედებაში სულიერ წონასწორობას და ზომიერებას იცავდა, მაგრამ პოეტური ხალვათობაც უყვარდა. ნაწარმოებს არ აშალაშინებდა და სტრიქონის გარანდვისათვის ბევრ დროს არ ხარჯავდა, გადამეტებულ მუშაობა არ უყვარდა. ერთხელ შექვიფებული ვიყავი, წავთამამდი და ვუთხარი: „შესანიშნავი ხელოვანი ბრძანდებით, მაგრამ ცოტა ზარმაცი უნდა იყოთ მეტქი“, გულიანად გაიცინა და რუსულად მიპასუხა: «Дорогой Сямой! Право на лень я приобрел и уступить его не могу». მაშინდელი ჩემი შენიშვნა ახლა სრულიად უმართებულად მეჩვენება. ნიკო ლორთქიფანიძემ თავის სიცოცხლის მანძილზე დიდად

ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ჩაატარა და დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ეტყობა, ჩემი შენიშვნა მაინც გულში ჩარჩა და რამდენიმე დღის შემდეგ საუბარში მითხრა: „ვერ წარმოიდგენ, რამდენი ახალი ნაწარმოები მაქვს დაწვებული და ვერ დამიმთავრებიაო“.

დიდი დახვეწილი გემოვნება ჰქონდა და თავისებურად ათავსებდა სულში კლასიკური მწერლობის სიყვარულს და მოდერნისტული მიმდინარეობით გატაცებას. ერთხელ პროსპექტზე ვესირონობდით და აღექსანდრე პუშკინის პოეზიაზე ჩამოვარდა საუბარი. ნიკომ მითხრა: „ამას წინათ პუშკინის ლირიკული ლექსები გადავიკითხე და დიდი სიხარული განვიცადეო, ლეთაებრივიაო“, დაუმატა და მერმე უეცრად მკითხა: „ვინ იყო ის თავხედი, რომელმაც თქვა: «Для нас Державином стал Пушкин», ვუპასუხე: ეს სიტყვები იგორ სევერიანინს ეკუთვნის-მეთქი. «Ананасы в шампанском, ананасы в шампанском» ესეც სევერიანინის არისო მგონი... ეს კი მომწონსო... ამ სტრიქონების წაკითხვისას მოშუშულნე შამპანურით სავსე, მოწყრიალე, წერწეტა ბროლის ჭიქები და ახალგაზრდობას დროინდელი ნადიმი მახსენდებოთ. დიდი პოეზია არ არის, მაგრამ მაინც სასიამოვნოაო“. ამ სიტყვებში თავისებურად ჩანდა ნიკო ლორთქიფანიძის ესთეტიკური მიდრეკილებანი. იგიც უპირველეს ყოვლისა კლასიკურ მწერლობაზე აღიზარდა, მაგრამ მას არც ევროპული მოდერნისტული მიმდინარეობა ეუცხოებოდა. ამასთანავე იცოდა, რომ „შესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერალად, სააშვიკოდ, სალალბოდ, ამხანავთა სათრეველად“. იგიც რუსთაველის ანდერძის თანახმად სალალბო პოეზიას არ უარყოფდა. თუმცა სიტყვაკაზმულ მწერლობაში დიდი სახალხო გრძნობის სამსახურს მოითხოვდა. მხატვრულ ნაწარმოებში უყვარდა შთაგონებული აზრი და დამაფიქრელი განწყობილება.

ნიკო ლორთქიფანიძეს განსაკუთრე-

ბით ხიბლავდა ქართული ხალხური შემოქმედება. იგი ალტაცებულად იყენებდა ხალხის მიერ შექმნილ მხატვრულ ნიმუშებით. ერთხელ, ზაფხულის პანანაქება სიცხეში, საღამოს, პლენარის კუჩაზე, ბაღში, საცეკვაო კონცერტზე შევედით. ერთმა წყვილმა საუცხოოდ შეასრულა ქართული ცეკვა და მაყურებელი ალტაცებაში მოიყვანა. საღამოს დასრულების შემდეგ, როცა იმავე ბაღში რამდენიმე მწერალი შეიკრიბა და სუფრას მივუსხედით, ნიკომ თქვა: „ქართული ცეკვა სწორუპოვარიაო. რა მომაჯადოებელი სინარჩარე, რა სინაზე და მოკრძალებია აღბეჭდილი ამ პლასტიკურ საუბარშიო, მიჯნურთა მთელი თავგადასავალი და სულიერი მდგომარეობა ტანის მოხიბლავი რხევით არისო მოთხრობილი. ეს ცეკვა კი არა, ევროპელი დიდი ოსტატის მიერ გამოკვეთილი ბრწყინვალე ნოველააო...“ მერმე წამოიძახა: „ყმაწვილებო, შევსვით იმ ხალხის სადღეგრძელო, ვინც ხელოვნების ეს განუმეორებელი სახე შექმნაო“. ნიკო ლორთქიფანიძე ქართულ ცეკვას დიდად აფასებდა, იგი შესანიშნავად აღწერილია მის ნოველებში: „მარად და მარად“ და „ქორწილი“. ცეკვა ხშირად ზღებოდა მისი შთაგონებისა და აღქმის საგანი. მოთხრობაში „შელოცვა რადიოთა“ ყველაზე დრამატული განცდა სწორედ ცეკვის სურათშია ჩაქსოვილი. ქართული ცეკვა ერთ ნოველაში „ტრაგედიის ნატეხად“ არის წოდებული. ნიკოს სინამდვილის პლასტიკური სახეებით აღქმა უყვარდა და ქართული ცეკვა ხელს უწყობდა ცხოვრების გარეგნულ მშვენიების ხილვაში. მწერლობაშიც ფაქიზად და უშუალოდ დამუშავებული ნაწარმოებები მოსწონდა, ნაწარმოებებში უშუალო და სრულყოფილი კომპოზიცია ხიბლავდა. ხელოვნებაში ისეთი ხალხურობა უყვარდა, სადაც დახვეწილი გემოვნება და ფორმის სინატიფე ჩანდა. ნიკო ლორთქიფანიძის ნაწერებში ორგანულად შერწყმულია მაღალი სისადავე და დახვეწილი ფორმის გრძნობა. მისი ნოველებიდან ერთი

სიტყვის ამოგდება არ შეიძლება, თვითეული ნაწარმოები სიმეტრიულია და ყველაფერი თავის ადგილზეა დასმული.

ნიკო ლორთქიფანიძეს ძლიერ უყვარდა ლირიკული პოეზია. თანამედროვე პოეზიაში პაოლო იაშვილის ლირიკული ლექსები მოსწონდა და კმაყოფილი ღიმილით იხსენებდა ლექსებს: „როგორც აფრის ტაკუნის“ და „ლირიკული მისამართებიდან“. ადრე ხსენებული ლექსების ავტორიც გამოეხმაურა ნიკოს მეგობრულ სიყვარულს, დიდი მოკრძალებით და პატივისცემის გრძნობით გამსკვალულმა ექსპრომტული ხასიათის, ხალისიანი სტრიქონები მიუძღვნა მას:

„ხარ მოვლევარ ვით სიტყვარი,
ემორჩილები მზეს და იღონს.
შომეცი ნება, როგორც მწვეარი,
ლექსი ვაჩუქო ბუნების ბატონს.
ვაგაძნელდება ქვეყნის დანდობა,
მაგრამ ხარ მუდამ კეთილშობილი,
მიმონებს შენი დარდიმანდობა
და იშვიათი ჩვენში პროფილი“... და სხვ.

მაინც „რაინდების“ ავტორი უფრო ძველი ქართველი პოეტების თაყვანისმცემელი იყო. მისი ნოველები და მიწიატურები მოჩუქურთმებულია შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჰაეჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას სტრიქონებით. როცა შთაგონება ეწვეოდა, იგი პოეზიას მოიშველიებდა და ქართველი პოეტების გარდა გოეთეს, შელის, ჰაინეს, ბოდლერის და სიული პრიუდომის სტრიქონებს ეხმიანებოდა. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი გოეთეს და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას ეკავა. „ქალ-ვაჟიანის“ ავტორის შთაგონებული ყურადღებაც უმთავრესად ამ ორი პოეტისაკენ იყო მიპყრობილი. პოეზია დაქრილი სულის მკურნალად მიაჩნდა და უპოეზიოდ მას არავითარი პროზა არ სწამდა... მის ერთ მიწიატურას — „წერილს“ ასეთი ჭვესათაური გააჩნია: „დე-

დანი ლექსათ დაწერილიაო“. მე მგონია ამ სიტყვებით მწერალს უნდოდეს ეთქვა, ეს ნაწარმოები სულში მარვედნადაა გორც პოეტური მელოდია ჩაისახა. პოეტურობა მისი შემოქმედების განუყრელი თვისებაა და ნიკო ლორთქიფანიძემ მხატვრულ პროზაში პოეზიის მეტაფორულობა დაამკვიდრა.

როგორც ვთქვი, ნიკო ლორთქიფანიძეს ხშირად ვხვდებოდი, მაგრამ დიდხანს არ ვიცოდი, იგი ჩემს ლექსებს კითხულობდა თუ არა. ქვეყნობიერად მისი მსჯავრი, ალბათ, მაშინებდა კიდევ. ერთხელ ბესარიონ ელენტის ოჯახში სადილად ვიყავით მიწვეული: ნიკო ლორთქიფანიძე, შალვა დადიანი და ამ სტრიქონების ავტორი. შესანიშნავი შეხვედრა გვექონდა, გულითადი, მხიარული, გონებათმხიარული და სიცოცხლით სავსე. როდესაც სუფრაზე ჩემი სადღეგრძელოს ჯერმა მოაღწია, ნიკომ სრულიად მოულოდნელად სიტყვით მომმართა, გამოირკვა, რომ მაშინდელი ჩემი ნაწერები მას ყურადღებით წაკითხული ჰქონდა. თურმე თვალ-ყურს ადევნებდა ჩემს სამწერლო მუშაობას, განსაკუთრებით მოსწონებოდა იმ ხანებში გამოქვეყნებული ჩემი ლექსები: „თეიმურაზ პირველი“ და „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“. ეს ორი ლექსი მის გულს მოხვედროდა და მრავალი სტრიქონიც დამახსოვრებოდა. ნიკოს პირფერობა ეჯავრებოდა, უგულოდ მოაღერებდა არ იცოდა, საოცრად გულახდილი და პირდაპირი ხასიათი ჰქონდა, ამიტომ მისი ასეთი შეფასება ჩემი ლექსებისა ჩემთვის მოულოდნელი სიხარული იყო.

ნიკო ლორთქიფანიძე უჩვეულო პირიონება იყო. მას კეთილშობილი სიამაყე და პირდაპირობა ახასიათებდა. ახალგაზრდობაში თურმე მემამოხე ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ხანდაზმულობაში ადრინდელი ჟინიანობა არ ეტყობოდა, ადრინდელი თავგადასავლის მოყოლაც არ უყვარდა. იგი წარსულში გადაურჩა მრავალ ქარიშხალს, მაგრამ შვეთა დროთა ვერ გასტეხეს მისი

მტკიცე და კაცთმოყვარე ბუნება. ჩვენი შეხვედრების ქაშს იგი არ იყო ისე ხნიერი, მაგრამ ცხოვრებაში აღრე მრავალი საწყენი და საშფოთარი შეხვედა, დაუძლურდა და ორმოციანი წლების დასაწყისში მოტყდა. ამ წლებშიც იშვიათად, მაგრამ მაინც გრძელდებოდა ჩვენი შეხვედრები და ღამის თვეა. იგი ვაიხსენებდა ალექსანდრე პუშკინის ლექსის „19 აქტობერის“ ერთი ნაწყვეტის პირველ სტრიქონს »Пируйте же, пока мы еще тут« და მეტყობდა, აბა განაგრძეო და მეც განვაგრძობდი:

Увы, наш круг час от часу редеет;
Кто в гробе спит, кто дальний си-
ротеет;

Судьба глядит, мы вянем; дни бегут;
Невидимо склоняясь и хладея,
Мы близимся к началу своему...

მოყვანილი სტრიქონების მეშვეობით იგონებდა გარდაცვლილ მეგობრებს და თბილისში აღრე გატარებულ სამურსადამოებს. მაინც ამ წლებში დაწერა მოთხრობა, რომელსაც „ერთბერანგინი“ უწოდა („ქედუბრუნის“ ერთი თავი). მერმე ორმოცდასამ წელს დაასრულა, უკვე მწოლიარე ავადმყოფმა, მოთხრობა „ტყვედ ყოფილის დაბრუნება“.

როდესაც იგი ავად გახდა და საავადმყოფოში დააწვიანეს, თბილისში არ ვიმყოფებოდი. ჩამოსვლისთანავე ნიკოს სანახავად საავადმყოფოში მივედი. დერეფანში პროფესორი ნიკოლოზ ყიფშიძე შემხვდა, გამოკვირებულ ნიკოს მდგომარეობა, მან მწუხარე კილოთი მიპასუხა, ცუდად არისო, მგონი იგივე სნეულება ერევა, რამაც ზაქარია ფალიაშვილი იმსხვერპლაო. საშინელ გუნებაზე დავდევქი, ასეთი განაჩენის მოსმენის შემდეგ ნიკოსთან შესვლა გამიძინელდა, მაგრამ საავადმყოფოში მოსული ვიყავი და უნებლიეთ იმ ოთახისაკენ გავწვიე, სადაც ნიკო იწვა. როცა ოთახში შევედი, იგი ფანჯრისკენ იყურებოდა. სასთუმალთან მდგარმა ნიკოს მეუღლემ, თამარმა, უთხრა, სიმონი მოვიდაო. ნიკომ მოიხედა ჩემსკენ, გახარებული წამოი-

წია ლოგინიდან: „ჩემი სიმონი, ჩემი სიმონი“, გაიმეორა რამდენჯერმე. თითქო დიდი ხნის უნახავი შეილი დაბრუნებოდეს, მომეფერა, ხელი მომხვია და მომესიყვარულა. არც ისე დაუძლურებული მეჩვენა იგი. მაინც საქციელი წამხდარი მქონდა და ვერაფერს ვამბობდი, რადგან პროფესორის ნათქვამი განაჩენი გულზე ლოდივით მწევა და ხმის ამოღების საშუალებას არ მაძლევდა. ნიკო კი კარგ გუნებაზე დიდგა. ბევრი რამ გამომკითხა, ვისაუბრეთ და მერმე დავმორდი. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ ვინახულე, უკვე საოცრად დაუძლურებული დამხვდა, სახე შეცვლილი მქონდა, საშინელი ტკივილები აწუხებდა და ყურადღებას თითქმის არავის აქცევდა. იმ დღეებში ისევ მოსკოვში მომიხდა გამგზავრება, იგი გარდაიცვალა და სამარის კარამდე ვერ მივაცილე.

როგორც ამ წერილის დასაწყისში აღვნიშნე, ნიკო ლორთქიფანიძის პოეტური სამყარო და მისი საზოგადოებრივი ზრახვები აღრინდელი ქართველი მწერლების მიერ განაყოფიერებულ სულიერ ნიადაგზე აღმოცენდა. მართლაც, „ქამთა სიკვის“ ავტორი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის პირდაპირ მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ იგი მაინც მათი უშუალო მოწაფე და გამგრძელებელი არ ყოფილა. ნიკო ლორთქიფანიძემ, როგორც სიტყვის ხელოვანმა, ქართულ ბელეტრისტიკაში სრულიად ახალი გზა გააფა, უაღრესად ნოვატორული პოზიცია დაიკავა, საკუთარი პოეტია შექმნა და მომხიბლავი მოთხრობებით და ნოველებით გაამდიდრა ქართული მხატვრული პროზა, ჩვენ მხატვრულ პროზაში ახალი თვისებები შეიტანა, მისი ჩარჩოები გააფართოვა და ქართულ მწერლობაში უჩვეულო ცხოვრება გააჩაღა. ბელეტრისტიკაში მთავარ თვისებად აღიარებულ ეპიკურ თხრობას ოუ ამბის მოყოლას, ცალკეული ეპიზოდების თუ სურათების ხატვა დაუპირისპირა და მხატვრულ პრო-

ზაში ავტორის ლირიკულ აღსარებას დიდი ადგილი დაუთმო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცია პროზაში წინადადებათა ინტონაციურ მხარეს და ქართული პროზა ქვეტექსტებით გაამდიდრა. პოეტური ნახატი წამოსწია წინ და ბელეტრისტიკაში სიტყვით ხატვას მეტი მნიშვნელობა მიანიჭა, ვიდრე თხრობას, ან ამბის მოყოლას. მისი შეხედულებით მხატვრული პროზის თვითეული წინადადება, თვითეული პასაჟი ბელეტრისტიკული უნდა ყოფილიყო. ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებში მკითხველს პლასტიკურად უნდა ამოეკითხა თუ დაენახა თვითეული მოქმედი პირის სულიერი მდგომარეობა და თვალთ სახილველი უნდა გამხდარიყო ნაწარმოებში აღბეჭდილი სინამდვილე. როგორც სცენაზე, წარმოდგენის მსვლელობის დროს მყურებელი თვალნათლივ ხედავს პიესის მოქმედ პირთა მოქმედებაში გადასულ სულიერ ცხოვრებას, ისე მხატვრულ პროზაშიც მკითხველმა უნდა დაინახოს პლასტიკურად აღწერილი გმირების თავგადასავალი და სულიერი მდგომარეობის გარეგნული სახეც. პოეტურმა ნახატმა მთავარი ადგილი უნდა დაიკავოს სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

ნიკო ლორთქიფანიძის პალიტრა მდიდარია საღებავებით და ქვეყანა, რომელსაც რვი ხედავდა, პოეტური ხილვის მეშვეობითაა დახატული და გახსნილი. ჩვენი შესანიშნავი პროზაიკოსი თავისებურად ხედავდა სინამდვილეს, მან აღმოაჩინა ცხოვრების მრავალი ადრე უხილავი მხარე და სინამდვილის ბევრი, ადრე შეუძინველი თვისება მკითხველს გაუხიარა. ნიკო ლორთქიფანიძის ადრინდელ შემოქმედებაში შეჭრილია ნაწილობრივ მაინც ე. წ. ურბანისტული პოეტური აზროვნების ფორმები, რაც ადრე ქართულ პროზაში არ ყოფილა შემხნეული. თავისი პოეტის ეს მხარეც მწერალმა გამოთქვა ერთ ადრინდელ შესანიშნავ ფსიქოლოგიურ მოთხრობაში „უილაქნოდ“. „მე სხვა და სხვა სურათს მოგაწვდენ ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენ-

თვის მიმინდვია... მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის. მკითხველს მოსწყინდა ყველაფერი შემუშავებული თავ-თავის ადგილზე პოეოს... მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი ხაზი დაამზადოს, დამთავრება, დამოლოება ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს...“ ამგვარად, „უილაქნოს“ ავტორი ფიქრობდა, რომ სულში შემოჭრილმა ქალაქის მღელვარებამ განდევნა შემოქმედებისათვის საჭირო სულიერი სიწყყნარე და დაარღვია ნაწილობრივ მაინც პოეტური აზროვნების კლასიკურობა. მისი აზრით, მხოლოდ კლასიკოსებს შეეძლოთ სრულყოფილი და დამთავრებული ეპიკური ტილოები შეექმნათ. მიმდინარე სინამდვილე არ იძლევა ასეთი შემოქმედებითი მუშაობის საშუალებას, ახლა მხოლოდ განწყობილებათა შექმნა შეუძლია თანამედროვე ხელოვანს და არა დასრულებული, გამოკვეთილი ხასიათების გამოძერწვა.

ჩვენი მწერლის ბუნებაში ადრე შეიქრა ახალი, სუსხიანი მიმდინარეობა და მის შემოქმედებაში ფესვები გაიდგა. თუ „დანგრეულ ბუდეებში“ შენელებულად მოგვევლინა იმპრესიონისტული მიმდინარეობის გავლენა, შემდეგში უფრო გაძლიერდა და მისი პოეტური ნახატი ნახევარჩრდილებით და ნერვული გრაფიკული ხაზებით შეივსო. იგი უჩვეულოდ, მაგრამ დიდი სიზუსტით და სიტყვიერი მასალის დიდი ეკონომიით ხატავდა უებრო პოეტურ სურათებს. მართლაც, „ორი სამი ხაზის დამზადებით“ ახერხებდა შესანიშნავი პეიზაჟის გამოკვეთას: „ყვედა ძაღლი, სახურავიდან ამოდოდა კვამლი და იყო პატარა ოჯახი“. ხან მისი სურათი საკვირველი უჩვეულო ელფერიტ და სიფაქიზით ხასიათდება. მთვარიან ღამეში სოფლის ეზო აგრეა დახატული: „მთვარეს ეზო უკვე მოვლილი ჰქონდა“ ან „მთვარე უცხო ხეთა ჩრდილს გააწვენდა, თვით ხეს უქარგავდა ფერს, მკრთალი სინათ-

ლით გააბრწყინებდა მთელ არეს“. ეს მცირე ამონაწერიც საკმარისია, რათა ნიკო ლორთქიფანიძის პოეტური ნახატის თავისებურება შევიცნოთ. არა მარტო ნაწარმოებში აღწერილი ცალკეული პეიზაჟი ან ცალკეული ეპიზოდი ნაჩვენებია ასეთი ნიუანსირებული სურათებით, არამედ ნაწარმოების მთლიანი სულიერი სამყარო ამგვარი ფერწერით ხატებითაა გადმოცემული და სინამდვილე, ადრე უჩინარი, მხოლოდ მის მიერ დაპყრობილი, ფარული ფერებითაა აღქმული. მიუხედავად ახალი ევროპული მწერლობის მიმდინარეობასთან ასეთი ნათესაობისა, მისი მხატვრული აზროვნება თავისებურია, თვითმყოფადია და ეროვნული.

ნიკო ლორთქიფანიძის მთელი შემოქმედება უაღრესად ქართულია და ხალხურ-ეროვნული. მისი ნოველები, მოთხრობები, ლეგენდები, ისტორიული შინაარსის მხატვრული ესკიზები და იუმორისტული სცენები ქართული ეროვნული ხასიათის ანარეკლია და თავად ეროვნულ ზრახვებითაა გაკლენთილი. ამ ნაწერების გარეგნული იერი, კოლორიტი ქართულია და შინაგანი სამყაროდ ეროვნული სულის მატარებელია. „რაინდების“ ავტორის შემოქმედებაში ლაღად შეკრილია ქართული ლეგენდები, თქმულებები, ზღაპრები, ხალხური ენამახვილობა, ქართული სხარტული თქმები, ანდაზები და გამოცანები. იგი უხვად სარგებლობდა ხალხური შემოქმედების მიღწევებით. მის ნაწერებში მრავალი ქართული ზღაპარი ოსტატურადაა ჩაქსოვილი და ავტორის მხატვრული აზროვნება ხალხურ ფანტაზიასთან ორგანულად შერწყმულია. ქართული ზღაპრების და ლეგენდების საფუძველზე „უამთა სიავის“ ავტორმა თავადაც მრავალი ახალი ლეგენდა და ზღაპარი შექმნა და მრავალ ნაწარმოებში მკაფიო ეროვნული ხასიათი გამოკვეთა. მის ნაწერებში შემჩნეული გონებამახვილი და სხარტი დიალოგებიც ნამდვილი ქართული ხასიათების მანიერებელი პოეტური სახეებია. მისი დია-

ლოგები ცოცხალი ხალხური ხასიათების ანარეკლია. იმ შემთხვევაშიც, როცა იგი ზოგადფილოსოფიურ თემებს ეხებოდა ან წმინდა ფსიქოლოგიურ ნოველებს ქმნიდა, ცდილობდა რაიმე ხალხური სხარტული გამოთქმა, ქართული ზღაპარი ან ლეგენდა შეეტანა ნაწარმოებში და გაექართულებინა იგი. ნიკო ლორთქიფანიძე ცდილობდა ზოგადი შინაარსის მატარებელი ნაწარმოებიც ქართულ სამოსელში გაეხვია და ეროვნული იერი მიენიჭებინა. ასეთია მისი ადრინდელი მინიატურა „გული“. ამ მინიატურაში ზოგადფილოსოფიური თემა გაშუქებული და თითქო წმინდა ეროვნული არაფერია, მაგრამ როცა მიცვალებულის ოთახში მოხუცი დედა გამოცხადდება და ჭეითინით ეუბნება მიცვალებულ შვილს: „ასე გამიმეტე ქვრივ-ოხერი, სადაა შენი კარგი გული. ამდენი ვაით და ვუით რომ ჩაჯიდგი საგულეში“, მაშინვე მთელ სურათს ქართული იერი ენიჭება და ეს თითქო განყენებული „გული“ ეროვნული სულის თუ ხასიათის მატარებელ ნაწარმოებად წარმოგვიდგება.

„მრისხანე ბატონის“ ავტორს, უბირველეს ყოვლისა, ქართული ხასიათის სრულყოფილად ასახვა იტაცებდა და გერონტი ქიქოძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეროვნული ენერჯის“ გამოვლენა და მისი მხატვრული აღქმა ჰქონდა მიზნად დასახული. ერთ ნოველაში ნათქვამია, რომ „ყოველ ჩიტს თავისი ბუდე უყვარსო, ხოლო ბაყაყისათვის სულერითა, რომელ ტბაში მოხვდებაო“. იგი საკუთარი, მშობლიური ხალხის მიერ ამენებული, დაუნგრეველი ბუდეების მომღერალი იყო. თუ ადრე იგი სასოწარკვეთილი იძახდა, „საქართველო იყიდებაო“, რევოლუციის შემდეგ სამშობლოს გადარჩენის იმედი მიეცა და სრულიად სხვა პანაზე დაიწყო გალობა: „ჩემი ოთახის ფანჯრიდან ხშირად მოჩანს თეთრი თოვლით დაფარული, მზის სხივებით შეფერილი მყინვარი და შორიდან მისი ხმა ისმის, ვით ხმა ნაზი

ქალწულისა: მოუარეთ საქართველოს! მთეარანი ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები თალხით მოსილი ჰკირსუფალივით რომ დასცქერიან ჭუთაისს, უხმოდ მეტყველებს: მოუარეთ საქართველოს!.. ზოგჯერ ჭუჩაში წინ გადამეღობება ხალხის სულის მესაიდუმლე შოთა და ბრძანების კილოთი ამბობს: მოუარეთ საქართველოს! ღამის წყვილიადში ყურს მოვკრავ მდინარეთა გალობას: სიმღერას იწყებს მკვირცხლი რიონი, შემოსძახებს გიჟმაჟი თერგი და ბანს ეუბნება დინჯი მტკვარი: მოუარეთ საქართველოს! ნუთუ, ბატონო ჩემო, გუშინწინ, რომ კოკისპირულმა წვიმამ დაასხა არ გაგიგონიათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა: მოუარეთ საქართველოს! "... იგი აგრე ღაღადებდა საკუთარ სამშობლოზე და „მამულის სული“ მუდამ ხორცმესმული ელანდებოდა. იგი სამშობლოს სიყვარულს თითქო პირდაპირ არ გამოთქვამდა და უშუალოდ არ ქადაგებდა, არამედ ნაწარმოებში ქმნიდა პატრიოტულ სულიერ განწყობილებას და ამ გრძნობას ყოველგვარ რიტორიკულობას ამორებდა, მამულის ტრფიალებას ლირიკული მიმართვით გვამცნობდა.

საერთოდ ნიკო ლორთქიფანიძე ე. წ. განწყობილებათა მხატვარია: ნაწარმოებში განწყობილების შესაქმნელად იგი თავისებურ ინტონაციას და ლირიკულ აღსარებას იშველიებდა. მინიატურების ერთ ციკლს, რომელსაც საერთო სათაური „სულიერი განწყობილებანი“ ეწოდება, ავტორმა ასეთი წინათქმა წაუძღვარა: „უმთავრეს მიზნად დასახული მქონდა მკითხველში ერთგვარი განწყობილება გამომეწვია, სიტყვის საშუალებით მუსიკის საწადელი მიმეღწია“. ამ სიტყვებით ნათელი ხდება, რომ მწერალი მკითხველში განწყობილების შექმნას არა ამბის მოყოლით და თბრობით ცდილობდა, არამედ ცხოვრებაში თუ ბუნებაში დაჭერილი უჩვეულო მოვლენების პოეტური თუ მუსიკალური აღქმით გადმოცემდა. სიცოცხლის მოვლე-

ნათა ქვეტექსტის განვსრუტით და ხშირად წმინდა ლირიკული ამოცნესით ახერხებდა საჭირო განწყობილების შექმნას. ბუნებაში დაბადებული ხმები, წვიმის შხაჟნი, ყაჟის ჩელტებზე შრიალი, ნაკადულების ჩახჩახი, გაზაფხულზე ბუნების ხალისი და შემოდგომაზე ფოთლების საღებავები თუ ყვავილების სურნელება, მწოლიარე ავადმყოფი ვაჟის დედისადმი მუდარა: „არ მეძინება, მითხარი ნანინა“, შემოქმედის მიერ უშუალოდ განცდილია და ნაწარმოებში უჩვეულო ლირიკულ განწყობილებათა საფუძველია, ხოლო მწერლის მიერ უცნაური ხილვის მეშვეობით ბუნების სამყაროში შენიშნული მოვლენები: მორიელის და გველის თვითმკვლელობა, ყაჟის ჰიის მიერ პარკის გაკეთება და საკუთარი თავის პარკში ჩამწყვდევა. ხმა დაკარგული მომღერლის ვნებანი თუ ომნიბუსით სოფელში გამვლელი მგზავრის მიერ მესერის მიღმა, ეზოში მოფუსფუსე დედაკაცის ხილვა შექმნილია იმ დრამატული განწყობილებისა, რომელიც მხოლოდ სინამდვილის მუსიკალური აღქმით შეიძლება. „უილქნო დის“ ავტორის ნაწარმოებებში განწყობილება იქმნება, სინამდვილეში მომხდარი უჩვეულო, მაგრამ დამახასიათებელ მოვლენათა საფუძველზე. ადამიანის და ბუნების ცხოვრებაში დაჭერილი უჩვეულო მოვლენები ქმნიან სიცოცხლის იდუმალ მუსიკას, რომელსაც უჩვეულო პოეტური აღლოთი, მკითხველი მოსაჯადოებლად იჭერდა მწერალი ხილულ სინამდვილეში. ასეთი ცდა სიტყვაჯამულ მწერლობაში, სადაც ამბავი არ არის მოყოლილი, არც დამთავრებული სურათია შექმნილი და მუსიკის საწადელი მაინც მიღწეულია, თავათ ნიკო ლორთქიფანიძეს ქართულ მწერლობაში იშვიათ მოვლენად მიიჩნდა.

განწყობილებათა შექმნას იგი სათაურიდან იწყებდა და მკითხველს სათაურის თავისებურებით დასაწყისშივე იმორჩილებდა. მისი სათაურები ნამდვილი პოეტური სტრიქონებია, თვითვეული მათგანი ღრმა შინაარსის მატარე-

ბელია და შთაგონებული გონების შემოქმედებითი ნაყოფია. სათაურები: „დანგრეული ბუდეები“, „უილაქნოდ“, „მრისხანე ბატონი“, „ნანგრევთა სურნელემა“, „ეამთა სიაცე“, „სულიერი განწყობილებანი“, „ვინ არის სატირალი“, „ეპისკოპოსი ნადირობაზე“, „კერისათვის“, „ერთპერანგვანი“ და „თავსაფრიანი დედაკაცი“ თვითყოფილი და დიდი მხატვრული სამყაროს არსებობის მანიშნებელია. თვითეული სათაური ნაწარმოების შესავალია თუ მისი ხასიათის წინასწარი მაუწყებელია. ხოლო სათაურები: „საქართველო იყიდება“, „მოუარეთ საქართველოს“, „ლოცვა“, „სადღეგრძელო“, „არ მეძინება, მითხარი ნანა“, „პანაშვიდი“ ავტორის ლირიკული ამონაკვეთებია.

ნიკო ლორთქიფანიძე დამაფიქვრელი და ნაღვლიანი მწერალია. მინც რევოლუციამდე დაწერილი მისი მოთხრობები, [ოველები და მინიატურები — „სევდიანი ჩანახატები“, „სანტიმენტალური ჩანახატები“, „პანაშვიდი“, „სულიერი განწყობილებანი“, „ბეგრები“, „ხმა სამარიდან“ და „სევდა“ მართლაც ძლიერ სევდიანი ფერების შემცველია. თითქო გულისდამწყვეტი განწყობილება გამეფებულია ხსენებულ ნაწარმოებებში. გამჭვირვალე სევდით შეფერილია მისი სხვადასხვა ხასიათის მოთხრობები: „დანგრეული ბუდეები“, „მრისხანე ბატონი“ და „თავსაფრიანი დედაკაცი“. „დანგრეული ბუდეებში“ ისეთი ნაღვლიანი განწყობილებაა შექმნილი, რომ სურათები თითქო თალხი ფერითაა შეღებილი და რევოლუციამდელი ბინდისფერი სოფელი სევდით დაბურულია. პოეტურ პეიზაჟებში შენელებული სევდაა ჩაქსოვილი და თვითეულ მათგანზე დიდი გულისტკივილია აღბეჭდილი. დაბინდული ფერებით შექმნილ სურათებში აჩრდილებად ქცეული, რევოლუციამდელი სოფლის ადამიანებია ნაჩვენები.

ხშირად მოთხრობებზე, ნოველებზე და მინიატურებზე წამძღვარებული ეპიგრაფები თუ მინაწერები ნაღვლიანი

განწყობილების შესაქმნელად მოგონილი მუსიკალური წილსკლუბია. ერთ ნოველს აწერია: „დიდი გოდების მცირე ნაკადი“. მეორე ნოველს მიუძღვება წარწერა: „მესმის კილო სამგლოვიარო ზარისა და ვწერ“, ხოლო მის აღბინდელ მინიატურაზე „მრცხენია“ მიწერილია მიქელ ანჯელოს სიტყვები: „ტკბილია ძილი, უტკბესია ეამსა ნაძრახსა და სახელის ვატებისას, არაფერი დავიწახო, არაფერი ვიგარძნო აი ჩემი ნეტარება“. ერთ მინაწერში ავტორი მკითხველს მიმართავს გულისტკივილით: „უტყუარ ამბავს გადმოგცემთ, შეიძლება სევდა მოგვართოთ, მაგრამ სევდა იყოს ჩვენი შემაერთებელი ქსელი“. მინიატურების ციკლზე „პანაშვიდი“ აწერია: „ვუძღვნი მათ, ვისაც უკანასკნელი და უდიდესი პატივი ვერ ვეცი, ერთი მუჟა მიწა ვერ მივაყარე“. ყველა ეს ეპიგრაფი თუ ზედწარწერა ხსენებული მოთხრობების, ნოველების და მინიატურების ორგანული ნაწილია. ისინი ქმნიან ნაწარმოების შინაგან სამყაროში შესასვლელად საჭირო სულიერ მდგომარეობას. მოთხრობები „თავსაფრიანი დედაკაცი“ და „რინდები“ ვერ წარმოიდგინება იმ ეპიგრაფების გარეშე, რომლებიც მათ თავფურცელზეა წარწერილი. როგორც ვთქვი, ამ წარწერების მეშვეობით იქმნება ერთგვარი სევდიანი განწყობილება, მაგრამ ეს სევდიანობა თუ ნაღვლიანობა სრულიად არ ნიშნავდა სრულ უიმედობას და სრულიად არ გამოხატავდა მწერლის სასოწარკვეთილებას. იგი შეიძლება სევდიან პანგს ღიღინებდა, მაგრამ ეს პანგი მეგობართა მოსაზიდად სჭიროდა ავტორს და სწამდა, რომ მუსიკალური პანგივით აყოლილი სევდა მოყვასთან შემაერთებელ ქსელს გააბამდა, დაჭრილ სულს მოუშუშებდა და დამაფიქვრელ განწყობილებას შექმნიდა. ამასთანავე სევდას თუ ნაღვლიანობას ჩვენი მწერალი სულში აღმოცენებულ თავისებურ ირონიას უპირისპირებდა და ნაღვლიანობის სიმწვავეს კეთილშობილი კომიზმით ანელებდა. პოეტი ტიციან ტაბიძე ერთ თა-

ვის მოხსენებაში ამტკიცებდა: ნიკოლორთქიფანიძის შემოქმედებას ირონოული კილო ახასიათებს და ამ ირონიამ მის შემოქმედებას ბანალობა არ მიაგარაო. მართლაც, „რანდების“ ავტორს ცხოვრებისადმი გამკენწლავი დამოკიდებულება გააჩნდა, მას მომარჯვებულის კქონდა სევედანარევი იუმორი და საწუთროს თითქო მწარე ღიმილით შესქქეროდა. წუთისოფლისადმი მიმართული გამკილავე კილო, თავშეკავებული ირონია და სხარტული პოეტური მეტყველება მის პროზაულ შემოქმედებას სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების მხატვრულ მართლწერასთან აახლოებდა. მას ძლიერ უყვარდა „წიგნი სიბრძნე-სიკრუისა“. საოცრად მოსწონდა ამ წიგნში გამოვლენილი მახვილი გონება, ღიმილნარევი მწუხარება, ლაკონიური პოეტური მეტყველება და საწუთროს სიკრუეზე აღბეჭდილი შთაგონებული სიბრძნე.

როგორც ვთქვით, ნიკოლორთქიფანიძე შთაბეჭდილებათა ამსახველი, უცხო განწყობილებათა შემქმნელი მწერალია. მას ილია ჭავჭავაძის დარად ქართულ მწერლობაში მონუმენტური ხასიათები აო შეუქმნია. მაგრამ კალმის ფაქიზი მოსმით რევოლუციამდელი ჩვენი ცხოვრების და უფრო შორეული წარსულის განუმეორებელი სურათები დაგვიხატა. აღრე განცდილი სინამდვილე ახალი საღებავებით გააცოცხლა. იგი აღრინდელ ცხოვრებას არა მარტო ნღვლიანი კილოთი დაწერილი მოთხრობებითა და ნოველებით შორდებოდა, არამედ სატირული და იუმორნარევი ღირიკული მიმართვითაც ეთხოვებოდა წარსულის აჩრდილებს. თავისებურად კენწლავდა დარღვეულ ბუდეების უღიმამო ცხოვრებას და მწარეთ დანაღვლიანებული ესალმებოდა ძველ საქართველოს. იგი ხატავდა დარღვეული ბუდეების, ვადაგვარების გზაზე დამღვარი თავადანაწურობის ცხოვრებას და ვალატაკებულ გლეხების სვეს დასტიროდა, წარსულში შემჩნეული ქართული ხასიათის ცალკეულ თვისებებს საოცარი მხა-

ტვრული უშუალობით გვიჩვენებდა. ნოველები: „ეპისკოპოსი ნადირობაზე“, „ბებრები“, „ბუმბერაზი“ ან „რუმბი“ უცნებელი, შენელებული სახუმარო კილოთია დაწერილი და თვითეულ მათგანში ნიკოლორთქიფანიძის დახვეწილი, ნაზი იუმორია გამოვლენილი. ჩვენმა შესანიშნავმა სიტყვის ხელოვანმა დაუვიწყარი ყოფა-ცხოვრებითი სურათები შექმნა. ეს გამკილავე, სასაცილო ყოფა-ცხოვრებითი სურათები ნამდვილ პოზიამდე აიყვანა და თვითეულ ნოველას დიდი მომხიბლობა მიანიჭა. იუმორი და ცხოვრებისადმი გამკენწლავი დამოკიდებულება მის არაიუმორისტული შინაარსის ნაწარმოებებშიც შეინიშნება. იგი გულახდილი მწერალია და ნღვლიანობაც მისი შინაგანი ცხოვრების განუყრელი თვისებაა.

„დანგრეული ბუდეები“, „კერიასათვის“, „რანდები“, „ფოდალები“, „ეპისკოპოსი ნადირობაზე“, „ბებრები“, „რუმბი“ და „საბა“ ავტორის შინაგანი მიდრეკილებათა და ზრახვათა მაუწყებელია. ამ მოთხრობებში და ნოველებში მკლავნდება, რომ ავტორი სიყვარულით და ამავე დროს გამკილავე თვლით უყურებდა აღრინდელ სინამდვილეს. ნაწარმოებში მოყვასისადმი თანაგრძნობა და ერთგვარი თავშეკავებული, დამკინავი ღიმილი ერთმანეთში არტიტულად შეზავებულია. ნიკოლორთქიფანიძეს თამამად შეეძლო ხსენებული მოთხრობებისა და ნოველების ციკლისათვის „ადამიანური კომედია“ ეწოდებინა. ჩვენი შესანიშნავი მწერლის შეხედულებით აღრინდელ ქართულ სინამდვილეშიც არა მარტო დრამატული, გულისდამწყვეტი შემთხვევები ხდებოდა, არამედ ჩვენი ცხოვრება სასაცილო, კომიკური შემთხვევებითაც საესე იყო, ხოლო ვაჭივრებაში ჩავარდნილი ადამიანები ზოგჯერ სასაცილონიც ხდებიან და სინამდვილის დუბჭირობას თავისი კომიკური მდგომარეობით ანელებენ. გარემოებათა და ადამიანთა ეს კომიკურობა, ჩვენს საყვარელ მწერალს კაცთმოყვარეობის გრძნობას უორკეცებდა

და ცხოვრების ავკარგიანობის შეცნობას უადვილებდა. ნიკო ლორთქიფანიძემ „ადამიანური კომედის“ მხატვარია და მისი ჰუმანიზმი სინამდვილის ამ ორსახიანობის წიაღშია დაბადებული. მაინც, მისი, როგორც მხატვრის, სურვილია „პარმონიული შეერთება მშვენიერებისა და ჰემოარტიტებისა“.

ზოგჯერ მისი ნოველა და მინიატურა სქემატურია და ნაწარმოების გმირები საკუთარი სახელების ნაცვლად „ქალი“ და „ვაჟი“ ზოგადი სახელით არიან მონათლული. ეს რამდენიმე „ქალვაჟიანი“ მსჯელობითია, სადაც ეპიკურობა სრულიად დაკარგულია და იგი ლირიკული განცხადებით არის შეცვლილი. ნიკო ლორთქიფანიძის ზოგიერთი ნოველა თუ პროზაული მინიატურა უცაბედად ჩანახატის თუ დაუმთავრებელი სურათის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი თითქოს მკითხველს არ ზღუდავდა შეკრული ჩარჩოებით და ზოგიერთ მის ნაწარმოებს პოეტური ხალვათობა ეტყობა. მაინც თავის საუკეთესო მოთხრობებში და ნოველებში იგი კომპოზიციის შესანიშნავი ოსტატია. პოეტური თქმის სიზუსტე და კომპოზიციური მთლიანობა მრავალ ნაწარმოებში ორიგინალურადაა შერწყმული.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ისტორიულ თემებზე დაწერილ მოთხრობებს, ან, როგორც ავტორი უწოდებებს, ისტორიულ რომანებს ესეიზებს. „მრისხანე ბატონი“, „ეჟამთა სიავე“, „რაინდები“, „ქედუხრელნი“, „ბილიკებიდან ლიანდაგებზე“ საქართველოს ისტორიულ და რევოლუციონურ წარსულზე დაწერილი მოთხრობების ციკლია. „მრისხანე ბატონის“ და „ეჟამთა სიავის“ თავფურცელზე აღნიშნულია, რომ ესენი არა ისტორიული მოთხრობებია. ამ მინაწერისათვის, თუ არა ვცდები, წინათ არავის მიუქცევია ყურადღება, ამ შენიშვნას კი ჩვენი მწერლისათვის უადრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ამ მინაწერით

მკითხველს ამცნობდა, რომ ავტორი ძველ მატრიანეში აღწერილი რომელიმე ნამდვილი შემთხვევის ბელეტრიზაციას არ ახდენდა, იგი არ ქმნიდა უშუალოდ რაიმე ისტორიულ ქრონიკაზე აშენებულ ნაწარმოებს, არამედ საქართველოს ისტორიის რამდენიმე მონაკვეთიდან მიღებულ შთაბეჭდილებას ასახავდა და მაშინდელი ისტორიული სინამდვილის ელფერის აღდგენას ცდილობდა.

„მრისხანე ბატონი“ და „ეჟამთა სიავე“ საქართველოს ისტორიიდან მიღებული შთაბეჭდილების პოეტური აღდგენაა. ამ ორ ნაწარმოებში უშუალოდ ისტორიული ცნობები არსად არ არის გამოყენებული. ყველა მოქმედი პირი არაისტორიულია და აღწერილი შემთხვევებიც ავტორის შთაგონების ნაყოფია. მაინც ეს შესანიშნავი მოთხრობები ჩვენი ისტორიული წარსულის სარკეა, მისი ზუსტი ანარეკლია. შეიძლება ხსენებულ მოთხრობებში მინიშნებული რომელიმე გმირი შორეულად მოგვაგონებდეს რომელიმე ისტორიულ პიროვნებას, მაგრამ მათ შორის ატმოსფერული ნათესაობაა და არა დოკუმენტალური. შეიძლება, მოთხრობაში „მრისხანე ბატონი“ აღწერილი ამბავი ძლიერ შორეულად ენათესავებოდეს სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის პირად ცხოვრებას, ხოლო „ეჟამთა სიავის“ მძაფრი, დრამატული ამბავი ძლიერ შორეული ანარეკლია რაჭის ერისთავის და სოლომონ მეფის შორის არსებული ურთიერთობისა, მაგრამ ეს მონათესავე მდგომარეობანი და ხასიათების ერთგვარობა მიახლოებითია და ადრინდელი სინამდვილის საერთო თვისებების მაჩვენებელია. „ეჟამთა სიავე“ დასაყვეთ საქართველოს გვიანი ფეოდალური ცხოვრების ერთი დამახასიათებელი სურათია, სადაც ყველაფერი დაურიდებლად მხილებულია და ადრინდელი ცხოვრების ყველა ნაკლი თავშეკავებულად დაგმობილია.

ილია ჭყონიას მიერ გამოცემული

რუხის ბრძოლის ისტორიული ქრონიკის საფუძველზეა დაწერილი ნიკოლორთქიფანიძის მომხიბლავი მოთხრობა „რანდები“. მაგრამ, როგორც ავტორი მოთხრობის ზედწარწერაში წინასწარ გვაფრთხილებდა, ესეც არ ყოფილა ზუსტად ისტორიული შინაარსის მატარებელი ნაწარმოები. თურმე ეს ყოფილა „არეული ისტორიის, დაიწყებული ზეპირგადმოცემებისა და დაღლილი ოცნების ხლართი“, რომელიც ავტორს „მწარე ღამეებში ნაღვლიანი ფიქრების გასაფანტავად შეუქონა“. ამ ლირიკული შესავალით ავტორს უნდოდა ეთქვა, მართალია, ეს მოთხრობა ნამდვილ ისტორიულ ცნობებზეა აშენებული, მაგრამ მისი პირვანდელი სახე სრულიად შესხვადვარებულია და საესებით გაჩემებურებულიაო. „რანდებში“ ასახულია იგივე რუხის ბრძოლა, რაც ბესიკ გაბაშვილის პოემაშია აღწერილი, მაგრამ თუ ბესიკ გაბაშვილის მიერ რუხის ბრძოლა დიდი პათეტიკური პოეტური ხმითაა გადმოცემული, ნიკოლორთქიფანიძის მიერ აღწერილი ეს ბრძოლა ყოფაცხოვრებითი იერის მქონე სურათებშია გათქვეფილი და ომის აღწერისას მთელი ყურადღება მოქმედ პირთა ყოფაქცევაზეა გადატანილი, თითქო მოთხრობაში გამოყვანილი გმირების მთავარი მიზანი ომში გამარჯვება კი არ არის, არამედ ბრძოლის ველზე ზრდილობისა და კეთილშობილების გამომჟღავნება. ყველაფერი სადა, ყოფაცხოვრებითი იერის მატარებელია. ჯარის სარდალი წისქვილის აშენებაზე მეოცნებე „რანდია“, ბრძოლის ველზე გასასვლელად გამზადებული მეფე ჰადრაკის თამაშით გართულია და თავად რუხის ბრძოლაც სოფლის დღესასწაულზე გამართულ ბურთაობას დამგვანებია, იგი თითქო სათვალისეირო სანახაობად გადაქცეულა. ამ ისტორიულ მოთხრობებში მონაწილე გმირები: მეფე, სარდალი, თავადები, აზნაურები და გლეხები ავტორის პირადი ნათესა-

ვები, ნაცნობები, ბიძაშვილები, ძიძიშვილები თუ შორეული და ანლობელი მოკეთებია. იგი ისე კარგად იცნობს ლაზიკას და სხვა რიგითს მებრძოლებს, როგორც აგიაშვილებს, მიქელაძეებს, წულუკიძეებს და წერეთლებს. ბრძოლის ველი თუ საერთოდ გმირული წარსული ისეა დანახული, როგორც საკუთარ ოჯახში მომხდარი უთანხმოება ან მშობლიურ სოფელში, დღეობაზე ატეხილი კენწლაობა. ყველა ისტორიული შემთხვევა ყოფაცხოვრებითი ელფერის მატარებელია და ყოველდღიურ სურათებშია გაშლილი. თითქო „ქამთა სიავის“ და „რანდების“ ავტორის მთავარი ამოცანა იყო ისტორიული წარსულისათვის ადრინდელი შემართება, გარეგნული პეწი და შორეულობის მაჩვენებელი პოზა მოეშორებინა და მისთვის საშინაო იერი მიეცა. ჩვენს მწერალს წარსულის გამდაბიურება და შემოჩვევა უნდოდა. იგი თითქოს თავად მომსწრე იყო საკუთარ მოთხრობაში აღწერილი ისტორიული შემთხვევებისა და ამიტომ ყველაფერი ჩვეულებრივად და ადვილად მისაწვდომი ეჩვენებოდა. იგი ყველაფერს გარეგნულ პათეტიკურობას უკარგავდა, ხალხის ყოფაცხოვრების გარეგნულ ელფერს თითქოს დიმილით გადმოსცემდა და ამ ყოფაცხოვრების შინაგან კეთილშობილებას ასახავდა.

ნიკოლორთქიფანიძის ნაწარმოებებში ასახული წარსული ცხოვრებაც კომიკური თვისებებით შენელებული დრამაა. მისი აზრით ადამიანებს წარსულშიც ისეთი ზრახვები და ვნებანი ამოძრავებდა, როგორც თანამედროობაში. ქამთასელაში ცხოვრების ფონი გამოიკვალა, მაგრამ ვნებანი და ზრახვები მიმდინარე ცხოვრებაში ისეთივეა, როგორც წარსულში. თუ მოლიერმა თავის ცნობილ კომედიაში დაგვიხატა გააზნაურებული მდაბიო, ნიკოლორთქიფანიძემ ასახა „ფეოდალებში“, „სოფლის ამიკნში“, „რანდებში“ და „ქამთა სი-

აეგში“ გამდაბიურებული თავადაზნაურობა. ისტორიული წარსული „მიმჭრა-ლი შარავეანდედით“ წარმოგვიდგინა და ზგი ჩვეულებრივი გარეგნობით ჩვენს ცნობიერებაში შემოიყვანა. განვლილი ისტორიული ცხოვრება ჩვენი სულის მონათესავე გახადა და იგი გარეგნული ხასიათით თანამედროობას დაუახლოვა.

მიანც საქართველოს ისტორიიდან მიღებული შთაბეჭდილებებმა „ეამთა სი-აეის“ ავტორი, ეტყობა, სავსებით ვერ დააკმაყოფილა და ქართული ხასიათების აღმოსაჩენად ჩვენი ხალხის მიერ შექმნილ ლეგენდებს, ზღაპრებს და თქმულებებს გადაიწვია. ნიკო ლორთქიფანიძემ ვადაამუშავა მრავალი ხალხური თქმულება და თავად შეთხზა „შექმნილ ლეგენდათა“ მთელი სერია. ქართული ლეგენდები და თქმულებები ნიკოს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. მაგონდება, როდესაც პირველად სვანეთში ვიმოგზაურე და დაბრუნების შემდეგ ამხანაგებს მოვუყევი უშგულში გაგონილი ხალხური თქმულება, „თუ როგორ გაჩნდა სვანური ჩანგი“, ნიკო ძლიერ დაინტერესდა, რამდენჯერმე მთხოვა მისთვის ცალკე მომეთხრო ეს ლეგენდა. ერთ საღამოს მწერალთა სახლას მისაღებ ოთახში შევიკრიბეთ და მე ვუამბე ჩანგზე შეთხზული ლეგენდა: სვანეთის შორეულ მთაში, სადაც წიფლების უდაბური ტყეა მოშენებული, ცხოვრობდა ვნებატეხილი და ალერსიანი, ნადირობის ღმერთქალი, დალი. შემოჩვეული ჰყავდა ერთი ნაცრისფერი, მწყაზარი ირემი, რომელსაც მუბლზე უჩრდილო მთვარე ჰქონდა ამოტვიფრული. ერთხელ დალიმ, როცა ნაცრისფერი ირემს ველობზე ამოვებდა, ჰაბუკი მონადირე ბიმურზოლა დალანდა შორიდან და მისი აზოვანებით მოიხიბლა. რამდენიმე ხნის შემდეგ, წვიმიან დარში, გზადაკარგულ და ნადირობაში გაწილებულ ბიმურზოლას დალის მღვიმესთან შემოაღამდა. ქალღმერთმა თავის სადგომში შეიტყუა ჰაბუკი მონა-

დირე, ოქროსფერი თმა ფიანდაზად გაუფინა და ნადირობაში ხელის შეწყობას შეპირდა, მხოლოდ აუკრძალა ნაცრისფერი ირემზე ხელის ამართვა და სათანადო ფიციც ჩამოართვა ნადირობის მოტრფილზე ბიმურზოლას. მერმე, მთვარიან ღამეში, დაბურულ ხევში, წიფელის ფოთლების ნეშოზე წვებოდა შიშველი დალი და მთვარის შუქზე ოქროსფერი თმას აშრიალეზდა. ნადირობაში გაღაღებული და ნადავლით კმაყოფილი ბიმურზოლა კლდიდან დაჰყურებდა დალის მშვენებას, მთვარეს მხერით გააცილებდა და მისი ჩასვლის შემდეგ დაბლა ხევში ჩაეშვებოდა, დალის ძუტუებს დაუკოცნიდა და ღმერთქალის ტარცალი დაბურულ ტყეში დილაძე გაისმობდა. ბიმურზოლას ყოველდღე შინ ნანადირევი მიჰქონდა და ოჯახი ამყობდა ჰაბუკის თვალის გამჭრიახობით. მაგრამ ერთი უიღბლო დღე ბიმურზოლასაც გაუთენდა. რატომღაც ხელი მოეცარა და ვერც ხარი მოკლა, ვერც ფური, ვერცა ირემი რჭიანი და გაწილებულმა შინ დაბრუნება გადაწყვიტა. მთებს ნაცრისფერი ბინდი ედებოდა და ღამე უფრო ადრე ეშვებოდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მონადირე დაიღალა და წუთით უხუცესი წიფელის ფესვზე ჩამოჯდომა და შესვენება განიზრახა, მაგრამ უცებ ტყეში ნაცრისფერმა ირემმა გაიშლიგინა და ბიმურზოლას წინ გადაურბინა. წამოვარდა ჰაბუკი მონადირე, დალისთვის მიცემული პირობა დაავიწყდა, შეილდ-ისარი მოიმარჯვა და უნდა გაესროლა, რომ მოხრილი მარცხენა ხელი, რომლითაც შეილდი ეჭირა, უეცრად გაუშეშდა და შეაბმა, სანადირო იარაღი ხელიდან გაუვარდა. გამხმარი მარცხენა ხელი საშინლად ასტივდა და ტყის სიღრმიდან დალის ყრუ, შენელებული სიცილი გაიგონა. ბიმურზოლას ყველაფერი მოაგონდა. აგრე დასეტყვილმა, სასოწარკვეთილმა და ტყიდან განდევნილმა შინისაკენ გასწია. მიდიოდა ჰაბუკი და თავისი გამხმარი ხელი, როგორც ფიცის გატეხვის გამო მიღ-

ბული სასჯელი, თან მიჰქონდა. კაბუ-
კის ფიჭვებში სინანული და ზულოს-
წყრომა აირია. გამხმარ ხელზე ძარღვე-
ბიც გახმა, მალე ძარღვები კუნთებს გა-
მოეყო და ლარებივით გაება სამკუთხ-
ად მოხრილ მარცხენა ხელზე. ტკივილე-
ბის გასაყუჩებლად მონადირემ თითები
შეახო თუ ჩამოკრა ლარებივით გაჭი-
მულ ძარღვებს. აწკრიალდა სიმებივით
გაჭიმული ძარღვები და უხილავი ხმები
გაიფანტა უსიერ ტყეში. ვაჟის ცოდვით
წიფელის რტოებიდან ფურცლები დაც-
ვივდა, ტყის სიღრმეში ყრუდ აქვითინ-
და დალი და ბიმურობლამ ჩანგის ლა-
რებზე ცრემლები დააფრქვია. ასე გაჩნ-
და სიმებიანი საკრავი, სვანური „ჩანგი“.

ნიკოს ძლიერ მოეწონა ეს თქმუ-
ლება და მითხრა, „უსათუოდ გადა-
ვაშუშავებო. ადრე ჩანგზე სვანური
ლეგენდა ია კარგარეთელის მიერ ჩაწე-
რილი წამიკითხავსო, მაგრამ ეს ვარიან-
ტი უფრო პოეტურია და უფრო ღრმა
შინაარსის მატარებელიაო. ძლიერ მოე-
წონა, რომ ვაჟაკის ძარღვები და გულ-
თან მიახლოებული მარცხენა ხელი
გახდა მუსიკალური საკრავის საფუძვე-
ლი. როგორც პირველი დედაკაცი მამა-
კაცის სხეულის ნაწილიდან არის შექ-
მნილი, ისე ჩანგიც მიჯნურის სხეულის
და სულის ნაწილი ყოფილაო. ჩანგის
ლარების ხმებიც დამარცხებული მიჯ-
ნურის გულისთქმაა და მისი სასოწარ-
კვეთილების მაუწყებელიაო. აგრე შე-
მოქმედის გულში ჩაბუდებულმა, ტკი-
ვილივით განცდილმა თემამ უნდა წარ-
მოშვასო ხელოვნების ჰემმარტიტი ნა-
წარმოები. ქართული ლეგენდების მეშ-
ვეობით ფაუსტისებური დიადი ნაწარ-
მოების შექმნაა მოსალოდნელიო“ —
სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო ჩანგზე
ზემოთ მოთხრობილი თქმულების გა-
დამუშავება, ამ თქმულებიდან მიღებუ-
ლი მუსიკალური შთაბეჭდილების გა-
დატანა ნოველაში არ დასცალდა და შე-
სანიშნავი პოეტური შთანაფიქრი არ
განხორციელდა.

მაინც ნიკო ლორთქიფანიძის მიერ
შექმნილ ლეგენდებში უაღრესად საყუ-
რადლებო ნაწარმოებია „ქედუხრელნი“
ნი“, რომელიც მან სიცოცხლის უკანას-
კნელ წლებში დაასრულა და გამოაქვე-
ყნა. ამ მოთხრობაში გადამუშავებულია
ზურაბის შესახებ იგივე ლეგენდა, რო-
მელიც ადრე საფუძვლად დაედო დანი-
ელ ჭონჭაძის „სურამის ციხეს“. მაგრამ
მოთხრობაში „ქედუხრელნი“ ამ ლეგენ-
დის სრულიად ახალი, თავისებური გა-
აზრებაა მოცემული. მაგონდება, დაახ-
ლოებით „ქედუხრელნი“ დაწერის რვა
წლით ადრე, ქუთაისში, რიონის პირად
შვიდასწლიანი ჰადრის ჩრდილში, ამ
ლეგენდის შესახებ მიმტკიცებდა, რომ
სურამის ციხის ლეგენდა ღირსია ხელ-
ახალი გადამუშავებისაო. ამ თქმულება-
ში სულ სხვა პოეტური აზრიაო ჩამარ-
ხული, ვიდრე დანიელ ჭონჭაძემ შენიშ-
ნაო. მაგონდება აგრეთვე: ერთხელ
ჩვენმა საერთო მეგობარმა მწერალმა
დავით სულიაშვილმა სურამში თავის
აგარაკზე მიგვიწვია შალვა დადიანი, ნი-
კო ლორთქიფანიძე, გერონტი ქიქოძე,
ლეო ქიაჩელი და ამ სტრიქონების ავ-
ტორი. სტუმართმოყვარე მასპინძელმა
შინიდან ორი დღე არ გამოგვიშვა და
ბუნების წილში საამურ სუფრას არ
მოგვაშორა. მეორე დღით ნიკომ მაინც
სურამის ციხის დასათვალიერებლად წა-
გვიყვანა გერონტი ქიქოძე და მე. რო-
ცა ხავსიან კედლებს ვათვალიერებდით,
შეგნიშნე, რომ იგი სურამის ციხეს,
როგორც მესაკუთრე თუ ოღითგან შეჩ-
ვეული მეციხოვნე უთვალთვალებდა.
თითქოს ყველაფერი შესწავლილი და
ადრე ათვისებული ჰქონდა. დავრწმუნ-
დი, რომ „ჟამთა სიავის“ ავტორი ზუ-
რაბზე არსებულ ლეგენდასაც მალე გა-
დაამუშავებდა და მწერლობაში ახალ
სიხარულს მოგვიტანდა. მართლაც, ორ-
მოცდაერთი წლის იანვარში ნიკომ მო-
ულოდნელად „ქედუხრელნი“ ერთი
ნაწილი წაგვიკითხა: რაედენ გვეტაძეს,

ირაკლი აბაშიძეს და ამ სტრიქონების ავტორს. მე ძლიერ მომეწონა „ქედუხრელის“ ის ნაწილი, რომელსაც „ერთბერანგიანი“ ეწოდებოდა. მაშინვე გამოვთქვი ჩემი აღტაცება, მაგრამ პირველად ეს ნაწყვეტი დამახინჯებულად დაიბეჭდა და მკითხველზე ჯეროვანი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

დანიელ ჭონჭაძის „სურამის ციხე“ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოებია და თავის თავად შესანიშნავი მოვლენაა ჩვენს მწერლობაში, მაგრამ სულ სხვაა ნიკო ლორთქიფანიძის პოეტური ნააზრევი. მოთხრობაში „ქედუხრელი“ ნაჩვენებია ხალხის სულის

უკვდავება და ქართველი ხალხის ეროვნული ენერჯის გამძლეობა. ავტორი ამ ნაწარმოებში უმღერის ხალხის უკვდავებას, მის შეუღრეველ ცოცხალ ბუნებას და ამიტომ აქვს ეპიგრაფად წამძღვარებული გრიგოლ ორბელიანის სიტყვები:

„შეთა დროთა ვერ შეცვალეს
მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მოუვარე თავის მიწისა“.

ხსენებულ ნაწარმოებში ნიკო ლორთქიფანიძე ქართველი ხალხის სულის უკვდავებაზე მღეროდა... და განა მართო ამ ნაწარმოებში?

შალვა ჩიჩუა

რომანი ქართველ მეფოლადეებზე

50-იანი წლების ქართული საბჭოთა პროზის ერთი საყურადღებო ნაწარმოებთაგანია აკაკი ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბური“. იგი ნამდვილად თანამედროვე რომანია იმ ცხოვრებისეული პრობლემების გამო, რომლებიც ნაწარმოებშია დაყენებული და რომელთაც შესაფერისი გამოხატულება უნდა პოვნო.

რომანის სათაური ერთ-ერთი მთავარი გმირის სახელია. ვეფხია ხალიბური საქართველოს მთიანეთის შვილია; მისი ცხოვრების მხატვრულმა სურათმა უნდა გაეცხნას იმ მოვლენათა არსი, რომელთაც დიდი გავლენა იქონიეს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაზე, კერძოდ შორეულ ზეესტრეფებზე.

ახალი აღმართის ცხოვრების უველაზე მწვავე პრობლემები არჩილ სანებლიძის სახესთანაა დაკავშირებული. დემობილიზებული მეომრის, ინჟინერ არჩილ სანებლიძის საზე ნაწარმოების პირველი ნახევარის ცენტრში დგას. ეს ნაწილი აღრე გამოქვეყნდა „რუსთაის“ სახელწოდებით. როგორც ჩანს, შემდგომ მწერალი უფრო ვეფხია ხალიბურის ხასიათმა გაიტაცა და დაინტერესდა, ეს ხაზი ვეფხია უფრო მნიშვნელოვნად და უფრო მეტი ყურადღება მიაკცია მის განვითარებას. ამის გამო რომანი უფრო მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრებას აჯიწებს, მომავალ ქართველ მეფოლადეებს გეიხატავს, ვიდრე ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას და მის შემოქმედ აღმართებს. არჩილი უკავშირდება ახალგაზრდობის იმ ჯგუფს, რომელიც რუსეთში გაიგზავნა ფოლადის დნობის საქმის შესასწავლად და რომლიდანაც ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პირველი მეფოლადეები უნდა გამოსულიყვნენ.

მაგრამ მწერალს მხოლოდ წარმოების „ახალწვეულთა“ აღზრდის სიძნელეები როდი აინტერესებდა. მის ყურადღებას იზიდავდა აგრეთვე სხვა პრობლემები. მან, როგორც ჩანს, საესტეტიკო თაღი ვერ მიანება თავდაპირველ ჩინაფიქრს და არჩილთან ერთად ისევ უბრუნდება რუსეთსა და მის მშენებლობას. სწორედ იქ წამოიჭრება არჩილის წინაშე ცხოვრების ეს პრობლემები, რომლებიც, ჩვენი აზრით,

ველაზე მეტად აღელვებს მკითხველს. სამამულო ომის შემდგომი ცხოვრების ტაჰიტურ წინააღმდეგობათა ასახვის ცდასთან ვეაქვს საქმე „ვეფხია ხალიბურის“ ფურცლებზე.

მაგრამ დაეიწყეთ ვეფხია ხალიბურიდან, რომელიც ძველი ხალიბი მეფოლადეების შორეულ ნამიერადაა წარმოსახული.

ახალი საქართველოს შვილებს უხდებოთ ხელახლა დეფულონ ფოლადის გამოდნობის ტექნოლოგიას, შეისწავლონ ის რუსი მეგობრებისაგან. ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი, ჩვენი ქვეყნის უველა კეთხის წარმომადგენლებისაგან შემდგარი, ურალს მიემგზავრება. მათ შორის არის ვეფხია ხალიბურიც. ვეფხია მითანი ხეხსურეთის მცხოვრებია. იქ, კავკასიონის ქედის მწვერვალებთან ძნელად და დაგვიანებით აღწევს ცხოვრების სისხლსავე და ფართო მდინარების ტალღები. ზოგან თითქმის ხელუხლებელია ძველისძველი ყოფა, ძველი წეს-ჩვეულებანი.

ვეფხიას თანასოფელმა ძველმა მკვდელმა პაპა აპარეკამ მშენიერიად იციის ხმლის გაწოვდება, ის კარგად არჩევს ფოლადის მრავალსახეობას. მაგრამ როგორ მოიპოვება ეს ფოლადი, რათა მისგან გამოიქვდოს სასურველი და უველა ხეხსურისათვის აუცილებელი იარაღი — ხმალი? აი, რა აწუხებს ჰაბუე ვეფხიას. ამიტომ დათანხმდა ის ფოლადის გამოდნობის შესასწავლად შორეულ რუსეთს წასულიყო, როცა ინჟინერ არჩილ სანებლიძისაგან ბარის-ახოში მისი მოსულის მიზანი გაიგო.

ამეე უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მთიელის ხასიათის შესაბამის განვითარებაში შეიპარა ის ვგზორკერობა, რომელიც დაეშვა მწერალმა ზვესტრეტიის სურათების შექმნასა. ვეფხიას ხმლის მთელი ისტორია ერთობ გამოწონაგონია, ნაკლებად აღელვებს მკითხველს და, რაც მთავარია, სრულიად ვერ არწმუნებს მას, ხმლის სიმბოლიკა ბუნებრივი და გამართლებული არ გამოუვიდა „ვეფხია ხალიბურის“ ავტორს.

იყო სასიშრობა, რომ მწერალი ამ გზით წავიღოდა ვეფხიას ხასიათის გახსნისას. ამაში შეიძლება დაევეეებინა მკითხველი ერთ ეპი-



ზოდს, რომელიც ხალიბურისა და ლექვანიძის უნებლად შეტყუების შემდეგ ვეხვდება რომანში: ვეფხია გაინჩლებულ ვანიკოს აყავებდა, ეს უკანასკნელი კი ხელიდან გასხლტომას ლაშობდა და თავი ვაგრტვა მთიელს. ვეფხიას ცხვირიდან სისხლი წასკდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯგუფის ზღმამღვანელი არჩილ სანებლიძე ღამნამავეებს, განსაკუთრებით, ვანიკო ლექვანიძეს უსაყვედურებდა და ცდილობდა შეერიგებინა ისინი, ბოლოს ისევ ლექვანიძეს მიმართა: „ახლა ვეფხიასთან ბოდიში მოიხადე და შეურაცხდი.“

ვანიკომ მალულად შეხედა ვეფხიას. ის ისევ ისევე აღსვამდა ცხვირზე ხელს და სისხლით დასვერილ თითებს ქალღმრთის ნაგლეჯით იწმენდა.

— ჩვენი შერიგება არ იქნება, — უთხრა არჩილს ვეფხიამ, — სისხლი სისხლით უნდა მიხდას.

არჩილმა წარბები შეიკრა. საქმე უკვე ცუდ მნიშვნელობას ღებულობდა.

მაგრამ მწერალი როდის მიჰყვა ამ მიმართულებას? აგი შემდგომ უკვე აღარ უბრუნდება სისხლის აღების საკითხს და, საერთოდ, ვეფხიას ხასიათში არ ეძებს იმ ნიშნებს, რომლებიც ხალიბაურის სახეს ვგზობტკურობის კვალს დააჩვენებდა. ა. ბელიაშვილი არ უპირისპირებებს ვეფხიას ხასიათს მისი ამხანაგების ბუნებას. მწერალმა დაინახა და თავის წინაშე დააყენა სხვა, უფრო დიდი ამოცანები. საერთო—საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეები, ამ შემთხვევაში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, რომელსაც ქვეყნის ცხოვრებაში საგრძნობი ელვლეუბები შეაქვს, მწერლის მიერ არ შეიცნობა, როგორც განუხრებელი სამეურნეო ამოცანა. სამეურნეო წინსვლასთან ერთად ბევრი რამ იცვლება ხალხის ცხოვრებაში, მის ხასიათში, ყოფაში. ახალი კადრების გამოზრდა მხოლოდ მეფოლაღებების მომზადება როდია, არამედ ახალი ხასიათების ჩამოყალიბება, ახალი ადამიანების აღზრდა. მწერალი უმთავრეს ყურადღებას აქცევს მთლიანად კოლექტივის აღზრდას, ახალი ადამიანების ჩამოყალიბების პროცესს. რომანის გმირები — ზიზო, ლამარა, გიგა, ასტამურა, სიმონა, პაიკა და ჭიკოცა, ისევე როგორც ვეფხია, განიცდიან ცხოვრების ახალი პირობების, ახალი უფლის შეთვისების სიძნელებებს.

ვეფხია სკოლაში სწავლობდა და ერთგვარი წარმოდგენა ჰქონდა ქვეყანაზე, ზეუსრუთის გარე სამყაროზე. მაგრამ, როცა პირისპირ შეხედა ქალქს, იგი მისთვის სასწაულებით აღესკოდა მხარე აღმოჩნდა. ბუნებრივი ვაკეცობა, აზრიანობა და ნებისყოფა ეხმარებოდა ვეფხიას გზის გაგნებაში.

ბუნებრივად ბევრი არ აღმოჩნდა შორეულ რუსეთში წასვლის მსურველი. არჩილ სანებლი-

ძეს ეს შეატყობინეს და იმანაც ერთი კვირით გადადო ბარისახოში წასვლა. იქ მუფთაღმწეფხიამ რომელსაც სურდა ქალქს წასვლად მგერიმ ქალქით? როგორ? მან ხომ არ იცოდა ეს, არ ჰქონდა არც ფული, არც სხვა რაიმე საშუალება. მხოლოდ ერთი ფიქრი ჰქონდა, რომ მოეხინიდა როგორმე არჩილს.

თავისი შეუბოროტების გამო ვეფხია ძლივს სიკვდილს გადაარჩა. მაგრამ ამ მომენტიდან მკითხველს წაის, რომ ვეფხია ვაკეცობად გაივიღის ცხოვრების გზას.

ქალქში ვეფხიამ არჩილი ვერ იპოვა და „დაიკარგა“. მაგრამ მის გონებაში ცოცხლობს საიმედო ორიენტირი. ქაბუცს მამსკვე მთავრობდა „საბუთა მთავრობა“, რომლის დახმარებითაც იგი კპოევებს თავის დაინშნულუბის ადგილს. ვეფხიაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მომავალი ქარხნის დირექტორის სიტყვამ. ქაბუცი მეტად ააღელვა ამ აღმოჩენამ. რომ სწორედ იგი, ხალიბაური, შეიძლება, ამ ძველ ხალიბთა ნაშეირია, რომელსაც იყოღენწ ფოლადის გამოღწობის საიდუმლოება. ხალიბაურში თავის ვალდებულებად ჩათვალა, რომ ეს-წავლა და ამ დღიდან მან. გადაწყვიტა თავისი ცხოვრება მთლიანად მოეხმარებინა ახალი დიდი საქმისათვის...

ომის დროის სიმწეღენი ჯერ კიდევ ძალაში იყო. ახალგაზრდებს უხდებოდათ დაეპოუფებულენევენ არაკეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი, საყვები ცუდი იყო და ცობა, სამეშაო — ბევრი. ეს საერთო წინააღმდეგობანი კიდევ უფრო რთულდებოდა ქართველი მოწაფეებისათვის, რომლებიც ძნელად იტანდნენ დასაუღეთ ციმბირის ყინეებს. ახალგაზრდობა რაიონებიდან იყო უმთავრესად, ისინი არ იცნობდნენ წარმობას. ცეცხლქმინავე მარტენი, მაღალი ამწეები, წყალივით მღელარე ფოლადის ტბორები, წითად აღუბუთე ბლუმსები, მორაბრაზე ვაგონტები მათ თავიდან აკვირებდათ. მაგრამ ქაბუციები და გოგონები თანდათანობით ენვევოდნენ ყოველივე ამას... ერთმა შემთხვევამ კინალამ ვეღაღერი გააქარწყლა: წყალსადენი მიღების რემონტის დროს ღმეღმე, თავისივე შევლიომის გამო სასიკვდილოდ დაიწვა ოსტატი... „ვეფხია...“ ვაკეცუბულივით იღვა ერთ ადგილზე. ფერი სულ დაკარგოდა. მან თვალნათლივ დაინახა, ცოცხალი ადამიანი რომ იწყოდა. მთელ ტანზე ისევ მოღებოდა ალი, თითქო მისი ტანსაცმელი ქაღალდისა ყოფილიყო... ვასილ ივანიჩმა მოიხსარა, ნიჩაბს ხელი დააეღო და აღმოღებულ ოსტატს კვარცის სილა მიჰყარა. მის სხეებიც წაეშვეღენწ.

აკაცი ბელიაშვილი გვერდს არ უღლის სიძნელებებს და ამასთან ერთად ზოგიერთი ახალგაზრდის სისუსტეს, პანიკორობისა და ლაზრობის შემთხვევებსაც. შევირდმა სასონამშვილმა, რო-

შედიც თვითონ ძლიერ შემინებული იყო, თავის გრძელ სიტყვაში უველადური ვადამეტებულად გახვიადა, ახალგაზრდები დაიწინა და მათ საბოტაჟისაკენ მოუწოდა, რის შედეგადაც ბევრმა უკან, საქართველოში გამოქცევა ვადაწყვიტა. ყოველანაშა ვეფხიაც. მაგრამ ხელმძღვანელი ინჟინრის არჩილ სანუბლიძისა და თვით მოსწავლეების დროულმა და გუნტავულმა ჩარევამ საქმე გამოასწორა. არჩილი მოთმინებოთ უხსნიდა მათ, რომ ის, მიუხედავად ფილტვში ღრმა ტრილობისა, მათთან ერთად იტანდა სავინელ ყინვებს და უველა დაბრკოლებას, რომლებშიც მათ ხედებოდათ. ზიზომ სახედისწერო შემთხვევის მაგალითი მოუყვანა მათ კოლმეურნიკობის ცხოვრებიდან, როცა წინდაუხედაობის გამო დაიღუპა ცაკი ხის მოტრის ღროს. ზიზოს სიტყვებმა განსაყობებულად იმოქმედა ვეფხიაზე: თუ ასე ავთობდა ქალაქელი, ვეფხიას მით უფრო არ უნდა შეემჩნია შიში, დაეძლია ის და ფოქრი არ გაველო მათში გაქცევაზე. ამის შემდეგ ხალიბაური გაორკეცებულნი ენერგიით კიდებს ხელს სწავლას.

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ვეფხიას მიმართ ოსტატი ვასილ ივანეს-ძე ბულატოვი. ბულატოვის სახით მწერალმა დაგვისხატა მოწინავე რუსი მეშა, გამოცდილი ოსტატი, რომელიც სიყვარულით ეპყრობა თავის ქართულ შეგირდებს და ასწავლის მათ მეფოლადის ძველ ხელოვნებას, ხალხთა მეგობრობის ასახვისას მწერალი გვერდს უღლის ლტერატურულ შტამებს; „ვეფხია ხალიბაურში“ ხალხთა მეგობრობა, კერძოდ, რუს და ქართველ ხალხთა მეგობრობა ვეფხიაზეა კონკრეტული შრომითი დამოკიდებულებით.

ბულატოვის სახე დაბატულია ზედმეტი ტყველსიტყვაობისა და რიტორიკის გარეშე, იმ ყოველდღიურ საქმეებით, რომლებსაც ის გულმდგომარეულად და თავგამოდებით ასრულებს, როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა პატიოსანი მშრომელი. ვასილ ბულატოვისათვის მწერალმა იპოვა თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ ძალიან მახვილი და მზავლისმეტყველი დეტალები. ექნება ორიგინალური, თავისებური ხასიათი, რომელიც კარგად ამახსურდება მკითხველს და ზემოქმედებას ახდენს მასზე. ბულატოვისაგან მისი ქართული მოწოდებები იღებენ არა მარტო ფოლადის ღნობის ჩვევებს, არამედ იპოვებენ მუშის ხასიათს, შრომის სიყვარულსა და სიხარულს. ბულატოვი, უპირველეს ყოვლისა, პირადი მაგალითის მიმოცემა და არა რეზონიორი — ტექნისდამრიგებელი. თუმცა ამ შემთხვევაშიც მწერალმა თავი საყვებით ვერ დააღწია არა სახერველ დეტალებს: ვასილი ივანის მერულე აღმოჩნდა უმართებულო ახ-

რებით შეიარაღებული „კავკასიელები“ მიმართ. მაგრამ ამ ჩვეულებრივ მშრომელ-ახალგაზრდებთან პირადად შეხვედრამ კმ დაქვეყნებული ნება უსაფუძვლო წარმოადგინა მათზე. თვითონ ბულატოვი თავის მოწოდებებს უყურებს როგორც უფროსი მეგობარი, და ასეთი გულისხმიერება მისმა შეგირდებმაც უკროვნად დაუფასეს. ვეფხია ყოველთვის გულისხურით კვიდება ბულატოვის რჩევებს და თანდათანობით ითვისებს რუს ოსტატის გამოცდილებას, ხდება კოლექტივის ერთ-ერთი მოწინავე აღმანია.

უნდა აღინშნოს, რომ ცალკეული ხასიათების გარდა, ა.ე. ბულიშვილის რომანში ნათლად ვხედავთ, თუ როგორ უდაბლებმა ახალგაზრდებმა ერთიანი ძლიერი კოლექტივი, რომელიც ძველს ცალკეულ სისუსტეს, დადებით გავლენას ახდენს თავის წევრებზე და აჯანსაღებს მათ (რის მაგალითიცაა ესტატი მუარლიშვილის მოქმედება). ამის შედეგად უდაბლებმა მუშათა კლასის ახალი კოლონა, რომელიც აღსავსეა ენერგიითა და ძალით, ცოდნითა და გამოცდილებით. ქართველი ახალგაზრდები დგებიან რესპუბლიკის შრომითს ვაზტზე. გიგა ბეჟანიშვილი, ვეფხია ხალიბაური და ლამარა მონაწილეობენ ფოლადის პირველ გამოღობაში ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში.

ვეფხრობით, რომანის დასასრულს მწერალი ვარდისფრად ხატავს შრომითი გზის დასაწყისს ახალ ქარხანაში, რაც შეიძლებადა პერსპექტივაში გვეგულისხმება შემდეგისათვის.

ყველაზე საინტერესო სახად „ვეფხია ხალიბაურში“ ჩვენ არჩილ სანუბლიძის ცხოვრება მივყავართ. არჩილის რთულ ცხოვრებაში ბევრია ისეთი პრობლემა, რაც აღელვებს ჩვენს თანამედროვეობას, რომელთა გამო ჩაფიქრდება მკითხველი. არჩილის სახესთან კავშირში თავისებურად ისახება დადებითი გმირის პრობლემა-

ის იყო, არჩილი უნივერსიტეტი დაამთავრა, რომ ომი დაიწყო. სანუბლიძე მისივე საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა და საინჟინრო ნაწილებში მედერად იბრძოდა ფაშისტო დამპყრობლების წინააღმდეგ, რამდენჯერმე დაუჭრა. უკანასკნელი ტრილობა მძიმე აღმოჩნდა და პოსპიტაღში მუერნალობას შემდეგ დემობილიზებული არჩილი თბილისში დაბრუნდა. მძიმე ტრილობის, ფილტვებში ჩარჩენილი ჭურვის ნარჩენების მიუხედავად, სანუბლიძე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ებშება, ინიშნება რუსთავის ახლადდაკომლექტებულ ქარხანაში და იწყებს მომავალი მეფოლადების შეგროვებას.

არჩილის, როგორც ჩვენი თანამედროვის, სახე რომანის პირველი გვერდებიდანვე წარმოვედგება. არა მარტო შრომში, არამედ სიყვარულში. უკარ კიდევ სტუდენტო არჩილი ძლიერ გაიტაცა სამუდიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა-



თალიკო გაბაურმა. ომმა დააშორა ისინი. არჩილი სწერდა მას ფრონტიდან, მაგრამ არც ერთი საპასუხო წერილი არ მიუღია და ფრონტული ცხოვრების ქარიზმალში თანდათან მიიფიწვდა იგი... მაგრამ დაბრუნდა თუ არა, სანებლიემ თალიკოს წერილი მიიღო. საქმე ძალიან უბრალოდ მომხდარა: ომის დასაწყისში თალიკო დაფიქრებულა იმაზე, რომ მამაკაცების რიცხვი თანდათან მცირდებოდა ზურგში და სასწრაფოდ გაპოვოდა კაცს, რომელსაც მისი გულისთვის ცოლშვილი მიეტოვებინა. შემდეგ ახლმა ქმარმა ასევე მიატოვა თალიკო თავისი ორი შვილი. მაშინ ქალმა: რომელიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ბარათი გაეუზავნა ფრონტიდან დაბრუნებულ არჩილს და თავისი მდგომარეობა აცნობა.

არჩილმა ბევრი იფიქრა წერილებზე, თვითონ თალიკოდ და ყველაზე მეტად მიტოვებულ ბავშვებზე. პირველად ის ვერ ფარავდა ვაბოროტებას თალიკოს მიმართ, დღაღის გამო. მაგრამ არჩილი მალე აღმოჩნდა ყოველგვარ წინაზრახვაზე და, ასე გასინჯეთ, პირადად, იღუპილი მისწრაფებებიც კი დასძლია. სანებლიემ ვადაწყვეტა ამოეყვანა თალიკო იმ ორმოდან, სადაც ის აღმოჩნდა.

სანებლიემ თავი ვერ შეიკავა და უბრალოდ სურდა საკითხის გადაწყვეტა. ეს ფიქრობდა არაფერი არ ეთქვა იმის შესახებ, თუ ვისი იყო ბავშვები, დაქორწინებულიყო თალიკოზე, პატარები თავისი მშობლისათვის დაეტოვებინა და ცოლთან ერთად წასულიყო რუსეთში, სადაც სამსახურის გამო უნდა გამგზავრებულიყვნენ ორივენი. არჩილის მამამ ყოველივე გაიგო თალიკოსაგან და ახლა ბირდაბირ და გულითადად მიმართა შვილს, რათა დაფიქრებულიყო თვის საქციელზე.

მამა სწორი იყო. შემოწმებას მოითხოვდა არა მარტო არჩილის სიუვარული, არამედ, უშაატრესად, თალიკოს გრძნობისა და მისწრაფების სიმტკიცე. ა. ბელიაშვილი აქაც გვერდს უვლის შტამებს: თალიკო „არ სწორდება“, იგი პირველი არღვევდა ახალ დამოკიდებულებასაც და, რუსეთიდან არჩილზე აღრე დაბრუნების შემდეგ, მისთხოვდება თავის ყოფილ ლეიტორს, რომელიც მასზე ოცდაათი წლით უფროსია, მაგრამ დიდი ხელფასი აქვს, თანაც სამოთახიანი ბინაცაქვს.

მწერალმა კალმის ერთი მოსმით არ გამოიყვანა თალიკოსაგან დადებითი გმირი. მაინც არჩილის მოქმედება თალიკოს მიმართ გამართლებულია და უკეთაოდ არ დაკარგულა. არჩილმა მძიმე მდგომარეობიდან ამოიყვანა ქალი და ორი ბავშვი, ბოლოს თალიკოც პოულობს ცხოვრებაში კეთილად აღვიწყს. მაგრამ მარტო ამით როდია მნიშვნელოვანი ეს ფაქტი. არჩილის ქვეყანაში დამოკიდებდა მისი ფართო შეხედულებანი ცხოვრებასა და ადამიანებზე, მკითხველისა-

თვის მისაწვდომი ზედა მისი მაღალი ჰუმანიტრობა და სიბრძნე ცხოვრების გეგმაშიც საქმე-ბლიძის იდეალები იტაცებენ მკითხველს და უკეთურ რეაქციას იწვევენ მასში. არჩილის ოცნებებს სხვაგვარი გაიზიარებს ყოველი პატრიოსის მოქალაქე: „...ახალი სოციალისტური ქალაქი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი და სოციალისტურ ქალაქში ასევე ახალი, თანამედროვე ადამიანები, პატრიოსები, ჰეიანები, მშრომელი... ვულში სულ ვოცნებობდი, რომ დიდი რუსთაველის მიწაზე, ამ უძველესი ქალაქის ნანგრევებზე აღმოცენდებოდა ახალთახალი, სოციალისტური სახე ადამიანთა კოლექტივი“. ცხოვრება უჩვენებს არჩილს, რომ მისი ოცნებები ადვილად განსახორციელებელი როდია. მან კარგად გაიგო ეს და მზადაა მიიღოს გამოწვევა: „ოჰო, პო, პოო!... ვატყობ, რომ ფრონტზე ნაკლები ამბობს აქ არ მომწოდს. ერთი კარგი საბრძოლო განგაში ავტუხით, ქვეყნის შთელი პატრიოსანი მოსახლეობა ფეხზე დაეყენოთ, დავესიოთ, გაიძვრებს და, როგორც ზვენი სირცხვილი და თავის მოჭრა, ბირფესვიანად ამოეძირკეთ და მოვსპოთ“.

ძლიერ განიცადა არჩილმა ბინის დაკარგვა თბილისში. მისი ავადმყოფობის დროს მშობლებმა გაიყიდეს ოდესღაც ამხანაგობაში აწუნებული ბინა, რომელიც ეილაც დახლიდარმა შეიძინა. არჩილი ომობდა — იგი მდიდრდებოდა... რა მიზეზია, რაშია საქმე? ეს კითხვები აწუხებდა არჩილს, თორემ, უბინაოდ რომ არ დარჩებოდა თავისი ოჯახი, ეს კარგად იცოდა. თუმცა არც აქ ყოფილა საქმე მთლად იოლად. როცა არჩილი ინიერად დანიშნეს ქარხანაში, წარმოების უფროსმა განკარგულება გასცა, რომ მისთვის ოთახი მიეცათ, მაგრამ გააჩნდა ამ ოთახის მიღება. სახლმშპრათელი ისეთი კაცი როდო იყო, უფროსების განკარგულება უსიტყვოდ შეესრულებინა — მას თავისი ანგარიში ამოძრავებდა. უპირველეს ყოვლისა, ძნელი იყო მისი ნახვა, მერე უქრთამოდ ის ოთახს არ იძლევა. არაფერი წმინდა მისთვის არ არსებობს. გამოჩინის მიზნით იგი ყველაფერს გამოიყენებს. არ მოერიდა ცილისწამებასა და დემაგოგიასაც. ყოველმხარად ცდილობს, გააბიბრებს არჩილს ფრონტული დამსახურება, თუმცა ეს უკანასკნელი არასდროს არ ცდილა თავისი თავდადების საფასურად რაიმე მოეთხოვა. ერთ სიტყვითაც კი არ იხსენებდა მათ. არჩილი იმასაც კი ითმენდა, რომ ეს კაცი, რომელიც არასდროს არ ყოფილა ფრონტზე, თავისთავს ყოფილ ფრონტელს ეძახდა. მაგრამ იგი მოთმინებიდან გამოიყვანა იმ ვარემობამ, რომ ამ გადაგვარებულის დემაგოგიის შედეგად, იგი თითქო ქვეყანას აყუდრდა დაღერილ სისხლს.

ყველაზე მძიმე ის იყო, რომ ასეთი კაცი დამცველებს პოულობდა. პატარა როლს როდო ასრულებდა ის ვარემობა, რომ სახლმშპრათელი

ბაზაზე სამუშაოზე მიღებული იყო „ლევანტი პლატონის რეკომენდაციით“.

თათბირზე მმართველთან არჩილმა მჭაფრად გააკრიტიკა სახლმმართველის მუშაობა. საპროექტო ბიუროს მთავარმა ინჟინერმა ბეჟან აბუსაძემ ურჩია მმართველს მოესხნა ბაზაზე სამუშაოლან. მაგრამ მან ასეთი პასუხი მიიღო:

„რა ჯანდაბა ვუყო არ ვიცი. აქამდე ცხრაჯერ მოვხსნილი, ლევანტი პლატონის ხათია რომ არ მჭონდეს. იმის რეკომენდაციით მივიღე, რაღაცა ნათესავეა მგონი მისი, არა უშავს რა... ვადავიყვან სადმე...“

— მაგვინა მთელი უბედურება — წიფდუღუნა ბარდავლიძემ (მშენებლობის მთავარი ინჟინერი) და ამოიხზა“.

სამუშაო, სახლმმართველის ისტორია ერთეული მოვლენა როდია. უფრო დიდ სიმწელებებს აწყდებოდა არჩილი, როცა ხვდებოდა ვიწრო საუწყებო ბიუროკრატულს. როცა ქალაქისა და ქარხნის მშენებელ ორგანიზაციებს, რომლებიც სამოკამლე იყვნენ, არ უნდოდათ ანგარიში გაეყვიათ ერთმანეთსაშვიის, და არაფრის გაგონება არ სურდათ თავიანთ საუწყებო განკარგულებების გარდა, ზწირად კი ეს განკარგულებები არ შეეფერებოდნენ საქმის ვითარებას მთელ მშენებლობაზე.

არჩილი უდიდესი რისხვით ხვდებოდა საერთო სახალხო სიმდიდრის, სახელმწიფო საკუთრების განიევებისა და წვრილმანი დატაცების ყოველ ფაქტს. პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს სანებლიძის მოქმედებაში. არჩილი ასევე გულწრფელი და პატიოსანია ინტიმურ დამოკიდებულებაშიაც. თალიკომ არ გაამართლა არჩილის იმედება და ვერ დაიმსახურა მისი გარტაცება. ახალგაზრდა კაცმა დიდი ტკივილის მიღებით დასძლია სიყვარული და თანდათან დაივიწყა იგი. მაგრამ გული მზად იყო, ისევ ეძებნა დიარსეული მეგობარი ქალი. და ბოლოს სანებლიძე პოულობს მას მყუდრო სახით (რომე-

ლშიც, აქვე უნდა იოქვას, მზამზარეულად გადმოინაცვლა „უღელტეხილიდან“ „ვეფხისტყაოსნის“ ხალიბაურში“, იმ განსხვავებით, რომელიც მჭაფრისა და პატიოსანის გმირი ქალი ვერ პოულობს დამფასებლებს, აქ კი მყუდრო თავისი ადამიანური ღირსების მოთაყვანეს პოულობს და მისი ცხოვრების მეგობარი ხდება), აქამდე კი არჩილს კიდევ ერთი გაზრდილება ელოდა სიყვარულში, თუმცა არა ისეთი მწკავე, როგორც პირველია: ლია, რომელმაც ის გაიტაცა, თავისუფალი ყოფილიყვეს ქალი აღმოჩნდა, იგი არჩილის მცირე ოცნებადაც არ ღირდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრების ყველა ის წინააღმდეგობა, რომლებზედაც ლაპარაკი გვექონდა, ის დაბრკოლებანი, რომელნიც უნდა გადალახოს ნაწარმოების ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა არჩილ სანებლიძემ, რომანში ზოგჯერ საკმაო სიღრმის გარეშე გვეხატება.

„ვეფხია ხალიბაური“ ერთობ გადატვირთული საზოგადოებრივი პრობლემებით, რომლებიც სისხლბორცულად დინტიკურებს იწვევენ მკითხველში, ოღონდ ზომამე მეტად ბევრი პრობლემის თავმოყრა ერთი წიგნის ფარგლებში შეწარალს ზოგჯერ იძულებს, გააკეთოს ეს ღრმა დახვეწვის გარეშე. ამის თქმა არ შეიძლება „ვეფხია ხალიბაურის“ ყველა პერსონაჟის მიმართ, მაგრამ სხვადასხვა ზომით ეხება რომანის ბევრ გმირს. განსაკუთრებით საცნაური ხდება ეს რომანის ბოლო ნაწილში, სადაც არჩილი, რუსთავში მუშაობის დაწყების შემდეგ, შეხვდება მრავალ სხვადასხვა ხასიათის ადამიანს.

რომანი „ვეფხია ხალიბაური“ აკაკი ბელიაშვილის უეჭველი წარმატებაა და მისი ერთგვარი წვლილია ქართულ საბჭოთა პროზაში, თანამედროვე თემატიკისადმი ინტერესის დამკვიდრებაში. ვეფხია ხალიბაურის და, განსაკუთრებით, არჩილ სანებლიძის მხატვრული სახეები ბევრ რამეზე ჩააფიქრებენ მკითხველს.

საქართველო ვ. ნ. ტატიშჩევის შრომებში

„რუსეთის ისტორიის შიში“, „რუსეთის გეოგრაფიის ფუძემდებელი“ — ტატიშჩევი მიეკუთვნება პეტრე I-ის ეპოქის იმ აღმართსა რიცხვს, რომლებშიც დიდად შეუწევს ხელი რუსეთის მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობას. ტატიშჩევი მოღვაწეობდა იმ პერიოდში, როდესაც პეტრე I-ის თაოსნობით დაარსდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, გეოგრაფიული დეპარტამენტი და მოსკოვის უნივერსიტეტი. სწორედ ამ დროს ეწეობა დიდი გეოგრაფიული ექსპედიციები ჩრდილოეთ რუსეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის შესასწავლად, გამოცემული იქნა გეოგრაფიული შრომები, რუკები...

ვ. ტატიშჩევი იმდროინდელი რუსეთის ერთ-ერთი ფრიალ განათლებული პიროვნება იყო. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვ. ტატიშჩევი პირველ საბრძოლო ნათლობას იღებს ჭ. ნარვის გარემოცვაში და აღებაში. 1709 წელს იგი, როგორც ასეთლის მეთაური, გამოიწვიეს იბრძოდა პოლტავასთან, სადაც პეტრე I-მა სასტიკად დაამარცხა შედეგები, რასაც მოჰყვა ევროპის „ფანჯრის გაჭრა“ და ვ. ტატიშჩევის დაპყრობა.

ტატიშჩევი საფუძველი ჩაუყარა ისტორიულ მეცნიერებას რუსეთში და დაწერა ზუსტობიანი შრომა „რუსეთის ისტორია“, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა.

მრავალფეროვანი იყო ვ. ტატიშჩევის მეცნიერული და სამეურნეო საქმიანობა. მან საკმაოდ ღრმა კვლევა დატოვა რუსეთის ეკონომიურ მეცნიერებათა, იურისპრუდენციისა და ანტიკლოგის, ენოგრაფიისა და ფილოლოგიის განვითარებაში. ამავე დროს, ვ. ტატიშჩევი იყო იმდროინდელი რუსეთის საუკეთესო აღმინისტრატორიც. ურალში ყოფნისას იგი ზელმძღვანელობდა სამთო-სამთხროვო საქმეს, ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას, შავი მეტალურგიის განვითარების საქმეს. ვ. ტატიშჩევის უშუალო ზელმძღვანელობით აშენდა ევროპისის მეტალურგიული ქარხანა, რომლის გარშემო შემდგომში გაშენდა ვ. პერმი. მან საფუძველი ჩაუყარა ურალზე ერთ-ერთ უდიდეს რაიონს მადნის საბადოს დამუშავებას და სახელიც შეაჩვენა —

ზლაგოდატი (ე. ი. უხვი, მაღლიანი საბადო).

დიდა ვ. ტატიშჩევის დამსახურება რუსეთის გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის განვითარებაში, რასაც მან სამ ათეულზე მეტი წელწადი მოახდინა. პეტრესდროინდელი ეპოქის ამ ტრიპური და თვალსაჩინო წარმომადგენლის ერთ-ერთი დამსახურებული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მან რუსეთის სინამდვილეში პირველმა შეძლო მეცნიერების დაკავშირება ცხოვრებასთან, სამეურნეო პრაქტიკასთან. ეს პირველ რიგში ეხება გეოგრაფიისა და კარტოგრაფიას.

პეტრე I-ის დავალებით ვ. ტატიშჩევი 1719 წელს წერს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს. იმ დროს რუსეთის სკოლებს არ ჰქონდათ გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, ხოლო უცხო ენებიდან თარგმნილი სახელმძღვანელოები კი შეიცავდნენ ბევრ ფანტასტიკურ და არასწორ ცნობას რუსეთის შესახებ. ტატიშჩევი დაწერა რუსეთის გეოგრაფიის მოკლე სახელმძღვანელო, რომელიც მოწონებული იქნა პეტრე I-ის მიერ.

მაღე ვ. ტატიშჩევის დაავალეს რუსეთის ვრცელი გეოგრაფიის დაწერა. ურალში, ციმბირში, ორენბურგისა და ასტრახანის გუბერნიებში ყოფნის დროს ვ. ტატიშჩევი პირადად აგროვებდა მასალებს შრომის დასაწყერად. ამავე დროს, რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილებიდან ისტორიულ-გეოგრაფიული და სხვა სახის მასალების მისაღებად პირადად ადგენს სპეციალურ კითხვარს სახელწოდებით: „წინადადებანი რუსეთის ისტორიისა და გეოგრაფიის თხზულების შესადგენად“ (სულ 198 კითხვა). ეს კითხვარი მეცნიერულად დამუშავებული პირველი პროგრამა ნებისმიერი ადგილის შესასწავლად და სწორედ ამ კითხვარმა მისცა დასაბამი რუსეთში მთელი რიგი კითხვარების შედგენას (მაგალითად, ლომონოსოვის ანექტა, სენატის ანექტა, თავისუფალი — ეკონომიური საზოგადოების ანექტა და ა. შ.). ვ. ტატიშჩევის კითხვარის მიხედვით შეგროვილი მასალები შემდგომში საფუძველად დაედო მის ისეთ დიდ შრომებს, როგორცაა „ციმბირის საერთო გეოგრაფიული აღწერა“, „რუსეთის ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური და სამოქალაქო ლექსიკონი“ (ასო კამდე) და „რუსეთის საერთო გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა“. ამ უკანასკნელ შრომას მაღალი

შეფასება მისცა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა მ. ლომონოსოვმა და შრომისათვის სპეციალურად წინასიტყვაობაც კი დაწერა. ვ. ტატიშჩევის შრომებში რუსეთის მეცნიერების ისტორიაში პირველად იქნა ფორმირებული და ჩამოყალიბებული გეოგრაფიული მეცნიერების თეორიული საფუძვლები და მოცემული იქნა მათი პრაქტიკული და სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობა.

ძალზე დიდი იყო ვ. ტატიშჩევის მეგობართა და ნაცნობების წრე. ის პირადად იცნობდა გამოჩენილ ქიმიკოსებს — ბერკელიუსს და ბრენერს, მ. ლომონოსოვს და ი. კირილოვს, გემლინს და მილერს, ინჟინერს და ვახუშტი ბატონიშვილის ძმას ბაქარს, თანამშრომლობდა ცნობილ ფრანგ გეოგრაფ დელილთან, რომელთანაც ერთად ფრანგულად თარგმნა ვახუშტის რუკები.

ვ. ტატიშჩევს აინტერესებდა არა მარტო რუსეთის გეოგრაფია და ისტორია, არამედ იგი მონღოლებში ეცნობოდა და ავსოვებდა მასალებს მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების შესახებ. ჯერ კიდევ გერმანიაში და შვეიცარიაში მრეწონების დროს მან დიდძალი გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალა შეაგროვა რუსეთის შესახებ. ორენბურგის გუბერნიაში ყოფნის დროს მისი მოწაფის, შემდეგში ცნობილი აკადემიკოსის პეტრე რიჩკოვის, დახმარებით სამხრეთ ურალში ესაუბრებოდა მანამდამდე მეცნიერებს „ზღვისიქითური ქვეყნებისა და ხალხების“ შესახებ. ყაზანდოელი უზღვევები მას უამბობდნენ ჩრდილო კავკასიის მთიელი ხალხების სამეურნეო საქმიანობისა და უფვა-ცხოვრების შესახებ. გარდა ამისა, ვ. ტატიშჩევს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვში მყოფ იმ ქართველებთან, რომლებიც ვახუშტ VI-ის მეთაურობით საქართველოდან რუსეთში გადაიხვეწნენ და დიდ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდნენ თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ. სწორედ მოსკოვში დაამთავრა ვახუშტი ბაგრატიონმა თავისი შესანიშნავი გეოგრაფიული ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გაბრიელ გელოვანმა თარგმნა მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ზაალ ანდრონიკაშვილმა ფრანგულიდან გადმოაქართულა დეკარტის მოგზაურობა და სხვა.

ვ. ტატიშჩევის ისტორიაში მოხსენიებულია ქართველი ტომები და საქართველოს რიგი გეოგრაფიული პუნქტები. მან იცის, რომ გრუზინები თავის ქვეყანას ეწოდებენ კარგულსებს (ე. ი. ქართველებს), რომ ქართველთა მამამთავარია ქართლისი და იძლევა ქართლის ცხოვრების მიხედვით ქართლისის ჩამოაფელთა სიას (მცხეთოს, კახოს, ბარდოს,

კავკასოს, ლეზგოს, ეგროს). ვ. ტატიშჩევისათვის რომ ქართლის ცხოვრებზე ზრუნავდა იყო, ეს იქიდან ჩანს, რომ მისი თარგმნილი „В Грузинской летописи сказуется“ და შემდეგ მიჰყვება ცნობა, თუ როგორ გაუყო ქართლისმა თავის შვილებს ქვეყნები, რომელთაც მთიანე სახელები ეწოდათ. ცხადია, ვ. ტატიშჩევმა ეს ცნობები „ქართლის ცხოვრებიდან“ და სხვა ქართული წყაროებიდან აიღო. დღეისათვის ჩვენ არ გავყანხია ზუსტი ცნობები, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ვ. ტატიშჩევსა და ვახუშტი ბატონიშვილს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონია ვახუშტის ძმას ბაქარს. ვ. ტატიშჩევის ბიოგრაფიის, ნ. პობოვი ბაქარ ბატონიშვილს იხსენიებს იმ მეცნიერთა შორის, ვინც სათანადო მასალებს აწვდიდა ტატიშჩევს საქართველოსა და ქართველების შესახებ და დასძინა: „Он говорит с грузинским царевичем Бакаром о книгах Мефодия Патарского“.

ვ. ტატიშჩევი რომ მოწინავე მეცნიერია, იქიდანაც ჩანს, რომ იგი ეკვირს თვალთ უყურებდა ყველაგვარი მიზლიერ პერსონალებს, ხალხთა წარმოშობის მითვის ახსნას. ამიტომაც, რომ მან უყუარდო არა მარტო სხვა ხალხთა, არამედ ქართველ ხალხთა ქართლის ცხოვრებისეული წარმოშობა, ისტორიულ ლეგენდად გამოაცხადა თვით ქართლისის არსებობა.

დასასრულ, ჩვენთვის ვ. ტატიშჩევი საინტერესოა იმათაც, რომ მან მოგვცა მეტად მოკლე, მაგრამ საინტერესო ცნობა საქართველოსა და ქართველების შესახებ.

თუ რას წერს ტატიშჩევი თავის რუსეთის ისტორიულ და გეოგრაფიულ აღწერაში.

„გეორგია — ჩვენ ეწოდებოდა გრუზიას, სპარსელები კი გურისტანს, განსაკუთრებული ენის ხალხია, აქეთ მსგავსება ჩერქეზულთან, სარწმუნოება ქრისტიანული, ბერძნული აღსარებით, თუმცა მათ საკუთარი მფლობელი ჰყავთ, მაგრამ ხარკს მაინც უხდიან სპარსეთს და რუსეთის მონარქებს თავიანთ შეფეხვად მიიხანით. მათი მთავარი ქალაქია ტყელისი...“

მილიტია და მიგრატია არის საქართველოს ნაწილი, რომელიც სპარსეთის სამფლობელოს წარმოადგენს, ქრისტიანული სარწმუნოებით, ჰყავდათ საკუთარი მთავარი“.

ყველაზე არსებითი ის არის, რომ ეს ცნობა პირველია, საერთოდ, რუსეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ ლიტერატურაში.

ასეთია, მოკლედ, გამოჩენილი რუსი მეცნიერის ვ. ტატიშჩევის ძირითადი ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ.

3. კახიანი

თერგდაღუღთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შენადრებების კლასობრივი ბუნების გაგებისათვის*

ეპოქა, რომელზეც ამ წერილში საუბარი გვექნება, უოველმხრივ საინტერესო და ღირს-სახსოვარი იყო როგორც რუსეთის, ისე საქარ-თველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტო-რიისში. ეს იყო ძველი, დაზავებული ფეოდა-ლურ-ბატონყმური წყობილების წგრევისა და ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვე-ბის ეპოქა, როცა ისტორიამ დღის წესრიგში დააყენა ცხოვრების მთელი წინანდელი ფორ-მების ძირფესვიანი გარდაქმნის აუცილებლო-ბის საკითხი.

ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას თან მოჰყვა ახალი, ძველი ქვეყნის გარდაქმნელი რევოლუციური იდეები, რომლებსაც უნდა გაე-თვითონობიერებია და მოეშადადებია მშრომელი ხალხი მწავრელთა წინააღმდეგ საბრძოლვე-ლად, ქვეყნად ძმობის, თანასწორობისა და თა-ვისუფლების დასამყარებლად.

საწინააღმდეგობრივ, ის დიდი საზოგადოებრივ-პო-ლიტიკური მოძრაობა, რომელიც ჩვენში მეცხ-რამეტე საუკუნის სამოციან წლებში გაიშალა, ჯერ კიდევ არ არის სათანადო შევნიერული სიღრმით შესწავლილი. ამით აიხსნება, რომ ჩვენი ისტორიის მკვლევართა შორის თერგდა-ღუღთა მოღვაწეობისა და აზროვნების შეფა-სებაში დღემდე აზრთა დიდი სხვადასხვაობაა, მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი საცხებით უარყოფს თერგდაღუღთა რევოლუციური მოღვაწეობის თვით ფაქტსაც კი და გამოიწვილ ქართულ სამოციანელებს მიიჩნევს არა რევო-ლუციურ დემოკრატიულად, არამედ ჩვეულებრივ ლიბერალურად: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მკვლევარები ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს, ი. გოგებაშვილს და მათ თანამებრძოლებს სთვლიან არა მშრო-მელი და ექსპლოატარებული ხალხის ინტერე-სების დამცველებად, არამედ გაბატონებული და შექმნილი კლასების, ე. ი. ბურჟუაზიის ან გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადზნა-

ურების ინტერესთა დამცველებად, მათ იდეო-ლოგებად.

ეს შეხედულება, მიუხედავად იმისა, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი მიმდევარი ჰყავს, ჩვენ მიგვიჩნია აშკარა გაუგებრობად და ქართული საშეცინიერო აზრის მიუბრუნებელ შეცდომად. მიუხედავად ამისა, ამ შეხედულების დარღვევა და საბოლოოდ გაქარწყლება აღდგომა არ არის. საქმე ისაა, რომ ხსენებული შეცდომა ემყარება გარკვეულ თეორიულ პრინციპებს, ზა-მოყალიბებულ კონცეფციას, რომელიც თემცა უდავოდ მცდარია, მაგრამ ძნელად გამოსა-ვლადებელი და კიდევ უფრო ძნელად აღმო-საფხერელია.

მასალები, რომლებიც ძირიანად ეწინააღმდე-გებიან ზემოთხსენებული მკვლევარების კონცე-ფციას და ცხადად ამტკიცებენ, რომ თერგდა-ღუღთა იყენენ არა ბურჟუა-მემამულეების, არამედ ერის დაზარალებული ნაწილის, მშრომელი ხალხის მხარეზე, აქამდეც საკმარისე მტო არ-სებობდა. ასეთი მასალების რიცხვს, უპირვე-ლეს ყოვლისა, ვუთვინთ თვით თერგდაღუღთ-თა მდიდარი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელსაც ყოველი განათლე-ბული ქართველი იცნობს და რომლითაც სა-მართლანად იმეყოფს მთელი ქართველი ერი, მაგრამ ზემოხსენებული მიმართულების მკვლე-ვარებისათვის ეს მასალა საკმარისი არ აღმოჩნ-და. თავიანთი წინასწარშემუშავებული თეო-საზრისის შესაბამისად, ეს მკვლევარები თვით-ნებურად ემყრობოდნენ ფაქტებსა და მოვლე-ნებს და ყოველნაირად ცდილობდნენ ლიბერა-ლიზმის მარჩობით შემოეფარგლათ თერგდა-ღუღთთა თავდადებული ბრძოლა ძველი წყო-ბილების წინააღმდეგ. ამასთან თერგდაღუღთთა რევოლუციურობის უარსაყოფად ისინი ჩვეუ-ლურზე იმ გარემოებაზე მიუთითებდნენ, რომ თითქოს თერგდაღუღთებს არ განუძლიათ ცა-რიზმის მხრივ ისეთი დევნა-შეიწროვება, რო-გორც ეს რუსმა რევოლუციონერებმა, ჩერ-ნიშევსკიმ და მისმა მიმდევრებმა ვანიცადეს, რომ მათ არ უგემათ ცაბები და გადასაბლე-

* იმეჭდება შემოკლებით, რედ.

ბანი და რომ თითქოს „თერგდალეულების ბრძოლა, უფრო ლიტერატურულ-იდეური ხასიათის ბრძოლა იყო“¹.

ახალი საარტიკულო მასალები, რომელთა მოკლე შინაარსი მეთხველს გახულ წელს „შინათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში გავაცანით², ყოველგვარ საფუძველს აცლიან ზემოთ მოყვანილ და მის მსგავს მსჯელობას და უდავოდ აღასტურებენ, რომ ჩვენი თერგდალეულები ისეთივე რევოლუციონერები იყვნენ, როგორც ჩერნიშევსკი და მისი თანამებრძოლი რუსი რევოლუციონერები; ეს მასალები ნათლად გვიჩვენებენ, რომ თერგდალეულებს არ დაქალებიათ არც დევნი-შვიწროება, არც ჩხრეკა-დაპატიმრება და არც გადასახლება. ეს მასალები თერგდალეულთა თავგანწირული რევოლუციური მოღვაწეობის დამაჯერებელ ხერხთს გვიხატავენ.

დადგა დრო, როცა ჩვენმა მეცნიერულმა აზრმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა განსახლებროს მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების უდიდესი საზოგადოებრივი მოძრაობის შინაარსი და ხასიათი, ურთმლისოდაც შეუძლებელია საქართველოს ახალი ისტორიის სწორი გაგება.

მაგრამ იმისათვის, რომ ზემოხსენებულ მკვლევართა შემდეგარი თვალსაზრისი საბოლოოდ დაირღვეს და გაქარწყლდეს, როგორც ჩანს, არ კმარა მისი დამარცხველი ფაქტების რაგინდარა რაოდენობით შეკრება და გამოქვეყნება; ამასთან ერთად, ჩვენი აზრით, აუცილებელია კრიტიკული და თეორიული აზრის მოშველავება, — აზრისა, რომელმაც უნდა გამოამჟღავნოს და დაასაბუთოს ხსენებული შემცდარი თვალსაზრისის სრული თეორიული შესაბამისობა.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი წერილი, სადაც თეორიულ ასპექტში ვიხილავთ სადავო პრობლემის უმთავრეს საკუანძო საკითხს, — რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოციანი წლების მოღვაწეთა მეშვედრების შეფასებისათვის, სახელდობრ, თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნების (ანუ არსის) გაგების საკითხს.

1. საკითხის ისტორიისათვის

თერგდალეულთა საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და აზროვნების შეფასების ცდები თითქმის იმ დროიდანვე იწყება, როდესაც ისინი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ. უკვე 60-70-იანი წლების ქართულ პრესაში დიდი

რაოდენობით ქვეყნდება როგორც ძველი წესობილების დამცველთა, ისე ახალგაზრდობის მომადგენელთა კრიტიკული³ და მკაცრ-სტიქული წერილები, რომლებიც შეიცავენ ფრიად საინტერესო დაკვირვებებს და კრიტიკულ ელემენტებს თერგდალეულთა მოღვაწეობისა და იდეოლოგიის შესახებ. მაგალითისათვის შეიძლება მივუთითოთ აკაკის სტატიანზე სტუდენტის (ჩვენი ესლანდელი ძველი და ახალი თაობა)⁴, რომელიც 1872 წ. ჟურნალ „შინათობში“ დაიბეჭდა, და ნ. ნიკოლაძის სტატიანზე „ახალი ახალგაზრდობა“,⁵ რომელიც დაიბეჭდა 1873 წ. ჟურნალ „კრებულში“.

მომდევნო ხანაში — 80-90-იან წლებში არათუ არ შენედა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა ჩვენი საზოგადოების ინტერესი 60-იანი წლების მოღვაწეობისადმი. ამდროინდელ პრესაში გამოქვეყნდა მრავალი საინტერესო პუბლიცისტური სტატია, რომლებშიც შემცდარ და ამკარად დაუსაბუთებელ აზრებთან ერთად, მოიპოვება უდავოდ სწორი და საყურადღებო შენიშვნებიც. ეს შენიშვნები ხელს უწყობდნენ და წინ სწევდნენ თერგდალეულთა მეშვედრების შესწავლის საქმეს. 80-იან წლებში გამოქვეყნებული საყურადღებო წერილებიდან შეიძლება მივუთითოთ ნ. ურბნელის (ხიზანიშვილის) წერილებზე „ძველი და ახალი თაობა“ და „ჩვენს ლიტერატურულ კეთილსინდისიერებაზე“, რომლებიც გამოქვეყნდა 1883 წელს ვახუთ „დროებაში“⁶, და გ. მათაშვილის (ზღანოვიჩის) სტატიანზე „ძველი და ახალი თაობა და მის გამო ლაპარაკი ჩვენში“, რომელიც დაიბეჭდა ვახუთ „ვერიანში“⁷ 1889 წელს. ურბნელი მაღალ შეფასებას აძლევს თერგდალეულთა მოღვაწეობას 60-იან წლებში. მაგრამ მკაცრად აკრიტიკებს მათ მიერ რეფორმის შემდგომ ხანაში გამოყენებულ შემცდარ თეორიას წოდებთა შერჩევის შესახებ. გ. მათაშვილის წერილში გამოთქმულია ფრიად საინტერესო აზრები თერგდალეულთა მოღვაწეობის შესახებ. ავტორი ამჩნევს, რომ თერგდალეულებმა პირველმა აიძალდეს ხმა დაჩაგრული გლეხობის სასარგებლოდ, მაგრამ თერგდალეულები მას იმავე თავდაზნაურობის წარმომადგენლად, მათ იდეოლოგიებად მიიჩნია.

90-იან წლებში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი წერი-

¹ აკაკი წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. XI, გვ. 153—174.

² ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 52-76.

³ თხ. „დროება“, 1883 წ. № 94 და № 99.

⁴ თხ. „ვერიან“, 1889 წ. №№ 222, 223, 226, 228, 233, 238.

¹ თხ. კ. მექველია, „თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები“, 1959 წ., გვ. 275.

² თხ. „შინათობი“, 1960 წლის №№ 3-8, 10-11.



ლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი შერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის წერილები: „კვალის ორი წლის ნაღვაწი“ და „იკტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“, რომლებიც განუთ „კვალის“ ფურცლებზე დაიბეჭდა¹, ამ წერილებში გ. წერეთელმა, რომელიც წინათ თერგდალეულთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, სკდა მოეცა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს შთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და აზროვნების დაყოფა სხვადასხვა მიმართულების დასებად მათი კლასობრივი ხასიათის მიხედვით, რითაც საფუძველი ჩაუყარა ე. წ. „სახი დასის“ ვალდ თეორიის². ამ დროს, როცა დასების თეორია ითხზებოდა, გ. წერეთელი (ისევე, როგორც ნ. ნიკოლაძე) სთვლიდა, რომ ჩვენში ერის წინამძღოლი და პროგრესის მატარებელი კლასი მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიაა. ამიტომაც მეორე დასის მიმდევრები, მათ შორის, საკუთარი თავიც გ. წერეთელს მიანდა ბურჟუაზიის იდეოლოგებად, რაც, მისი გაგებით, უდრიდა დემოკრატიზმს.

როგორც ვხედავთ, უკვე 90-იან წლებში ჩიხახია ის შემცდარი აზრი, რომ თითქმის თერგდალეულები გამოხატავდნენ შექმნილი კლასების იდეოლოგიას, სახელდობრ: მათი ერთი ნაწილი (ლიბერალები) გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის იდეოლოგიას, ხოლო მეორე ნაწილი (დემოკრატები) — ბურჟუაზიის იდეოლოგიას. ეს თვალსაზრისი, როგორც ქვემოთ დაეინახავთ, შემდგომში განვითარდა და ფართოდ გავრცელდა ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში.

მოკლე საუკუნის დამდგეს ჩიხახია საქართველო სამოციანელთა მოღვაწეობისა და აზროვნების შეფასების კიდევ ერთი, შემდეგში აგრეთვე ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისი, რომელსაც თუმცა მარქსისტულობის პრეტენზია ჰქონდა, მაგრამ სინამდვილეში სხვა არა იყო, თუ არა დაბალი მარქს ვულგარულ-სოციოლოგიური ნაყარჯიშები. მხედველობაში გვაქვს ნ. კორძაიას წერილების სერია, სათაურით „პრესა“, რომელიც იბეჭდებოდა „კვალის“ ფურცლებზე 1900 წლის დასაწყისიდან. ამ წერილებში სრულიად უხამსად და გაბიბრებულად არის დახასიათებული თერგდალეულთა მოღვაწეობის დასაწყისი პერიოდი („საქართვე-

ლოს მოამბის“ ხანა), ხოლო განუთი „იერი“ და მის ირგვლივ შემოკრებილნი მხოლოდვენი გამოცხადებულთა კონსერვატიზმის რეაქციული თავადაზნაურობის ინტერესების დამცველებად¹. აქედან ცხადია, რომ ნ. კორძაია დასების თეორიის ავტორზე გაცილებით უფრო შორს წაიდა; მან ი. ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეთ არ აყარა „ლიბერალობის“ ტიტული და კიდევ უფრო ცუდი იარღიო („კონსერვატიზმი“) მიაცერა.

ცოტა უფრო გვიან, სახელდობრ 1904 წ., ცალკე წიგნად გამოიცა ფ. მახარაძის ვრცელი გამოკვლევა „დანილ ჭონჭაძე და მისი დრო“, რომელშიც ავტორი ეცდებოდა მარქსისტული თვალსაზრისით განიხილოს 60-იანი წლების ერთ-ერთი გამოჩენილი შერლის შემოქმედება და საესებო სამართლიანდაც მიუთითებს საგლებო რეფორმის წინ „სურამის ციხის“ გამოქვეყნების დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე, რაც შეეხება 60-იანი წლების დანარჩენ მოღვაწეებს, კერძოდ ი. ჭავჭავაძესა და მის ჯგუფს, რომელთა მოღვაწეობა-შემოქმედების განხილვას ხსენებულ წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დთმობილი, აქ ფ. მახარაძე სრულიად შემცდარ, არამარქსისტულ პოზიციაზე დგას. ავტორი იძლევა რეფორმამდელი ხანის საქართველოს საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობის არასწორ სურათს; იგი უგულვებელყოფს გლეხობის როლს ჩვენი ქვეყნის იმპერიონდელ ცხოვრებაში, ჩიხი გამო სხლიდან უსხლტება თერგდალეულთა იდეოლოგიის კლასობრივი ბუნების გაგების შესაძლებლობა. ი. ჭავჭავაძეს და მის თანამებრძოლებს ავტორი „ქიხა-ლიბერალებს“ უწოდებს².

შომდევნო წლებში, თვით 1905 — 1907 წლების რევოლუციის პიოქირ დღეებშიც კი, არ შენდებულთა საზოგადოების ინტერესი 60-იანი წლების მოღვაწეთა მიმართ. რევოლუციის შემდეგ თერგდალეულთა შემკვიდრების შესწავლა მველვარათა და საზოგადო მოღვაწეთა კიდევ უფრო ინტენსიური და სერიოზული შრომის საგანი გახდა. მრავალრიცხოვან საყრდნელ-ვახუთო წერილებს გარდა, ამ დროს იწერება და ცალკე წიგნებად იცემა გამოკვლევები, რომლებშიც მოცემულია როგორც მთლიანად XIX საუკუნის, ისე საკუთრივ 60-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ მოძრაობის შესწავლის, გააზრებისა და შეფასების ცდები.

1911 წელს გამოიცა კაბიტალური გამოკვლევები — ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე)“ და

¹ იხ. „კვალი“, 1895 წ., №№ 1, 3, 5 და 1897 წ. № 46

² ამ საკითხზე დაწერილებით იხ. ჩვენი წერილი „დასების თეორიის გადასინჯვისათვის“ („ლიტ. განუთი“, 1956 წ. № 3 და № 4; აგრეთვე წიგნში „ილია ჭავჭავაძე, პოლიტიკური-ეკონომირი შეხედულებანი“, 1957 წ.).

¹ იხ. „კვალი“, 1900 წ., № 7, 9, 10, 11.
² ფ. მახარაძე, თხზულ., კრებული, ტ. V, 1926, გვ. 133.

კიტა აბაშიძის „ერთეულები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“, რომლებშიც წმინდა ლიტერატურულ საკითხებთან ერთად ავტორები ეხებიან XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზროვნების საკითხებსაც, კერძოდ კი თერგდალეულთა მოღვაწეობისა და შემკვიდრების შეფასების საკითხს. სამწუხაროდ, ამ ავტორებმა ვერ მოახერხეს ხსენებული საკითხის შესწავლაში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. ალ. ხახანაშვილმა თითქმის მთლიანად გათმორა გ. წერეთლის დასების თეორიის ვალზე დებულებები; რაც შეეხება კ. აბაშიძეს, თუმცა მან მართებულად გავსცა ხაზი თერგდალეულთა დამსახურებას ეროვნული თავისუფლების იდეების ქადაგების საქმეში, მაგრამ სრულებით ვერ მოახერხა მათ საზოგადოებრივ შეხედულებათა კლასობრივი შინაარსის საკითხის არათუ გარკვევა, არამედ დაყენებაც კი.

იმავ 1911 წელს დაიწყო ბეჭედა ა. ჯორჯაძის თხზულებათა ხუთტომიანი კრებულისა, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი 60-იანი წლების საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზროვნების საკითხების განხილვას. უნდა ითქვას, რომ ამ ჯორჯაძე ქართული საზოგადოებრივი აზრის უდავოდ ნიჭიერი მკვლევარია, მას მოგვაოცება არაერთი საინტერესო დავიარაგება და შენიშვნა, მოგვაოცება სწორი აზრები, მაგრამ საერთოდ მისი კონცეფციები, რომლებშიც ტიპური ბურჟუაზიული აზროვნების ნაყოფია, სრულად შემცდარ პრინციპებზეა აგებული. ა. ჯორჯაძე სამართლიანად აკრიტიკებს გ. წერეთლის დასების თეორიას¹, ის კარგად ხედავს ამ თეორიის უნადაგობას, მაგრამ თვითონაც ვერ ახერხებს მოგვცეს 60-იანი წლების საზოგადოებრივი მოძრაობის ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი შეფასება. ა. ჯორჯაძე არ უარყოფს, რომ ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი იბრძოდნენ ბატონურობის წინააღმდეგ და იცადენენ გლეხობის ინტერესებს, მაგრამ მათი ბრძოლა ბატონურობის წყლისღობის წინააღმდეგ, მისი აზრით, არ სწორედობდა იმეც თავადანაურობის იდეოლოგიას; ა. ჯორჯაძე გვაწმენებს, რომ ეს ბრძოლა იყო თავადანაურობის ორი თაობის, მამებისა და შვილების ბრძოლა², ე. ა. რვაპეტილი და ლიბერალური თავადანაურობის წინააღმდეგობრივი ბრძოლა. ამასთან, ა. ჯორჯაძის აზრით, ზოგიერთი თერგდალეულისათვის, მათ შორის ი. ჭავჭავაძისათვისაც, არ უყოფილა უცხო დემოკრატიული აზროვნება, ოღონდ დემოკრატიზაც ა. ჯორ-

ჯაძეს (გ. წერეთლის მსგავსად) ესმოდა როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგებზე, ვიდრე თუმცა უარყოფს გ. წერეთელს დასების მიმართ, მაგრამ მაინც ვაიხიზაბა მისი ერთ-ერთი ძირითადი დებულება, სახელდობრ ის დებულება, თითქმის თერგდალეულები იყვნენ ნაწილობრივ ლიბერალები, ხოლო ნაწილობრივ დემოკრატები (მათი გაგებით. ბურჟუაზიის იდეოლოგები).

გარდა ზემოთდასახელებული ნაშრომებისა, ხსენებულ პერიოდში (მეოცე საუკუნის პირველი ორი ათეული წლის განმავლობაში) თერგდალეულთა შემკვიდრების შესწავლას მიეძღვნა შრავალი საუბრადღებო საკურსალ-გაზეთო სტატია და ცალკე ბროშურა. განსაკუთრებით ბევრი წერილი ამ საკითხზე მაშინდელ პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა თერგდალეულთა მოთავარი ხელმძღვანელის ი. ჭავჭავაძის ვერავლი მკვლელობის შემდეგ (1907 წ.).

ჩვენ აქ არ შევვიძლია თუნდაც ზოგად ხაზებში შევხვით ამ მრავალრიცხოვანი წერილების შინაარსს, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ამას კი ვიტყვი: ხსენებული წერილების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მათი ერთი ნაწილი თავისი შინაარსით არსებითად ემთხვევა გ. წერეთელ-ა. ჯორჯაძის კონცეფციას და თერგდალეულებს მიიჩნევს გაბურჯულებს გზაზე შემდგარი თავადანაურობის ან ბურჟუაზიის იდეოლოგებად, რაც, მათი ავტორების აზრით, საზოგადოებებს პროგრესული ძალების იდეოლოგობას ნიშნავს, მეორე ნაწილი კი გამოხატავს ვულგარულ-სოციალიზურ თვალსაზრისს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ნ. ყორღანიამ და რომლის მიხედვით თერგდალეულები (ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი) რვაპეტილი თავადანაურობის იდეოლოგებად არიან მიჩნეული. ხსენებული წერილების უმრავლესობა არსებითად ამ ორი თვალსაზრისის გამოხატულება და ილუსტრაციაა. პირველ თვალსაზრისს ემხრობოდნენ უმთავრესად ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმართულების პოლიტიკოსები, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი თავი XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმის გამგრძელებლებად, ქართული ლიტერატურის კონცეფციის ილიას და აკაკის შემკვიდრებად გაეცნალებინათ, რათა გამოეყენებინათ მათი დიდი სახელი და პოპულარობა თავიანთი პარტიული ინტერესებისათვის; მეორე თვალსაზრისის მომხრე და თავგამოდებული დამცველი იყო სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ზოგიერთი გზამკვლეული თეორეტიკოსი, რომლებიც თავიანთი ვულგარული თვალთახედვის წყალობით, ვერ ამჩნევდნენ იმ არსებით და პრინციპულ გამსხვავებას, რომელიც არსებობდა, ერთი მხრივ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებსა და, მეორე

¹ იხ. ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეხუთე, 1914, გვ. 192—193.

² იხ. ა. ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეორე, 1911 წ., გვ. 131.



მხრივ, თერგდალუელებს შორის და სამართ-
ლიანად ებრძოდნენ რა ბურჟუაზიულ-ნაციონა-
ლისტებს, ამავე დროს სრულიად უსაფუძვლოდ
ცდილობდნენ მიწასთან გაესწორებინათ თერგ-
დალუელები. ამით აიხსნება, რომ ნ. კორდა-
ნიას ვულგარული თვალსაზრისი შემდგომში
კიდევ უფრო განვითარდა და საოცარ უხამსო-
ბამდე მივიდა. მაგალითად, 1914 წელს გამოი-
ცა პ. გელეიშვილის წიგნაკი „ილია ჭავჭავაძე,
როგორც პოეტი და პუბლიცისტი“, რომელშიც
არა მარტო ილია, არამედ აკაკი, ნ. ნიკოლა-
ძეც და ყველა დანარჩენი თერგდალუელები
გამოცხადებული არიან რეაქციული თავადიზა-
ციონის იდეოლოგებად, ანუ, თერგდალურ-
ბატონყმური წესწყობილების დამცველებად.

ასეთი მოკლედი ორი ძირითადი თვალსაზ-
რისი თერგდალუელთა საზოგადოებრივ-პოლი-
ტიკურ შეხედულებათა კლასობრივი ბუნების
გაგებაში, რომლებიც შემუშავდა ჯერ კიდევ
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამ-
ყარებამდე. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ არც
ერთი ეს თვალსაზრისი არ იყო შეცნიერულად
დასაბუთებული; მისი ავტორები ხელმძღვანე-
ლობდნენ არა იმდენად ტექნიკურების დადგე-
ნის სურვილით, რამდენადაც თავიანთი პარტი-
ების უფროდ გაგებული ტაქტიკური ინტერე-
სებით.

მაგრამ ამ ვიწვნობით მართალი, რომ ამ
ორი, შემდგომი თვალსაზრისის არსებობასთან
ერთად არ შეგვემჩინა აგრეთვე იმავე ხანებში
აღმოცენებული ჩანასახები საესებით სწორი,
მეცნიერული შეხედულებისა თერგდალუელთა
მოღაწეობისა და აზროვნების. საქმე ისაა,
რომ ქართველი ხალხი არასოდეს არ შეირიგე-
ბია ილიას, აკაკის, ნ. ნიკოლაძის და მათ
უახლოესი თანამებრძოლთა გაბიარებების, შეუ-
დასებლობისა თუ რეაქციონერებად გამოცხა-
დების ცდებს; უოველი საღად მოაზროვნე და
ვანათლებული ქართველისათვის, რომელიც თა-
ვისუფალი იყო წინასწარმედგენილი ყალბი შე-
ხედულებისაგან და ცოტად თუ ბერად იზიებო-
ტური მსჯელობა შეეძლო, იმთავითვე ცხადი
იყო, რომ როგორც ილია და აკაკი, ისე მათი
უახლოესი თანამებრძოლები იყვნენ მშრომელი
ხალხის, პირველ რიგში, ქართველი გლეხობის
სოციალური და ეროვნული მისწრაფებების
თავადაღებული დამცველები. ასეთი თვალსაზ-
რისი, რომელიც ხალხში უოველთვის არსებობ-
და, არც თუ იშვიათად იჩენდა ხოლმე თავს
პრესის ფურცლებზეც და არა მარტო ცალკეუ-
ლა გამოჩნატყვამების სახით, არამედ ფრიად
საყურადღებო წერილების სახითაც. ამგვარი
წერილების რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად,
1908 წელს გაზეთ „მიწაში“ გამოქვეყნებული
წერილი „იენ იყო ილია ჭავჭავაძე“, რომელიც
ავტორის ხელმოწერადად დაიბეჭდა. აი, რა

არის ნათქვამი ამ საინტერესო წერილში.
„ილია იყო მწერალი. მერე ვერც ცხურობდა
ავგიწერდა, ვისთვის უცემდა ვულგარული
და და რას მოითხოვდა? ილ. ჭავჭავაძე ავე-
წერდა დაბეზავებულს გლეხების ყოფას,
უოველი ჩაგრულს და უბედურის ცხოვარს, მისი
გული ძეგრად თბილისა და გლახაკისათვის, სა-
მართლისათვის იტანჯებოდა, იწვოდა და მოით-
ხოვდა, რომ დედამიწაზე დამსხვრეულიყო მო-
ნობის ბორკილები, განათვისუფლებულიყო
მშრომელი ხალხი და თავისუფლების დროშის
ქვეშ დამყარებულიყო მშობა, ერთობა და
თანასწორობა“¹.

აქ ჩამოყალიბებული დებულება უდავოდ
სწორია. ასეთი მსჯელობა არიშვითად გვხვ-
დება მაშინდელ პრესაში, მაგრამ საქმე ისაა,
რომ იმდროინდელი ავტორები უძლურნი იყე-
ნენ მეცნიერულად დედასაბუთებით მათ მიერ
გამოთქმული ცალკეული სწორი დებულებები.
ქართული ისტორიული მეცნიერების საერთო
ჩამორჩენილობისა და გაშვავებული პოლიტი-
კური ვითარების პირობებში შეუძლებელი იყო
თერგდალუელთა მოღაწეობისა და აზროვნების
მეცნიერული შესწავლა.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში თერგ-
დალუელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შე-
ხედულებების კლასობრივი არსის გაგების საკით-
ხში, ისევე, როგორც მთლიანად XIX საუკუნის
მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური
მოძრაობისა და აზროვნების შესწავლაში, ჩვე-
ნი აზრით, სამი მთავარი პერიოდი შეინიშნება.
პირველ პერიოდში, რომელიც 1921 წლიდან
დაახლოებით 1934 წლამდე გრძელდებოდა,
თერგდალუელთა მეცნიერების შესწავლა
ხელს უშლიდა ე. წ. „რაპელების“ მოღაწეო-
ბა. როგორც ცნობილია, „რაპელები“ იყვნენ
მარქსიზმის ვულგარიზატორები და დამაბნე-
ნებლები. თავიანთი თეორიული მოუშადებ-
ლობისა და ნამდვილი, შემოქმედებითი მარქ-
სიზმის უტრადიარობის გამო, ისინი გააფრე-
ბით ესმოდნენ თავს ეროვნულ-განმათავისუფ-
ლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღაწეებს,
ჩვენს სასიქადულო კლასიკოს მწერლებს, რი-
თაც იზიარებდნენ თერგდალუელთა მიმართ
იმავე ვულგარულ-ნილილისტურ თვალსაზრისს,
რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.
ხსენებულ პერიოდში „რაპელების“ შეხედუ-
ლებებმა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიასა
და ლიტერატურათმცოდნეობაში ვაბატონებული
მდგომარეობა დაიკრეს. მათი მცდარი შეხე-
დულებების ასეთ გავრცელებას ბევრად შეუ-
წყო ხელი ფ. მახარაძემ, რომელსაც მაშინ

¹ იხ. კრებული „ილია ჭავჭავაძე ქართულ
ლიტერატურულ კრიტიკაში“, II, 1958 წ.,
გვ. 101.

რესპუბლიკაში ხელმძღვანელი პოსტი გვირა და რომელიც კლასიკოსების მიმართ თავიდანვე არასწორ პოზიციასზე იდგა. 1931 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში ფ. შახარაძემ რამიანი წლების გამოჩენილ მოღვაწეებს, ი. ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს „რეაქციონერი და მონარქისტული მწერლები“¹ უწოდა.

ასეთი აშკარად შემცდარი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული შეხედულება, ცხადია, დიდხანს ვერ იარსებებდა.

ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, რომ 1934 წელს სახლგარი დაედვა ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა უხამს კრიტიკას, რაც თერგდალეულთა (და საერთოდ ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა) შეფასების საკითხში შემობრუნებას მოასწავებდა.

მას შემდეგ, რაც შეწყდა ჩვენი კლასიკოსების უსაფუძვლო განქიქება და კომუნისტური პარტიის დახმარებით უკუგდებული იქნა „რამპული“ იდეოლოგია, ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარება მხოვად ახალი თვალსაზრისში, რომლის შემუშავებაც დაკავშირებულია ჩვენი საზოგადოებრივი აზრის გამოჩენილი შეკვლეების პროფ. სიმონ ხუნდაძის სახელთან.² მისმა მრავალრიცხოვანმა საინტერესო გამოკვლევებმა, რომლებიც უმთავრესად 1926—1933 წლებში დაიწერა, საფუძველი ჩაუყარეს თერგდალეულთა შესწავლასა და დაფასების საკითხში ჩვენი ისტორიოგრაფიის ახალ, მეორე პერიოდს.

ს. ხუნდაძემ თავის შეხედულებებს თერგდალეულებზე საფუძვლად დაედვა გ. წერეთლის ზემოთხსენებული დასკვნის თეორია და სცადა ამ თეორიის შემდგომი განვითარება-დასაბუთება როგორც თეორიულად (მარქსისტული თვალსაზრისით), ისე ისტორიული ფაქტების მოშველიებით. ამისთან მან გაითავალისწინა აგრეთვე ცნობილი ბურჟუაზიული მოაზროვნეების (გ. შაიაშვილი, ა. ჯორჯაძე) მოსაზრებანი, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ასეთი გზით ს. ხუნდაძემ შექმნა, ან უფრო სწორად, ერთ მთლიან სისტემად ანუ კონცეფციად ჩამოთავალიბა თერგდალეულებზე მიანმდე უკვე გამოთქმული შეხედულებანი და იზრუნა იმისათვის, რომ ამ კონცეფციის ჰქონოდა მეცნიერული (ე. ი. თეორიულადაც და ისტორიულადაც დასაბუთებული) სახე.

რამდენიმე სიტყვით ს. ხუნდაძის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციის შინაარსი შემდეგნაირად შეიძლება გადმოვცეთ: იმ ეპოქაში, როდესაც ძველი, უკვე დრომოკმეული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება ინგრევდა და მის ნაცვლად იმარჯვებს ახალი, კაპიტალისტური

წყობილება, პროგრესის მეთაური და ძველი წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი ძალა არის აღმავალი კლასი (ბურჟუაზია, რომლის წარმომადგენლები (იდეოლოგები) დემოკრატები არიან. რაც შეეხება თავადაზნაურობას, ის ძველი წყობილების დამცველი რეაქციული ძალაა, მაგრამ თავადაზნაურობებშიც არის ერთი ნაწილი, რომელსაც ესმის ფეოდალური წყობილების დრომოკმეულობა და ცდილობს გარდაქმნას თავისი მეთრენობა კაპიტალისტურ ნიადაგზე, შეეფუოს იგი ახალ, ბურჟუაზიულ ვითარებას, ე. ი. თვითონაც გაბურჟუების გზაზე დაეს (ს. ხუნდაძე მათ „პროგრესულ თავადაზნაურობას“ უწოდებდა)³. თავადაზნაურობის ეს ნაწილიც მომხრეა დრომოკმეული ბატონყმური წყობილების მოსპობისა, ოღონდ ისე, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარების სათავეში ისევ თავადაზნაურობა დარჩეს. ამის შესაბამისად ახალი, ანტიბატონყმური იდეოლოგიის წარმომადგენლებიც ორ ჯგუფად ანუ მიმდინარეობად იყოფა: „პროგრესული“ თავადაზნაურობის იდეოლოგები ანუ ლიბერალები და ბურჟუაზიის იდეოლოგები ანუ დემოკრატები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ი. ჭავჭავაძე და მისი „პირველი დასი“, ხოლო მეორე ჯგუფს — გ. წერეთელი — ნ. ნიკოლაძის „მეორე დასი“⁴. 60-იანი წლების დასაწყისში ორივე ეს ჯგუფი შედარებით ერთიანი ფრონტით ებრძვის ბატონყმობას, მაგრამ მალე მათი ერთიანობა ირღვევა და უკვე 1869 წლიდან, ს. ხუნდაძის სიტყვით, „ი. ჭავჭავაძისა და გ. წერეთლის სახით ერთი-მეორეს დაუპირისპირდა თავადაზნაურობის ლიბერალური მსოფლმხედველობა და ბურჟუაზიის რადიკალურ-დემოკრატიული მისწრაფებანი“⁵.

უნდა ითქვას, რომ ეს კონცეფცია ს. ხუნდაძის აწინებელი აქვს უმთავრესად თეორიულ (მისი რწმენით მარქსისტულ) შეხედულებებზე, ხოლო, რაც შეეხება ისტორიულ საბუთიანობას, აქ მისი პოზიცია ძალიან ღარიბად გამოიყურება; იგი ხშირ შემთხვევებში გვერდს უშლის ყველა სათვის ცნობილ ფაქტებს და არსებითად ეყრდნობა ერთადერთს და ისიც არასწორად გაგებულს ისტორიულ საბუთს, სახელდობრ ნ. ნიკოლაძის სტატიას „ახალი

¹ იხ. მისი „ნარკვევები“, 1941, გვ. 170

² მეტი სიზუსტისათვის აღენიშნავთ, რომ ს. ხუნდაძის აზრით, ამ ორ ძირითად ანტიბატონყმურ ჯგუფს გარდა, იყო კიდევ „გარდამავალი საფეხური... თავადაზნაურობის ლიბერალიზმიდან წამდვილ დემოკრატიზმისაკენ“; ამ გარდამავალ საფეხურს, მისი სიტყვით მიეკუთვნებოდა აკაკი წერეთელი (იხ. „ნარკვევები“, გვ. 142).

³ „ნარკვევები“, გვ. 171.

⁴ იხ. კრებული „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“, 1932 წ., გვ. 42.



ახლავარდობა“, რომელშიც ეითომც ლაპარაკი იყო თერგდალეულთა შორის ორი დასის არსებობაზე¹.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ს. ხუნდაძის კონცეფცია აშკარად მცდარ თეორიულ შეხედულებებზეა აყენებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავის დროზე მან მაინც უდავოდ დიდი ღაღბებით როლი ითამაშა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. ს. ხუნდაძის მიერ შემუშავებულმა და საკმაოდ მწყობრად ჩამოყალიბებულმა თვალსაზრისმა საბოლოოდ დაამარცხა და ლიტერატურის სარბიელიდან განდევნა წინანდელი პერიოდის უხამსო შეხედულებანი, მან ხელი შეუწყო, სტიმული მისცა მეცნიერული კვლევა-ძიების შემდგომ გაფართოებას, რის შედეგადაც ჯერ კიდევ სამამულო ომამდე გამოჩნებულა თერგდალეულთა მოღვაწეობის ამსახველი დიდიძალი ახალი ფაქტობრივი მასალა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ს. ხუნდაძეს უაღრესად ძველ პირობებში უხედავად მოღვაწეობა და მისი თვალსაზრისის ნაკლოვანებანი ბევრის მხრივ სწორად ამ ვარაუდით იახსნება. მისი შემცდარი კონცეფცია იყო საფეხური, რომელსაც, როგორც ჩანს, ვერ ავიცდნენ; ეს იყო ხარკი, რომელიც ქართულ საზოგადოებრივ აზრს უნდა ვაელო წინანდელი უაზრობისა და უხამსობისათვის.

ს. ხუნდაძის შეხედულებათა გავლენა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე საკმაოდ ხანგრძლივი და ძლიერი იყო². როგორც სამამულო ომამდე, ისე ომის დროს და განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში იცე-

მოდა მრავალრიცხოვანი ნაშრომები, რომლებშიც თერგდალეულთა მოღვაწეობანი წინანდლებზეა გაშუქებული იყო ს. ხუნდაძის მხრიდან მოყალიბებული კონცეფციის მიხედვით.

ჯერ კიდევ 1936 წელს ვახეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა ილიას უცდავი პოემის „აკო უჩაილი“ თარგმანი სათანადო საზრდაცუო წერაღის, რომელშიც ი. ჭავჭავაძე დახასიათებული იყო როგორც „საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწე“¹. მომდევნო, 1937 წელს, ილიას დაბადების 100 წლის თავზე „პრავდამ“ მთელი გვერდი მიუძღვნა დიდი ქართველი მწერლის იტბილეს და თერგდალეულთა ბეღად კვლავ დახასიათა როგორც „მეტყარამეტყ საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უაღრესად პოპულარული მოღვაწე“².

ძველი დასანახი არ არის, რომ ამ დებულებებით, როგორც საერთოდ თერგდალეულების, ისე მათი მთავარი ზელმძღვანელის შეხედულებათა კლასობრივი არსი ვაგებულო და შეფასებულია სულ სხვა თვალსაზრისით, ვიდრე მათ ს. ხუნდაძე და მისი მიმდევრები აფასებდნენ. ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს ეს სახელმძღვანელო დებულებები არსებითად უარყოფს გ. წერეთელ — ს. ხუნდაძის დასების თეორიის და იძლევა ვასაღებს თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი არსის ნამდვილი, მეცნიერული ვაგებულისათვის.

სამწუხაროდ, ჩვენმა საისტორიო მეცნიერებამ იმ დროს ვერ შესძლო ამ თეორიულ დებულებათა შინაარსის სათანადოდ გახსნა, რის გამო ძველი თვალსაზრისი კვლავ შეერყევილი დარჩა. მართალია ჩვენს ისტორიკოსებსა და ლიტერატურათმცოდნეებს თავიანთ ნაშრომებში ხშირად მოჰყვდათ ხოლმე ზემოთხსენებული ციტატები „პრავდიდან“, მაგრამ შემდეგ, როგორც წესი, იფიწყებდნენ მათ და კვლავ წინანდელ, იმ დროს ვაბრუნებულ კონცეფციას უბრუნდებოდნენ.

ამრიგად, მიუხედავად „პრავდის“ სწორი მითითებისა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მკვლევარები აშკარად ზედადნენ თერგდალეულებზე წინანდელი შეხედულებების ვაღასინჯვის საპირობას ჯერ კიდევ 30-იანი წლების მეორე ნახევარში, იმ პერიოდში მაინც არ მოხერხდა მეტყარამეტყ საუკუნის მეორე ნახე-

¹ ამ საკითხზე დაწერილებით იხ. ჩვენი წერილი „დასების თეორიის ვაღასინჯვისათვის“.

² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული კონცეფციის ვაღვლენისაგან არსებითად თავისუფალი იყვნენ ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საზოგადოებრივი აზრის მთელი რიგი მკვლევარები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში. ასეთი მკვლევარების რიცხვს, მთავალით, მივითვლებიან: ვერონტი ქიქოძე, რომელმაც ჯერ კიდევ 1913—1914 წლებში გამოაკვეყნა უაღრესად საინტერესო სტატოები 60-იანი წლების გამოჩენილ მოღვაწეებზე და შემდგომშიც აგრძელებდა ნაყოფიერ მუშაობას ამ მიმართულებით; ჰაეღ ინგოროყვა, რომელმაც ფასდაუფებელი შრომა გასწრა ი. ჭავჭავაძის ნაწერების ვაშკოყმისა და შესწავლის საქმეში; ვახტ. კობერიშვილი, რომელმაც 1925—1927 წლებში გამოაკვეყნა სამტრიაინი ნაშრომი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე და სხვები, რომელთა ღვაწლს აქ. ბუნიბრივი, ვერ შეეგებოთ.

¹ იხ. ვახეთი „პრავდა“, 1936 წ. 4 სექტემბრის ნომერი.

² იხ. ვახეთი „პრავდა“, 1937 წ. 29 მაისის ნომერი.

ვრის საქართველოს ისტორიის ახლებურად გააზრება და თერგდალეულებზე ნამდვილად მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავება. როგორც ჩანს, საამისო პირობები მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა.

მხოლოდ ომისშემდგომ პერიოდში, როცა, ზემდგომი ორგანოების მითითებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა გაშალა ფართო მოსამზადებელი მუშაობა საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს დასაწერად, რომელშიც მესტამეტე საუკუნის ისტორიად უნდა შესულიყო, საბოლოოდ მომწიფდა საკითხი თერგდალეულებზე ახალი თვალსაზრისის შემუშავების აუცილებლობისა. ხსენებული ინსტიტუტის მაშინდელი ხელმძღვანელის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას პირადი დავალებათა და უშუალო ხელმძღვანელობით ამ სტრუქტურის ავტორი ჯერ კიდევ 1945 წელს შეუდგა ი. ჭავჭავაძის მოვლენებისა და აზროვნების მონოგრაფიულ შესწავლას. რამდენიმე წლის გულდასმითა კვლევა-ძიებამ ჩვენ იმ მტკიცე დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი უახლოესი თანამებრძოლები იყვნენ არა ექსპლოატორული კლასების (თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის), არამედ მშრომელი ხალხის, პირველ რიგში, გლეხობის იდეოლოგები. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ის დიდი საზოგადოებრივი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც საქართველოში გასული საუკუნის 60-იან წლებში გაიშალა, რუსეთის იმპერიის საერთო რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელი ნაწილი იყო, ხოლო ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და მთელი რიგი სხვა გამოჩენილი თერგდალეულები იყვნენ ამ რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი შოღვაწენი და, მამასადავამ, სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი წინამორბედნიც საქართველოში. კონკრეტული ისტორიული მასალის შესწავლა და ანალიზი ყოველგვარ ეჭვს გარეშე ადასტურებდა, რომ სწორედ რუსეთის მოწინავე მოაზროვნეთა იდეები, — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიტოვის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები წარმოადგენდნენ იმ დროშას, რომელიც თერგდალეულებმა მალა აღმართეს და რომლითაც მათ სამკედრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს დახატებული ფეოდალური ურთიერთობის დამცველებს.

მაგრამ, ამასთან ერთად, ჩვენთვის ნათელი გახდა ისიც, რომ მაშინდელ ვითარებაში არ შეიძლებოდა რუსეთის იდეები პირდაპირ ყოფილიყვნენ ჩვენში გადმოტანილი; ეს იდეები უნდა გადატანილიყვნენ საქართველოს იმდროინდელი თავისებური ვითარების პრინციპში და

ამის შესაბამისად რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც მიეღო შეფარებითი სხვა-ნაირი ხასიათი; თუ რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსსა და მიზანს სოციალურ უსამართლობათაგან მასების განთავისუფლების საქმე შეადგენდა, ჩვენში ამ პრობლემას დაემატა აგრეთვე ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების პრობლემა. ასე წარმოიშვა რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით და საქართველოს ცხოვრების პირობების თავისებურებათა შედეგად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მთავარი ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე იყო.

ეს და ამის შგავსი მთელი რიგი სხვა ახალი დებულებანი ჩვენ ჩამოვაყალიბეთ და შეძლებისდაგვარად დავასაბუთეთ კიდევაც ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“¹, რომელიც 1949 წელს გამოიცა.² ჩვენმა შემდგომმა კვლევა-ძიებამ მხოლოდ დადასტურა და ფაქტურადაც სხენებულ ნაშრომში გადმოცემული ახალი თვალსაზრისი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ავტორები თავიანთ საკვლევამებო მუშაობაში, ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად, მივიღებენ იმ დასკვნამდე, რომ თერგდალეულთა შეხედულებების კლასობრივი არსის გავების აქამდე გაბატონებული თეორია არასწორია და სპირაოა მისი შეცვლა ახალი თვალსაზრისით; მათ გახედულად შიიტანენ იერში ძველი თეორიის მთელ რიგ დებულებებზე და თავიანთ ნაშრომებში გამოთქვენს ბევრი საყურადღებო აზრი, რაც წინ სწევს ხსენებული საკითხის სწორ გავებას და ხელს უწყობს ახალი, მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავებასა და გავრცელებას. ასეთი ავტორების რიცხვს ჩვენ ვაუთვნებთ კერძოდ: ლ. გორგილაძეს, ა. ქუთელიას, გ. მეგრელიშვილს, მ. ვაფრინდაშვილს, ა. კენჭოშვილს და ვ. ვაგოიძეს. ეს ავტორები ძველ თეორიის დამცველთაგან იმით განსხვავდებიან, რომ მერე თუ ნა-

¹ იხ. გვ. 13, 63, 133, 134, და ა. შ.

² ესარგებლობთ შემთხვევით და აღნიშნავთ, რომ ხსენებულ ნაშრომში წამოყენებული ახალი დებულებების გავრცელებას დიდად შეუწყობო ხელი ჩვენი გამოჩენილი კრიტიკოსების გიორგი ნატროშვილის, ვანო წულუკიძისა და ლევან ასათიანის კარგად დასაბუთებულმა რეცენზიებმა, რომლებიც იმ ხანებში გამოქვეყნდა „კომუნისტში“, „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ და „მნათობში“; აგრეთვე ნაწილობრივ კრიტიკოს შ. ჩივაძის საყურადღებო რეცენზიამ, რომელიც დაიბეჭდა რუსულ ჟურნალში „Вопросы философии“.

რიოზელ საფრთხეს აღარ წარმოადგენს. მაგრამ არ იქნებოდა სწორი არ შეგვემჩინა, რომ ზვენიში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც ახლაც სწამთ თერგდალეულების რეაქციონერობა და მონარქისტობა და წერენ „მეცნიერულ“ ნაშრომებს ამ უბანში შეხედულების დასაცავად. არა გვეგონია სადავო იყოს, რომ ასეთი შეხედულებების გამოცოცხლების ცდებს გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ, რა შენიღბულ ფორმაშიც არ უნდა მოგვეცოდინონ ისინი.

ასევე შეუწუნარებელია მეორე შემთხვევებული თვალსაზრისის საწინააღმდეგე უდიდესობის გამომხატველი თვალსაზრისიც, რომელიც წინათაც არსებობდა, მაგრამ ერთხანს მიიწეებოდა იყო, ამ უკანასკნელად კი კვლავ აღსდგა მედრეთით. ზეერ მხედველობაში გვაქვს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები არსებითად გამოცხადებული არიან სოციალისტებად, — არა უტოპიური სოციალიზმის, არამედ ნამდვილი, მეცნიერული სოციალიზმის მიმდევრებად. როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ ეურნალ „მნათობი“ დაიბეჭდა მეტევეარ მ. კვესელავას წერილი, რომელშიც ავტორი მიზნად ისახავს დაანახოს მკითხველს, თუ „როგორ მივიღო ვოეთეს მიერ „ფაუსტში“ განვითარებული „თავისუფალ მიწაზე თავისუფალი შრომის“ უტოპიური იდეა მეცნიერული სოციალიზმის პოზიციებამდე“¹. ამ მიზნის მისაღწევად ავტორს ვადაუწყებია გამოიყენოს ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი

სათანადო ანგარიშს არ უწყევს არც საქართველოს ისტორიის ფაქტებს, არც თვით ილია ჭავჭავაძის ნაწერებს და ცდილობს „მარტოების“ საშუალებით დავეიმტკიცოს, რომ მისი იდეალი გლუხურა დემოკრატის პრინციპები კი არ იყო, არამედ რაღაც ზოგადი „კაცური კაცი“ და რომ თითქოს „ილია თანასწორუფლებიანი მშრომელი „კაცური კაცის“, როგორც ერთიანი ერთის, იდეოლოგია და არა გლუხობისა“². ავტორი ილია ჭავჭავაძეს სწვევებს არა მარტო გლუხობისაგან, არამედ მთელი ქართველი ერი-საგანაც; მისი სიტყვით, თუ ილიას „იდეებს ისევე ეროვნული ჩარჩოებით შევზღუდავთ“, ამით თითქოს მის ბრძოლას „დაუეკარგავთ სწორ პოლიტიკურ ორიენტაციას“³.

რა თქმა უნდა, შემთხვევებულ თვალსაზრისს რეალურ-ისტორიული საფუძველი არ გააჩნია⁴.

ვფიქრობთ, არ შეიძლება შემთხვევებულ თვალსაზრისის გაუკრიტიკებლად დატოვება, რადგან გარეგნულად იგი თვალისმომკრელი და ბრწყინვალაა, რის გამო არ არის გამორიცხული რომ ხალხში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში გავრცელდეს. შედგება იმის მტკიცება, რომ ამგვარ, უსაფუძვლო და აპოლოგეტურ თვალსაზრისს მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია თერგდალეულთა შემკვიდრების შესწავლისა და ნამდვილი დაფასებისათვის. არ უნდა დაგვაიწყდეს ღიძი ილიას სიტყვები: „უსაფუძვლო წუნს ადამიანი უფრო იფილად შეიფერებს, ვიდრე უსაფუძვლო ქებას“⁵.

(გაგრძელება იქნება)

¹ „მნათობი“, 1960 წ., № 12, გვ. 116.

² იქვე, გვ. 130.

³ „მნათობი“, 1960 წ., № 12 გვ. 134.

⁴ იქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის შეხედულება გოეთეს შესახებ, რომელსაც მ. კვესელავა იყენებს, ახალი არ არის; იგი ეკუთვნის წერილ-ბუერგეაზიული მიმართულების გერმანულ პუბლიცისტ კარლ გრიუნს, რომლის „კაცური კაცის თვალსაზრისი“ სასტიკად გააკრიტიკა და პირდაპირ ვადაუმტერა ფ. ენგელსმა ჯერ კიდევ ამ ასოცი წლის წინათ (იხ. ფ. ენგელსის ნაშრომი „Немецкий социализм в стихах и прозе“. კ. მარქსის და ფ. ენგელსის თხზულებათა მეოთხე ტომში, გვ. 223-248).

⁵ ი. ჭავჭავაძე, „წერილები“, 1949 წ., გვ. 58.

თბილისის

თბილისის

წერდა ვაჟა ყველგანი, სადაც კი პირობები ხელს უწყობდა. შინ ხშირად ნათელი არა ჰქონდა და ფიზიკით ანთებულ ბუნების შუქზე კმნიდა თავის დიდებულ ნაწარმოებებს. თბილისში კი უფრო მშვიდი გარემო ჰქონდა, მაგრამ თავისი კერა ვრჩინა სხვის სასახლეებს. როცა თბილისში ხელნაწერებს ჩამოიტანდა, სამაგიეროდ თბილისიდანაც მიჰქონდა წიგნები, ვაზუთები, პატარა-პატარა წიგნებად გამოცემული მისი ნაწერები, რომლებსაც შემდეგ ურიგებდა მეგობარ-მეზობლებს, რომლებიც გულისფანქართ მთელიდნენ ვაჟის თბილისიდან ჩამოსვლას. წერდა დღევ, დამეც, თითქმის ავადმყოფიც კი. ერთხელ თბილისში ვიყავი არდადეგაზე. ბიძაჩემი იქ იყო. საშინლად სტკიოდა კბილი. იმ ოთახში დამაწვინეს, სადაც ბიძაჩემს უნდა დაეძინა. იქ ერთი ზამბარბიანი ტახტი იდგა. ვიფიქრე, ბიძა ტახტზე მოისვენებს-მეთქი და ჩემთვის იატაკზე გავიშალე ლოგინი და ვაპირებდი დაწოლას. იმ დროს შემოვიდა ბიძაჩემი და რომ დაინახა, სადაც ვაპირებდი დაწოლას, შეითხა: რაო, მძისწელო, ჩემი კანონიერი ადგილის წარბეჭევის ხომ არა პლამობ? აგერა ზამბარბიანი ტახტია შენთვის, წადი და იქ დაიძინეო. მე ძალიან ვიუარე, არ დავწევი, იქ თქვენ უნდა მოისვენოთ-მეთქი. არ გამიშვა. მე დაწვეული ვარ ასე წოლას, შენ კი შეიძლება გაიცედე და მამაშენს რაღა პასუხი მივცეო. მეტი რა ჯანი ჰქონდა, დავწეე. მაგრამ მთელი ღამე არ დამძინებია. ჯერ ერთი, მტყუპენოდა, რომ მე ბატონიერი გამოქმნილი ვიქნეი თბილ ტახტზე და ბიძა კი ხველ იატაკზე იწვა. თავით მუთაქა ელო (ხალიში არ უყვარდა), თანაც კბილი სტკიოდა, მალე სულ ადგა და დაიწყო ოთახში სიარული. ხანდახან მიუჯდებოდა მაგიდას და რაღაცას წერდა. მეორე დღეს წავიკითხე ლექსი „მარტოობა“.

აი, თურმე რად ეჩქარებოდა გორიდან თბილისში წამოსვლა. ჩვენ მისი სტუმრობა დღესას-

წულად მიგვიანდა, ის კი იღლებოდა და წერა-შიც ხელი ეშლებოდა.

როგორც აღენიშნე, ბიძაჩემი ძალიან გულთბილად და დიდი სიყვარულით გვაქცევდა.

განსაკუთრებით უყვარდა ჩემი უფროსი და გულქანი — ბარბარე, რომელსაც ჩვენი დიდების (მამაჩემის დედის) სახელი ერქვა და, როგორც თვითონ ვაჟა იტყოდა ხოლმე, თავისი მოსახელის ნამდვილი განსახიერება იყო ყველაფრით. დარბაისელი, ნიჭიერი, ბუჯითი, გიმნაზიის ოქროს მედლით ამთავრებდა, რითაც ვაჟა-ფშაველა დიდად ამაყობდა. დავანაცვალა ბიძა, პირწავარდნილი დედაჩემი გულქანია, ეს ნამდვილად გვასახელებსო, იტყოდა ხოლმე. ვაჟა-ფშაველა რომ ქეთისისა და ფილონი მინაპრეებს, ისიც თან წაიყვანა.

გულქანისა და ვაჟის ავადმყოფობა ერთმანეთს დაეშხვა. გულქანმა სისხლი ამოიღო და საჭირო ვახდა ცეშში წაყვანა. ვაჟის ფლტეების ანთებაზე გართლება დაერთო. შიის პაერს შეჩვეული, თბილისის სიცხეს უანმრთელიც ძნულად იტანდა და ზაფხულობით თავის დღეში თბილისს არ ვაკვარბია. სანდროსაც კი შიისკენ იწვევდა ხოლმე. ანთებაზე ვაჟის მაგრად ჩისქიდა ხელი და სიცხე აღარ უწვლდებოდა. მამაჩემი დარდისაგან ადგილს ვეღარ პოულობდა. მეურნეობა კი თავისას შიითხოვდა. იქ ფუტკრის ყრის და გამრავლების დრო იყო, იქ მკა მოახლოვდა, შემდეგ ბალი იყო დასამუშავებელი და თანაც — ორი გაქირავებული ავადმყოფი. საიდან რა დაეწყო, აღარ იცოდა. ცეშში ოთახი მართე იქირავა, გულქანს წაიყვანე, დავბინავებ, მანამ ვაჟასაც სიცხე დაუკლებს და იმასაც იქ ჩაიყვანე, თორემ თბილისის სიცხით მკა მომიკვდებაო. მაგრამ ეს უკანასკნელი მძერი ზრუნვა ვერ შეუძრულა. სიცხე ათათე უკლებდა, პირიქით უფრო და უფრო უძლიერდებოდა. ექიმები განძრევის ნებას არ აძლევდნენ.

ერთხელ, როდესაც თედომ საბოლოოდ და მტკიცედ გადაწყვიტა, აღარ დაეჯერებინა ექიმებისთვის და ცეშში წაიყვანა ვაჟა, გორში გავიკ ამბავი, „ვაჟა ვარდაცვალო“, უბოშო

* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 7, 9.

ყოფილი მისი მწეხარება და კიდევ უფრო გაორ-
კვედი, როდესაც ვიკო, რომ მის ძმას ევაას
თავის „დეკა და ლეიანის“ ნატურაში დადოა
სული. სამაგიეროდ, მისი წილი ზრუნვა ვადი-
ტანა ავადმყოფ პოეტ იროდიონ ევდომვილზე,
რომელიც გულქანთან ერთად ცემში იყო და
ნაშენარის პერით იხანგრძლივებდა უკანასკნელ
დღეებს.

ვაკ-ფშაველას სიკვდილის გაგებისას რო-
გორც გულქანმა, ისე იროდიონმაც თურმე
სისხლი აღებინეს, რის შემდეგაც დიღბანს აღარ
უცოცხლოათ არც ერთსა და არც მეორეს.

„ჯავრის მოგვიმ, ჯავრის დაგვიწყებო“, ვანა
ტრულიად უთქვამს ხალხს, — იტყოდა მამანკში,
— გულქანი რომ არა მავტებს მოსავლელი,
რადღა ჩემი სიციცხლე, შევარდმე ეს მანგლები-
ნებს ჩემს საყვარელ მამასო. ერთი ანუგეშებ-
და მას, რომ თავის დაად ძმამ ის ყოველთვის
ღირსეულად აფასებდა და სიყვარულსა და
ზრუნვის მერე მის მიმართ არაფერი დაუთესია.

მეორე ძმა — ნიკო, მწერლობაში ბაჩანად
ცნობილი, დაბალი ტანისა იყო, რისთვისაც ში-
ნაურებმა ბაჩო შეარქვეს და საბოლოოდ შერჩია
ეს სახელი. პირველად, შაითალია, ძალიან ჯავ-
რობდა, მაგრამ შემდეგ შეეგნია და ფსედლო-
ნმადაც დაიკოვა. იგი იყო მხარბუქიანი, ჩახს-
მული, ძალიან მჭირბული, ფიცხი და ღონიერი.
ხშირად იტყოდნენ ძმები სიცილით: ვაი იმას,
ვინც შავს გააჯავრებს, მინამ ის სიტყვას მოა-
თავეს, ბაჩო ისეუბნებს და ვეფხვივით თავზე
დაახტებაო. მშვენიერი, მალა ავარცხნილი
გრუნა ქოჩორი და თათლისფერი, შავად მო-
წინწკლული თვალები ნამდვილ პოეტურ შესა-
ხედაობას აძლევდნენ. მისი წერველი სიცილი
კი გაფრქვბინებდათ, რაღაც დიდი ღრამა აქვს
გადატანილიო.

ღრამა კი სკოლის დამაფრებელად იღიწყო.
მას დიდი სურველი ჰქონდა უმჯობესი სწავლი-
სა, მაგრამ ოჯახური პირობები საშუალებას არ
აძლევდა. „ჩემი აზრები მარტო სკოლას არ ეხ-
ვევიან, — სწერდა ის მამანკს 1887 წლის
22 ოქტომბერს, — არც არა ისე საქვეყნო საქ-
ცილები მაწუნებენ. საქვეყნო მოღვაწეობას დიდი
ეკონა და გამოცდილება უნდა. მე კი ორივეზე
ჭესხად ვარ; მეორე რა მომავლმა ცხოვრე-
ბამ მომიცეს, სწავლას, სამეცნიერო ცოდნას ვერ
მომცემს, სანამდინინ დრო მაქვს, უნდა წავიდე
საღმე და ვისწავლო“. მან განიზრახა საღამოე-
ბის გამართვით შეეგროვებინა ფული და წასუ-
ლოი სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ვერ
მოუხერხდა, რის შემდეგ მას სწავლა არ გაუბრ-
ძელებია და დიდ დაღადაც ჰქონდა გულში ჩარ-
ჩენილი. თავისი ფიციხი ხასიათის გამო ბევრჯერ
შეპყრობა ხიფათს. ერთხელ იღუპილად მიპარვით
ფერდში ჰრილობაც მიაყენეს, რამაც საკმაროდ
შეარჩია მისი ჯანმრთელობა. რაც მთავარია, ბა-
ჩანამ ცოლად შეიერთა თავისი თემის ქალი —
მარიამ გურასაშული, რაც მთის ადამით სასტი-

კად იყო აგრძალებული და თემიდან მოკვეთილად
ემტერებოდნენ. ბაჩანა იძულებული იყო დიდ-
ხანს ემსახერა ბარისახოში, „ქრისტე“ თავის
რომან-პოემა „წაწლობაში“ განთავსდა.

ბაჩანა ბუნებით ძალზე მოსიყვარული იყო ნა-
თესაობისა და საზოგადოებისა. ამიტომაც დიდად
განვიდიდა ასეთ მდგომარეობას და სწერდა
თავის ძმას თედოს: „რაც შეეხება ჩემს სულიერ
მდგომარეობას, ბევრს საწუგეშოს ვერას გეტყ-
ვი, რაც დრო გადის, გადის, რაც უფრო მარტოვა ვარ,
იმდენი უფრო შავი სევდისათვის ველარ დამილ-
წყვია თავი. ვარ მარტოვა, ვესაუბრები მხოლოდ
ჩემს თავს, მოპასუხე და ზეგნადის მოზიარე
არავინაა, ვარდა არავინაა, მივბობა და ბერავს
ჩემის ცოლისა... ვხიჯარ ბევრჯერ ჩემთვის, სა-
ცოლად ფიქრებში ვართული. ვერავ ფანდურს,
ვესაუბრები ბევრს რასმე ჩემის გულის ამონა-
კვესისისა და საწყალი ჩემი ცოლი კი ზის და
ჩამოსდის ცრემლებში!.. ესაც ნუგეშია ტანჯუ-
ლის მეგონისა, არა, მამაო?.. კიდევ ვარტი, რომ
ეს მაინც მივებს და მათგანებს, რაც კი მოეხო-
ვება იმის განეთიარებას. ნეტა საზოგადოება
რომ არა ესთქვა, წიგნები მაინც მქონდეს ბე-
რა-ბევრი, რაც საჭიროა, მაშინ კიდევ აღარას
ფიქროდი, იმეებით მაინც ვისცხოვრებდი...
ღიბს... ჩემი მოწუგეები, კაცო, ისევე საყუ-
რელი შეილები... ისინი რომ არ მართობდნენ
კიდევ, აქამდე ან გაეგვიფებოდი, ან სხვა რამე
უფრო უკეთესი დამემართებოდა... დაუჯდები,
შემოვისხამ ვარს ჩემს ბარტყებს, ვკითხულობთ
და ხშირად მეც ვტრია ჩემს მოწუგეებთან“.

ასეთ პირობებში იცხოვრა ბაჩანამ მთელი
ათი წელი. ყველაფერ ამას ზედ ერთთვის ცოლ-
შვილის შეღძვივი ავადმყოფობა, რამაც ერთ-
ბაშედ იმსხვერპლა მისი ორი შვილი და ამან
მთლად გაანადგურა ისედაც დაძაბუნებული ბა-
ჩანას ჯანმრთელობა. სიღატაკე; ავადმყოფობა,
სულიერი მარტოობა, სიკვდილანობა, იმედების
გაყრუება, — აი, მთელი მისი ცხოვრება.

ბაჩანა ჩვენთან ძალიან იშვიათად მოდიოდა-
სიყვარულით მამანკს არც ის უყვარდა ნაკლე-
ბად, მაგრამ უფრო მეტად ეცოდებოდა, რასაც
არ მავალდა და იტყოდა: „მეცოდებია, ძალიან
წერიულია. ოჯახმა მთლად დააბნეა, შეილე-
ბის სიკვდილმა ხომ მთლიანად გაანადგურაო“.
იმის წერილების წაყიხევა უცრემლოდ არ შე-
ეძლო. ადვილი მისადგომი მაინც იყოს სიღან-
მე, რომ კაცი როგორმე დაეხმაროსო, — იტყო-
და ხშირად.

უკანასკნელად ზიდა ბაჩანა ჩვენსას მამანკმის
სიკვდილის შემდეგ იყო. ბევრი იტრია. „მო-
გაკედეს ძმა, რომ ვერაფრით მოგეხმარეო“, —
მაგრამ თვითონაც უკვე ჯანგატეხილი ჩანდა და,
მართლაც, დიღბანს აღარ უცოცხლდა.

უმცროსი ძმა, სანდრო, სამსახურის გამო
მუდმივ მთილისში ცხოვრობდა და მისი ბინა
არა მარტო რაზიკაშვილების საგვარეულოს საყ-
რებულად იყო ცნობილი, არამედ აქ თავს იყ-



რიდენ შთელი რაზიკაშვილებს ნაენობ-მეგობრებიც. მეგობრები კი ბევრი ჰყავდათ.

გარეგნულად სანდრო უფრო ეყავს წაგავდა და ძალიან ლამაზიც იყო, — მზიარული, მოქვიფი, გულუხვი, სტუმართმოყვარე. იგი ძმების დახმარებით გაზარდა და თვითონაც ცდილობდა ვალში არ დარჩენილიყო ძმებთან. ეყავს ლევანს სკოლაში მიზარნილობისათვის ბინად მასთან იყო. იქვე იყვნენ ბაჩანას შვილები: პაულე, ვანო და გიგლა. სიკვდილის უკანასკნელ დღემდე მისი სახლის კარი ყველასთვის ღია იყო.

ჩამოვიღოდა თუ არა ეჭა (ბზირად შთელი წამოვობით რჩებოდა მასთან), სანდრო მამინვე ადრენდა წერილს ხელთუბანში — მამაჩემთან: ლეკა ჩამოვიდა და თბილისისკენ ჩამოასიერნეო.

მამაჩემიც დაძრებოდა სხედასხვა ხორაგათ დატვირთული: ხურჯინებითა და საყუთარი მარნიდან — ვეფას „სახედაშე“ ღვინით (მამაჩემს მარანში ჰქონდა ეყავს სახელზე გამოყოფილი ერთი ორმოცოციანი ქვევერი, ყველაზე უწინ მას აავსებდა და იტყოდა: მინამ ეჭა არ შოვა, ეს ქვევერი არ შოიხდებაო. „ეყავს სახედაშეს“ ეხება და მაშინ მოხდოდა, როცა ეჭა ჩამოვიღოდა შთიდა). დაიწყებოდა რაზიკაშვილების დღეისაქნული. მაგრამ თუ დაემთხვეოდა და ძმების ზემო შვესწრებოდა სანდროს სიამბიო — ილია პეტრიაშვილი, თაყისი ბაქურციხელი კახურით, მაშინ დაიწყებოდა ერთი ამბავი: ვამბახარავებდნენ „ხელთუბნებს“, ვითომ ღვინოებში წერილი, იტყოდნენ, და ელოდნენ, რონის იფუტქებად მამაჩემი, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ საყვარელი ძმა მის დაყენებულ ღვინოს უფრო სიამოვნებით შეეკეცოდა და მათ დაცინებს აინუნშოაც არ ავლებდა. ასევე სიამოვნებით სეამდა იმავე ღვინოს ბიძაჩემი სანდროს ქვინის, „მწელოს“ ავტროს — მელანია, ნიკო ნათიძე. კაცი დარბაზილი, ჭკვიანი, შესანაშინავი მოსაუბრე. იწყებოდა მზიარული სიცილსაუბარი, ერთმანეთთან ვამაირება, ბზირად ცუცუკაც. ამ დროსტარებამში რომ უფრო მეტი მზიარულბა შეეტანა, მამაჩემი გამოვიღოდა საცეკაოდა და უნდა გენახათ მაშინ, როგორი სიცილ-კისკის ატყდებოდა გარშემო: აბნებულდა ჩვენი დათუნაო, დასცემდნენ ყვირისს. ის კი უფრო უმჯობედა ბრაცაბრტყს და ღიღ სიხარულს იწვევდა მაყურებლებში.

სუფრიად ყველაზე ადრე ეჭა წამოიდგებოდა. ძმები დაიწყებდნენ დაცინებს: ვერ გაგვიძლო ეფხებოო. მოგარნებდნენ რომელიმე „ცოდვას“. მაგრამ ეჭა ღიმილით სავსე თვალებით შესუქეროდა ძმებს, თითქოს ეუბნებოდა: იცინეთ, იცინეთ, რას დამაყლებთო. ზოგჯერ, იყო შემთხვევა, ეჭავც გამოვხმარებოდა: — იმხუეთ, იმხუეთ, ვანა არ იციო, ბუზი ყველა ბუზის, ფუტკართან ყველა სტყუისო. ძმები კი სიხარულით ცას ეწეოდნენ, გამოვიყვანეთ წონასწორობიდანაო. უფრო მეტად უხაროდა ბაჩანას: ის, როგორც ყოველთვის, ყველაზე შწარე-შწარეს

იტყოდა. მას ასევებოდა სანდრო. მამაჩემი კი მოწირებით ეტყეოდა ეყავს და მზიარული დანაშაულად მიანდა.

ასეთი შეკრებების დროს ძმებთან ყოველთვის იყო მათი დისშვილი მიხა, რომელიც ბიძებს ძმის მავავრად მიანდათ.

მიხა სკამოლ ლამაზი და მოხდენილი ვაჭაკი იყო, საშუალო ტანის, ბაჩანასავით ქოჩორა, ნიჭიერი და მშრომელი. უყვარდა კობტად და ლაზითიანად ჩაცმა-დახურვა და თითქმის ყოველდღე იზარსავდა წვერს. მაშინ ცოლი არა ჰყავდა. ერთხელ ეჭამ მიმართა ლექსით:

ბიჭო, პირი მოგვიპარსავს,
საარშიყოლ კასერი,
ბიჭო, რატომ ცოლს არ ირთავ,
უფრემსალო, ვის ელო??

ეს იყო მიზეზი და დაიწყო მათ შორის შიკრობა. მას მოჰყვა სანდრო, მერე ნიკო. და უნდა გენახათ, როგორი ოლიმპური სიმშვიდით უძლებებოდა ყველას ეჭა.

ძალიან უყვარდათ ნადირობაზე ლაბარაკი, იგონებდნენ ახალგაზრდობის დროს დახოცილ ნადირს. აჯავრებდნენ მიხას: „ვის უფრო მალე იკურ, ჭალგან თუ კურდღლებსაო“. მიხა კი ნამდვილად ვანთქმული შონადირე იყო. მიხას ნანადირეთა ფიტულები და რქები დღესაც ინახება მისი შვილის სახლში.

სანდროს წამოწყებულ შინაურულ იუმორულ ვაბასებს მიხა შეთურობდა. მისი გამოჩაქვამები სასაბაოენო საკითხაიყოა. (დაბეჭდილია ს. ყუბანეიშვილის კრებულში — „ეჭა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები“).

ავადმყოფობის დროს ჩემმა უმცროსმა დამ ნინომ წერილი მისწერა ავადმყოფ ბიძას. მან იცოდა, რომ მამაჩემი აპირებდა იმის ამოვივანას ჩვენთან. ის იყო მზოლოდ, სიცხის დაკლებას ელოდა... ბიძა ჩვენო, მაგ ჩახუთულ პერში რას იწვი. აჲ ამოდი, სუფთა პაერით და თაფლით ხელად მოგარჩენთო!

მავე დღეებში მამაჩემმა ნინო წაიყვანა ავადმყოფ ბიძისთან სანახავად და თან, თუ შესძლებდა, უნდა დაეტოვებინა მასთან, წყალს მანინე მიაწედოსო. ბიძაჩემს, თურმე, უკვე დღეები ჰქონდა დათვლოლი, მაინც უპირი უთხრა ბავშვის დატოვებაზე. ამ სიტყვებზე მომეკლა, ახლა ეგეტ ვინდად დაასწელოთო. ხედაეთ, ისედიც სინითელ ვასდის ბავშვსაო.

ნინოს კი უთხრა: შენ, მგონი, ექიმობა გიფიქრია, ჩემო ძმისწულსო, მაგ გზით თუ წახვალ, კარვს იზამ, თუმცა მე კი ვეღარაფერს მიშველითო.

ნინოსთვის ეჭა-ფშაველას ეს სიტყვები თითქმის საწინასწარმეტყველო გამოდგა. ნინომ საეჭირო ფაქულტეტი დაამთავრა და დღეს კარგი ექიმიო.

მამაჩემი — თედო, იყო შუათანა ტანის, ბრგე, მზარბეკიანი, ჩასქენილი, ლამაზი. ჩემს მახსოვ-

რომაში ის უკვე ასეთი იყო. სკოლაში კი ძალიან გამხდარი და სუსტი ყოფილა. ვაჟის სიღირსე და ბანანის სიფიციუ მასში თითქმის განხვედული იყო და ამას, სადაც საჭირო იყო, კიდევ ამკლავებდა. მზიარული, სიკაცობისუნარიანი, სტუმართმოყვარე, უხვი, თავზიანი, მღალთან მალარი, დამბლთან დაბალი, თავის დროისათვის დიდად განვითარებული, თითქმის ყველა დარგში შექმლი მას საემოდ დამამაყოფილებელი პასუხი გაეცა და საუბარში არაივის ჩამორჩენოდა. უყვარდა წიგნი, გახეთი, ჭრნარლები, აინტერესებდა ყოველივე ახალი, როგორც პედაგოგიკაში, პოლიტიკაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

მამა თუ დაპატიმრებამდე მუდამ მოღუშული და დარდლიანი იყო, ახლა სულ სხვა ვახდა. შრომა ძველებურად უყვარდა. მუშაობას ისევე განაგრძობდა. არ აწრებდა დანატრული და აიხარებულა სახლ-კარი; გადახეწვამდე დარგულმა ნაშენებმა უკვე გაიხარეს. შვილები წაშინარდნენ, შეიძლება მათი სკოლაში მიბარება. ფუტყარიც შეუმოკატა, ამასაც მოელა უნდოდა. მაგრამ მაინც მზიარული იყო, შეზღაბსინალი. სათელ შეზღბე მომავლის მომავლი აღბეჭდოდა. არც რეკლუციის დროებითი დამარცხება ამინებდა. ხალხი გამოღვიძებულად მოაჩნდა. დრომდე ესეც საყმარისიყო, იტყოდა ხოლმე.

და ისიც ენერგიულად შეუდგა ოჯახის ფეხზე დაყენებას. გიმნაზიაში უკვე სამნი ესწავლობდით. გუგული ჯერ პატარა იყო. მამამნი არ მისდევდა ღობუნეს; შვილები მტრულად გამოზარდენ, მოყვრად გამოგადგებიანო. პირიქით, დედამნი უფრო ედილობდა ამ სისტემის ცხოვრებაში გიტარებას. მამა კი ბეშეებს მეცელად გველენობდა; საყმარისი იყო ვაგონი, ან შემოქსნო დედანეშისათვის, როცა ვიუჯერდებოდა რამეზე, და მაშინვე მიახახებდა: ნუ დამიხეჩავე ეს ბეშეები, თინათინ, სულ ჯაბრობა ვინა გამოსწორებთ?! დაიხრდებთან, ვაგებუნო. ბერძნებს სპარტანული აღზრდა მოაჩნდათ ყველაზე სწორი ხერხადო, იტყოდა, და თვითონაც ედილობდა მთლიანად გამოყენებინა ეს ხერხი. ზომიერი ქამასმა ჯანმრთელობის საწინდარიყო: „მეცელს აღორებ, ღორია, აქორებ ქორიყო“, აი ხალხის სობრძენე. ტანისაშოსი ზამთარში ისე გვეცვა, რომ არ შეგვიცენოდა. წყალი, პაერი და მზე განმრთელობის პირველი საშეალებლობაო, და გვეალებდა, გვესარგებლა მზით, ყოველდღიურად ტანზე ნელთბილი წყალი გადაგვევლო და ფანჯრები ხომ ზამთარშიც ძლიეს იხურებოდა ჩვენთან. შრომა კი ყველაფრისთვის გამოსადეგი იყო. ჩაცმა-დაჭურვავზე ზედმეტი ზრუნვა კი „მუშინაობად“ მიაჩნდა. ვის გინდათ შეეჯიბროთ, თავადის ქალებს? მავათ ხომ ტანსაცმლისა და მუცლის გულისთვის თაიანთი მამულენი ნაგვის ფასად ჩაუგდეს ხელში უცხოელებს! ვაჭრის ქალებს კი ვერც დაეწვიეთ, არამც თუ გაასწროთო. თინაც შეიძლება ისეთი

ამბავი დაგეშართოთ, „დედა ენაში“ რომ არის: ერთმა კაცმა ჩოხა გაიხადა და ყველას დაეცვა. პატრივი დამედებაო. თქვენც [სხვათა] მსუფთა და აღამიანობით გამოიჩინეთ თვი, თორემ ძონძებს ყველა მოახერხებებს (ტანსაცმელს ძონძებს ეახება). ჩაიკეთი კობტად და ლაზათიანად, ტუქვილად ხომ არ არის ნათქვამი „მღედელს ჭილობში იცნობენო“.

ვიზრდებოდიო ჩვენი სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად. თამაშის დროს ეთამაშობდიო, მუშაობის დროსაც ყველა ერთად დედიოდიო, როგორც ჩვენს ბაღში, ისე მუზობლების ახლად შექმნილი, სადაც თვითონ მამაჩემიც ჩვენთან ერთად დადიოდა, რომ თავისი ხელით ემუნო და ესწავლებინა მათთვისაც.

მამინ ქალები და, განსაკუთრებით, გოგოები არ ვაყავდით მინდვრად სამუშაოდ, ან სად ჭკონდათ მინდვრები. ბატონიან მიწებში კი მამაკაცებიც კმაროდნენ. მაგრამ ჩვენთან შეზარდილი მუზობლის გოგოები თითქმის სულ ჩვენთან იყვნენ; ეთამაშობდიო თუ ეშუშობდიო, სულ ერთად ვაყვიეთ. უფრო ხშირად ჩვენთან მოდიოდნენ. ნათელსა და თბილ ოთახში ვისხედით და მუშაობის დამთავრების შემდეგ შეიძლებოდა „დამტკბარი“ ჩაის დალევა. ჩაი ხომ მარტო „ბატონიანთა“ და „უჩიტლიანთა“ ჭკონდათ.

ის კი არ იცოდნენ, რომ „უჩიტლიანი“, ჩაის რომ დალევდნენ, ხშირად საღალადეც ამხვეუნდა ვადასულოვნენ (ასე იყო პირველ წლებში).

საქმე კი ბევრი გვექონდა: მატული — ვასაწეწი, ბუმბული — ვასარჩევი; ოჯახი მრავლდებოდა, ლოგანებოც უნდა მომატებოდა. თუ სახლში არ ვაყოფებოდით, ყველფორის ყოღვა ერთ მუშომტანს უჭირდა.

მამამ იცოდა, რომ ბავშვებისათვის მოსაწყენი იქნებოდა მუშაობა და მათ ვასამხნეებულად თივისი მეთოდი ჭკონდა: აი, შეგეამჩნია, რომ ბავშვებმა მოიწყინეს ან ძალიან აუღულუდდნენ და მუშაობა ანც მაინც და მაინც ეხალისებოდათ. ამ დროს ჩავვიჯდებოდა მამაჩემი და იმის მავიერად, რომ ეთქვა: რას ცუდლუტობთო, იტყოდა.

— გოგოებო, ამა ვინ იტყვის ბერიკაცზე? ეს იმას ნიშნავდა, რომ ძალიან ვყავანებდიო და არაფერს ვაეთებდიო. ერთ წამში სიჩუმე ჩამოეარდებოდა.

— მამ, ვინც კვიციანად არის, ის იტყვის! ბერიკაცზე თქმა ბერის გინდა, მაგრამ გულქანი უვალზე კვიციანია, იცის, როგორ მოიქცეს. თან ენამხვილიცაო. ისიც იწყებს:

იგერ მოღის ბერიკაციო, უჩან მოსდევს შავი ძაღლი, ვინც ჩემზე წინ ხმა ამოიღოს, ლუკლუკი და გველაშაპი. კლიტე თქვენ, ვასალები მე! ხელს მიატარებს წრეში ყველა ჩვენთაგანის



პირთან ახლოს, ეითომ გასაღებით გვიკეტავს. ყველანი გასუსტლები ვსხედვართ. „ლელა-ლელა და ველა-ველა“ გადაკოდება არავის გეინდა. თუმცა არც ვიკითხ, რაა ეს ლელა-ლელა. მაგრამ, გველშობის ამხანაგი რომ ვარგი არ იწნება, ეს კი ვიკითხ.

წამით სინძმე ჩამოვარდებოდა: მაგრამ ვიღაც თავს ვერ იკავებდა: — ფხუ-ფხუ! — დაიძახებდა და გაიხსნებოდა კლიტეც.

— ძალი ვინ დაკლა? — გვეკითხება გასაღების პატრონი.

ჩვენც ვასახლებობ სინძმის პირველ დამრღვევს.

— მარიამმა.

— ხორცი რა უყო? — განავრტობს დაკითხვას იგივე.

— შეკმა. — ვუპასუხებდით ჩვენ.

— სისხლი რა უყო? — განავრტობდა კითხვას.

— ღვინოდ დალია!

— ძელები რა უყო?

— ქონი აიშენა.

— ტყვი რა უყო?

— ტანზე წამოიხსნა.

— თუთონ სად წაეიღა?

— აწიანში.

გასაღების პატრონმა უნდა მოახერხოს და შესაფერისი სიტყვით უპასუხოს, რომ რითმა გამოვიდეს. მაგალითისათვის: „თავი წაყო ანწილანში“.

დასაბურღი გასაღები გადაეცემოდა ერთ რამელაზე მომასუხებს და ისევ დაიწყებოდა თავიდან.

ამ თამაშს რომ ჩვეულებრივად ვიხსენებდი, თითქოს აქ არაფერი იყო არც საშიში და არც სამარცხვინო. მაგრამ ძალის დაკვლა, მისი ხორცის შეკმა, ტყავის წამოხსნა და, მით უმეტეს, ანწილანში თავის წაყოფა, ისე გვეზარებოდა, რომ ვეღვარდებოდათ მოგვეთმინა და არ დაგვიტოვია სინძმე. მაგრამ ხდებოდა ისედაც, რომ უფრო გამოცდილები და ეშვებები შეადგენდნენ, გააციანებდნენ, ან დალაპარაკებდნენ უფრო გამოცდილები და შემდეგ მთელი ამბავი უკანასკნელთ გადახდებოდათ თავზე. ჩვენ კი ვიკითხოდით და ვიკითხოდით, ვინაიდან თამაში ტარდებოდა სწორედ იმ მიზნით, რომ არავის მოსწყენოდა. სიცილსა და მხიარულებაში კი ისე სწრაფად ვეთდებოდა საქმე, ვერც კი ვიკვებდით, ვმუშაობდით თუ ვთამაშობდით. თანაც ვიკითხოდით, რომ მუშაობის შემდეგ გემრიელი სადილი გველოდა.

უფრო საინტერესოდ ტარდებოდა სიმინდის რჩევი. სიმინდის რჩევიში თითქმის ყველა იღებდა მონაწილეობას და ძალიან ხალისიანდაც ვმუშაობდით. მაგრამ ბავშვი რის ბავშვიცა, თუ არ დავიწყებდა, ცოტა ხანს მიიწ, თავისი „დილობა“. და აი, როდესაც მე გატყუებდი ველა-პარაკები ვიღაცას და ორივენი გზიხიხიხებოდა, ამ

დროს მომესმის მამანების ხმა: ეთერ, შეილო, დამივალეზია. დაელება კი შეგვეყვითლებოდა: ტუბა: სიმინდის რჩევის დროს შეგვეყვითლებოდა ტარო ან, შეიძლება, ერთი შეივი მარცვალი ჰქონდეს. შენ ავალე, ვისაც გსურს, და ისიც ვალდებულია დღესვე გადავიხადოს. თუ შენ შეგხვდა, ვალს იხდი. თუ ვალი არა გაქვს, მაშინ ავალე, ვისაც გსურს. შენ შენდა უნებურად აწყარებ მუშაობას. ვინდა, მალე გათავისუფლდე ვალისაგან და იმასვე მოვალე ვიქნე, რაც ხელს უწყობს სამუშაოს ტუბის მომარტებას, და ხალისით გავეთვებული საქმე თითქოს არცა გვილიდა.

ბავშვებს ძალიან გვიყვარდა ასეთი შრომა-თამაში და გვიღის ფანქვალით ველოდით ყოველ შემოდგომაში.

განსაკუთრებული როლი ითამაშა ჩვენს აღზრდაში ფეტკარმა. ფეტკარის მოვლა-მომწევენს მამანები გატაკებით დაეწაფა და ჩვენგანაც ამას მოითხოვდა. რამდენადაც მეტს აკორდებოდა, იმდენად უფროდაუფრო საუკარული ხდებოდა მისთვის ფეტკარის ყოველი საქმიანობა და სხარტული ფეიზიარება და დევირებებს. მის აოცებლად ფეტკარების შეთანხმებულ და ორგანიზებული მუშაობა, რომ მეტი საშუალება ჰქონოდა დაკვირვებებისათვის, მან ერთი აჯრამ ფეტკარი მთლად მუშაიან სეაშიც კი მოაქცია და თვალურთ აღევნებდა ყოველ მათ ნაბიჯს და იწერდა კიდევ.

— დაკვირვდით, როგორ წესიერად აქვთ აწყობილი ცხოვრება, ალბათ, ბევრ ადამიანსაც შეშურდება და გამოადგება მათი დაკვირვება და მიხატვა. აი, აქედან რაღაც გუგუნეი მოისმის! აბა, ენახოთ, — მიგვიყვანდა მოგუგუნე სეასთან, განიხილავდა სათითაოდ ფიჭებსა და საბარტეე უჯრეტებს. აღმოაჩენდა, რომ დედა აღარა ჰყავდათ, გადმოიყვანდა სხვა სკოლან ზედმეტ დედას, გადმოუღებდა საბარტეე უჯრეტს. იმას მიანიც აღარ სჭირდება, ყრბს დროც აღარ არისო. სეაში მთავარია მუშა ფეტკარი. ის უფლის დედას, ჰეგზავს საბარტეე ჭუბრებსა და იმათაც, ვინც ვერ გამოდის გარეთ, საშინაო საქმეების გამო. საქმე კი ბევრი აქვთ: თაფლისა და ფიჭის გადამუშავება და გაკეთება, ყარაულობა და სხვა. ახლა აქვდა მუქთახორებს მოვლა და შენახვა არ უნდა! მამალი ფეტკარები მუშა ფეტკარს აწვინან ზურგზე მუქთად, მაგრამ უსათუოდ რაიმე სარგებლობა მოაქვთ, გარდა იმისა, რომ ისინი დედა ფეტკარის ფავორტები არიან. მაგრამ, არა უშავს რა, მუშა ფეტკარები მონიშნენ იქამდე, სანამ მინდორში ბევრია საჭმელი. მოიკადეთ ცოტა, გაიჭრეთ სათიხები, მერე უფრეთ მავათ სეირსაო, — იტყობდა, თითქოს ვიღაცას ემუქრებოდა: დაიცათ, თქვენნი დროც მოვაო.

მართლაც, გაიჭრებოდა თუ არა სათიხი, იწყებოდა „აჯანყებები“ საფეტკარეშიც. სეების ყარებიდან პანტა-პენტით ცვივოდნენ შეცდარა

მეტობორები. განსაკუთრებით მამაფრი ბრძოლები იწყებოდა მაშინ, თუ ამ პერიოდს წვიმიანი ამინდებიც დაემთხვეოდა და მუშა ფურცარი შინ მოემწყვდებოდა. უნდა გვანახათ ამ დროს სკების კარებთან ძირს ჩამოყვებულნი, პერის გუნდასავით დახვეული პარაზიტების ხროვა.

— პა, ბეჩავე, ვაჟაკებო! უტრეთე ყოფი მუქ-თახორებს?! დასცხეთ შავ არაშხადებს, — შესძახებდა ხოლმე ნიშნის მოგებით მამაჩემი. — მაშ, როგორ გვგონათ, შეგარჩენდნენ თავის ნაშრომს? ოპო, კარებიც ამოუღესიანთ, ყარაულებიც გაუძლიერებიათ! ნახეთ! — გვიჩვენებდა მამაჩემი, როგორი ფეხფეხით ლესადენდნენ კარების ნაპირებს ღინდელით.

— ფურცარები კერძო მესაკუთრენი როდი არიან, მაგრამ თავიანთ ნაშრომს ტუფილად არავეს ვაატანენო, — იტყობდა მამაჩემი. — ვაზა-ფხულებუ, როდესაც ყვავილები ბლომადა და საზრდოც ბევრი აქვთ, თავის ამოღებას დროს ისე მწარედ არავეს გვებენდნენ, როგორც შე-მოღობიანზე. მაშინ მანდლორში აღარაფერი ეგუ-ლებათო. ფურცარები რომ ტკვიანები არიან, მტკიცედობდა მათი მოსაზრებლობით; არა ერთბელ გვინახავს სკის კუნძულში მივდებელი გაგუდული თავი, რომელიც ვადაღუსული იყო ღინდელით, რათა არ გახრწნილიყო და სენით არ შეეწუხებინა სკის მცხოვრებნი. ვარდა ამისა, იმათ იტოდნენ, რომ უბედუნდნენ თუ არა ვინმეს, მაშინვე დაიხილებოდნენ, მაგრამ თავს მაინც არა ზოგადენდნენ, რათა დაეცვათ თავიანთი ამაგი და ამხანაგები. შხოლოდ თავის სი-კვლილს ატუბობებენ ამხანაგებს განსაკუთრებ-ული სუნის გამოებით. მართლაც, გვიბენდა თუ არა ფურცარი, დადგებოდა მშვენიერი ოინ-ჯის ყვავილის სუნნი და მოარბოდნენ ბზუღლით ჩვენსკენ გაეცხლებული ფურცარები. მაგრამ ჩვენც ეშმაკობა გაუგებო, და, რა წამს სუნს ვა-ვგებდით, წაივსამდით თაფლს ან წყალს, ან რაიმე ბალახის ფოთოლს, სუნის ნეტრალიზა-ციისათვის, და ამით ჩვენ თავსაც ვადავარჩენ-დით სხვების ებენისაგან, ფურცარებს კი — სი-კვდილისაგან.

მამაჩემმა შეამჩნია, აგრეთვე, რომ ფურცარები ვერ იტუნდნენ ისეთ არასასიამოვნო სუნს, რო-გორიც იყო: ნიორნაქში, ღვინო და არაუნასავში ადამიანის სუნნი და, თვითონაც თუ ნასვამი იყო, ახლოს არ მიეკარებოდა სკას.

მამაჩემის საფურცარისა და თაფლის ამბავი მთელ ქართლში იყო ცნობილი. მრავალი და-ინტერესებული პირი ეწვეოდა ჩვენს საფურცარ-ებს, მიიღებდა საკმაო თვითრეულ და პრაქტი-კულ კონსულტაციას და დიდად ნასამოგენები ბრუნდებოდა შინ, თაფლას ფეხით დატვირ-თული.

ჩვენი ფურცარის ამბავს ცნობილი ქართველი მეფურცარის — აპოლონ წულაძის ყურამდევ მივლწია და ისიც გვეწვია ხელთუბანში. გაზაფ-ხლის ერთ მშვენიერ დღეს. მან ნახა ჩვენი

სახლის უკან, ბაღში, ხეხილის ხეებს შორის გა-შენებული, სწორხაზებად ჩამწყობებული, და-დანის სისტემის სკების ქაღალდი. სკები უნდრო-რილი იყო და ყველას ამშვენებდა წარწერა: რიდის იყო ნაყარი, რომელი სკიდან, რამდენ ჩართიანი, როგორი ბარტყიანი და ა. შ.

აპოლონს ძინტრეხებდა მალე ჩაებდა თვი-თული სკაში, ენახა მათი მუშაობა, ვაგგო, რა მდგომარეობა იყო შიგ, მამაჩემი კი არა ჩქა-რობდა. იცოდა, რომ უკვე დაგვიანებული იყო. მამა სკებს ყოველთვის დილდილობით ათვა-ლიერებდა, როცა ფურცარის უმრავლესობა სა-მეშაოდ იყო მიმდგარი. ამიტომ ცდილობდა დაარწმუნებოდა აპოლონი, რომ უფროობა იყო, მაგრამ სტუმარს ხატის ვერ უტრებდა.

მიუხალოდუნენ, ახადეს ერთ სკას. მამა ეთი-ყვარულბოდა თავის „შეილობილებს“, ებოდი-შებოდა, უფროოდ რომ გაწუხებოთ.

სკა გუგუნებს. დილით მოტანდა მასალას ამუშავებენ: მტერიც ფეხად აეთებენ, წვეს კი სურნელივან და უტკბილეს თაფლად.

— ექნებ არც ისეთი ჭუბუბუბოვარენი არიან, მე ხომ მაგათი ღვიძლი მამა ვარ. მინ-და მოვეხიო, ვეამბორო ჩემს ტბილ შეი-ლებს, — ამბობს შეზარბოშებული აპოლონი და იხრება სკისკენ. მაგრამ ფურცარებს საამბოროდ როდი სცალიათ! ან ეს სენი რაღა? ალბათ სიშიში მტერი დაგვეყო, — ფიქრობენ ისინი. აი, გამოქვამა ერთი და, პირდაპირ ტუნებში გაეყარა თავისი შხამიანი ისარი!

მთელა ამ დროის განმავლობაში, სინამ აპო-ლონი ჩვენთან იყო სტუმარი, ბევრს ვიცინო-დით: „შეისალმენ ბიძისსო“.

მამას ფურცარი ხილის მოსავლის კარგ შუა-მივალადე მიანდა. „ფურცარის ხომ ხელს უწ-ყობს დამტყვარიანებას და, სადაც ასე მასიურად იქნება, მოსავალს რაღა უდგია წინაო?“

და, მართლაც, ჩვენი ხილის ბაღიც თითქოს აღსატურებდა ამ დავარეების სინამდვილეს. ჩვენს ხეხილს ყოველწლიურად მოქონდა უამ-რავი ნაყოფი. ვარდა ამისა, მამაჩემი ფურც-არებსა და მათ მონავარს დიდ სამეტრნალო მნი-შენელობასაც ანიჭებდა.

— სადაც მშვენიერი ყვავილია, მისი წვენი-სგან კეთდება თაფლი. წამლებიც ზომ ბალახე-ბისგან მზადდება. ფშავში ისეთ წამლებს აე-თებენ ბალახისაგან, ექიმებმა რომ მოაქციონ ყურადღება, არაფერს წაგვეტონ. სიჭრისა შხოლოდ მათი ცნობა და გამოყენების უნარი. თაფლიც ასეთივე უებარი წაშალია, განსაკუთ-რებით ვახაფხულის მინდვრის ყვავილებისათ.

ეს მან საქმიანად დაამტკიცა: ერთბელ ჩვენს მამიდაშვილს მიხას ბავშვი დიზენტერიით გა-უხდა ავად. ექიმებმა ავტომალეს კიამასმა. ში-შილითა და ავადმყოფობით ბავშვი უკანასკნელ დღეში იყო. ამის მინახვლა მამაჩემმა დასტა-ცა ხელი ბავშუს (მიხა გორში ცხოვრობდა) და მტკიცედ მოსთხოვა მიხას, წაეყვანა ახლავ



ხელთუბანში. თუ არ მოვიტრეხებ ბავშვს, მაშინ კაცი აღარა ვყოფილიარო, არა და მაგის გამოხედვას შე ვეღარ გაეძვლებო. მოიყვანეს სოფელში. ჩვენ სწორედ მაშინ ვიღებდით თაფლს. დაავლო მამაჩემმა თაფლიან კოვზს ხელი და დაეწყო ბავშვს პირში ჩაწვევთება. ბავშვს მოეწონა და კიდევ მოითხოვა. მიხა კი თავში ხელებს იშენდა და გაიძახოდა: — მომიკლავ, ბიძა, ბავშვს, მომიკლავ, და მაშინ თავის მოკვლის შეტვი რაღა დამარჩინიაო! ბავშვიმ მოიხედა. ყველაფერში თაფლს ვუესხამდით, რძემო, ყავაში, ფაფაში, და ერთი კვირის შემდეგ მიხა თავის ბიჭს ვეღარც კი სცნობდა, ისე გამოკეთდა.

ასევე დიდ მნიშვნელობას აქლევდა ახალი ხილის ხმარებას, მხოლოდ ახალი უნდა ყოფილიყო და წყალი გადაგვევლო. მიიბრთვით, რამდენიც გვებოდა, — ეტყუადა მამა ყველას, ვინც კი მოვიდოდა ჩვენთან სტუმრად და თანაც ბლომად ატანდა, რამდენსაც მოერეოდა. თითქმის ყოველნაირი ხილი გვექონდა ბაღში. ხილი სეზონობით მწიფდებოდა და შემოდისოდა მაისიდან ოქტომბრის ბოლომდე.

აზრებდა, შეტრენება მალე ხარისხამდე აიყვანა. კარგად იცოდა მუშაობის დაწყებისა და მოსავლის აღების ვადები: როდის რა უნდა დაეყოფსა და როდის რა უნდა ავლო. როდის რომელი ხარისხის ვაშლი უნდა მოგერიფა, რათა საბოლოოდ შეენარჩუნებინა გემოც, სურნელეზაც და გამძლეობაც.

საგზაფხულო არდადეგებასაც, ისევე, როგორც სხვა ჩვენს დასასვენებელ დღეებს, სოფელში ვატარებდით. გაზაფხულის დამდეგს, ბუნების საკორწილო დღეებში, რამდენ სიამოვნებას განიცდის ბავშვი! მზეზე გამოშლილან მთელი სოფლის ქალ-ბავშვები. მამაკაცები კი მისდებიან მინდორ-ველს, ბაღებს და ისმის ცივი ზამთრისგან თაქდაღწეულთა მხიარული ყვირსა. ტოლები გვიწვევენ მინდორში ენძელუბის მოსატანად. ნახანებში, სადაც მზე მისწვლამიხა და თოვლა გაუღვინა, უკვე ამოშვრანად თეთრი და ცისფერკაბა ენძელუბი. გეწამდა, რომ პირველი ენძელა შენიანს მოგვლევადი არ უნდა აჩვენო, არამედ ფესვიანად უნდა მიუტანო, თუ ვინდა, შემდეგ ვაზაფხულს კიდევ დავსწროსო. და აი, საკვირველებაც, თურმე ენძელა ის ყვაილი ყოფილა, რომლის ფესვი აქ თეროს ვეძახდით, ფშავეში კი — ყინტრასს. ამასაც, აღბათ, თავისი დანიშნულება ჰქონდა: ძირფესვიანად იწმინდებოდა ნათესი მომავალი სარვევლასგან.

აი, ყველიერაც თავისი საქანელა-ბუნებლათი. ჩვენი სახლის წინ ასწლიანი კაცლის ხეების მკლავებზე გაშლილი ტოტები თითქოს თავითონვე გვიბეჭებოდნენ: აბა, რაღას ელით, ჩამოაბოთ საქანელა და გააბარეთო. საქანელას და განსაუფრთხებით კი — ბუნებლას, სჭირდებოდა სიმაღლე და მოწინილობა. აქაც ჩემი და გულქანი იყო მეთაური. ის ჩვენში ყველაფერს გა-

ირჩეოდა, ლამის კაცის კენწერომდე ასევე აღარადერი დაუცდებოდა. პატარაბიჭ არ გვეშებოდით. ჩვენც გვინდოდა ისეთივე ბუნებლად, ხმარად პანტატუნტი ვცვიოდით ძირს, რისთვისაც არავრთხელ მოგვხვედრიო დედანი-მისავდა. თუ არ შევიძლიათ და გდომა არ იცით, ნურც ეკარებითო. მამაჩემი კი გამოგვესარჩლებოდა: რა ვინდა, დედაკაცო, რას ერჩი ამ ბავშვებს? ის არ ვყოფათ, რომ ჩამოცვიდნენ, შენც არ დაემატო. ან როგორ უნდა იხწყოდნენ ბუნდა, თუკი არ დასდებიან ბუნებლადზეო.

ყველიერს დიდმარხვა მოსდევდა. დიდმარხვას კი — მრავალი სხვა რამ გასართობი: პირველ ორშაბათს სოფელში დღი მზალება და აღიპოთთია: აი, ჩვენცენ მორბის ხალხი. წინ გავგაღვ ცხენს ერეკებიან. ცხენზე ეს მეთაქისგან გაყვებელი კაცია, ცხენზე რომ უკელმა შეუსვამთ. თავის მაგიერ ვატეხილი, გამურული ქოთანა ადგია, ტანზე კი ზოლიანი ჩიოთს დაგლეჯილი ლეიბის პირი აქვს წმომასხამის მაგიერად მიფარებული. ასე ატარებენ სოფელ-სოფელ, უკან ავიარებელი ხალხი მოსდევს, უფრო შეტვი კი — ბავშვები. მაგრამ არიან ხნიერებიც, ზოგი ვორთხს ესვრის, ზოგი წყალს ასხამს. ის თურმე ტყვედ ჩავარდნილი ყაენი ყოფილა და ხალხი საუკუნეობით დაგროვდკავებს იყრიდა „ურჯულონო“.

ამ სანახაობას ფანჯრიდან ვუცქეროდით და გვიხაროდა, რომ ჩვენი მტერი საბოლოოდ დამარცხებული იყო. საღამოთი კი როგორც დიდრონებს, ისე გოგონებს არიფანა გველოდა. იმ დღეს ხომ ნამცვეობა იყო. აივების ღამადან დარჩენილი ხორავი სულ უნდა შეკმულიყო მთლიანად, ანამცვებულოყო, თორემ შერე შეიდი კვირის განმავლობაში ვილა შესვამდა სასხნილოს და გაფუძებოდა. ამიტომ არიფანასთვის ყველა მორბენინებდა, თუ რამე ჰქონდათ დარჩენილი შინ: ხორციის ნაჭრები, მობარშული ღობიო ან კარტოფილი.

მალე ჩიტფაფობაც იქნებოდა. ის ხომ ნამდვილი ჩვენი დღესასწაული იყო. აღრიან ვაზაფხულზე ყველას უჭირდა საჭმლის შოვნა, შით უმეტეს — ფრინველებს. საწყალი ჩვენი ბუნებები აბუნებლები ისხდნენ ღობეებზე და საცოდავად წრიბინებდნენ.

მამაჩემს არც ისინი ავიწყებოდა.
— მალე ჩიტფაფობა იქნება, ხომ არ დაგავიწყდათ ნატეხების მომზადება? შენ კი, თინათინ, ხვალ აღრიან უნდა მხად გქონდეს ფაფა, თორემ დაამწვინ საწყლები. ხილი რომ გიყვართ, ახლა მავათაც შიათ.

ჩვენ ყოველდღე კი ვფურჩოდით პურის ნამცვეებს, მაგრამ ეს დღე მავათთვის სპეციალურ ჩიტფაფობად ითვლებოდა და მამას უნდოდა ჩვენთვის ესისაოვნებინა. იცოდა, როგორი გულმოდგინებით ვაგრძობდით ღამაზ ყვაილიან

ჭრტლის ნატეხებს, რომ ყველასთვის ცალ-ცალკე მიგვერთოთ ფაფა და როგორ გვიხაროდნა, როცა ვხედავდით, როგორი ვიცილ-ხიელით მიუსვოდნენ ხოლმე ჩვენი ჩიტუნები საყენს.

კიდევ უფრო ძალიან გვიყვარდა ჭიაკოონა. მართალია, ამ ამბავს ცოტა შრომაც მოსდევდა, მაგრამ ამას არაფერად არ ვაგდებდით. მთელი ჩვენი უბნის გოგო-ბიჭები ჩვენს ჭიაკოონას ელოდნენ. ამისთვის კი საჭირო იყო ბევრი კაჟი და თევზი. კაჟები და სხვა დანარჩენი საწვავები ბევრი იყო ჩვენს ბაღში, მხოლოდ საჭირო იყო დაგროვება. და ჩვენც მზად ვიყავით. ეამლის ხეებზეც და მის ქვეშაც ბევრი იყო ხეული ფოთლოვანი. მალე ბაღის შუა ბილიც მოვაროდებოდა ხეული კაჟი, ეამლის ფოთლები და საჭირონი ნაგებობები ამხვეტილი თევზისა და ჩალის ნარჩენები. ჭიაკოონის საქვე უკვე გაიჩარხული იყო.

გულის ფანქარით ველოდით შეზინდებას. რაღაც მიგვიტოვებდა ძალიან შეძახილს: აღეღო ეშმაკებდაო! თეთრული სამჯერ მაინც ვადებებოდით ჭიაკოონაზე. როცა ყველა მოათავებდა თავის ნორმას, მსტრეველს შეეძლო გონეგრო ხტომა. ოღონდ საჭირო იყო სიფრთხილე. თორემ ჩვენ ხომ ვიცოდით, რა დაეშარათა ქაჯანას ჭიაკოონის დროს. მაგრამ საშიში არაფერი იყო, იმდენი ბავშვი ეხვია ცეცხლს, ჩვენი და ჩვენი მეზობლებისა, რომ, თუკი სამჯერ შეხედებოდა თეთრულს ვადებოდა, მანამდე საწვავიც გამოილეოდა და ცეცხლის საშორებოდაც მცირდებოდა. სამაგიეროდ კაჟების ძირები და ფესვები ვანაგრძობდნენ ხრატლვას და მისი სქელი ბოლი საბანივით ედებოდა მთელ ბაღს.

საბოლოოდ ჭიაკოონის წყალბოთ ნიდავი სუფთადებოდა ხეული ფოთლებისაგან, რომლებშიც შემოღლები იყვნენ მანებელი ჭიაკოონების ტერები და ელოდნენ ვახახხელის საბოთს, რათა ხელახლად შესხვეოდნენ ხეილს და მოესპოთ იგი. ბავშვები ვახარებული ვიყავით ამდენი ხტუნვა-თამაშით და იმითაც, რომ ამ წელს „ეშმაკი ვეღარადფერს დაგვაკლებდა“. მამანები კმაყოფილი იყო იმით, რომ ბაღი ვადარჩებოდა მანებლების შესვლას და ამ კამკამა ღამეების რთვლის, ზაფხულში, კაბოდ და კაბოდ პირველად ძალიან ვვახალისებდა, მაგრამ სიციხეში ბოლოს მოსაბეზრებელი ხდებოდა და ვვანატრებინებდა, ნეტა ისეთი რაზე მოგვეცა, სულ ერთბაშად ვალეწადვებს და მალე მოვარჩებოდით.

შემოღებოდა ჩვენ ისევე სკოლაში ებრუნდებოდით, მაგრამ ამით როდღე ვთავრდებოდა ჩვენი შრომა და სიხარული. ყოველ შაბათ-კვირას კვლავ სოფელში ვიყავით ახალი თუ ძველი ამხანაგებით. მამანები რთვლისთვის ისე შეარჩევდა დღეებს, რომ ორი დღე მაინც ვყოფილიყავით თეთრულით: უბრალოდ, სწავლა არ ვაგ-

ვედინა და საქმეც წესიერად ვაკეთებდით. რთველში დაეპატიებოდით ჩვენს მხარეზე მუშობლებს, ნათლიამ-ნათლედგებდით მხარეზე მხარეზე და სიხარულით მივეშურებოდით ვინახისკენ. მკრფავებდა პატარებს, რასაკვირველია, არავინ უშვებდა, იმდენს არა კრფენ, რამდენსაც ახნევდა და მუღუტრო, ან ზედუტრო ვებენ, სამცერველად ვამოგვადგებო. სამაგიეროდ, სავსე საქრფელების დამცველად ისინი ყოჩაღად დარბოდნენ და მკრფავების ქებასაც იმსახურებდნენ. მაგრამ ეს ვრძელდებოდა იქამდე, მინამ უფრძინით დაძლებოდნენ. მერე კი ვინახებოდნენ და უნდა გეგებნათ ურჩის კოფრზე, სადაც ერთი მუხრის მაგიერ სამი გოგო მაინც იჯდა. რთვლის თანამეზობარი ჩურჩხელების ვალეება სიხარულს იწვევდა. ჩვენს სტუმრებს“ გულში, ხოლო აკიდობის აჭრას და ვავნების ახმას წინ რაღაც დავდებოდით.

ასე სცედიდა ზამთარს ვახახხელი, ვახახხელს — ზაფხული, ზაფხულს — შემოდგომა, სულ უფრო და უფრო ვიდიართოდებოდა წარმოდგენათა არე და შრომა და ვართობაც სულ ახალ და ახალ ელფერს იღებდა.

შრომისა და ვართობის თრომტროლიში მამანებს არც ჩვენი სწავლა ავიწყლებოდა. გულქანს წარმატებით სწავლობდა, ნინოც. მართალია, პატარა იყო, მაგრამ კარგ იმედებს იძლეოდა. გუგული, ყველაზე უმცროსი იყო და ვათამაშებელი, ჭალამიქსავით იზრდებოდა. მისი საქმე იყო ცხენ-ჯოხი, ხეებზე ძროხა და ჭირის ბუდეების ჩამოშლა, რისთვისაც ერთხელ თავისთავად ისე დაისაჯა, რომ იმ დღიდან ჭირის ბუდეები კი არა, ჩიტისკენაც აღარ იხედებოდა. ერთხელ, როდესაც მამანში საფერტროში მუშაობდა, დედამეტი კი ბაღში იყო. გუგულიმ შეამჩნია, რომ მარნის ქერში, კოჭებს შუა ბედლებში დამჯერებოდნენ. გუგულის ძალიან უნდოდა, კვარცხუბთან ერთად, დედა ჭირის დაქერაც, და ბევრი აღარ უფიქრია, აყარა კედლებზე, ერთი ხელით მოკვიდა თავებს და მეორე ჩაყო იმ ადგილს, სადაც ჩირი შეჭრა. მალე კიდევ იგნდა ხელში და უნდა ჩამოსულიყო, რომ იგრძნო, რაღაც სხვა ეჭირა. უბუშუბლო. გამოიღო ხელი და... თორემ ჩიტის მაგიერად თავიც დაუჭერია. თავისის კი ძალიან უნდოდა. ვისმამა ხელილი: მიშველით. თავივი ვისროს, მაგრამ ბევრი მაგრად მოუჭერია თავისთვის და აღარ უშვებდა. თავიც ცალკე წრეწუნებს, გუგული ცალკე ყიროს, მოიზინებს მამანებში და დედაჩემშიც. მამამ რომ დაიწახა, საშიში არაფერი მომხდარიყო, სიცილი აუტყვდა. დედაჩემმა კი გუბი მოუჭრა. მაგრამ ისე მამანებში იხსნა: არ ვყოფილა, რომ შემინებულა, რაღაც შენი ცემა უნდაო, ამის შემდეგ კი ბუდეებს აღარ დაუშლის ჩიტებსო. მართალია, ჭირის ბუდეებს აღარ უშლიდა, მაგრამ მისი ტოლი ბიჭები და ზოგჯერ კი მოზრდალებიც ჩვენც ამკარად ვერც ამოვიღიდნენ, ზოგს კენ-



ქებს ესროდა, ზოგს დაიჭერდა კიდევ და სცემდა. ბევრი მომჩივანი მოსდოდა მამარაშვილს: შენმა გოგომ დაგვიჩაგრა ბიჭებიო, რაც მამარაშვილს სასაცილოდ არა ჰყოფნიდა და დამაჯერებლად თავლით უმასპინძლებოდა ხოლმე. სკოლაში მიბარებინა. დრო უკვე დადგომოდა, თუმცა თვითონ სრულიად არა ჰქარბოდა. ბოლოს მაინც დამათარია გიმნაზია. მე კი სოფლის სკოლის დახურვის შემდეგ ორი წლის გაყდენამ და რუსული ენის უცოდინარობამ თათვის შემამინა და, როცა მიმბარეს გიმნაზიაში, ცოცხალი არ იყოს — ვამაჯერა, განსაკუთრებით იმ საგნების სწავლა, რომლებიც მოითხოვდნენ ენის ცოდნას და სიტყვების მარაგს. სამაგიეროდ მათემატიკა მიყვარდა და ვერც ვერაგინ მუდობნიდა. მაგრამ, აჰ, შეუთხე კლასი — მიჯნა სკოლის უფროსი კლასებისა, სადაც უნდა თავისუფლად ფლობდი ენას და წერაშიც შეუდომებს არ უშეებდი. გამოძახილს სამეცნიერებო გამოცდა რუსულ ენაში. გამოცდებისათვის მზადებაში ჩემი უფროსი და გულქანი მესმარებოდა, რომელიც შემდეგ კლასში იყო და თანაც ოქროს მედლისა, კანდიდატი. მაგრამ მამარაშვილმა მაინც მირჩია: ხმაშალა იკითხე. წერე, თარგმნე რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად და ნახავ, როგორ მალე გაიკეთებ ენასაო. მხოლოდ ჩემსავეო, კი არ მოგივიდესო, და გვიამბო: „რიდნი ქ სლოვში“ ერთი მოთხრობა „რემი ობოცადტ“ მსწავლებელმა აგვიხსნა: „მოთხრობა კია საქონელიო“. მე ვფიქრობდი: „რემი“ მოთხრობა იქნება, „ობოცადტ“ — კათა, ეს „საქონელი“ რაღა უნდა იყოს-მეთქი.

მეც მამარაშვილს შევეუდებე საქმიანობას, ან კი როგორ მომძივებოდა მაშის სიტყვა ძირს დაგვეშვა. მისი სიტყვა ჩვენთვის კანონი იყო. პირველად ვთარგმნე რომელიღაც პატარა მოთხრობა და ვაჩვენე მამარაშვილს. შენ თვითონ რას იტყვი? მოგწონს? ანა შენ თვითონ წამოიკითხო, კითხვობდი და ენა მებორძებოდა. — „ხედავ შენ თვითონვე გიჭირს წაკითხვა. და იცი რაღა? შენ რუსული წინადადება ქართული სიტყვებით შეადგინე. ანა ვადმოთარგმნე ან ეს უბრალო რამ: „დოცდ ილიოტ“. მეც თავგამოდებით წამოვიძახე: „წვიმა მოდის“. — ნახე, საქმეც მაგალითია, რომ შენ იგავე გაიმეორე, რაც ამ წუთში გითხარი. განა ქართულად ასე ვამბობთ? ანა მოვინებ, წვიმამო რომ დარბიან ბავშვები, როგორ უმღერიათ ხოლმე წვიმას! „წვიმს, წვიმს, ხოშაკლავს, მამარაშვილს ხბოს დაკლავს!“ გაიხილა თავში და გაშეხარდა, რომ ბოლოს ვიპოვე გასაღები თარგმნის საიდუმლობისა. ახარი უცუქარი, მხოლოდ სუფთა ქართული ელფერივით ვადმოტანილი.

გადაწყვიტე მეთარგმნა უფრო კარგი რამ. ბევრი ძებნის შემდეგ უბრალო „ძირ ბოცის“ დამატებაში წავაწყდი ერთ მოზარდილ მოთხრობას — „მარაშვილი“. შინაარსი ამ მოთხ-

რობისა ისეთია: სახალწლო საჩუქრად პაპამ შეიღისშვილს მიუტანა დაფი. „საქონელი“ წიგნი ბიჭმა ეს საჩუქარი შეურაცხყოფად შეიღისშვილს ტირილი მორთო. მაშინ პაპამ უამბო ამ დაფის ისტორია: რომ ამ დაფით ხელში მისივე ტილი უძლოდა შეკანიაშვილს განთავსებულები-სათვის ბრძოლებში, რომ ამ დაფის ხმა მოეწოდებოდა, ამხნელებდა ჩაგრულებს და ვამარჯვებაც მოუტანა მათ საქმეს. მოთხრობა ძალიან მომეწონა და მამარაშვილს გადავწყვიტე მისი თარგმნა, რაც მალე შეეასრულა. მამას ვთხოვე წაეკითხა. მან მისახსენა საღამოზე ხომ უყვლა შინ ვიქნებით, თვითონ წავიყარებ და ვეულამ თქვას თავისი აზრობა. ვაბარებულმა მამამ აღნიშნა, კარგია და თუკი უკეთ იმეორებ, იქნებ შენგან გამოვიდეს რამეო. ეს მოთხრობა დაბეჭდილი იყო საბავშვო გაზეთში „გვერდი“ 1912 წლის № 1, 2-ში.

შემდეგაც მჭონდა შემთხვევები, ვთარგმნიდი, თუ რაიმე მომეწონებოდა, ჩემს ვერს მოხედებოდა და ეფიქრობდი, რაიმე სარგებლობას მოუტანდა ეს ჩემი შრომა ზეენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

ამრიგად ვიზრდებოდი, შრომას მიჩვეულები და ვაჩვენებოდი.

მამარაშვილის მიზანი ბავშვების აღზრდას საქმეში მიღწეული იყო. ახლა საქირო იყო მორალურად გამტკიცება: სამშობლოს, მშობლებისა და მახლობლების სიყვარული და პატივისცემა, მოხუცებთან მორიდება, ღირსებთან და ჩაგრულებთან თავმდაბლობა, დიდგვებთან ქედუხარება, გაქირვებულთათვის უკანასკნელი ღუკმის განაწილება, უანგარობა, სხვისი ჭონების ზღუდვებულობა, ან მისი აღზრდის პრინციპები. „არას დროს ენა არივის მიუტანოთ. ეს არც ღამაშისა და შეიძლება თქვენი ენის წყალმობით ისეთი რამე მოხდეს, რასაც თქვენს თავს ველარ აპატებთ. ხომ გაგოგონათ, ზალხური სიბრძნე რას ამბობს: მინამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოშპრაო. ყოველივე უბედურება უხვირო ენის მიტანით ზდებაო. ამასთანვე საქირო იყო ცხოვრებისათვის გვეუქარა ფხიზელი თვალთა. არავითარი ღმერთის იმედი ან რაიმე ცრუმორწმუნეობა. ყველაფერს თავის ახსნა-განმარტებას მისცემდა. რელიგიას მამა პატივსაც სცემდა იმდენად რამდენადაც ძველად სულ მუდამ ოსმალურ-სარსეთთან ბრძოლებში ის ეხმარებოდა ჩვენს ხალხს თავისი მეობის შესწარმებაში. მხედველობაში მაქვს ქართული ხალხის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გულსიებისა და პატიოსანა მღვდლების მოღვაწეობანი. დანარჩენი ცერემონიები ზედმეტად მიანდა. ხომ ამბობენ ღმერთი ყველგან არის, მამ ყველა ჩვენ ჩვენს სახლში ეილოცებთ, რაღა იქ ვიართოთ გულსისა ისეთია, როგორც ყველა სხვა დაწინებულება, მღვდელიც „ღუთის სამსახურის“ მოხელეა. ის თავის სამსახურს ასრულებს, ღუკმა პერს ადვილი შრომით ემებსო.

„ქრისტეს აღდგომა“ როგორც ამას მღვდელუბი ასწავლდნენ ხალხს, მამას არა სწამდა. ერთი მამანემი აღსდგება და მეორე ის აღსდგაო, იტყოდა. მაგრამ ეს ამბავი უკეთესი ხალხის მოგონილია, რომ ვახაფხულს შეუფარდეს ეს ბუნების დღესასწაული. ბუნება, ზამთრის ღრმა ძილის შემდეგ, იღვიძებს, ახლდება. სიბოძო აციცლებს როგორც ბუნებას, ისე ათბობს ღარიბ ადამიანსაც, გულში იმედს უსახავს. გულსის მსახურებიც სარგებლობენ ხალხის ასეთი განწყობილებით, თანაც უფიცილობით და, რასაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ.

მარტვიასაც წვეთების იგონებენ, ვითომ ისეც კი წვეთების მარტვია არ არის? ვისაც საკმელი ბერი აქვს, იმან რომ იმარტვილოს, ძალიან სასარგებლო იქნება, როგორც კუქისთვის, ისე ჯიბისთვისაც.

ცრუმორწმუნეობათა წინააღმდეგ ის მშრალად კი არ ამბობდა; ეს მართალი არ არის, ან ვე, არ შეიძლებაო. ვერ კარგად იცოდა, რომ ცარიელი სიტყვებით შეარაოს დააჯერებდა. ის მოიფიქრებდა რომელიმე მაგალითს, მოგვაგონებდა „ღუღა-ენაში“ მოთხრობულ პატარ-პატარა, მაგრამ დამაჯერებელ ამბებს.

„მართლის დაბნევაში ცრემლი იცისო“, იტყოდნენ ზმირად სოფელში და მარილის დაბნევის შედეგს ყოველთვის შიშის ზარით მოულოდნენ. უსათოდ ვიღაც მოგვიცდებოდა და ცრემლიც იქიდან გვექნებოდა. მამანემი კი სხვანაირად განმარტავდა ამ მოვლენას: წინათ მარილის მოტრანა ისე შირიდან უხდებოდათ, ისე ძველი იყო და ძირით უდებოდა, რომ იმას, ვინც მარილს დაბნევდა, დიდი საყვედური და ცემობრტყეპაც არ ასეუბროდა, რასაც ყოველთვის ცრემლი მოსდებოდა. ამიტომ სწამდა ძველად ხალხს, რომ მარილის დაბნევის ცრემლი მოპყვებოდა. ახლა კი რა ცრემლი შეიძლება მოპყვეს, გირჩევნია მარილი კვამლი ღირსო.

ასეთივე განმარტებებს ვაძლევდა სხვა ცრუმორწმუნეობებზედაც. მაგალითისათვის თვითონაც ზმირად უთქვამს ზენათვის, როდესაც ხელმოკლედ ცხოვრობდა: ვინც ობიან პურს შესქამს, ფულს იპოვისო, რაც გულწრფელად გუჯეროდა და სიამოვნებით უკამდით, თუკი ის პური ორთქლზე იყო დარბილებული და თანაც ზედ ყველის ციქნა იყო. ჩვენს სიზარტულ საზღვარი არა ჰქონდა, ისე გუჭრილად შევემციელებით. ამითი მამა უარააიანობას და მომპირინობას ვაჩვენებდა თერძე.

როცა წამოვიზარდვით და სხამელ-საქმელი გვექონდა, არა თუ ობიან პურს, ოდნურ ვაშმმარ ნაშუქსაც არ გუაკარებდა. თინათინ, ახალი ნაშუქი გამოგვიცხე, ხომ ხედავ. ბავშვები მოვიდნენო, ვასახებდა დედანემს. გამოგვიტყუდა ერთხელ და გვითხრა: ვახსოვთ, ობიანი პურის ამბავი? ეგ ღარიბი ხალხის მოგონილია. ვაშმმარი პური რომ ვადაუარონ, სხვას სად იმოვინან? ან ამით დაზოგვალი ფული ნაპოვნი არ

აჩის? თანაც უარათს მიგრვევიან და ასეც ფულის პოვნაო.

ასევე ხსნიდა ცრუმორწმუნეობას, რომ ამბობენ, აბლაბუდა სახლო სიღარიბის მოაწინააღმდეგეო. სიღარიბისა რა მოგახსენიოთ და სიზარმაციის ნიშანი კი არის. მხოლოდ იმისთვის არის ნათქვამი, სახლში რომ აბლაბუდას დაინახავენ, იტყვიან, პატრონი ზარმაციე ყოფილა და სიზარმაციე კი სიღარიბის დედაო.

შრომისა და ვართობის ორიმტრიალში მამას არც წიგნი ჰქონდა დავიწყებულა. უწიგნოდ და უგახეთოდ მას არც წარმოუდგინა ცხოვრება. ერთი დღე რომ არა ჰქონოდა გაზეთი, ვამოუყრუედი კაციო, იტყოდა. შრომით მოქანებული, შუადღის სიციხით გათანჯული, იჯდა კაცების ჩრდილში და ვაზეთს ან წიგნს კითხულობდა. ჩვენც ამისვე გვიჩვენებდა. გრადში იმუშავებო, სიცხეში დაისვენებო და წიგნი იკითხებო. წიგნი ადამიანის მეგობარიო. ქალაქიდან რომ მოესულეყავით და ვაზეთი ან ახალი წიგნი რამ არ მოგვეტანა, ზამორანულიობაში ჩაგვითვლიდა. ცხოვრებას თუ ფეხბრუნებ არ მიხვევი, ისე რა ცხოვრებაო.

ბაბლითთუკა კარგი გვექონდა. გვექონდა როგორც ძველი კლასიკოსების თხზულებები, ისე თანამედროვეთა ნაწარმოებები. მრავალი დაკანული ჟურნალი, რასაც თვისივე ხელით აკეთებდა, შემინარიაში ესეც ესწავლებინათ. იცნობდა უცხოელ მწერლებს რუსული თარგმანით. გვიჩვენებდა გვეყობა და ვაეცნობოდით რუს დიდებულ მწერლებს, პატრიე გვეყა მათთვის. უყვარდა და პატრიეს სცემდა ყველა მწერალს, მაგრამ განსაკუთრებით აფასებდა ბუკინს და ლენინოტოვს, გოგოლს, ტოლსტოის, ჩეხოვის, ოსტროვისის, დოსტოევისის. კითხულობდა და ძალიანაც ვანიციდდა. ერთხელ შევესწარი ასეთ სურათს: მამანემი იწეა და რადიკალს კითხულობდა, თან თვლებიდან ცრემლები სეკიოდა. მალე წიგნი დასდო. ძალიან დამაინტერესა, რას შევტყო ასეთი შთაბეჭდილების მოხდენა, რომ მამანემი ცრემლებს ველარ იყავებდა. ვნახე: გოგოლის „ტარას ბუზა“ იყო. კითხულობდა იმ ადგილს, სადაც ოსტაპი გამოყავთ დასასჯელად მოვლანზე, აწამებენ, ის კი კრინტსაც არა სჭარავს. მაგრამ, როდესაც ოსტაპმა შესძახა: „მატკო! სადა ხარ, ნეტა? გესმის კი ყოველივე ეს?“ და ბუზას პასუხი: „მესმის!“ აქ ველარ შევაყავი თავი, ცრემლები ვადმოსცივიედა და კითხვა შეწყვიტა. კარგად ვიცი, რომ ეს მოთხრობა მას არა ერთხელ წაუკითხავს, მაგრამ ყოველთვის ასე ვანიციდდა. სიამაგიეროდ რამდენს იციონოდა „მკელარ სულებზე“. ჩეხოვის ნაწარმოებები სიამაგიერო წიგნივით ედო და ზმირად გვეტყოდა: ისწავლეთ რუსული, ისწავლეთ! თუ არ იცით ბუკინისა, ლენინოტოვისა, გოგოლის, ნეკრასოვისა და სხვათა ენა, თუ მათ დედანში ვერ წაითხობათ, რა ეტლებრას შეიძლება ეზიაროთ. ოთხმოცი

წლის ტოლტოი ახლა ესანერ ენასაც კი სწავლობს, რომ „ღონ კიხიტი“ დედანში წაიკითხოს. თქვენ ვი არც რუსული იყით და აღარც ქართულიო.

ზედმეტად მიმანია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ აფასებდნენ, მამაზემი ან მთლიანად ჩვენი ოჯახი ქართველ მწერლებს და პოეტებს. ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მეკვლეობამ თავიზარი დასცა ძმებს. ვაჟა-ფშაველამ, მამაჩემმა და მთელი მათმა შემადგენლობამ მამინვე თქვეს: ილიას სიკვდილით უნდოდათ მოკვლიათ მთელი საქართველო, იუდა, რომელმაც მას ტყვეით გაუგმარა ბრძენი შებლი, ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრისაო. და მამაჩემმა მამინ დეარჩა ლექსი, რომელიც საესეა მეკვლეის წყევლა-ჩრდილით. ამ ლექსს თითქმის მთელი წელიწადი სასიკვდილო და გელისწყრომით იმეორებდა გორის მოსახლეობა. დაბრუნდა წიგნში „ილიას შველლობა და დასაფლავება“.

მამაჩემი მწარედ ვანიცდიდა ყოველი მწერლის ავადმყოფობასა და სიკვდილს. ე. ნინოშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ირ. ეედოშვილისა და სხვათა სიკვდილი დიდ დანაკლისად და ჩვენი ქვეყნის ტრაგედიად მიაჩნდა.

ძლიერ უყვარდა ჩვენი ახალი თაობის პოეტები და მწერლები, დიდ იმედებს ამყარებდა მათზე და ხშირად თავის არსს ხმაშიაღლაც ვამოთქვამდა. ვალაქტიონ ტაბიძეს დიდი გრძნობის პოეტად თვლიდა, ი. გრიშაშვილს ფრად ნიჭიერ პოეტს უწოდებდა და მის ენას ნაკადულის ჩხრიალს აფარებდა.

დიდად ახარებდა სანდრო შამშიაშვილის პოემები და დიდ მომავალსაც უქადა მას. ს. ფაშალიშვილის მეტად მორიდებული ხასიათი აფიქრებდა. ნიჭიერი, მაგრამ ძალიან მორიდებულია, ამის წყალობით ყოველთვის ჩრდილში იდგომებო.

დიდ პატივს სცემდა, აგრეთვე ქართველ საზოგადო მოღვაწე — მწერალ ქალებს: ეკატერინე გაბაშვილს, ანასტასია თემანიშვილ — წერეთელს, ანასტასია ერისთავ-ხობტარას, განდევილს. მარამ დემურისა და სხვებს. ყოველთვის მოწონებდათ ახსენება და ჩვენშიაც აღვიძებდა მათი მიზანების სურებას.

წიგნის გარდა, მამაჩემს ცოცხალი ადაშიანებით უკადდა მეგობრად. სემინარიაში მისი მასწავლებლები იყენენ: ნიკო ლომოური და კოტე გარაჯანიძე, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მის აღზრდაში. ნიკო ლომოურმა დიდი გავლენა მოახდინა მამაჩემზე. მამა ხშირად უტყვოდა: — თუშეცა არა ვფიქრობდი მწერლობას, მაგრამ ისე მწამდა მწერლობის ღვაწლი საშობლოს წინაშე, რომ ოჯახის გავლენას დავებარა ვერად სომათიერი გავლენა ჩვენი ქართული ენის მასწავლებლის ნ. ლომოურისა. იმაზე მეტი გავლენა არა მგონია ვაქცა ვაქცე იქონიოს: ჩემი ველური ბუნება იმისმა ღვათიურმა მოქცევამ დააღობ და ვაპატიოსნა. სურ-

ვილი სამშობლო ლიტერატურისათვის სასწავლებისა იმან გამოირკვეა. დღეს უკვე ვაქცავ და ქალბატონ შერთული იმავე მოწოდებას უგრძნობ ამ ჩემთვის წმინდა კაცის მიმართო.

ასეთივე აზრისა იყო ე. ვარაყანიძეც. არც ვასაკვირი იყო ასეთი გავლენა. თვით ნიკო ლომოური გარეგნულადც იმეორებდა ადამიანის სელსა და გულს. მისი ფერმართალი, ლუთებრივი სახე ყოველთვის ადამიანის სიყვარულის შექმით იყო განათებული.

ასევე უყვარდა და აფასებდა პოეტ შიო მღვიმელს. მამა ყოველთვის გვიკითხავდა მის ლექსებსა და პოემებს. როგორ გვიყვარდა მისი შიოს „ეკლექა“, „ოქროს თამბაქო“, „ბუნწი“, „ოთხი ძმა“, „პეპელა“ ხომ ჩვენს აღტაცებას იწვევდა და მათ მსგავსებას მოგვანატრებდა.

ხშირად დადიოდა ჩვენთან ია ეკალაქე (იაკობ ცინცაქე), რომელიც განსაკუთრებით დღემეგობრდა მამაჩემს გორის გახეთის რედაქტორად ყოფნის დროს.

მამაჩემი პრაქტიკულ ცხოვრებაში ძალიან დიდ პატივს სცემდა და აფასებდა სოფელ ზელთუნის მკვიდრებს, უახლოეს მეზობლებს, ხანდაზმულ გლეხებს: გია და გაბე ქველიძეებს, გიგო და სარგის ფალაღაშვილებს, ვანო მეზერეშელს (გარეჯელიდან) და გიორგი და ვანო ბერნინშვილებს (თორატხიდან).

პირველად თვითონ სწავლობდა იმათგან სოფლის მეურნეობას, როდეს სჯობდა თესვა, როდის მორწყვა, გათობნა, მკა და ასე შემდეგ. დროთა განსაველობაში საკეთარი დავიკრებებისა და სასეციალური წიგნების შესწავლის შედეგად თვითონც უხიარებდა მათ ცოდნას. განსაკუთრებულ პატივს სცემდა გია და გაბე ქველიძეებს და ვანო მეზერეშვილს. ხშირად დადიოდნენ ერთმანეთთან. შვილებიც კი მოანათვლინენ „თედუა მასწავლებელს“.

მოვიდნენ ჩვენთან საახალწლო ძღვენიით და ზამთრის გრძელ ღამეებში გვიამბობდნენ ზღაპრებსა და თქმულებებს. ბევრს მამაჩემი იწერდა. ბევრს თვითონაც უამბობდა და ასე ვადიოდა დრო.

ჰყავდა მამაჩემს ერთი უცნაური მეგობარიც. უცნაური მიზეზთ ვამბობ, რამე მამაჩემს არ უყვარდა მისივე წრის ხალხთან ურთიერთობა. საერთო რა მაქვს მე, მთელი დღე შრომაში თავხალუნულს, მკა მამლარ უსაქმურებთანაო. ორივენი მთლიანად საწინააღმდეგო პიროვნებები იყენენ როგორც სოციალური წარმომოებით, ისე ხასიათით. და ასაკითაც კი. მხოლოდ ერთი რამ ჰქონდათ საერთო: ორივეს თავდავიწყებით უყვარდათ სამშობლო და, როგორც შეველოთ, ისე ემსახურებოდნენ მას.

ის იყო საქართველოს ბრწყინვალე თავად-შვილებს შთამომავალი, მუვე ერეკლე მეორის შვილის — თეოდ პატონიშვილის შვილიშვილი. დიდად განათლებული (საფრანგეთში ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება), სპეციალო-

ბით აგრონომი, ასევე (ალექსანდრე) ბიძინას-მე-
ერისთავი. მამაჩემმა ვაიცი თუ თავისი კო-
ლისების ვაბო იზნანაშვილის მეოხებით, რომე-
ლიც მოჯამაგირედ იყო ასიკოსთან. ერისთავს
ანტერესებდა ახალგაზრდა მასწავლებელი, რო-
მელმაც თითქმის მთლად ააჯანყა და აალაპარა-
ვა ხალხი. პირველი შეხვედრისთანავე ასიკო
ერისთავმა მამაჩემის ნდობა მოიპოვა იმით, რომ
მოაჩინა ცივ-ცხელისგან, რითაც დაავადე-
ბული იყო თითქმის ექვსი წელიწადი და წამა-
ლი კი ვერსაც ეშოვნა. მეორე მხრივ, მშვენიე-
რის ქართლის ცოდნამ, საქართველოს ისტორი-
ისა და ლიტერატურის სიყვარულმა გააღწია ის
წიფელი, რომლითაც შემოიქცია იყო თქვენს
მთელი არსება. შემდეგვე ასიკო ერისთავმა დი-
დი როლი ითამაშა მამაჩემის მეურნეობის რა-
ციონალურად მოწყობაში. თეორიულად შეი-
არაღებულ ერისთავს ცოდნა პრაქტიკულად ნაყ-
ლებად ჰქონდა გამოყენებული, მაგრამ სხვისთ-
ვის რჩევის მიცემას არა თაკილობდა. მით უმე-
ტეს, ხედავდა ახალგაზრდა დიანტერესებულ
მასწავლებლის დაუმრეტელ სურვილსა და
ენერჯიას. მან პირველმა უშოვა ვაშლის ნამუე-
ნები თავის ბიძაშვილის, განთქმული მეურნე-
თერონის — მიშო ერისთავის სანერგოდან.
უჭირდა საფრანგეთიდან თესვად, აძლევდა
ლიტერატურას, რომ ყველაფერს ვასწავლობდა
თეორიულად. მამაჩემმა ენერჯიულად მოკიდა
ხელი მეურნეობის განვითარების საქმეს და
დიდ შედეგებსაც მიაღწია. მაგრამ მამა არც
ამის სურდებოდა. ასიკოს ჰყავდა მრავალი
წარჩინებული ნათესავი, რომლებსაც უშუალო
ურთიერთობა და გავლენა ჰქონდათ სახელმწი-
ფოებრივ მართვა-გამგეობაში და მამაჩემი
ცდილობდა ისეთი რამ გაცეთებოდა მათ, რაც
სარგებლობას მოტანდა ჩვენს ქვეყანას. ამ
მიზნით შეუჩინებოდა ასიკოს და აწერინებდა
წერილებს მათთან.

წმირად უსიამოვნებაც კი მოსვლიათ, როდე-
საც მამაჩემი გაულანძლავდა დიდრონ, გავლენ-
იან და, საერთოდ, თავადიშვილებს უმოქმედო-
ბისთვის.

გუშინდელი ამბავებით მახსოვს ერთადერთი
„ნაძვის ხე“, რომელიც ჩვენ ბავშვობაში ენა-
ხეთ. ეს ასიკო ერისთავის შეიღმა და რძალმა
გაუმართეს ჩვენი სოფლის სკოლას, სადაც რე-
ხელი ბავშვებიც სწავლობდნენ. თანაც ჩემი და
ნიწო ნათლელი იყო ასიკო ერისთავისა და იმი-
ის ხათრით სიაიშოვნეს ხალხს.

ზღალი, წირქვა, ფერად-ფერადი სანთლე-
ბით განათებული ნაძვის ხე, რომელზედაც აუ-
არებელი საჩუქარი ეკოდა, დიდებული სანახა-
ვი იყო. რამდენი აღტაცება, გაოცება და სი-
ხარული იყო აღბეჭდილი ბავშვების სახეებზე,
როდესაც მათ, ნაძვის ვარშემო ტრიალისა და
თამაშის შემდეგ, საჩუქრად მიიღეს სურე-
პრული ჩითის საყაბები, ფოჩინი კამფეტები,
ან წითელი ტყავის წილები და შაქრის ბურთე-

ბი, რომლებშიც ფერადშეშისთვლიანი ბუქდე-
ბი, ვულქანიისთავები ან საყურეები აღმოჩნდებ-
ოდა. ბავშვებს არც მოზრდილებმა ჩამორჩე-
ბოდნენ გაოცებაში, მაგრამ ისინი თავს იკავებ-
დნენ, რათა არავის ეთქვა: „მამები არიან და
პირველად ხედავენო“. ღარიბები კი იყვნენ.
მაგრამ სიხარბეს მაინც არ გამოიჩინდნენ.

ვარდა ამისა, ასიკო ერისთავს არა ერთხელ
გამოვგლეჯია მამაჩემი პოლიციის ხელიდან.
ბუნებით მოუსვენარსა და უსამართლობის
მტერს — მამაჩემს, მთავრობის არა ერთი მო-
ხელე შემოებრტყია გულხემათ უჯიათი მოქ-
ცივის ვაშთ, მაგრამ აქაც დატრიალებოდა
ასიკო და, ზოგჯერ თავდებით, ზოგჯერ გაქლე-
ნაძის ნათესავების დასმარებით, გამოიხსნიდა
თავის „მოუსვენარ, ვულქან“ მეგობარს.

ერთხელ მაინც „ბუღუხე გადაიპოო“ რომ იტყ-
ვიან, სწორედ ისე მოხდა. ჩვენი მეზობელი შაქ-
რო დათუნაშვილი ბუგარის დავიანებისათვის
დაჯარიმეს. მამაჩემმა დაუწერა გაცხადება
ჯარიმის პატივისცემისთვის. პატევის მაგიერ შაქ-
რო სასამართლოს გადასცემს და ციხითაც ემუქ-
რებოდნენ. სასამართლოში მამაჩემიც წაყუ-
იშ-ის დასამოწმებლად, რომ შაქრო დათუნაშვი-
ლი იყო ღარიბი, ოთხი შეიღის პატრონი და
სწიქსლი. სასამართლოს საქმის წარმოება რე-
ხელ ენაზე იყო და მოხელე რუსულად შეყუ-
იხა „დასწავიეს“, რატომ აქემდე არ გადაიხადე
ბუგარა? შაქრომ რუსული არ იცოდა და ვე-
რაფერი უნახებოდა. მოხელემ კითხვა ისე გაუ-
მერა. პასუხი კვლავ ვერ მიიღო. გაჯარიმებულ-
მა მოხელემ თურქი წამოიყვინა: „ო, კაცი
ტუპე ეტე ტუხეშვილი. მამაჩემი ამ სიტყვებს
ისე გაუცეცხლებია, რომ თავი ველარ შეუცაგე-
ბია და მიუძახებია: „ელაპარაც თავის ენაზე და
მერე გაიგებ, ვინ არის უტეინო და ვინ არაო“.
„ეშჩო ეტეოკო ნე ხეატალი, ვაგარტე ს ნიშ ნი
იხ იახილე. ა ტე კტო ტაიო, ეშჩოეიშეია ნე
ვ სეოი დეა?“, დაუყვარა, თურმე, მოხელემ.
მამაჩემი გაუცეცხლებულია და რომ გაუწვიო,
მოხელეს გაუსწრია მუქარით.

აქაც დატრიალდა ასიკო თავის ნათესავებით
და ერთხელ კიდევ იხსნენ მამაჩემი პოლიციის
ბრჭყალებიდან.

ახალგაზრდა მასწავლებელს სოფელ ხელიბე-
ნის მოსახლეობა დიდი თანაგრძნობით მოუყრო-
ბია: განსაკუთრებული მშობლიური გრძნობით
შეხედნენ, თურმე, ხნიერი ქალები, რომელთაც
პირველი დღიდანვე თავს იღვეს მისი მოვლა-
პატრონობა: ზოგი ურცხვავდა, ზოგი კი გამო-
ცხვარ პურს უწილადებდა თავისი ღარიბი ლუქ-
მიდან.

ასეთი იყო მაგდანა ჩალაბაშვილი — „ერთი
ჭერი-ოხერი დედაცაი“, რომელსაც ოთხი
შვილი ჰყავდა. თვითონ ძალზე გაპირებულ-
პირველი განიდებოდა იქ, სადაც გაპირებულს
დაინახავდა. „მამაჩემს მშვიტად მძღარი ჰყო-
ნია, მდიდარი რას გაგიგებსო“, — იტყოდა და

გარბოდა მოსახმარებლად. ასევე მოქცეულა მამარინიძე. არც მამარინმა აიწყდებოდა მისი დედობრივი ზრუნვა და, ერთი ლექსი რომ ეწონება, იმის შეილება უნაწილებდა, მინამ მოიხრდებოდნენ და დედის შეშველებოდნენ. თანაც მამარინმა პირველმა თურმე მადანამ ურჩია ცოლად შეერთო ის, ვისაც ჩვენი დედა ერკვა სიციცხლის ბოლომდე.

მამის ძალიან უყვარდა მადანა ნადირაშვილი, დედანემის დედა. მამარინი თურმე ახალგაზრდობაში ძალიან ეჭვინი იყო. თანაც, ფსევტი წესით, ქალს ნება არა ჰქონდა მამაკაცებთან გამოსვლისა. და ძალიანაც აიწყრობდა თურმე ცოლს. ეს შეუძნეველი დიდება მადანას და არა ერთხელ მიმართა თურმე დარჩევით. თავისი ვარკველი და სულიერი კეთილშობილებით ეს უზრალო ვლენის დედაცაი ისეთ გავლენას ახდენდა მამაზე, რომ თითქმის მოუღბო ხასითი და ის დადინჯებული ოჯახის ადამიანი გახდა. დიდება მადანა ქვახერელში იყო გათხოვილი, ადრე დაქორციელებულს თობი ვეიწვილი გამოუხარდა, რომ მღებო ახლა, რკინიგზაზე მუშაობდნენ. თვითონ მოდიოდა ჩვენთან და ხშირად თვეობით რჩებოდა. ზღაპრებსაც ბევრს გვიამბობდა. რითაც მამარინის გულს იყვებდა.

ზღაპრებს და შელოცვებს აწერინებდა მამარინმა მამო ჩალაბაშვილი, იგავე ზენაინი მამო, და ხშირად ეხუტებოდა კიდევ: გახაფხელის უვინილა ხარო, მშხავანა კატა თავეს ვერ დაიჭერსო. ჩახახებუ, ჩახახებუ, კაცს ვგონება, ქვეყნის დამჭეცი იქნებო, და მინამ რასმე დაიწყვებდე. ქვეყანამ იციო. მამარინმა ძალიან უხაროდა. მამოს ზემობდა და, რა წამს ის მოვიდოდა ჩვენთან. მამინევე ეტყოდა: ჩემს დედაც კაცს უთხარი, ვინა ვარ მეო.

დედაჩემი თითხმეტი წლის გაუთხოვებათ. არც ოჯახისა ვიციოდი რამე და არც რამე მენახაო, გვიამბობდა ბავშვებს. ერთხელ თედომ მიხარა, ერბოვეერი გააკეთე და ვისადილოთო. სახლში ჩვენ ერბოვეერტები არასოდეს არ გავცივებთ და არც ვიციოდი, რამდენი დრო სჭირდებოდა მის შეწვას, და დამეწვია. მაგრამ აღმნი მოვიფიქრე, რომ გადავებრუნე, დამწვარი ქვეშ მოვიტყე და ისე მიუტყე თედოს. მამინევე შეამჩნა, გაჯარბდა, ვადამიდეცა წინ და მიხარა: აბა, შენ შექამე, როგორია, შერე ისწავლო მაგის გაკეთებასო. დამწვარი კი იყო, მაგრამ პირველად მომეწონა და შევედღებე ჭამას, მაგრამ შერე გამოიქრდა და ტირილი დავიწყე. აბბბ, შევეცოდა. — შერეუდ აღარ დასწყავო? — მეთხა და შემეწევა ჭამაში.

პირველად ძალიან ეჭვინი იყო, — განაგრძობდა დედაჩემი. — ხშირად ჩამოდიოდნენ ფსევდიან. ბავსურითიდან მისი ნაენობები, მაგრამ შე ნება არც მქონდა, გამოეჩენილიყავ. საზგაფირთად უყვარდა ჩვენთვის წიხის კითხვა, შემოგვისხამდა ირგვლავ ჩემს დედას, დას მამოს, სხვა ახლობლებს და დაიწყებდა კითხვას.

ერთხელ წავგიყთხა თავისი დაწერილი მოთხრობა „რქინი“, შეელი რომ გამოეცა მგელს და ადამიანმა კი მოჰკლა. ჩვენ ვეთხარებო, განაკაცი მგელზე საშიში უნდა იყოსო? ეს ნამდვილი ამბავია და, იქნებ, სხვა დროსაც მოხდეს ასეთი რამ და მეტი აღარ ვაიშეორროსო, გვიანსუხა. შერე დარგო ერთი ხე, ფსევდიან ვადმოტანილია, უნდა გავახარო სახსოვრადო, — ამბობდა. ის ხე კი ვახმა: თავის საშობლოდან მოშორება ვერ ატანაო, ჩვენ, ადამიანები კი, სად არ ვაქვლებო.

ერთხელ დედაჩემი წინდებს უწისოვდა და დაუმითავრებელი დადო ფანჯარაზე. ღამით კატას თამაში დაეწვია. ჩხარები დაეძრო და თითქმის გათავებული წინდა სულ დაერღვია. ეს თედომ დანახა და ბევრი იცინა: სიდდრო, კატა დავეზმარა ქსოვამო. და შერე წავგიყთხა მოთხრობა „შშრომელი“. ჩვენ ვიციოდით, დედაჩემი კი წყევლა-კრულვას უგზავნიდა კატასო.

სახლის აღდგენა დაიწყეთ. ვხედავ, თედო რადაცა ეძებს ნანგრევებში. შე კი მივხვდი, რაც უნდოდა, მაგრამ მაინც ვკითხე: რას ეძებ-შეოქი?

— თინათინ, აქ უღმარების ნატეხები იყო, ჩავატანე კედლებში, როცა ჩვენი დრო დადგება, ამაზე ვახლევირებ ჩვენს მტერს თავისო.

ის უღმარები ახლაც მარნის კედელშია დეტანებული.

დედაჩემის დამ მარამ (მამო) გავნიხხამ მიამბო: მე თითქმის სულ თიყოსთან ვიყავი. აჯერ ერთი — იმიტომ, რომ თედო ჩემი მსწავლებელი იყო და ვუყვარდი კარგი სწავლისათვის; შერეც, ჩემს დას ვეზმარებოდი, მინამ თვითონ არ გამოჩნდა შვილები.

თედოს ბედნიერ დღედ მიანდა მშების სტუმრობა. პირველად ძალიან დარბიად ცხოვრობდა, მაგრამ მაინც არაივსთვის არაფერი ენანებოდა. შერე კი, როცა ცოტა ქონდა შეიძინა, მაშინ ხომ თქმა აღარავისი უნდოდა.

დაპატოვებდა მთელ ნათესავებ-ნათლიმამებს ჯალაბიანად და მაშინ უნდა გენახათ სიცილსიხარული.

ლუკა ბერის არა სემედა. ის მალე აღდგებოდა ხოლმე და დამიხებებდა: აბა, მარამ, ჩემს დასავიერებელი ადგილი მზად თუ აბისო. სახლის უკან რომ კაცლები იყო, იმის ქვეშ უყვარდა დასვენება. მოგვატანიებდა ფარდას, შუთაქას და ისევენებდა. თუ ერთ სურა ციე-ციე წყალსაც მომიტანდა, ამას ხომ აღარავფერი შეედრებო, — გვეტყოდა ხოლმე.

მანამ თედოს ბავშვები წამოეზრდებოდნენ, ამ საქმეს მე ვასრულებდი, შერე კი იმამ დიოსაკუტრეს. მთში კი გვეგული ყველას ასწრებდა. ვედას უყვარდა, როცა მისი ლექსი ვინმემ ზემირად იციოდა. ერთხელ მეც ავიღე და აქლდე და მდინარე უთხარა. ძალიან ესიამოვნა, მაგრამ შერე მოწყენით წარმოთქვა: ეპ, რა დრო

გეგმის? შენ რომ გესწავლა, ვინ იცის, რა იქნებოდა, რამდენი ნაჭი იყარებოდა ამ ოხერი დროის გამო.

მეგობრებო! ვარა ბევრს უცხოთაგანს შეხედუბოდა ჩვენს ოჯახში. ბევრს აინტერესებდა ასეთი მრავალფეროვანი მეურნეობის ნახვა. მოდიოდნენ ჩვენთან, ათვალურებდნენ და გვითხებოდნენ მამაჩემს, რაც მამაჩემის სიხარულს იწვევდა და მეურნის თავმოყვარეობას უცნაუროვებდა. იყო შემთხვევა, თბილისიდან საგანგებოდ ჩამოდივანიით უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები. 1910 წელს ჩვენსას სტუმრად მოიყვანეს ფერადი ქართული: ყოლა-მრგბე სეროშვილი და ყოლა-ქუხიანი ონიკაშვილი, ლუარსაბ ქვიდავიძისა და ზაქარია ჭიჭინაძის თანხლებით, და დიდი ქებაც უძღვეს მამაჩემს ასეთი პროგრესული მეშაობისათვის.

იმხვე ხანებში ამერიკიდან ჩამოსული სტუმრები კი მოიყვანეს, რომელმაც აღნიშნა ამ მეურნეობის დიდი ნოვატორული მნიშვნელობა და უსურვებდა მეტი წარმატება.

ასიყო ერისთვისაც მოჰყავდა თავისი ნათესავები, ნაცნობები და მეგობრები, რომლებიც ხშირად რამდენიმე დღეობით დარჩენილან ჩვენთან და დიდადვე უსიამოვნებოდათ. ასეთები იყვნენ — მისი დის შვილი ტაოს მამაბლისა (ჯანო მამაბლის მეუღლე) თავისი შვილებით — ნიკოშითა და ელიკოთა, აგრეთვე ალექსანდრა ქართველი-შვილი-კარგარეთელისა შვილებით და მრავალნი სხვანი, ყველა ისინი სიამოვნებით ატარებდნენ დროს მამაჩემის საზოგადოებაში.

არც ამით ამოიწურებოდა ჩვენი სტუმარიანობა. მამაჩემს არ დაუწყებოდა ის დრო, როდესაც თვითონ ნახევარდ შაიერი, მოქანცული გონებრივი და ღიზიკური მეშაობით, ბრუნდებოდა შინ და მისი ახლობელი მეზობლები უზიარებდნენ ლეკმახერს. ახლა კი თვითონ შექმნილ ათეულებს აენახვებდნენ და ისევე დარჩნენ, რა გემოს ჩაატანდა მარტოკა ქვას. ის „მარტოკას“ ეძახდა, თუკი მოხდებოდა და სუფრას მარტო ჩვენ შევჩრებოდით. ესეც არასოდეს არა ყოფილა. საერთოდ, დედაჩემის შრომები ძალიან ღარიბები იყვნენ და ასევე დარჩნენ, მით უმეტეს — შემოტარებში მოხუცდნენ. მათი მაცხოვრებელი გაბრიელი (დედაჩემის მამა) ადრე გარდაიცვალა. მისი ცოლი ასიყო ერისთვის ოჯახს არ შორდებოდა, შვილები კი მოხუც დედამართ-მამამთილს გამოეგზავნა აშკარად საშემოლოდ, მაგრამ მამაჩემი როგორც დედას შეეხებოდა აშას და მამასადავ, ისინი მუდმივ ჩვენი მავიდის განუყოფელი წევრები იყვნენ.

ადრინ გახატულიდან აიჯანუხ გამოგვეჩინა სსსადილო მავიდა, ისე რომ აშეული და ჩამკლული ყოველთვის ჩანდა. მამაჩემი ყველას ეპატრებოდა: ვადმოიარე, ცოტა და დავსვენე და ისე წადიო. ბევრმა იცოდა მისი ხასიათი და ვრიდებოდნენ იმ დროს სიარულს: მასწავლებელი შეწუხდებოდა. ის კი არ იცოდნენ, როგორ

სწუხდა, როცა არავის ნახავდა, დღეში ერთხელ სქამენ საწულებიო, და საჭმელი ყელში ვჩხირებოდა.

დიდი შრომისა და წამების შემდეგ, როგორც იქნა, აღდგანა დანგრეული სახლ-კარი. საბაღე აღვიღს დაუმატა კიდევ იქვე მდებარე ნახევარი ქექტარი მიწა. ბაღი და ფუტკარი უკვე საკმაოდ შემოსავალს იძლეოდა. შეიდეგ ცოტა სახანა-სათვის მიწაც შეიძინა, მისა კარგად დამუშავებოდა შექმნილ თვითონაც ეცხოვრა და სხვა-ბისთვისაც რაიმე ერგო. მართალია სახლი კი გვედგა, მაგრამ შიგ დასადგმული და შესატანი არაფერი გვეჩინდა და მამაჩემი, რომ იტყვიან — „შავი დღისთვისო“, არაფერი ფიქრობდა. საქმე იმაში იყო, რომ მეზობლებსაც მოინდომეს მიწურებადან ჰაერზე, დღის სინათლეზე ამოსვლა. თვითონაც ხომ სულ იმას უჩინებდა და ახლა რომ ხელი შეეშალა, განა თავისთვის აპატებდა? თვითონაც ხომ იმათი დახმარებით დადგა ფეხზე. განა დაავიწყდა, როგორი გულისხმარებით ექცეოდნენ მეზობლები, როცა ის შეუდგა თავისი დანგრეული ოჯახის აღდგენას? რამდენი მამითავე გაუმართავთ, რომ გაერთიანებული ძალით დახმარებოდნენ თავიანთ მასწავლებელს ასე ფიქრობდა მამაჩემი და თვითონაც მზად იყო გადაეხადა, რითაც შექმნილ ამისთვის საჭმარისი იყო მიეღო ბჟაყალისაგან ეთონილი ფული (ხილის საფასური), რომ იგა უკვე განაწილებული ჰქონდა მეზობლებში მასალების შესაძენად.

დედაჩემის სიტყვებზე ნუ არიგებ ამ ფულს, ჩვენც გვეყვინ შეილები, ზოგს სწავლა სჭირდება და ზოგს ჩაცმა-დახურვაო, მამა უნასუხებდა: — რას ამბობ, თინათინ, ხომ ხედავ, მიწიდან ძვრება ხალხი. ჩვენ ძონძებზე დავხარჯით და იმთ ხელი შევეშალოთ, განა ეს სწორი იქნებაო?!

ბევრი მადლიერი ჰყავდა მამაჩემს, თავიანთ მხსნელსა და დუმრთს ეძახდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც შურდათ ჩვენი ოჯახის იღვანა. მამაჩემი კი თავისას არ იშლიდა და განაგრძობდა ხალხის სისარგებლო მეშაობას. მან კარგად იცოდა, რომ ეს პირველი, დამარცხებული რევოლუცია უშედეგოდ არ ჩაივლიდა და საბოლოოდ მიიწე ვაიპარჯებდა. ბავშვი ფეხს რომ იღვამს, პირველად ეცემა, ამბობდა ის, — განა ამით შეიძლება ის შეშინდეს და დაიშალოს სიარულიო?

შემდეგში ჩვენ მეზობელ გლეხებს ბევრჯერ უამბინათ ჩემთვის მამაზე.

სანდრო აკოლაშვილმა მომიბოძრა: „კამეჩები არა მყავდა და უკამეჩოდ კი გლეხი რა გლეხი იყო? მივედი თედოსთან: შენი პირიმი, თედო, ათი თინამი უნდა მასეხო, კამეჩი მინდა ვიყიდო-მეტოქო. მამინეც მომცა: თუკი ამით დავხმარებდი რაშიმე, ჩემო სანდალა, ინებო. კამეჩი ვიყიდე. ბევრჯერ ავიღე ეს ათთუნინანი, მაგრამ ვერ მივეცი. გავიდა ხანი.



ფულმა ფასი დაკარგა. მრცხველია შეხვედრისა. მართალია, თვითონ არა მთხოვდა, მაგრამ პირზეობა არ მინდოდა. ერთელ მივედი და ვუთხარი: თელა, შენა კირიზე, მე რომ ათი თუმანი მშარათებს, მის სამაგიეროდ დღორის მინეც დაგინახე მეოქი. შემომხვდა და გაიცინა: შეილო, რა გაწებებს, წადი და ისე ჩათვალე, ვითომ მე შეყარდნა შენთვის კამეჩიო.

ქალია კახელი ივანეძე: „ოჰ, თელა ჩვენი ღმერთი იყო სწორად! თუ ჩემი მინა (მისი ქმარი — ე. რ.) დღეს ცოცხალია და სულა გვიღვია, მარტო იმის საქმეაო. ერთბის საწყობი ვილაცამ გატეხა და ხორბალი მოიპარა: თამაჯდომარე მინას აბრალებდა, ეგ მოიპარავდა, თანაც ბოლშევიკია, წაიყვანეთ და გზაში მოკლეთო. მინა ის იყო გაიყვანეს, უნდა წაიყვანათ გორში. ამ დროს თვალდაცხენი შემოაგვლეა და უთხრა: რასა შერებთ, კაცო, უბრალო ადამიანის სისხლი არ დაიდოთ, ქურდი უკვე აღმოჩენილია და ეს კი ლამის დადღობოთ. ის იყო და... გაათავისუფლეს მინა. დღემდე ჩვენ იმის დღესა ვფიქრობთ. განა შეიძლება მინამ ქიქა აღოს და იმისი სადღევრძელო არ დაღოსო?!

მადანასეფედავლიშვილმა მოიგონა თავისი სიღარიბით გამწარებული სიციცხლე და მიხვდა: ოთხი შეილი შეყავდა დღედამდ ლუკმის ძეხანში ვიყავით. თვალში ეს იცოდა, ხშირად დაუძახებდა ბოლშე ჩემს ქმარს და ხან რას დაეკლებდა, ხან რას. დღისით ხომ იქა სტამდა სამჯერ, ვახშმისათვის პურს ვამოატანდა ხოლმე. ერთ საღამოსაც წავედი, იქნებ ოთხიოდ პური შესესხნა. მასწავლებელმა დამინახა, ერთი ბავშვი ხელში მეჭირა, მეორეც კალთაზე მებლავებოდა. რაო, შე საწყალო, ასე რომ დაწვრილშვილდი, რა პური გყოფნითო. მეც ვუთხარი, რისთვის ვიყავი მისულა. კაცლის ქვეშ იჯდა გტყობოდა, დადღილი იყო. თინათინს დაუძახეო, მიიხარა.

თოვლ მოვიდა სარქვეით ხელში, ეტყობოდა, ძროხა მოეწვლა. თინათინ, — უთხრა ცოლს, — გამოუტანე ამ საწყალს ხეთიოდე პური, ეგ რძე გვების ბავშვებს დაუსხა, ერთი ნაწილი ფქვილიც მიეცია. თაფლიც არ დაგავიწყდესო. თოვლ მამინეც გამოგვტანა ერთი ჯამი თაფლი: ქამეთო. რაც ვჭამეთ, ვჭამეთ, რაც არა და, თან გავგატანა. თან თავისი შეილების ტანსაცმელიც ზედ დაატანა, გამოიყენებო.

კოლა გავგნიძემ მიამბო: თელა ჩემი მასწავლებელი იყო. თუ კაცებში ვერგევიართ, და განა მარტო მე, მთელი ჩვენი სოფლის ჩემი ხნის ხალხი, ეს იმისგანა ვართომან ვავტახტნა ვინა, იმან გავაგებინა, რომ ჩვენც ადამიანები ვართ. ის რომ ჩვენ რასმე წაგვეკოთხავდა, ათვი ცაში გვეგონა. პირველად მან წაგვეკოთხა „კაცო ყაჩაღო“. იმისი დამწერი ჩვენ ჩვეულებრივი ადამიანი კი არ გვეგონა. არც წარმოგვედგინა, რომ ის ხორციელი ადამიანი იქნებოდა.

მაგრამა, როცა ის მოკლეს, თვალტრლიანა თვალმ გვიოხრა: გახსოვთ, „კაცო ყაჩაღო“ — იმის დამწერი მოკლეს გატყუებულმა ჩვენმა ქვეყნის მტრებმა. სულ ასე გავაწვევდნენ, აღბათ, რომ დაგვაწმუნდნენო. ამისთვის უნდა ისწავლოთ, ისწავლოთ, ნასწავლო კაცის, გონება-გახსნილი ადამიანის დამწეგება არც ისე დევილია, როგორც გონიათო. ამის შემდეგ წაგვიკოთხა მეკლევების მიმართ დაწერილი თავისი ლექსი, სულ ზეპირადწვიოვდი. წაგვიკოთხა მისი სხვა ნაწერებიც. გვიამბო, თუ რისთვის იბრძოდა ილია ქაქუცავაძე და ვინა სდევნიდა მას.

სამაგიეროდ, ჩვენც ვუამბობდით ზღაპრებს. ვუამბოვდით ლექსებს. აი, წიგნში ჩაგწერთ და მთელი ქვეყანა გაიკონობოთ, გვეტყოდა ხოლმე. აა, დღესაა, როგორ უყვარდა ჩვენი ახალგაზრდობა. ჩვენ სულ იმასთან ვიყავით. შემოგვსდებოდათ ავტობუზებუდ ბუხარს და ხან ჩვენ ვუამბობდით ზღაპრებს, ხან ის გვიკოთხავდა თავისას და ხან სხვის დაწერილს, რომელიც იცოდა, რომ გულზე მოგებუდებოდა და დარს გავაგებებოდა. ხელში კი სულ ქაღალდი და ფანჯარი გვირავა. როცა ჩემი მამა გიგა დაიღუპა ომში, უწყება თვითონ მოგვიტანა. ცხარე ცრემლითა ტაროდა და ამბობდა: ამა ვის სტორდებოდა ეს ომი, რომ ამდენი ახალგაზრდობა ამსხვერპლო.

ნიონია და მიხაბა მამა მინჯაბულეებმა, ჩემს შეილებზე, ახსოვდათ თუ არა მამაჩემი, კოთხიოთე მიმასხვებს: განა შეიძლება თელუას დაიწყება? ის ხომ უბრალო კაცი არ იყო?! ის წერა-კოთხებას ვასწავლავდა, მაგრამ ის განა მარტო მასწავლებელი იყო?! ის ჩვენი სელის-ჩამდგმელი პატრონი იყო. თუ დღეს კაცებში ვერგევიართ, მარტო იმის წყალობით. იმან იცოდა, ჩვენი წლის მოსავალი იანვრამდე არ შეგვეყვებოდა ხოლმე და სხვაგან დაედიოდით სამუშაოს საქებუნელად, რომ ლუკმა პური არ შემოაკლებოდა ჩვენს შეილებს. ის ძალათი გამოგვიჩვენა და ჩემშაოს. განსაკუთრებით უყვარდა, როცა ჩვენ მის „გრძელას“ ვჭამდით ხოლმე. სამი ღესეტინა მიწა იყო და სამ დღეში ისე მოვმედიოთ, ერთ თავთავს არ დაეტოვებდით. სამაგიეროდ თვითონაც როგორ გვამეცოდნა. მინამ ჩვენ სამუშაოდ წაიღიოდით, ერთს კარგად წაგვაქვებდა თავისივე ვენისის ღვინოთი, მეტე უნდა გენახათ, ჩვენც როგორ მიერბოდით სამკაულად, კაცს ეგონებოდა, ქორწილში მიდიართ. სამუშაოს ფული წინასწარ გეკონდა წაღებული და გულს არ დაგაყდრეთო, ის ფული უკვე შექმნილია და დაიწყებოდათ, ის აად-მოგვემდა კიდევ წითელწიფოდ თუნინანებს. ერთ თუნინანსაც მკის გათავების შემდეგ, ჯვარს რომ მივართმევდით, მაშინ მოგვემდა და უნდა გენახათ ჩვენი ამბავი. სამხარს მოგვიტანდა (ცხენი ჰყავდა და ცხენით დადიოდა), ჩამოჯდებოდა ჩვენთან, გვიამბობდა რაიმეს, ჩვენც ვუამბობდით, ხარემ დაისვენეთო.

მერე მეც მოვეშველებითო. თითქოს წავეყვი-
ბრებოდა მკაში, რამდენს კისკისებდა, თუკი
გავასწრებდა. აი, დღდასა, იმისთანა კაცი
უნდა მოკლათ?

1913 წელს რომანოვების შეფლობის სამსი
წლისათთან დაკავშირებით ვორში მოელოდნენ
ნიკოლოზ მეორეს. ერთ-ერთმა ჩვენმა მასწავ-
ლებელმა იცოდა, რომ მამანქმა ლექსებს წერდა
და დამაბარა: გადაეცით თედოს, ამ დღეს ლექ-
სი უძღვნას და თვითონვე წაუკითხოსო. ვანა
ენა ვგონივართ, ჩვენს ბროლას უფრო მალე
უძღვნი ლექსს, ვიდრე მკასო, ასე გადაეცით,
დამაბარა მამანქმმა და იმ კვირას სულაც არ
ჩამოსულა სოფლიდან. ის ამბავი კი, რასაკვირ-
ველია, არავისთვის გადამიცია, ვიცილი, რაც
მოკლავებოდა.

1914 წლის პირველ იმპერიალისტურ ომს
მამა იმედინად შეხედა. მართალია, ყოველნაი-
რი ომი მას ხალხის დამღუბველად მიანდა,
მაგრამ მტკიცედ სწამდა: ყოველ დამარცხებას
რევოლუცია მოსდევსო, და გაფაციცებით დღე-
ნებდა თვალს გახეთქებს. მოკავშირეთა შორის
ყველაზე დიდ პატივს სცემდა საფრანგეთს, რე-
ვოლუციის სამშობლიო იტყოდა. ვერდენთან
ექვსი თვის ბრძოლებს ის აღტაცებაში მოკავ-
და, მაგრამ მეფის რუსეთის დამარცხება მიანი-
ენატრებოდა. რა ექნათ, ამბობდა, ვერმანია არ
მიყვარს, უკანასკნელი ომის დროს მშლიანად
გვანადგურეს საფრანგეთი და დამარცხების შემ-
დეგ ისეთი მძიმე კონტრარეცია დაადეს, სულ
წელში გაწყვიტეს, ოქროს სულ მტარებლებით
უზიდებოდნენ, თანაც ელზას-ლორენი წაართვეს
და თავისუფლებისმოყვარე ხალხს შინობის
უღელი დაადვესო. ძალიან მინდა საფრანგეთის
გამარჯვება, მაგრამ რას იზამს კაცი, რომ ის
მეფის რუსეთის მოკავშირეა და მკვლამ დამარ-
ცხებაზე ჰქედია ჩვენი მოშალის ბედით.

იმ დროს ჩვენს ოჯახში ხშირად გაიგონებ-
დით სიტყვებს: ავტონომია, ავტოკეფალია, მკე-
რე ერებს თვითგამორკვევა. გამოცოცხლდა სა-
ზოგადოება, ჩამოყალიბდა წრეები. თბილისიდან
ჩამოდოდნენ მოწინავე ახალგაზრდები (ქრის-
ტიანურ რაქველიშვილი, ვასო ევანატაშვილი,
მამა საფარალოძე). ერთი წრე ჩვენს სახლშიც
აიშო, მეთაურობდა გულქანი. ჩამოსული ამბა-
ნაგები ივესაბრებოდნენ, გვიკითხავდნენ ლექ-
ციებს საქართველოს კულტურისა და ისტორი-
ული წარსულის, მშრომელი ხალხის ჩაგვრა-
ზე, ჩვენს უფლებებობაზე. ეს, რასაკვირველია,
ხდებოდა ფარული სახით, დღეობებისა და და-
ბადების დღეებთან შეფარდებით. ხან ერთ
ოჯახში იკრიბებოდნენ, ხან მეორეში ასეთები
იყვნენ მაქაფარანის(კომპოზიტორის მამის)
დამასაზრებელი პედაგოგების მხარის, სოლომონ
და აიო ფურცელაძეების და სხვათა ოჯახები.

აი, სანატრელი რევოლუციის წითელი დრო-
შების ზღვა დღღავს ვორის ქუჩებში. ყველა რა-
ღაცის მოედის. ყველა ზეიმობს. ბიტინგები...

სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. იყო
განუწყვეტელი პიქრობა და კრიტიკა ერთი
კუონდათ სერთო: ძირს უფლებიერეფუფუბო,
ბარს, ბატონები, მიწა მიწის მუშას. ვაუმარჯოს
თავისუფლებას! ჩვენ გული აქითვე მივიწიეს,
სადაც, ამასთან ერთად, სამშობლოს კეთილდღე-
ობაზედაც ლაპარაკობდნენ. მენშევიკები პირ-
ველად სამშობლოს ავტონომიის გაგონებაზე
ყოფდებოდნენ და უტყვად მთლიანად დამოუ-
კიდებლობა გამოაცხადეს. მამანქმა ამბობდა:
ჩვენს დამოუკიდებლობას ვინ გაუწიეს ანგა-
რისს. ნახათ, როგორ გაქვლავენ ჩვენს ქვე-
ყანას, ჩვენ ხომ ყველა ქვეყნისთვის ხიდი ვართ,
ვისაც არ დაეზარება, ყველა შემოგვიყვავიო.

ეს წინასწარმეტყველება თითქოს ასრულდა.
დაიწყო ოსმალეთთან ომი, რომლის დროსაც
წაგვეკოიჯეს ახლად ნაპოვნი მშების — აჭარის
ტერიტორია. აქეთ ატუდა სომხეთთან ომი. იქ
აჯანყდა ოსეთი. მენშევიკებმა ცეცხლითა და
მხხვლით მოინდომეს მათი ზამთობა და დამს-
ჯელი რჩხმები გააგზავნეს. ამითან ერთად
ფედერალიზტების პარტიამაც მხარი დაუჭირა
მენშევიკების ასეთ პოლიტიკას და მონახისეთა
რანში გააშხადა.

იმ დაუსრულებელმა ომმა და შფოთმა ხალხი
უფრო კიდევ გაალატა და დაამბუნა. საქირო
იყო გლეხკაცობის ფეხზე წამოყენება, გამო-
ყანა იმ მამაპაურე გაიკრებებიდან, რომელიც
ისინი საუფუნეობით იყვნენ ჩაფლული. ახლა,
მართალია, დამირება ბერიც ვსმოდან, მაგრამ
ხელშეხახებს ვერაფერს ხედავდნენ და ხშირად
წამოძიხებდნენ: ეპ, შეილოსა, ალბათ, მართა-
ლია, რომ ამბობენ: სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შეა უზის დიდი ზღვარით.

ადამიანისთვის შატო პირადი ცხოვრების
გაუმჯობესება არა კმარა — ფიქრობდა მამანქ-
მი, — ან კი რა სიცოცხლეა, „იყო სოფელში
და სოფელსა არაა არგო,“ აგონდებოდა საე-
ვარელი პოეტის ბარათშვილის სიტყვები და
გადაწყვიტა სიტყვა საქმედ ექცია. მიხილ-
მოიხედა, სოფელს უკვე ბლომად ჰქონდა ზი-
ლაცა და ზოსტნეულიც, მაგრამ, ტრანსპორტის
უქონლობის გამო, გამოუყენებლად ეყარა და
მშენებლობისთვის კი არც ფული ებადო და
არც მასალა. ამ საქმის მოწესრიგება კი დიდ
საჭიროებას წარმოადგენდა და ვერც ერთი კა-
ცი გააკეთებდა. ხელთუბანში არავინ ვგულე-
ბოდა ისეთი, მიმართა სოფელ თორტიზას, რე-
მელიც უფრო მდიდარი იყო საქმიანი ინტე-
ლიგენციით და კულტურული ძალებით. იქ
ცხოვრობდნენ მშები ვანო და გიორგი ბერძნი-
შვილები, აღექსანდრე ქარშიძე და სხვები.
კოოპერაცია ის იყო ფეხს იკიდებდა ჩვენში.
მოილაპარაკეს და შეუდგნენ საზოგადო საქმეს.
რომ მეტი ნდობა დაემსახურებინათ, ჯერ თა-
ფინი ბაღების მსასავალი შეიტანეს საერთო
ფონდში. ხილი ერთიანად გაიტანეს აჭარბა-
ჯანში, სიდიდაც ცოცხალი საქონელი ჩამორე-



ეს, რაც ძლიერ სჭირდებოდა გულგაყვანილს. საქონელი ზოგის ნისიად მისცეს, ზოგმა მაშინვე შეიტანა თავის მოსავლი. ამრიგად, ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომელმაც არა მარტო ნივთიერად დააყენა ხალხი ფუხზე, არამედ გაათეთრებინა და დაარწმუნა ერთობის ძალაში. მალე ბანკის შენობა აშენდა, ბანკს სკოლის შენობა მოჰყვა თორტიზაში, რომელიც აქამდე არ იყო იქ და ხელთუბანში უხლებობდად ბავშვებს სიარული. გახსნეს სოფელში კოოპერატიული საეკონომიკური წერტილები, გაიყვანეს გზები და შეიძლება ახლა სამკითხველოდ დაეწინაურებინა. ხალხს აღარ უხდებოდა გორში სირბილი ნეთის, მარილის, ფართლისა და სხვა საჭირო წერილობის საყიდლად.

რუსეთში წარმოებულ სამოქალაქო ომების ამბებს მამარაშვილი დიდი ინტერესით აღედევნებდა თვდაყურს. ყოჩაღ, ვეფხვეზობი, — წამოიძახებდა აღტაცებით, როდესაც წიკითხავდა წითელი არმიის მიერ შავი რევოლუციის ვენერალების: ვრანგელის, კოლჩაკის, დენიკინისა და სხვათა უაქაქეებს. შიშისზარბი დაეცა, როცა ვახუშტაშვილი ამოკითხა: „დენიკინმა შავი ზღვის სანაპიროსკენ დაიხიაო“. მაგრამ მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვიკო: „საქართველოს მენშევიკური მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს დენიკინთან“. ნეტა რა აქვთ საერთო სოციალისტურ პარტიებს დენიკინთან? ნუთუ იმ რეაქციის ტარტაროს შეშოლვებენ საქართველოში? ნუთუ მენშევიკების მთავრობა გამართავს მოლაპარაკებას იმ ბევრი ქვეყნის შესაფლავებთან?

1921 წლის თებერვლის ამბებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამბები ამბებზე მოქონდათ: ფუხის ხმას ადგილობრივი მესვეურებიც აქვეყნენ. ზოგმა გახიზნა დაპირა, ზოგი უფრო პრაქტიკულად მიუდგა საქმეს. ერთმა მათგანმა კოოპერაციის ქონების დაპატრონებაც მოინდომა, და როგორც სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და ამ კოოპერატივის დამაარსებელი გამგეობის ერთ-ერთ წევრს — მამარაშვილს შესთავაზა: მოვეთხოთ, თედო, ამ ქონებას, ხომ იცი შემოგსება ჯარი და ყველაფერს დაიტაცებენ, ის არა სჯობია, ჩვენვე გავიყუთო. მამამ მოგახებ უპასუხა, რომ ეს კერძო დეჟანის რელია, არამედ სახელმწიფო ქონება და თუ ერთი მთავრობა მიდის, მეორე მოვა და თავის ქონებას თვითონვე უპატრონებსო. ეს პასუხი იმ კაცს არ ესმოდა, მაგრამ მაშინ ველარაფერი ქნა. შემდეგ ის ყოველწლიურად ცდილობდა მოესპო თავისი ბოროტი ზრახვების ცოცხალი მოწმე და არც დააყენა. 1922 წლის იანვარში ის მამარაშვილის მკვლელობის მეთაური გახდა.

როცა საბჭოთა ლაშქრის ნაწილმა ხელთ-

უბანზე გადმოიარა, სოფელში მამარაშვილს დააყენა — შეხედუროდა პერ-მარილის (ჩამამარაშვილს) დააყენა და პერ-მარილს ერთი დღი უწყობა ვაშლიც ზედ მიატანა.

გამორცილებდა მისი ოცნება — იმედები ხალხის კეთილდღეობის შესახებ, მაგრამ მას არ დაეცალეს თავისი თვლით ვნახა ის ნაყოფი, რისთვისაც მთელი სიცოცხლის მანძილზე იღწვოდა და იბრძოდა.

სოფლის ბოროტმოქმედებმა დაუწყეს მამარაშვილს შეეწირებოდა: ხან ფუტკარი მოსპარეს და დაანელეს, ხან საქონელი გამოურტყეს და შეკამეს, ხან საქონლის საყვები მთლიანად გადაუწყვეს, იყო შემთხვევა გზაშიც დახედნენ მოსაკლავად, როდესაც ის ნახვამი ბრუნდებოდა გორიდან, მაგრამ მამარაშვილის პირდაპირ მოკვლა არც ისე ადვილი იყო. ერთი ხელის კერით მან ყირა-ყირა გადაავლო თავდამსხმელი და თვითონ არხვინად გასწია შინისკენ.

1922 წლის 19 იანვარს ბოროტმოქმედები კვლავ დაესხნენ თავს, დანებით 56 ქრილობა მიაყენეს და ვერაგულად მოკლეს. მართლმსაჯულებამ ყველა მკვლელობილი და კუთვნილი სასჯელილი მიუზღო მათ, მაგრამ ამით მამარაშვილი ვშველა.

მამარაშვილის ცხედარი დროებით სენსავე ეზოში დაეასვენეთ. სიყვლილიდან ერთი თვის შემდეგ გადმოსვენებულ იქნა თბილისში და დაკრძალულია ქართველ მთაზე მთელი მანძილი.

მთელ ქართლში დიდი აღშფოთება გამოიწვია თედოს დაღუპვამ. მკვლელების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გორის საზოგადოება ცხედარს ბერბუთან შემოგვება და სულ ზელით ჩამოხვეწეს გორის სადგურამდე.

შერაღმა ია ეკალაქემ მკვანობიარე სიტყვაში გამოთქვა მწუხარება იმის გამო, რომ თედო საბოლოოდ ვერ მოესწრო თავისი საყვარელი სამშობლოს აღორძინებას.

დაახლოებით ასეთი იყო ხანმოკლე, მაგრამ შინაარსით სავეც ცხოვრება მამარაშვილი-ბიძარიშვილისა, რომელთაც სამოც წლამდისაც არ მიუღწევიათ. ეს ჩვენი სიცოცხლის ვადა, სამოცს ვერ მივაღწევთო, იტყოდა მამარაშვილი და თითქოს წინასწარ სჭერებდა თავის ბედს.

მამარაშვილის დაღუპვის შემდეგ სახლში უფროსად დარჩა დედაქმე, თინათინ წყალობას ასული რაზიკაშვილისა. მართალია ის მამარაშვილთან თედოსებრა წლის განმავლობაში ერთგულად ეხილებოდა ცხოვრების ჭაბანს, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში მაინც მოუზღაღებელი გამოდგა. ეს, აღბათ, იმიტომ, რომ მთელი ში-

ნური და გარეშე საქმეები მამაჩემის ხელთ იყო, დედამს არც ვცალა: ოთხი შვილის მოვლასა და ამდენი სტუმრიანობის გაძლვლას ვერც ასდიოდა.

დედაჩემი ესწავლელი ქალი იყო, მხოლოდ სოფლის სკოლაში ესწავლა წერა-კითხვა, მაგრამ კარგად ესმოდა მამაჩემის საქმიანობის მნიშვნელობა და ხელს უწყობდა მას, რითაც შეეძლო. უსმენდა არა მარტო მის მიერ დაწერილს, არამედ თვითონაც მოუყვებოდა, თუკი საღმე გავგონა კარგი ზღაპარი. იცოდა მრავალი ანდაზა და თქმულება. მამაჩემთან ერთად განიცდიდა მის მწუხარებას, გაჭირებასა და სიხატულს.

გარდა ამისა, კარგად იცოდა, რომ საჭირო იყო ქვეყნის სისარგებლო საქმის გაკეთება და მან, პირველმა, გადაწყვიტა შეეტანა სოფლის ფონდში ისეთი შემოსავლიანი წყარო, როგო-

რიც ჩვენი ხილის ბაღი იყო, მაგრამ სოფლის საბჭომ მალე უკანვე დაუბრუნა, ~~საბჭოებთან~~ ამის კანონი არ არისო. ხელმოწერა 1939 წელს კოლმეურნეობა ყალიბდებოდა ჩვენს სოფელში, დედაჩემმა კარგად შეიგნო მისი მნიშვნელობა, გადაწყვიტა, ფეხდაფეხ მიპყროლოდა ახალ ცხოვრებას და პირველმა შეიტანა განცხადება, მიეღოთ კოლმეურნეობის წევრად და ფონდში შეეტანათ ორმოცდაათი სკა ფუტკარი და ხილის დიდი ბაღი. ამასთან, თვითონვე იღო თავს ფუტკრის მოვლა, სწამ ამისთვის ახალგაზრდა კადრებს მოამზადებდნენ.

გულისსმეირი, გულკეთილი, ნათესაებისა და შვილებისთვის თავდადებული მზრუნველი დაუნლადავად შრომობდა, რათა განეგრძო ევრაგა შტრის ხელით დაღუპული სახელოვანი თანამგზავრის ტრადიციები თამამად შემოქმედებოდა, რომ მან სიკვდილამდე ღირსეულად ატარა თავისი მეუღლის შეუბღალავი სახელი.

მარიამ პრისტავი

ვაჟა-ფშაველა და რაფიელ პრისტავი

რაფიელ ერისთავის იუბილეზე 1895 წლის 22 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძემ მისალოც სიტყვაში აღნიშნა: რაფიელ ერისთავმა შექმნა თავისი საკუთარა სკოლა ხალხური პოეზიისა, მისი მიმდევარნი არიან მძევი რახიკაშვილებიო.

ზაჩანამ მოხუცებულ პოეტისადმი სიყვარული შესანიშნავი ლექსით გამოხატა:

„შენ ჭირიმე, მოხუციო
თა გესროლე, მამაო!
ძიღშით გამოშალვიდა
შენმა ფანდურის ხმაოა.

„მოხუცმა რაფიელმა გრძნობიერა ლექსით უპასუხა:

ვაშახლისა, ძმობილო,
შენგან წისროლმა იამა,
შენი ფანდურის ეღერაო,
მოხუცს გულს მერად იამა!

რაფიელი თავაზიანი, თავმდაბალი, ტბილი და უპრეტენზიო ხასიათის ადამიანი იყო. რაფიელი შორს იდგა ყოველგვარ ჯიბრსა და მოციულობაზე, ყველასათვის შედამ სასურველი იყო, ყველასათვის სასიამოვნო, გულწრფელი და უბოროტო, შედამ მზიარელი, ენამოსწრებელი, სიტყვაყუდიანი, უცუელი თამადა სალიტერატურო ნაღმ-მეგლისებზე. ყოველივე ეს, — ხანგრძლივი სამწერლო და სამკონსო მოღვაწეობა, საზოგადო საქმის სიყვარულიც, მშვიდი ხასიათიც, იყო მიზეზი იმისა, რომ რაფიელს მტერი არა ჰყავდა. ყველა დიდის პატივისცემით და სიყვარულით ეკიდებოდა ტბილად დაბერებულს მოხუცსა და მწერალთა შორის პატრიარქს. დიდი მკონსანი ვაჟა ხშირი სტუმარი იყო სოფ. ქისტაურში რაფიელ ერისთავის ოჯახისა. ვაჟა რაფიელის ოჯახში შინაურად გრძნობდა თავს.

მთის არწივი ვაჟა მთას მოსწყდებოდა და ბარში თავის მძღვარ ფრთებს დაასვენებდა, გვერდს უმშვენებდა თავის სტუმრობით ამ მოხუცებულს.

დიდი სიმდიდრე ბარისა, ოქროთ ნაქარგი ხილითა, ოქროთ ნაქარგი გულ-მკერდი ზედ მარგალიტის დილითა.

ვაჟას ეს ლექსი რაფიელის კარშიდომოსაც ეცუთენოდა. ჩვენს სახლში დაიბადა და გაიზარდა პოეტი რაფიელ ერისთავა, მისი ძმა სოსიკო ერისთავი — აღექსანდრე ყაზბეგის სიძე (დის ქმარი) და რაფიელის დები — მწერალი ქალი ბარბარე ჯორჯაძისა და კაკასიის ოშების ვეტერანის ნიკო ჭავჭავაძის შეუღლე ანა ჭავჭავაძისა. ნიკო იყო ახლო მეგობარი ილია ჭავჭავაძის. ილია მას ქართული ერის მფარველს უწოდებდა. აკაკი და გრიგოლ აბაშიძემ ლექსებით კი მიუძღვნეს მის მოღვაწეობას.

ეს სახლი ერთსართულიანი და 10 ოთახიანი. ირველივე ერთა აივანი, აღმოსავლეთით გერი მინდორი, რომლის შუაგულში იდგა ასწლოვანი ცაცხვები, დასავლეთით — მოვლილი ვენახი, ჯიშიანი ხეხილის ბაღი, გაშენებული საუკეთესო გემოვნებით მამაზე ნუგზარ (დაეთის) ერისთავის შიერ. ნუგზარ ერისთავი ადრე დაობდა. რაფიელს მის შვილად კი არ ჰყავდა ნუგზარი, არამედ ეკიშვილად, ვინაიდან მას მხოლოდ 5 ქალი ჰყავდა. რაფიელს უყვარდა გვარის და ოჯახის გამგრძელებელი ნუგზარი. ნუგზარმა თავისი ცოდნით, სწავლითა და საზოგადოებრივი მუშაობით დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა საზოგადოებაში. ნუგზარი ეწეოდა შეფუტერეობას, მებაღეობას, მებოსტნეობას, შევსახეობას, მეფრინველეობას. ატმისა და პოსტნეტლის კონსერვების დამზადება პირველად მან შემოიტანა კახეთში. ქისტაურის გლეხობა სიხარულით მიისწრაფოდა ნუგზარის ოჯახში, სადაც სწავლობდნენ მეურნეობის სხვადასხვა დარგს. ქალები — ფარდაცების ქსოვას და სელსაქმეს.

მოხუცი რაფიელი უდიდეს სიამოვნებასა და სიხარულს განიცდიდა ნუგზარის საქმიანობით, მის მიმართ მზრუნველობით, თავს რომ ევლებოდა მოხუც პოეტს.

ვაეც მთელი სიყვარულითა და პატივისცემით იყო გამსჭვალული ნუგზარის მიმართ და ისინი სიყვდილამდე განუყრელი მეგობრება იყვნენ. ნუგზარი გარდაიცვალა 1918 წლის 20 ნოემბერს.

როგორც მოგვხსენებთ ვაჟის ქეიფი და დროსტარება ძალიან უყვარდა და ახლო იყო რაფიელის ოჯახთან.

ივლისის შეავულ სიყვებში მინდვრად გაისმოდა გლეხების ნამგლის წყრილი და „სოხოუნას“ გუგნი. არ იყო დარჩენილი არც ერთი პატარა ძალი, ქერიფი, თავადი თუ გლეხი, რომ გამაირებული არ ყოლოდათ გლეხებს. რაფიელი, ვაჟა და ნუგზარი მიეშურებოდნენ მათყენ. გლეხები მათ დანახვაზე შეწვევდნენ უცნობური შიარებს, მაგრამ რაფიელი, ვაჟა და ნუგზარი წამოიწყებდნენ და ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ. ამით გათამამებული გლეხებიც განაგრძობდნენ ოხუნჯობას, იყო ერთი სიცილი და ხარხარა. მზე რომ კარგად გადაიხრებოდა, მაშინდა გაასენდებოდათ სახლში დაბრუნება. ისინი ცდილობდნენ არავინ შეეწებებინათ, რაფიელს ზევად ჰქონდა თითების მაგიდაზე ათამაშება, რაც იმას ნიშნავდა, რომ დრო არის სუფრის გაშლისათ. ამ დროს, დიდი თუ პატარა, ყველა დაფაქტრებოდა მისი სურვილის შესასრულებლად.

რაფიელს გლეხის ბავშვებთანაც უყვარდა თავის შექცევა. გოგო-ბიჭები, რა წამს თვალს მოკრავდნენ ცაცხეებისკენ მიმავალს რაფიელს, ბუჩქებიდან სოკოებივით ამოყოფდნენ თავს და თუ ღიმილს შეამჩნევდნენ, კენტრუშით მიბტოდნენ მისკენ. ვინ არ იყოდა მისი ლექსები, სხაპახუებით ამბობდნენ და ერთიმეორეს არ აცლიდნენ:

ეს როგორ არის
ვერ მოვხვდი, როგორი
განაჩენია?
მიწა სხვისაა, ეჭირაობ,
შრომა კი მარტო ჩემია.

„აგერ ბავშვებმა ვაეკეთეს წრე. ერთი მათგანი ჭორს წარმოადგინდა, დანარჩენები — წიწილებს, და გაიბახოდნენ ვაჟის ლექსს:

ჭორმა წიწილა წაიღო
დახდა „წიწი-წიწიასა“.

ნასიამოვნები რაფიელი, ვაჟა და ნუგზარი ბავშვებს გადაუფანტავდნენ კონფეტებს მინდორში. და ამა ვინ წინა და ვინ უკან „ერთი მეორის ხელის კვრით დავეციმოლით ამ კონფეტებს. შემდეგ დაეითვლით და, ვისაც ყველაზე მეტი აღმოაჩნდებოდა, ფულით გვასამაჯებდნენ. სიხარულით სახლისკენ მივრბოდით, უკან აღარ ვიხედებოდით. ამ ფულით ვიძენდი ჩიოის კაბას, და გოგო-ბიჭები ლა-

მანად, დარი-მუზიკაში გავერულოდი“ — ასე იგონებენ მოხუცი ქისტატურის გლეხბავშვები.

დადგებოდა თუ არა შემოდგომა, ისე არ დაწყებდნენ რთველს, რომ რაფიელს და ნუგზარს არ დაეპატრონა ვაჟა-ფშაველა. რთველი დიდხანს გრძელდებოდა ერისთავების ოჯახში. სიამოვნებით ლებულობდა ვაჟა ამ დამატებებს, თან მოუძღვებოდა განთქმულ მონადირეებს თუშ-ფეხ-ზეესტრეთიდან. ისე როგორ ესტუმრებოდნენ განთქმული მონადირენი, რომ ჯიბეი და ორემი ფუტკვეში არ ვაგვარებინათ რაფიელისათვის. ირმის რქებით ამშვენებდნენ რაფიელის მამა-პაპერს სახლს. ერისთავების მარანი განთქმული იყო მთელ კახეთში და ამიტომ როგორც რაფიელს, ისე მის მეგობრებს აქ მუყარუბიით თავის მოყრა, რაფიელი თავის განთქმულ თამაღობით უხვად უხვდებოდა საყვარელ სტუმრებს და ვაჟა მზარს უმშვენებდა ამ მოხუცებულ შგოსნს.

ვაჟა რთველში არავის ჩამოუვარდებოდა. იცოდებდა მძიმე გოდრებს, სიცილით და ღილინით მარბუნივებდა საწინახელისკენ. შემდეგ წახალისებული ვაჟა ფეხს დაიბანდა, ვვერდში ამოუღვებოდა მწურავებს საწინახელში, გადიოდნენ და გამაღიოდნენ, უმადლოდნენ ყურძნის წვესს, თანაც ზეპირად იმეორებდნენ რაფიელის „რთველს“:

აბა, ვიგო, ჩხა
თუ ვინდა,
ან ჯაჯანი, ან აკიდო,
შენი წილი ზამთრისათვის
მოლა, ზურგზე წამოგადიო!..

ხშირად იგონებდნენ ამ განვილილ ღამას წუთებს მამაჩემი ნუგზარი და ქისტატურის დარბაისელი გლეხობა.

დიდხანს არ დასცადა ეს ტყბი, გვირილო ცხოვრება რაფიელს თავის მამა-პაპულ კარმიდამოში. ერთხელ იგი ავად გახდა თელავში თავის ქალიშვილ ტასო კახიძესთან; მოხუცი რაფიელი შფოთავდა, ეხვეწებოდა ყველას, რომ წაეყვანათ ქისტატურში და იქ ემკურნალათ. მისი სურვილის შესრულება ავადმყოფობის გამო, შეუძლებელი გახდა და მოხუცი პოეტი გარდაიცვალა 1901 წლის 19 თებერვალს ქ. თელავში. პოეტის სიყვდილის ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს, ყველა კუთხიდან დაიძრა ხალხი პოეტის პატივსაცემად. უამრავ დეპეშებს შორის იყო ილიას დეპეშაც.

18 კილომეტრის მანძილზე, თელავიდან სოფელ ქისტატურამდე, ხალხმა ხელით წაასვენა საყვარელი შგოსანი, სოფელი სოფელს აბარებდა პოეტის კუბოს. თელავის საზოგადოებამ კუბო ჩააბარა სოფელ ვარდისუბანს (პოეტ გიორგი ქუჩიშვილის სოფელი), ვარდისუბანმა — რუის-

ბირს (ლადო მესხიშვილის სოფელი), რისიპირმა — ივანეთს. ასე სოფელი სოფელს უერთდებოდა. სოფელ ქისტაურის დასაწყისში შეხვდნენ მუხომოდრეკილი თუშ-ფშავე-ხევსურნი და ნიკო სულხანიშვილის მეთაურობით დაავადუნეს „სამშობლო ხევსურისა“. მთამ, აღაზნის ველმა, ტყემ, მშობლიურმა მიწამ ხმა ჰისცა უკვდავი ხალხის გვგუნს. ვაჟა-ფშაველამ თავის ლექსით შეამკო რაფიელის მარადიული ხსოვნა. რაფიელის კუბო დასვენეს მის მამა-პაპულ კარშიდაშოში (ამჟამად იქ არის რ. ერისთავის საბ. მუზეუმი, სოფ. ქისტაურში), შემდეგ პროცესია გაემართა ერისთავების საგვარეულო

ეკლესიაში, სადაც რაფიელის მამა-პაპანი ასვენია. რაფიელს თავს გადმოკუთრებდა კვლავ მღვარი, საიდუმლოებით მოცულ კვლავ კოშკში ხშირად თავს იცავდნენ ტყეში გახიზნული, ცარიზმის უსამართლობით გულმოკლული ხიზნები. ერთმა მათგანმა, თუშმა, გვარად ჯიბუტმა — ხალხში „ხარებას“ სახელით ცნობილმა, მწუხარება ლექსით გამოხატა.

1938 წელს 20 ნოემბერს პოეტ რაფიელის ნეშტი გადმოასვენეს ქ. თელავში ირაკლი მეფის ციხე-გალავნის ეზოში, სადაც ამჟამად მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.



ვიქტორ გავესკირიას რჩეული ლექსების კრებული

ვიქტორ გავესკირიას ლირიული ლექსების ერთობილი უფრადლებას იპყრობს ავტორის ჩამოყალიბებული შემოქმედებითი ინდივიდუალობით, საკუთარი თემებითა და წერის ორიგინალური მანერით. ეს კრებული რომელიც ხასიათდება ნაძვლილი მხატვრულობით, მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ვ. გავესკირიას ლექსებს ყოველთვის შეეცინობთ, გამოვარჩევენ ძრავად სხვა ავტორთა ლექსებს შორის. ყოველ ნაწარმოებში, ყოველ სტრიქონში იგრძნობა პოეტის თავისებური სახე, ინტონაცია და სტილი; მისი პალიტრა შედგება ნათელი ფერებისაგან. ვ. გავესკირია ჰემსარიტად ფლობს პოეტურ სიტყვას.

ვ. გავესკირია უმთავრესად ლირიკოსია, მისი ლექსების ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ღრმად წყდება ადამიანის შინაგან ბუნებას, ხატავს მისი განცდებისა და შუგრძნებების დარღულებულ სურათს. მან კარგად იცის, რომ სუბიექტივიზმის შიშით პოეზიიდან არ უნდა განვდევნოთ ყოველგვარი სუბიექტური საწყისი. პოეტის პირადი გრძნობები, განცდები, ურთიერთობანი, ბუნებრივად დაკავშირებულია სამოქალაქო ყოფის დიდ მოვლენებთან. მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან გამოძინარე საზოგადოებრივი მოვლენები იჭყვია პოეტის პირადი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, ინდივიდუალური განცდების განუყოფელ ნაწილად. ადამიანის შინაგანი ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანულ ურთიერთობაში წარმოდგენის საუკეთესო ტრადიციები მოცემული გვაქვს ქართულ კლასიკურ ლირიაში.

ვ. გავესკირიას მხატვრულ მანერის საღებველი თხრობაა. მის ლირიკას ორგანულად აქვს ეპიკურობის ელემენტები. ამიტომ მის ლექსებს არ ახასიათებს რიტორიკა და აბსტრაქტულობა, მისწრაფება უაზრო პათეტიკისაკენ, უმიზნო ეფემერურობისაკენ. მათი ნიშანდობლივი თვისებაა თხრობის სისადავე, სასაუბრო ინტონაცია, რა მწვავე საკითხისადმიც არ უნდა იყოს მიძღვნილი ვ. გავესკირიას ლექსი, მისი ხმა მაინც

ყოველთვის მშვიდი, განსაზღვრული ტონისაა რჩება, თითქოს პოეტს ეშინია მღელვარების, სიმძაფრის. თვით პუბლიცისტურ-პოლიტიკურ თემსაც, რომელიც მოითხოვს პათოსს, დაამბუღლობას, მგზნებარებას, იგი ჩვეულებრივად წარმოგვიდგენს ნახ ლირიულ აძლერებაში. ასეთია მისი ნიქის თავისებურება.

პოეტის ადრინდელ ლექსებში ნაკლებად მოჩანდა ღრმა ათვისება ცხოვრებისა, როგორც რთული, წინააღმდეგობების შემცველი პროცესისა. უღრტივიეული სიშვიდე, იდეალური კეთილშუკულება განსაზღვრავდა ამ ლექსების შინაარსს. მათი ძირითადი ტონი ელვგოური, მინორული იყო და მკითხველი ვერ ვგრძნობდა პოეტის სულიერ მღელვარებას. თავის დროზე ვ. გავესკირიას მართებულად აკრიტიკებდნენ შინაარსის „შეზღუდულობისათვის, სიეწროვისათვის. თავისი ნაწარმოებების სფეროდ მას არჩეული ჰქონდა ე. წ. „მარადი“ თემები, რომლებშიაც ხშირად გამოსჭვიოდა სვედის გამოხატველი განწყობილებები.

მრავალ ლექსში ვ. გავესკირია გვიხატავდა ხელუხლებელ პრიმიტიულ ბუნებას უაღამიანოდ. ვაცის ბუნებები და თხმელის ხეები შეადგენდა ერთ ღროს მის საუვარელ საგანს. მაგრამ ბუნებაზე დაწერილ ყოველ ლექსში მკითხველი მაინც ვგრძნობდა თვით ავტორის თავისი მახვილი თვლით, რომელიც ხედავდა, ვგრძნობდა მის ვარშემო არსებული ბუნების სიღამაზეს და მისგან გამოძინარე ყველა ვანცდას ვკიხატავდა ფილოსოფიურად. იგი იმეორებდა რომანტიკულ პოეზიაში ვავრტულებულ თემს („ხტუის პირის“), სადაც ვამმარტობებულად მდგარი ხე წარმოდგენილი იყო ადამიანის სიმბოლოდ. ვ. გავესკირიამ შექმნა კალი ლექსებისა ზღვის შესახებ. შავ ზღვასთან დაკავშირებული ასოკიაციები, ვანწყობილებები, წარმოდგენები ვამოხატული იყო ლირიულ სიმღერებში და ასახავდა პოეტის სიუვარულს ბუნების ამ მარად ლამაზი, მომჯადოებელი ელემენტისადმი.

ლექსებში ბუნების შესახებ მკითხველი ვრძნობდა

ნობდა, რომ ეს არ იყო გაქვეყნებული დეკორატიული სურათები, არამედ რეალური სამყარო, რომელიც იტაცებდა მას თავისი სიდიდით, სიმშვენიერით. ახალ ლექსებშიაც ვ. გაბესკირია კვლავ გვიხატავს ბუნებას, მაგრამ იგი ახლა ღამაჩაყოებს ბუნების შესახებ, როგორც ადამიანთა ცხოვრების, პრაქტიკის ორგანულ ნაწილზე. ადამიანის მიერ დაპყრობილი ბუნება კი არ კარგავს თავის ღირსებას, თავის სიდიადეს, არამედ ახალ სიღამაზეს იძენს. პოეტს ახასიათებს ფერებისა და დეტალების სიზუსტე. მის მიერ ასახული ბუნება საუბრისოა არა მარტო რეალისტრობით, არამედ სურათების ნატიფობით, ღრმა ლირიკულობით.

ვ. გაბესკირიას საუკეთესო ლექსები გამსჭვალულია მხურვალე სიყვარულით სამშობლოსადმი. სამშობლოს სახე თან დაჰყვება პოეტს ყველგან, რაც მის მიერ გამოხატულია სურათებში, სცენებში, ისტორიებში, რომლებიც ღრმად იბეჭდება მკითხველის მეხსიერებაში. მისი სიყვარული სამშობლოსადმი — ეს არის, უპირველეს ყოვლისა, სიყვარული მშობლიური ხალხისა და ისტორიისადმი, მისი თვალწარმტაცი ბუნებისადმი. („სალამო ზღვაზე“, „დღეები სტუმარი“, „გაზაფხული ტყეში“, „ცხრა ძმა ზურხელთა“, „ახალგაზრდა ქვრივი“, „ტყვე ძალი“, „ნანგრევთა საიდუმლო“).

ვ. გაბესკირია ესკიზური შტრიხებით გვიხატავს იმ ახალს, რაც ახასიათებს ჩვენი ეპოქის ადამიანების შინაბუნებას. იგი ასახავს სამამულე ომის გმირებს, რომელთაც სიმტკიცისა და სიმამაცის მრავალი მაგალითი მოგვცეს. ამ მხრივ დამახასიათებელი ლექსებია — „სალამო დგება“, „ფიცო“, „მართა“, „ავადმყოფი“, „სოფლის სტუმარი“, „მოხუცი ცოლქმარი“, „ცხრა მამის“.

ვ. გაბესკირიას პოეზიაში მთიან ყოველთვის მთავარ თემას წარმოადგენდა კოლხიდა. ჩვენი ქვეყნის ამ ღამაში კუთხისადმი განუსაზღვრელ სიყვარულს ამჟღავნებდა პოეტი იმ ლექსებში, რომლებიც მიძღვნილი იყო ძველი კოლხიდის ბუნებისა და მისი ადამიანებისადმი. ეს სიყვარული ღღეს კიდევ უფრო გაძლიერებულია განახლებული და აყვავებული კოლხიდასადმი.

ყოველი ნაშრომი შემოქმედი პოეზიაში შემოდის არა მარტო თავისი აზრების, გრძობების, ინტერესების წყობით, არამედ მათი გამოთქმის წყობითაც. კუშმარტ ლირიკაში ძლიერ სახეებს ზადებს ღრმა აზრები და განცდები. ვ. გაბესკირიას ლექსებისათვის დამახასიათებელია

მაქსიმალური სიზუსტე და მომჭირნობა გამოხატულებითი საშუალებების, რიტმის და დენის ყოველივე ზედმეტსა და ზედმეტს ბულოს ლირიკული სიუჟეტისათვის. თავის შთაბეჭდილებას, განწყობილებას იგი უმეტეს შემთხვევაში აძლევს ნათელ გამოხატულებას. სიუჟეტის გამოყვეთილობა, არქიტექტონიკული მთლიანობა განსაზღვრავს ვ. გაბესკირიას ნაწარმოებთა ხასიათს („ზღვათთან“, „ავადმყოფი“). იგი გაუბრძნო ვაშლილ აღწერას და ლექსს აგებს ნოველისავით, ლაკონიურად. მართლაც, ლირიკოსმა პოეტმა საგანმა და მოვლენას უნდა შეხვდეს უბრალოდ, რათა შეინარსოს მთავარი, არსებითი. ლირიკულ ნაწარმოებში გაგრძელებულმა მსჯელობამ, ენაშუქვრობამ არ უნდა შეეცალოს ცოცხალი გრძობა და მისი ნათელი, მართებული გამოხატვა.

ვ. გაბესკირიას არ იტაცებს ამბის უცნაური, არაბუნებური თხრობა, უბრალო სიტყვებით იგი გამოხატავს ღრმა აზრს. სიტყვას და წინადადებას ყოველთვის ავსებს ზუსტი შინაარსით, მთითოეული სტრიქონი გამოიხედავს ძირითადი იდეის გახსნისათვის. კეთილშობილური სისხლადვე ახასიათებს მის ენას.

მიღწერათის რა ლირიკული სურათის ფსიქოლოგიურა გაღრმავებისაკენ, ზოგიერთ ლექსში ვ. გაბესკირია ვერ ნახულობს იმ დამახასიათებელს, რაც განსაზღვრავს მისი ლირიკული გმირის გრძობებისა და განცდების სულიერ სახეს. სიწმინდესა და სიახლეს. ღრამატული, მძაფრი საწყისები არა აქვს მის ზოგიერთ ლექსს.

სინათლის, ბუნებრიობის ძიებისას ვ. გაბესკირია დროდადრო კარგავს ზომიერებას, რას შედეგადაც ლექსის აზრსა და მის მხატვრულ გახსნას შორის იქმნება წინააღმდეგობა.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ასეთი საყვედური უფრო ნაკლებად ითქმის ვ. გაბესკირიას ბოლოდროინდელი ლექსების შესახებ.

გამოტრია, ერთფეროვნება ზურხებისა, ინტონაციებისა, სახეებისა, დიდი საფრთხეა შემოქმედებისათვის. პოეტი მუდამ შეუვსებლად უნდა ეძიებდეს ახალს, უკეთესს, სრულფასოვანს. გესურს, რომ ვ. გაბესკირიას ლექსებში მეტი გასაქანი ჰქონდეს ახალ აზრებს, მათში მეტი მგზნებარება, მეტი პოლიტიკური სიმამხილე იგრძობოდეს. პოეტი უფრო მეტად უნდა აყვავებდეს თემატიკურ მრავალფეროვნებას.

დაუმთავრებელი სიმღერა



წიგნის მალაზიის ვიტრინაში დაეინახე ვახტანგ ნადარეიშვილის წიგნი „დაუმთავრებელი სიმღერა“. წიგნს ამშვენებს პოეტის პორტრეტი. ვახტანგი ოდნავ სევდიანრევი ღიმილით, ღრმად ჩაფიქრებული ჩასტკერის ახლადანთებულ ასანთის ღერს, თითქო გრძნობს, რომ იმ ასანთის ღერივით მალე დაიწვება და გათავდება მისი სიცოცხლე. სევდიანია სურათში ვახტანგის გამომეტყველება:

ჰა, მომცრო წიგნი...
დაოვლილი ლექსი,
ძუნწი სტრიქონი, ორიოდ პწკარი...
რა ექნა, მაშელო,
შენს სიყვარულში
მე ამის მეტი ვერ მოვსწარი.
თუმც იმედი მაქვს ამ სტრიქონების,
ეგნებ ალალი სიტყვა მეც გიფხარა...
მიანც მათ შენი იმედით ვტოვებ,
რადგანაც მჯერა
შენ ჩემს სიყვარულს
სტრიქონებს შორის ამოიკითხავ.

„ძუნწი სტრიქონი“, „ორიოდ პწკარი“ ვ. ნადარეიშვილის შემოქმედების ლაბორატორიული ნიშანდობლივი თვისებაც არის. ვახტანგის ლექსს გრძნობის გამჟღავნებაში რაინდული თავშეკავება შეუწის. მის ლექსს ფოლადის სიმკვრივე და გაზაფხულის სინეღლე გადაჰქრავს.

ვ. ნადარეიშვილი ცხოვრებისა და ლიტერატურაში მოკრძალებულობის გამოსატყულება იყო. მუდამ უტრადლებიანი და აღერსიანი მინახავს იგი. ვ. ნადარეიშვილის ხანმოკლე სიცოცხლის უოველი წიგნი საკვებ იყო ჩიტიმით. მახსენდება მის მიერ საჩუკელიდან წაკოხლები ლექსი, რომელიც ამ წიგნშიც აღმოჩნდა.

გამოივარე შენს აივანთან
წვიმდა და წვიმდა თავგამეტებით,
და მე ვიგრძენი,
თურმე უშენოდ
კი არ დავდივარ, დავებტები...
და მე ვუშაღლი აბუზარ წვიმას,
რომ ისევ აქეთ გამოშტარა...
შენს აივანქვეშ,
შენი ბავშვობის
წინსაფრის ჯიბებს რომ ჰგავს პატარას...
ის ფანჯარა მაშინ ღია იყო,
ის ფანჯარა...
ეჰ, რაც იყო, იყო...

ავადმყოფი პოეტის წინათგრძობა მკვეთრად იხატებოდა სტრიქონებში: „მე ეს სიცოცხლე და ეს ცხოვრებაც შენს ნაწინავეებზე მოკლე მეჩვენა“.

ვ. ნადარეიშვილი ჩვენი ახლგაზრდა ხარბის ერთი მოწინავეთაგანი იყო: ის ხელმძღვანელობდა და მწერალთა კავშირის კომკავშირის ორგანიზაციას; აწყობდა ლიტერატურულ სადამოებეს, ექსკურსიებს, საქადრავო ტურნირს მწერალთა შორის და სხვა.

ასე ხალისიანი ვახტანგის საზოგადოებრივ საქმეში. ის გულწრფელად უმღერდა უოველივე ახალს — კომუნისმის დიად საქმეს. ვ. ნადარეიშვილისათვის წარსული და იწმყო სამართლიანად ერთ განუყოფელ სხეულს წარმოადგენდა და სათუთდაც ეხებოდა ამ სხეულს. ერი, რომელიც წარსულში მტერთა მოგერიების მიზნით ხმლებს ჰედდა, ახლა ფოლადს აღნობს, პოეტი რუსთავის მეტალურგებს ომახიანად შესძახებს: „გამოდინდეს, ჩამოდუღდეს, გულით გავევალიბებით... გულს ფოლად ნუ მოაკლდეს, ვით გაზაფხულს უვავილებია“...

ვ. ნადარეიშვილი იშვიათად გაირვედა ხმაში სიყალბის ნატაპალს. მის გულში დაბადებულ თემას ძირამდე ჩასდევდა და ვიღრე სათქმელს მძაფრ ევანბს არ მოუნახავდა, ლექსისთვის ქადაღდეს არ შეაწუხებდა. ამიტომაც ვ. ნადარეიშვილის ზოგიერთი ლექსი ნამდვილი პოეზიის ხარისხში აღის.

ამ წიგნში გვხვდება ლექსი: „ცხრა ძმამ გაიყო“. ლექსი იწვება დედის დიდებით, შემდეგ პოეტს კრწანისის ველზე გადავყავართ:

კრწანისში ვნახეს, ქართლის დედაო,
ჯერ უთუნებლიე გავრა ხნელში,
სევდა შეეცნოთ შენს სიარულში რა
ბოლოშეხსნილ მუქ თავსაფარაში.
შენ ცხრა გოლიათს თვალი კი არა, მათი
გამზრდელი ბუბუ ეჭებდა.

ცხრა დაფლეთილ ვეჯაკს შორის დაილანდებოდა დედა და როგორც მისი ვედრება ბრძოლის წინ, მისი წუხილიც უხმო ყოფილა. იღუმალღებით დაწერილ ამ ლექსში არის რაღაც ქართული სივადეკის მარადიული შეგრძნობა.

ვ. ნადარეიშვილთან ერთად ბევრჯერ ვყოფილეთ სამეფრის ვადამწვარ ველზე, დღევანდელ ზღვის ფსკერზე—ჩახავსებული ტბების გამლაშებულ და ვადათეორებულ ნაპირებზე, ბავშვებზე დაბტოდნენ და თამაშობდნენ, სადაც სულ მალე იორი უნდა შემოსულიყო არბით:

აი, დაშალეს ბოლო ფიცრულიც
და მოშავალი ზღვის ფსკერს დაშორდნენ,
სადაც მქქეფარე ზეირთ-ბის ნაცულად
ჯერაც ბავშვები დათამაშობენ.

ერთხელ მწერალთა ერთი ჯგუფი სამგორს ვეწვიეთ. მზე მხურვალეებს არ გვაკლებდა. ახალგაზრდებმა ფეხბრტით კი ვითამაშეთ, ვახ-



ტანგი გაცივდა და სარეცელს მიუჯავდა. დრო-გამოშვებით გამოეჭკეოდა ზოღზე ოთახს, უბრუნდებოდა „დროის“ რედაქციაში თავის მავიდას, ლიტერატურულ სიღამოებს, მწერალთა კამერის ბაღში ჰადრატის თამაშს, ზოგჯერ თითო კვირასაც ვაზდვადედა იგი შეოცე სატყუნეში სიუჲარულის რაინდად შეიძლებოდა წარმოგედგინა; უსპეტაცესი გრძნობით გამსჭვალული შემოგვხედებოდათ ყოველთვის იგი.

ვ. ნადარეშილი წერდა: „ქალს ვაზრდილ შვილთ აქებენ, ვაკაცს — მოყვანილ ყანითა“. და რამდენიმე ლექსში ოქროსფრად აბიბინებულ ყანებს გვიხატავს: „რა ცხოვრად მოსულა... კილს იხსნის თავთაგი, ვით ძეძუ ფარჩიდან, მოუჩანს ხორბალი“.

დათოვლილ ჩიტაძის ქუჩას, სკოლის თეთრ კედლებს, შერხებს და ღია ფანჯრებს, ფანჯრებიდან თბილისის გამოჩენას, მასწავლებლებს, ბავშვური გულწრფელობით იხსენიებს. შემდეგ ომის გზებს გაგვიშლის, სადაც: „სანგრებიდან სანგარს გადასვლა კლასიდან კლასში გადასვლას ჰგავდა“. ამ ლექსში მეომარი — ვ. ნადარეშილის პროტოტიპი, რომელსაც მასწავლებლის მაგიერ ბრძოლაში ისტორია ედიდა, „ფლოადის ვნით“ იმეორებდა თურმე სკოლაში ნასწავლს, და ეს მეომარი, რაიხსტაგზე რომ აწერდა განვლილი ბრძოლის ამბებს, მასწავლებლებს მიმართავს:

ეს ერთადერთი ნაწერი იყო, რომელსაც თქვენც ვერ შეგვისწორებდით.

ვ. ნადარეშილი მეგრძოლი სულის, სიღამა-ზის დამამკვიდრებელი პოეტტ **გუგუნი** ვინც კი გვახსენოს, ერთდღე **გვიჩვენოს** შენზე კარგი თქვან, ჩემზე — რაც უნდათ..

ზოგთა მსგავსად სიკვდილზე უნითო წუწუნს ნადარეშილის პოეზიაში ვერ შეხვდებით. როცა ის სიკვდილზე ლაპარაკობს, მხოლოდ სიცოცხლის სიღიადეს ეზიარება. ვ. ნადარეშილი უსათუთეს არსებასავით ესაუბრება დედამიწას, მშობელ მიწას:

შე შევიწოვე ეს სიმბურვალე, შე ის ძარღვებში შეუშვი სისხლად, და ამიტომაც

— მიწა ვავისკედეს...

არ მიმანია უმალეს რისხვად.

ვ. ნადარეშილის ცხოვრება, მოხელეად ხანგრძლივი ავადმყოფობისა, მაინც სიცოცხლის ზეიმს ჰგავდა. ასეთი იყო შესანიშნავი პოეტი, შესანიშნავი მეგობარი და სიუჲარულის რაინდი. სჯეროდა თავისი სიცოცხლის სიღამაზისა და სიძლიერის, ეს ასულდგამულებდა და აიშვებდა, სწამდა, როცა ის აღარ იქნებოდა ქვეყნად, მაინც თვალს ვაახელდა სტრქიტონებთან:

აღარ ვიქნებითო —

ვინა სოქვა?

დღეს თუ ვართ, მუღამ ვიქნებით,

მაშ დღეს არაა ვყოფილვართ,

თუ გაქრათ როგორც ფიტრები.

ზნაბ ლორთქიფანიძე

6. კეცხოველი — „საქართველოს მცენარეული საფარი“

ჩვენი ქვეყნის მცენარეული საფარის მკვლევართა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკირავს აკად. ნ. კეცხოველს, რომლის კალამს ვუთუენის მრავალი გამოკვლევა თუ მონოგრაფია, მიძღვნილი საქართველოს მდიდარი და მრავალფეროვანი ფლორის წარსულის, აწმყო-სა და მომავლის შესწავლისადმი. აკად. ნ. კეცხოველის ახალი ნაშრომი „საქართველოს მცენარეული საფარი“ აჯამებს და განაზოგადებს მენციერის თითქმის 40 წლის მუშაობას.

თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე აკად. ნ. კეცხოველი ქართველი ხალხის მრავალსაუქუნოვანი საწარმოო ტრადიციების უბრალო ფიქსაციას კი არ ახდენს, არამედ ხალხის სასარგებლოს ახალი ნაშრომი „საქართველოს მცენარეული საფარი“ აჯამებს და განაზოგადებს მენციერის თითქმის 40 წლის მუშაობას.

ახალ ნაშრომშიც დოკუმენტური თვალსაჩინოებით აქვს ახსნილი ტყეების უღიერი ჩეხვითა და განადგურებით, საძოვრების უსისტეო გამოყენებით და სხვა მიზეზებით გამოწვეული საზიანო მოვლენები; დამანგრეველი ძალის ზელოვნური ეროზია, ნიადაგის სტრქიტურის დარღვევა-გაღარიბება, ჰიდროგრაფიული რეჲრის გაუბრუნება, მიკროკლიმატის ცვალებადობა, ნაკლებ სასარგებლო მცენარეული საფარის გაჩენა და სხვა მრავალი. საქართველო ძირითადად მთა-გორიანი ქვეყანაა და ყველა ეს უარყოფითი მოვლენა განსაკუთრებით მკვეთრად ახდენს გამოვლინებას. ისიც კარგად არის ნათვინები, რომ ეს ცალკეული უარყოფითი მოვლენები ლოკალური ფარგლებიდან გამოდის და საბოლოოდ დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის მურტრეობას. ფაქტია, რომ ლიავის, ქსნის, ივრისა

თუ აღაზნის შორეულ სათავეებთან მომხდარი უარყოფითი მოვლენები სახიანი გამოვლინების პოვებენ ქართლისა და კახეთის ნაყოფიერ მიწ-
დურებისა და ბაღ-ვენახებში. ნათელა, რომ მეცნარეულ საფარზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის მრავალფეროვანი ცხოვრება, მისი აწეყო და მომავალი. არსებული მეცნარეული საფარის შენარჩუნება და გამჭარბული მეცნარეულის გვეგამაზიმიერია, მეცნარეულ საფუძველზე დამყარებული აღდგენა აკად. ნ. კეცხოველის ამ მრავალმხრივ საერთაღლებო ნაშრომის ღერძეული საკითხია. მეცნიერულად დასაბუთებული ამ ხასიათის მრავალი პრაქტიკული რჩევა წიგნის შემეცნებითს მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის.

ავტორის საქართველოს მეცნარეული საფარის ცალკეულ დაჯგუფებათა გენეზისისა და განვითარების საკითხები პირველრიგში განხილული აქვს ბუნებრივი მოვლენების კანონზომიერებათა შექმნე. დადგენილია სხვადასხვა სეზონის კავშირი გეოლოგიურ და ისტორიულ ეპოქათან, მათი პირველადი თუ მეორეული წარმოშობილობა და განვითარების ხასიათი. აღსანიშნავია, რომ მეცნიერულად შესწავლილი და განხილული ეს მასალა საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებული სიმკვეთრით სწორედ ისტორიულ ეპოქებთან დაკავშირებულ ფლორის-ტრეულ ცვლილებებს გამოავლენს. ისტორიულ ეპოქებში ბუნებრივი პროცესებით გამოწვეული ცვლილებებიც მიმდინარეობდა, მაგრამ უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი იყო მეცნარეული საფარის ცვლა და მეორეული ცენოზების განი-
ნა სამეურნეო ფაქტორების ზეგავლენით. ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ფაქტის დადგენა, რომ ასეთი ცვლილებები საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის ტერიტორიაზე უძველესი და საგრძნობლად ფართო ხასიათისა ჩანს პირველ რიგში ხეობათა ხაზზე. და ეს კანონზომიერებაა, რადგან სწორედ გამოყოფილი ხეობათა ზოლი უნდა ჩაითვალოს საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე ადამიანის საეურ-
ნეო საქმიანობისა და, მაშასადამე, დასახლების თედაპირველ გარემოდ. მაგალითად, ავტორი ხაზს უსვამს მეტად საყურადღებო ფაქტს, რომ დახტური ხეობებში, სადაც აღმოსავლეთ საქართველოს ვაკე ადგილების უდიდესი მტერი ცხელი (ქვენი) ქარი ვეღარ მოქმედებს. შე-
მონახულია არათუ თითო-ოროლა კოლხური მეცნარე, არამედ მთელი ტიპობრივი დაჯგუფებაჩი კი (გვ. 143), რომლებიც შეიძლება თავისებური ინდიკატორებიც არიან. მაგრამ ამასთანავე დადგენილია ისიც, რომ სწორედ გამოყოფილ ხეობებში ძალზე აღრვა დაწეებულ ქსეროფიტხაიის პროცესი და რომ ადამიანი იყო მთავარი ფაქტორი ქსეროფიტების გავრცელებას. ისიც გარკვეულია, რომ უფრო მშალდი ადგილსამყოფელის მეცნარეულების (ველის მეცნარეულობა და კლდეთა ქსეროფიტები) და-

სახლება და მათი თანდათან გადასახლება ჩვეულებრივ ძირიდან მალა ხდებოდა. ეს პროცესი, ჩვენი აზრით, ზოგადად გამოიხატება ხეობებში მიწათმოქმედების საერთო განვითარების ტენდენციას, რაც უმთავრესად ტუის გაავსებას ალბაში პოვებდა გამოხატულებას და რაც სხვა ხასიათის და, პირველ რიგში, ეთნოგრაფიული გამოკვლევებითაც დასტურდება. გარდა ამისა, როგორც ავტორი აღნიშნავს, ადამიანის ზეგავლენა მალა მთაშიც ასევე მკვეთრად გამოსახული, რადგან უხსოვარი დროებიდან სუბალპებისა და ალპების მდელოები გამოყენებულ იყო საძოვრებად და სათიბებად, რომელთა უწყესო გესპლოატაცია ხელს უწყობს პირველადი სახის ცვალებადობას. აკად. ნ. კეცხოველის წიგნში მკაფიოდ არის ნაჩვენები ადამიანის ჩარევით გამოწვეული ის პროცესები, რომელთა შედეგად ვაკე ტყეებთან ერთად ფერდობების მუხნარება და რცხელნარებზე, მათ ნატყევარ ადგილებზე ძეძვიანები და ჯაგველიანები განიწილი. ასევე ნათლად არის ნაჩვენები მთის ფერდობებისა და ქალის ნატყევარებზე გაიწილი უროიანი ველებისა, რომელთა დიდი ნაწილი მეორეული წარმოშობისაა და უკავშირდება ისტორიულ ეპოქებს. ათუ დროულად არ მოხდა ადამიანის გონივრული ჩარევა, გავრთობილებს ავტორი, — შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენი დაბლობის და მთის ქვედა იარსების ტყეების ნაცოლად ხელში შეგვარება ველის ტიპის ფორმაციები» (გვ. 231). მეცნიერული კვლევის მრავალმხრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომ განსაკუთრებით კავასიის მდინარეთა გამოყოფილ ხეობებში ამჟამად გავრცელებული მრავალნაირი დაჯგუფება — ზოგიერთი ძეძვიანი, მთის ღვიანი, ჯაგველიანი თუ სხვა, განვითარებულია სხვადასხვა ტიპის ტყეებისა ან სხვა უფრო მეზოფილური დაჯგუფების მოსპობისა და უკან დახთვის შედეგად. მეცნარეული საფარის დონაშია გათარევისისაგან ცვალებადობას გამოავლენს. შედარებით მეზოფილური დაჯგუფების სწრაფი ნაბიჯით მიიწევა და მიიწევენ წინ გაქსეროფიტებისაკენ. აკად. ნ. კეცხოველი დამაჯარებლად დასაბუთებულად თელის მონარებას, რომ ქსეროფიტები წარმოიშვა არა მარტო დაღესტანსა და სომხეთში, არამედ ეს პროცესი ქსეროფიტების წარმოშობას, შედარებით, ერთდროულად და თანმიმდევრებით ხდებოდა კავკასიონის მდინარეთა ხეობებში, განსაკუთრებით კი გამოყოფილ ხეობებში და სამხრეთ კავკასიონზე (ა. გროსკეიმი, ა. თემიჯანოვი).

აკად. ნ. კეცხოველის წიგნში ნათლად არის ნაჩვენები მეცნარეული საფარის მეცნიერული შესწავლის ფონზე ჩვენი ქვეყნის უაღრესად მრავალფეროვანი ბუნებრივ-სამეურნეო თავისებურებანი. მიკრორელიეფები და მიკროკლიმატები, თერმული რეჟიმი, ტემპერატურის გრა-



დინტები და მცენარეულის განვითარებას ვერ-ტიკალური ოპტიმალური პირობები, პირობ-გრაფიული თავისებურებანი და სხვ. განსაკუთ-რებით საყურადღებოა წიგნში მყოფოდ ნაშე-ვნები ბუნებრივ-სამეურნეო ფაქტორი — რელი-ეფისა და მცენარეულის ექსპოზიცია, რასაც სამხრეთის მთავარიან ქვეყნებში ერთ-ერთი არ-სებითი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. სამხრე-თისაკენ მიქცეული განათებული ფერდობები ხალხში „მზარად“ წოდებული (საინტერესო ვა-რიანტებია „მზორე“, „მკორე“ — დუშეთის რა-იონი, „პირიშობი“, „მზოში“ — კახეთი) სამე-ურნეო თვალსაზრისით განირჩევიდა ნაელზე გა-ნათებული ფერდობებისაგან, რომლებიც „ჩირ-დილის“ სახელს ატარებდა. ჩვენი ბუნებისა და მეურნეობის ისტორიის თვალსაზრისით ასევე ძალზე საყურადღებოა წიგნში ფართოდ მოცე-მული დახასიათება ბუნებრივი და ხელოვნური ეროზიისა, რაც ჩვენი ქვეყნისათვის ასე ზნე-ციფორია. ღვარცოფების შესამიკრებლად ისევე მცენარეულის საფარის დახმარება გვიჩვენებ-და ამისათვის კი აუცილებელია არსებული საფარის შენარჩუნება, აგრეთვე ამ საფარის აღდგენა. ტყის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ირკვევა, რომ ტყე იქ ისობოდა, სადაც მისი არსებობა ყველაზე აუცილებელი იყო. საპიროა საძოვრე-ბის წინდახედული გამოყენება. აკად. ნ. კეც-ხოველი ყურადღებას მართებულად ამახილებს დამკორდებელი ბალახულის მოშენებაზე, რა-საც ხალხის სამეურნეო პრაქტიკაში დიდი ხნის გამოყენება აქვს. აღსანიშნავია ამ მხრივ ზემო სენათის სამეურნეო ყოფა, სადაც ირი-გიციც კი მარჯვედ არის შეხამებული სათიბ მეურნეობასთან და ფერდობ ადგილებზე სკონლის საკვები ბალახების ყუთიანი და, ამავე დროს, დამკორდებელი. სხეობა-ნია ძველთაგანვე გავრცელებული. ზელოვ-ნურ ეროზიებს აქ ნაკლებად აქვს ადგილი. სამშესაროდ, ამ წერალში არა ვაქვს შესაძ-ლებლობა სავანებოდ შევხებით აკად. ნ. კეც-ხოველის წიგნში განხილულ შრავალ საინტე-რესო საკითხს, როგორცაა, თუნდაც, ბუნებრი-ვი და ზელოვნური ტერასების, კალბის, ტყის მეურნეობის წარმოების, ელური ხილის, მცე-ნარეულის გაყუდტურებისა და სხვა საკითხები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის თავისებურ და შრავ-ელფეროვან ბუნებრივ-სამეურნეო გარემოსათ-ვისაა დამახასიათებელი. უღვაია რომ ყველა ამ ფაქტორს ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მის ზეობათა შიგნით, მთიდან დაწყებული ბა-რამდე, მიწათმოქმედებისა და მიწათმოქმედების განვითარებისათვის ისტორიულადვე არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ვ. ი. მას უნდა ემოქმედა სოციალურ-ეკონომიური განვითარე-ბის ისტორიაზეც. სხვათა შორის, ამ მხრივ ძალზე საყურადღებო ჩანს ქართული წერილო-ბითი წყაროების, განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის დოკუმენტების

თავისებური ენა, რაზედაც არა ერთხელ მიუჭ-ცევია ყურადღება აკად. ნ. კეცხოველს რამდენ-ნადაც მცენარეული საფარის [ქვეყნის] მსგავს ისტორიული ფლორის წარმოშობა თუ გაქრობა ზოგად ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება, ხოლო ეს პროცესები კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო გარემოში მიმდინარეობს, ბოტანიკ-ური მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგებს ზოგადად ქვეყნის ისტორიის, კერძოდ, ქვეყნის სამეურნეო და სოციალური ისტორიის შესწავ-ლის პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭებათ. ეს დასკვნა ახალ, ნათელ დადასტურებას პოვებს აკად. ნ. კეცხოველის ამ ფართო მნიშვნელობის საყურადღებო ნაშრომით.

მცენარეული საფარის ისტორიული წარსუ-ლის კვლევისათვის აკად. ნ. კეცხოველი სამარ-თლიანად ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელო-ბას გეოგრაფიულ სახელებს. საერთოდ, გეოგრა-ფიული და, განსაკუთრებით, სამეურნეო ადგი-ლების სახელწოდებანი უმრავლეს შემთხვევაში ინახავენ კონკრეტულ შინაარსობრივ მხარეს და ხშირად გარდასული ვითარების კარგი ამსახ-ველნი არიან. სამეურნეო ტოპონიმის სისტე-მით აღწვსება და მეცნიერული დამუშავება უდავოა, დიდად დაეხმარება ჩვენი ქვეყნის ბუნებისა და მეურნეობის ისტორიის სურათის აღდგენას. ავტორის დაკვირვებით, ნაკადულის სახელწოდება „ნამწვევის წყალი“ უნდა ასახავ-დეს ანთროპოგენური ცენოზის ადგილსამყოფე-ლის სახელწოდებას. ამ შემთხვევაში იფიქს-ჩდება ნახანძრეზე, ნამწვრეზე ბუნებრივის გაჩენა. გამოკვლევებით დადგენილია, რომ გან-საკუთრებით ბევრგანაა ბუნებრივი განვითა-რებული იქ, სადაც ტყის მოსაპობის შედეგ დარჩა ქვეტყის ბუნებები, რომლებიც გაძლიერდა და შედეგად ზეებს აღმოცენებისა და გაზარდა ისევეადაც აღარ მიეცათ. ამის ნათელ სურათს შემთხვევებით ტყის, ნატყევიანი შინდერებისა და ახოების საქართველოსათვის დამახასიათებე-ლი ლანდშაფტებიც იძლევიან, რაც საინტერე-სოდაა ასახული წიგნის ილუსტრაციებში. ავტო-რის ზეპოლინიშნულ საუბრადღებო დაკვირვე-ბას ეხმარება ქართული ეთნოგრაფიების შიერ ცოცხალ ყოფაში შეგროვებული სამეურნეო ტოპონიმის მასალები, სადაც განსაკუთრებუ-ლი ადგილი უჭირავს ახოს აღების სისტემასთან დაკავშირებულ შრავალფეროვან სახელებს და რომლებიც ჩვენში სამიწათმოქმედო მეურნეო-ბის ამ ფორმის დიდ სიძველედ და გავრცელე-ბულობაზე უნდა მიუთითებდეს. ამ რიგის სა-ხელებს მიეკუთვნებან, მაგალითად, „ახოები“ (ჩვეულებრივ, კუთვნილების ფორმით — „ქუ-სარაბთ ახოები“, „ბეიტიანთ ახოები“ და სხვ.), „ნახოვარი“, „ახო ტყე“, „გურგალახო“, „დი-დახო“, „წერალახო“, „ნაყფი“, „ძველნაყფი“, „ნატეხი“, „ნალევი“, „ნატესი“, „ნარუჯი“, „ნაქორჩინი“. ამავე რიგისაა სახანავი ადგილების სახელწოდებანი, რომლებშიაც, ჩანს, იბრე ტყე

ყოფილა, გვერდით და ჩვეულების მიხედვით დაუტოვებიათ ერთი ან რამდენიმე ხე: „წიფლის მიწა“, „მსხლების მიწა“, „ვერჯის მიწები“, „თელა მინდორი“, „თელის მიწები“, „ნაქარხნის მიწა“, „მუხათანი“ და სხვ. აკად. ნ. კეცხოველის წიგნს აგრეთვე ერთი წიგნი ნაყოფზე ეძღვრება დარჩენილი ხეების საინტერესო ილუსტრაციები. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა ავტორის დაკვირვება გეოგრაფიულ სახელებზე — „ბზიანზევი“, „ბზათგორა“ და დასკვნა იმის შესახებ, რომ ბზის ცენოზის გავრცელება ხშირად მეორეული ხასიათისაა და ეს მოვლენა განსაკუთრებით აღმ. საქართველოში სატაძრო მეურნეობას და საეკლტო დანიშნულებას უკავშირდება. საყურადღებოა აკად. ნ. კეცხოველის მოსაზრებანი ჩვენი მცენარეული სფეროს ამჟამად უკვე იშვიათი წარმომადგენლების თავდაპირველი გავრცელებისა და შემდეგ მათი მოსპობის პირობების შესახებ. ასეთია, მაგალითად, უთხოვარი, რომლის ოდინდელი არსებობა ბევრ გეოგრაფიულ სახელშია შემორჩენილი და მათ შორის სახელწოდებაში „ნაუთხოვრალი“, რომელიც ავტორის მეჯულის ხეობაში აქვს დადასტურებული.

დასასრულ, საგანგებოდ გვინდა შეეჩერდეთ

წიგნის ილუსტრაციებზე. ამ მხრივ აკად. ნ. კეცხოველის წიგნი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. აღსანიშნავია, რომ წიგნში წარმოდგენილი ფოტო-ტაბულები (ორიოდე სურათის გამოკლებით) თვით ავტორს ეკუთვნის.

ჩვენი ფლორა და ბუნებრივ-სამეურნეო ღანღშავები ცვალებადია, ამიტომ შეცნირებული თვალთახედვით შეგროვებულ ფოტო-მასალას (მეცლევარს შექმნილი აქვს საკუთარი უმდიდრესი ფოტო არქივი) მომავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება, როგორც თვალსაჩინო დოკუმენტურ წყაროს. აკად. ნ. კეცხოველს თავის წიგნში გამოქვეყნებული აქვს ანაზურის მიდამოების სურათი, დახატული 1781 წ. ი. ივანოვის მიერ და ამავე მიდამოების ფოტოსურათი, გადაღებული ავტორის მიერ 1953 წელს. ი. ივანოვის სურათზე უკან მოჩანს წიფლის დაბურული ტყე, ხოლო ახალ სურათზე წიფლის ტყის ნაალაგევზე ძეძვიანი ჯაგანარია — ამ ცვლილებების მიზეზი აშკარაა. ასეთი ცვლილებების გამოჩვენება რამდენად გაადვილებოდა წარსულის შესავსი დოკუმენტური მონაცემები ბევრი რომ გვექონდეს! აკად. ნ. კეცხოველის შეცნირებული ფოტომასალა ამ მხრივაც დასაბუთებულია.

8. გახეობები

საყურადღებო ნაშრომი

ა. ავალიანის წიგნში განხილულია საქართველოს ისტორიისათვის მეტად აქტუალური საკითხი, სახელდობრ, აჭარაში მიწისმფლობელობისა და მიწისსარგებლობის ფორმების საკითხი, რაც აქამდე სავსებით შეუსწავლელი იყო და რასაც ეგოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარისა და მასთან ერთად სხვა ნათურქალი ქართული პროვინციების სოციალ-ეკონომიური ვითარების საკითხებს გასარკვევად XIX საუკუნეში.

როგორც ცნობილია, საქართველოს ამ მიწაწყალზე თურქთა ბატონობის დროს მიწითმფლობელობის ქართული წესი შეცვალა თურქულმა სამხედრო-ლეონტომა სისტემამ. მაგრამ ავტორი წყაროთა მონაცემების ანალიზის საფუძველზე არკვეს, რომ აჭარაში, როგორც თურქეთის მიერ ინკორპორირებულ ქვეყანაში, მიწითმფლობელობის წესები საგრძნობლად

თავისებური იყო და გამოირჩეოდა შიდა ოსმალეთში დამკვიდრებული წესებისაგან. ეს თავისებურება, სხვათაშორის, იმაშიც მდგომარეობდა, რომ აჭარის დიდი ბეგები ხიშთიაშვილები ფლობდნენ მამულს ოჯაქლიქისა და იურთლუქის წესით, რაც სამეცნიერო მფლობელობას ნიშნავს. სამხედრო-ლენტი სისტემის დროს სულთანს ჩვეულებრივ ვითარებებში სამეცნიერო მფლობელობისათვის მამულს არ გასცემდა. ამ შემთხვევაში კი, უპირველია, გარკვეულ პრივილეგიებთან გვაქვს საქმე და საინტერესოა, რომ ასეთი პრივილეგირებული ბეგები სწორედ აჭარაში გვხვდებიან, რაც შეპირებული იყო სამხედრო-სტრატეგიული ეთარაბებისა და ავტორის მართებული შენიშვნით ეს ვითარება „მოავრობას აიძულებდა ერთგვარ დათმობაზე წასულიყო ადგილობრივი ფეოდალების წინაშე“ (გვ. 42). თვით ეს ფაქტი პრივილეგიისა მეტად საყურადღებოა ოსმალთა მოავრობის პოლიტიკის დასახსნაობლად აღნიშნულ ეპოქაში.

ავტორი განიხილავს, აგრეთვე, აჭარაში თანხმობის შემდეგდროინდელ სამხედრო-ლენტი

ამირან ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში (თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების წინ, XIX ს. 40-70-იან წლებში). ბათუმი. 1960 წ.

სისტემის გაუმჯობესებას, რაც აგრეთვე სპეციფიკურ პირობებში მიმდინარეობდა და უფრო მეტ წინააღმდეგობას აწუდებოდა ქართული მამადაიანი ბევებისაგან. ავტორი სამართლიანად ეთანხმება ამ შემთხვევაში ფ. ყაზბეგს, რომელიც ამბობს, რომ აქარას ფაქტურად მართედნენ ხიმშიაშვილების გეარის ბევები, რომლებიც ამერიიდან (თანხმობით) აქარაში თერქული სახელმწიფო სამართლის პირველი გამტარებლები გახდნენ და მათვე შემოიღეს აქარაში პირველი გადასახადები (გვ. 43). ავტორი უფრო ახუსტებს ამ დროს აქარაში შექმნილ ვითარებას და ამბობს, რომ მამადაიანი ბევები აქარაში იძულებულნი იყვნენ თანდათანობით, მაგრამ მუდმივად დაენერგათ ოსმალური წესწყობილება თავისივე სამფლობელოებში, ე. ი. საყუთარი ხელთ ძირს უხბირდნენ იმ ფუტხს, რომელსაც ემყარებოდა მათი შედავათება და პრივილეგიები" (გვ. 43). საინტერესოა ინტერპრეტირებული განზახვა, რათა სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის მეთაურობით აქარელთა, ქობულეთთა, ფოცხოველთა და ლივანელთაგან შემდგარი ლაშქარი გამოყენებულ ყოფილიყო ოსმალური თანხმობის წინააღმდეგ საბრძოლველად (გვ. 44). საინტერესოა ავტორის დასკვნები იმის შესახებ, თუ როგორი გამოხატობა ჰქონდა თანხმობის სამამადაიანო საქართველოში: ეწყობა აჯანყება, მთავრობა აქარბს იმ აჯანყებას, მაგრამ თანხმობის მაინც აქარებს სამამადაიანო საქართველოში; ეს არის მიზეზი იმისა, რომ აქარაში, შავალითად, თანხმობის გატარება თითქმის ორი ათეული წლით იგვიანებს. თანხმობის გატარება სამამადაიანო საქართველოში დაკავშირებულია რაც გართულებებთან, მაგრამ, როგორც ავტორი მოგვითხრობს, პოლიტიკური მანევრების შედეგად გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში „დასრულდა თავისუფალი აქარის ისტორია" (გვ. 45).

ამ საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომში მოცემულია მეტად საინტერესო ცნობა, რომელსაც ზენი კულტურის ისტორიისათვის, საერთოდ, და, კერძოდ, ეკონომიური ისტორიისათვის უფროდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თანხმობით გათავადისწიებული რეფორმების გატარებას ძლიერ უშლიდა ხელს ის გარემოება, რომ ქართველ ბევებს ხელთ ჰქონდათ „ფირმანები და საბუთები, რომლებიც მათ წინაპრებს ჰქონდათ ნაბოძები, როგორც ქართველი მეფეების, ასევე თერქი სულთნების მიერ". ქართველი ბევები დაიბარეს სტამბოლში და აწველა ასეთი საბუთები გამოტყუეს. აქედან ავტორი, ვფიქრობ, მართებულად ასკვნის, რომ „ოსმალური საქართველოს ადრინდელი პერიოდის როგორც ქართული, ისე თერქული წარმოშობის საბუთები კონსტანტინეპოლში უნდა ინახებოდეს" (გვ. 46).

უსათუოდ საინტერესოა ავტორის მიერ აქვენი გამოკლენილი მასალები ე. წ. ბენსონერი ბევების შესახებ. ამ მასალების შესახებ ლამ ა. აგალიანს საშეილება მისცა დაედგინა აქარის ეკონომიის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი მომენტები: სამხედრო-ლენური სისტემის გაუმჯობესების თარიღი აქარაში, რადგანაც პენსიის დანიშვნა ფაქტურად სამხედრო ლენით სარგებლობის საბოლოო ლიკვიდაციას ნიშნავდა (გვ. 47). ამავე საბუთებით ვლინდება ამ დროის სამხედრო ლენების მფლობელთა ვინაობა.

შემდეგ შრომაში ავტორი იკვლევს საერთაშორისო შესახებ, „თუ როგორი იყო მიწისმფლობელობის ნორმები თანხმობის წინაპერიოდის აქარაში" (გვ. 51). საინტერესოა ავტორის მსჯელობა მიწით სარგებლობის ქართული ფეოდალური წესების ნაშთებზე დაპყრობელ ქართულ პრივინციებში ოსმალთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში (გვ. 51 — 53). საერთოდ კი, ავტორის მიხედვით, „აქარაში მიწისმფლობელობა თერქული სამხედრო-ლენური სისტემის საფუძველზე ხორციელდებოდა" (გვ. 55). ამასთანავე ერთად ავტორი აქარაში გავრცელებულ მიწისმფლობელობის წესებში თავისებურებებსაც ადასტურებს. უტყუარი დოკუმენტური მონაცემების მიხედვით (შავალითად, სულთან მამმუდ 11-ის 1835 წლის ფირმანი და სხვ.) ავტორი არკვევს, რომ „ხიმშიაშვილები თავიანთ მამულებს... იურათლუქისა და ოჯაქლიქის უფლებით ფლობდნენ" (გვ. 56). ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეული მამულები მათ ჰქონდათ საგვარეულო, სამეშქვიდრეო მფლობელობაში. აქ ავტორის მოტანილი აქვს აგრეთვე ვინმე ახლან-ალისადმი ბოძებულ სულთნის ფირმანის და სხვა ასეთივე დოკუმენტების შინაარსი, საიდანაც ნათლად ჩანს ოჯაქლიქისა და იურათლუქის წესით გაცემული ადგილ-მამულის სახეობა (გვ. 56). იურათლუქისა და ოჯაქლიქის, აგრეთვე მულქიეთის საფუძველზე ადგილ-მამულის ბოძება, ავტორის სამართლიანი მოსახრებით, იყო უფროდ პრივილეგია, რომელიც ენიჭებოდა აქარის ქართველ ბევებს. ავტორის ეს ვითარება სწორად და მართებულად აქვს ინტერპრეტირებული. ავტორი წერს: „აქარა თერქეთისათვის მონაპირე რაიონი იყო და ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათვისებლურებელი მოძრაობა აქტიურ ხასიათს ატარებდა. ცენტრალური მთავრობა პოლიტიკური და სტრატეგიული მოტივების გამო აქ ფრთხილად იქცეოდა და იძულებული იყო ადგილობრივი ბევების წინაშე დამოძიებზე წასულიყო". ავტორი აქ მოხდენილად და დროულად იყენებს ამ დროის რუსეთის სტამბოლური ელჩის ნელიაოვის აბრს, რომელიც უსათუოდ ნიშნავს იმსახრებს და რომლი-

თავ საესებით დამაჯერებელი ხდება ავტორის დებულება (გვ. 61).

ავტორი დიდი გულისხერით იხილავს აქარის გლეხობა მიწასთან დამოკიდებულების საკითხს. ავტორის საკმაოდ დეტალურად აქვს შესწავლილი მიწის უშუალოდ გლეხზე გადაცემის წესები და პირობები, განხილული აქვს თავის საფუძველზე მიწის ნაკვეთების გაცემა უშუალოდ გლეხებზე ან კიდევ გაბატონებული კლასის საშუალო ფენის წარმომადგენლებზე, რომლებიც შემდეგ აძლევდნენ ამ მიწას მწარმოებელ გლეხს ექსპლუატაციის მიმე პირობებში.

ამის შემდეგ ავტორი ვლად დოკუმენტებისა და პარკულწარმოების მასალების საფუძველზე მიმოიხილავს თანხანათის ძველდგდროინდელ ვითარებას. ფაქტობრივი მასალის გაანალიზების შედეგად ავტორი არკვევს თანხანათის შემდეგ შექმნილ სოციალურ ურთიერთობათა საკითხებს და გვაწვდის ფრიალ დამაჯერებელ დასკვნებს. მთავარი აქ მაინც ის არის, რომ ავტორი ამხნევს და ამტკიცებს იმ სპეციფიკურ ხაზებს, რომელიც სწორედ აქარაში დამკვიდრებული მიწისმფლობელობის ფორმებისთვისაა დამახასიათებელი. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ავტორი, ვფიქრობ, ექვივალენტად აღგვანს, რომ ადგილობრივი ხასიათის გარკვეული ვითარებების გამო „აქარაში ბევრგზა გაიკლებით უფრო გვიან განიცადეს თანხანათის შედეგები, ვიდრე შიდა პროვინციების ბევრგზა“ (გვ. 65) და რაც მთავარია, „აქარის გაბატონებელმა კლასმა თანხანათის შემდეგაც შეძლო გარკვეული პრივილეგიების და გერონო-მორი საფუძვლების შენარჩუნება, რაც ვერ მოახერხა ვაქეთებინა შიდა პროვინციების ბევრგზის უდიდესმა უმეტესობამ“ (გვ. 65). აქარის სპეციფიკური ვითარებების დასადგენად ავტორი უხეად სარგებლობს ამ დროის ამბების საფუძველსო მცოდნეებისა და თეოზო-ზილველებისა, ისტორიკოსების და ბაქრაძისა და გ. უახშვილის შრომებში დაცული ექვივალენტული მონაცემებით (გვ. 66-67). ამ თვალსაზრისით ავტორი იყენებს აგრეთვე ცნობილი ინგლისელი კონსულის გ. პალგრევის 1872 წლის მნიშვნელოვან მასალებს.

შესაშე თავში (გვ. 69-91), ავტორი სპეციალურად ეხება ერახი-მირიეს, ე. ი. სახანო მიწების კატეგორიას, რომლის ხასიათი და თავისებურებანი განსაზღვრულია 1858 წლის 18 აპრილის საადგილმამულო კოდექსით. ერახი-მირიეს კატეგორიის მიწებით სარგებლობის შესახებ კანონების სრული და სწორი ინტერპრეტაციის შემდეგ ავტორი იკვლევს საკითხს, თუ როგორ გადატეხა ერახი-მირიედ წოდებული მიწებით სარგებლობის კანონები ოსმალების აქარის პირობებში. მეგალითად, თანხანათის შედეგად სამხედრო-ღვინური სისტემა გაუქმდა და ოსმალებში ბევრგზა შეი-

ღები დაკარგეს. ასე მოხდა აქარაშიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მიწების დიდი რაოდენობა ხიმშიაშვილების საგარეულო კლასებზე გადაეხა. შეძლო შენარჩუნებინათ სხვადასხვა კატეგორიის — მულქი, ერახი-მირიე, ვაყუფის სახით“ (გვ. 77).

შემდეგ ავტორის მოყვან ბევრი ცნობა და აღსატრეებს იმ გარემოებას, რომ აქარის ბევრები სხვადასხვა ღონისძიებებით ახერხებდნენ, მათ ხელში უფლიყო ათასობით ღვინები მიწები და ეველაფერი ხდებოდა თანხანათის მომდევნო პერიოდში. საინტერესოა ავტორის მიერ მიკვლეული მასალა, საიდანაც ირკვევა, რომ თავდგომითა გვარის ბევრებს მიწები კერძო საკუთრებაში ჰქონდათ (მულქი, გვ. 86). საყურადღებოა, აგრეთვე, ამ თავში მიღებული დასკვნები ექსპლუატაციის კონკრეტული ფორმების შესახებ (გვ. 88-89).

ცალკე, მეოთხე თავად აქვს გამოყოფილი ავტორის „ვაყუფი — მუსლიმანური ეკლესიისა და რელიგიური დაწესებულებების მიწები“ (გვ. 91-104). ვაყუფი ავტორის აინტერესებს როგორც „საკუთრების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც მოიცავს შენეთებისაღმი ან სხვა რელიგიურ დაწესებულებებისადმი ნაბოძებ ქონებას“ (გვ. 91). ამ თავში ცენტრალური მნიშვნელობის მქონეა ორი ფირმანის შინაარსითა ანალიზის საფუძველზე მიღებული განზოგადოებანი. თუ ჩვენს ვაითელოსწინებთ ამ გარემოებას, რომ თურქული ვაყუფები, საერთოდ, ნაკლებადაა შესწავლილი და, კერძოდ, აქარაში არსებული ვაყუფები კი სრულბით გამოუვლავალია, შევძლებია ვთქვათ, რომ ა. ავალიანის შრომის ეს ნაწილიც ახალი სიტყვაა ჩვენს თურქოლოგიურ ლიტერატურაში ფირმანის მასალების შესწავლა საშუალებას აძლევს ავტორს დაადგინოს აქარის სინამდვილეში არსებული სოციალურ ურთიერთობათა მტკიცე საყურადღებო ფორმაბი (გვ. 96). ავტორი აქედ სარგებლობს და აღნიშნავს, ასე ვთქვათ, აქარული ვაყუფების თავისებურ მხარეებს, საყურადღებო, თურქულ ვაყუფებთან შევირისპირებით. ისიც უნდა დავსძინო, რომ ამ შრომაში ამ ნაწილში ძვირფასი ცნობებია მოცემული და გარჩეული ქალაქ ბაქრაში ისტორიის გარკვეული ეპოქისათვის. ბათუმში ე. წ. აზიზიეს მეჩეთის აშენების ფაქტი, ავტორის მართებულად შენიშნეთ, „დაკავშირებული იყო თურქეთის ცენტრალური მთავრობის საერთო პოლიტიკურ გეგმასთან, რაც მხარის სრულ კოლონიზაციას, აქ სრულად გაბატონებას ისახავდა მიზნად“ (გვ. 102).

მეხუთე თავში გარჩეულია მულქი, ე. ი. კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები (გვ. 104-116). აქ ავტორის საინტერესო მასალებები აქვს გამოთქმული მულქისა და ჩიფთლუქის კატეგორიების ურთიერთ მიმართების საკითხებზე. თურქობისდროინდელ აქარაში ჩიფთლუქის

სისტემის არსებობის შესახებ ავტორის მიერ შესწავილულ დოკუმენტებში მასალები არ ყოფილა. მაგრამ ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, „რეალურად არსებული მდგომარეობის შესწავლამ“ გარკვევა, რომ ზიმშიაშვილები, მავალითად, მიწებს ფლობდნენ სრულ კერძო საკუთრებაში, რაც, თავისთავად ცხადია, ჩიფთლიქის სისტემას ეყრდნობოდა (გვ. 115). სათანადო მასალის უქონლობის გამო ავტორი იქ ძალიან ფრთხილად იქცევა, მაგრამ მაინც ცდილობს დაადგინოს, რომ ჩიფთლიქად წოდებული მიწები აქარის სხვა გვარის ბეგებსაც ჰქონიათ (გვ. 115).

მეექვსე თავში განხილულია ე. წ. მეთრექე და მევათის კატეგორიები. ავტორი მიწისაზღვრობის ამ კატეგორიებშიც ცდილობს გამოავლინოს ადგილობრივი აქარული სპეციფიკა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ავტორის აზრი იმის შესახებ, რომ ზემო აქარას შემორჩა სახნავ-სათეს მიწაზე ქართული თემური მფლობელობა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე რამდენიმე უზუსტობა, რომელსაც ვხვდებით წიგნის უმთავრესად შესავალ ნაწილში და რომელიც ძირითად თემასთან იმდენად დაკავშირებული არ არის.

1. ნაშრომის მე-14 და მე-15 გვერდებზე ლაპარაკია ჯ ა ბ ა და ე თ ა რ ზ ე, რომელიც ავტორის მიხედვით, „ოსმალური საქართველოს პირველი დაეთარი“ უნდა იყოს (გვ. 14). შემდეგ მსჯელობაში ერთმანეთთან დაპირისპირებით არის მოცემული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი“ (1595 წლის) და ჯ ა ბ ა და ე თ ა რ ი, რომელიც ავტორის სიტყვით 1578 წელა შედგენილი დაეთარია. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარის“ შესამე წიგნში (გვ. 4. შენიშვნა 2, გვ. 12) გარკვეულია, რომ ოსმალეთში ადგილებზე - დიდი დაეთარი ჯ ა ბ ა ს სახელითაც იყო ცნობილი. კერძოდ ბუსი მოხელის მინაწერია მიხედვით 1595 წლის „დაეთარი“ იგივე ჯ ა ბ ა (იხ. „დაეთარი“ III, გვ. 4). ამდენად, მე მგონია, არ შეიძლება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჯ ა ბ ა ძველ დაეთარს ეძღვნა; ჯ ა ბ ა - დიდი დაეთარების“, უფრო მეტად ხალხში გავრცელებული, საერთო სახელია და არა ესა თუ ია „დაეთარი“.

2. ავტორის მიხედვით, „ჯ ა ბ ა ს“ - შედგე-

ნის თარიღად 1578 წელი უნდა მივიჩნიოთ“ (გვ. 14). ვფიქრობთ, რომ ესეც უნაჩვენებელი მსჯელობაა. ვიდრე სტამბოლის *„ქრონიკა“* მიერ-მინიატრის არქივებში დატული ოსმალეთის ქართული პროვინციების „დიდი დავთრები“ არ იქნება გამოცემული და ერთმანეთთან შეპირისპირებით შესწავილი, მანამდის „დაეთარების“ დათარიღებისაგან თავის შეკავება აუკლებს. ეს მით უფრო, რომ პროფ. ო. ბარკანის მიერ გამოცემული „საქართველოს კანტონაჟი“ დათარიღებულია 1572-1573 წლებით. ირკვევა, რომ სხვადასხვა ქართულ პროვინციას სხვადასხვა დროა შედგენილი „დაეთარი“ ჰქონდა, დაყრობებთან დაკავშირებით „დაეთარის“ ტერიტორიული მოცულობაც იცვლებოდა; საჭიროა თითოეული მათგანის შესწავლა.

3. როდესაც XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციულ ცვლილებებზეა ლაპარაკი, შეიძლება ეს ეხებოდეს ვილაიეთების გამსხვილებას, რამდენიმე ვილაიეთის გაერთიანებას. როგორც ეს სამართლიანად შენიშნა ნოდარ შენგელამ. მეც ვფიქრობ, რომ ტერმინები ვილაიეთი და ეთალიეთი პარალელურად იხმარებოდნენ XVI საუკუნემდე და მის შემდეგაც, როგორც ადგილობრივი შინაარსის სიტყვები.

წიგნში განხილულია საინტერესო მასალა სოციალურ-ეკონომიური ტერიტოლოგიიდან, გეოგრაფიული ნომენკლატურიდან, პერსონალური სახელებიდან და სხვ. საძიებელი ასეთი წიგნისათვის აუცალბებელ საჭიროებას წარმოადგენს.

წიგნში კორექტორული შეცდომები უფრო მეტია, ვიდრე ეს „შეცდომების გასწორებაში“ მოყვანილი. ვფიქრობ, კორექტორული შეცდომია 54-ე გვერდზე, რომ სულთან აბდულჰამიდ III იხსენიება; სულთანი აბდულჰამიდ III, საერთოდ არ ყოფილა, შეიძლება აქ ლაპარაკი სულთნ III-ზე (1789 წელს რომ გომედდა).

ყველაფერი ეს, შედარებით, წერილმანია. მთავარი ის არის, რომ ა. ავალიანის ამ წიგნის სახით ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას შეეძინა ახალი მეცნიერული შრომა საქართველოს ისტორიის ისეთ საკითხზე, რომელიც გურჯეთობით სპეციალური კვლევის ობიექტი არ ყოფილა.

ფრიდრიხ შილერის რჩეული



საუკუნეზე მეტი ხანია რაც საქართველოში იმარჯნება და უშუალოდ ქართულ ენაზე იცნობენ დიდი გერმანელი მწერლისა და პემანისტის ფრიდრიხ შილერის თხზულებებს. შილერის შემოქმედება იმთავითვე შეუთვისებდა და გულთან ახლოს მიუტანდა ქართველ ხალხს. ასევე დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოში შილერის ნაწარმოებების სცენიურ ხორცშესხმას.

ფრ. შილერის ამ შედეგებს თავგანწიანდენ და აქვეყნებდნენ წარსული ეპოქის ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ი. პეტრეაძე, რ. ერისთავი, ნ. ავალიშვილი და სხვ.

ჩვენს დროში მეტის მონღომებით შეუღდნენ ფრ. შილერის როგორც ლირიული ასევე დრამატული ნაწარმოებების თავგანწიან. ძველი თაობის ისეთ ღირსეულ წარმომადგენლებს, როგორებიც არიან ს. შანშიაშვილი, ხ. ვარდოშვილი და როგორც იყო განსვენებული ე. ტატიშვილი, მხარში ამოუღდნენ ახალგაზრდა მთარგმნელები ვ. ბეწუყელი, ა. გელოვანი და სხვ.

განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს ფრ. შილერის დრამატული ნაწარმოებების თარგმანში ს. შანშიაშვილმა და ე. ბეწუყელმა, რომელთა მიერ თარგმნილი პიესები არაერთგზის გამოვიდა ცალკე წიგნებად და ასევე არაერთგზის დიდგა ქართულ სცენაზე.

უკანასკნელ წლებში ორჯერ ცალკე წიგნად გამოიცა ბ. ვარდოშვილისეული ფრ. შილერის ლექსებისა და ბალადების თარგმანები.

როგორც ვხედავთ ფრ. შილერის თხზულებათა უმარაგმა ცალკეულმა თარგმანებმა და გამოცემებმა დღის წესრიგში დააყენეს ამ ნაწარმოებების ერთად შეკრებისა და გამოცემის საკითხი, და მართლაც მკითხველმა ახლახან მიიღო ფრ. შილერის რჩეული თხზულებათა სამტომეულის პირველი ტომი, რომელიც მომზადა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დ. ლაშქარაძისა და მ. შიხიერაძის რედაქციით. პირველ ტომში შევიდა შილერის ლირიკის ცნობილი ნიმუშები და სამი პიესა. წიგნს თან ერთვის ვრცელი წინასიტყვაობა და კომენტარები, რომლის ავტორია დ. ლაშქარაძე.

შექაობის ხუთტომეულის გამოცემის გარდა ქართულმა მკითხველმა ვერა და ვერ მიიღო სხვა საზღვარგარეთელი მწერლების რჩეული თხზულებების ტომეულები. შილერის თხზულებათა განზრახული სამტომეულის პირველი ტომის გამოცემა საქმის უსაწყისადაც და საქმის კარგ ვაგრძელებიდაც შეიძლება ჩაითვალოს.

პირველ ტომში თავმოყრილი თარგმანები შედარებით ძველთან რამდენაღმე შეესებულა

და შესწორებული სახითაა წარმოდგენილი. ფრ. შილერის თარგმანებზე თავის დროზე პერიოდულ პრესაში ბევრი რამ დაწერილა და ამდენად ჩვენ აქ არ გამოვეყვილებით ყველა ლექსისა თუ ბალადის ან პიესის ცალკეული თარგმანის აე-კარგიანობის ანალიზს.

კარგია რომ წიგნში ფრ. შილერის ნაწარმოებები ქრინოლოგიური სახესტითაა დალაგებული, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ექონიოთ მწერლის მხატვრულ-ესთეტიკურ ევოლუციანზე.

საინტერესოა, რომ ფრ. შილერი, ისევე როგორც თავის დრამატულ ნაწარმოებებში ლექსებსა და ბალადებშიც გვევლინება ტრანსისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ მებრძოლად. თავისუფლების ბრძოლის ენითაა გაყდენითი ლექსები „რუსო“, „სპინოზა“, „ყარალი მოთრის მონუმენტი“, „ცული მონარქები“, ასეთივე ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის უსაზღვრო გრძნობა უღვეს საფუძვლად შილერის ბალადებს. შილერთან ყოველთვის კეთილი სძლევს ბოროტს, ყოველთვის ადამიანებში კეთილი საწყისი იმარჯუებს. ამიტომაც მისი ცნობილი ბალადების „რანდი ტოგენსბურგის“, „იიკოსის წყროების“, „რკინის ქარხნისაგენის“, „მჭედაის“, „ხელთათმანის“, „პოლიკრატეს ბეჭედის“, „თასს“ და სხვათა გმირების მოქმედება მისაბაძია. ეს გმირები ფრ. შილერის მიერ წარმოდგენილია იდეალურ გმირებად, ამაღლებულნი და განსხიოისნებული თავიანთი კეთილშობილური საქციელით შეიძლება ითქვას განწმენდილი არიან ამა ქვეყნის ცოდვებისაგან.

პირველ ტომში წარმოდგენილ ლექსებისა და ბალადების თითქმის ნახევარი თარგმნილია ბ. ვარდოშვილის მიერ. დანარჩენი ბალადების თარგმანი ვერთვის ე. ბეწუყელს, ა. გელოვანს და ი. ქეშერტელიძეს. მთარგმნელებს სწორად აქეთ გაგებული და გახმოვანებული შილერის ლირიული ქმნილებათა ძვირფასი ნიმუშების პათოსი და ილერი მხარე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წიგნში სამი პიესაა წარმოდგენილი: „ყარალი“ — მთარგმნელი ს. შანშიაშვილი, „ფიესკოს შეთქმულება გეზუაში“ — მთარგმნელი ვ. ბეწუყელი და „ვერაგობა და სიყვარული“ — მთარგმნელი ე. ტატიშვილი.

ფრ. შილერის პიესების თარგმნის უპირველესი მიზანი თავიდან ის იყო, რომ სცენიურად განესახიერებინათ შილერის ამთოომ პიესის გმირები. ამიტომაც პიესის მთარგმნელები გარდა იმისა, რომ ანგარიშს უწევდნენ დრამის, ილერ კონცეფციისა და ლექსიკურ ფორმას, ასევე დროის ცვლილებდნენ ბუნებრივი ქართულით ავედრებინათ ესა თუ ის დიალოგი ან

მორლოგი, ანდაზები ან გამოცანები, ან არა და რომელიმე იდიომატური ან ფრაზეოლოგიური გამოთქმა, ენამახელობა ან სხარტული თქმები ზუსტად მიესადაგებიანთ ქართული ენის ნორმებისათვის. ამდენად წიგნში წარმოდგენილი პიესები ამ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებენ. ცნობილია, რომ განსაკუთრებით „უაჩალები“ და შემდეგ „ვერაგობა და სიყვარული“ მრავალჯერ განხორციელებულა ქართულ სცენაზე. განსაკუთრებით ეს ითქმის „უაჩალებზე“, რომელმაც თავისი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ სცენაზე.

შილერის თხზულებათა ტომს თან ვრთვის დ. ლაშქარაძის ვრცელი წინასიტყვაობა. წინასიტყვაობაში — ისევე როგორც ეს განსაზღვრულა ტომებში, — ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა განხილული შილერის ნაწარმოებები. წერალში ჩანს შილერის მრავალფეროვანი და უმდიდრესი მემკვიდრეობის, აგრეთვე შილერის დროინდელი ეპოქის, გერმანიის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის საფუძვლიანი ცოდნა. წერალის ავტორი მარქსისტული

ესთეტიკის პოზიციებიდან აშუქებს შილერის ესთეტიკური შეხედულებების, როგორც დღეებით, ისევე უარყოფით მხარეებს. წერალში მოშველიებულია მარქსიზმის კლასიკოსების, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების შეხედულებები შილერზე და მის შემოქმედებაზე.

ბოლოს გვესტრს ერთ საკითხზე შევჩერდეთ. შილერის მხატვრული შემოქმედება მკიდრო კავშირშია მის ესთეტიკურ შეხედულებებთან. შილერის თეორიული მსჯელობების „სახინჯი ქვა“ მისივე შემოქმედებაა. როგორც ცნობილია შილერმა უამრავი კრიტიკულ-ფილოსოფიური თხზულება დასტოვა; სასურველია წიგნის რედაქტორებმა გაითვალისწინონ თავიანთ შემდგომ მუშაობაში და ქართულ მკითხველებს რამდენიმე კრიტიკულ-ესთეტიკური წერილის თარგმანით შესაძლებლობა მისცენ ქართულ ენაზე გაეცნონ შილერის კრიტიკულ მემკვიდრეობასაც, მითუმეტეს, რომ დღემდის, რამდენადაც ვიცით, ამის ცდაც არ ყოფილა.

ნოზარ ნუხაძე

ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

- ზიზ. ზანდუკელი — ლიტერატურული ნარკვევები. ტ. II, რედ. ვ. გოგოლაშვილი, გვ. 338, ფასი 1 მან. 7 კაპ.
- გ. ვერდიწიანი — წერილები ლიტერატურაზე. რედ. შ. ამისულაშვილი, გვ. 162, ფასი 35 კაპ.
- ალექსანდრე გომიზიანი — რჩეული. რედ. ვ. ჭავჭავაძე გვ. 280, ფასი 92 კაპ.
- ალექსანდრე შენგელია — ლექსები. პოემები. რედ. ბ. შიჩხულაია, გვ. 334, ფასი 84 კაპ.
- ლადო ავალიანი — ათი ნოველა. რედ. ვ. გოგოლაშვილი, გვ. 336, ფასი 41 კაპ.
- შალვა გოზალიშვილი — იროდიონ ველოშვილი, რედ. ელ. გოგოლაშვილი, გვ. 140, ფასი 30 კაპ.
- გიორგი ივანიშვილი — კაკანათი. რედ. ი. ხოშტარია, გვ. 186, ფასი 15 კაპ.
- ილია ბერძენი — ცხვარი და ფესვები. რედ. ი. ხოშტარია, გვ. 76, ფასი 13 კაპ.
- გივი გოგინიაშვილი — მეტოქენი. მოთხრობები. რედ. ი. ხოშტარია, გვ. 206, ფასი 41 კაპ.
- ა. გურჯაძე — გაუთავლე წეღლი ლურჯამი. რედ. ი. ხოშტარია, გვ. 106, ფასი 14 კაპ.

„ნაკადული“

- გიორგი ძიწინაძე — ალექსანდრე ჯანელიძე, რედ. ხ. ბერძენი, გვ. 24, ფასი 4 კაპ.
- გურამ რჩეულიშვილი — საღამურა. რედ. გ. შატბერაშვილი, გვ. 160, ფასი 38 კაპ.
- ვედენი ბართაია, ჯემალ ინჯია, შალვა ლორთქიფანიძე, ვახტანგ მწედაძე — თავთავები. რედ. გ. კაკაბიძე, გვ. 108, ფასი 16 კაპ.
- აი, რად გვიუფარს წვენი პარტია — რედ. რ. ორჯონიძე, გვ. 44, ფასი 6 კაპ.
- მზის დამხსნელი — ლიტერტრი ხალხური ზღაპარი. თარგ. მაყვალა მრეველიშვილი, რედ. ქ. ნადირაძე, გვ. 32, ფასი 16 კაპ.
- ვერა პანოვა — სურვილი. თარგ. ნანული ბართაიაშვილი, რედ. ბ. ბახტაძე, გვ. 118, ფასი 17 კაპ.

8560 20 353

6 19/381



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО «САБЧОТА МЦЕРАЛИ»